ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

დამოუკიდებლობის 1028 დღე

საქართველოს პირველი რესპუბლიკის ყოველდღიური მატიანე (1918 – 1921)

თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

ავტორ-შემდგენელთა ჯგუფი:
(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტები,
მაგისტრანტები და ბაკალავრიატის სტუდენტები)

ავტორ-შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი
და რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **დ ი მ ი ტ რ ი შ ვ ე ლ ი ძ ე**

ავტორ-შემდგენლები: თამარ პაპუაშვილი (მაგისტრანტი)
მაკა ხუციშვილი (მაგისტრანტი)
ზაზა ცინაძე (მაგისტრი)
ნათია თურაზაშვილი (მაგისტრი)
მანუჩარ გუნცაძე (მაგისტრი)
ელენე გელაშვილი (მაგისტრანტი)
ბაჩანა ხაჩიძე (სტუდენტი)
ნონა მოთიაშვილი (მაგისტრი)
თამარ ლაზარაშვილი (სტუდენტი)
ხატია ნადირაძე (სტუდენტი)
ნიკოლოზ ჩხეიძე (სტუდენტი)
ნოდარ ჩხაიძე (სტუდენტი)
თორნიკე ტაბატაძე (სტუდენტი)
ირაკლი ირემაძე (სტუდენტი)
დიმიტრი სილაქაძე (დოქტორანტი)

რეცენზენტი: პროფესორი **ნ ი კ ო ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი**

ტექსტის კომპიუტერული უზრუნველყოფა:
მიხეილ ქართველიშვილი (დოქტორანტი)
გარეკანის დიზაინი: მანუჩარ გუნცაძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013

ISBN 978-9941-13-307-4

რატომ და როგორ შეიქმნა „ყოველდღიური მატიანე“

ახალ ისტორიულ ხანაში მოპოვებული საქართველოს არასრული სამწლიანი დამოუკიდებლობა უფრო მეტს ნიშნავს ქართველი ხალხისათვის, ვიდრე არაერთი სხვა, თუნდაც დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ეპიზოდი. ასეთ შემთხვევაში პოეტი უფრო კარგად გამოხატავს შინაგან განწყობას ამ ისტორიული მოვლენისადმი, როცა ამბობს:

„და ორი წელი დაგვრჩა იგავად,
ახლა სხვა დროა და სხვა ტაროსი“. (იოსებ გრიშაშვილი)

საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდი, ისტორიული ხანგრძლივობის თვალსაზრისით, დროის მცირედი მონაკვეთია, მაგრამ ის მართლაც თავისებური „იგავის“, „პატარა ოქროს ხანის“ სახით დარჩა თანამედროვეთა და მომდევნო თაობების ხსოვნაში. ამისი მრავალი მიზეზი არსებობს. სხვადასხვა მიზეზთა შორის ერთიც კმარა: მას არ აცალეს განვითარება, მომაგრება, თითქმის შექმნისთანავე დაამხეს ქართული სახელმწიფოებრიობის გარეშე და შინაურმა მტრებმა. მეტიც გააკეთეს – სცადეს ქართველი ხალხის მეხსიერებიდან ამოეძირკვათ პირველი დამოუკიდებლობის ისტორია, მისი შემოქმედი ისტორიული პერსონაჟები. 70 წლის განმავლობაში იკრძალებოდა 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის ობიექტური შესწავლა, ხოლო ეს პერიოდი გამოცხადებული იყო მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობის შავბნელ ხანად, მენშევიკების დიქტატურის პერიოდად.

მას შემდეგ, რაც, – „ბოროტების იმპერიას“ – საბჭოთა კავშირს ბოლო მოეღო, ქართულ ისტორიოგრაფიაში დაიწყო პირველი ქართული რესპუბლიკის ისტორიის ინტენსიური შესწავლის პროცესი. დღეს მნიშვნელოვანწილადაა შესწავლილი ამ პერიოდის არაერთი საკვანძო საკითხი: აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა, პარლამენტის საკანონმდებლო მუშაობა, სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, ეროვნული უმცირესობების მდგომარეობა, საგარეო პოლიტიკა, ბრძოლა სახელმწიფოს ფაქტობრივ-იურიდიული ცნობისათვის, პოლიტიკური პარტიების საქმიანობა, კულტურულ-ინტელექტუალური ვითარება და ქვეყნის ყოფა-განვითარების სხვა მხარეები. პროცესი გრძელდება და მომავალში მეტია საკეთებელი, შესასწავლი, გამოსამზეურებელი, სანამ აღდგება პირველი რესპუბლიკის ისტორიის ფუნდამენტური და ყოვლისმომცველი სურათი. მანამდე კი საკვლევი პრობლემა სხვადასხვა რაკურსით უნდა იყოს შესწავლილი. ამ შემთხვევაში ერთ-ერთ მათგანზე შევჩერდით. ესაა საისტორიო მეცნიერების კიდევ ერთი მეთოდი და საშუალება – ყოველდღიურობის ისტორია. მართლაც, ჩვენი ცოდნა და წარმოდგენა უფრო სრული და მრავალფეროვანი იქნება, თუ პირველი რესპუბლიკის ისტორიას

წარმოვაჩენთ ყოველდღიური მოვლენების, ხდომილებებისა თუ უბრალოდ ქრონიკების სახით. ამ კუთხით, 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის წარმოჩენა, საშუალებას მოგვცემს მოვლენების განვითარების ყოველდღიურ დინამიკას დავაკვირდეთ.

რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ამგვარი ქრონიკების შექმნას ან ისტორიოგრაფიისათვის, ან საზოგადოებრივი აღქმის თვალსაზრისით? ამით მკითხველს საშუალება ეძლევა დამოუკიდებელი საქართველოს საზოგადოების ცხოვრება ყოველდღიური მოვლენების ფონზე წარმოიდგინოს. ასეთ შემთხვევაში მოვლენები თემატურად არ არის დალაგებული და არ ხდება რესპუბლიკის ცხოვრების ერთი რომელიმე სფეროს შესწავლა-გადმოცემა. მაგ., არ ხდება საქართველოს სამხედრო კონფლიქტების ან ქვეყნის ეკონომიკური პროცესების, ან კიდევ საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ისტორიის განხილვა.

მოვლენათა ქრონიკების სახით გადმოცემის დროს ტექსტში არც მეცნიერული ანალიზია, არც დასკვნები და შეფასებები. ტექსტში მოვლენები ერთად და სტიქიურადაა გადმოცემული, როგორც საზოგადოების ჩვეულებრივ ყოველდღიურ ცხოვრებაში ხდება. წინამდებარე „მატიანეში" ყოველდღიური მოვლენები ჰორიზონტალურადაა განფენილი: ყოფითი წვრილმანები, კრიმინალი, პოლიტიკური პროცესები, კულტურული ღონისძიებები, სოციალური გადაწყვეტილებები, ადმინისტრაციული დანიშვნა-გადაადგილებები, დედაქალაქის ცხოვრება, პროვინციების ამბები, ეკონომიკური სიძნელეები თუ წინსვლა, ელიტარული სიახლეები თუ უჩინარი ობივატელების ყოფა და სხვა „ათასი წვრილმანი", ყოველივე ეს და სხვა მრავალი ყოველღიურად ენაცვლება ერთმანეთს და ქმნის კალეიდოსკოპურ რეალობას.

ამ ყოველდღიური რეალობებიდან წინამდებარე ნაშრომში ჩვენ ვარჩევდით ხუთ-ექვს დამახასიათებელ მოვლენას და ქრონიკის სახით ვადგენდით თითოეული დღის „მატიანეს" ინფორმაციათა ჩამონათვალის სახით. „ყოველდღიურ მატიანეში" რელიეფურად ჩანს: როგორ ცხოვრობდნენ ჩვენი ახლო წინაპრები 900-იანი წლების, ანუ ჩვენი წინა მეოთხე თუ მეხუთე თაობის წარმომადგენლები დამოუკიდებლობის რთულ სამწლეულში – 1918 წლის 26 მაისიდან 1921 წლის 18 მარტამდე, როცა ბათუმიდან გასულმა გემმა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში წაიყვანა.

წინამდებარე ნაშრომი საქართველოს პირველი რესპუბლიკის ყოველდღიური ამბების კრებულია. „მატიანე" მას პირობითად ეწოდება და იმითაც მართლდება, რომ, თავდაპირველად, „მატიანე" ძველქართულ რეალობაში „ნუსხის სახით გადმოცემულ ამბებს" ნიშნავდა. წინამდებარე ნაშრომიც ყოველდღიური ამბების, ქრონიკების, ინფორმაციების კრებულია.

ინფორმაციები ამოღებულია 1918-1921 წლების საქართველოში გამომავალი პრესიდან. ძირითადად ვსარგებლობდით პირველი რესპუბლიკის ოფიციალური გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის" მასალებით. გარდა

ამისა, ავტორ-შემდგენელთა ჯგუფი ინტენსიურად მოიპოვებდა საინფორმაციო მასალებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთ „საქართველოსა“ და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ორგანო „სახალხო საქმიდან“, ხანდახან სხვა გაზეთიდანაც. ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევის დროს ხდებოდა, როცა მთავარი გაზეთები არ გამოდიოდა.

იმდროინდელ პრესას ახასიათებდა რამდენიმე თვისება, რომლის აღნიშვნა და გათვალისწინებაც საჭიროდ მიგვაჩნია. პირველ რიგში, არცთუ იშვიათად, ინფორმაციები სიზუსტით არ გამოირჩეოდა. ასევე ხშირი იყო უზუსტობა პოლიტიკური ინფორმაციების გადმოცემის დროს; მაგ., შეცდომითაა დასახელებული მოღვაწეთა სახელები და გვარები, განსაკუთრებით უცხოელების შემთხვევაში. მაშინდელი ჟურნალისტები სცოდავდნენ ხოლმე განსაკუთრებით პოლიტიკური ხასიათის ინფორმაციების მოწოდების დროს. მოვლენას ისინი აშუქებდნენ არასრულყოფილად – თარიღსა თუ თვით მოვლენას უცვლიდნენ დროს და გეზს. რა თქმა უნდა, მაშინდელ ჩვენს ჟურნალისტებს ვერ დავადანაშაულებთ უზუსტობების გამო. მათ ბევრი რამ არ იცოდნენ და არც შეიძლება სცოდნოდათ – მრავალი ფაქტი და მოვლენა შემდგომში ისტორიკოსების მიერ იქნა შესწავლილი, დაზუსტებული და გამომზეურებული.

მიუხედავად მსგავსი ხარვეზებისა, ინფორმაციების აბსოლუტური უმრავლესობა გადმოვეცით პირველადი სახით, იმ სახით, რომლითაც ისინი გამოქვეყნებული იყო იმ დროის ქართულ პრესაში. გარდა ამისა, ინფორმაციების ნაწილი სამეცნიერო ლიტერატურიდანაცაა ამოკრებილი. ეს განსაკუთრებით შეეხება მნიშვნელოვან პოლიტიკური ხასიათის მოვლენებს, როდესაც სიზუსტე აუცილებელია. მაგ., ომები, ხელშეკრულებები, პარლამენტის დადგენილებები, კანონები და მსგავსი მასალები (თუ ყველა შემთხვევაში არა) მნიშვნელოვანწილად მაინც სამეცნიერო ნაშრომების მიხედვით არის კორექტირებული.

ქრონიკების მთავარი უნიკალობა ისიცაა, რომ მასში გადმოცემული მოვლენები სწორედ იმ სახითაა გადმოცემული, რა სახითაც მას ეცნობოდნენ, გრძნობდნენ, აღიქვამდნენ, განიცდიდნენ თუ იმედოვნებდნენ პირველი რესპუბლიკის მოქალაქეები. ხშირ შემთხვევაში, ნაშრომში მითითებულია ამა თუ იმ ინფორმაციის წყარო, თუმცა არა ყოველთვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკითხი ეხება საყოველთაოდ ცნობილ ისტორიულ ფაქტებს ან უმნიშვნელო მოვლენებს.

დაბოლოს, ნაშრომის ავტორ-შემდგენლები, როგორც მკითხველი უკვე ნახავდა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის მიმართულების ყოფილი და დღევანდელი მაგისტრები, მაგისტრანტები, ბაკალავრიატის სტუდენტები არიან და მათ შორის ერთი დოქტორანტიცაა. მათ ენთუზიაზმით მიიღეს ჩემი წინადადება – მოგვემზადებინა პირველი რესპუბლიკის ყოველდღიური ქრონიკები. ისინი (თამარ პაპუაშვილი, მაკა ხუციშვილი, ზაზა ცინაძე, ნათია თურაზაშვილი, მანუჩარ გუნცაძე, ელენე გელაშვილი, ნონა მო-

თიაშვილი, ხატია ნადირაძე, თამარ ლაზარაშვილი, ნოდარ ჩხაიძე, ნიკოლოზ ჩხეიძე, თორნიკე ტაბატაძე, ირაკლი ირემაძე და დიმიტრი სილაქაძე) რამდენიმე თვის მანძილზე კითხულობდნენ მათთვის ინდივიდუალურად გამოყოფილი 2-3 თვის პერიოდის ზემოაღნიშნულ გაზეთებს და იქიდან კრებდნენ ყოველდღიურ ინფორმაციებს. მათი მუშაობის შედეგი მკითხველი საზოგადოების წინაშეა.

შესაძლოა გაჩნდეს აზრი, რომ პროექტი ამბიციური გამოგვივიდა, რადგან ავტორ-შემდგენელთაგან ყველას არ ჰქონდა ჯერ სათანადო გამოცდილება მსგავსი კვლევის ჩატარებისა, მაგრამ ვფიქრობ, რომ მათ ეს გამოცდილება შეიძინეს და კარგადაც გაართვეს თავი დაკისრებულ სამუშაოს. ავტორ-შემდგენელთა გუნდი სიამოვნებით მიიღებს სამართლიან შენიშვნებს და გაითვალისწინებს შემდგომი გამოცემისას, თუ საამისო საჭიროება შეიქმნება.

დიმიტრი შველიძე

1918 წელი

26 მაისი

- ამიერკავკასიის ცხოვრებაში ორი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: 26 მაისს სასახლის დარბაზში ამიერკავკასიის სეიმმა თავი დაშლილად გამოაცხადა და იმავე დღეს, იმავე სასახლის დარბაზში გამოცხადებულ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობა.

"საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველი სხდომის ოქმიდან: კვირა, 26 მაისი, 1918 წელი. ქალაქი თფილისი, სასახლე.

სხდომას დაესწრო 42 წევრი და 36 კანდიდატი.

ლოჟებში და ქანდარაზე მრავალრიცხოვანი საზოგადოებაა.

მოედანი სასახლის წინ და უახლოესი ქუჩები გაჭედილია ხალხით.

სასახლის თავზე ფრიალებს ქართული დროშა.

თავმჯდომარეობს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია. პრეზიდიუმში არიან: გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, პავლე საყვარელიძე. მდივნად არის ეროვნულ საბჭოს მდივანი ილია ზურაბიშვილი.

სხდომა იხსნება ნაშუადღევის 4 ს. და 50 წუთზე.

როცა თავმჯდომარე თავის ალაგს იჭერს, საბჭო და დამსწრე ხალხი მიესალმებიან მას ფეხზე ადგომით, ხაანგრძლივი მქუხარე ტაშით და უმართავენ ოვაციას.

თავმჯდომარე: ეროვნული საბჭოს სხდომას გახსნილად ვაცხადებ.

მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ მოწამენი იყავით იშვიათი ისტორიული და ამავე დროს ტრაგიკული აქტის. ამ დარბაზში დღეს მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი, დღესვე, ამავე დარბაზში ეყრება საძირკველი მეორე სახელმწიფოს.

ამ ორ სახელმწიფოთა შორის, რომელთაგან ერთი მოკვდა, მეორე კი იბადება, არ არის ინტერესთა წინააღმდეგობა.

და თუ პირველი აღსდგა ოდესმე მკვდრეთით, ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მათ შორის მუდამ იქნება ინტერესთა თანხმობა (ტაში).

ახალი სახელმწიფო – საქართველო, რომელიც დღეს არსდება, არ წავა რომელიმე ერის, ხალხის ან სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ.

მისი მიზანია – თავი გადაირჩინოს თანამედროვე ისტორიულ ქარიშხალში...."

აქედან მოგვყავს „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის" ტექსტი, რომელსაც ნოე ჟორდანია კითხულობს:

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დაუტოვა ამიერკავკასია.

დარჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავის საკუთარ საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შეჰქმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, აცხადებს:

1. ამიერიდგან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.
2. დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა.
3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.
4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰსურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.
5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა.
6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზედ მოსახლე ყველა ერს.
7. დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვაგამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

კრება და დამსწრე საზოგადოება ისმენენ ამ აქტს ფეხზე მდგომნი. თვითეული მუხლი იწვევს მქუხარე ტაშს. წაკითხვის შემდეგ იმართება ხანგრძლივი ოვაცია. სიწყნარის ჩამოვარდნის შემდეგ, თავმჯდომარის წინადადებით, ეროვნულ საბჭოს მდივანი გადის აივანზე და იქიდან უკითხავს დამოუკიდებლობის აქტს სასახლის წინ შეკრებილ ხალხს. აქტის წაკითხვის განმავლობაში აივანზე ორ ეროვნულ დროშას სდარა-

ჯობს საპატიო ყარაულის რაზმი. აქტის თვითეული მუხლი იწვევს ხალხში აღფრთოვანებას, აღტაცების ყიჟინას, ტაშს და ოვაციებს...

ამის შემდეგ თავმჯდომარე სვამს საკითხს – თანახმაა თუ არა კრება მიიღოს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. „ეროვნული საბჭო ერთხმათ აღფრთოვანებით იღებს აქტს და ამტკიცებს მას უცვლელათ“. (27; 17)

- „საქართველოს დამოუკიდებლობას მიესალმა ამიერკავკასიის თათრობის სახელით აზერბაიჯანის მთავრობის მეთაური ხოის ხანი. მისალმება იყო გულწრფელი და სავსებით შეეფერებოდა იმ მეგობრულ განწყობილებას, რომელიც არა დღეს და არა რევოლუციის დროს მხოლოდ, არამედ მრავალ წელთა განმავლობაში მყარდებოდა ქართველ ერსა და მის მეზობელ თათართა შორის. ჩვენი ქვეყნის ეროვნებათა შორის გამონაკლისს სომხობა შეადგენდა. მათ არ მიულოცეს საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენა, ისინი არ მიესალმნენ ქართველი ერის თავისუფლებას“. (2; № 105)
- თბილისის დაცვა მიენდო გენერალ-მაიორ ს. ახმეტელაშვილს. მის განკარგულებაშია თბილისში მყოფი მთელი შეიარაღებული ძალები, როგორც წითელი გვარდია, ისე რეგულარული ჯარები. (4; № 106)
- სოხუმის ქალაქის საბჭომ, მოისმინა რა მთავრობის მისალმების დეპეშა ქალაქის ბოლშევიკებისაგან გათავისუფლების შესახებ, დეპეშით გაუგზავნა მთავრობას სამადლობელი პასუხი, რომელშიც საბჭო გამოთქვამს ღრმა იმედს, რომ მთავრობის დახმარებით სხვა დემოკრატიულ ორგანიზაციებთან ერთად შეძლებს ქალაქში და ოლქში საჭირო წესიერების დამყარებას. (4; № 106)
- ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს დროებითი მთავრობის შემადგენლობა, რომელიც ნოე ჟორდანიას განცხადებით, „შედგენილია ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, ფრაქციების წარმომადგენლებთან შეთანხმებით“.
  1. მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი – ნოე რამიშვილი;
  2. საგარეო საქმეთა მინისტრი – აკაკი ჩხენკელი;
  3. სამხედრო მინისტრი – გრიგოლ გიორგაძე;
  4. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი – გიორგი ჟურული;
  5. განათლების მინისტრი – გიორგი ლასხიშვილი;
  6. მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი – ნოე ხომერიკი;
  7. იუსტიციის მინისტრი – შალვა ალექსი-მესხიშვილი;
  8. გზათა მინისტრი – ივანე ლორთქიფანიძე. (27; 23)

27 მაისი

- ლანჩხუთში, საველე ტელეგრაფიის ოთახში რევოლვერით მოკლეს ქართული მსროლელი დივიზიის უფროსი-კოსტინი. მკვლელი დაჭერილია. (2; № 106)
- ინგუშთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ ზაბალიევმა მთავრობას დეპეშით შეატყობინა, რომ ინგუშთა ეროვნული საბჭო ყველა ზომას იღებს საქართველოს სამხედრო გზით მიმავალ ლტოლვილთა გასაშვებად. საბჭო სთხოვს მთავრობას, ნუღარ გაგზავნის იქით ლტოლვილებს, რადგანაც მათ გავლას ვერ უზრუნველყოფს. (2; № 105)

28 მაისი

- გაიმართა საქართველოს მთავრობის პირველი სხდომა, რომელმაც დაადგინა: „საქართველოს ეროვნული ბანკის დაარსების საკითხი საემისიო უფლებით გადაეცეს ეროვნული საბჭოს საფინანსო კომისიას, რომელშიც მთავრობიდან შევლენ, ფინანსთა მინისტრი გიორგი ჟურული და კონსტანტინე კანდელაკი. (2;№ 106)
- ფოთში დაიდო „დროებითი შეთანხმება გერმანიასა და საქართველოს შორის წინასწარ ურთიერთგანწყობილების დამყარების შესახებო. საქართველომ სცნო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობები, გერმანიასთან ურთიერთობის საფუძვლად. (10; 102)
- შეიქმნა რესპუბლიკის თავდაცვის საბჭო, რომელშიც შევიდნენ მთავრობის თავმჯდომარე, სამხედრო მინისტრი, თბილისის გარნიზონის უფროსი, გვარდიის შტაბის და სხვა სტრუქტურების წარმომადგენლები.
- თავდაცვის საბჭომ გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც თბილისის საგარეო მტრისაგან დასაცავად იგი აცხადებს საალყო წესებს თბილისსა და ახლომახლო ადგილებში. იძლევა განკარგულებას, რომ იმ პირებმა, რომლებიც უნებართვოდ ატარებენ იარაღს 3 დღეში ჩააბარონ იგი წითელი გვარდიის მთავარ შტაბს. საფრთხის თავიდან ასაცილებლად თბილისში არსდება საგანგებო რევოლუციური სასამართლო, რომელსაც სიკვდილით დასჯის უფლებაც აქვს.

29 მაისი

- V დღის პირველ საათზე, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა, კირიონ მეორემ, თბილელი მიტროპოლიტის ლეონიდის, ურბნელი დავითის და თბილელი სამღვდელოების თანამწირველობით, სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა სიონის ტაძარში საქართველოს დამოუკიდებლობის გამო. პარაკლისის შემდეგ პატრიარქმა სამღვდელოების თანხლებით საქართველოს მთავრობას მიულოცა დიდი ისტორიული ფაქტი. (2; № 105)
- აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე წითელი გვარდიის უფროსმა ვალიკო ჯუღელმა მოხსენება წაიკითხა სოხუმის ამბების შესახებ. მისი თქმით, ქართულ მხარესა და იმ ბოლშევიკებს შორის, რომლებიც აფხაზეთიდან ცდილობდნენ ამიერკავკასიაში შემოსვლას შეტაკება მოხდა, რის შედეგადაც ქართულმა მხარემ მოწინააღმდეგე დაამარცხა. დაჭერილ იქნა ბოლშევიკთა ტრანსპორტები, სადაც მათი ხელმძღვანელებიც იყვნენ. სოხუმში ქართველთა ფლოტილიის მიერ შეპყრობილ იქნენ ოსმალთა შეიარაღებული ხომალდები, რომლებსაც მანამდე გადმოესხათ 200-300 შეიარაღებული თურქი, რომლებიც დესანტისათვის ამზადებდნენ ნიადაგს. (2; № 106)

30 მაისი

- მაჰმადიანთა ეროვნულმა საბჭომ ყველა სახელმწიფოს საგარეო მინისტრს ცირკულარული დეპეშით შეატყობინა, რომ ამიერკავკასიიდან საქართველოს გამოყოფის გამო, აზერბაიჯანს ის აცხადებს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად, რომელშიც შედის ამიერკავკასიის აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილები. (4; № 109)

- წითელი გვარდიის შტაბთან არსებული სარეკვიზიციო კომისია, თანახმად თბილისის გარნიზონისადმი გაცემული ბრძანებისა, აუწყებს მოქალაქეებს, რომ ყველა დაწესებულება, სამხედრო ნაწილები და ავტომობილების კერძო პატრონები უნდა იყვნენ აღჭურვილნი წითელი გვარდიის შტაბის მოწმობით, იმის საბუთად, რომ მათ უფლება აქვთ თბილისში სიარულის. (4; № 109)
- გაზეთ „ერთობის“ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ ორი წიგნი – მცირე წლოვანთათვის და მოზრდილთათვის. (4; № 109)

31 მაისი

- ამ დღის ცნობით ბათუმში ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით გაემგზავრა დელეგაცია, რომელშიც შედიან: გენერალი ილია ოდიშელიძე, გიორგი გვაზავა და გრიგოლ რცხილაძე. გერმანიის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი შეეცდება სცნოს საქართველოს დამოუკიდებლობა, უზრუნველყოს საქართველოს საზღვრები და იშუამდგომლოს ოსმალეთთან და რუსეთთან მოლაპარაკების დროს. (2; № 105)
- ამიერკავკასიის ელინთა კომიტეტი სთხოვს საქართველოს ეროვნულ საბჭოს, დაუბრუნოს ელინთა პოლკს ჩამორთმეული ტყვიისმფრქვეველი და სხვა ქონება. (2; № 106)
- მაისში გაიმართა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის კავკასიის ორგანიზაციების მეშვიდე ყრილობა, რომელზეც მოხდა განხეთქილება. კავკასიის ორგანიზაციებს გამოეყო და დაარსდა საქართველოს დამოუკიდებელი სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია.
- მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ოსმალთა ჯარებს, თუ ისინი საქართველოს ტერიტორიაზე შემოტევას დაიწყებენ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიონ. (2; № 105)

1 ივნისი

- ავიატორი ქებურია ქუთაისში პრაქტიკულ საავიაციო კურსებს ხსნის. (2; № 106)
- ფოთში მოვიდა გერმანელების ორი კრეისერი. გერმანელთა ჯარები თბილისისაკენ გამოემგზავრნენ. (2; № 108)
- სომეხთა ეროვნული საბჭოს განცხადებით, რადგან ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობა დაირღვა და საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა გამოცხადდა, სომხეთის ეროვნული საბჭო აცხადებს თავის თავს ერთადერთ უმაღლეს მთავრობად იმ ტერიტორიაზე, სადაც სომხები ცხოვრობენ. (4; № 111)
- გაიმართა ახალი შემადგენლობის ეროვნული საბჭოს პირველი სხდომა. ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძე; მის ამხანაგებად: იოსებ ბარათაშვილი (სოციალისტ-ფედერალისტი), ექვთიმე თაყაიშვილი (ეროვნულ-დემოკრატი), საბჭოს მდივნად დ. ონიაშვილი (სოციალ-დემოკრატი), მის თანაშემწედ ი. აბაკელია (სოციალისტ-რევოლუციონერი).
- ჩატარდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების მოსამსახურეთა კავშირის კრება, რომელმაც მთავრობას მოსთხოვა ყველა დაწესებულების გაეროვნულება 1 აგვისტომდე. ქართული ენის არმცოდნე პირები თანამდებობებიდან უნდა გაენთავისუფლებინათ.

- დანიშნულია დიმიტრი არაყიშვილის კონცერტი რომელიც გაიმართება სამ ნაწილად: ეროვნული სიმღერები, რომანსები, სიმფონიური ნაწილი. სოლისტები იქნებიან ვ.სარაჯიშვილი, გ. აბაშიძე, ხორინია. პირველად შესრულდება ქართული რაფსოდია. (2; № 106)

2 ივნისი

- შრომის კავშირის გამგეობამ საკუთარ თავზე აიღო საქართველოს ეროვნული დროშების დამზადების საქმე და მიმართა სამხედრო მინისტრს თხოვნით, რათა კავშირს დაეთმოს დროშების მოსამზადებლად საჭირო მასალა ინტენდანტსტვოსაგან. (4; № 112)
- თბილისის რკინიგზის სადგურის საწყობში აღმოაჩინეს ყუთში ჩადებული და ბაგაჟად გასაგზავნი მიცვალებული (ტომით ქართველი ან სომეხი). ეს ბაგაჟი 4 დღის წინ მოუტანია ვიღაც უცნობს გასაგზავნად, მაგრამ შემდეგ აღარ გამოცხადებულა. მიცვალებულს სუნი აუვიდა რის შემდეგაც მოხერხდა მისი პოვნა. (4; № 112)
- ბორჯომიდან მიღებული შეტყობინების თანახმად 2 ივნისის დილას ოსმალთა რეგულარულმა ჯარმა სოფ. კარწახთან, რომელიც ახალქალაქიდან სამხრეთ-დასავლეთით 25 ვერსის მანძლზე მდებარეობს, გადმოლახა 1877 წლის საზღვარი და ბრძოლით წინ მიიწევს. სომეხთა ჯარმა სულდისკენ დაიხია, თუმცა მას მიეშველა ჯავახეთის ქართული რაზმი. (4; № 113)
- ქართული კლუბის საზაფხულო შენობაში გაიმართა ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კრება, რომელსაც 200-მდე ადამიანი დაესწრო. კრება გახსნა თავმჯდომარე იასონ ლორთქიფანიძემ. მას ესწრებოდნენ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრები: ალექსანდრე ასათიანი, იოსებ მაჭავარიანი და შალვა ქარუმიძე. იმედი გამოითქვა, რომ საქართველოს მწარმოებელნი მტკიცედ შეუდგებიან მუშაობას და ხელს შეუწყობენ საქართველოს ეკონომიკურ აღორძინებას, რაც ქვეყანას გააძლიერებს ყოველმხრივ. კრებამ მოისმინა და დაამტკიცა ხარჯთაღრიცხვა, რის შემდეგაც შეუდგა კავშირის გამგეობისა და საბჭოს არჩევნებს. თავმჯდომარედ დაასახელეს ნიკოლოზ წვერავა და ალექსანდრე ჯაბადარი, გამგეობის წევრებად დათიკო კალანდაძე, ნიკოლოზ გაბაშვილი და სხვები. (2; № 108)
- გაიხსნა სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთა კლუბი. საზეიმო სხდომა გახსნა სტ. ვოლსკიმ. წაკითხულ იქნა მრავალი მილოცვა სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან. ბოლოს გაიმართა მრავალფეროვანი საღამო. (2; № 108)

3 ივნისი

- ამიერკავკასიის ისტორიულმა კომისიამ სხდომაზე დაადგინა, რომ ამიერკავკასიის ცალკე ერთეულებად დანაწილების გამო განსაზღვროს თავისი მოქმედება კავკასიის ფრონტზე ომის წარმოების შესახებ, მხოლოდ ცნობებისა და საბუთების შეკრებით და მათი წესრიგში მოყვანით. ამიტომ კომისია თხოვს ყველა დაწესებულებას მიაწოდონ მას საჭირო მასალები.

- მთავრობამ დაადგინა სთხოვოს ყველა სამინისტროს,რომ პირველი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ სამინისტროების რეორგანიზაციის პროექტები. (2; № 109)

4 ივნისი

- დასრულდა ამიერკავკასიის ოსთა წარმომადგენლობის ყრილობა, რომელსაც 70 წარმომადგენელი დაესწრო, მათ შორის ჩრდილო კავკასიის ერთა საბჭოებისა და კავკასიის ორგანიზაციათა ს-დ მენშევიკთა და ბოლშევიკთა წარმომადგენლები: ის. რამიშვილი, ფ. მახარაძე... კრებაზე სიტყვით გამოვიდა რამიშვილი, რომელიც შეეხო საქართველოს სახელწმიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და იმედი გამოთქვა, რომ ოსები კონტრ-რევოლუციონერებს არ გაჰყვებიან უკან და მხარს დაუჭერენ ახალგაზრდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. კრებაზე შემდეგი ყრილობის თარიღად დაადგინეს 15 ივნისი, სადაც განხილულ უნდა იქნეს საკითხი იმის შესახებ შესაძლებელია თუ არა ოსების დამოუკიდებლობა საქართველოს ტერიტორიის საზღვრებში და ვის უნდა ეთხოვოს ამის შესახებ. (2; № 110)
- ბათუმში გაფორმდა ხელშეკრულება საქართველო-ოსმალეთს შორის, საქართველოსათვის მძიმე პირობებით: ოსმალეთის ხელში გადავიდა არამარტო ბათუმის, არტაანისა და ყარსის ოლქები, რომლებიც მას ბრესტ-ლიტოვსკის ზავმა მიაკუთვნა, არამედ – ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებიც. ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ მთავრობის თავმჯდომარე ნოე რამიშვილი და ოპოზიციის წარმომადგენლები: ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავა, სოციალისტ-ფედერალისტი გრიგოლ რცხილაძე, და გენერალი ილია ოდიშელიძე.
- ოსმალეთმა საქართველოს მთავრობას წაუყენა ულტიმატუმი დაუყონებლივ გადასცენ მათ რკინიგზა ჯარების გადასაყვანად. (8; 118)

„საბურთალოელი თათრები ბოლო დროს თავაშვებულად იქცევიან, ძალიან ავიწროვებენ იქაურ მეგაღეებს, დევნიან ქართველ მწყემსებს და იარაღით იმუქრებიან. – ამბობენ მალე ჩვენი იქნება მთელი საბურთალოო. ბავშვებითურთ ყველა შეიარაღებულია და შიშის ზარს სცემენ იქაურ ქართველებს. ხალხი დახმარებას ითხოვს“. (4; № 113)

5 ივნისი

- წითელი გვარდიის მთავარი შტაბის სხდომაზე შემდეგი რეზოლუცია იქნა გამოტანილი: „წითელი გვარდიის მთავარმა შტაბმა განიხილა ოსმალეთთან დადებული საზავო ხელშეკრულება რომელიც... იქნა ხელმოწერილი ბათუმში და უკიდურეს მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მთავრობამ ხელი მოაწერა საქართველოს რესპუბლიკისათვის მეტად მძიმე ხელშეკრულებას და მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში ყველა საშუალება არ გამოიყენა“.
- მთავრობის სხდომაზე მოწონებულ იქნა კანონ-პროექტი დემობილიზაციის შესახებ, რომლის ძალითაც დათხოვნილი იქნა ყველა ჯარისკაცი, გარდა 1895-98 წწ. დაბადებულებისა. ამ ვადის ჯარისკაცები გაწვეულ უნდა იქნენ ქართულ ჯარში.

- შედგა საოლქო ცენტრის და თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შეერთებული სხდომა, რომელმაც განიხილა ზავის საკითხი ოსმალეთსა და საქართველოს რესპუბლიკას შორის. საოლქო ცენტრმა დაადგინა, ყოველი ღონე იხმაროს სახელმწიფოში მტკიცე დემოკრატიული წესწყობილების დასამყარებლად და რეალურ ძალთა შესაქმნელად საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის სუვერენულ უფლებათა დასაცავად. (2; № 112)

6 ივნისი

- საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გაიგო, რომ აზერბაიჯანისა და სომხეთის მთავრობები აწარმოებენ მოლაპარაკებას ოსმალეთის მთავრობასთან, ამ სახელმწიფოთა შორის საზღვრების დაწესებისა და შესწორების შესახებ. ამის გამო მთავრობამ დაადგინა მიუთითოს აზერბაიჯანისა და სომხეთის ეროვნულ საბჭოებს, რომ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შუა საზღვრების დაწესება და შესწორება შეადგენს ამ სახელმწიფოთა კომპეტენციას და რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას შეუძლია ამ სახელმწიფოებთან აწარმოოს მოლაპარაკება ოსმალეთის ჩაურევლად. თუ საზღვრების შესახებ აღმოჩნდა რაიმე ხელშეკრულება ერთის მხრივ ოსმალეთის იმპერიისა და მეორე მხრივ აზერბაიჯანისა და სომხეთის, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ასეთ ხელშეკრულებას არ ცნობს. (4; № 115)
- ზუგდიდიდან დეპეშით იტყობინებიან სამეგრელოში ბოლშევიკების დამარცხების ამბავს, თუმცა იუწყებიან, რომ დასავლეთ სამეგრელოს ყრუ ადგილებში თავი იჩინეს „ინტერნაციონალისტ-ანარქისტებმა", რომლებიც მცხოვრებთ მოუწოდებენ მობილიზაციისკენ და მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლისკენ. (2; № 112)
- წარმოდგენილი იქნება ცნობილი ახალი ოპერატიკა – „მაშტი იბადი ანუ ეს არ იყოს ის იყოს". მონაწილეობას მიიღებენ: მ. გოგოშვილი, ვ. მარგველაშვილი. ი.რევაზიშვილი, მ. ჯანოევი და სხვანი. (2; № 109)

7 ივნისი

- მთავრობის სხდომაზე ფინანსთა მინისტრის მოხსენების თანახმად, საქართველოს სახელმწიფოს გერბის შემუშავების შესახებ, დაადგინეს, რომ გერბის შემუშავება მიენდოს საქართველოს ცნობილ ისტორიკოსს ივანე ჯავახიშვილს.. აგრეთვე, გადაწყვეტილია საქართველოს საკრედიტო ბილეთებისათვის შედგენილ იქნას სურათი. ამისათვის დადგენილია კონკურსი 1000 მანეთის პრემიით.
- ფინანსთა მინისტრის მოხსენების თანახმად, ჭიათურაში შავი ქვის მრეწველობის გაფართოების შესახებ დადგენილია ამ საქმისათვის გადაიდოს სესხი 500 000 მანეთი. ფინანსთა მინისტრს დაევალა შეიმუშავოს კანონპროექტი, რომლის ძალით შავ ქვას საზღვარგარეთ ვერ გაიტანენ. ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს დაევალა შეადგინოს საგანგებო კომისია, რომლის ნებადაურთველად ყოველივე საქონლის ყიდვა-გაყიდვა აკრძალული იქნება.

8 ივნისი

- მთავრობის სხდომაზე ბაქოს ქართველ მცხოვრებთა დელეგატის მოხსენებით (ბაქოში 10000-მდე ქართველი ყოფილა) მთავრობამ დაადგინა შეუთანხმდეს უკრაინელთა საბჭოს, რომ ბაქოში მან დაიცვას ქართველთა ინტერესები; ასევე ეთხოვოს გერმანიის წარმომადგენელს გადასცეს რუსეთში გრაფ მირბახს საქართველოს მთავრობის თხოვნა, რუსეთში მყოფი ქართველების ინტერესების დაცვის შესახებ.
- უცხო სახელმწიფოებთან ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოსაწესრიგებლად თბილისის ვაჭრებმა დააარსეს საგარეო ვაჭრობის პალატა.
- ბორჯომის რაიონის კომისარი ჟორდანია იტყობინება, რომ მაჰმადიანთა ურდოებმა მთელი მაზრა (ახალციხის) ცეცხლსა და მახვილს მისცეს. თითქმის ყველა სოფელი იწვის. ვინც ვერ მოასწრო გახიზვნა მაჰმადიანები ხოცავენ. ლტოლვილები ბაკურიანის ტყეებს აფარებენ თავს. საჭიროა გავლენიანი მაჰმადიანების გაგზავნა მათთან მოსალაპარაკებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხს განადგურება ემუქრება.
- რესპუბლიკის მთავრობამ ხელშეკრულება გააფორმა აფხაზეთის სახალხო საბჭოსთან: მთავრობასთან ინიშნებოდა აფხაზეთის წარმომადგენელი – აფხაზეთის საქმეთა მინისტრი; აფხაზეთის შინაგანი მმართველობა (თვითმმართველობა) ეკუთვნოდა აფხაზეთის სახალხო საბჭოს. (10. 125)

9 ივნისი

- მილიციის უფროსის მიერ დაკავებულ იქნა რამდენიმე პირი, სამი თვით ფარულად ღვინის გაყიდვისათვის და უზნეო ქალების შენახვისათვის სარძევეში.
- გორის ვაჟთა გიმნაზიაში გარსევანიშვილმა წაიკითხა ლექცია თემაზე: „საქართველოს ერთობის მღაღადებელი სოლომონ ლეონიძე, კანცლერი მეფე ერეკლე მეორისა“. ლექცია საინტერესო გამოდგა და ბევრი დამსწრეც ჰყავდა.
- ქართველთა სამხედრო კავშირის ქალ-ვაჟთა მომღერალი გუნდი კომპოზიტორ ნ.პ სულხანიშვილის ლოტბარობით, შეასრულებს ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს სარაჯიშვილისა და ლორთქიფანიძის მონაწილეობით. (2; № 112)

10 ივნისი

- საქართველოს რესპუბლიკის ჯარების უფროსის გენერალ მაიორ გიორგი კვინიტაძის ბრძანებით: „ა) საქართველოს მთავრობის ყველა ჯარებში უნდა აღდგენილ იქნეს სამხედრო მისალმება, როგორც სამსახურის დროს, ისე სამსახურის გარეშე. ამის გარდა პირველად უფროსი მოვალეა ხარისხითა და წოდებით უფროსს მიესალმოს. ბ) იგივე წესი დაცულ უნდა იქნეს უცხო სახელმწიფოთა სამხედრო პირთა წინაშე, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის მიწა-წყალზე იქნებიან და სამხედრო ფორმას ატარებენ. გ) სამხედრო მისალმების ნიშნად მარჯვენა ხელი ქუდამდის უნდა მიიტანონ“. (2; № 115)

11 ივნისი

- მიწათმოქმედების სამინისტრომ საადგილმამულო რეფორმასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ იგეგმება მემამულეებისათვის მიწის ჩამორთმევა, მიუხედავად იმისა

თუ რა საშუალებით აქვთ შეძენილი იგი. მემამულეს უტოვებენ განსაზღვრული სივრცის მიწას, რომ მან აწარმოოს თავისი მეურნეობა და არ საჭიროებდეს საზოგადოებისაგან დახმარებას.

- ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შორის. მის თანახმად, საქართველოს მთავრობასთან ინიშნებოდა აფხაზეთის საქმეთა მინისტრი, რომელსაც წარადგენდა აფხაზეთის სახალხო საბჭო და რომელსაც ევალებოდა „საშინაო მმართველობა, თვითმმართველობა აფხაზეთში“. (22. 16)
- გაიმართა კულტურისა და შრომის კავშირის ახლად არჩეული გამგეობის კრება, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გერმანული ენის შემსწავლელი კურსებისა და ქართულ კანცელარიაში მომუშავეთა მოსამზადებლად პრაქტიკული სკოლის დაარსებისა. (2; № 116)
- საღამოს 5 საათზე გოლოვინის პროსპექტზე მოხდა საქართველოსა და გერმანიის ჯარების ნაწილების დათვალიერება. ჯარები დაწყობილი იყო სასახლიდან დიდების ტაძრამდე. ნოე რამიშვილი მიესალმა გერმანიის ჯარის მოსვლას საქართველოში და გამოთქვა რწმენა, რომ აქ პირისპირ მდგომი გერმანიის და საქართველოს ჯარები იქნებიან სრულ თანხმობაში ერთმანეთთან და შეძლებენ წესრიგის დაცვას. გერმანიის ელჩმა შულენბურგმა განაცხადა, რომ ამიერიდან გერმანიის იმპერიის და საქართველოს რესპუბლიკის ჯარები იქნებიან მუდმივ მეგობრულ ურთიერთობაში და დაიცავენ ერთმანეთის ინტერესებს.

12 ივნისი

- ქართველ-გერმანელთა რაზმები გაგზავნეს სადგურ სანდარისაკენ, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის საზღვრების დასაჭერად. მათ მოუწიათ საბრძოლო მოქმედებების დაწყება თათრების წინააღმდეგ, რომლებიც რკინიგზაზე თავისუფალ მიმოსვლას ხელს უშლიდნენ და არ გაითვალისწინეს პარლამენტარების მოთხოვნა, გზა გაეთავისუფლებინათ გერმანელთა ჯარების გასავლელად. ღამის 2 საათზე თათართა წინააღმდეგ გამოყენებული ძალები შეჯგუფდნენ სოფ. სანდართან. ბრძოლა ატყდა 6 სთ-ზე, ხოლო 9 საათისათვის ქართულ-გერმანულმა ჯარმა მათ უკან დაახევინა. ამ ბრძოლაში თათრები დიდად დაზარალდნენ. ისინი ძირითადად ქვეითად იბრძოდნენ, თუმცა ჰყავდათ რამდენიმე ცხენოსანიც, სხვათაშორის აქლემებით მებრძოლებიც.
- მომავალი ოთხშაბათიდან „ჯარისკაცის“ მაგივრად გამოვა ყოველკვირეული ჟურნალი „ჯარი და ერი“. ჟურნალს მრავალმა ცნობილმა მოღვაწემ აღუთქვა თანამშრომლობა. ამ ჟურნალში განთავსდება სამხედრო უწყების ყოველგვარი ჯარის შესახებ ოფიციალური ცნობები.
- ნოე რამიშვილი ეროვნული საბჭოს წინაშე წარსდგა დეკლარაციით, რომელშიც ჩამოაყალიბა მთავრობის ორკვირიანი საქმიანობის შედეგები და მოქმედების სამომავლო პროგრამა.

13 ივნისი

- ახალქალაქში გაიგზავნა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების დელეგაცია ოსმალებთან, ახალქალაქის მაზრაში ადგილობრივ ქრისტიან მცხოვრებთა დაბრუნების შესახებ მოსალაპარაკებლად. (2; № 116)
- 13 ივნისს დილით გერმანელთა და ქართველთა ჯარები ერთად გადავიდნენ შეტევაზე თათრების წინააღმდეგ და უკუაქციეს ისინი. ქართულმა ჯარმა ბრძოლით დაიკავა მდ. ხრამზე გადასასვლელი გზა კოლაკილისთან. გერმანულმა ჯარებმა კი დაიკავეს რკინიგზის ხიდთან ბეგლიარი და სადგური აშაგსერალი.

14 ივნისი

- დაპატიმრებულ იქნა სისხლის სამართლის მილიციის უფროსი გაგიევი. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც განიხილეს თბილისის მილიციელთა პროფესიონალური კავშირის სარევიზიო და საკონტროლო კომისიაში შესული გაგიევის საწინააღმდეგო მრავალი საჩივარი. (2; № 118)
- ჩვენმა რაზმმა სადახლოდან თათართა ბრბოები განდევნეს და სადგური სადახლო ჩვენს ხელშია. კერძო ცნობების მიხედვით ამ რაიონში ბრძოლები ჯერ არ დამთავრებულა. (2; № 118)

15 ივნისი

- სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლები წარუდგნენ გერმანიის სამხედრო საელჩოს უფროსს გრაფ შულენბურგს და სთხოვეს შუამდგომლობა საქართველოს მთავრობის წინაშე, რათა ოსეთი საქართველოს შემოუერთდეს ფედერაციულ საფუძველზე. გრაფმა აღძრა შესაფერისი შუამდგომლობა საქართველოს მთავრობასთან.
- მთავრობის სხდომაზე დაამტკიცეს მთავრობის საქმეთა სამმართველოს შტატი. დაადგინეს, რომ მინისტრებს ყოველთვიურად უნდა მიეცეთ 1500 მანეთი. მინისტრის ამხანაგს – 1350 მ. და ამის გარდა საგანგებოდ სახარჯო წარმომადგენლობისათვის. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს 15000 უნდა მისცენ, სამხედრო და საგარეო მინისტრს წელიწადში – 10000 მანეთი. ხოლო გზათა მინისტრს ავანსად მიეცემა 50 000 მ, რკინიგზის ინვენტარის აღსადგენად. (4; №124)

16 ივნისი

- საქართველოს ეროვნულ საბჭოს მოუვიდა ცნობა სომხების ეროვნული საბჭოსგან, საქართველოსა და სომხეთს შორის საზღვრების გასწორების შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ მოლაპარაკებას საფუძვლად უნდა დაედოს ურთიერთშეთანხმების პრინციპი. ხოლო ბორჩალოს მაზრის გაყოფა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ეთნიკური პრინციპის მიხედვით.
- სამშობლოში მიმავალი ავსტრია-უნგრეთის ჯარისკაცთა სახელით გულითად მადლობას უცხადებს ობერ-ლეიტენანტი დოქტორი იანკი საქართველოს მთავრობას და

ყველა იმ დაწესებულებებს, რომლებმაც მათ აქ ყოფნის დროს დახმარება აღმოუჩინეს.

- ქართველ მსახიობთა კავშირი დამსახურებული მსახიობის – ვიქტორ გამყრელიძის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართავს სადღესასწაულო წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება: „პატარა კახი"; „რაც გინახავს ველარ ნახავ"; „არივ დარია".

17 ივნისი

- საგარეჯოს მინდორში თათრებმა გაძარცვეს მთიბავი მუშა, რომელსაც წაართვეს 7 ცხენი, გახადეს ტანისამოსი და ფეხსაცმელიც. (2; № 125)
- საქართველოს სახელმწიფო თეატრში ქართველ მომღერალ-მუსიკოსთა კავშირის მიერ დაიდგმება ოპერა „ქრისტინე". (2; № 118)

18 ივნისი

- ჟურნალისტებთან საუბრის დროს ერთმა ავტორიტეტულმა პირმა განაცხადა, რომ ბორჩალოს მაზრიდან თბილისში ჩამოვიდა დელეგაცია, რომელშიც ოსმალეთის აგენტები არიან. დელეგაციის ჩამოსვლის მიზანია საქართველოს მთავრობას განუცხადონ, რომ მზად არიან მისი ყველა მოთხოვნა შეასრულონ. (4; № 124)
- შრომის მინისტრმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს მთავრობის წინაშე, გამოძებნონ რამე საშუალება ზოგიერთ დაწესებულებაში შტატის შემცირების და ზოგი დაწესებულების დათხოვნის გამო, უმუშევრად დარჩენილ მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად. (4; № 124)

19 ივნისი

- კულტურულ საგანმანათლებლო განყოფილების თხოვნით არსდება ცალკე სექცია, ამიერკავკასიის 1917 წლის რევოლუციის შესასწავლად. (2, № 120)
- აფხაზეთის სახალხო საბჭოს თხოვნის საფუძველზე, საქართველოს წითელ გვარდიას აღმოეჩინა დახმარება აფხაზეთისათვის, საქართველოს სამხედრო მინისტრის ბრძანებით, აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა გენერალი გიორგი მაზნიაშვილი. (22; 18)
- ამბოხებულმა გლეხებმა და საბჭოთა რუსეთის ხელშეწყობით მოქმედმა ქართველმა ბოლშევიკებმა დუშეთი დაიკავეს და იქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. გამოსვლებს ადგილი ჰქონდა თიანეთში, მანგლისში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში. (10; 129)
- სტამბოლში გაემგზავრა მთიელთა დელეგაცია, რომლის თავმჯდომარედ არჩეულია ბამბატოვი, წევრებად: კ. ანტემიროვი და ხალილოვი. (2; № 122)

20 ივნისი

- მე-11 კომისარიატის მილიციელმა წითელ-გვარდიელის დახმარებით დაიჭირა სახაზინო ხაზინდრის გაძარცვის ერთი მონაწილე წამალაშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა გატაცებული ფულიდან 9 000 მანეთი და რევოლვერი „ნაგანი". (2; № 123)

- საქართველოს შეიარაღებული ძალების ნაწილებმა 300-კაციან აფხაზთა კავალერიასთან ერთად ბოლშევიკებისგან გაანთავისუფლეს ახალი ათონი. (22; 18)
- სადგურ ახტალასა და სადახლოდან გაემგზავრა 2 მატარებელი ტელეფონით წინასწარ გაუფრთხილებლად, რასაც მოჰყვა მათი შეჯახება 83-ე ვერსზე. ერთი ორთქლმავალი 4 ვაგონით ერთიანად დაიმსხვრა, დასახიჩრდა 19 კაცი. (2; № 124)

21 ივნისი

- ეროვნული საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ უნდობლობა გამოუცხადა ნოე რამიშვილის კაბინეტს, რასაც უნდა მოყოლოდა ეროვნულ-დემოკრატ გიორგი ჟურულის გადადგომა სამინისტროდან. მოლოდინის წინაღმდეგ ფინანსთა მინისტრმა პარტიიდან გამოსვლა და მთავრობაში დარჩენა არჩია. ამგვარად, ეროვნულ დემოკრატიას თავისი წარმომადგენელი აღარ ყავს მთავრობაში. (2; № 122)
- ინგუშთა სახალხო საბჭომ საქართველოს მთავრობას თხოვნით მიმართა გადაუხადოს 12 434 მან. რომელიც მან ქართველ მწყემსთა ჯოგების დამცველი რაზმის შესადგენად დახარჯა. (2; № 122)
- გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა იოსებ ბარათაშვილი. კრებამ პატივი მიაგო ამიერკავკასიის ყოფილი სამხედრო მინისტრის და საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრის ვლადიმერ გობეჩიას ტრაგიკულ გარდაცვალებას. დღის წესრიგში დასმული იყო საკითხები: ა) პლენარული სხდომების დღეების განაწილება; ბ) კანონპროექტი სახელმწიფო კონტროლიორის დანიშვნის შესახებ; გ) კანონპროექტი ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ; დ) ეროვნული საბჭოს წევრთათვის ჯილდოს დანიშვნის შესახებ.
- ეროვნული საბჭოს აგრარულმა კომისიამ სხდომაზე განიხილა და მოიწონა მთავარი დებულებანი მთავრობის კანონპროექტისა, რომლის ძალით სამკურნალო აბანოები, ტალახები და წყლები სახელმწიფოს განკარგულებაში უნდა იყოს გადაცემული.

22 ივნისი

- აღმასრულებელმა კომიტეტმა მეორედ მოთხოვა მილიციის უფროსს დააპატიმროს იმ სახლის პატრონები, რომლებსაც გადასახადები არ შეაქვთ. (2; № 123)
- სასურსათო მაღაზიის დაწვის გამო დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს შტაბის კაპიტანი გიორგი ოზოლი, პუგალევინი, კირევიჩი და სხვა. ამ პირებმა ცეცხლის გაჩენის და მთავრობის წარმომადგენელთა მისვლის დროს რაიონის სხვადასხვა ადგილას უწესრიგო სროლა ატეხეს, რათა ადმინისტრაციისათვის გზა აებნიათ და ცეცხლის გაჩენის ნამდვილი მიზეზი დაემალათ. (2; № 123)
- თბილისისაკენ მიმავალ მატარებელს სადგურ ქსანკანზე დაუხვდა წალკის რაიონში მოქმედი ბოლშევიკების ბრბოს ნაწილი, რომლებმაც იარაღი აჰყარეს მატარებელში მყოფ სამხედრო პირებს და ერთი ჯარისკაცი მოკლეს. (2;№ 126)

- საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებსაც გენერალი გიორგი მაზნიაშვილი მეთაურობდა, გაანთავისუფლეს საბჭოთა რაზმების მიერ დაკავებული გუდაუთა და გაგრა. (22' 18)
- ბველი დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი ოპერატი: „არშინ-მალ-ალან". (2; № 123)

23 ივნისი

- გენ. კვინიტაძემ გამოსცა ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის ჯარებისადმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამხედრო მფრინავის, კაპიტან რუსანოვის დასაპატიმრებლად მიღებულია შესაბამისი ზომები, რადგან მან არ შეასრულა აღებული ვალდებულება, ყოფილიყო საქართველოს რესპუბლიკის სამსახურში და ჩრდილო კავკასიაში გაფრინდა (სავარაუდოდ). მას მინდობილი ჰქონდა ერთ-ერთი რაიონის დაზვერვა. კვინიტაძე აღნიშნავს, რომ რუსანოვმა შელახა რუსეთის ოფიცრის გმირული გრძნობა, რითაც განთქმული იყო რუსეთის მხედრობის ისტორია. საქმის გამოძიება დაევალა სამხედრო მფრინავ თოხაძეს.
- საღამოს 7 საათზე სასტუმრო „ანგლიტერის" წინ, ვინმე დუმბაძემ მოკლა უფროსი მილიციელი კუკულავა.

24 ივნისი

- ნოე რამიშვილის მთავრობამ გადადგომის თხოვნით მიმართა ეროვნულ საბჭოს. ამ უკანასკნელმა დააკმაყოფილა მთავრობის თხოვნა. მთავრობის შედგენა მიენდო ნოე ჟორდანიას და იგი საგანგებო უფლებებით აღჭურვა. გაზეთი „ერთობა" აღნიშნავდა: „საჭიროა მთავრობის სათავეში ჩადგეს ისეთი პირი, რომელიც ყველა დემოკრატიული წრეების ნდობით სარგებლობს. ასეთი პირია დემოკრატიულ ძალთა ბელადი ნ. ჟორდანია".
- ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით შედგა მთავრობის სხდომა, სადაც განხილულ იქნა მინისტრთა ამხანაგების დანიშვნის საკითხი. სხდომაზე დადგენილ იქნა, რომ წინადადება მიეცეს ყველა გუბერნიის და მაზრის კომისრებს, აკრძალონ საქართველოდან პურის გაზიდვა.
- აფხაზთა სახალხო საბჭომ მიიღო დადგენილება „სოჭისა და ტუაფსეს რაიონების ოკრუგების დაკავების აუცილებლობის შესახებ". (22; 19)
- ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირი სახელმწიფო თეატრში მართავს წარმოდგენებს დამსახურებული მსახიობი ქალის ნინო ჩხეიძის მონაწილეობით. წარმოდგენილი იქნება ნ. შიუკაშვილის ორიგინალური პიესა „სულელი", რომელიც 12 ჯერ იყო წარმოდგენილი ქუთაისის სცენაზე. (2; № 119)

25 ივნისი

- შედგა საქართველოს მთავრობის მეთაურთა და გერმანელი და ბულგარელი ოფიცრების შეხვედრა – ფონ კრესის მეთაურობით. ფონ კრესი შეეხო საქართველოში გერმანული ჯა-

რის ყოფნის საკითხს და განაცხადა, რომ ინფორმაცია ჰქონდა, რომ ქართველი ხალხი უარყოფითად შეხვედრია გერმანელების ჩამოსვლას, მაშინ, როდესაც გერმანელი ჯარი ჩამოვიდა მხოლოდ საქართველოს მთავრობის სურვილით და თანხმობით, საქართველოს საზღვრების დასაცავად. მისივე თქმით, თუ ხალხი უკმაყოფილო იყო გერმანელი ჯარების საქართველოში ყოფნით, ისინი ამ ჯარებს უკან გაიყვანდნენ. ფონ კრესის ამ ინფორმაციას ნოე ჟორდანიამ გაუგებრობა უწოდა და განუცხადა, რომ ქართველი ხალხი გერმანიას და მის მოკავშირეებს ისე უყურებს, როგორც თავის მეგობრებს.

26 ივნისი

- თბილისში ჩამოვიდა სამხედრო დელეგაცია გენერალ მაიორ ფონ კრესის მეთაურობით, რომელიც 25 ოფიცრისაგან შედგება. (2; № 125)

27 ივნისი

- გაზეთი „საქართველო" მწუხარებით აუწყებდა ქართველ საზოგადოებას, რომ „სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი კირიონ მეორე 26 ივნისს სოფ. მარტყოფს გაემგზავრა საპატრიარქო რეზიდენციაში... 27 ივნისს დილით იგი მიცვალებული იპოვეს მის საწოლ ოთახში".
- თბილისში მოეწყო ექიმების ღამითი მორიგეობა
- ხევსურეთიდან მოვიდა 6 კაცისგან შემდგარი დელეგაცია, რომელიც თხოვს მთავრობას, მიეცეს მათ იარაღი ბოლშევიკებთან საბრძოლველად, რომლებიც მოიწევენ დუშეთიდან და თიანეთიდან.
- სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ერთობა" წერდა „ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი კუთხე აჯანყების ალშია გახვეული... ჩვენსა და გლეხობას შორის ხიდია ჩატეხილი. გლეხკაცობას ჩვენ ვერ მივეცით მიწა და ეს გარემოებაა, რომ სოფელი ჩვენ მთავრობას აღარ ემორჩილება. შეგნებულ საქართველოს ვანდეა აუჯანყდა. საჭიროა მისი ალაგმვა და ქვეყნის გადარჩენა".

28 ივნისი

- სამტრედიის აღმასრულებელმა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომ ქალაქი სამტრედია ახლო მდებარე საზოგადოებებით გამოყოფილ იქნას ცალკე სამაზრო ერთეულად და შემოღებულ იქნას ერობა საკუთარი ერთეულით.
- საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული და დამტკიცებული იქნა კანონი სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის დაარსებისა. (7; 15)

29 ივნისი

- სამხედრო მინისტრსის თანაშემწე და საქართველოს რესპუბლიკის ჯარის უფროსი გენერალი გიორგი კვინიტაძე გაათავისუფლეს აღნიშნული თანამდებობიდან და დანიშნეს ეროვნული საბჭოს სამხედრო სექციის წევრად.

- ამ ბოლო დროს ერთობ გაახშირეს ქუჩა-ქუჩა სიარული სულით ავადმყოფმა ადამიანებმა, რომლებიც ხშირად სრულად ტიტვლები არიან. ამ მოვლენას ყურადღებას არავინ აქცევს.
- ლტოლვილთა დელეგაციის გადმოცემით თათრებმა აიღეს ხორენა, ახალქალაქის მაზრაში. დახოცეს მამაკაცები, ბავშვები, დედაკაცები დაატუსაღეს და ტყვიისმფრქვეველებით ამოწყვიტეს.

30 ივნისი

- გერმანიის მისიამ აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ერთი კვირის შემდეგ ფოთიდან გავა შავი ზღვით გერმანიის ტრანსპორტი. ტრანსპორტით მგზავრობის უპირატესობა მიეცემათ რუს ოფიცრებს.
- მეათე კომისარიატის მილიციონერებმა დააპატიმრეს 2 ოფიცერი ბატინსკი და პეტროვი, „ღმერთო ფარვიდე მეფეს" სიმღერისათვის. გაჩხრეკის დროს მათ აღმოაჩნდათ პროკლამაციები, რომლებშიც მოუწოდებდნენ ხალხს საქართველოს რესპუბლიკის დანგრევისკენ.
- მთავრობამ მოიწონა იუსტიციის მინისტრის მოხსენება, სიკვდილით დასჯის შემოღების შესახებ და მომხსენებელს დაევალა ეს საკითხი დაჩქარებული წესით შეიტანოს ეროვნულ საბჭოში.

1 ივლისი

- 10 საათზე გაიმართა ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელიც გაიხსნა ალექსანდრე ლომთათიძის თავმჯდომარეობით. თავმჯდომარემ მწუხარებით აუწყა საბჭოს წევრებს გამოჩენილი სოციალ-დემოკრატის გიორგი პლეხანოვის გარდაცვალება, რის შემდეგაც საბჭომ პლეხანოვის ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი მიაგო. სხდომაზე საინტერესო გამოდგა სურსათის შესახებ წაკითხული მოხსენება. პაპოვმა აღნიშნა, რომ ქალაქს სამუალება არ აქვს ებრძოლოს კრიზისს. (2; № 128)
- გაიმართა ურბნისის საეპარქიო საბჭოს საგანგებო კრება, რომელმაც დაადგინა:
  ა) მთელი შემადგენლობით საბჭო დაესწროს კათალიკოს კირიონის დაკრძალვას;
  ბ) ეპარქიის ყველა სამრევლოს ეკლესიაში იხადონ ყოველ დღე პანაშვიდები დაკრძალვამდე;
  გ) მთელი წლის განმავლობაში იხსენიონ წირვის დროს;
  დ) ეპარქიაში შეგროვდეს ფული კათალიკოს კირიონის ფონდისთვის, მისი დაუბეჭდავი ნაწერების გამოსაცემად.

2 ივლისი

- წილკნის ახლოს შეტაკება მოსდა ბოლშევიკებსა და სახალხო გვარდიელებს შორის. დაიჭრა 7 გვარდიელი. (2; № 129)
- ეროვნული საბჭოსა და რესპუბლიკის კანონით ყოფილი წითელი გვარდია გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიად.კანონის

პირველ მუხლში დაფიქსირებული იყო, რომ „სახალხო გვარდიის მიზანი იგივეა, რაც სახელმწიფოს მთელი შეიარაღებულ ძალისა – დაცვა დემოკრატიულ რესპუბლიკის, მისი დამოუკიდებლობის და თავისუფლების“.

- ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი სიკვდილით დასჯის შესახებ. კანონის მიღების წინააღმდეგ გამოდიოდნენ ეროვნულ-დემოკრატები. (7; 15)
- იმავე დღეს ეროვნულ საბჭოში შეკითხვა შეიტანა ეროვნულ-დემოკრატმა დავით ვაჩნაძემ. იგი აღნიშნავდა რომ „რუსული სამხედრო შტაბები, თავისი მრავალრიცხოვანი გენერლებითა და ოფიცრებით, საქართველოს თავისუფლების სამტრო ბანაკად გადაიქცა“ და მოითხოვდა მათგან გაეწმინათ ქვეყანა.
- წითელ გვარდიელებს დამცველ შტაბში მიჰყავდათ ოჰანეზ ამბაროვი და ვლ. კელჩინსკი, რომლებმაც ვორონცოვის ხიდზე გაქცევა დააპირეს. გვარდიელებმა ორივე იქვე დახოცეს. (2; № 129)
- საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული და დამტკიცებული იქნა კანონი ჯაშუშთა საქმეების საგამგებლო საგამომძიებლო კომისიის გაუქმების შესახებ. (7; 18)
- საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გაანთავისუფლეს საბჭოთა არმიის ნაწილების მიერ დაკავებული ადლერი. (10; 125)

3 ივლისი

- მილიციამ შეიპყრო სასურსათო კომიტეტის მეორე ნაწილის თავმჯდომარე ა.ა. ვართანოვი და მეტეხის ციხეში გაგზავნა. როგორც ამბობენ, მისი დაპატიმრება უკავშირდება უკანასკნელ პოლიტიკურ ამბებს. (2, № 131)
- გაიმართა კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიის სამრევლო საბჭოს კრება, რომელმაც დაადგინა 500 მანეთის გადადება საბჭოს თანხიდან კირიონ II-ის ნაწერების გამოსაცემად.
- ამერიკის ვიცეკონსული ბუმენი და ექიმი მინასიანი გაემგზავრნენ მანგლისის რაიონში ლტოლვილებისთვის დახმარების აღმოსაჩენად.
- რუსეთის ეროვნულმა საბჭომ თხოვა საქართველოს ეროვნულ საბჭოს დახმარება აღმოეჩინათ ოსმალეთიდან გამოქცეული რუსი ოფიცრებისა და მათი ცოლშვილისათვის, რომლებიც ტყვედ იმყოფებოდნენ.

4 ივლისი

- მთავრობის სხდომაზე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით ანარქიასთან საბრძოლველად დაადგინეს 10 მილიონიანი ფონდიდან 2 მილიონი მანეთი გადაიდოს. (2; № 131)
- მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე საათის ისარი წინ წაწიონ ერთი საათით. ყველა გასართობი და სხვა დაწესებულებების მოქმედება უნდა შეწყდეს ღამის 11 საათზე სათბობი მასალის ნაკლებობის გამო.
- მთავრობამ დაავალა შინაგან საქმეთა მინისტრს დაუყოვნებლივ გააუქმოს გაზეთი „კავკაზი“ და მის მაგიერ გამოსცეს „საქართველოს რესპუბლიკა“.

5 ივლისი

- შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქუთაისის და თბილისის გუბერნიების კომისრებს აცნობა, რომ საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი სიკვდილით დასჯის აღდგენისა. ამ კანონის ძალით, სიკვდილით უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც იარაღით ხელში იმოქმედებს მთავრობის და არსებული წეს-წყობილების წინააღმდეგ. სასჯელი დაწესდება სამხედრო საველე სასამართლოების დადგენილებით, რომლებიც დაარსდებიან ადგილობრივი საჭიროების მიხედვით, აგრეთვე იმ რაზმების უფროსების განკარგულებით, რომლებიც მოქმედებენ მეამბოხე ჯგუფების წინააღმდეგ.
- ვალიკო ჯუღელის რაზმმა დუშეთი აიღო, მას შეუერთდა პოლკ. კონიევის რაზმი. დაიჭრა 9 წეთელი გვარდიელი.
- სწავლა-განათლების სამინისტროს კანონ-პროექტით, ხაზინიდან თბილისის ქალთა უმაღლესი კურსებისათვის 50 000 მანეთის გადადების შესახებ, ფინანსურ კომისიას გადაეცა.
- ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმმა ფინანსურ კომისიას გადასცა შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ შეტანილი კანონ-პროექტი ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობისათვის 20 000 მანეთის გადადების და 50 000 მანეთის უპროცენტო სესხის მიცემის შესახებ. (2; № 130)
- საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ნიკოლოზ ჩხეიძის თავმჯდომარეობით გადაწყვიტა, რომ დროებით მიღებულ იქნეს სიკვდილით დასჯა დახვრეტით, როგორც უმაღლესი საფეხური სასჯელისა, იმ პირთათვის ვინც ჩაიდენს რომელიმე უძმიმეს ბოროტმოქმედებას:

  ა) ვინც სახელმწიფო მოღალატეობას ჩაიდენს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

  ბ) ვინც შეეცდება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წესწყობილების შეცვლას შეიარაღებული ძალით.

  გ) ვინც მონაწილეობას მიიღებს აშკარა აჯანყებაში დაწესებული მმართველობის წინააღმდეგ.

  დ) ვინც ჩაიდენს წინასწარ ან უცბად მოფიქრებულ მკვლელობას.

  ე) ვინც განზრახ, ცეცხლის წაკიდებით ან რაიმე სხვა გზით, გაანადგურებს ან გააფუჭებს სამხედრო მასალას, ან საზოგადოდ იმას, რაც წარმოადგენს თავდასხმის თუ თავდაცვის საშუალებას.

  ვ) ვინც განზრახ გაანადგურებს, ან დიდ ზიანს მიაყენებს ტელეგრაფს, ტელეფონს, რკინის გზის ლიანდაგს ან ნავთსადგურის შენობას და სხვა...

  ზ) ვინც გაძარცვავს ან იარაღით თავს დაესხმის ვინმეს და წაართმევს ქონებას.

  თ) ვინც იმ დროს, როდესაც საქართველოს ომი ექნება სხვა სახელმწიფოსთან, ჩაიდენს სამხედრო მოქმედების ასპარეზზე რომელიმე იმ ბოროტმოქმედებას, რომელიც აღნიშნულია რუსეთის დროებითი მთავრობის 1917 წლის 12 ივლისის დადგენილებაში.

  ეს კანონი ძალაში შედის 1918 წლის 26 მაისიდან. (7; 43)

6 ივლისი

- ბაზალეთის გზაზე მეამბოხეებმა დაიჭირეს ფურგონი სურსათით და 4 გვარდიელი. გავრცელებული ცნობებით 2 გვარდიელი მოკლეს, 2 კი ტყვედ წაიყვანეს. (2; № 131)
- ფინანსთა სამინისტრომ შეატყობინა მთავრობას, რომ სეიმის დადგენილებით შემდგარ 10 მილიონიანი ფონდიდან უკვე დახარჯულია 7, 422,522 მ.44 მ. დარჩენილი ფული კი საკმარისი არ არის მიმდინარე საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. (2; № 131)
- ფინანსთა მინისტრის ხელმძღვანელობით შედგა საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს სატამოჟნო გადასახადები და სხვა გადასახადები მეზობელ სახელმწიფოებთან. კომისიას განზრახული აქვს რუსეთთან საქონლის გაცვლა-გამოცვლა უაღრესად გააძლიეროს. (2; № 131)
- საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გაანთავისუფლეს საბჭოთა რუსეთის არმიის ნაწილების მიერ დკავებული სოჭი.
- კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება „ცისფერი ყანწების“ პოეზიის საღამო. პაოლო იაშვილი წაიკითხავს „ცისფერი ყანწების“ დეკლარაციას; გრიგოლ რობაქიძე – სიტყვა პოეზიაში, ტიციან ტაბიძე – „ცისფერი ყანწები“; ალი არსენიშვილი – „ბრინჯაოს მასკები“; რუსეთის პოეტი სერგეი გოროდეცკი – ქართული სიმბოლიზმის რჩეულობა. საკუთარ ლექსებს და ფრანგი პოეტების თარგმანებს წაიკითხავენ პოეტები: გრიგოლ რობაქიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ლელი ჯაფარიძე და კოლაუ ნადირაძე. (2; № 131)

7 ივლისი

- საქართველოს მთავრობამ სომეხთა ეროვნულ საბჭოს წინადადება მისცა 3 დღის განმავლობაში საქართველოდან გაიყვანოს ყველა სომხური სამხედრო ნაწილი. სურსათის მიმწვდენელ კომიტეტს მთავრობამ განკარგულება მისცა ხსენებულ სამხედრო ნაწილებს სურსათის მიწოდება შეუწყვიტოს. სომეხთა ეროვნულმა საბჭომ ამის შესახებ პროტესტი განაცხადა, ვინაიდან საინტენდანტოს თავმოყრილი სამხედრო ქონება ყველა ადგილობრივ ეროვნებათა კუთვნილებას შეადგენს.
- შრომის სამინისტრომ მოხსენება გაუკეთა მთავრობას, რომ დაარსებულ იქნეს კომისია, რომელიც უმუშევარ რუსებს რუსეთში გაგზავნის.
- დაჭრილი ჯარისკაცები: არტემ იაკობიძე, ნოე გვენეტაძე, აკაკი ბაშალაშვილი, ვარდენ აბრამიშვილი და დომენტი ტყემალაძე, რომლებიც ქ. ბათუმში ბრძოლის დროს დაიჭრნენ, წერილის საშუალებით გულითად მადლობას უხდიან თბილისის №1 წითელი ჯვრის ლაზარეთის ყველა უფროსს მათი ერთგული მოვლისა და თვალყურის დევნებისათვის.
- საგურამოს რაიონის სოფელ გალავანში გაიმართა სოფლის მცხოვრებლების მიტინგი, სადაც ისაუბრეს თბილისიდან ჩამოსულმა ორატორებმა: მგელაძემ, ლორიამ, ცინცაბაძემ. მათ აუხსნეს ხალხს სოფლის აჯანყების დამღუპველი მნიშვნელობა ხალხისა და რესპუბლიკისათვის. რის შედეგადაც, დასასრულს, მიტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც მხარს უჭერდა მთავრობას და დახმარებას აღუთქვამდა წესრიგისა და მშვიდობიანობის დაცვაში. ამ მიზნით უნდა შემდგარიყო სახალხო გვარდია.

- სასტუმრო „უნივერსალ"-ში შევიდა მთვრალი ოფიცერი ქუთაისის ცხენოსანთა ასეულისა დ. ასათიანი და მოთხოვა ბუფეტის პატრონს 100 მანეთი. უარის მიღების შემდეგ მოჰყვა ლანძღვას და ხელითაც კი შეეხო ოფიციანტს. იქვე მყოფმა შტაბის კაპიტანმა ლორთქიფანიძემ მას შენიშვნა მისცა, რის შედეგადაც იგი ასათიანის მიერ ხანჯლით იქნა დაჭრილი თავის არეში. ასათიანი დათხოვნილ იქნა სამსახურიდან და სამხედრო ფორმის ტარების უფლებაც ჩამოერთვა.

8 ივლისი

- შინაგან საქმეთა მისნისტრის მოხსენებით, სამინისტროსთან არსდება რაზმი სპეკულაციასთან, კონტრ-რევოლუციასთან და სხვ. საბრძოლველად. ამასთანავე მთავრობამ სურვილი გამოთქვა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცეს ქალაქის თვითმმართველობას მილიციონერთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.
- ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში დიდი უსუფთაობაა. განსაკუთრებული უსუფთაობაა იარმურკაში. დიდი უსუფთაობაა გამეფებული მუხრანის მამულშიც. საჭიროა ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.
- განათლების მინისტრმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობასთან გადაიდოს 30 000 მანეთი ქუთაისში მასწავლებელთათვის ქართული ენის მოსამზადებელი კურსების გასახსნელად.

9 ივლისი

- დღეს, საღამოს, სახელმწიფო თეატრში საზოგადოების თხოვნით განმეორდება ეროვნული კონცერტი, ქართველთა სამხედრო კავშირის ქალ-ვაჟთა გუნდისა კომპოზიტორ ნ.ბ. სულხანიშვილის ლოტბარობით. კონცერტში მონაწილეობას მიიღებს ქ.ნი კალანდაძე, ოპერის მომღერალი ი.ბ. სარაჯიშვილი და ბ. ინაშვილი. კონცერტზე მოწვეულია ჩვენი მთავრობა და ყველა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელი.
- საღამოს 6 საათზე, სასტუმრო „ფლორიდა"-ში შევიდა 3 უცნობი პირი, რომლებმაც ყალბი მოწმობა წარადგინეს და გაჩხრიკეს მე-5 ოთახი. ბოროტმოქმედები ოთახში შესვლისთანავე რევოლვერებით დაემუქრნენ იქ მყოფთ და წაიღეს 11 000 მანეთი. მილიციელებმა 2 მათგანი დააპატიმრეს. ერთი მათგანი აღმოჩნდა დვალიძე, მეორე კი ნიკოლაიშვილი.
- საგანგებო ბატალიონის ბინაზე, დილის 11 საათზე სოხუმის ოლქში დაღუპულ ოფიცერთა და ჯარისკაცთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს, რასაც სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძეც ესწრებოდა.

10 ივლისი

- თბილისის მილიციის უფროსის ბრძანებით დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდნენ ჯარში გასაგზავნად, თანახმად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებისა (1918 14 ივნისი) 1895, 96, 97, 98,და 99 წლებში დაბადებულნი, რომლებიც თბილისში ცხოვრობენ. ეს პირები უნდა გამოცხადდნენ თბილისის სამხედრო უფროსთან. ვინც ამ ბრძანებას

არ შეასრულებს და 15 ივლისამდე დანიშნულებისამებრ არ გამოცხადდება, გასამართლებული იქნება სამხედრო რევოლუციური კანონის ძალით.

- თბილისში ხოლერა განსაკუთრებით გავრცელებულია ლტოლვილთა შორის. უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ქალაქის საავადმყოფოში მიიყვანეს 16 ხოლერით და 22 ხოლერის ნიშნების მქონე ავადმყოფი.
- კვირაცხოველის ქუჩაზე მე-5 ნომრის მდგურმა განუცხადა მე-9 კომისარიატს, რომ სახლის პატრონი ჩიტაშვილი რამდენიმე დღეა არ ჩანს და ამ ბინიდან მკვდრის სუნი გამოდის. მილიციონერებმა გააღეს ოთახი და დაინახეს ყელგამოჭრილი სახლის პატრონი, საწოლ ოთახში კი თოკზე ჩამოკიდებული ჩიტაშვილის მეუღლე იპოვეს.
- დემოკრატიულ კლუბ „მუშტაიდში“ ქართველ მომღერალთა გუნდი მიხეილ კავსაძის ლოტბარობით მართავს სახალხო კონცერტს. გუნდი შეასრულებს ძველ სახალხო სიმღერებს, ასევე „თამარ ქალო“-ს.

11 ივლისი

- საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებით, ქართული პირველი მსროლელი დივიზიის უფროსი გენერალ-მაიორი გიორგი მაზნიაშვილი დაჯილდოვებულ იქნა სტანისლავის პირველი ხარისხის ორდენით ხმლითურთ, იმ სამსახურისათვის, რომელიც მან გამოიჩინა შავი ზღვის პირის ადგილების გათავისუფლების, გუდაუთის, ადლერის და სოჩის აღების საქმეთა ხელმძღვანელობის დროს. სამხედრო მინისტრის ბრძანებით გენ. მაზნიაშვილს ნატანებთან მტერზე გამარჯვების გამო წმ. ვლადიმერის მე-3 ხარისხის ორდენი ებოძა.
- ბორჯომიდან იტყობინებიან ადგილობრივი დაბანაკებული ჯარების ზოგიერთი ოფიცრების (განსაკუთრებით მე-2 ქართულ ცხენოსან პოლკის) უწესოდ ქცევის შესახებ: „ყოველ დღე დაფა-ზურნით ქეიფი, ლოთობა, ადგილობრივი მცხოვრებლების მუშტი-კრივით გამასპინძლება და სხვა“ .
- სურამის ახლოს მიწის მიმღებ კომისიას თავს დაესხნენ პეტრე და სხვა ხაჩიძეები, (პეტრე ხაჩიძე მემანქანეა). ხაჩიძემ მოწოდებით მიმართა გლეხებს იარაღით გამოსულიყვნენ და კომისიის წევრები დაეხოცათ. ხაჩიძეები დააპატიმრეს და გორის ციხეში გაგზავნეს.
- „ბოჟე ცარია ხრანი“-ს გალობისათვის დამცველმა შტაბმა დააპატიმრა ყარსის ცხენოსანთა რაზმის კორნეტი ბ. ბრეჟნოვი და ივანე პავლოვი.
- ზუგდიდის მაზრაში, სოფელ ახუთს თავს დაესხნენ ბოლშევიკები, აყარეს იარაღი და 12 კაცი ტყვედ წაიყვანეს. სოფ. ყულისკარში კი დაწვეს 2 მილიციონერის სახლი.

12 ივლისი

- საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ დამტკიცებულ იქნა კანონი საქართველოს სამხედრო გზაზე წესრიგის დასაცავად, 3 თვის ვადით, საგანგებო სადარაჯო რაზმის დაწესების შესახებ, რისთვისაც გამოიყო თანხა 284.550 მანეთის ოდენობით.
- დუშეთის მაზრაში ანარქიასთან ბრძოლაში გამარჯვებისთვის პოლკოვნიკ კონიაშვილს ებოძა გენერალ-მაიორის წოდება.

13 ივლისი

- დამცველმა შტაბმა სიმთვრალისა და უწესობისათვის დააპატიმრა კაპ. ნ. კატელნიკოვი. ხოლო თავისი ნებით საყარაულოს მიტოვებისათვის ნ. ხარაბაძე.
- პურის შემენის შესახებ მთავრობამ დაადგინა შექმნას კომისია, რომელშიც შევლენ გზათა მიმოსვლის, ვაჭრობა-მრეწველობისა და მიწათმოქმედების სამინისტროს წარმომადგენლები, რომლებსაც დაევალებათ საქართველოს საზღვრებს გარეთ პურის შემენა.

14 ივლისი

- მანგლისის კომისარმა დეპეშით შუამდგომლობა აღძრა ეროვნული საბჭოს წინაშე გადაიდოს მობილიზაცია 1895-99 წლებში დაბადებული ახალგაზრდებისა, რადგანაც იქ ამჟამად გაჩაღებული მუშაობაა.
- სამხედრო საისტორიო კომისია მოკლე ხანში მუშაობას დაიწყებს ბათუმის არქივში. ოსმალეთის მთავრობამ ნება დართო საქართველოს წარმომადგენლებს ხსნებულ არქივში მუშაობისა.
- ავჭალის აუდიტორიაში, ქართული სცენის მოყვარულთა მიერ მსახიობ პავლე ფრანგიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „და-ძმა“

15 ივლისი

- გაიმართა თბილისის მე-7 უბნის მილიციონერთა კრება, რომელმაც გაიზიარა ჯიბლაძის კრიტიკული მოხსენება მილიციონერთა ლოთობისა და მოქალაქეთა უკმაყოფილების შესახებ, რის შემდეგაც დაადგინა, რომ ის მილიციონერები, რომლებიც იქნებიან შემჩნეულნი წესიერების დარღვევაში, ლოთობასა და ცუდ საქციელში, დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქნებიან სამსახურიდან და გადაეცემიან პროფესიონალურ კავშირს გასასამართლებლად.
- დუშეთის მხარეში ანტისახელმწიფოებრივი ამბოხების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით მთავრობის თავმჯდომარემ გენერალ კონიაშვილს, ვალიკო ჯუღელს და ალექსანდრე დგებუაძეს დეპეშა გაუგზავნა: „ვულოცავ სახალხო გვარდიას, ფედერალისტთა პარტიზანულ რაზმსა და რეგულარული ჯარის ნაწილებს კავკასიონის ქედის გადალახვას და დემოკრატიის მტრებზე ბრწყინვალე გამარჯვებას. გადაეცით ჩვენს ერთგულ ყაზბეგელებს და სხვა მთიელებს ჩვენი ძმური სალამი და მილოცვა.“
- თბილისის უნივერსიტეტთან ჩამოყალიბდა სატერმინოლოგიო განყოფილება. მას უნდა დაეზუსტებინა და შესაბამისობაში მოეყვანა ქართული და საერთაშორისო ტერმინები. სატერმინოლოგიო კომისია უნდა დახმარებოდა განათლების სამინისტროსთან შექმნილ სპეციალურ კომისიას, რომელსაც უნდა გამოემუშავებინა ეროვნული ტერმინოლოგია. მასში შედიოდნენ: გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, შ. ბერიძე, ს. გორგაძე, და სხვ.

16 ივლისი

- საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა დებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ, რომლის მიხედვითაც რესპუბლიკის მოქალაქეა:

ა). ყოველი მკვიდრი, მცხოვრები საქართველოს რესპუბლიკის, ვინც მიწერილია რესპუბლიკის ტერიტორიის რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წლის 19 ივლისამდე (ძვ. სტ), არის საქართველოს მოქალაქე.

ბ). საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს არ შეუძლია იყოს იმავე დროს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე.

გ). საქართველოს რესპუბლიკაში მხოლოდ მისი მოქალაქენი არიან აღჭურვილნი პოლიტიკური უფლებით. (7; 46)

- სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ მიიღო დადგენილება სასურსათო ორგანიზაციების გაუქმებისა და პურის მონოპოლიის მოსპობის თაობაზე.
- სომეხთა რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლად საქართველოს მთავრობასთან დაინიშნა არშაკ ჯამალიანი.
- 16 ივლისს საავადმყოფოში იმყოფებოდა 144 ხოლერით დაავადებული ადამიანი, ხოლერის ნიშნების მქონენი კი 25.

17 ივლისი

- თუთუნიდან შემოსავლის გასადიდებლად ფინანსთა სამინისტრო ამუშავებს კანონ-პროექტს, რის მიხედვითაც უნდა მოეწყოს თუთუნის გატანა არა მხოლოდ ნედლად, არამედ-გადამუშავებულადაც.
- გაიმართა აგრონომების, სოფლის მეურნეთა, მებაღეების და მიწისმფლობელთა კრება. ამ კრების მიზანი იყო საქართველოს სოფლის მეურნეთა კავშირის მოწყობა. შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა კავშირის წესდება. კავშირის მიზანია ხელი შეუწყის საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას და დაიცვას სოფლის მეურნეთა ინტერესები.
- გამოვიდა და ხელის მომწერებს დაურიგდა საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალ „ჯეჯილის“ მარტის ნომერი.

18 ივლისი

- გერმანელთა კანცელარიიდან ყაჩაღებმა გატეხეს რკინის ყუთი და 56 000 მანეთი გაიტაცეს. მილიციამ ყაჩაღები შეიპყრო და თანხა სრული ოდენობით გადაეცა გერმანელთა შტაბს. (1; № 2)
- სამანდატო კომისიამ კანონ-პროექტი წარადგინა ეროვნულ საბჭოში, რომლის თანახმად ეროვნულ საბჭოში სომხებს ეძლევა – 10 ადგილი, თათრებს – 4, რუსებს – 3, ოსებს – 2 და სხვ. სულ არაქართველ მოსახლეობას 28 წარმომადგენელი ეყოლება ეროვნულ საბჭოში.
- მთავრობის მინდობილობით ტექნიკურმა კომისიამ გამოიკვლია ტყიბულის ქვანახშირის დამუშავების საქმე. კომისიის აზრით, დღიურად შესაძლებელია 40 ათასი ფუთი ქვანახშირის დამუშავება, რაც საქართველოს რკინის გზებისათვის საკმარისი იქნება.
- საბურთალოზე საშინელი უსუფთაობაა. კარგა ხანია აქ მძვინვარებს სხვადასხვა გადამდები ავადმყოფობანი. ამას ზედ დაერთო ხოლერაც. უკვე 15-მდე შემთხვევა მოხ-

და ხოლერით გარდაცვალებისა. მიცვალებულებს კი იქვე მარხავენ სადაც მოკვდება. ადგილობრივი ადმინისტრაცია ყურადღებას არ აქცევს ამ მოვლენას.

19 ივლისი

- გენერალმა ანდრონიკაშვილმა ბრძანება გასცა საქართველოს რესპუბლიკის ჯარისადმი: „ვუბრძანებ ყველა ოფიცერს და სამხედრო მოხელეს, რომლებიც სამსახურში არ არიან, ნუ ატარებენ ოფიცრის და სხვა სამხედრო ფორმას. ოფიცრები და სამხედრო მოხელეები, რომლებიც სამსახურში არიან ატარონ პირადი მოწმობა ფოტოგრაფიული სურათით. ოფიცრები, რომლებიც სამსახურში არ არიან და სამხედრო ფორმის ტარების უფლება აქვთ უნდა მიიღონ სათანადო მოწმობა გარნიზონის უფროსისაგან".
- თბილისის დამცველი შტაბის თავმჯდომარე აცხადებს, რომ თანახმად აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებისა, შტაბი გაუქმებულია. სამხედრო ადმინისტრაციული ხასიათის ფუნქციები გადაეცა კომენდანტის სამმართველოს, სამოქალაქო-ადმინისტრაციული ხასიათის – მილიციის უფროსის სამმართველოს.

20 ივლისი

- ფინანსთა მინისტრის ამხანაგის გ. ნიკოლაძის თავმჯდომარეობით შედგა საუწყებათშორისო თათბირი საქართველოდან გერმანიაში გასაზიდი საქონლის შესახებ სტატისტიკური ცნობების შეკრების საკითხის განსახილველად. ამ თათბირმა გასაზიდად ჩათვალა პირველ რიგში თამბაქო, სპილენძი, ქვანახშირი, ღვინო, თხილი, დაფნის ფოთოლი, მატყლი, აბრეშუმის პარკი, მინერალური წყლები, ხე ტყე და სხვ. დაადგინეს გერმანიაში გაიგზავნოს სავაჭრო მისია, რომელიც გერმანიის მთავრობას დაიხმარებს, გერმანელ ვაჭრებს კი საქართველოსთვის საჭირო საქონლის შეძენაში დაეხმარება. გერმანიას უპირატესობა მიეცემა საქართველოდან ზემოხსენებული საქონლის გაზიდვაში.
- სამხედრო მინისტრის ბრძანებით დაჯილდოვებულ იქნენ წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით საგანგებო ასეულის ოფიცერი სიმონ ფხაკაძე და გიორგის ხმლით – ცხენოსანი ასეულის შტაბის კაპიტანი მიხეილ კანდელაკი.

21 ივლისი

- გაიმართა საგუბერნიო სასანიტრო საალმასრულებლო კომისიის პირველი კრება ხოლერასთან დაკავშირებით, რომელსაც თავმჯდომარეობდა მისენკო. მან მოახსენა კრებას რომ, ქ. თბილისი ხოლერას მხრივ აღიარებულია საშიშად. კრებაზე განიხილეს საკითხი რუსეთიდან, უკრაინიდან, ყირიმის სანაპიროებიდან, ასევე გერმანიიდან სამკურნალო მედიკამენტების ჩამოტანის შესახებ.
- თბილისში შედგა გერმანულ-ქართული კულტურული საზოგადოების პირველი სხდომა, რომელსაც გაზეთმა „Kaukasiche Post"-მა №39-ში ვრცელი მოწინავე წერილი მიუძღვნა. ამ სხდომას ბევრი დაესწრო როგორც ქართველების, ისე გერმანელების

მხრიდან. აქ იყვნენ გერმანიის საიმპერატორო და ავსტრია-უნგრეთის დელეგაციათა თავმჯდომარენი: გენ. ფონ კრესსი და ფრაიჰერ ფრანკ ფონ-ფრანკენშტაინი. საზოგადოება მიზნად ისახავდა ორი ერის კულტურათა დაახლოებას.

22 ივლისი

- ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობამ აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა მიეცეს მას სესხად 1 მილიონი მანეთი წყალსადენის მოსაწყობად.
- საღამოს 8 საათზე, სამხედრო გიმნაზიის სადგომში (ყოფილი კადეტთა კორპუსი) შტაბის უფროსის ზაქარიაძისა და მორიგე პოლკ. კაკაბაძის ინიციატორობით გაიხსნა ქართული ენის კურსები სამხედრო პირთათვის. კურსების გახსნას დაესწრო სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე, რომელმაც მიულოცა მსმენელებს საქმის დაწყება.
- თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით, სურამის მეორე მომრიგებელი ნაწილის სასამართლო ბოქაული ხმედივი დათხოვნილ იქნა სამსახურიდან, ოთხი თვის განმავლობაში სამსახურში გამოუცხადებლობის გამო.

23 ივლისი

- საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი ამიერკავკასიის კომისარიატის 300 მილიონი მანეთის ბონის პასუხისმგებლობისა და 200 მილიონი მანეთის ბონის ახლად გამოცემისა.
- თბილისის სახალხო უნივერსიტეტის პირველ განყოფილებაში თალაკვაძე წაიკითხავს ლექციას თემაზე: „მიზანი დემოკრატიისა."

24 ივლისი

- სურსათის საქმის სამინისტროს გურიის სხვადასხვა ადგილებიდან საზოგადო და პარტიული ორგანიზაციები ატყობინებენ, რომ გურიაში შიმშილობაა. არის მაგალითი შიმშილით სიკვდილისა. სამინისტრო ღებულობს ზომებს რაიმე სურსათი გაუცვალოს პურზე აზერბაიჯანს და მიაწოდოს გურიას. (1; № 2)
- გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სხდომა, რომელმაც დაადგინა პურის, სიმინდის და სხვა ყველანაირი ხორბლეულობით თავისუფალი ვაჭრობისა და გადატან-გადმოტანის გამოცხადება საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში გარდა ბორჩალოს მაზრისა. ხორბლეულობის შემოტანა საზღვარგარეთიდან საქართველოში თავისუფლდება საბაჟო გადასახადისგან, ხოლო საზღვარგარეთ გატანა აკრძალული რჩება.

25 ივლისი

- კავკასიის სააბრეშუმო საზოგადოების ცნობით ქ. ქუთაისში, ზუგდიდსა და სამტრედიაში გაიხსნა აბრეშუმის პარკის ბაზარი. ფასი ნედლი პარკისა ფუთი 150 მან. – 180 მანეთამდე. (1; № 1)

- რაჭის ბოლშევიკების კომიტეტმა მიიღო წერილი სტალინისაგან (ჯუღაშვილი), რომლითაც ის აფრთხილებს კომიტეტს არ გამოვიდეს საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. (1; № 1)
- ქუთაისიდან გამოგზავნილი დეპეშის თანახმად, საგუბერნიო კომისარს წარუდგა ზუგდიდის მაზრის სასოფლო საზოგადოების დელეგაცია, რომელმაც განაცხადა, რომ ბოლშევიკური რაზმები ნებდებიან და ინანიებენ შეცდომებს. ყველა მზად არის იარაღის ჩასაბარებლად თუ მიუტევებენ ჩადენილ შეცდომებს. გარდა ამისა, ბოლშევიკებს განზრახული აქვთ აღიარონ ვისი წაქეზებით და რისთვის გაილაშქრეს მთავრობის წინააღმდეგ.
- 25 ივლისის ღამით მოხდა შავრაზმელთა შეპყრობა, დააპატიმრეს: მ. პაპოვი მღ. სერგ. გოროდცევი და მისიონერი პლატონოვი. (1; № 3)
- დღისით, რამდენიმე უცნობი პირი შეიპარა საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგის გვარჯალაძის ბინაზე და 15 000 მანეთად ღირებული ძვირფასი ნივთეულობა წაიღეს. (1; № 4)

26 ივლისი

- პოლკოვნიკი ინწკირველი ლეჩხუმიდან იტყობინება, რომ 24 ივლისს მათ აიღეს სოფ. ნამახვანი. მოწინააღმდეგე კი გამაგრებული იყო ნამახვამიდან ჩრდილო-დასავლეთით. (1; № 2)
- საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გაანთავისუფლეს საბჭოთა რუსეთის არმიის ნაწილების მიერ დაკავებული ტუაფსე. (22; 20)
- თბილისში ჩამოვიდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ქართველი მაჰმადიანი მემედ ბეგ აბაშიძე, რომელიც ბათუმის აღების დროს ოსმალებმა შეიპყრეს და სტამბოლში გადაასახლეს. (1; № 2)
- უცნობმა პირებმა მიხეილის პროსპექტზე გაქურდეს პოლკოვნიკ ალექსეევის ბინა და 11850 მანეთად ღირებული ნივთეულობა წაიღეს. (1; № 4)
- ღამის 1 საათზე სახელმწიფო ბანკთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ვიღაც უცნობებმა სროლა ატეხეს. სროლითვე პასუხი გასცა ბანკის დარაჯთა რაზმმა. დააპატიმრეს ერთი გარედან მსროლელთაგანი. (1; № 4)

27 ივლისი

- გორის მაზრის საპასუხისმგებლო წარმომადგენელი, რომელსაც დავალებული აქვს ხსენებულ მაზრაში წესიერების აღდგენა, იტყობინება, რომ გორის მაზრა 8 რაიონად არის დაყოფილი. თითო რაიონში არიან დანიშნულნი ადგილობრივი მომუშავენი, რომლებიც სამაზრო კომისრის დირექტივებით მუშაობენ. (1; № 3)
- კოოპერატივთა კავშირი გორის მაზრაში ხსნის საპნის ქარხანას. (1; № 3)
- საქართველოს მთავრობამ დაადგინა 1 აგვისტოდან გააუქმოს ყველა სააქციზო დაწესებულება და დროებით დატოვოს 2 სააქციზო გამგეობა ქუთაისსა და თბილისში. გაუქმებულ სააქციზო გამგეობათა მსახურთ მიეცემათ სალიკვიდაციო ფული. (1; № 3)

- საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ და გერმანიის წარმომადგენლობამ საკუთარ თავზე აიღეს შავი ზღვის სავაჭრო და საგზაო ფლოტის გემთა ხელშეუხებლობა. მოწესრიგდება რეისები ფოთსა და შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროების ნავსადგურებს შორის. ამის გამო, რუსეთის ეროვნულმა საბჭომ თავის წარმომადგენლად ნ. ეზერსკი გაგზავნა, რომელსაც დავალებული აქვს მოაწყოს ფოთიდან რუს ლტოლვოლთა გამგზავრების საქმე. (1; № 3)
- სად. ყაზბეგიდან გვარდიის მთავარ შტაბს ატყობინებენ, რომ იქ საბოლოოდ დაამარცხეს ბოლშევიკები და ამჟამად სრული სიწყნარეა. (1; № 3)
- გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა და მისმა ჯარმა 20 საათზე, 12 საათის ცხარე ბრძოლის შემდეგ ქ. ტუაფსე აიღო.

28 ივლისი

- სუმბათაშვილი დეპეშით ატყობინებს სამხედრო მინისტრს: „ოსეთის სამხედრო გზაზე ჩვენ დავიპყარით ნამოხვანი, ვისათი, ნასოფლის სერი და ყანარის სერი, მოგვიკლეს 1 ჯარისკაცი, დაგვიჭრეს 3. ბაღდადის უბანში ბოლშევიკები სასტიკად დამარცხდნენ. მეთაურნი შევიპყარით, ტყვეობიდან გამოვიხსენით ჩვენი 3 ოფიცერი და 2 ჯარისკაცი. წავართვით 300 თოფი და 8000 პატრონა. უხუტიდან წავიყვანეთ 140 ახალგაზრდა ჯარისკაცი“. (1; № 4)
- ვერის საქალაქო პარკში, ქართველ მომღერალთა გუნდის მიერ მ. კავსაძის ლოტბარობით გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა-კონცერტი (საქველმოქმედო). შემოსავლის 25 პროცენტი გადაიდება სახალხო გვარდიის შტაბის სასარგებლოდ.
- დღეს, მეორე ქართულ კლუბში გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა საქველმოქმედო მიზნით და საინტერესო პროგრამით: ქართული წარმოდგენა, სადღეისო კუპლეტები, ევროპული ცეკვა, უზუნდარა, საბავშვო გასართობები და სხვა.შემოსავლის 10 პროცენტი გადაიდება ქართული უნივერსიტეტის სასარგებლოდ.

29 ივლისი

- სახელმწიფო თეატრში სამხატვრო-სამუსიკო კომისიამ, რომელიც თეატრის ადმინისტრაციის ინიციატივით იქნა მოწყობილი, მოისმინა კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილის ოპერა: „თქმულება შოთა რუსთაველზე“. ოპერამ ჟიურის წევრებზე, რომელთა შორის იყო კონსერვატორიის დირექტორი ნიკოლაევი და სხვა... დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გადაწყდა მისი სცენაზე დადგმა. (2; № 152)
- შულავერი. თათრის ემისრები ძლიერ აგიტაციას ეწევიან ბორჩალოში მცხოვრებ მუსულმანთა შორის, ამის შედეგად ყველა სოფლის ყრილობაზე გამოაქვთ რეზოლუცია, რომელშიც აცხადებენ თათრებთან შეერთების სურვილს.
- შედგა ქართველ რკინისგზის მსახურთა კრება, რომელმაც დაადგინა:
  ა) დაარსდეს ხანმოკლე კურსები რკინიგზის საქმეთა და ქართული ენის შესასწავლად.
  ბ) ნაციონალიზაციის ვადა საგანგებო დეკრეტით გამოცხადდეს.

გ) ნაციონალიზაცია უნდა განხორციელდეს არა უგვიანეს მომავალი წლის 1იანვრისა.
დ) საპასუხისმგებლო თანამდებობებზე უნდა დაინიშნოს ქართველები.
ე) არჩეულ იქნას ნეიტრალური კომისია იმ შეცდომათა განსახილველად, რომელიც დაშვებული იქნა შტატების შემცირებისა და სამსახურში მიღების დროს. (1; № 6)

30 ივლისი

- სურსათის საქმის სამინისტრო შეუთანხმდა პურის პატრონებს აზერბაიჯანში, რომ იქიდან სამინისტროს გამოუგზავნონ პურის მოსავალი ახლო მომავალში, რაც, უპირველეს ყოვლისა, გაგზავნილი იქნება გურიის დამშეულ ადგილებში. (უთარიღოა). (1; № 5)
- თერგის მთავრობამ კატეგორიული უარით უპასუხა შინაგან საქმეთა მინისტრს კავკავით ლტოლვილების გაშვებაზე. ამის გამო სამინისტრომ სასწრაფოდ გაგზავნა შეტყობინება სიღნაღში, ხაშურსა და მცხეთაში ლტოლვილთა მგზავრობის შეჩერების თაობაზე. (უთარიღოა)(1; № 5)
- შირაქის რაიონში ადგილობრივ მცხოვრებთა და ლტოლვილთა შორის ვრცელდება ხოლერა. ხოლერის გავრცელებას ხელს უწყობენ სპეკულიანტები, რომლებიც ყიდიან ხოლერით გარდაცვალებულების ტანისამოსს. სანიტარულმა რაზმმა დაასაფლავა ლტოლვილთა რამდენიმე ცხედარი. დედოფლის წყაროსთან თავმოყრილია 15000 ლტოლვილი. (უთარიღოა). (1; № 5)
- სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა მომავალი კვირიდან ქ. ხაშურში ხსნის თავის განყოფილებას, რისთვისაც ქალაქის იქაურმა თვითმმართველობამ დაუთმო მათ სახლი ბაღით. ლექციებს წაიკითხავენ თბილისელი ლექტორები (უთარიღო). (1; № 5)
- საგარეო საქმეთა მინისტრის განკარგულებით პ.ა. სურგულაძე, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, დაინიშნა საქართველოსა და გერმანიას შორის საქონლის გამცვლელი კომისიის წევრად. (უთარიღოა). (1; № 5)

31 ივლისი

- „გურიაში დიდი შიმშილია. პურის კრიზისი ისე ძლიერია, რომ ექიმები თავის კლიენტებს ჰონორარის მაგიერ მჭადის ნატეხს სთხოვენ. სოფლებში ახალგაზრდები არ ჩანან, ყველა სამეგრელოშია წასული ფქვილის საშოვნელად“. (უთარიღოა). (2; № 152)
- სახაზინო ტყის განადგურება. ონიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ გლოლის სახელმწიფო ტყეებს ოსები შესევიან და დაუზოგავად ანადგურებენ. მიღებულია სასტიკი ზომები მათ ასალაგმავად. (უთარიღოა). (2; № 152)
- გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა სოხუმიდან გამოგზავნა 22 ზარბაზანი, რომლებიც ბოლშევიკებს წაართვა შავი ზღვის სანაპიროზე ბრძოლის დროს. (უთარიღოა). (2; № 152)
- ქართველთა ერთმა ჯგუფმა დააარსა ამხანაგობა „შაქარი“ 5 მილიონი მანეთის თანხით. ამხანაგობას მიზნად აქვს საქართველოში შაქრის წარმოება მოაწყოს და ამ მოკლე ხანში იგი გზავნის წარმომადგენელს უკრაინაში ქარხნის მოწყობილობის შესაძენად. (უთარიღოა). (2; № 152)

- სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალური კომიტეტის ინიციატორობით გაიხსნა წიგნების საკაზმავი სახელოსნო (უთარიღოა). (1; № 6)

1 აგვისტო

- გაიხსნა კურსები საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთათვის. განათლების მინისტრი გიორგი ლასხიშვილი და პროფესორი ივანე ჯავახიშვილი მიესალმნენ კურსების მსმენელებს და უსურვეს ნაყოფიერი მუშაობა. აღნიშნული კურსები ტარდება 2 თვის განმავლობაში სამხედრო გიმნაზიაში და მისთვის მთავრობისგან გამოყოფილია 250 000 მანეთი. (1; № 9)
- ხოლერას საწინააღმდეგო აცრას უფასოდ ატარებს ქალაქთა კავშირის ბაქტერიოლოგიური რაზმი. აცრის შემდეგ ხოლერის გავრცელებამ შესამჩნევად იკლო ლტოლვილთა შორის.
- საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებს შორის მოხდა შეთანხმება პურის თბილისში შემოტანის შესახებ. მომდევნო რამდენიმე დღეში დაიგეგმა 80 ვაგონი პურის შემოტანა.
- გზათა მიმოსვლის სამინისტროსთან დაარსდა ტარიფის საქმეთა კომიტეტი და შემუშავებულია პროექტი საბჭოს დებულებათა შესახებ. ამ საბჭომ უნდა განიხილოს საერთოდ რკინის გზის, ახალი გზების საკონცესიო საკითხები და სხვა. პირველ რიგში დასმულია ფოთი-ტუაფსეს რკინიგზის გაყვანის საკითხი.
- სასოფლო კომისიას წყნეთიდან ატყობინებენ, რომ იქ ზოგიერთი სომხის მოაგარაკე მდიდრები და ბნელი ელემენტები პროვოკაციას ეწევიან, ვითომდა წერეთელმა რუსეთი გაყიდა, გეგეჭკორმა კი ბათუმიო და სხვა; ახალმა მთავრობამ აწეწ-დაწეწა ყველაფერი, გაამვირა სანოვაგე და ნორმალური ცხოვრება ააფორიაქაო. სასოფლო კომისია გზავნის წყნეთში თავის წარმომადგენელს.
- მთავრობამ მოიწონა ექიმ მ. ზანდუკელის შუამდგომლობა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დაარსების შესახებ. ამ საზოგადოებას გადაეცემა საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი წითელი ჯვრის ქონება.

2 აგვისტო

- სასურსათო საქმის სამინისტრო შეთანხმდა კერძო პირებთან უკრაინიდან 6-7 მილიონი ხორბლის ფქვილის შემოტანასთან დაკავშირებით. ფასები დადგენილი იქნება ფინანსთა მინისტრის წარმომადგენლებისგან, რომლებიც უკრაინაში მიემგზავრებიან. იგეგმება ყოველთვიურად ხორბლის შემოტანა საქართველოში. (1; № 8)
- ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული იქნა კანონი, რმლი თანახმად, მთავრობას „საჭიროების მიხედვით" უნდა მოეხდინა ნაწილობრივი ან სრული ლიკვიდაცია, საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი რუსეთის კავკასიის, ან ამიერკავკასიის საერთო დაწესებულებებისა და მათი ადგილობრივი განყოფილებებისა., 1918 წლის პირველ დეკემბრამდე. (7; 47)
- ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი რესპუბლიკის საზღვრებში საგუბერნიო, სამაზრო და სარაიონო კომისრების შტატის დაწესების შესახებ. (7; 48)

3 აგვისტო

- ქართველ მხატვართა საზოგადოებამ იყიდა მხატვარ ლადო გუდიაშვილისაგან ორი სურათი: „მერანი“ და „პირიმზე“, მომავალი გალერეის საკოლექციოდ. (1; № 9)
- აფხაზეთის საქმეთა მინისტრად დაინიშნა რ. ჩხოტუა. (1; № 9)
- მთავრობამ მიიღო დადგენილება ფოთსა და ტუაპსეს შორის გემის მიმოსვლის აღდგენის შესახებ, რათა გაუადვილდეთ მგზავრობა იმ პირთ, რომლებიც კავკასიიდან გადიან. ასევე გადაწყდა გაიმართოს მოლაპარაკება გერმანიის დელეგაციასთან, რომ ქართულ მხარეს დაუთმოს გემი.

4 აგვისტო

- საკონსტიტუციო კომისიის მოხსენების თანახმად, პარლამენტის წევრს სხვა ადგილზე სამსახურის ნება არ ეძლევა. (1; № 10)
- ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით, 2 აგვისტოს შემდგარ კრებაზე, პირველად წაკითხულ იქნა კანონპროექტი საქართველოში ღვინოსა და არაყზე გადასახადების დაწესებისა და ღვინითა და არყით ვაჭრობის შესახებ.
- ქართული კლუბის დარბაზში პოლკ. ესტ. მაჩაბლის თავმჯდომარეობით შედგა ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების წევრთა კრება, სადაც წარმოდგენილი იქნა „ქართული სამუსიკო საზოგადოების“ ახალი წესდება. წესდების ძალით, ფილარმონიული საზოგადოების მთელი ქონება გადადის ახლად დაარსებულ ქართულ სამუსიკო საზოგადოების გამგეობაში. მისივე ძალით ეს საზოგადოება ხსნის სასწავლებლებს პროვინციებში. დადგენილ იქნა, რომ მსგავსი სამუსიკო სასწავლებელი გაიხსნას ჯერჯერობით მხოლოდ ქ. ქუთაისში. (1; № 11)
- დუშეთის ფრონტიდან თბილისში ჩამოიყვანეს და თბილისის საგუბერნიო ციხეში მოათავსეს ბოლშევიკი ტყვეები რაოდენობით – 144 კაცი.

5 აგვისტო

- დაგეგმილია ეროვნული საბჭოსა და ფრაქციების სხდომების გამართვა.
- ღამის საათებში სახალხო გვარდიელებმა, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული რაზმის უფროსისა და მილიციის უფროსის თანდასწრებით, გაჩხრიკეს მანთაშევის ქარვასლა, რომელსაც იცავდა 60 შეიარაღებული სომეხი ჯარისკაცი. მცველებმა ნება არ მისცეს გვარდიელებს ჩხრეკის ჩატარებისა, ამიტომ სახალხო გვარდიამ მათ იარაღი აყარა. გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს მრავალი დაბეჭდილი საწყობი, რაზეც სომეხთა დიპლომატიურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი სომხეთის რესპუბლიკას ეკუთვნოდა. სხვა საწყობების გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს აუარებელი საომარი მასალა და იარაღები, რომელსაც ქართველი მცველები დაუყენეს.

6 აგვისტო

- ავსტრია-უნგრეთის, ბულგარეთისა და რუმინეთის მთავრობებმა დიდი რაოდენობით ღვინო დაუკვეთეს საქართველოს ზვრებისა და სავენახე გამგეობაში (1; № 11).

- ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებიდან საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი ლტოლვილი გადმოსახლდა. მთავრობამ გადაწყვიტა მათი თავისუფალ ტერიტორიაზე დასახლება და ამ საკითხის მოსაწესრიგებლად მიმართა მიწათმოქმედების სამინისტროს. (1; № 11)

7 აგვისტო

- 7 აგვისტოდან თბილისის გუბერნიის შრომის კომისარიატი მოთავსდა პეტრე დიდის ქუჩაზე 8 ნომერში, შრომის სამინისტროს გვერდით.

8 აგვისტო

- ნამუადღევს, 4 საათზე მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა გამგეობაში მოთავსებული საგანგებო განყოფილების კასას თავს დაესხნენ ბოროტმოქმედები, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ მსახურთა დატყვევება და კასის გატეხვა, მაგრამ მსახურებმა მილიციაში დარეკვა მოასწრეს, რის შემდეგაც ბოროტმოქმედები მიიმალნენ. (1; № 14)
- მთავრობამ მოიწონა ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთების მოხსენება და დაადგინა ეწოდოს მას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (10; 248)
- თბილისის ქალაქის თავმა სთხოვა აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობებს, თბილისის პოლიტეხნიკუმის შესანახად და აშენებაში მათაც მიიღონ მონაწილეობა, ვინაიდან ეს არის ინტერნაციონალური უმაღლესი სასწავლებელი.

9 აგვისტო

- მილიციის უფროსის დადგენილებით ეზოებისა და სავაჭრო დაწესებულებათა უსუფთაოდ შენახვისათვის დაჯარიმებულ იქნენ 500 მანეთით – თავართქილაძე, სააქოვი და სხვ., რომლებსაც ფულის გადაუხდელობის შემთხვევაში 1 თვით ციხეში ჩასმა ემუქრებათ; 300 მანეთით დაჯარიმდნენ გომართელი, ადამოვი და სხვა, 100 მანეთით კი კიკნაძე და საპიცკი. ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში ამ უკანასკნელთ ორთვიანი ციხე ემუქრებათ. (1; № 13)
- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო სამინისტროს თბილისში მყოფი გერმანიის სამხედრო მისია ოფიციალურად ატყობინებს, რომ გერმანიაში ტყვედ მყოფი 50 ოფიცერი და 200 ჯარისკაცი გერმანიის მთავრობამ საქართველოსკენ გამოამგზავრა. (1; № 13)
- ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ აუცილებლად მიიჩნია ფოთის ნავსადგურის გაღრმავება, რომელსაც ამჟამად 17 ფუტი სიღრმე აქვს. მისი გაღრმავება იგეგმება იმისათვის, რომ საოკეანო ხომალდებმა შეძლონ ცურვა. ამჟამად საქართველოს რესპუბლიკას ჰყავს ხომალდები – „მიხეილი“, „დობროვოლსკი“ და „ვიოლეტა“.

10 აგვისტო

- ხელოვნებათა სექციამ, პროფ. ივანე ჯავახიშვილის მოხსენების თანახმად, დაადგინა, რომ სახელმწიფო გერბად არჩეულ იქნას თეთრი გიორგისა და შვიდი მნათობის გამო-

სახულება, რადგან იგი ისტორიულად და ტრადიციულად დაკავშირებულია ქართველი ხალხის არსებობასთან. (1; № 14)

- დუშეთის მაზრის სოფლებში დაარსდა სახალხო გვარდიის შტაბები, სადაც ხდება იარაღის ჩაბარება და ახალი რაზმების შექმნა. (1; № 14)
- თბილისის ქართული ვაჭრობა-მრეწველობის კავშირმა დააარსა ორი სააქციონერო საზოგადოება: თამბაქოს ქარხნის და ყოველგვარი საქონლის ვაჭრობის. წვრილ მოვაჭრეებს საქონელი შეღავათიან ფასებში მიეცემა. (1; № 14)

11 აგვისტო

- საქართველოს ლაშქრის შტაბმა სასურველად სცნო ფედერალისტთა რაზმი სახალხო გვარდიას შეუერთდეს. (1; № 15)
- ფოთიდან იტყობინებიან, რომ გერმანელებმა სახელოსნო სასწავლებლის ახლოს მოაწყვეს რადიოსადგური. ამის შემდეგ გემები „გენერალი" და „კარკოვადო", რომლებიც განკუთვნილი იყო რადიო სადგურისათვის საჭირო აღარ არიან. ეს გემები გერმანულ გემებთან ერთად – „ტიგროსი", „არარატი" და „მინოგორნი" (შავი ქვის გადამტანი) მალე შავ ზღვაზე გააკეთებენ რეისებს. (1; № 15)
- გაიფიცნენ ტყიბულის მაღაროების მუშები, რომლებიც თხოულობენ ხელფასის 50 პროცენტით გადიდებას, სურსათის, ჯამაგირის დროზე მიღებას. თუ ეს პირობები იქნება დამაკმაყოფილებელი, მუშები პირობას იძლევიან, რომ დღეში 17 000 ფუთი ნახშირის მაგივრად დაამუშავებენ 35 000 ფუთს. (1; № 19)

12 აგვისტო

- ღამით, გ. ზურაბოვის ბინიდან რამდენიმე ბოროტმოქმედმა წაიღო 15000 მანეთად ღირებული ნივთი.
- ბაღ „პარიზიანში", მიხეილის ქუჩაზე, ჩხუბი მოხდა ოფიცრებს დოლმაზოვსა და ბოკუჩავას შორის, რის დროსაც ამ უკანასკნელმა რევოლვერით მძიმედ დაჭრა დოლმაზოვი. ბოკუჩავა დაატუსაღეს, დოლმაზოვი კი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

13 აგვისტო

- მთიელ მთავრობათა კავშირმა სთხოვა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, გაუგზავნოს ყველა აქტები და საბუთები, რომლებიც ეხება დაღესტანს და ჩრდილო კავკასიას და რომლებიც აქამდე ყოფილ მეფის ნაცვლის კანცელარიაში, საოლქო შტაბში და სამხედრო საისტორიო ნაწილში ინახებოდა. (1; № 16)
- ოჩამჩირეში შეიპყრეს ოსმალეთის საზღვაო ჯარის ოფიცერი განან შაკირ ოღლი, რომელსაც ჯაშუშობა ბრალდება. დაპატიმრებული გადაეცა ოსმალეთის მისიას. (1; № 16)

14 აგვისტო

- უკრაინაში გაემგზავრნენ პურის შემსყიდველი კონტრაგენტები, რომლებმაც გერმანიის მისიისა და უკრაინის რადის დახმარებით უნდა შეისყიდონ ხორბალი და ფქვილი.

საქართველოდან მათ მიაქვთ ნახევარმილიონად ღირებული საქონელი: თამბაქო, ღვინო და სხვა. (1; № 17)

- ქალაქის მილიციის უფროსის განკარგულებით დაიხურა ბაღი „პარიზიენი", სადაც ხშირად ჰქონდა ადგილი ლოთობას და ჩხუბს. (1; № 17)
- ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობა ლტოლვილთა დასახმარებლად აწყობს ფურნეებს, რომ ხელსაყრელ ფასებში მიაწოდოს მათ პური. ამასთან დაკავშირებით აღიძრა შუამდგომლობა სამინისტროში, რათა დაეთმოს მას 200 ფუთი ფქვილი და 100 ფ. მარილი, ასევე სათბობი მასალა, შეშა ან მაზუთი. (1; № 17)

15 აგვისტო

- გამოირკვა, რომ საქართველოს მიწა-წყალზე ნავთიანი ადგილების დამუშავება მთავრობას მისცემს დღეში 1000 ფუთ ნავთს, ზოგ რაიონში და განსაკუთრებით თელავში უკვე დაიწყეს ნავთის დამუშავება. (1; № 18)
- სახალხო განათლების სამინისტრომ ნება დართო გზათა საქმეთა ინჟინრებს ადრიანოვსა და შარამზანოვს გახსნან თბილისში უმაღლესი საინჟინრო კურსები. (1; № 18)
- აფხაზეთიდან დაბრუნებული გვარდიელი ტარასი ჩანტლაძე ამბობს, რომ სოფ. ბოქვაში მათ რაზმს თავს დაესხა ოსმალეთის დესანტის ასკერები. მოკლეს 10 და დაჭრეს 12 კაცი. თავდამსხმელებს გვარდიელებმა ხელმძღვანელი როტმისტრი მარშანია მოუკლეს.

16 აგვისტო

- საღამოს 9 საათზე სისხლის სამართლის უფროსმა ჩაჩავამ ცნობა მიიღო, რომ აბრამიშვილის სახლში ბოროტმოქმედნი თავდასხმას უპირებდნენ სახლის პატრონ აბრამიშვილს. მილიციის უფროსი ჩაუსაფრდა მათ მილიციელებითურთ. ერთი განთქმული ყაჩაღი ჩაჩავამ თავად მოკლა, მეორე სტუდენტი ბეზურაშვილი შეიპყრეს. (1; № 20)
- საღამოს 12 საათზე ედუჯანიანცის ბინიდან ბოროტმოქმედებმა მოიპარეს 7 000 მანეთი. (4; № 174)

17 აგვისტო

- შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დახურეს გაზეთი „ვოზროჟდენიე". (1; № 19)
- საპყრობილეთა ინსპექცია ამზადებს პროექტს მთავრობაში წარსადგენად, ტუსაღების სავალდებულო მუშაობის შესახებ. ტუსაღები იმუშავებენ სახელმწიფოს სასარგებლოდ. მუშაობა იწარმოებს ციხის გარეშე. (1; № 19)
- მილიციის უფროსის ბრძანებით, თანახმად ქ. თბილისის გამგეობის სასურსათო განყოფილების დადგენილებისა, აიკრძალა საკონდიტროში და კაფეებში თეთრი ფქვილისგან ნამცხვრების, შოკოლადის, სხვადასხვა ტკბილეულისა და ნაყინის დამზადება.

18 აგვისტო

- მთავრობის დადგენილებით ოზურგეთის №33 დაწესებულების ლიკვიდაცია უნდა მოხდეს. მსახურთ მიეცემათ სალიკვიდაციო დახმარების სახით ფულადი ანაზღაურება. (1; № 20)

- ქალაქის თავის შუამდგომლობა სპირტის რეკვიზიციის შესახებ არ იქნა შეწყნარებული მთავრობის მიერ და დადგენილ იქნა, რომ სპირტი არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენონ ავტომობილებისათვის. (1; № 20)
- ნ.გოცირიძის რეჟისორობით ნაძალადევის თეატრში წარმოადგინეს ა. ცაგარელის კომედია „რაც გინახავს ვეღარ ნახავ"

19 აგვისტო

- მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია 19 აგვისტოს კოჯრიდან თბილისში დაბრუნდა.

20 აგვისტო

- გაიმართა ქართული სამუსიკო საზოგადოების პირველი კრება, რომელმაც დაადგინა ქ. ქუთაისში განყოფილების გახსნა და მუსიკალური სკოლის დაარსება.
- დაიწყო ტყიბულის მაღაროების მუშების გაფიცვა ეკონომიკურ ნიადაგზე, რის შესახებაც მაღაროების ადმინისტრაცია 1 კვირით ადრე იყო გაფრთხილებული. მუშების მოთხოვნაა დღიური ხელფასის გადიდება 100 %-ით. (1; № 27)
- ეროვნულმა საბჭომ მიიღო რამდენიმე კანონი: სამხედრო მმართველობის შესახებ; რეგულარული არმიის ორგანიზაციის შესახებ; სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შევსების შესახებ. მიღებული კანონების თანახმად: სამხედრო ბეგარა საყოველთაო იყო; იგი სავალდებულო იყო რესპუბლიკის ყოველი მოქალაქისათვის ოცდან 45 წლამდე; შეიარაღებული ძალები შედგებოდა მუდმივი ჯარისაგან და სათადარიგო ლაშქრისაგან; ლაშქრის გაწვევა ხდებოდა პარლამენტის მიერ გამოცხადებული მობილიზაციის შემთხვევაში და ა. შ. (7; 49)

21 აგვისტო

- ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთვის რწმუნებულის ინჟინერ ყიფშიძის მოხსენების თანახმად გადიდდა გადასახადი ოქრო-ვერცხლის ნივთებისა და სასწორების ჭდევაზე. (1; № 21)
- სასოფლო კომისიას ატყობინებენ, რომ სოხუმის ოლქში ბოლშევიკური მოძრაობა სრულიად ნელდება და სარევოლუციო ორგანიზაციათა ავტორიტეტი ხალხის თვალში სრულიად აღდგენილია. (1; № 21)
- საქონლის მიმწვდენელი კომიტეტის საწყობიდან გაძარცვული იყო დიდძალი საქონელი... მილიციამ შეიპყრო ქურდები, რომლებიც აღმოჩდნენ საწყობის სადარაჯოს უფროსი და დარაჯები. (1; № 21)

22 აგვისტო

- სენაკში ჩატარებული ერობის არჩევნებში ხმის უმეტესობა მიიღეს სოციალ-დემოკრატებმა. (1; № 22)

- სოფ. ახმეტაში (თელავის მაზრა) აღმოაჩინეს ნავთის შადრევნები, აქედან დღიურად შესაძლებელია 2000 ფუთი ნავთის მიღება.
- დუშეთის მაზრაში წესრიგის დასაცავად და ბანდიტების გასაფანტავად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაგზავნა სამხედრო რაზმი. (1; № 22)

23 აგვისტო

- აზერბაიჯანის მთავრობამ წინადადება მისცა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, რომ თბილისსა და განჯას შორის აღდგენილი იქნას რეგულარული მიმოსვლა, ამისათვის მგზავრები უნდა გაიჩხრიკონ თბილისში და არა ნავთლუღისა და ფოილოს სადგურებზე. (1; № 22)
- სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა დაადგინა გაგზავნოს ლეჩხუმის მაზრაში მოხალისე სახალხო გვარდიელები; ჩამოართვას ხალხს სახელმწიფო ქონება, პირველ რიგში ცხენები. (4; № 178)
- ფოთში, „კონკის“ ვაგონში კონდუქტორმა კალენიკე მამალაძემ იპოვა ტყავის საფულე სხვადასხვა საბუთებით. იგი პატრონს სთხოვს მიაკითხოს კიოსკში. (4; № 178)

24 აგვისტო

- შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულმა რაზმმა შეიპყრო ქალაქის გამგეობის კონტროლიორი სტეფანე ალავერდოვი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ კონტრ-რევოლუციურ და „ბოლშევიკურ მოღვაწეობას“ ეწეოდა.
- მთავრობის თავმჯდომარემ დაავალა ყველა უწყების მინისტრებს, რომ ამ უკანასკნელებმა ყურადღება მიაქციონ გაზეთებში მოთავსებულ წერილებს, რომლებიც ეხება მათი უწყების მოქმედებას და მათში მოთავსებული ფაქტები საჭიროების დროს გამოძიებულ იქნას.

25 აგვისტო

- ღამის 11 საათზე ბიხოვის ლიტოგრაფიაში მილიციამ შეიპყრო ყალბი ფულების დამზადებელნი ჯიბლაძე, მე-II კომისარიატის ყოფილი მილიციონერი და სხვა. მათ მიერ დამზადებული იყო 116050 მანეთის ყალბი ბონები. (1; № 26)
- ბაკურიანიდან გენერალი მაყაშვილი ატყობინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ დვირში ყოველდღიურად აუარებელი ლტოლვილი მიდის, რომლებსაც არა აქვთ საქართველოს მთავრობის ნებართვა. მათ თათრები უკან არ უშვებენ და ძლიერ გაჭირვებას განიცდიან. მაყაშვილი ითხოვს ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ შეატყობინონ მას გაუშვან თუ არა ეს ლტოლვილები საქართველოს ტერიტორიაზე. (4; № 180)

26 აგვისტო

- ხაშურში სარაიონო კომისარიატის ბინაზე მოკლეს ადგილობრივი მოქალაქე გრ. ჯაფარიძე. ამ მკვლელობით ადგილობრივი საზოგადოება აღელვებულია.

- ღამე ბათუმის შესახვევში რამოდენიმე შეიარაღებულმა პირმა სასურსათო სამინისტროს ხაზინიდან გრიგოლ რატიშვილს წაართვა 47 000 მანეთი. (1; № 27)

27 აგვისტო

- სახალხო გვარდიის მობილიზაციისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით გადაიდო 1 მილიონი მანეთი ანარქიის საბოლოოდ მოსასპობად, განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში. (1; № 26)
- ოსმალთა დაპყრობილი ადგილებიდან თბილისში ჩამოვიდა მრავალი სომეხი ლტოლვილი, რომლებიც ორთაჭალაში დაბინავდნენ. მათ შორის გადამდები სენი მძვინვარებს. (1; № 26)
- გერმანიამ და საბჭოთა რუსეთმა ხელი მოაწერეს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დამატებას, რომლის მე-13 მუხლში ნათქვამი იყო რომ რუსეთი თანახმაა გერმანიამ სცნოს საქართველოს დამოუკიდებლობა. (22; 103)

28 აგვისტო

- სახალხო განათლების მინისტრმა ნება დართო მასწავლებლებს მამულაშვილსა და მილლერს დააარსონ თბილისში მოსამზადებელი კურსები ყველა საგნებისა ქართულ ენაზე. (1; № 27)
- ქართულ სატანვარჯიშო საზოგადოება „შევარდენ"-ში გაიხსნა ბავშვების საგიმნასტო განყოფილება, სადაც მიიღება ორივე სქესის ბავშვები 7 დან 14 წ-მდე. (1; № 27)
- შეიქმნა ახალი ამხანაგობა „ნუგეში", რომელსაც მიზნად აქვს პურის გაიაფებას შეუწყოს ხელი. ამ მიზნით ამხანაგობა ხსნის ქალაქის სხვადასხვა ნაწილში ფურნეებსა და თონეებს და გამომცხვარ პურს მიაწვდის ხალხს ხელმისაწვდომ ფასებში. საქმეს სათავეში უდგანან ქართველი ინჟინრები, გამოცდილი ვაჭრები და ინტელიგენტები. (1; № 27)
- გერმანიის სამხედრო დელეგაცია წესიერ მიმოსვლას აწყობს გემებით შავ ზღვაზე ფოთსა და სევასტოპოლს შუა. ფოთიდან გემი გავა ოთხშაბათობით, სევასტოპოლში მივა პარასკეობით. (1; № 27)

29 აგვისტო

- ქალაქის მოურავმა წინადადება მისცა მილიციის უფროსს მიიღოს სასტიკი ზომები რათა ყველა გასართობი: სინემატოგრაფები, კლუბები და კაფეები დაიხუროს ზუსტად 11 საათისათვის. (1; № 28)
- ხრესილიდან (რაჭის მაზრა), იტყობინებიან, რომ ოსეთის ეროვნული საბჭო ადგენს რაზმს, რომელმაც იარაღი უნდა აჰყაროს ლეჩხუმის მაზრაში მცხოვრებ ოსებს. (1; № 28)
- სამხედრო მინისტრს მიენდო გამოაცხადოს საერთო განკარგულება სამხედრო ნივთებით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ. (1; № 28)
- საგანგებო რაზმმა შეიპყრო და დაატუსაღა სკუინი, რომელიც რუსული ფულის, თავისუფალი სესხის და კუპონების სპეკულაციას აწარმოებდა. (1; № 28)

30 აგვისტო

- შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით, მთავრობამ დაადგინა, პროტესტი გამოუცხადოს ბაქოს მთავრობას ქართველების ჯარში გაწვევისათვის. (1; № 29)
- შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულმა განსაკუთრებულმა რაზმმა დაატუსაღა ივ. შლეიზინგერი კონტრრევოლუციური მოქმედებისათვის. (1; № 29)

31 აგვისტო

- გადაწყვეტილია ჯარში გაიწვიონ (მუსულმანთა გამოკლებით) ყველა ის ახალგაზრდა, რომელიც დაბადებულია 1895-1899 წლებში. ჯარში გასაწვევი ყმაწვილები უნდა გამოცხადდნენ სექტემბრის 10 რიცხვამდე. ის, ვინც ამ დღეებში არ გამოცხადდება დეზერტირად ჩაითვლება და გადაეცემა სამხედრო ტრიბუნალს.
- სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა დაადგინა:
  ა) ეთხოვოს მიწათმოქმედების სამინისტროს მისცეს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ასი ათასი ფუთი თივა ერთი წლის სახარჯოდ.
  ბ) დარჩეს სიღნაღში სახალხო გვარდია და მიეცეს მას საჭირო კრედიტი. (1; № 30)
- შინაგან საქმეთა მინისტრმა ფოთის ქალაქის თავს მოსთხოვა პასუხი ქუთაისელ ებრაელ ვაჭართა დაპატიმრების შესახებ, რომლებიც რუსეთში მიემგზავრებოდნენ სავაჭროდ. (1; № 30)
- კავკასიიდან ჩამოსულის ცნობით, კავკავში ფინანსთა მინისტრად დანიშნეს ფილიპე მახარაძე. (1; № 30)
- სამტრედიიდან გამოგზავნილი დეპეშით ბერძენიშვილი იტყობინება, რომ აჩიმეძმახის მთებში ოსმალებთან შეტაკების დროს მოუკლავთ გაზეთ „ერთობის“ ასოთამწყობი გიორგი სურგულაძე.

1 სექტემბერი

- შედგა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა. საბჭოს მიერ მიღებული კანონის თანახმად საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა შორის, ეროვნულ საბჭოში გამოცხადდნენ სომხური მოსახლეობის წარმომადგენლები. ამ ფაქტთან დაკავშირებით, საბჭოს მიმართა ნიკოლოზ ჩხეიძემ: „მოქალაქენო, დღეს ჩვენ საკანონმდებელო კრებულს შემოუერთდნენ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე უმცირესობათაგან სომხების წარმომადგენლები. მე უნდა ვისარგებლო ეს შემთხვევა და გამოვთქვა იმედი, რომ ეს წარმომადგენელნი ჩვენთან ხელი-ხელ ჩაკიდებულნი, გაგვიადვილებენ იმ საერთო მუშაობას, ისტორიამ რომ დაგვაკისრა“. სხდომაზე სიტყვით გამოვიდა სომეხთა წარმომადგენელი დავით ხანიანი: „ჩვენ მოვედით აქ არა იმისთვის, რომ მარტო ჩვენი კულტურული და ეროვნული მისწრაფება განგვეხორციელებინა და დაგვეცვა, არამედ იმისთვისაც, რომ ერთად შევებათ იმ უღელში, რომელიც ხელს შეუწყობს და განამტკიცებს საქართველოს დამოუკიდებლობას“.
- სასურსათო საქმეთა სამინისტროს პურის განყოფილების უფროსათ დაინიშნა დიმიტრი ესტატეს ძე ღამბაშიძე. (1; №33)

- გაიხსნა მიწათმოქმედების მინისტრის ნოე ხომერიკის და მისი ამხანაგის პეტრე გელეიშვილის თანდასწრებით, ტყის კურსები, სადაც მოამზადებენ ტყის გამგის თანაშემწეებს.
- დაიწყო მოქმედება დიდუბის იაფფასიანმა სასადილომ.
- გაიხსნა ტფილისში საუკეთესო კახური ღვინის საწყობი. (1; №31)

2 სექტემბერი

- შედგა ქალაქის საბჭოს სხდომა ალ. ლომთათიძის თავმჯდომარეობით. პირველ კითხვათ დღის წესრიგშია საბჭოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების და ქალაქის მდივნის არჩევნები. თავმჯდომარეთ ასახელებენ ალ. ლომთათიძეს, მის ამხანაგებათ თუმანოვს (სოციალისტ-რევოლუციონერი) და იაგჯიანს (დაშნაკცუტიუნი). ქალაქის მდივნათ ერთხმად ასახელებენ ვ. ხახანაშვილს, რადგანაც თავმჯდომარე ალ. ლომთათიძემ ყუთი დაიდგა. დროებით თავმჯდომარეობს რ. არსენიძე. დახურული კენჭისყრის მიცემით თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ლომთათიძე. 39 თეთრი და 3 შავი ხმა მიიღო. მის ამხანაგებად არჩეულ იქნენ თუმანოვი და იაგჯიანი. მდივნათ ერთხმად არჩეულ იქნა ხახანაშვილი.
- დღეს მე-6 სავაჟო გიმნაზიაში ვლადიმერ ახმეტელაშვილი გააკეთებს მოხსენებას ქართულ ენაზე გერმანიაში მოგზაურობის შესახებ. (4; №186)
- კურმანოვის ბინიდან ელისაბედის ქუჩიდან ბოროტმოქმედებმა წაიღეს 6 ათასი მანეთის სხვა და სხვა ნივთები.

3 სექტემბერი

- თბილისში დაიწყო მუშაობა საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის წარმომადგენლებისგან შემდგარმა განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ აგრეთვე გერმანიის, ავსტრიის და ოტომანიის (ოსმალეთის) წარმომადგენლები. კომისიამ იმსჯელა რკინიგზით მოძრაობის, ფოსტა-ტელეგრაფისა და ტელეფონის საქმეთა მოწესრიგების შესახებ. (1; №34)
- ეროვნული საბჭომ მიიღო კანონი ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადებისა და მის „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტად" დარქმევის შესახებ, ამასთან, უნივერსიტეტს გადაეცა 3 343 000 მანეთი, თანახმად წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვისა და დამტკიცდა უნივერსიტეტის დროებითი ძირითადი დებულება. დებულების პირველ პარაგრაფში აღნიშნული იყო, რომ „ტფილისის უნივერსიტეტი როგორც სამეცნიერო სასწავლო სფეროს მხრით, ისე საუნივერსიტეტო მართვა-გამგეობისა და შინაური მეურნეობის მხრითაც სრულებით ავტონომიურია და ყველა ამ დარგის საქმეებს თვითვე განაგებს". (7; 57)
- სახალხო უნივერსიტეტის შენობაში ექიმი უტკინი წაიკითხავს ლექციას რუსულ ენაზე: „სამკურნალო მცენარეები კავკასიაში". (4; №187)
- საქართველოს მთავრობამ მოისმინა აფხაზეთის საქმეთა მინისტრის მოხსენება და დაადგინა: გაეგზავნა აფხაზეთში განსაკუთრებული კომისია. მას უნდა შეესწავლა საქართველოს ჯარის მოქმედებით გამოწვეული ადგილობრივი მოსახლეობის საჩივრები და მათი საფუძვლიანობა.

- ჩამოვიდნენ ტფილისში ოტომანთა მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელნი საქართველოში აბდულ ქერიმ ფაშა და იმავე მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელი სამხრეთში მამედ ალი ფაშა. (1; №33)

4 სექტემბერი

- გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით თფილისის ვაჟთა სასულიერო გიმნაზიაში იხსნება მეხუთე კლასი, სადაც უეგზამენოდ მიიღებიან პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებლებსა და სასულიერო სასწავლებლებში კურსდამთავრებულნი. ემატება მოსამზადებელ კლასებსაც პარალელური განყოფილებანი, გამოცდები დაიწყება სექტემბრის 15-ში. მასწავლებლები უნდა გამოცხადდნენ 12-ში. სწავლის ფული სხვა გიმნაზიებთან შედარებით დაკლებულია.
- მთავრობის დადგენილებით სამთო სამმართველომ შეიმუშავა გეგმა საქართველოს ტერიტორიის სისტემატიური და გეოლოგიური გამოკვლევისა. შესდგა ორი კომისია: ერთი იმუშავებს ტყიბულის და საჩხერის რაიონში ქვანახშირის აღმოსაჩენად, მეორე გეოლოგ ციცსაშვილის ხელმძღვანელობით, იმუშავებს გურიაში და კახეთში ნავთის აღმოსაჩენად და დასამუშავებლად. (1; №33)

5 სექტემბერი

- გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით ქალაქის საავადმყოფოში ხოლერით გარდაიცვალა გაზეთ „კავკაზის“ ყოფილი რედაქტორი ა. ი. ბელინსკი. (1; №34)
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობის მიხედვით სიმონ ქვარიანი შეუდგა ახალი წიგნის შედგენას: „თავისუფალი საქართველო“. (1; №34)
- იხსნება ახალი ელექტრო-თეატრი „კინოტიტანიკი“. ახალგადაკეთებულ შენობაში არის დიდი დარბაზი, საკუთარი ელექტრონის სადგური და გერმანული სისტემის აპარატი „იკა“. სურათების ჩვენების დროს უკრავს პიანისტი მოსკოვის კონსერვატორიისა. ეკრანზე იქნება ნაჩვენები პირველხარისხოვანი შინაარსიანი სურათები.

6 სექტემბერი

- დაიდო ხელშეკრულება ამიერკავკასიის სამ რესპუბლიკას შორის ბონების შესახებ. ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი რესპუბლიკათა რწმუნებულნი: საქართველოსი – ფინანსთა მინისტრი გიორგი დურმიშხანის ძე ჟურული, სომხეთის – საქართველოს მთავრობის წინაშე სომხეთის საქმეთა რწმუნებული არშაკ ჯამალიანი და აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოს მთავრობის წინაშე – მამედ იუსუფ ჯაფაროვი, შევთანხმდით შემდეგში: ოც ივლისს ათას ცხრაას თვრამეტ წელს საქართველოს და სომხეთის რწმუნებულთა შორის დაიდო ხელშეკრულება უკვე გამოშვებულ ბონების პასუხისმგებლობის შესახებ, რომლის ჯამი სამას მილიონ მანეთს შეადგენს, და აგრეთვე ორას მილიონ მანეთის შესახებ, რომელიც შემდეგში გამოშვებულ უნდა იქნეს. ეს ხელშეკრულება ეხლა არის სავალდებულოდ აღიარებული აზერბაიჯანის მთავრობისთვისაც და რჩება ძალაში დამატებით და შესწორებით.

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით, იბეჭდება და მალე გამოვა იოსებ გრიშაშვილის „საიათნოვა და ძველი ტფილისი“. (1; №35)
- სასახლეში ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის დარბაზში, სახალხო გვარდიელებმა დააპატიმრეს სტუდენტი ვეშაპელი, რომელსაც მოასწრეს ქურდობაში ძვირფას ფარჩის ფარდებისა. (1; №36)

7 სექტემბერი

- გოლოვინის პროსპექტზე №10-ში გაიხსნა ახალი თეატრი „არგონავტების ნავი“. ლამაზად მორთულ დარბაზში თავი მოეყარათ ქართველ მწერლებს, პოეტებს, ეროვნულ საბჭოს წევრთ და რუს მხატვრებს. იყვნენ პოეტი გოროდეცკი, კომპოზიტორი პროფ. ჩერეპნინი, გერმანული მისიის წარმომადგენელნი და სხ. თეატრის სახელით მწერალი ლვოვი მიესალმა დამსწრეთ და გააცნო მიზანი ჯგუფისა, რომელმაც ითავა ამ საქმის მოწყობა; მათი მიზანია მოაწყონ ისეთი კუთხე, სადაც შეიკრიბებიან თბილისის ლიტერატურული ძალები და ხელოვნები სრულებით დაშორებულნი იქნებიან პოლიტიკას. წარმოდგენილი იქმნა პატარა მინიატურები. პოეტმა გოროდეცკიმ წარმოსთქვა სიტყვა ქართულ ხელოვნებაზედ და დალია სადღეგრძელო „ცისფერი ყანწების“ იქ მყოფი პოეტების. გოროდეცკის უპასუხა რეჟისორმა ალექსანდრე წუწუნავამ, რომელმაც სთქვა, რომ საქართველოში არის არა მარტო „ცისფერი“, არამედ „წითელი ყანწებიც“, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ თავისუფლებასთან ერთად, მიანიჭებს თავისუფლებას ხელოვნებასაც. სიტყვები წარმოსთქვეს ტიციან ტაბიძემ, ს. ყანჩელმა, გრიგოლ რობაქიძემ და პროფ. ჩერეპნინმა, რომელსაც საზოგადოება დიდი აღტაცებით შეხვდა. (1; №40)
- თბილისის ქალაქის გამგეობამ სხდომაზე დაადგინა, რომ დაბალ სამინისტრო სკოლებში სწავლის ფული არ იხდევინებოდეს. (1; №42)
- თფილისში გაიხსნა ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის წარმომადგენელთა ყრილობა. რადგან რკინის გზით მგზავრობა გვიანდება, ჯერ ყველა დელეგატები არ ჩამოსულან. (1; №37)
- ცხინვალიდან სოფელ ზემო ნიქოზში დაბრუნებისას მოჰკლეს ცხინვალის გიმნაზიის მასწავლებელი ალექსანდრე ილარიონის ძე კასრაძე.

  ვინც გაიხსენებს 1905 წ. რევოლუციას იგი უსათუოდ ალექსანდრესაც მოიგონებს. იმ დროს იგი თვალსაჩინო როლს თამაშობდა, რამდენადაც ნებას აძლევდა მას მოწოდება და ხარისხი, მართალია, იგი ამ დროს მღვდელი იყო, მაგრამ ეს გარემოება უფრო ხელმარჯვედ გამოიყენა, როგორც ერთგვარი ფირმანი, რაიც მეტად ძვირად დაუჯდა ვნუკოვის დამსჯელ ექსპედიციის შემოსვლის დროს დაბა ცხინვალში. მისი სახლ-კარი გადაწვეს, ცოლ-შვილი დაუწიოკეს, ხოლო თვითონ ჯერ დააპატიმრეს, შემდეგ გაციმბირეს. (2; №185)
- გაზეთ „ერთობის“ ცნობის მიხედვით საქართველოს სამთო სამმართველო ახლო მომავალში შეუდგება ოქროს მადნეულის გამოკვლევას სვანეთში. სამმართველო შეუდგა ხარჯთაღრიცხვის და გეოლოგიურ პარტიის შედგენას, რომელიც ახლო მომავალში გაემგზავრება სვანეთში. (4; №191)

8 სექტემბერი

- „ერთობის“ ცნობის მიხედვით ფულის მიუღებლობის გამო გაზეთის გზავნა შეწყდა სოხუმში. გაზეთები შეუწყდება აგრეთვე ყველა იმ აგენტებს, ვისგანაც ამ ორ სამ დღეში ფული არ იქნება გაგზავნილი. (4; №192)
- სამხედრო მინისტრმა დააჯილდოვა სახალხო გვარდიელები გიორგის ჯვარის მეორე ხარისხით 5 კაცი; მეორე ხარისხით – 77 კაცი, მათ შორის, მოწყალების და ვერა ლუბატოვიჩი; გიორგის მედალით მეოთხე ხარისხის – 37 კაცი, მათ შორის, მოწყალების და თამარა სამხარაძე. (4; №192)

9 სექტემბერი

- მოხდა მწერალ-ხელოვანთა ერთი ჯგუფის კრება. ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა გამოსცეს ყოველთვიური, დიდი მხატვრული და პოლიტიკური ჟურნალი ფართო ლიტერატურული და დემოკრატიული მიზნებით. საქმის მოსაგვარებლად არჩეულ იქმნა განსაკუთრებული კომისია. (1; №38)
- ნაძალადევის თეატრში დანიშნულია შეერთებული კრება რკინის გზის მცირე კოლექტივებისა და პირველი რაიონისა.
- სამუსიკო საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, რომ მუსიკალურ სკოლაში დაარსდა ქალ-ვაჟის მომღერალთა გუნდი; შეისწავლება მუსიკის თეორია, სოლფეჯიო, ჰარმონია, ენციკლოპედია, მუსიკის და კულტურის ისტორია, ამასთანავე მოამზადებენ ლოტბართა კლასს. (1; №38)
- სამკურნალო-სანიტარული განყოფილების უფროსის თანაშემწე პროფ. შიროკოგოროვი, რომელიც წასული იყო საქართველოს რკინის გზებზე, რათა გამოერკვია რაიონების სანიტარული მდგომარეობა და ზომები მიეღო ხოლერასთან საბრძოლველად, უკვე დაბრუნდა. მისი ცნობით ყველა რაიონებში, რომლებიც რკინიგზებთან ახლოა, ხოლერამ ძალიან იკლო. (1; №38)

10 სექტემბერი

- ეროვნული საბჭოს სხდომა მიმდინარეობდა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის თავმჯდომარეობით. დაამტკიცეს რამდენიმე კანონ-პროექტი. ნაციონალურ უმცირესობათა წარმომადგენლობის კანონპროექტის შესახებ კამათში მონაწილეობას ღებულობდნენ: შალვა მიქელაძე (მომხსენებელი), სპირიდონ კედია, გერონტი ქიქოძე და სხვ. პეტრე ქავთარაძე იყო მომხსენებელი ფოსტა-ტელეგრაფის ტარიფის გადიდების კანონ-პროექტის შესახებ, რომელიც უკამათოდ იქნა მიღებული. გრიგოლ გველესიანმა (იუსტიციის მინისტრის ამხანაგი) დაწვრილებით გააცნო საბჭოს სპეკულაციასთან საბრძოლველი კანონ-პროექტის შინაარსი.
  კამათში მონაწილეობდნენ: ალექსანდრე ასათიანი, მიხეილ მაჩაბელი და რაჟდენ არსენიძე. დაგვიანების გამო კანონ-პროექტის უფრო დაწვრილებითი განხილვა გადაიდო შემდეგი მორიგი სხდომისთვის. ალექსანდრე ახმეტელის შეკითხვა კიდევ გადაიდო.
- ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი რესპუბლიკის დროშის შესახებ. (7; 62)

11 სექტემბერი

- საღამოს 8 საათზე, სასტუმრო „ფირუზაში“ გასკდა ყუმბარა. იმ ოთახში, სადაც ყუმბარა გასკდა, იპოვეს ფოტოგრაფიული სურათი ვიღაც ნიკოლოზ ივანეს ძე წერეთლისა, რომელიც საგანგებო რაზმმა ერთი საათის შემდეგ დაატუსაღა. დაჭრილია სასტუმროში მყოფი ზოგი ახალგაზრდები. საგანგებო რაზმი საქმეს იძიებს. (1; №41)
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რათა აფხაზეთში დეპეშები იგზავნებოდეს რუსულ ენაზე, ვინაიდან აფხაზეთში საქმის წარმოება რუსულ ენაზე სწარმოებს. (1; №39)
- შინაგან საქმეთა სამინისტრო იმუშავებს კანონ-პროექტს იმ პირთა ქონების ჩამორთმევის შესახებ, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლებში. ჩამორთმეული ქონებიდან უნდა დაარსდეს ფონდი, რომლითაც დახმარებას გაუწევენ იმ პირთ, რომელნიც დაზარალდნენ აჯანყების გამო. (1; №39)

12 სექტემბერი

- ეხლა, როდესაც ყველასათვის აშკარა შეიქმნა, რომ ქვეყნის უზრუნველყოფისთვის საჭიროა ეკონომიკური მხარეების და მრეწველობის განვითარება, დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ე. წ. სპეციალურ ცოდნის გავრცელებას. მომავალი სამოსწავლო წლიდან საქართველოში არსდება რამდენიმე საშუალო სპეციალური სასწავლებელი. ტფილისში იწყებს არსებობას საშუალო ტეხნიკური და მიწის-მზომელთა სასწავლებლები, რომლებშიაც I კლასიდან, სადაც უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლების ან საზოგადოდ საშუალო სკოლის 4 კლასის კურს დამთავრებულნი მიიღებიან, ნაციონალიზაცია იქმნება გატარებული. თორმეტ ენკენისთვეს დაიწყო გამოცდები ზემოთ დასახელებულ სასწავლებლებში. (1; №40)
- თბილისის საკრებულოში ორკესტრის საბენეფისოდ გაიმართა სიმფონიური კონცერტი, ნ. ჩერეპნინის ლოტბარობით და ნ. დ. ნიკოლაევის (როიალი) და მ. რ. ლუდნიკის (სკრიპკა) მონაწილეობით. ამ კონცერტით დამთავრდა საზაფხულო სეზონი.

13 სექტემბერი

- ამ ჟამათ ტფილისში იმყოფებიან ჩრდილოეთ კავკასიის მთიულების წარმომადგენლები, რომლებსაც მოლაპარაკება აქვთ გერმანიის სამხედრო მისიასთან. მოლაპარაკების მიზანია მთიულებს შორის უწესოების მოსპობა და მათ ტერიტორიაზე წესიერების დამყარება, აგრეთვე ქართულ სამხედრო გზაზე ბოროტ-მოქმედების მოსპობა. მოლაპარაკებაში მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე ავსტრიის და ოსმალეთის სამხედრო დელეგაციები. (1; №41)
- ტფილისში იმყოფება შავი ზღვის რკინის გზის წარმომადგენელი ინჟინერი მატრიონინსკი, რომელიც შუამდგომლობს გზათა სამინისტროს წინაშე რკინის გზის მუშაობის განახლებაზე. (1; №41)
- ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობების შესახებ საქართველოს ეროვნულ საბჭოში. საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში

ეროვნულ უმცირესობებს დაეთმოთ 26 ადგილი. აქედან: სომხებს – 10 ადგილი; აზერბაიჯანელებს – 4, აფხაზებს – 3, რუსებს – 2, ოსებს – 2, ქართველ ებრაელებს – 2, ებრაელებს – 1, ბერძნებს – 1, გერმანელებს – 1. (7; 62)

14 სექტემბერი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 14 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით გამოვიდა ქართულსა და რუსულ ენაზე ორკვირეული ჟურნალი „საქართველოს ეკონომისტი". (1; №42)
- თავისუფალ ხელოვანს ილ. აბაშიძეს აზრად აქვს დააარსოს ქართული საოპერო საზოგადოება. (4; №197)
- კვირას, სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა ორთაჭალაში (ხარფუხის რაიონი) გახსნა ახალი მუშათა კლუბი. ახალ კლუბს მიესალმა ნიკოლოზ ჩხეიძე, ალექსანდრე ლომთათიძე და სხვადასხვა დემოკრატიულ დაწესებულებათა და ორგანიზაციის წარმომადგენელნი. კლუბის გამგეობა უკვე შეუდგა მუშაობას. გამგეობა დაყოფილია სამ სექციათ: მხატვრულ-ლიტერატურული, დრამატული და მუსიკალური. (4; №201)
- წალენჯიხაში მოვიდა და პარტიზანულ პოლკს გამოეცხადა ყაჩაღთა ორი ცნობილი მეთაური ისაკ კვარაცხელია და ფიფია. მათ იარაღი დაჰყარეს და სინანული გამოთქვეს მთავრობის საწინააღმდეგო საქმეში ჩარევის გამო. თავს იმით იმართლებდნენ, რომ იძულებული ვიყავით სხვებს ავყოლოდით, რომ არ დავეხოცეთო. (3; №348)

15 სექტემბერი

- შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის გ. საბახტარაშვილის თავმჯდომარეობით გაიხსნა თათბირი ერობის შემოღების შესახებ საქართველოში, თათბირს დაესწრნენ დირექტორი სამინისტროსი ი.ი. კაჩუხოვი, ვიცე-დირექტორი ი.ვ. აფაქიძე. (1; №43)
- მოხდა ბორჯომის რაიონის ერობის ხმოსნების არჩევნები. უნდა ითქვას, რომ ამისათვის არ ყოფილა მუშაობა ამომრჩევლებში, და იმას მიეწერება ის გარემოებანი, რომ გულგრილად შეხვდნენ და ზოგ უბნებში სულაც არ მიუღიათ მონაწილეობა არჩევნებში. მიუხედავად ათასგვარ დემაგოგიური და პროვოკატორების მუშაობისა სოციალ-დემოკრატებმა მიიღო ხმა სხვა სარევოლუციო პარტიებთან შედარებით გაცილებით მეტი. ბორჯომის რაიონში საერობო ხმოსნების არჩევნებში სოციალ-დემოკრატებს ხვდა გამარჯვება. (4; №206)

16 სექტემბერი

- გაზეთ „ერთობის" ცნობის მიხედვით გაიმართა რკინის გზის მოსამსახურეთა ყრილობა. კრებას ხსნის მეგრელიშვილი, რომელიც მოითხოვს პრეზიდიუმის არჩევას. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით მაჭარაძე ასახელებს პრეზიდიუმში თავმჯდომარეთ ძამანაშვილს, მის ამხანაგებათ მეგრელიშვილს და პატარიძეს. მდივნათ ბოკერიას, ამხანაგათ – ჭყონიას. ყველა ზემოთხსენებული პირნი ერთხმად არჩეულ იქნენ კრების მიერ.

გზათა მინისტრი ლორთქიფანიძე ესალმება ყრილობას მთავრობის სახელით, ამცნობს კრებას, რომ მთავარი საკითხთაგანი ყველასათვის ეს სურსათის მოწესრიგების საქმეა. გამოსთქვამს იმედს, რომ ამ ცოტა ხანში ყუბანის ოლქიდან შემოიტანენ პურს და სურსათის კრიზისი თავიდან აგვცდება. (4; №199)

- სასტუმრო „ნოე"-ში ბოროტგამზრახველები თავს დაესხნენ დავითაიას და წაართვეს თანხა და მიიმალნენ.

17 სექტემბერი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ცნობის მიხედვით ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში მომხდარ განხეთქილების გამო, ეროვნულ-დემოკრატიული საპარლამენტო ფრაქციის 6 წევრმა (ფრაქციის მემარჯვენე ფრთა) ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმს განუცხადა დამოუკიდებელ ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის დაარსების შესახებ. გამოვიდა დამოუკიდებელ ეროვნულ – დემოკრატთა პარტიის მთავარ კომიტეტის გაზეთი – „კლდე" გრიგოლ ვეშაპელის რედაქტორობით. (1; №43)
- ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი სპეკულაციასთან ბრძოლის შესახებ. (7; 63)
- ოპერის სეზონი გაიხსნა რიხარდ ვაგნერის ოპერით „ტანგეიზერი". (1; №43)

18 სექტემბერი

- თფილისის მოსწავლეების საზოგადოების კოოპერატივმა განაახლა მოქმედება. მიიღება გაყიდვა წიგნებისა. (4; №199)
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ცნობის მიხედვით სახალხო განათლების სამინისტრომ ნება დართო გილდა განსის ასულს ზაქარიანს და ვარსენიკ სერმის ასულს სტეფანიანს გახსნან ტფილისში ახალი ენების კურსები. (1; №44)
- შესდგა საპატიო მანდილოსანთა კრება. კრებაზე შეიმუშავეს პროგრამა ქ. ტფილისში ლატარიის დღის მოწყობის შესახებ და გაანაწილეს მანდილოსნებს შორის სხვა და სხვა მოვალეობანი. ორგანიზაციის თავმჯდომარედ აირჩიეს შინაგან საქმეთა მინისტრის მეუღლე მ. რამიშვილისა. (1; №46)
- ქართული ლატარიის ბილეთების საჯარო ვაჭრობა დიდი დღესასწაულის სახით განზრახულია მოეწყოს ავლაბარში დამსახურებულ არტისტის ვასო აბაშიძის მეთაურობით. დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ მოხეტიალე მემუსიკე ილ. ქურხული და მგოსანი ქუჩიშვილი. (1; №44)

19 სექტემბერი

- დაბრუნდა ტფილისში სახალხო გვარდია, რომელიც ექვსი თვის განმავლობაში თავგამოდებით იცავდა ოჩამჩირის და სოხუმის რაიონებს ოსმალთა ასკერებისა და ბრბოებისაგან. (4; №202)
- სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის დეკანი პროფ. ივანე ჯავახიშვილი თელავს გაემგზავრა ორი კვირით დასასვენებლად. მის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა საბჭოს მდივანი პროფ. იოსებ ყიფშიძე. (1; №45)

20 სექტემბერი

- საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის სახელზე სოჭიდან შემდეგი დეპეშა მოვიდა: „გიგზავნით 20 სექტემბერს მომხდარ მიტინგზე გამოტანილ რეზოლუციას. ქ. სოჭის მოქალაქეთა საზოგადო კრებამ, რომელიც სოციალისტურ პარტიათა შეერთებულმა საბჭომ, ქალაქის საბჭოს წევრების მუშათა დეპუტატების საბჭოსი და მუშათა კავშირის ინიციატივით იყო მოწვეული მოისმინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლის და საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრის ევგენი გეგეჭკორის მოხსენება და დაადგინა მიიღოს შემდეგი რეზოლუცია: 1. რუსეთის ყოფილ სახელმწიფოს ერთად-ერთ ნაწილად, სადაც, არათუ აღიარებულია ხალხის სისხლით მოპოვებული რესპუბლიკანური წესწყობილება, არამედ განმტკიცებული ძირითად კანონებით – არის საქართველოს რესპუბლიკა. 2. დემოკრატიამ, რომელსაც მიზნად აქვს დასახული რუსეთის სხვადასხვა ნაწილების ერთ ძლიერ რესპუბლიკად გაერთიანება, ხელი უნდა შეუწყოს ხალხის სწორ-უფლებიანობის აღდგენას. 3. კრებას სასურველად მიაჩნია საქონლის გაცვლის მოწყობა ყუბანის ოლქთან, მაგრამ ეჭვობს, რომ სოჭის ოლქის შეერთება ყუბანთან გააძლიერებს სამხედრო დიქტატურის გავლენას და მოუსპობს მცხოვრებლებს დემოკრატიულ თავისუფლებას. 4. ოლქის ცხოვრების განვითარება თავისუფლების ნიადაგზე, ხალხის მმართველობა, მიწის რეფორმის გაყვანა, დემოკრატიული თვითმმართველობის შემოღება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ოლქი შეუერთდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.
  მოქალაქეთა კრება აცხადებს სურვილს, რომ საქართველოს მთავრობამ განსაკუთრებული დეკრეტით დროებით მოაწყოს სოჭის რესპუბლიკასთან დროებით შეერთება. კრების თავმჯდომარე პ. იზმაილოვი.
- შესდგა კახელ მევენახეთა საზოგადოება „კახეთის“ ადგილობრივ მუშა – მოსამსახურეების კრება. კრებას 8 საკითხი ჰქონდა გასარჩევი, მაგრამ ვერც ერთი ვერ გაარჩია. საუბედუროდ ჩვენდა მუშების დიდი უმრავლესობა კრებაზე მთვრალი გამოცხადდა. მოწინავე ამხანაგების ვალია ებრძოლოს მუშებში ასეთ მოვლენას, საჭიროა აქ დაარსდეს პარტიული „იაჩეკა“ და შიგ შეგნებული მოწინავე მუშების მუშაობა, რომ შემდეგში აღარ განმეორდეს ის, რაც აქ 20 სექტემბერს მოხდა. ხშირია აქაურ მოწინავეთა შორის კინკლაობა, რაც არ ახდენს კარგ გავლენას დანარჩენ მუშებზე. ისინი ხედავენ, რომ მოწინავე მუშები ვერ მორიგებულან, მათ ნდობა აღარ აქვთ და იქ არავითარ ორგანიზაციაზე ლაპარაკი არ შეიძლება. საჭიროა შეთანხმებული მუშაობა. (4; №205)
- ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი სახელმწიფო ღერბის შესახებ. მიიღეს ღერბი თეთრი გიორგისა და, შვიდი მნათობის გამოსახულებით. (7; 63)
- ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი დროებითი საგანგებო სასამართლოს შექმნის შესახებ, „იმ საქმეთა განსახილველად, რომელიც განისჯება 1918 წ. ივლისის 5-ის კანონით“. (7; 63)

21 სექტემბერი

- სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა ოჩამჩირიდან მიიღო დეპეშა კონიევისგან (კონიაშვილი), ჯუღელისგან და დგებუაძისგან: „სამურზაყანოს რაიონში ჩვენმა რაზმელებ-

მა შეიპყრეს 100 ასკერი ოსმალეთის ტანსაცმელში გამოწყობილი. ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ ორი, სამი დღის შემდეგ სამურზაყანოელები თვით დაამყარებენ წესრიგს, რადგან ყაჩაღთა მოთავენი დარწმუნდნენ თავიანთ სისუსტეში. გვთხოვენ პატიებას და თვით გვნებდებიანნ. (1; №47)

- თფილისში ჩამოვიდა ინგუშების, ოსების და ჩეჩენთა, ყუბანის, ყაზახების წარმომადგენელნი 60 კაცამდე ამ დღეებში. გერმანიის დელეგაციის წინადადებით შესდგება შეერთებული სხდომა საერთაშორისო დამოკიდებულების გამოსარკვევად. (1; №47)

22 სექტემბერი

- ველიამინოვის №12 მესამე და მეოთხე ნაწილის მოქალაქეთათვის მე-4 სანიტარული ნაწილის ხელმძღვანელობით გაიხსნა პირველი უფასო საჩაიე.
- გაიმართა კონცერტი კომპოზიტორ ნ. პ. სულხანიშვილისა. შვიდი თვე არის რაც ეს გუნდი არსებობს.
  ჩვენ ამ გუნდის დიდი იმედი გვქონდა, გვეგონა გაიზრდებოდა და განვითარდებოდა. მას ყველა თანაგრძნობით მიეგება გამოსვლისას, ყველამ გული და სული გაუშალა აღორძინების მომავლით. უკანასკნელი კონცერტი სუსტი და პირდაპირ სათაკილო კონცერტი იყო. ისედაც მცირე გუნდი 24 კაცი 10-12-მდე შემცირდა, ქართველების მაგიერ მოწვეული იყვნენ რუსები ოპერიდან. (1; №54)

23 სექტემბერი

- შუაღამისას რამდენიმე ბოროტგამზრახველნი თავს დაესხა სად. მუკუზანს. სროლის დროს მოკლულ იქნა მგზავრი საინტენდანტოს წარმომადგენელი ობხუზოვი. მოსამსახურეებმა ხმაურობა ატეხეს და თავდამსხმელნიც სროლით გაიქცნენ. ამ საქმის გამო დააპატიმრეს ამავე სადგურის მეისრე ნაპირელი და სამი რემონტის მუშა ძმები ხომასურიძეები, როგორც მონაწილენი თავდასხმაში. (4; №205)
- სოფელ ველისციხეში (კახეთი) საღამოს გაიმართა წარმოდგენა სომხურ და ქართულ ენებზე. სომხურად: „პატივი ჰამარ“ (პატივისთვის) შერვანზადესი; ქართულად „დატრიალდა ჯარა“ ყიფიანისა, სომხურ წარმოდგენის დროს ხალხს ეძინა, რადგანაც შინაარსი წარმოდგენისა მხოლოდ არტისტებს ესმოდათ და ზოგიერთ ადგილობრივ სომხურის მცოდნეთ. ქართული წარმოდგენა კარგად ჩატარდა. (4; №207)

24 სექტემბერი

- საქართველოს მთავრობამ შემდეგი დეპეშა მიიღო სოჭიდან: „21 ენკენისთვეს სოჭის მუშათა დეპუტატების საბჭომ განიხილა პოლიტიკური მდგომარეობა და დაადგინა: 1. ყველა ჩვენი ღონით ვეცადოთ ერთიან დემოკრატიული რუსეთის შესაქმნელად ფედერალურ საფუძველზე. 2. რადგან საქართველოს რესპუბლიკა ერთადერთი ნაწილია ყოფილ რუსეთის სახელმწიფოსი, სადაც დემოკრატიული იდეები დაცულია ძირითადი კანონებით, მაშინ როდესაც ყუბანში გამეფებული რეალური ძალა რეაქციულია და

რევოლუციის ყველა მონაპოვარის გაუქმებას ცდილობს, სოჭის მუშათა დეპუტატების საბჭო მომხრეა სოჭის ოლქი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შემოუერთდეს დროებით და სთხოვს საქართველოს მთავრობას შესაფერი ფორმა მისცეს თავის წარმომადგენლების საშუალებით ამ დროებით შემოერთებას საგანგებო აქტით.
სოჭის მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე. რ. მუზიკანსკი, მდივანი: ვ. ლევჩენკო, სოჭის ოლქის მუშათა კავშირის თავმჯდომარის მაგიერ პოპოვი.

- ეროვნული საბჭოს კანონით შეიქმნა მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი, როგორც ქალაქებში, ისე მაზრებში. (7; 71)
- მიხეილის ქუჩაზე სოფიო ჯანდიერის სამრეცხაოდან მოიპარეს 12 ათასი მანეთის ღირებულების თეთრეული. (4; №205)

25 სექტემბერი

- სომხებს უნდა აერჩიათ საქართველოს ეროვნულ საბჭოში 10 წარმომადგენელი. სოციალ-დემოკრატებმა დაასახელეს: ფირუმოვი და ივანიანცი, სოციალისტ-რევოლუციონერებმა ლ. თუმანოვი და თარხანოვი, კადეტებმა დოლუხანოვი და ბარხუდაროვი, დაშნაკელებმა დავიდხანიანი, ავეტისიანი და ზორიანი. დარჩა ერთი კაცი ამოსარჩევი, რომლის არჩევაში ვერ შეთანხმდნენ პარტიები. სოციალ-დემოკრატებმა დაასახელეს ამხ. ერზეკიანი. პირველად დაშნაკელები მომხრე იყვნენ მეათე სოციალ-დემოკრატებს გაეყვანა. ბოლოს, რადგანაც სოციალისტ-რევოლუციონერები დაშნაკელებს მიემხრნენ, უკანასკნელებმაც თავისი კანდიდატის გაყვანა მოისურვეს: კადეტები სოციალ-დემოკრატებს უჭერდნენ მხარს. მათ განაცხადეს, რომ თუ ს. დ. კანდიდატი არ გავა ხმას არავის არ ვაძლევთო. (4; №207)
- მრავალრიცხოვან სტუდენტთა თანდასწრებით გაიხსნა ტფილისის პოლიტეხნიკუმი. პროფ. მაქსიმოვმა ლექცია წაიკითხა. ამ წელს პოლიტეხნიკუმში დაარსდება ადგილობრივი ენების განსაკუთრებული კათედრა. სტუდენტთა რიცხვის რაოდენობით პირველი ადგილი ქართველებს უჭირავთ. (1; №54)
- 25-26 სექტემბერს მიმდინარეობდა მოლაპარაკებები საქართველოსა, მოხალისეთა არმიისა და ყუბანის რადას წარმომადგენლებს შორის, საზღვრების დადგენის მიზნით. თეთრი რუსეთის მხარე შეშფოთებული იყო საქართველოს ჯარების მიერ სოჭი-ტუაფსეს დაკავების გამო. (10; 285)

26 სექტემბერი

- შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით და მინისტრთა ამხანაგთა მახარაძის და საბახტარაშვილის მონაწილეობით შედგა პირველი სხდომა სოფლის საზოგადოებებში საავადმყოფოების დაარსების შესახებ. კრებას დაესწრნენ ეროვნული საბჭოს ჯანმრთელობის კომისიის წევრნი, ექიმები ივანე გომართელი და აბაკელია, სამინისტროსთან არსებულ სამკურნალო ნაწილის უფროსი ექ. მ. ო. ზანდუკელი, პროფ. შიროკომოროვი, ექ. ვირსალაძე, ყოფილი უფროსი კავკასიის სამკურნალო სამოქალაქო ნაწილისა ვეხნერი, ექიმები ელიაშვილი, რუხაძე, მეუნარგია და პროვიზორი ზაქარია

ჩიჩუა. კრებამ შეიმუშავა მთელი წყება იმ კანონპროექტის მუხლებისა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროსგანაა შედგენილი მთავრობასთან წარსადგენად.

- სიღნაღის მაზრაში საერობო არჩევნები დასრულდა. ამ დღეებში სიღნაღში გაიხსნება პირველი ერობის კრება. თბილისის გუბერნიის სხვა მაზრებში არჩევნები მხოლოდ ზოგიერთ ნაწილებში სწარმოებს. მუშაობის გამო გადადებული საერობო არჩევნები გუბერნიის ყველა ნაწილებში დანიშნულია 29 სექტემბერს. (4; №205)

27 სექტემბერი

- გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა კარლო ჩხეიძის თავმჯდომარეობით. საბჭო ამტკიცებს წინა სხდომებზე მიღებულ კანონპროექტების საბოლოო ტექსტს: კანონპროექტი საპარლამენტო ენის შესახებ.
  მომხსენებელი რაჟდენ არსენიძე: ახლო წარსულში საბჭომ მიიღო კანონი, რომლის თანახმად ეროვნულ უმცირესობათ უფლება ეძლევათ თავიანთი წარმომადგენლები გამოგზავნონ საბჭოში. ამის შემდეგ თავისთავად დაისვა საკითხი გამომუშავებულიყო სახელმწიფო ენა. ეს ჰქონდა მინდობილი საკონსტიტუციო კომისიას. ამ კომისიაში დავა არ გამოუწვევია იმ საკითხს, რომ ოფიციალურ, სახელმწიფო ენად ქართული ენა ყოფილიყო. სადავო შეიქმნა მხოლოდ კანონპროექტის მეორე ნაწილი, ე. ი. თუ როგორი ფუნქციები და უფლებები მიეცეს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს. ჩვენი სახელმწიფო დემოკრატიული რესპუბლიკაა, ეს ბევრ რამეს გვავალებს. პირველ ყოვლისა ყველა შიგ მცხოვრებ ერთა პოლიტიკური უფლებების უზრუნველყოფას. კომისიამ საჭიროდ დაინახა მისცეს უფლება უმცირესობათა წარმომადგენლებს თავის დედა ენაზე წარმოსთქვან საბჭოში სიტყვები და გამოხატონ თავისი სურვილები. ჩვენ გვგონია, რომ სახელმწიფოებრივი პრინციპით და ერთა თანასწორობის მოსაზრებით მათთვის ასეთი უფლების მინიჭება აუცილებელია... არის პრაქტიკული უხერხულობა. შეიძლება რომელიმე წარმომადგენლის ენა არ ესმოდეს პრეზიდიუმს, ან თავმჯდომარეს, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში გამოვდივართ ერის, მასის და არა ერთი მუჭა ხალხის, ინტელიგენციის მოსარჩლეებათ. უფლება ეკუთვნის ხალხს და არა მცირეოდენ ჯგუფს. (4; №208)
- შრომის სამინისტრო არკვევს კანონს შრომის საბჭოების დაარსების შესახებ. ეს საბჭოები გაუწევს მაგივრობას საქარხნო საქმეთა გამგეობას და მუშათა დასაზღვევ საზოგადოებებს.
- სამხედრო სამინისტროსთან განზრახულია მოეწყოს ორ-კლასიანი კურსები გერმანული ენის თარჯიმან ოფიცერთა მოსამზადებლად.

28 სექტემბერი

- დაიწყო საჯარო გაყიდვა ქართული ლატარიის ბილეთების. თანხა მოხმარდება უნივერსიტეტს და თეატრს. აკაკი ხოშტარიამ ლატარიას შესწირა 50 ათასი მანეთი. ასევე მესტამბემ, კილამბემ 2 ათასი მანეთი შესწირა ლატარიას, ნაღდ ფულად 1000 მანეთის ბილეთები შეიძინა. (1; №52)

- უკრაინიდან გერმანიის ტრანსპორტით ჩამოიტანეს ფოთში 114 ათასი ფუთი ხორბალი. ეს ხორბალი გერმანელებმა იყიდეს საქართველოს ქალაქთა კავშირისათვის, თამბაქოს ნაცვლად. ხორბალი, ტომრების მიღებისთანავე, ტფილისში გამოიგზავნება. (1; №54)

29 სექტემბერი

- შესდგა კრება საკრედიტო დაწესებულებებში მოსამსახურე კავშირის წევრთა. კრებამ დაადგინა თუ ამიერკავკასიის ბანკი არ დასთანხმდება ამ ბანკში მოსამსახურე ჭეიშვილის უკანვე მიღებაზე 3 დღის განმავლობაში, მაშინ მსახურნი ამ ბანკისა გაიფიცებიან, თუ შაბათამდე არ დაკმაყოფილებენ, მაშინ ტფილისის საკრედიტო დაწესებულებათა მოხელეები გაიფიცებიან, შემდეგ კი მთელი რესპუბლიკის მსახურნი. (1; №54)
- შესდგა ამიერ კავკასიის საბეითალო საზოგადოების წევრთა ყრილობა. აქ დაისვა საკითხი ამ საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ. ხმის უმეტესობით გადაწყდა ეს საზოგადოება ამიერიდან იწოდებოდეს „საქართველოს რესპუბლიკის ბეითალთა საზოგადოებად". აირჩიეს დროებითი გამგეობა 6 კაცისგან.
- განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს ამ მოკლე ხანში ტფილისის პოლიტეხნიკუმი შეუერთოს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ამის გამო განათლების მინისტრს შუამდგომლობა აღუძრავს მთავრობის წინაშე. (1; №53)
- ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმში შეიტანეს კანონ-პროექტი არაქართულ სასწავლებლებში ქართული ენის სავალდებულო სწავლების შესახებ. პირველ ხანებში ქართული ენა სავალდებულო იქნება მეოთხე კლასამდე, ხოლო ქართული ისტორიის სწავლება უფროს კლასებში რუსულ ენაზე იქნება. (1; №53)

30 სექტემბერი

- სოჭაში შესდგა მრავალრიცხოვანი ქართველთა კრება, გაირჩა კითხვა საქართველოს წარმომადგენლის გეგეჭკორისა (ევგენი გეგეჭკორი) და გენერალ მაზნიევისა (გიორგი მაზნიაშვილი), ერთის მხრით და ყუბანის მთავრობასა და მოხალისეთა არმიის წარმომადგენელთა, მეორე მხრივ. გაეცნო რა კრება მოლაპარაკებას და გამოარკვია რა საქმის ნამდვილი მდგომარეობა, კრებამ დაადგინა მიმართოს ეროვნულ საბჭოსა და რესპუბლიკის მთავრობას შემდეგი თხოვნით: „ქართველ მცხოვრებთ სწამთ თავისი რესპუბლიკის ძალა და მიიღებს ყოველ ღონეს რესპუბლიკის დასაცავად, ვინაიდან ალექსეევის მოხალისეთა რაზმი, რომელმაც დაიკავა სოჭის ოლქი, მუდამ მტრულ განწყობილებაში იქნება საქართველოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობასთანნ. ეს პეტიცია მიღებულ იქნა ერთხმად, ასევე უნდა მოხდეს სხვა ეროვნებათა მოქალაქეების კრებები. (1; №57)
- საქართველოს რკინის გზის ტყიბულის შტოზე სადგურ „მინერალურ წყლებზე" 4 შეიარაღებული ყაჩაღი მორჩაძის მეთაურობით თავს დაეცა მატარებელს და რამდენიმე მილიციელს და კამისარს იარაღი აჰყარეს, მოხსნეს ორთქლმავალი და 1 ღია ვაგონი და ტყიბულისკენ გაემგზავრნენ. (1; №55)

- საქართველოს მთავრობამ ცნობილ მეწარმე აკაკი ხოშტარიასთან და მის კომპანიასთან „რუსსკო-პერსიდსკოე ნეფტიანნოე ტავარიშჩესტვო“ ხელშეკრულება გააფორმა, მდ. რიონის წყლის რესურსების გამოყენების შესახებ. სხვა ღონისძიებებთან ერთად უნდა აგებულიყო 10 000 ცხენისძალიანი ჰიდროელექტროსადგური. ა. ხოშტარიამ დიდი კაპიტალი დააბანდა საქართველოში, მოაწყო მექანიკური, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სპილენძის ქარხნები. მის მიერ შეწირული ფულით მთავრობამ იყიდა „ლინკოლნის“ ტიპის ოთხი გემი.

1 ოქტომბერი

- ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. მასში აღნიშნული იყო, რომ „1. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა არის ქართული ენა. 2. საქართველოს ეროვნულ საბჭოში ყოველნაირი საქმის წარმოება და კამათი უნდა იყოს ქართულ ენაზედ. 3.ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, შეუძლია სიტყვა წარმოსთქვას დედაენით“. (7; 80)
- მოზრდილთა კერძო ქართულ გიმნაზიაში სწავლა დაიწყო. თხოვნების მიღება გრძელდება გიმნაზიის კანცელარიაში, ყაზბეგის ქ. №24. (1; №64)
- საღამოს 10 საათზე გამოურკვეველ მიზეზების გამო დაიწვა მცხეთიდან 273 ვერსის მოშორებით ხიდი, რის გამოც მატარებლის მიმოსვლა მცხეთასა და ავჭალას შუა შეწყვეტილია. (1; №59)
- ქართველ მსახიობთა კავშირს მოუვიდა წინადადება მთავრობისაგან სახელმწიფო თეატრში სეზონის მოსაწყობად მიაშველოს თავისი წევრები. ამის შესახებ შესდგა სასწრაფო კრება. (1; №55)
- დაიწყო ახალი აკადემიური წელი ტფილისის სახალხო უნივერსიტეტის ქართული განყოფილებისა, წელს ქართულად ლექციის მკითხველთა რიცხვი საკმაოა. ლექტორებად არიან ჩაწერილნი: სამს. დადიანი, შ. ნუცუბიძე, აკ. პაპავა, ქრისტ. რაჭველიშვილი და ა. შ. (3; №349)

2 ოქტომბერი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობის მიხედვით კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ საგანგებო ჟიურომ უკვე მოისმინა. ჟიურიში შედიოდნენ პროფ. ჩერეპნინი, პროფ. აიზბერგი, კომპ. სამინსკი, პიანისტი ნიკოლაევი, დირიჟორები სტოლერმანი და ცენოვსკი და არტისტების წარმომადგენელნი, აგრეთვე თეატრის კომისარი წუწუნავა და ანტრე-პრენიორი ლევიცკი, რომელთა ინიციატივითაც მოწვეულ იყო ჟიური. ერთხმად დაადგინეს დასდგან ოპერა, როგორც ნამდვილი ქართული ორიგინალური ხელოვნური ნაწარმოები. (1; №55)
- სამტრედიიდან შინაგან საქმეთა მინისტრმა იანეთის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის კოხრეიძის დეპეშა მიიღო. ა. კოხრეიძე სთხოვს მინისტრს ამ საზოგადოების ერთგულ სამსახურისთვის იანეთის საზოგადოება დაამტკიცოთ სოფლის საზოგადოებად და სხვა საზოგადოებებთან ერთად ნუ მოგვაკლებთ სახაზინო დახმარებასო. (1; №55)

- შინაგან საქმეთა მინისტრმა განკარგულება მოახდინა ტფილისის მილიციის უფროსის სახელზე, რომ დაუყოვნებლივ ჩამოერთვას მთელი უძრავ-მოძრავი ქონება ტფილისის სასულიერო გიმნაზიის ყოფილ უფროსს დეკანოზ ივ. ბუტირსკის და გადაეცეს ეს ქონება ჩასაბარებლად საკათალიკოსო საბჭოს წარმომადგენელს ივ. ნატროშვილს. (1; №56)

3 ოქტომბერი

- შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგა ჩრდილოეთ კავკასიის სოფელ ალაგირის ქართველების წარმომადგენელი ი. გ. უნგიაძე და შუამდგომლობა აღძრა, რათა მიიღონ ზომები ალაგირის ქართველების დასაცავად. მათ ოსები აწუხებენ. მინისტრმა აღუთქვა სწრაფი ზომების მიღება. (1; №56)
- სამხედრო მინისტრმა გრიგოლ გიორგაძემ ეროვნული საბჭოს წევრის სიმონ მდივანის თანდასწრებით აღლუმი გაუმართა ქუთაისის გარნიზონის ჯარებს მათ ყაზარმებში. ჯარის მდგომარეობით მინისტრი კმაყოფილი დარჩა. სამხედრო მინისტრმა დეპეშით აცნობა მთავრობის თავმჯდომარეს, პირველი დივიზიის შედგენის საქმე კარგად მიდისო. (3; №348)
- თფილისში ტრამვაის მოძრაობა გაჩერდა შეშის უქონლობის გამო, რადგან მისი მიღება დაბრკოლდა ტექნიკური მიზეზების გამო.

4 ოქტომბერი

- დილის 11 საათზე, პუშკინის ქუჩაზე მეპურეებმა ძლიერ სცემეს ერთ მეპურეს პურის იაფად გაყიდვისათვის. (1; №59)
- ეროვნული საბჭოს სხდომაზე მიმდინარეობდა დებატები, საკანონმდებლო საბჭოს ახალი სახელწოდების შესახებ. იყო წინადადება რომ ეროვნულ საბჭოს წოდებოდა „რესპუბლიკის დარბაზი". ესერების წინადადება იყო: „საქართველოს სახალხო საბჭო"; სოციალისტ-ფედერალისტებისა: „რესპუბლიკის საბჭო", რომელიც ეროვნულ-დემოკრატებსაც მისაღებად მიაჩნდათ. საბოლოოდ გაიმარჯვა სოციალ-დემოკრატების წინადადებამ, რომლის თანახმადაც საკანონმდებლო ორგანოს ეწოდა: „საქართველოს პარლამენტი". (7; 81)
- სომეხთა და საქართველოს მთავრობამ შეჰკრეს ხელშეკრულება რკინის გზებზე საქონლის გადატანის კონვენციის შესახებ. (1; №57)
- სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ წინადადება შეიტანა ეროვნული საბჭოს სახელწოდების შეცვლის შესახებ, რათა მას წოდებოდა „საქართველოს პარლამენტი". ფრაქციის წინადადებამ მიიღო 40 მომხრე და 30 საწინააღმდეგო ხმა. საკონსტიტუციო კომისიის წინადადება, რომ ჩვენი პარლამენტისთვის დაერქვათ „სახელმწიფო დარბაზი", უარყოფილი იქმნა. უარყოფილ იქმნა აგრეთვე სოციალისტ-ფედერალისტთა წინადადება, რომ მიეღოთ „საქართველოს რესპუბლიკის საბჭოს" სახელწოდება. სოციალ-დემოკრატთა წინადადებას ხმა მისცეს სომხებმა. (2; №186)

5 ოქტომბერი

- შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით დაიხურა გაზეთი „სვობოდნოე სლოვო“, მის ნაცვლად „ნოვოე სლოვო“ გამოვიდა. (2; №188)
- გერმანიის ელჩი საქართველოში გრაფი შულენბურგი ტფილისში დაბრუნდა. (2; №190)
- შესდგა პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს კრება. კრებაზე გაირჩა კითხვა ამიერ-კავკასიის ბანკში მოსამსახურეების გაფიცვის შესახებ, რომელიც გამოცხადდა 4 ოქტომბერს. ეს კონფლიქტი, როგორც კრებამ გამოარკვია, მზადდებოდა მთელი სამი თვის განმავლობაში და საკითხის მომრიგებელი კამერის სახელზე გადაცემის შემდეგ მოსამსახურეებმა, რადგან არ მიიღეს შესაფერი გადაწყვეტილება, მიმართეს უკანასკნელ ზომას. უმთავრესი მიზეზი კონფლიქტისა მდგომარეობს იმ დეკრეტში, რომლითაც კომიტეტებს 14 იანვრიდან ერთმევათ უფლება მოსამსახურეების დათხოვნა-მიღების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა რა მიზეზები კონფლიქტისა, თან დაუმატა, რომ ამ საქმის მოწესრიგება მოხდეს მშვიდობიანის გზით და გადაეცეს ეს კითხვა საჩქაროთ მთავრობას.

  კრებაზე დამსწრე შრომის მინისტრის ამხანაგმა ერაძემ აღნიშნა აუცილებლობა ისეთი ორგანოს შექმნისა, რომელიც ერთხელ და ყოველთვის დაიცავს მუშა-მოსამსახურეების ინტერესებს. (1; №60)
- კონსერვატორიის დარბაზში გაიმართა გალაქტიონ ტაბიძის საღამო. საღამო ორი განყოფილებისგან შესდგებოდა: პირველ განყოფილებაში სიტყვები წარმოსთქვეს გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაზე გრიგოლ რობაქიძემ, ვახუშტი კოტეტიშვილმა, ტიციან ტაბიძემ და ალ. არსენიშვილმა. მეორე განყოფილებაში ლექსები წაიკითხეს გალაქტიონ ტაბიძემ „ლურჯა ცხენები“, „თოვლი“ და სხვა. ტიციან ტაბიძემ „მალარია“. გრიგოლ რობაქიძემ „აქლემი“ და ა. შ. (3; №352)

6 ოქტომბერი

- გერმანე გოგიტიძემ უკვე დაასრულა „ქრისტინეს“ კინემატოგრაფიული ლენტი. პიესა პირველად ტფილისის კინემატოგრაფებში წავა. (1; №59)
- გაიმართა მთავრობის სხდომა, რომელმაც მოიწონა შინაგან საქმეთა მინისტრის კანონ-პროექტი რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამკითხველოების და წიგნთსაცავების გახსნის შესახებ. სახარჯოთ გადადებულია 50 ათასი მანეთი, მილიონიან ფონდიდან. (1; №60)
- კვირას, გ. თ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით შედგა დამფუძნებელი კრება ქართულ იურიდიულ საზოგადოებისა. დაამტკიცეს წესდება და მოხდა არჩევნები: თავმჯდომარეთ საზოგადოებისა არჩეულ იქმნა დ. ვ. კვირკველია, მის ამხანაგად გ. ზ. ჩაჩიბაია, გამგეობის წევრებად გ. თ. ჟორდანია (იგივე მდივანი) ა. გ. ბებურიშვილი, ს. კ. მხეიძე, ა. მ. ახნაზაროვი (იგივე ხაზინადარი) და პროფ. ყიფშიძე. (1; №61)
- კონსერვატორიის დარბაზში გაიმართა დისპუტი „ქორწინება და თავისუფალი სიყვარული“. აუარებელი ხალხი დაესწრო. თავმჯდომარეობდა გრიგოლ რობაქიძე. მოხსე-

ნება წაიკითხა პოეტმა სერგეი გოროდეცკიმ, სიტყვები თქვეს ვ. ზელინსკიმ, ი. ლვოვმა, ქ. თარხნიშვილისამ, ტ. ტაბიძემ, გ. კრუჩიონისმა და სხვებმა. (2; №188)

7 ოქტომბერი

- ბორჯომის მუშათა საქმე დამთავრდა. ხელი მოაწერეს ხელშეკრულებაზე. ერთი ამ კითხვათაგანი სახელდობრ, მუშების დაკმაყოფილება სექტემბრის ჯამაგირით გადაეცა განსახილველად ცენტრალურ მომრიგებელ კომერას. (1; №61)
- თბილისის საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე ყოფილ კონტროლის პალატის მოხელის თეოფილე იოსების ძე კობეშავიძისა, რომელსაც ბრალდებოდა 6 მარტს 1916 წ. ტფ. ქალაქის ბაღთან მინკვიცევის ქუჩის კუთხეში, გათენებისას გიორგი ზარიძის დაჭრა, იმ დროს როდესაც მას კობეშავიძეს და მის ამხანაგს თავს დაესხნენ 6 უცხო პირნი. ბრალმდებელი იყო გ. ნატვროშვილი, თავმჯ. ე.ვ. ჩემისოვი, წევრები მ. დ. ორჯონიკიძე და გალუსტიანცი. ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი კ. დ. ზელენსკი. თათბირის შემდეგ სასამართლომ კობეშავიძე გაამართლა. (1; №61)

8 ოქტომბერი

- ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებული კანონით ეროვნული საბჭოს სახელწოდების შეცვლის“ შესახებ, ეროვნულ საბჭოს ოფიციალურად ეწოდა „საქართველოს პარლამენტი“. ამის შესახებ ნოე ჟორდანია აღნიშნავდა: „იმით, რომ ჩვენს ნაციონალურ საბჭოს პარლამენტი დავარქვით, მართლა პარლამენტი არ გამხდარა... ის არსებითად დარჩა ნაციონალურ საბჭოდ“. (ნოე ჟორდანია. პატარა წიგნი თანამედროვე საქართველოზე. თბილისი. 1920). (7; 81)
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობის მიხედვით, ამიერკავკასიის პროფესორთა საბჭოს სხდომაზე უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს რაზუმოვსკი. (1; №60)
- გერმანულ საქველმოქმედო საზოგადოების მიერ მოწყობილმა საღამომ მეორე ქართულ კლუბში დიდ ძალი საზოგადოება მიიზიდა. საღამო შემოსავლიანიც იყო. (1; №60)
- თბილისის საგუბერნიო ციხესთან არსდება ამ ინსპექციაში მოსამსახურეთა კოოპერატივი „ნუგეში“. აღნიშნულ კოოპერატივის მოგების ნახევარი გადაიდება იმ ტუსაღთა სასარგებლოდ, რომელნიც ციხიდან განთავისუფლდებიან. (3; №352)

9 ოქტომბერი

- თელავის მაზრაში ერობის არჩევნები დამთავრდა. სულ მონაწილეობა მიიღო 8410 სულმა, №1, სოციალისტურ ბლოკმა მიიღო 1866 ხმა, ეროვნულ-დემოკრატებმა 544 ხმა. (1; №61)
- ივ. პ. როსტომაშვილი განათლების მინისტრის განკარგულებით დაინიშნა თელავის წმ. ნინოს გიმნაზიის გამგედ. (1; №61)
- ქალაქის საბჭოს კრება შესდგა გადადგომილ ქალაქის გამგეობის მაგივრათ ახალი არჩევნების მოსახდენათ. კრების დაწყებამდე საბჭოს ფრაქციებს თათბირი ჰქონდათ არ-

ჩევნების გამო. ამიტომ სხდომა დაიწყო საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგის გ. ს. თავჯიანის თავმჯდომარეობით. ხმოსანთა შორის დარბაზში ისხდნენ მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ნოე ჟორდანია, შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი, ე. გეგეჭკორი და აგრეთვე სხვა პარტიების ლიდერები.

ამოირჩიეს ქალაქის მოურავათ ნ. ზ. ელიავა, რომელმაც მიიღო 41 თეთრი და 3 შავი კენჭი. მის ამხანაგათ გ. გ. კონიევი. ქალაქის გამგეობის წევრებათ ამოირჩიეს: 4 სოციალ-დემოკრატი, ერთი დამოუკიდებელი ესერი და ერთი მაჰმადიანთა პარტიის წევრი. (1; №63)

10 ოქტომბერი

- გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სხდომა, რომელზეც მიიღეს რამდენიმე პუნქტიანი დადგენილება აფხაზთა სახალხო საბჭოს შესახებ. ეს გადაწყვეტილება გამოიწვია რამდენიმე გარემოებამ: მთავრობას დიდი ხანია მოსდიოდა ცნობები, რომ აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრთა ნაწილი, უმთავრესად კი თავად-აზნაურობის წრიდან, დაადგა რა აფხაზეთის სახალხო საბჭოს და მთელი სოხუმის ოლქის მცხოვრებთა ინტერესების ღალატის გზას, სცდილობდა აფხაზეთის ხალხის და მთელი სახელმწიფოს საქმეებში მოეხდინა ჩარევა, ჯერ ოსმალთა და შემდეგ ალექსეევის ჯარით. მთავრობის დადგენილების მიხედვით აფხაზთა სახალხო საბჭო დათხოვნილად გამოცხადდა და დაინიშნა ახალი არჩევნები. დროებით სოხუმის ოლქის კომისრად დაინიშნა ბენია ჩხიკვიშვილი. (22; 28)
- იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ კომისიამ საქართველოს უზენაეს სასამართლოსათვის დაადგინა საქართველოს სენატის სახელწოდება. (2; №190)

11 ოქტომბერი

- ონის ებრაელებმა საერთო მიტინგზე გადასწყვიტეს, მიჰმართონ მთავრობას და აცნობონ მას თავისი პროტესტი თბილისის ებრაელთა „ობშჩინის" მოღვაწეობის გამო, რომელიც დაუკითხავად იწვევს ებრაელთა ყრილობას. (2; №193)
- გაიმართა პარლამენტის სხდომა კარლო ჩხეიძის თავმჯდომარეობით. განიხილეს საკითხი უმცირესობათა წარმომადგენლების ენის ხმარების შესახებ პარლამენტში. წარმოდგენილი იყო კომისიის უმცირესობის და უმრავლესობის პროექტი. უმეტესობის პროექტის მომხსენებელი – არჩილ ჯაჯანაშვილი, უმცირესობისა – რ. არსენიძე. პირველმა მომხსენებელმა მოითხოვა, რომ უმცირესობათა წარმომადგენელთათვის ენის საკითხი დარჩეს ისე, როგორც ეროვნულმა საბჭომ დაადასტურა, რადგან უმცირესობის პროექტი ძირითადად ეწინააღმდეგებოდა ამის შესახებ მიღებულ კანონს.

  არსენიძის აზრით კი კომისიის უმცირესობის პროექტი სრულიადაც არ ეწინააღმდეგება კანონს, ის მხოლოდ მოგვცემს საშუალებას მიღებული კანონის განხორციელებისთვის. კამათი გამწვავდა, მონაწილეობა მიიღო ყველა ფრაქციამ. კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიუღია არც ერთ ფრაქციას გარდა მეწშევიკებისა და სოციალ-ფედერალისტებისა, რომლებმაც უმცირესობათა პროექტის წინააღმდეგ მისცეს ხმა. ეროვნულ-დე-

მოკრატებმა სრულიად დატოვეს დარბაზი. მიღებულ იქნა კომისიის უმცირესობათა პროექტი, რომელიც მუხლობრივ იქნა განხილული. კრება გაგრძელდა საღამოს 6 საათამდე. (1; №65)

- სოფ. ყაზბეგში მოხდა ყაზბეგის, სნოსა და ცდოს მცხოვრებთა კრება, ყაზბეგის რაიონის კომისრის ალექსანდრე ფიცხელაურის თავმჯდომარეობით. კრებამ იქონია მსჯელობა, რომ ტფილისიდან დაწყებული დარიალის ხეობამდე გზებში გავრცელდა ყაჩაღთა ბრბოებისგან ძარცვა-გლეჯვა და დაადგინა: ეთხოვოს ტფილისის გუბერნიის კომისარს მოგვცეს სნოს, ყაზბეგის და ცდოს მცხოვრებთა საიმედო პირებს, როგორც სამშობლოს ერთგულთ, იარაღის ტარების ნება, რათა დავიცვათ თავი გზებში მძარცველთა ბრბოებისგან. ტფილისის გუბერნიის კომისარ შ. ნ. მაღლაკელიძისგან ყოველგვარი კანონის დაცვით, მათ მიეცათ ამის ნებართვა. (1; №66)
- ეროვნულ საბჭოს ხელოვნების სექციამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, ყოფილ დიდების ტაძრის შენობა რუსთაველის პროსპექტზე აგებული, გადაეცეს სექციას სხვა და სხვა მხატვრულ გამოფენათა მოსაწყობად. ეს ცნობა მოხსენდა სამხედრო მინისტრსაც. (1; №63)
- ქართული მუსიკალური სკოლის წარმომადგენლები იყვნენ მთავრობის თავმჯდომარესთან დედათა ინსტიტუტის შენობის დათმობის შესახებ. ბატ. ჟორდანიამ დიდის თანაგრძნობით დახმარება აღუთქვა.
  სახელოვნო კომისიამ დაავალა ბატონ ალექსანდრე ახმეტელს დაათვალიეროს დედათა ინსტიტუტის შენობა ქართული მუსიკალური სკოლის მოსათავსებლად. (1; №63)

12 ოქტომბერი

- საჩხერეში დატრიალდა საშინელი უბედურება: გაძლიერებულმა ცეცხლმა იმსხვერპლა 30 ოჯახის კარ-მიდამო და ქონება. დაზარალებულები ქუჩაში ყრიან უბინაოდ. დაზარალებულია აგრეთვე კულტურული დაწესებულებანი: თეატრი, კოოპერატივი და სამკითხველო. დამხმარე კომიტეტი გთხოვთ დასვათ პარლამენტის წინაშე ჩვენი თხოვნა დაზარალებულთათვის დახმარების შესახებ მთავრობის თავმჯდომარეს აცნობეთ ყოველივე. კომიტეტის თავმჯდომარე ჭოღოშვილი. (1; №71)
- მილიციამ შეიპყრო საეჭვო ეტლი, რომელზეც საცვლები მიჰქონდათ, 20 ათასი მანეთის ღირებული. კომისარმა შეიპყრო ოფიცრები ჯაჯანოვი და წერეთელი, რომელთაც ბრალდებათ ეს ქურდობა. (1; №65)
- დღეს საღამოს კონსერვატორიის დარბაზში გიორგი მამრაძე წაიკითხავს მოხსენებას „ახალშობილ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაზენ. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი. (1; №64)

13 ოქტომბერი

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტზე სწავლა დაიწყო. სხვა ფაკულტეტებზე 20-25-ში დაიწყება. საქმეს აფერხებს ლტოლვილების მიერ დაზიანებულ შენობის შეკეთება, რაც საგანგებო კრედიტს იწვევს. (1; №65)

- მუშათა კლუბში უცნობ აფიცერსა და საღამოს გამგე კურნერს შორის პირად ინტერესებისთვის ლაპარაკი მოხდა. აფიცერმა რევოლვერით კურნერი დასჭრა, აფიცერი ტუღუში და ერთიც უცნობი აფიცერი მიიმალა. (1; №66)

14 ოქტომბერი

- საქართველოს რადიო სადგურის ინსპექტორმა აცნობა მთავრობას, რომ ფოთში დაარსდა რადიო სადგური, რომელსაც კავშირი ექნება სტამბოლს, კერჩს, ოდესას, ნიკოლაევსა და ბერლინთან. (1; №78)
- ქალაქის საბჭოს კრება მოხდა გ. ს. იაგჯიანის თავმჯდომარეობით. დაშნაკცაკანის (ასე მოიხსენიებდნენ დაშნაკ-ცუტიუნის პარტიას) წარმომადგენელმა ზარგარიანცმა თავმჯდომარეს სთხოვა რიგს გარეშე განცხადების მოსახსენებლად. მან მოკლე სიტყვაში გადმოსცა ის საშინელი ამბები, რაც ოსმალთა ჯარმა ბაქოში დაატრიალა 16-17 სექტემბერს, კერძოდ დაარბია მშვიდობიანი მოსახლეობა, არ დაინდო არც ბავშვები, არც ქალები. სამი დღე არბევდნენ ბაქოს უმოწყალოდ. ზარგარიანცის თქმით ნამეტნავად სომეხი მოსახლეობა დაზარალდა.
  ქალაქის საბჭომ ერთხმად მიიღო დაშნაკცაკანების ფრაქციის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია და დაადგინა 50 ათასი მანეთი გადადოს დაზარალებულთა შემწეობის აღმოსაჩენათ. (1; №66)

15 ოქტომბერი

- დილის 9 საათზე, შრომის სამინისტროში დაიწყო საერთო თათბირი საფინანსო და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკაში და რკინის გზის მოსამსახურეთა მდგომარეობის შესახებ. თათბირს დაესწრნენ წარმომადგენლები ფინანსთა, გზათა, სასურსათო და შრომის სამინისტროებისა. (1; №66)
- გაიმართა პარლამენტის სხდომა ექვთიმე თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. განიხილეს რამდენიმე კანონ-პროექტი, რომელიც ეხებოდა უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის პარლამენტში სამუშაო ენას, ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონების გავრცელებას, სახალხო მასწავლებლების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ა. შ. (1; №67)
- გაიმართა ტფილისის ებრაელების ეროვნული საბჭოს მიერ მთელი საქართველოს ებრაელების ყრილობა. (3; №360)

16 ოქტომბერი

- ღამე, „დეზერტირთა ბაზარზე“ შეიარაღებული ბოროტ-მოქმედნი გაძარცვის მიზნით დაეცნენ როსამვილის სავაჭროს. მილიციელები დროზე გამოჩნდნენ, რის გამოც ბოროტგამზრახველნი სროლით გაიქცნენ და მიიმალნენ. სროლა კარგა ხანს გაგრძელდა მილიციელთა და დამცემთა შორის. (2; №196)
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით, სომხურ გაზეთებს ატყობინებენ, რომ ბაქოს აღების დროს ქართველები დიდ დახმარებას უწევდნენ სომხებს; შავ ქალაქში

მთელი ლაზარეთი გადაარჩინეს. სომხებს დახმარებას და მფარველობას უწევდნენ პოლონელები და ადგილობრივი ოსმალეგიც. (1; №66)

- მიწათ-მოქმედების მინისტრმა წინადადება შეიტანა მთავრობაში, რომ გამოცემულ იქმნას კანონი იმის შესახებ, თუ რაოდენი მიწა უნდა მიეცეს თითო სულს გლეხს, რათა ამითი აცილებულ იქმნას გლეხთა შორის მოსალოდნელი არასასურველი საქმის გამწვავება. ამ წინადადების მიზეზად ის არის დასახელებული, რომ ამ ბოლო დროს გახშირდა თვითნებობით დაჭერა ხაზინის მიერ მოზომილ მიწებისა, რომლითაც სარგებლობდნენ არა თუ კერძოდ გლეხნი, არამედ მთელი სოფლის საზოგადოებებიც. (1; №66)

17 ოქტომბერი

- ნაშუადღევის პირველ ნახევარზე შესდგა პარლამენტის არა ჩვეულებრივი კრება. ბერლინიდან დაბრუნებულმა ჩვენი დელეგაციის მრჩეველმა ბატონმა ნიკო ნიკოლაძემ წარუდგინა პარლამენტის წევრებს მოხსენება იმ 4 ხელშეკრულების შესახებ, რომელიც დასდო ჩვენმა დელეგაციამ გერმანიასთან. ირაკლი წერეთლის წინადადებით, მოხსენება, როგორც მასალა, გადაეცა საფინანსო კომისიას. (1; №68)
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაადგინა: ყველა სოფლის საზოგადოებაში დაარსებულ იქნეს ფოსტა ტელეგრაფი, კანტორები და ტელეფონის სადგური. (3; №359)

18 ოქტომბერი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციამ მიიღო გერმანულ ენაზე წიგნი: „საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა“ შედგენილი ცნობილ პროფ. ლისტის მიერ. წიგნი გამოცემულია ბერლინში. ამ დღეებში მის თარგმანს ჩვენს გაზეთში მოვათავსებთ. (1; №68)
- თბილისში ჩამოვიდა არტისტი ქალი რ. ნ. კრაიევსკაიასი, რომელიც მოწვეულია ტარტუს თეატრში სათამაშოდ. კრაიევსკაიასა კავკავიდან გამოსულა 12 ოქტომბერს ავტომობილით, მაგრამ სადგურ ბალთაში ბოლშევიკების დარაჯებს გაუჩერებიათ, დაწვრილებით გაუჩხრეკიათ და გაჩხრეკის დროს აღმოუჩენიათ რამდენიმე წერილი არტისტი ქალის ნ. ა. ბუტკევიჩის სახელზე, რომელიც ამ უკანასკნელის მეგობრებს კრაიევსკისას ხელით მისთვის გამოუტანებიათ ჩრდილოეთ-კავკასიიდან. ეს ბოლშევიკების კამისარებისთვის საკმაო ყოფილა, რომ ქ-ნი კრაიევსკაიასი დააპატიმრონ და უკანვე კავკავის ციხეში გაგზავნონ, როგორც მონაწილე კონტრ-რევოლუციონერ ქ-ნ ბუტკევიჩისასი, რომელმაც „გაბედა“ და ტფილისის გაზეთებში აღწერა ამიერ კავკასიაში მოგზაურობის შემდეგ ბოლშევიკების „ვაჟ-კაცობა“. (1; №69)
- ღამით გარდაცვლილა ყოფილ ამიერ კავკასიის რესპუბლიკის მიწათ მოქმედების მინისტრის ამხანაგათ ნამყოფი ალ. შახატუნი. (1; №70)

19 ოქტომბერი

- ღამით კოოპერატივი „მეურნე“-ს საწყობი გაუქურდავთ. წაუღიათ 100 ათასი მან. ღირებული სხვა და საქონელი. (1; №71)

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციამ მიიღო „სომეხთა სახალხო პარტიისგან“ გამოცემული სომხურ ენაზე პატარა ბროშურა „ერობა სომხეთში და საქართველოში“, თხზულება გ. თუმანოვისა. (1; №69)
- „ძმურ ნუგეშში“ გაიმართება ოჯახური საღამო. დაუკრავს მუსიკა. სანოვაგის ფასები ჩვეულებრივია, გაიმართება აგრეთვე ამერიკული აუქციონი. (3; №360)

20 ოქტომბერი

- ჩამოვიდა გერმანიის დიპლომატიური წარმომადგენელი გრაფი შულენბურგი. (1; №71)
- ტფილისსა და ფოთს შუა მიმოსვლა დაიწყო ჩქარმა მატარებელმა, რომელიც შედგენილია სამივე კლასის ვაგონებიდან და ადგილები დათარიღებულია. (1; №71)
- ფინანსთა მინისტრს მიენდო დაუყოვნებლივ მისცეს გზათა მინისტრს სესხის სახით ტყიბულის მუშების ჯამაგირების დასაკმაყოფილებლად საჭირო ფულები: კრედიტი 450, 000 მანეთი სამხედრო სამინისტროს კრედიტიდან და 400, 000 მან. სასურსათო საბჭოს კრედიტიდან.
- შესდგა ბახვის სოციალ-დემოკრატიული რაიონული ახალი კოლექტივის კრება. დღის წესრიგში დასმული კითხვების გარჩევამდე კრებამ აირჩია პრეზიდიუმი. თავმჯდომარედ ს. ბორჩხაძე, ამხანაგათ მ. ბოლქვაძე, ხაზინადრათ კ. ჯინჭარაძე და მდივნათ ხ. ბორჩხაძე. თბილისში ყრილობაზე დასასწრებლად კრებამ აირჩია ალექსანდრე ლომთათიძე. ბახვის ეკლესიის გაძარცვის შესახებ კოლექტივი საჭიროდ სცნობს იქნას განახლებული მუშაობა ქურდების აღმოსაჩენად. (4; №241)

21 ოქტომბერი

- საღამოს სასტუმრო „მირ“-ში შევიდნენ შეიარაღებული ბოროტმოქმედნი და გაიტაცეს 8500 მანეთი. (1; №72)
- თელავს ეწვია შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი, რომელიც ესტუმრა სახელმწიფო და სასწავლო დაწესებულებებს. მოინახულა ვაჟთა გიმნაზია, პირველდაწყებითი სასწავლებელი, სომხური გიმნაზია. (1; №77)

22 ოქტომბერი

- შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. ვ. რამიშვილი გაემგზავრა ქ. სიღნაღს, სადაც მოხსენებას წაიკითხავს მთავრობის მოქმედებათა შესახებ. აქედან მინისტრი ამავე მიზნით თელავისკენ გაემგზავრება. (1; №71)
- თბილისის სახალხო სახლში შესდგა მიტინგი-კრება ბაქოს ამბების შესახებ. ქ. ბაქოს დროებითი აღმასრულებელ კომიტეტის წევრის აიოლოს მოხსენების შემდეგ, კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: მოვისმინეთ რა ქ. ბაქოს დროებითი აღმასრულებელ კომიტეტის წევრის აიოლოს მოხსენება, ჩვენ ტფილისის მოქალაქენი, ღრმა პატივისცემის ნიშნად ქედს ვიხრით ქ. ბაქოს დაცვის დროს გმირულად დაღუპულთა წინაშე და პატივისცემით ვიხსენებთ ფრონტზე და ქალაქში დახოცილთ. ღრმათ აღშფოთე-

ბულნი ვართ ადერბეიჯანის და ოსმალეთის ჯარის მოქმედებით, რომელნიც მხეცურად ჟლეტდენ მშვიდობიან მცხოვრებთ, ზიზღს ვუცხადებთ ხოცვა-ჟლეტის მომწყობთ და გვწამს, რომ საზიზღარი პროვოკაცია, რომელიც ოსმალეთის იმპერიალიზმის სასარგებლოთ აღვივებს ეროვნებათა შორის შუღლს, ხელს არ შეუშლის მაჰმადიანთა და ქრისტიან დემოკრატიის დამეგობრებას საერთო მშვიდობიან მუშაობაში და რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნებაში.

- „ტფილისის ლისტოკის" გამომცემელ ხ. გ. ხაჩატუროვს მიუყიდნია თავისი გაზეთი ამხანაგობისთვის, რომელსაც შეადგენენ აზოვოდონის ბანკის უმთავრესი ბუხჰალტერი ლ. იახნინი, იენჩმენი და ძმები კარლინსკები. თვით ბატ. ხაჩატუროვიც შედის ამ ამხანაგობაში. (1; №71)

23 ოქტომბერი

- შრომის კომისარმა დაათვალიერა აბრამოვიჩის და ამხანაგობის მაკარონის ქარხანა და აღმოაჩინა მცირე წლოვანთა მუშაობის კანონის დარღვევა. კომისარმა ქარხნის პატრონს ოქმი შეუდგინა და პასუხისგებაში მისცა. (1; №77)
- შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო-სასანიტარო ნაწილის განკარგულებით დაინიშნა საგანგებო კომისია, რომელიც შეუდგა რევიზიას ტფილისის აფთიაქებისა და სააფთიაქო საწყობებისა. (1; №72)
- სოხუმში გაიგზავნა ექიმი არჯევანიძე სამკურნალო-სასანიტარო მდგომარეობის აღსანუსხავად. (1; №72)

24 ოქტომბერი

- ქვეშევრდომობის კანონის შესახებ მთავრობამ მიიღო დამატებითი განმარტება იმ სახით, რომ პრინციპათ დაიდოს თავისუფალი ნება მოქალაქისა ე. ი. მიიღოს ქვეშევრდომად ის, რომელიც ამას მოისურვებს. (1; №73)
- მთავრობის დადგენილებით უნდა მოწვეულ იქმნას თათბირი ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკის წარმომადგენელთა სადაო საკითხთა გადასაწყვეტათ. (1; №73)
- დღის 4 საათზე სასახლის ქუჩაზე ტფილისის საოქრომჭედლო მაღაზიაში შევიდა 3 შეიარაღებული ბოროტმოქმედი, მაღაზიაში მყოფ ყველას ხელები გაუკრეს და მთელი სახელოსნო გაძარცვეს, წაიღეს მრავალი ძვირფასი ნივთი, რომლის რაოდენობაც გამოურკვეველია. (1; №75)
- გზათა მინისტრის განკარგულებისამებრ ბაქოში გაიგზავნა ტფილისიდან 50 ნავთის ვაგონები, რომელიც საქართველოს რკინის გზამ დროებით მიაქირავა ადერბეიჯანის მთავრობას. (1; №76)

25 ოქტომბერი

- შედგა საქართველოს პარლამენტის სხდომა ექვთიმე თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. განიხილეს კანონ-პროექტი შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის დამთავრების შესახებ. მომხსენებელმა გობეჩიამ აღნიშნა, ამ გზის დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური

მნიშვნელობის შესახებ და გამოთქვა სურვილი, რათა შეცვლილი ყოფილიყო გზის მიმართულება ქ. ზუგდიდის სასარგებლოდ. იქვე დასძინა, რომ ასეთ მიმართულებას მოითხოვს ხალხის ეკონომიკური და რესპუბლიკის პოლიტიკური ინტერესები. შემდეგ კანონი მუხლობრივად განიხილეს და პარლამენტმა უცვლელად მიიღო. (1; №76)

- საქართველოს პარლამენტმა დაიწყო დამფუძნებელი კრების არჩევნების და ხარჯთაღრიცხვის შესახებ დებულების განხილვა. გადაწყდა რომ უნდა ჩამოყალიბებულიყო ცენტრალური, სამაზრო, საქალაქო და სასოფლო კომისიები; დამფუძნებელი კრების დეპუტატთა რიცხვი განისაზღვრა 130-ით, დეპუტატობის კანდიდატობის ასაკად დადგინდა 20 წელი. (1; №76)
- ამ დღეებში თბილისში დაარსდა სახელოვნო საზოგადოება სახელწოდებით „თეთრი გიორგი". საზოგადოების და გამგეობის თავმჯდომარეთ იმყოფება მგოსანი გალაქტიონ ტაბიძე. საზოგადოება უკვე შეუდგა მუშაობას და მოკლე ხანში გამოსცემს გაზეთებს, მოაწყობს საღამოებს და სხვა. (1; №74)
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციამ მიიღო მიხაკო წერეთლის შრომა გერმანულ ენაზე „ახალი საქართველო", ბერლინში გამოცემული. (1; №74)
- აფხაზთა საქმეთა მინისტრმა აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ თანახმად გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარის გენ. ფონ კრესის ცნობისა, გერმანელთა ახალშენების გნადენბერგის და ნეინდორფის მცხოვრებთა წინააღმდეგ ესტონელები და ლატიშები აგიტაციას ეწევიან იმ მიზნით, რომ ისინი აჰყარონ ამ ადგილებიდან და მათი ბინები დაიპყრან. მინისტრი სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს მიიღოს ზომები, რომ გერმანელ მცხოვრებთა ინტერესები არ იქმნეს შელახული ვისგანაც არ უნდა იყოს. (1; №74)

26 ოქტომბერი

- გაიმართა საქართველოს პარლამენტის არაჩვეულებრივი (რიგგარეშე) სხდომა ექვთიმე თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. საგანგებო კრება მოწვეული იყო იმისათვის, რომ მოესმინათ მთავრობის მოხსენება საგარეო საქმის შესახებ. კერძოდ საკითხი ეხებოდა მაშინდელ კონფლიქტს საქართველო-სომხეთს შორის, რომელიც გამოწვეული იყო იმით, რომ მოსაზღვრე ხიდიდან ვიდრე კობერამდე ტერიტორია დაკავებულ იქმნა სომხეთის ნაწილების მიერ საქართველოს მთავრობასთან შეუტყობინებლად. სხდომაზე მოხსენებით გამოვიდნენ შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი და სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე. (1; №77)
- გაიხსნა ტელეგრაფის განყოფილება სოფ. საგარეჯოში (ტფ. მაზრა). მიიღება დეპეშები შინაგანი და ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებულ იმ რესპუბლიკებში მიმართული, რომლებთანაც აღდგენილია ტელეგრაფის კავშირი. (1; №75)
- საქართველოს პარლამენტის საფინანსო და საბიუჯეტო კომისიამ შინაგან საქმეთა სამინისტროს აცნობა, რომ თანახმად პარლამენტის გადაწყვეტილებისა კომისიას გადაეცა განსახილველად საკანონმდებლო წინადადება გრიგოლ ვეშაპელისა საჩხერეში ცეცხლისგან დაზარალებულ მცხოვრებთა და დაწესებულებათა დასახმარებლად გადაეცეს სახელმწიფო ხაზინის თანხიდან ერთდროულად 100 მანეთი. (1; №75)

27 ოქტომბერი

- შედგა თათბირი, სადაც ამიერ-კავკასიის კერძო უნივერსიტეტს „კრუჟოკმა“ კიდევ ერთი წლით დაუთმო თავისი ახალი ბინა გოლოვინის პროსპექტზე და „კრუჟოკის“ წარმომადგენელთა შორის თანხმობა შესდგა მის შესახებ, რომ „კრუჟოკის“ ძველ ბინას გაულონ შესავალი უნივერსიტეტის შესავლიდან გოლოვინის პროსპექტის მხრიდან. (1; №78)
- გაიმართა პირველი სანიმუშო კონცერტი სამხედრო ინსტრუმენტების დასურათებით. ჩვენ სამხედრო ორკესტრებთან ერთად მონაწილეობას იღებდა გერმანული სამხედრო ორკესტრიც. ამ კონცერტმა მეტად დამახასიათებელი განსხვავება წარმოგვიდგინა ქართველებს და გერმანელებს შორის. მუსიკამ სამაგალითოდ დაგვანახა მთელი კულტი ამ ორი ერისა.

  ყოველი წევრი ჩვენი ორკესტრისა ყურადღებას აქცევდა გარეგნულ ეფექტს, ვინემ თვით მუსიკის შინაარსს. გერმანული ორკესტრი. – ტეხნიკა, წესრიგი, ინსტიქტი და ცოდნა მიმართულია იმ აზრისაკენ, რომ ორკესტრი წარმოადგენს ერთ მთლიანს. პიროვნება ემორჩილება ერთ განკარგულებას. გერმანელი გამოხატავს თავის გრძნობას, სულის კვეთებას როგორც შეჰშვენის დარბაისელ ადამიანს. ჩვენები – კი – ვინ ვის დაასწრებს. (1; №78)

28 ოქტომბერი

- ღამით სასტუმრო „ანგლეტერში“ შევიდა ორი უცნობი და დაუკაკუნეს ოთახის №8 მდგმურს პოლკოვნიკ მილოვს. როცა კარი გაიღო უცნობნი შეცვივდნენ ოთახში, მილოვს პირი აუხვიეს და გაიტაცეს 8 ათასი მანეთი. (1; №78)
- ქალაქის საბჭოს კრება შესდგა ა. ს. ლომთათიძის თავმჯდომარეობით. კრებას მოხსენდა იმ სამწუხარო კონფლიქტის შესახებ, რომელსაც ჰქონდა ადგილი საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკებს შორის. ბ-მა ლომთათიძემ კრებას წაუკითხა ყველა საბუთი, რომელიც ამის შესახებ აქვს მთავრობას უკანასკნელ დრომდე მიღებული. გენ. ციციშვილის და სომხეთის მთავრობის თავმჯდომარის კაჩაზნუნის დეპეშამდე. აქედან ცხადად ჩანს ორივე დემოკრატიული რესპუბლიკის სურვილი. მათ ყოვლად შეუძლებლად მიაჩნიათ, რომ საკითხი საზღვრების შესახებ იარაღის საშუალებით იქნას გადაჭრილი. (1; №79)

29 ოქტომბერი

- ქუთაისის გუბერნიის ექიმთა კავშირი ატყობინებს ქალაქის თვითმმართველობას, რომ ქალაქში ძლიერ გავრცელებულია ავადმყოფობა, რომელმაც ეპიდემიური ხასიათი მიიღო. ამიტომ აუცილებლივ საჭირო არის კვირა უქმე დღეს ყველა აფთიაქები ღია იყოს წამლების აუცილებელ საჭიროებისათვის. ყურადღება მიექცეს მეეტლეების თავგასულობას, რომელთათვის არავითარი ნიხრი არ არსებობს, რომ ყინვა ქალაქში მუდამ იშოვებოდეს და ამასთან ერთად იქნას ექიმების მორიგეობა, რომ მოქალაქეთა ღარიბ ნაწილს მიეცეს საშუალება ექიმი თავის დროზე იშოვოს. (1; №77)

- გაიმართა სამინისტროთა დირექტორების თათბირი, სადაც შესაფერისად სცნეს, რომ ამიერიდან ყოველგვარი მიწერ-მოწერა სამინისტროთა შორის უნდა სწარმოებდეს აუცილებლივ სახელმწიფო ენაზე. (4; №236)

30 ოქტომბერი

- სომხური გაზეთი „ჟოღოვრდი ძაინ" სომეხ-ქართველთა კონფლიქტზე შემდეგს წერს: „სომეხთა ეროვნული საბჭოს დელეგაციამ, რომელიც ამ დღეებში გაემგზავრა სანაინის ახლო-მახლო ალაგებში სომეხ და ქართველ ჯარებს შორის მომხდარ შეტაკების გამო, ოქტომბრის 27 დეპეშით ატყობინებს საქართველოს მთავრობას და სომეხთა ეროვნულ საბჭოს, რომ შეტაკების მიზნები გაუგებრობაა და უცხადებს ორივე სახელმწიფოს მთავრობას, რომ მისი გულწრფელი სურვილია გადამიჯვნის საკითხი გათავდეს მშვიდობიანის და სამართლიანის გზით. (1; №78)
- აღდგენილ იქნა რადიო-ტელეგრაფი ბაქოსთან, რომელიც შეწყვეტილი იყო ბაქოს ოსმალების მიერ აღების დღიდან. (4; №236)

31 ოქტომბერი

- პოლიტეხნიკუმის სტუდენტების ჯგუფს განუზრახავს კოოპერატიულ საფუძველზე დააარსოს იაფფასიანი სასადილო. წევრათ შეუძლია ჩაეწეროს, როგორც ვაჟებს, აგრეთვე ქალებს ტფილისის უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებს. (1; №79)
- თბილისის მაზრაში საერობო არჩევნები თითქმის დამთავრდა, გარდა ყარაიაზის რაიონისა, სადაც არჩევნები დანიშნული იყო, მაგრამ მცხოვრებთა უმრავლესობა ამ დროისათვის იალაღზე იყო გასული და არჩევნები არ შესდგა. (1; №79)

1 ნოემბერი

- ბოროტ გამზრახველებმა ააფეთქეს ხიდი სადგურ მცხეთისა და ქსანს შუა 262 ვერსზე. მატარებელთა მიმოსვლა ყოვლად შეუძლებელია, ვინაიდან ხიდის გარშემო დინამიტებია შემოყრილი. (4; №236)
- სასურსათო სამინისტროს საბჭოს სხდომაზე საბჭოს თავმჯდომარის მესამე ამხანაგად არჩეული იქმნა აგრონომი ვას. კანდელაკი.
- კონსერვატორიის დარბაზში ქართულ სამუსიკო საზოგადოებამ გამართა თავისი პირველი კვარტეტ-კონცერტი. პროგრამა შესდგებოდა განსაკუთრებით გერმანულ კომპოზიციებით: ბეტჰოვენი, შუმანი და შუბერტი.

2 ნოემბერი

- გაიმართა საქართველოს პარლამენტის სხდომა ნიკოლოზ ჩხეიძის თავმჯდომარეობით, სადაც განიხილეს დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება. მომხსენებელი იყო ალექსანდრე ლომთათიძე. (4; №239)

- გაიმართა მუშათა ყრილობა სახალხო სახლში, სადაც მუშათა საბჭოს წინაშე წარსდგა პროლეტარების ბელადი ირაკლი წერეთელი და მოხსენება გააკეთა ჩვენს წარსულსა და დღევანდელ მდგომარეობაზე. ასევე მოხსენებით წარსდგა ნოე ჟორდანია. (4; №238)

3 ნოემბერი

- გაზეთ „ერთობის" ცნობით მუშტაიდის ბაღში დემოკრატიულ კლუბში მოხდება თბილისში მყოფ ოსების კრება. (4; №236)
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ნომერში გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით მთავრობამ დაადგინა სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს მიერ წარმოდგენილი კანონ-პროექტი და დებულებანი ქორწინება-განქორწინების შესახებ, გადასცეს განსახილველად და თავისი აზრის დასასკვნელად კომისიას, იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთაგან შემდგარს, საკათალიკოსო საბჭოს წარმომადგენლის მონაწილეობით.
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ნომერში გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით საქართველოს მთავრობამ დაადგინა გაიმართოს დონის და ყუბანის მთავრობასთან საქონლის გამოცვლა. დაწვრილებითი და ტეხნიკური შემუშავება, თუ რა პირობებით უნდა წაიღონ მათ, ჩვენი ქონებიდან ის, რისი მიცემაც კი შეგვეძლება, ნაცვლად პურის და სხვა სურსათ-სანოვაგისა, მიენდოს სასურსათო საბჭოს.

4 ნოემბერი

- შესდგა დიდუბის სამოქალაქო კომიტეტის კრება ამხანაგ მათიკაშვილის თავმჯდომარეობით; დღის წესრიგში იყო დასმული: დიდუბის სამოქალაქო სასადილოს შემოსავალ-გასავალის განხილვა, დიდუბის რაიონის სანიტარული მდგომარეობა და კომისიის მოხსენება საარსებო თანხის შესახებ. (4; №242)
- რამდენიმე შეიარაღებული პირი შევიდა სასტუმრო „ნოე"-ში და მდგმურები გასძარცვეს. წაიღეს ფული და ძვირფასი ნივთები, სულ რამდენიმე ათი-ათასი მანეთისა. (4; №239)

5 ნოემბერი

- გაიმართა საქართველოს პარლამენტის სხდომა ნიკოლოზ ჩხეიძის თავმჯდომარეობით. სხდომაზე პარლამენტის წევრად ყოფნაზე უფლებამოსილება მოიხსნა მუსულმანთა წარმომადგენელმა სალი გაიდარ კარაევმა, რადგან არ იცის ქართული ენა და არ სურს ატყუოს თავისი თავი და ის ხალხი, რომელმაც ის გამოგზავნა. (4; №240)
- პირველ ნომერ ციხიდან გაიქცნენ ტუსაღები. როგორც გამოირკვა მათ გადაეხერხათ ფანჯრის რკინები და ისე გადმოსულიყვნენ. ტუსაღებთან ერთად გაიქცა ციხის დარაჯი კონსტანტინე მიქაძე. (4; №240)

6 ნოემბერი

- შესდგა თბილისის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის კომიტეტის სხდომა. დაესწრო კომიტეტის სრული განახლებული შემადგენლობა, რიცხვით 20 კაცი. ეს პირვე-

ლი სხდომაა დღიდან კომიტეტის არსებობის, რომელსაც სრული შემადგენლობა დაესწრო. დღის წესრიგში იყო კითხვები: ახალი პრეზიდიუმის არჩევა, მომავალი პარტიული ყრილობის შესახებ, მომავალი პარლამენტის წევრების დასახელება თფილისის კომიტეტის მხრივ და ა. შ. (4; №242)

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ნომერში გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით საშუალო სატეხნიკო სასწავლებლის პედაგოგიურმა საბჭომ დაადგინა: მოაწყოს მოწაფეთათვის მთელი რიგი ექსკურსიებისა, როგორც თბილისში ისე მის გარეთაც. მოწაფეებმა ამ დღეებში დაათვალიერეს არსენალი.
- ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობამ მთელს მაზრაში დაგზავნა ექიმთა რაზმი სხვადასხვა ავადმყოფობებთან საბრძოლველად.

7 ნოემბერი

- გაზეთ „ერთობის" ცნობით, „შავარდენის" ტეხნიკური კომისია შეიმუშავებს გეგმას ჯარში გიმნასტიკის სწავლების სახელმძღვანელოდ. (4; №240)
- სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შესდგა მესამე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა ე. ლორიას თავმჯდომარეობით. დღის წესრიგი: კომიტეტის მოხსენება, კოლექტივის სასარგებლოდ დილის გამართვა, მუღდან ყაზაროვის მოხსენება, მცირე კოლექტივის განცხადება. (4; №248)
- გაზეთ „ერთობის" მიხედვით ადგილობრივი გერმანული გაზეთი „კაუკაზიშე პოსტი" შემდეგს წერს: „ის პატივისცემა, რომელიც ქართველ ხალხისგან წილად ხვდა მიმავალ გერმანელ ჯარს, არის საუკეთესო მსჯავრი მათი საქართველოში ყოფა-ცხოვრებისა, როგორც ამას ყველა მიმართულების ქართული პრესაც აღნიშნავს. ყველა ეს ორგანო უკომენტაროდ აღნიშნავს იმ ნამდვილ მეგობრობას, რომელიც შეიკრა ერთ დროს გაჭირვებულ საქართველოს და მის დამხსნელ გერმანიას შორის". (4; №240)
- რუსეთიდან ახლად დაბრუნებული სტანისლავ ვოლსკი 7 ნოემბერს წაიკითხავს ორ ლექციას შემდეგ თემაზე: „განწირულთა ქვეყანაში". პირველი ლექცია შესდგება ზუბალაშვილის სახალხო სახლში. მეორე ლექცია: „ბოლშევიკური მთავრობა სოფლად" ცალკე იქნება გამოცხადებული. (4; №239)

8 ნოემბერი

- შესდგა კრება უმთავრეს სახელოსნოს, ტელეგრაფის სახელოსნოს, უმთავრეს მასალის საწყობის და თბილისის დეპოს პროფესიონალურ კავშირის სექციებისა, რკინის გზის მთავარ სახელოსნოს ყოფილ ადგლობრივ აღმასრულებელ კომიტეტის შენობაში. მთავარი საკითხი იყო უმთავრეს სახელოსნოს სექციის პრეზიდიუმის და სარაიონო გამგეობის და მისი პრეზიდიუმის წევრთა არჩევნები. კრება გახსნა ამხ. მიხეილ ძამანაშვილმა. (4; №246)
- შესდგა კრება ყვირილა-შორაპნის რაიონის სოციალ-დემოკრატიული პარტიის. განიხილეს შემდეგი საკითხები: მიმდინარე მომენტი, სარევიზიო კომისიის მოხსენება, დამფუძნებელი კრება და დეპუტატების დასახელება, ჯარი და გვარდია, მაზრის და რაიონების კომიტეტების დაარსება და ა. შ. (4; №253)
- საღამოს იგეგმება სახალხო სახლში ფილმის – „ქრისტინე"-ს წარმოდგენა. (4; №241)

9 ნოემბერი

- შესდგა ყვირილის ქალაქის საბჭო, სადაც ქალაქის თავმა კ. ბუაჩიძემ გააკეთა ვრცელი მოხსენება ქალაქის ბიუჯეტის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ქალაქის კასა ისეთ საცოდავ მდგომარეობაშია, რომ გამგეობას არ შეუძლია პასუხი გასცეს ყველა იმ მოთხოვნილებას, რაიცა აქვს ახლად გაქალაქებულ ყვირილას. (4; №253)
- გაიმართა მთავრობის სხდომა, სადაც დაადგინეს შემდეგი: კავკასიის ერთა კონფერენციაზე დასასწრებად საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლებად არჩეულ იქნენ: შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი და გარეშე საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი. (4; №245)
- შესდგა სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის თფილისის კომიტეტის სხდომა. დაესწრო 17 წევრი. დღის წესრიგში იყო კითხვები: 1. სარეკომენდაციო კომისიის მიერ შემუშავებული მომავალ პარლამენტის წევრთა სიის დამტკიცება, 2. მილიციონერთა შორის პარტიული მუშაობის შესახებ, 3. დაშნაკცაკანების (სომხური დაშნაკცუტიუნის პარტიის) პრესის აღვირახსნილობა. (4; №246)

10 ნოემბერი

- ნოე ჟორდანიამ გახსნა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია. დაესწრნენ აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი ჯაფაროვი, ვექილოვი, მთიულთა მთავრობის თავმჯდომარის ამხანაგი კოცევი და მთიელთა ფინანსთა მინისტრი ჯაბაღიევი. (4; №244)
- ესიკოვსკის ცირკში გაიმართა ბოლშევიკების ბელადის მიხა ცხაკაიას ლექცია. ლექცია დიდ მიტინგად გადაიქცა და დამსწრე ბოლშევიკებმა მოიწადინეს საპროტესტო მანიფესტაციით გამოსვლა, მაგრამ გენერალ-გუბერნატორ გიორგი მაზნიაშვილის ბრძანებით, მიტინგი დაშლილ იქნა. (2; №216)

11 ნოემბერი

- გაიხსნა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მერვე ყრილობა. ყრილობამ 75 ხმით 5-ის წინააღმდეგ მიიღო რეზოლუცია, რომელიც იუწყებოდა რომ: მიმდინარე ყრილობა იყო „ამიერკავკასიის ორგანიზაციების მერვე ყრილობა“, მაგრამ ამასთანავე „ყრილობა აღიარებდა რომ რადგან ამიერკავკასია სამ დამოუკიდებელ რესპუბლიკად დაიყო, ამიტომ უნდა დაარსდეს ცალკე სოციალ-დემოკრატიული პარტიები ყველა ამ რესპუბლიკაში“. (4; №245)
- ვილსკიმ წაიკითხა თავის მეორე ლექცია. დაპირებისამებრ მან ეს ლექცია უძღვნა რუსეთის სოფლის ცხოვრების დახასიათებას. (4; №246)
- გაიმართა ქალაქის საბჭოს სხდომა ალექსანდრე ლომთათიძის თავმჯდომარეობით. განიხილეს ქალაქის ფინანსური მდგომარეობა და მოსამსახურეთა ჯამაგირების საკითხი. (4; №245)
- ღამით ბოროტ-გამზრახველებმა სავანიძის მაღაზიიდან წაიღეს 150, 000 მანეთის საქონელი. ეჭვით შეიპყრეს მისი მოწაფე პ. გიორგობიანი. (4; №245)

12 ნოემბერი

- საქიმო სასანიტარო განყოფილებამ გაგზავნა პროფესორი კოგოროვი თელავის მაზრაში სოფ. ახალსოფელში, იქ გაჩენილ საეჭვო ავადმყოფობის ბაქტეოროლოგიურად გამოსარკვევ-შესასწავლად და საჭირო ზომების მისაღებად. (4; №246)
- საკათალიკოსო საბჭომ მოისმინა ქუთაისიდან წარმოგზავნილი ოქმი არჩევნებისა, დაამტკიცა ის და დაადგინა, 17 ნოემბერს მცხეთამი აკურთხოს მიტროპოლიტად ახლად არჩეული არქიმანდრიტი ნაზარიოსი. (2; №216)

13 ნოემბერი

- გაზეთ „საქართველოს“ ცნობით, თბილისში ჩამოვიდა ბაქოელი ანტრეპრენიორი პ. ამირაგო. (2; №216)
- გაიმართა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელთა სხდომა. ორატორებმა კმაყოფილება გამოხატეს მთავრობაში მყოფი ამხანაგების მუშაობით და აღნიშნავენ, რომ ისინი სწორ ხაზს ადგანან და სავსებით ასრულებდნენ მიცემულ დირექტივებს და მათი მოქმედება საგარეო პოლიტიკაში, ეს იყო მუდმივი გამარჯვება. მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას შინაურ საქმეებზედ. ორატორები აღნიშნავდნენ ზოგიერთ დეფექტს: მთავრობის სისუსტეს დამნაშავეთა დასჯაში, სოფლის ადმინისტრაციის არ დგომას თავის სიმაღლეზე და ა. შ. (4; №250)
- სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში, საღამოს იგეგმება მორიგი ლექცია ილია ნაკაშიძის: „დასავლეთ ევროპის ხალხთა ცხოვრება და მწერლობა“. (4; №245)
- აღმოაჩინეს ტფილისის ტრამვაის ცენტრალურ და ტფილისის ელექტრონის სადგურების აფეთქების განზრახვა. (4; №248)

14 ნოემბერი

- სოციალ-დემოკრატიული პარტიის მე-8 ყრილობაზე განიხილეს აგრარული საკითხი. მომხსენებელი იყო ნოე ხომერიკი. ყრილობის დიდ უმრავლესობას დელეგატები შეადგენდნენ. ყრილობამ მისალმების დეპეშები გაუგზავნა გერმანიის სოციალ-დემოკრატიას, ინტერნაციონალს და რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. (4; №246)
- გაზეთ „ერთობის“ ცნობით, სამტრედიაში აქაურ სცენის მოყვარულთა ერთი ჯგუფის მეთაურობით დაარსდა დრამატული წრე. დღემდე სამტრედიაში არ არსებობდა ისეთი დაწესებულება რომელსაც სათანადო ყურადღება მიექცია და ხელმძღვანელობა გაეწია აქაური სცენისთვის. (4; №246)
- გაიმართა მთავრობის სხდომა, სადაც მან დაადგინა დაევალოს ფინანსთა მინისტრს, გზათა სამინისტროს, ამა წლის 20 ნოემბრამდე, 2, 000 000 მილიონი მანეთი რკინის გზის მოსამსახურეთა და მუშების ჯამაგირების დასაკმაყოფილებლად.
- ბათუმიდან თბილისში ჩამოვიდა ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიური მისია 5 წევრის შემადგენლობით. (4; №246)

15 ნოემბერი

- ღამით ბოროტმოქმედებმა გასტეხეს სამანუფაქტურო მაღაზია პერსიან ბარუხა-იბრაგიმოვისა. წაიღეს სხვადასხვა საქონელი 60, 000 მანეთისა. (2; №216)
- ხუდადოვის ქუჩაზე, შეფფელის აფთიაქს გაძარცვის მიზნით თავს დაესხა ოთხი ბოროტ-გამზრახველი. მათ შემოერტყნენ გვარდიელები და ორი თავდამსხმელი შეიპყრეს. (3; №386)
- იაკობ ნიკოლაძეს, ცნობილ ქართველ მოქანდაკეს, მისი 30 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად უფასოდ გადაეცეს მომარაგების კომიტეტიდან ატელიეს შენობის ასაგებად საჭირო მასალა, რომელიც აღნიშნულია მიწათ-მოქმედების მინისტრის მოხსენებასთან დართულ სიაში.

16 ნოემბერი

- ღამით, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ვერის დაღმართთან აღმოაჩინეს დამხრჩვალი ქალის გვამი. მიცვალებული შავ ტანისამოსშია ჩაცმული, თითზე აღმოაჩნდა ბეჭედი „მარია"-ს წარწერით. (4; №248)
- ღამით ანდრეევის ქუჩაზე გარბაჩოვის მაღაზიაში შევიდა 6 ბოროტ-გამზრახველი და წაიღეს 10 ათასი მანეთის სხვადასხვა საქონელი. ექვსივე ბოროტმოქმედი დაატუსაღეს. (4; №250)

17 ნოემბერი

- დილით ვერის ხიდის მარჯვენა ნაპირზე იპოვეს დინამიტი და სხვა ასაფეთქებელი მასალები. (4; №250)
- სოფ. ბეკამში, (ქვიშხეთში) გაიმართა ადგილობრივი ორგანიზაციის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრთა საერთო პარტიული კრება. კრებას დაესწრო წევრთა დიდი უმრავლესობა. დღის წესრიგში იქნა შეტანილი შემდეგი კითხვები: მიმდინარე მომენტი, დაშნაკცუტიუნის შესახებ, გაზეთის გამოწერა ორგანიზაციისთვის, ამხანაგების საყურადღებოდ, ჩამორთმეული მიწების დანაწილება და ა. შ.
- ქართული სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნა ჰაერმანსის დრამა „იმედის დაღუპვა". (4; №251)

18 ნოემბერი

- გაიმართა ქალაქის საბჭოს სხდომა ალექსანდრე ლომთათიძის თავმჯდომარეობით. მისი წინადადებით სხდომაზე ფეხზე ადგომით პატივი მიაგეს სომხეთის რესპუბლიკის მზრუნველობის მინისტრის, ყოფილი ხმოსნის კარჩიკიანის ხსოვნას, რის შემდეგაც საბჭომ იმსჯელა ხმოსან ხუდადოვის მიერ აღძრულ კითხვაზე, ქალაქში უკანასკნელად დინამიტების აღმოჩენის და სხვა უწესობაზე. ხუდადოვის წინადადებით დაარსებულ უნდა იქნას კომისია, რომელიც ამას დაწვრილებით გამოიკვლევს. (4; №251)
- გაიმართა სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წარმომადგენელთა მერვე ყრილობა. მან მოისმინა და დაამტკიცა რეზოლუციები და დაიხურა ნიკოლოზ ჩხეიძის

სიტყვით, რომელმაც პარტიის სამ ნაწილად დაყოფა აღნიშნა და გამოთქვა იმედი, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოციალ-დემოკრატიული პარტიები არ დაკარგავენ იდეურ კავშირს და ხელიხელჩაკიდებულნი იბრძოლებენ მუშათა კლასის ბრწყინვალე იდეალების განსახორციელებლად. (13; 156)

- ახალგაზრდა მსახიობთა დასმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა გიორგი ჯაბადარი, მაყურებელს წარუდგინა ბრიეს „სარწმუნოება." დასში შედიოდნენ დამწყები მსახიობები ვ. ანჯაფარიძე, ც. ამირეჯიბი, მ. არადელი-იმშნელი, ა. ალექსიშვილი, მ. გელოვანი, ა. ვასაძე, მ. ჭიაურელი და სხვ.

19 ნოემბერი

- გაზეთ „ერთობის" ცნობის მიხედვით გოლოვინის პროსპექტზე, არამიანცის სახლში, გახსნეს გერმანია-კავკასიის სავაჭრო ბანკი. (4; №250)
- კავკასიის ქალთა საზოგადოების ქართულმა სექციამ გახსნა ფეხსაცმელების სახელოსნო სკოლა, რომელშიაც მიიღებიან ხელობის შესწავლის მსურველნი. (4; №250)
- მას შემდეგ რაც ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მერვე ყრილობამ დაასრულა მუშაობა და გამოაცხადა გადაწყვეტილება ამიერკავკასიის სამ რესპუბლიკაში ცალკე სოციალ-დემოკრატიული პარტიების შექმნის საჭიროების შესახებ, გაიხსნა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დამფუძნებელი ყრილობა. მან გამოაცხადა დამოუკიდებელი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნა. (13; 156)
- გაიმართა საქართველოს პარლამენტის სხდომა ნიკოლოზ ჩხეიძის თავმჯდომარეობით. დაამტკიცეს საბოლოო ტექსტები შემდეგი კანონებისა: საბოლოო ტექსტი ორასი მილიონი მანეთის ბონების გამოცემის კანონისა, პირველდაწყებითი სკოლების გახსნის კანონისა, სააქციზო უწყების ორგანიზაციისა და კიდევ რამდენიმე კანონი. ასევე განიხილეს რამდენიმე კანონპროექტი. (4; №252)

20 ნოემბერი

- დასრულდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პირველი ყრილობა. აირჩიეს საოლქო კომიტეტი და გამოიტანეს დადგენილება. ამიერიდან ქართველი სოციალ-დემოკრატები გამოეყვნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელი მიიღეს. (13; 156)
- გაიმართა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს სხდომა, სადაც მოისმინეს მოხსენებები და კამათი გერმანიის რევოლუციის შესახებ და მიესალმნენ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დაარსებას გერმანიაში. საბჭომ რევოლუციონური გერმანიისთვის მოითხოვა დემოკრატიული და საპატიო ზავი და მოუწოდა ევროპის მშრომელ კლასს დაეხმარონ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. (3; №390)

21 ნოემბერი

- სამხედრო მინისტრი გაემგზავრა ბორჯომში ჯარების დასათვალიერებლად და ადგილობრივი პირობების გამოსარკვევად. მინისტრს თან ახლდა მისი თანაშემწე გენერალ-მაიორი გედევანიშვილი. (3; №392)

- საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონ-პროექტი საღმრთო სჯულის სწავლების გაუქმების შესახებ სასწავლებლებში. სარწმუნოება პირადი სინდისის საქმე უნდა იყოს და სახელმწიფოს არავითარი ნება არა აქვს საზოგადოების ერთი ნაწილის რწმენა მეორე ნაწილს მოახვიოს თავს, ან ერთი ნაწილისაგან აკრეფილ ხარჯებით მეორე ნაწილის რწმენა გააძლიეროს. (4; №255)
- შინაგან საქმეთა სამინისტროში გაიმართა თათბირი საქართველოს ერობათა წარმომადგენლებისა, რომელსაც თავმჯდომარეობდა შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი. სხდომას დაესწრნენ სხვა უწყებათა წარმომადგენლებიც. თათბირმა მოისმინა შემდეგი მოხსენებები: საფოსტო, სასოფლო გზების დაქსელვა, ერობის ბიუჯეტი, რესპუბლიკის ტერიტორიის ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფა და სხვა საკითხები. (4; №257)

22 ნოემბერი

- გაიმართა საქართველოს პარლამენტის სხდომა ექვთიმე თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. რაჟდენ არსენიძემ წაიკითხა საბოლოო ტექსტი უკვე პარლამენტის მიერ მიღებული დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულებისა. (7; 84)
- „ავლაბარ-პალას" თეატრის შენობაში დანიშნული იყო მუშათა კლუბის დამფუძნებელი კრება, რომელსაც უამრავი მუშა დაესწრო. ავლაბრის მუშათა კლუბის საპატიო წევრად აირჩიეს სახალხო გმირი ვალიკო ჯუღელი. კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ამხ. ა. თუმანიანცი. გამომსვლელებმა აღნიშნეს ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქვს მუშათა კლუბს მშრომელ ხალხის განვითარების საქმეში. (4; №259)
- შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგრძელდა თათბირი საქართველოს ერობათა წარმომადგენლებისა, რომელსაც თავმჯდომარეობდა შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი. სხდომას დაესწრნენ სხვა უწყებათა წარმომადგენლებიც. თათბირმა მოისმინა წინა დღის მსგავსად შემდეგი მოხსენებები: საფოსტო, სასოფლო გზების დაქსელვა, ერობის ბიუჯეტი, რესპუბლიკის ტერიტორიის ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფა და სხვა საკითხები.

23 ნოემბერი

- გაზეთ „ერთობის" ცნობის მიხედვით, ახალგაზრდა სამუსიკო საზოგადოებამ სერიოზული ყურადღება მიიქცია ამ მოკლე ხანში თავის საინტერესო კონცერტებით, როგორც მუსიკალურის, ისე შინაარსის მხრივ. დაარსდა 2 სტიპენდია განსვენებულ უწმინდეს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის კირიონ II და დ. ზ. სარაჯიშვილის სახელობისა, რომელთაც სამუსიკო სკოლას აღმოუჩინეს მატერიალური დახმარება. საზოგადოება ჰმართავს შეგირდების და მშრომელი ხალხისთვის უფასო კონცერტებს მათ განსავითარებლად და გასართობად. (4; №254)
- 23 ნოემბერს ქართული სამუსიკო საზოგადოება ჰმართავს კონსერვატორიის დარბაზში მეტად საყურადღებო კამერულ კონცერტს. მონაწილეობას იღებენ: ბენდიცკი (როიალი), ზალიბსკი (სიმღერა), ჩერეპნინი და კვარტეტი ქართული სამუსიკო სკოლისა. (4; №253)

24 ნოემბერი

- გაზეთ „ერთობის“ ცნობით გაიმართება საღამო ტურგენევის დაბადებიდან ასი წლის შესრულების აღსანიშნავად. მოხსენებებს წაიკითხავენ იშკოვი, ჩემოდანოვი, სვლიხანოვიჩი და ვოლკოვი. დასასრულს გაიმართება დივერტისმენტი. (4; №253)
- ქართული კლუბის დარბაზში შესდგა ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის წევრთა საგანგებო კრება ხსენებულ დაწესებულებისა. კრებას დაესწრნენ აგრეთვე საგანგებოთ მოწვეულნი პარლამენტის ხელოვნების კომისიის წევრნი და მათი წარმომადგენელნი ფრაქციათა და პრესისა. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა დრამატურგი ნ. შიუკაშვილი. (4; №259)
- სახალხო უნივერსიტეტის დარბაზში შესდგა ამავე უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო კრება. თავმჯდომარეობდა კობახიძე. მოხსენება გააკეთა სტუდენტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგმა – ჯავახიშვილმა. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ გამგეობამ გამართა საღამო, რომელმაც შემოსავალი დასტოვა 10, 000 მანეთი; გამოსცა ენათმეცნიერ გიორგი ახვლედიანის ლექციები ორ წიგნათ: I და II ნაწილი; მატერიალური დახმარება აღმოუჩინა ზოგიერთ სტუდენტს; მოაწყო საჩაიე და ა. შ. (4; №257)
- გამოვიდა კავკასიის მთიელთა კავშირის გაზეთი „სევერნი კავკაზ“, ჯემალ-ედდინ-ალბოგაჩის რედაქტორობით. ეს გაზეთი ორგანოა მთიელთა კავშირის რესპუბლიკისა, გაზეთში მთელს პირველ გვერდზე მოწოდებაა დაბეჭდილი გლეხების, მუშების და ინტელიგენციისადმი: მოიშორეთ ბოლშევიკები და შემოკრბით თქვენი დამოუკიდებელი რესპუბლიკური მთავრობის გარშემოვო.

25 ნოემბერი

- შესდგა ქალაქის საბჭოს სხდომა ალექსანდრე ლომთათიძის თავმჯდომარეობით. ხახანაშვილმა გააკეთა მოხსენება. საბჭომ განიხილა ტფილისის საქალაქო არჩევნების საკითხი. ქალაქი უნდა გაიყოს 51 საარჩევნო უბნად. საარჩევნო სიები სამ ენაზე დაიბეჭდება: ქართულად, რუსულად და სომხურად. არჩეულთა ვადად განისაზღვრა ორი წელი. (4; №257)
- ვაჭარ ჩილინგაროვის სახლში შეიჭრა ოთხი შეიარაღებული პირი და სახლის გაძარცვა მოინდომეს, მაგრამ ჩილინგაროვის ცოლმა ხმაურობა ასტეხა, რის გამოც მიეშველნენ მილიციონერები და სროლა ასტეხეს. ბოროტ-მოქმედნი მიიმალნენ.
- გაიმართა ქალთა კომიტეტის სხდომა, სადაც დაადგინეს: რვა დეკემბერს მოეწყოს მთელს საქართველოში ქართული ლატარიის დღე, რისთვისაც პროვინციებში გაგზავნიან სათანადო პირთ სალატარიო ორგანიზაციათა მოსაწყობად. (4; №258)

26 ნოემბერი

- გაიმართა საქართველოს მთავრობის სხდომა, სადაც მთავრობამ დაადგინა: აჭარისა და ოზურგეთის მაზრების საზღვრებზე მოიხსნას საბაჟოები ყოველგვარ ნაწარმოებზე, ბაჟი დარჩეს მხოლოდ რკინის გზით გასატან-შემოსატან საქონელზე. (4; №258)

- გაემგზავრა ფოთიდან გემი გერმანელი ჯარისკაცებით. დღეს მოელოდებიან სევასტოპოლიდან გემს „როდოსტოს“, რომელიც წაიყვანს გერმანელ ჯარისკაცებს სევასტოპოლში. (4; №258)
- გაზეთ „სახალხო საქმის“ ცნობით, დღეს საღამოს წარმოდგენილი იქნება, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, ელისაბედ ჩერქეზიშვილის მონაწილეობით. (3; №393)

27 ნოემბერი

- სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის ნევრმა ს. ჟორჟოლიანმა გამგეობის დავალებით შუამდგომლობა აღძრა განათლების მინისტრის წინაშე, რომ დაუთმონ შესაფერი შენობა ცენტრალურ სახალხო უნივერსიტეტისთვის. ჟორჟოლიანმა მიაქცია მინისტრის ყურადღება იმ გარემოებას, რომ სახალხო უნივერსიტეტი, შენობის უქონლობის გამო ვერ შესძლებს თავის გეგმის ასრულებას. (4; №260)
- გაზეთ „სახალხო საქმის“ ცნობით, ჭიათურის ქალთა საზოგადოებამ ზაფხულში მოკრიბა შემოწირულობა, ჭიათურის მოქალაქეთა შორის ჩვენი სახელოვან ჯარის-კაცების და სახალხო გვარდიელებისთვის, რომლებიც მაშინ ებრძოდნენ საჩხერის რაიონში ყაჩაღთა ბრბოებს. ფულად მოგროვილ იქნა 649 მანეთი 50 კაპიკი და ნატურით. (3; №394)

28 ნოემბერი

- ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენილ იქნა პ. ირეთელის პიესა „სოფლის გმირები“. ეს პიესა გადმოკეთებულია ეგნატე ნინოშვილის მოთხრობიდან „ჩვენი ქვეყნის რაინდი“. (4; №260)
- სახალხო განათლების მინისტრმა ყველა სასწავლებლებს ახალი ცირკულარი დაუგზავნა, რომლის ძალითაც სასწავლებლების ყველა იმ მოხელეს. რომელსაც რაიმე პრივილეგია ეძლეოდა სამსახურის გამო, მოესპოს და უფლებრივად გაუთანასწორდეს თავის თანამოსამსახურეებს.

29 ნოემბერი

- პირველად მოხდა ფარმაცევტთა ფართო ყრილობის შეკრება თავისუფალ საქართველოში. ყრილობაზე ისმება ის საკითხები, რომელსაც გარდა პროფესიონალური მნიშვნელობისა, დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც აქვს.
- ქართული კლუბის თეატრში ელისაბედ ჩერქეზიშვილის, ნ. ჯავახიშვილის და ვასო აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: „არშინ მალ-ალან“.
- „ავლაბარ-ჰალას“ თეატრში დანიშნულია საერთო კრება ავლაბრის სახალხო გვარდიისა, ამხ. ვალიკო ჯუღელის თანდასწრებით.

30 ნოემბერი

- დემოკრატიულ კლუბში გაიმართა კონცერტი ალ. მაისურაძის ხელმძღვანელობით. კონცერტმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა დამსწრე საზოგადოებაზე. (4; №260)

- მთავრობამ დაადგინა: ეცნობოს პარლამენტის პრეზიდიუმს, რომ კანონპროექტს, განათლების კომისიის მიერ შემუშავებულს, სკოლების ეროვნულ საფუძველზე მოწყობის შესახებ. დეკლარატიული ხასიათი აქვს და ამიტომ მისი პარლამენტში წარდგენა ზედმეტია. (4; №260)
- ფოთში მოვიდა ინგლისელების ესკადრა: ერთი კრეისერი და ორი „ისტრებიტელი". ესკადრის უფროსმა მოითხოვა იქ მყოფ გერმანელ ჯარის იარაღის აყრა, მისი ეს მოთხოვნა ალბათ გაუგებრობით იყო გამოწვეული და როდესაც თავის უფროსებს დაელაპარაკა რადიოთი თავისი განკარგულება გააუქმა. (4; №260)

1 დეკემბერი

- კვირას პირველ დეკემბერს აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 6 თვის თავი. დედაქალაქში ამ თარიღის აღსანიშნავად გაიმართა სახალხო ზეიმი, საზეიმო მსვლელობა მოაწყვეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა უნივერსიტეტიდან მთავრობის სასახლემდე. მთავრობის სასახლის წინ შეკრებილ ხალხს სიტყვით მიმართა პრემიერ მინისტრმა ნოე ჟორდანიამ და მთავრობის წევრებმა. (1; №106)
- ღონისძიების ფარგლებში მთავრობის სასახლის წინ ჩატარდა საზეიმო აღლუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართული ჯარისა და სახალხო გვარდიის ყველა საბრძოლო დანაყოფებმა, აღლუმის ბოლოს მოედანს საზეიმოდ გადაუფრინეს აეროპლანებმა. აღლუმი ჩაიბარა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ნოე ჟორდანიამ. (1; №106)
- ზეიმის დასრულების შემდეგ გაიმართა პარლამენტის საგანგებო სხდომა რომელსაც დაესწრნენ საქართველოში მყოფი უცხო ქვეყნების დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. განსაკუთრებით აღსანიშნავია გერმანიის დელეგაცია ფონ-კრესის მონაწილეობით. სხვათა შორის მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ, რომელმაც შეაჯამა ხელისუფლების საქმიანობის ექვსი თვის შედეგები, განაცხადა: „გისურვებთ თქვენ და ჩვენს შთამომავლობას, რომ 26 მაისის აქტი გადაიქცეს მუდმივ დღესასწაულად." (1; №107)

2 დეკემბერი

- გაიხსნა თბილისის მაზრის საერობო ყრილობა. პირველ სხდომაზე გამგეობის შემადგენლობა 5 კაცისგან შედგა, რომელთა ყველთვიური ანაზღაურება იქნებოდა 1200 მანეთი. (1; №)
- ალექსანდრე ლომთათიძის თავმჯდომარეობით გაიმართა ქალაქის საბჭოს სხდომა. სხდომაზე ქალაქის მოურავი გამოვიდა მოხსენებით ტრამვაის მოსამსახურეებისთვის ტანისამოსის მიცემის შესახებ, ფინანსთა სამინისტროსგან სესხის აღების შესახებ და სხვ.

3 დეკემბერი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოვეყნდა 1 დეკემბრის პარლამენტის საზეიმო სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში რომელშიც მოყვანილი იყო მთავრობის ანგარიში 1918 წლის 26 მაისიდან 20 ნოემბრამდე, მათ შორის ფინანსების ხარჯვაზე. (1; №107)

- ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ქუთაისსა და თბილისში ინსტრუქტორთა სამდღიანი კურსების მოწყობის შესახებ, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით. (1; №107)
- ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული კანონი ითვალისწინებდა საერობო ანუ თვითმმართველობის რეფორმის საჭირო ხარჯის გასაწევად, 4 მილიონიგამოყოფას. (1; №107)

4 დეკემბერი

- სენაკის და შორაპნის სამაზრო გამგეობებმა გამოაცხადეს კონკურსი მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობებზე. კონკურსში მონაწილეობის მსურველებს საბუთები უნდა შეეტანათ შესაბამისი მაზრების გამგეობებში 15 დეკემბრამდე. (1; №108)
- შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა კახეთში შეიპყრო ავაზაკთა დიდი ჯგუფი, რის გამო მათ დიდ მადლობას უცხადებს კახეთის მოსახლეობა. (1; №108)
- გამოქვეყნებულ იქნა შემდეგი კანონები: 1) გადასახადების აკრეფის შესახებ; 2) სააქციზო უწყების ორგანიზაციისა, საქართველოს მიწა-წყალზე, ასევე სააქციზო სამმართველოს შტატისა. (1; №108)
- გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე გიორგი გვაზავა გამოეხმაურა დამოუკიდებლობის მოპოვების 6 თვის აღნიშვნას. მისი განცხადებით დამოუკიდებლობის აღნიშვნა და ხალხში ეროვნული სულისკვეთების აღდგენა კარგია, მაგრამ ეს მხოლოდ მიტინგების გზით არ მიიღწევა, მას შესაბამისი აზროვნების მომზადება და ხალხის გაცნობიერება სჭირდება. 6 თვე კი არ იყო აღსანიშნი თარიღი და მმართველმა პარტიამ ეს უფრო პოლიტიკური ქულების დაწერის მიზნით გააკეთა. (2; №232)

5 დეკემბერი

- საგარეო საქმეთა სამინისტოს ცნობით მოკავშირეთა ესკადრა ბათუმში შევიდა. მათ კმაყოფილება გამოსთქვეს იქ არსებული მდგომარეობის გამო. (1; №109)
- პარლამენტის სხდომაზე დადგა ორი სომეხი დეპუტატის თარხანოვის და თუმანოვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი, რომლებიც მხილებულ იქმნენ სომეხ ტერორისტებთან კავშირში დანაშაულებრივ საქმიანობაში. ზემოთხსენებულმა სომეხმა ტერორისტებმა ააფეთქეს ძეგვის ხიდი და სცადეს ვერის ხიდის აფეთქება რომელიც დროულად იქნა განაღმული ქართველი გამნაღმველების მიერ. (1; №109)

6 დეკემბერი

- სიღნაღის სამაზრო საერობო გამგეობამ გამოაცხადა კონკურსი მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობების დასაკავებლად მთელ მაზრაში. (1; №109)
- ეროვნული საბჭოს კანონით შეიქმნა სახელმწიფო კონტროლის ინსტიტუტი, რომელიც „სახალხო წარმომადგენლობისა და სახელმწიფო მმართველობის ცალკე ნაწილს შეადგენდა“. სახელმწიფო კონტროლი ამოწმებდა სამინისტროთა საფინანსო ხარჯთაღრიცხვას; სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვას; განიხილავდა აღმას-

რულებელი ხელისუფლების მიერ სახელმწიფო გადასახადისა და სხვა შემოსავლების აკრეფას და ა. შ. (7; 112)

- თელავის მაზრაში მძიმე კრიმინალური მდგომარეობის გამო. გამოცხადებულ იქნა სამხედრო მდგომარეობა. მაზრის გენერალ-გუბერნატორად დანიშნული იქნა გენერალი შალვა მაღლაკელიძე. გატარებული ღონისძიებების შედეგად დაპატიმრებული იქნა ავაზაკთა რამდენიმე ჯგუფი, რის შედეგადაც მაზრაში მდგომარეობა დასტაბილურდა. (1; №109)
- საეკლესიო გალობის გაუმჯობესების მიზნით დ. არაყიშვილი იწვევდა შესაბამისი ხმისა და სმენის მქონე ახალგაზრდებს სასწავლებლად მეცადინეობები ტარდებოდა ანჩისხატის № 1-ში ყოველ სამშაბათს, პარასკევს და კვირას. (2; №234)

7 დეკემბერი

- გამოქვეყნდა კანონი: „სამკურნალო მადნეულ აბანოების, წყლების და ტალახების სახელმწიფო კუთვნილებად გამოცხადების" შესახებ". (1; №110)
- სოჭის საზოგადოებამ ხელმეორედ დაადასტურა თავისი ძველი გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკასთან შეერთების შესახებ. (1; №110)
- საქართველოს მთავრობამ ბაქოს ნება დართო ბათუმში ნავთობის გადაქაჩვის შესახებ, იმ პირობით, რომ საქართველოს უზრუნველყოფდნენ ნავთობის საჭირო რაოდენობით. (1; №110)
- გაიხსნა თბილისის მაზრის საერობო ხმოსანთა პირველი ყრილობა. (3; №402)
- გამოვიდა კორნელი კეკელიძის მიერ შედგენილი ქართული ჰაგიოგრაფიის პირველი ტომი. (3; №402)
- ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" მხარდასაჭერად „ქართული კლუბის" მიერ გაიმართა სალიტერატურო, სამუსიკო, საცეკვაო საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გალაქტიონ ტაბიძემ, ტიციან ტაბიძემ, იოსებ გრიშაშვილმა, შალვა დადიანმა და სხვა ცნობილმა ადამიანებმა. (1; №110)

8 დეკემბერი

- ქალაქ თბილისის გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით ყველა კერძო ელექტროსადგურების მფლობელები ვალდებულნი არიან გაანათონ თბილისის ქუჩები, სახელმწიფო დაწესებულებები, საავადმყოფოები და სახლები, წინააღმდეგ შემთხვევაში დაპატიმრებულნი იქნებიან 1,5 წლით ან დაჯარიმდებიან 10 000 მანეთით. (1; №111)
- გაზეთ „საქართველოში" გამოქვყნდა გიორგი გვაზავას ვრცელი სტატია „საიდან მოგველის საფრთხე", სადაც ავტორი საუბრობს რუსეთის მხრიდან მომავალ საფრთხეებზე და ქვეყნის გადარჩენის და ნორმალური განვითარების სწორ გზას ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან კავშირში ხედავს. (2; №235)
- გაზეთ „საქართველოში" ასევე გამოქვეყნდა წერილი სათაურით „არევა", სადაც საუბარია კუთხური ნაციონალიზმის დამღუპველ შედეგებზე. ავტორს სტატიაში მოჰყავს ილია ჭავჭავაძის ნაზრევი ამ საკითხთან მიმართებაში და ხშირად იმოწმებს მას. (2; №235)

9 დეკემბერი

- საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს განკარგულებით ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგებად დაინიშნენ: ნაფიცი ვექილი იოსებ ჩარექოვი, მომრიგებელი მოსამართლე ტერენტი გიორგაძე, ქუთაისის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე ნესტორ იამანიძე, სენაკის პირველი უბნის გამომძიებელი მელიტონ ჭეიშვილი და ხონის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე გედეონ გაბუნია.
- სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების საწყობიდან 54 000 მანეთის ცარიელი ტომრები მოიპარეს.
- სომხეთის შეიარაღებული ნაწილები სოფელ უზუნლიარში თავს დაესხა საქართველოს სასაზღვრო რაზმის ჯარისკაცებს, შემდეგ დაატყვევეს და დახოცეს ქართული რაზმები კობერსა და კორინჯში. საქართველოს მხარეს თავიდან ეს ფაქტი ეგონა უპასუხისმგებლო ჯგუფის დანაშაულებრივი მოქმედება და არა სომხეთის მიერ დაწყებული იერიში.
- სახელმწიფო თეატრში ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის დასის მიერ წარმოდგენილ იქნა უკვე მეორედ მიმდინარე სეზონზე ალექსანდრე სუმბათაშვილის „ღალატი“.
- პირველმა მიწათმიმღებმა კომისიამ წინანდლის რაიონში დაამთავრა მუშაობა.

10 დეკემბერი

- შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით მიმართა საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების თავმჯდომარემ ექვთიმე თაყაიშვილმა, რომელშიც ის შინაგან საქმეთა მინისტრს სთხოვდა საქართველოს საისტორიო სიძველეების დაცვას, რომლებიც ხშირად იძარცვებოდა და ზიანდებოდა. განცხადებაში განსაკუთრებითაა აღნიშნული დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი და მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული ძეგლების დაზიანების ფაქტები „თათარი მეცხვარეები დავითგარეჯში ხშირად აზიანებენ ძეგლებს.“ ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ე. თაყაიშვილი ითხოვდა ამ ძეგლების დასაცავად შეიარაღებული მცველების დაყენებას. (1; №112)
- შრომისა და სარწმუნოების კომისიების ერთობლივი მუშაობის შედეგად დადგინდა საეკლესიო და სამოქალაქო უქმე დღეები, რომელშიც შევიდა ყველა საუფლო და მნიშვნელოვანი ქრისტიანული დღესასწაულები. ასევე, 1 იანვარი, ყველა კვირა დღე და რამდენიმე ეროვნული და საერთაშორისო დღის აღმნიშვნელი თარიღი. (1; №112)
- 10-15 დეკემბერს მიმდინარეობდა საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მეორე ყრილობა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ და გაზეთ „შრომის“ რედაქტორად არჩეულ იქნა ლეო შენგელაია, მის მოადგილედ ივანე გობეჩია. (13; 159)

11 დეკემბერი

- შინაგან საქმეთა მინისტრმა უბრძანა გენერალ-გუბერნატორს დაცვა გამოეყო დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსისათვის და თვალყური ედევნებინა ისტორიული ძეგლებისათვის.

- გამოქვეყნდა კანონპროექტი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ". თბილისის საქალაქო გამგეობამ გამოაცხადა კონკურსი მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობების დასაკავებლად. (1; №113)

12 დეკემბერი

- 12 დეკემბერს თბილისში აღინიშნა სახალხო გვარდიის დღე, გაიმართა სახალხო ზეიმი და გვარდიის აღლუმი. აღლუმზე დასასწრებად თბილისში ჩამოვიდა ინგლის-ამერიკის სამხედრო მისია. მისიის განცხადებით ქართული ჯარის განვითარება და ქვეყნის სტაბილურობა ხელს შეუწყობს საქართველოს, ევროპის ქვეყნების მხარდაჭერის მოპოვების საქმეში. (1; №115)
- კახეთის გენერალ-გუბერნატორის შალვა მაღლაკელიძის განცხადებით დევნის დროს მოკლული იქნქ 6 ყაჩაღი. (1; №114)
- გაზეთმა „საქართველომ" და ეროვნულ დემოკრატიულმა პარტიამ პროტესტი განაცხადეს ბუდუ მდივანისა და სხვა ბოლშევიკების ციხიდან გამოშვების გამო. (2; №238)
- გამოიცა რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი სადაც შევიდა ყველა ტექნიკური მნიშვნელობის სიტყვები. (3; №406)

13 დეკემბერი

- ღამით, რ. ანდრონიკაშვილის ბინიდან მოიპარეს 5 520 მანეთის ნივთები.
- სახელმწიფო თეატრში „ქართველ მსახიობთა კავშირის" დასის მიერ წარმოდგენილ იქნა შიუკაშვილის პიესა „მთის ზღაპარი".

14 დეკემბერი

- საქართველოს სამხრეთ საზღვრიდან სომხეთის რესპუბლიკის მიერ ომის გამოუცხადებლად თავდასხმის გამო ქართულ გაზეთებში გამოქვეყნდა იმ საფრთხეების შესახებ ვრცელი ანგარიშები რომლებიც მომდინარეობდა აგრესორი ქვეყნიდან. თავდასხმის ფაქტი დაგმობილი იქნა ქართული მხარის მიერ. (1; №115)
- საქართველოს პარლამენტის მიერ გამოქვეყნებული იქნა საქართველოს წყლების ძალთა გამოყენების დროებითი დებულება. (1; №115)
- ბათუმში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების მისიის წარმომადგენელი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის რექტორი, საერთაშორისო სამართლის დოქტორი ჯედსონი. მას შეხვდა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელი დიომიდე თოფურიძე. (1; №116)
- მიხეილ კავსაძის მომღერალთა გუნდის მიერ ჩატარებულ იქნა ლექციაკონცერტი. (3; №407)

15 დეკემბერი

- სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე სპეციალური განცხადებით წარსდგა პარლამენტის წინაშე. მისი მოხსენების თანახმად, 9 დეკემბერს სომხური ბანდები უზლარ-

თან თავს დაესხნენ ქართულ სამხედრო ნაწილებს, ხოლო შემდეგ დღეებში საომარ მოქმედებებში ჩაებნენ სომხეთის რეგულარული ჯარის ნაწილები, რის გამოც თავდაცვის მინისტრი აუცილებლად მიიჩნევდა ფართომაშტაბიანი სამხედრო მოქმედებების დაწყებას სომხეთის წინააღმდეგ ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მიზნით. (1; №116)

- სამხედრო მინისტრის განკარგულებით აიკრძალა ქართული ჯარების გადაჯგუფებისა და საომარი მოქმედებების შესახებ გაზეთებში ინფორმაციის დაბეჭდვა. ომის შესახებ ინფორმაცია დაიბეჭდებოდა მხოლოდ მინისტრის პირდაპირი ცნობების საფუძველზე. (1; №116)
- საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა საპროტესტო ნოტა გაუგზავნა ომის დაწყებასთან დაკავშირებით სომხეთის ელჩს საქართველოში ჯალალიანს და მოსთხოვა სამხედრო მოქმედებების შეწყვეტა.
- ორთაჭალის სადგურთან ლტოლვილები თავს დაეცნენ სხვადასხვა საწყობებს, საიდანაც გაიტაცეს მასალები, რომლებსაც ყიდიან თბილისის სხვადასხვა ბაზრებში. (1; №116)

16 დეკემბერი

- საქართველოს მთავრობამ პროტესტი გაუგზავნა ყველა სახელმწიფოს 10 დეკემბერს, სომხეთის მხრიდან საქართველოს სასაზღვრო ჯარზე თავდასხმის გამო. (2; №241)
- გაიმართა ქალაქ თბილისის ქალაქის საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობდა ალექსანდრე ლომთათიძე. სხდომაზე განიხილეს სომხეთსა და საქართველოს შორის დაწყებული კონფლიქტი. (2; №241)

17 დეკემბერი

- საქართველოს მთავრობის განცხადება სომხეთთან ფართომაშტაბიანი ომის დაწყების შესახებ, რის გამოც გამოცხადდა სამხედრო მობილიზაცია მთელს საქართველოში. მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია პარლამენტს მიმართავდა: „...რაკი არარატის რესპუბლიკის მთავრობა მშვიდობიან პოლიტიკურ მოლაპარაკებაზე უარს ამბობს, ჩვენ იძულებული ვართ მშვიდობიანობა იარაღით დავამყაროთ.“ (1; №117)
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა განცხადებით მიმართა საერთაშორისო საზოგადოებას. მან ასევე წერილობით მიმართა საქართველოში მყოფ უცხო ქვეყნების წარმომადგენლებს და საელჩოებს, სადაც დეტალურად იყო ომის დაწყების ამსახველი ინფორმაცია წარმოდგენილი. განცხადებაში ასევე ნათქვამი იყო, რომ სომხეთი საქართველოს თავს დაესხა ყველა საერთაშორისო ნორმების დარღვევით და ამასთანავე უარს აცხადებდა ყველანაირ მოლაპარაკებაზე, რის გამოც საქართველო იძულებულია მიიღოს გადამწყვეტი ზომები. განცხადებას თან ერთვოდა ის დეპეშები, რომელსაც საქართველოს მთავრობა უგზავნიდა სომხეთის მხარეს, რამდენიმე კვირის მანძილზე, ვითარების გარკვევისა და კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით. (1; №117)

- ეროვნულმა საბჭომ მიიღო დებულება ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა არჩევნების შესახებ. (7; 168)

18 დეკემბერი

- სამხედრო მინისტრის ცნობით, სანაინის მიმართულებით ჩარჩენილმა ქართულმა რაზმებმა ალყა გაარღვიეს და სამშვიდობოს გამოვიდნენ. (1; №273)
- სამხედრო მინისტრის მიერ გამოცხადებული მობილიზაციის გამო 1892-1897 წლებში დაბადებული მოქალაქეები ვალდებულნი იყვნენ გამოცხადებულიყვნენ თავიანთ მაზრების სამობილიზაციო შტაბებში, საიდანაც გააგზავნიდნენ ფრონტზე. (1; №118)
- ქალაქ თბილისის გამგეობის გადაწყვეტილებით, ასირიელებს (აისორებს) გაუხსნეს ცალკე სკოლა, სადაც შესაძლებლობა ჰქონდათ საკუთარი ენისა და ისტორიის სწავლის. (1; №118)
- თბილისში ცირკმა „მოდერნმა," გამართა წარმოდგენა, რომელშიც ცნობილმა ილუზიონისტებმა და აკრობატებმა მიიღეს მონაწილეობა. (3; №411)

19 დეკემბერი

- სომხეთის თავდასხმის გამო შედგა საქართველოს პარლამენტის საგანგებო სხდომა. სიტყვებით გამოვიდნენ მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე, სახალხო გვარდიის სარდალი ვალიკო ჯუღელი, პარლამენტის სხვა წევრები და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები. მათ ერთხმად დაგმეს თავდასხმის ფაქტი და გააკეთეს თავდაცვის გაძლიერებისაკენ მოწოდებები. (1; №119)
- სამხედრო შტაბის ცნობით, სომხეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეულ იქნა სერიოზული წარმატებები. ქართულმა ჯარმა წინ წაიწია ალავერდის იქეთ, ორი სოფელი აიღო. სახალხო გვარდიამ გზა გაიკაფა და ვორონცოვკა აიღო. გენერალი მაყაშვილი ახალქალაქის მაზრაში წინ მიიწევს. (2; №243)
- თბილისის გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით დაიხურა სომხური გაზეთები „აშხატაორი," „ნორ-ორიზონი," „კავკასსკოე სლოვო", რომელთა შემადგენლობა და რედაქტორი ანანოვი დაპატიმრებულნი არიან თბილისელი სომხებისათვის აჯანყებისა და ამბოხების მოწოდების გამო. (2; №243)
- თბილისის ყველა კომისარიატში ყველა სომეხ მილიციონერებს იარაღი აჰყარეს. (1; №119)
- ოსმალების მიერ ბათუმის დატოვების შემდეგ ქართველები ბათუმში უპრობლემოდ ბრუნდებიან. (2; №243)

20 დეკემბერი

- ქართველ ხალხს და ჯარისკაცებს საომარი სულისკვეთების ასამაღლებლად და საბრძოლველად სიტყვით მიმართა სამხედრო მინისტრმა გრიგოლ გიორგაძემ. საქართველოს სხვადასხვა მაზრებში შედგა მოხალისეთა რაზმები, რომლებიც ფრონტისაკენ მიემართებიან. (1; №120)

- ტყვედ ჩავარდნილი 5 ქართველი ჯარისკაცი სომხებმა დახვრიტეს. (1; №120)
- 19-20 დეკემბრის ბრძოლის დროს სახალხო გვარდიამ ეკატერინოფელდზე შეტევის დროს დაამარცხა სომხეთის ჯარები და დიდი ზიანი მიაყენა მათ. ტყვედ ჩაგვივარდა ბატარეის მეთაური, ოფიცრები და ჯარისკაცები. ახალქალაქის მაზრა სრულიად იქნა გაწმენდილი გენერალ მაყაშვილის მიერ. (1; №120)
- მაჰმადიანი ქართველები მოხალისეებად ეწერებიან სომხეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. ასევე ბორჯომში მცხოვრებმა სომხებმა თხოვნით მიმართეს საქართველოს მთავრობას საქართველოს დროშის ქვეშ სომხეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობისათვის. (2; №244)

21 დეკემბერი

- თბილისისა და გორის გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით, თბილისისა და გორის მაზრებში მცხოვრები მოქალაქეები ვალდებულნი არიან ახლომდებარე კომისარიატებს ჩააბარონ იარაღები. იარაღის ტარების უფლება აქვთ მხოლოდ ჯარის, გვარდიის და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს, რომელთაც აქვთ იარაღის ტარების ნებართვა. (1; №121)
- შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში სრული სიწყნარეა. ლტოლვილები სახლებში ბრუნდებიან. (1; №)
- სახელმწიფო თეატრში გაიმართა ოპერა „ტრავიატა“, სარაჯიშვილის, საბანევას, ინაევის და სხვა ცნობილი მომღერლების შესრულებით. (1; №121)
- „ქართულ კლუბში“ ალექსანდრე მაისურაძის გუნდის შესრულებით გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი ქართული ჯარის დასახმარებლად. (3; №413)
- საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარემ თბილისში მიიღო დეპეშა თელავიდან: თელავის სომხების მრავალრიცხოვანი კრება, რომელიც გაიმართა 21 დეკემბერს, საქართველოს და სომხეთს შორის შექმნილ მდგომარეობაზე მსჯელობის შემდეგ პროტესტს აცხადებს სომხეთის ავანტიურისტთა მოქმედებებზე, რომლის შედეგია ორ მომმე ერს შუა სისხლის ღვრა. თელავის სომხობა სალამს უძღვნის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და ჰპირდება ყოველგვარ დახმარებას დემოკრატიული რესპუბლიკის დაცვაში. ამასთანავე გთხოვთ მიიღოთ ზომები მომმე ერების სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად. დეპეშას ხელს აწერდა სხდომის თავმჯდომარე ხითაროვი. (1; №121)

22 დეკემბერი

- საქართველოს მთავრობამ სომხეთის მთავრობისაგან ომის გამოცხადების ნოტა მიიღო. საქართველოსა და სომხეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები შეწყდა. საქართველო-სომხეთის საზღვარი დაიკეტა. საქართველოს ჯარების მთავარსარდლად ბორჩალოს ფრონტზე სამხედრო მინისტრის ამხანაგი გენერალი გედევანიშვილი დაინიშნა. (1; №122)

- 21-22 დეკემბრის ღამეს ახალქალაქის მაზრაში მტერმა ზარბაზნებით მოიტანა შეტევა, რომელიც მოგერიებულ იქნა, მაგრამ თოვლისა და ქარბუქის გამო დევნის ოპერაცია ვერ განხორციელდა. მტერმა დაკარგა ასზე მეტი ჯარისკაცი, 40 ჯარისკაცი და რამდენიმე ათეული სამხედრო იარაღი ხელთ ჩაუვარდა ქართველ მეომრებს. ეკატერინოფელდთან ქართულმა სამხედრო ნაწილებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. მოწინააღმდეგემ დაკარგა 250-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი და ასევე ხელთ ჩაგვივარდა 300 თოფი, 1 ტყვიამფრქვევი და დიდი რაოდენობით ტყვია-წამალი. (1; №122)
- თბილისის გენერალ-გუბერნატორად შალვა მაღლაკელიძე დაინიშნა. გენერალი გიორგი კვინიტაძე საკუთარი სურვილით მოხალისეთა ჯარში შტაბის უფროსად წავიდა. (1; №122)

23 დეკემბერი

- გორიდან თბილისში ჩამოვიდა დიდი რაოდენობით ჯარისკაცი გორის მაზრიდან. ისინი ძველი მეომრები იყვნენ და მწყობრით შემოვიდნენ ქალაქში. მათ შეუერთდა მოსახლეობაც და გაიმართა მანიფესტაცია, რომელიც სასახლესთან გაჩერდა. ახალჩამოსულ ჯარს მიესალმნენ მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია და შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი.
- ძეგვის ხიდის აფეთქებასთან დაკავშირებით სასამართლო პროცესის მესამე დღე გაგრძელდა და დაიკითხნენ მოწმეები.
- საღამოს 6 საათზე გ. გელაშვილის ფეხსაცმელების სალონიდან ბოროტმოქმედებმა 10 000 მანეთის სხვადასხვა საქონელი და 1 660 მანეთი გაიტაცეს.
- საღამოს 9 საათზე მოსკოვის ქუჩაზე გერმანიის დელეგაციის წარმომადგენელს ვ. მიულერს 4 შეიარაღებული პირი დახვდა და 10 000 მანეთი წაართვა.
- გაიმართა ქალაქის საბჭოს სხდომა ალექსანდრე ლომთათიძის თავმჯდომარეობით. სხდომაზე აღინიშნა, რომ სომხეთთან ომმა არ მიიღო ის მიმართულება, რომელიც სურდა დემოკრატიას, რის შედეგადაც საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობს, დიპლომატიური წარმომადგენელიც კი წავიდა თბილისიდან. ომი მიმდინარეობს და უკვე განიცადა დანაკარგები სახალხო გვარდიამ. სხდომას არ დაესწრო დაშნაკცუტიუნის ფრაქცია.
- თბილისის მიხეილის საავადმყოფოს მთავარი ექიმი გურკო ინიშნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საექიმო--სასანიტარო განყოფილების კონსულტანტად.
- მიხეილის საავადმყოფოს უფროსი ორდინატორი მედიცინის ექიმი ს. ვირსალაძე დაინიშნა საავადმყოფოს მთავარ ექიმად.
- ყაზბეგის რაიონის კომისრის დეპეშით ცნობილი ხდება, რომ 23 დეკემბერს მოწვეულმა მრავალრიცხოვანმა კრებამ გაითვალისწინა რა მტრის მუხანათური საქციელი და მისი ვერაგობით აღელვებულმა ერთხმად დაადგინა: ვუცხადებთ სრულ ნდობას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და ვდებთ ფიცს, რომ გამოვიდეთ ბრძოლის ველზე როგორც ისინი ვისაც ჯარში გაწვევა ეხება, ისე მოხალისეები, ვისაც კი იარაღის ხელში ტარება შეუძლია და მოსისხლე მტრის უკანასკნელ დამარცხებამდე იარაღი ხელიდან არ დავტოვოთ. ამავე კრებაზე მებრძოლთა დასახმარებლად შეიკრიბა 6 909 მანეთი.

- გზათა მინისტრის ლორთქიფანიძის ბრძანებით აკაკი ჩოჩუა ინიშნება მდინარე რიონის ფლოტილიის მიღება-ჩაბარებისა და მოწყობის რწმუნებულად.

24 დეკემბერი

- შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, სომხები საქართველოში საიდუმლო მობილიზაციებს აწყობდნენ. ჯარში გასაწვევ სომეხ ახალგაზრდებს სომხეთში აგზავნიდნენ საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად. (3; №417)
- ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი „რესპუბლიკის მტრის დახმარებისათვის ქონების კონფისკაციის" შესახებ. მასში აღნიშნული იყო, რომ „საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს, რომელიც მონაწილეობას მიიღებს უცხო სახელმწიფოს საომარ მოქმედებაში საქართველოს წინააღმდეგ და ან გარეშე მტერს აქტიურს დახმარებას გაუწევს იარაღისა, ფულისა თუ ცნობის მიწოდებით, ან საერთოდ ხელს შეუწყობს მტრის სამხედრო მოქმედებას, – ჩამოერთვას მთავრობის დადგენილებით ყოველი უძრავ-მოძრავი ქონება რესპუბლიკის ხაზინის სასარგებლოდ". (7; 177)
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა ცნობა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და მაზრებში ასარჩევ ხმოსანთა რაოდენობის შესახებ.
- სომეხი ტერორისტების მიერ ძეგვის ხიდის აფეთქების გამო დაწყებული სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დაბეჭდვა დაიწყო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში". (1; №123)

25 დეკემბერი

- საქართველოს პარლამენტმა და მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ მიიღო კანონი „სამუსლიმანო საქართველოსათვის (აჭარა) ავტონომიის მინიჭების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში." (1; №124)
- სომეხთა საიდუმლო კრებებზე მონაწილეობისათვის, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებებს გეგმავდნენ, 400 კაცი შეიპყრეს და ქუთაისში გადააგზავნეს. (2; №248)
- ქართულ ჯარს ბორჩალოს ფრონტზე ზურგიდან პრობლემები შეუქმნა სომხურმა მოსახლეობამ. მათ რკინისგზა აჰყარეს, რათა ქართულ ჯარს დახმარება დროულად არ მიეღო. თუმცა არტილერიის დახმარებით სომეხთა იერიში მოგერიებულ იქნა. (3; №416)
- სახელმწიფო თეატრში გაიმართა ავქსენტი ცაგარელის ისტორიული პიესა „ქართველი დედა" შალვა დადიანის ხელმძღვანელობით. შემოსული თანხა გადაირიცხა ომის საჭიროებისათვის. (3; №416)
- საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს მოსახლეობა აგროვებდა პროდუქტებსა და ფულს ჯარისათვის შემოწირულობების სახით. ორგანიზებას ამ ღონისძიებებს სამაზრო და საქალაქო თვითმმართველობები უწევდნენ. (3; №416)

26 დეკემბერი

- საგანგებო რაზმმა შეიპყრო 50 სომეხი, რომლებიც საქართველოში მოხალისეებს აგროვებდნენ საქართველოს წინააღმდეგ. (2; №249)
- სამხედრო სამინისტრომ წარმოადგინა რამდენიმე ათეული ადამიანის სია, რომლებიც ფულით დაეხმარნენ საქართველოს ჯარს. (3; №418)
- გაგრძელდა ჯარის დასახმარებლად საქველმოქმედო საღამოები. სახელმწიფო თეატრში გაიმართა ევლახიშვილის საოპერო დასის წარმოდგენა „ლაკმე და ბალეტი". მონაწილეობდნენ: საბანევა, მოროზოვი, სარაჯიშვილი და ნიკოლსკი. ასევე კლუბ „მუშტაიდში" ალექსანდრე წუწუნავას მიერ დაიდგა სპექტაკლი „სამშობლო", საიდანაც შემოსული თანხა გადაერიცხა თავდაცვის ფონდს. (3; №418)

27 დეკემბერი

- ხაშურში საქართველოს საწინააღმდეგო აგიტაციისთვის მილიციამ შეიპყრო საქართველოს პარლამენტის წევრი ზორიანი. (1; №126)
- საქართველოს ჯარმა ბრძოლით დაიკავა სოფელი სოფელი დაგეთხაჩინი შულავერთან. (1; №126)
- ქუთაისში დაჭერილ იქნა მოსკოვის რადიო-სიგნალი, სადაც გავრცელებული ინფორმაციით საქართველოს გასაბჭოების შესახებაა საუბარი. (1; №126)
- „ბაზარზე გამოჩნდა რაჭული ღვინის ყალბი ანალოგი, რომელიც სახელს უტეხს სხვადასხვა გამოფენაზე მრავალ ჯილდომიღებულ რაჭულ ღვინოს". მყიდველს ღვინის კომპანია აფრთხილებს, რომ ყიდვის დროს გამოიჩინონ სიფრთხილე და დააკვირდნენ ბოთლს. (3; №418)

28 დეკემბერი

- ქართველმა ებრაელებმა განაცხადეს ომში ქართველთა დახმარებისა და მხარდაჭერის თაობაზე. მათ მზადყოფნა გამოთქვეს ქართული ჯარის დასახმარებლად როგორც მოხალისეებით, ასევე ფინანსებით. (2; №252)
- ძეგვის ხიდის აფეთქებაში ბრალდებულებს სასამართლომ განაჩენი გამოუტანა. ინჟინერ გ. ლ. შმაგილოვს და მ. კუჩარიანცს მიესაჯათ დახვრეტა, ხოლო ბრალდებული კურულიანი გაამართლა. ბრალდებულებს სამი კვირის განმავლობაში აქვთ საკასაციო გასაჩივრების უფლება. (2; №252)
- ქართულმა მუსიკალურმა საზოგადოებამ კონსერატორიაში გამართა კამერული საღამო ვოლტერ ლევიცსკის და მუსიკალური კვარტეტის მონაწილეობით. (2; №252)

29 დეკემბერი

- ომისათვის გამოცხადებული მობილიზაცია წარმატებით დასრულდა, თითქმის მთელ საქართველოში შეიკრიბა მოხალისეთა რაზმები. (2; №253)
- ჩვენმა ჯარმა აიღო შულავერი. მტერმა სამხრეთით დაიხია, ხელში ჩაგვივარდა მტრის 100 ჯარისკაცი. 7 ოფიცერი, 4 ზარბაზანი და 15 ტყვიამფრქვევი. (2; №249)

- გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნდა სომხური გაზეთების მიმოხილვა, სადაც საუბარია სომხების მიერ ომის შეჩერებისა და მოლაპარაკების დაწყების თაობაზე. (2; №252)
- ბორჩალოს მაზრის სოფელ დურნოვის სომები მოსახლეობა საქართველოს რესპუბლიკას უცხადებს ერთგულებას. ისინი მზად არიან ნებისმიერი სახით დაეხმარონ საქართველოს, მათ შორის მონაწილეობა მიიღონ ომში. (2; №252)
- დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინაშე მოხსენებით წარსდგა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე საჭირო იყო დამფუძნებელი კრების არჩევნების დაჩქარება, რადგან პარიზში გასამგზავრებელ სამთავრობო დელეგაციას მეტი ლეგიტიმაციის მიზნით ჰქონოდა ხალხის მანდატი. (ს.ც.ს.ს.ა. ფონდი1834 აღ.2 საქმეზ19 გვ.6-7)

30 დეკემბერი

- მთავრობამ შეადგინა დელეგაცია, რომელიც ინგლისური გემით გაემგზავრება პარიზში, რათა მონაწილეობა მიიღონ საზავო კონფერენციაში. (2; №253)
- თბილისში გაიმართა პოლონელების კონცერტი, სადაც წარმოდგენილი იყო პოლონური ცეკვა და მუსიკა. (2; №253)

31 დეკემბერი

- საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებით, ომის დროს მოკლულ ჯარისკაცთა და ოფიცრების ჩამოსვენების და დაკრძალვის ხარჯები და მათი ოჯახებისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა მოხდება სახელმწიფოს მიერ. ასევე დაჭრილი ჯარისკაცებისა და მათი ოჯახებისათვის პენსიებისა და დახმარების მიცემა უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფოს მიერ. (2; №1)
- პარლამენტის სხდომაზე მოხსენებით წარსდგა სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე. რომელმაც განაცხადა, რომ ქართულმა ჯარმა შულავერთან გაანადგურა მტრის სამხედრო ძალები. ასევე ეკატერინოფელდთანაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ქართულმა ჯარებმა. საქართველოს ტერიტორიიდან სომხური სამხედრო ნაწილები მთლიანად განდევნილია და ბრძოლები სომხეთის ტერიტორიაზე წარმოებს.
- 31 დეკემბერს 24 საათზე საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკებს შორის საომარი მოქმედებები დროებითი ზავით შეწყდა, რომლის მიხედვითაც შეჩერებული იქნა სამხედრო მოქმედებები და ეს პოზიციები განისაზღვრა ზავის პირობებით. საქართველოს ჯარი შეჩერდა იმ ხაზზე რომელიც მოცემული მომენტისათვის ეკავა.
- დამფუძნებელი კრების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაადგინა რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები დაინიშნოს 14, 15, 16 თებერვალს. ეს გადაწყვეტილება დასამტკიცებლად გადაეცა პარლამენტს. (ს.ც.ს.ს.ა. ფონდი1834 აღ.2 საქმეზ19 გვ.8-9)
- ეროვნული საბჭოს კანონით განისაზღვრა სამოქალაქო უქმე დღეები ახალი სტილი: ა) ახალი წელიწადი – იანვრის პირველი; ბ) რუსეთის დიდი რევოლუციის პირველი დღე – მარტის 12; გ). ინტერნაციონალის დღესასწაული – მაისის პირველი; დ). საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე – 26 მაისი. (7; 197)

1919 წელი

1 იანვარი

- ქუთაისის ოლქის მთელს ტერიტორიაზე მოხდა სასამართლო სისტემის გაეროვნულება. 1 იანვრიდან სასამართლოში საქმის წარმოება, სასამართლო პროცესები და კანცელარია ქართულად წარმოებდა. (1; №1)
- გამოვიდა 1919 წლის საქართველოს რესპუბლიკის კალენდარი. ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენებზე. ფასი 10 მანეთი. (1; №1)
- მთავარი შტაბის ცნობით ქართულმა ჯარმა გაანადგურა ორჯერ მრავალრიცხოვანი მტერი და აიღო სოფელი ბოლნის ხაჩინი. ქართულ ჯარს სამხედრო ტყვეების გარდა ხელში ჩაუვარდა 4 ტყვიამფრქვევი, დიდი რაოდენობით ზარბაზნის ყუმბარები და ტყვია-წამალი. (1; №1)
- სოფელ სართიჭალაში მცხოვრებმა 54-მა სომეხი ეროვნების საქართველოს მოქალაქემ განცხადებით მიმართა საქართველოს მთავრობას. ისინი გმობდნენ სომხეთის მიერ საქართველოზე თავდასხმის ფაქტს და ითხოვდნენ ომში მოხალისეთ წასვლის უფლებას. მათი ხელმოწერილი სია გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში."(1; №1)
- სამუსლიმანო საქართველოს განთავისუფლების ქართულმა კომიტეტმა სიტყვით მიმართა მუსლიმ მოსახლეობას და მოუწოდა მშვიდობიანი თანაცხოვრებისაკენ საქართველოში. (1; №1)

2 იანვარი

- მთავარი შტაბის ცნობით, საქართველო-სომხეთის დროებითი ზავის პირობების დარღვევას ჯერჯერობით ადგილი არ ჰქონია. (1; №2)
- არტისტული საზოგადოების თეატრში ალექსანდრე სუმბათაშვილის მიერ დადგმული იქნა სპეკტაკლი „ღალატი"(1; №2)

3 იანვარი

- შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი სომხების მასიური დაპატიმრებების გამო განმარტებითი მოხსენებით წარსდგა პარლამენტის წინაშე. მან განაცხადა, რომ სომხების დაკავება გამოწვეული იყო ეროვნული უსაფრთხოებიდან გამომდინარე, რადგან ის სომხები რომლებიც დაკავებულნი იქნენ ბოლო დღეებში, მხილებულნი იყვნენ ქართული ჯარების ზურგში აჯანყების მოწყობაში და სომხეთისათვის იარაღით და ცოცხალი ძალით დახმარებაში, საქართველოს წინააღმდეგ ომის დროს. (1; №3)
- საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რესპუბლიკის საზღვრებში მდებარე ყოველი ადგილ-მამულის, ყოველგვარი შენობის და მოძრავი ქონების კონფისკაციის შესახებ, რომელიც ეკუთვნოდა „სამეფო გვარეულობის წევრთ". ისინი გამოცხადდა „სახელმწიფო ქონებად". (7; 201)
- გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" წერდა რომ სოფელ თერჯოლაში ორი წლის წინ დაარსდა უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი, სადაც ამზადებდნენ ახალ მასწავ-

ლებლებს. ასევე სკოლებში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით მოქმედ მასწავლებლებს დროდადრო უტარდებოდათ საჩვენებელი გაკვეთილები. რაც ხელს უწყობდა სკოლებში სწავლების დონის ამაღლებას. (1; №3)

- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას გამოეყო ანარქისტულად განწყობილი ჯგუფი და დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა სცადა. ახალ პარტიას ეწოდებოდა „საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების მამვრალთა პარტია". ესენი ანარქო-სინდიკალისტები იყვნენ. (13; 162)
- ისიდორე სტურუას გამომცემლობაში დაიბეჭდა და გასაყიდად გამოვიდა იოსებ გრიშაშვილის წიგნი „საიათნოვა", ფასი 15 მანეთი(2; №2)

4 იანვარი

- ლონდონიდან ზურაბ ავალიშვილმა დეპეშით შეტყობინება გამოაგზავნა რომ ინგლისის მთავრობამ საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა. (ცნობა არაზუსტია – რედ). (2; №3)
- ინგლისის მთავრობამ ამიერკავკასიის ჯარების მთავარსარდალი გენერალი ტომსონი გადააყენა. მის ნაცვლად ამ თანამდებობაზე გენერალი მოლლი დაინიშნა. (2; №3)
- პარლამენტის სხდომაზე მთავრობის მკაცრი კრიტიკით გამოვიდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი სპირიდონ კედია: „ფაქტობრივად ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვა, მაგრამ შეთანხმების პირობებით დამარცხებული გამოვედით." (2; №3)
- შულავერთან ქართველმა ჯარისკაცებმა ხელთ იგდეს სომხეთის ჯარის საბუთები, საიდანაც დგინდება, რომ თავდასხმას ისინი 10 ოქტომბრიდან აპირებდნენ და მზად იყვნენ სამხედრო მოქმედებებისათვის. (2; №3)
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით ქუთაისში დაპატიმრებული იქნა ასზე მეტი ბოლშევიკი, შეიარაღებული გამოსვლისათვის. (1; №4)

5 იანვარი

- საქართველოს პარლამენტის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი, რომელმაც მოხსენება გააკეთა სომხეთთან საომარი მოქმედებების შეწყვეტისა და ზავის პირობების შესახებ. მან ასევე აღნიშნა მოკავშირეთა დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. სხდომაზე სამ დღიანი კამათის შემდეგ ზავის პირობები იქნა მიღებული, რომელსაც განსაკუთრებით ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ეწინააღმდეგებოდა. ისინი მიიჩნევდნენ რომ ზავის პირობები საქართველოსთვის არახელსაყრელი და საზიანო იყო. (2; №4)
- ქალაქ თბილისის გამგეობამ გადაწყვიტა ზემო ამაღლების ქუჩაზე გაიყვანოს მილი მოსახლეობის უფასოდ წყლით მომარაგებისათვის.
- დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებით, მათი ბინა განთავსებული ოყო მირიმანოვის სახლში, პოპოვის საჩაიე მაღაზიის ბინაში. (ს.ც.ს.ს.ა. ფონდი1834 აღ.2 საქმეზ19 გვ.9)

- სახელმწიფო თეატრმა სადღესასწაულო რეპერტუარი შესთავაზა მაყურებელს, ს. ა. ევლახიშვილის დირიჟორობით წარმოდგენილი იქნა ოპერები: 1. „პიაცები“ და 2. „ქორწილი მოლოროსიაში.“(2; №4)

6 იანვარი

- შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგა ჯავახეთიდან დაბრუნებული მინისტრის რწმუნებული ლტოლვილთა საქმეებზე ალ. ლორთქიფანიძე, რომელმაც ვრცელი მოხსენება წარუდგინა მინისტრს. როგორც მისი მოხსენებიდან ირკვევა 29 ნოემბრიდან 4 იანვრამდე გადაყვანილ იქნა ბორჯომიდან ახალციხეში ათი ათასზე მეტი ლტოლვილი სამასი ურმით და მათი გადაყვანა 90 000 მანეთი დაჯდა. ახალციხეში მისი ხელმძღვანელობით შემდგარა ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ეხმარება ყველას განურჩეველად ეროვნებისა. კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნულია ექიმი გულისამვილი. ყოველდღე კომიტეტი კვებავს 3 500 ადამიანს, აქედან 2 500 არიან სომხები, ხოლო 1 000 ქართველები. აღნიშნულ დღემდე ლორთქიფანიძეს ლტოლვილებზე დაუხარჯია 18 000 მანეთი და მისი გამოანგარიშებით იმ ლტოლვილების გადაყვანა, რომლებიც იმყოფებიან ახალციხესა და ბორჯომში გამოკვებასთან ერთად დაჯდება 50 000 მანეთზე მეტი.
- დასრულდა ინგლისელების მიერ ბათუმის დაწესებულებების ჩაბარება. ხელმძღვანელ ორგანოდ გენერალ-გუბერნატორმა დაარსა თავისთან საბჭო, რომელშიც მიიწვია 2 ქართველი, 2 რუსი, დანარჩენი ერების წარმომადგენლებიდან თითო წევრი და ქართველი მაჰმადიანებისგანაც ერთი წევრი, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ქართველებში და ზოგადად საზოგადოებაში. ამის გამო ქართველებმა გამართეს მიტინგი და ბათუმში მოეწყო ყრილობა. პროტესტთან ერთად დაადგინეს ეთხოვოს გენერალ-გუბერნატორს ქართველ მაჰმადიან წარმომადგენელთა რიცხვის გაზრდა. ასევე დადგინდა ეთხოვოს გენერალ-გუბერნატორს, რომ ქალაქის საბჭოს წევრები ეროვნული საბჭოს მიერ იყვნენ არჩეულნი და არა დანიშნულნი. ქალაქის თვითმმართველობა მოკლე ხანში შეუდგა არჩევნებისათვის მზადებას. მიიღეს დროებითი მთავრობის დებულება ქალაქის ხმოსნების არჩევისთვის. გამგეობას ერთი თვის ვადა მიეცა ამომრჩეველთა სიების შესადგენად.
- დაიწყო ყოველდღიურმა მატარებლებმა სიარული, ასევე აღდგა ტელეგრაფი თბილისთან. ფოსტამ და საბაჟომ დაიწყო მოქმედება, ხოლო დანარჩენი სახელმწიფო დაწესებულებები ადგენენ შტატებს და იწვევენ ძველ მოხელეებს. გუბერნატორთან არსებულ საბჭოზე უსაფრთხოება თანდათან იზრდება. მისგან დანიშნული პირებით ოლქში აჭარლები უკმაყოფილოები არიან და მოითხოვენ თავისი ხალხის დანიშვნას.
- სოფელ გრაკალის გლეხთა კოოპერატივის წევრების კრებამ გადაწყვიტა გადადოს მთავრობის განკარგულებაში 3 000 მანეთი ჯარების დასახმარებლად. სოფელში ჯარების დასახმარებლად მოგროვდა ფქვილი, სიმინდი და ხორბალი 1 840 მანეთის და ფული 220 მანეთი. აღნიშნული დახმარება გადაეცა ახალქალაქის რაიონის კომისარს.

7 იანვარი

- პარლამენტის წინაშე სიტყვით წარსდგა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია რომელმაც განაცხადა რომ ზავის პირობების მიღება გამოწვეული იყო აუცილებლო-

ბით, რასაც კიდევ ერთხელ მოჰყვა დებატები პარლამენტში. მთავრობა ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ გააკრიტიკა ქვეყნისათვის წამგებიანი ზავის პირობებზე დათანხმებისათვის. (1; №5)

- ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით ყველა პარტიის საარჩევნო ბიულეტენი უნდა დაბეჭდილიყო არჩევნებამდე, რათა ხალხს ჰქონოდა მათი ნახვის საშუალება და გადაწყვეტილების ისე მიღება. (3; №426)
- ქართულ გაზეთებში გამოქვეყნდა სომხეთთან ომში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების და გვარდიელების 104 კაციანი სია. (1; №5)

8 იანვარი

- საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატაში არჩეული იქნა 10 ქართველი და 3 სომეხი წევრი.
- მთიელთა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ საქართველოს მთავრობას გამოუგზავნა წერილობითი მიმართვა კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარების შესახებ.
- ქართულმა გაზეთებმა დაიწყეს მოქალაქეების გაფრთხილება საარჩევნო სიებში საკუთარი გვარების გადამოწმების შესახებ. სიაში გამოტოვებულ მოქალაქეებს კი მოუწოდებდნენ შეეტანათ საკუთარი თავი დამატებით სიებში.

9 იანვარი

- გავრცელდა ჭორი, რომლის მიხედვითაც მოხალისეების ჯარმა დაიკავა სოჭის ოლქი, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია მცდარი აღმოჩნდა. თბილისიდან მთავრობის წარმომადგენელს მიუვიდა შემდეგი დეპეშა: ინგლისის წარმომადგენელმა რაიკროფტმა კატეგორიულად განაცხადა, რომ მოხალისეთა ჯარის მიერ სოჭის ოლქის წინააღმდეგ არავითარი აქტიური მოქმედება დაშვებული არ იქნება. სანამ კონკრეტული გარანტიები არ იქნება მიღებული, საქართველოს ჯარები სოჭის ოლქში დარჩებიან.
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ინფორმაციით თბილისიდან ერევანში გაემგზავრა რკინიგზის დასათვალიერებლად, ინგლისის რკინიგზის ინსპექტორი.
- დილის 8 საათზე ანტონოვოს ქუჩაზე თავი მოიკლა მოქალაქე მარიამ კიკელაშვილმა.
- შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საერობო განყოფილების უფროსი ვასილ სოკოლოვი დაინიშნა სამინისტროს საერობო ნაწილის ინსტრუქტორად.

10 იანვარი

- საქართველოს პარლამენტმა დამფუძნებელი კრების არჩევნების პირველ დღედ გამოაცხადა 1919 წლის 14 თებერვალი. (7; 204)
- გაიხსნა საქართველო-სომხეთის საზავო კონფერენცია, ინგლისის, საფრანგეთის, საქართველოს და სომხეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით. კონფერენციას თავმჯდომარეობდა ინგლისის წარმომადგენელი პოლკოვნიკი სტიუარტი. ოთხი სხდომა გაიმართა. დადგინდა: საქართველოს ჯარი უნდა დარჩენილიყო იმ პოზიციაზე, რაც მას ეკავა სამხედრო მოქმედების შეწყვეტის მომენტში, 31 დეკემბრის ღამის 12 საათისთვის. (1; №6)

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ინფორმაციით, მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც საქართველოს რესპუბლიკის სამეფო გვარეულობის წევრებს, როგორც დაბა-ქალაქებში, ასევე მათ გარეშე, ყოველგვარი შენობა და მოძრავი ქონება ჩამოერთვა და გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონებად. (1; №6)
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით, მიუხედავად სავალდებულო დადგენილებისა, რომელიც გამოსცა თბილისის გუბერნატორმა შალვა მაღლაკელიძემ, რომლის მიხედვითაც უორდეროთ არავინ არ უნდა დაპატიმრებულიყო, სახალხო გვარდიის სარაიონო შტაბები, მაინც ახდენენ ჩხრეკა-დაპატიმრებას ორდერის გარეშე. ამისთვის, გუბერნატორმა მაღლაკელიძემ ხელახლა გამოსცა ბრძანება, რომ ძალაშია მისი წინანდელი დადგენილება და აფრთხილებს შტაბებს დაიცვან იგი. (1; №6)
- თბილისში მუშაობა დაიწყო სომხეთ-საქართველოს კონფერენციამ. კონფერენციის მიზანი იყო დროებითი ზავის საკითხების განხილვა. (1; №6)
- შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან, სიღნაღის მაზრის კომისარი პარმენ გელაშვილი. მისი თანამდებობის ასრულება დროებით დაევალა აპოლონ ბაგაშვილს. (1; №6)
- მოქალაქე სიმონ ჩიქოვანი დაინიშნა ახალციხის მაზრის საპყრობილეს უფროსად. (1; №6)

11 იანვარი

- გაზეთებში დაბეჭდილი იქნა საარჩევნო დებულების ის მუხლები რომლებშიც განმარტებული იყო არჩევნების დღეს მოქალაქეთა უფლებები და მოვალეობები. ასევე მოსახლეობა გაფრთხილებული იქნა რომ არჩევნები ჩატარდებოდა 14, 15 და 16 თებერვალს. (1; №7)
- ქალაქ თბილისის შრომის ბირჟამ განცხადებით მიმართა საზოგადოებას და სხვადასხვა დაწესებულებებს რომ მათთან დარეგისტრირებულნი არიან როგორც მუშები ასევე სხვადასხვა კვალიფიციური სპეციალობის მქონე ადამიანები და დახმარებას სთხოვს მათ დასაქმებაში. (1; №7)

12 იანვარი

- ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და მაზრებს არჩევნების ორგანიზებისათვის გაუგზავნა 2 000 დან 20 000-მდე მანეთი. სამაზრო და საქალაქო კომისიებს დაევალათ საუბნო კომისიების ჩამოყალიბება. ასევე უნდა შეედგინათ საარჩევნო სიები, რომლის შედგენისას უნდა ეხელმძღვანელათ 1918 წლის 18 ივლისის კანონით ქვშევრდომობის შესახებ. (1; №8)
- ტექნიკური კანტორა „ინჟინერი ვ.ლ. კანდელაკი და ამხანაგი“ აცხადებდა, რომ: 1. ქართულ შრიფტზე გადააკეთებდა საბეჭდ მანქანებს „უნდერვუდი და სტევერი“, როგორც ფოლადის, ასევე ნიკელის ასოებით. 2. იღებდა დაკვეთებს თოხებზე, წალდებზე, ნაჯახებზე, სახნისებზე, ბარებზე, ნამგლებზე, ცხენისა და ხარ-კამეჩის ნალების

დასამზადებლად. 3. ადგენდა პროექტებს არქიტექტურულ, ელექტრო-ტექნიკურ, მექანიკურ და მელიორაციულ დარგებში. მისამართი : ქ.თბილისი, ერევნის მოედანი, პუშკინის ქუჩა №1. (1; №7)

- თბილისის ლომბარდის შენობაში გაიმართა აუქციონი, რომელზეც გასაყიდად გამოტანილი იყო უამრავი ძვირფასი ლითონები, ქვები, ხალიჩები, საკერავი მანქანები და ა.შ. (1; №8)
- დემოკრატიულ კლუბ „მუშტაიდში" დაიდგა აკაკი წერეთლის დრამა „პატარა კახი".

13 იანვარი

- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბრძანების საფუძველზე საქართველოს რკინიგზაზე მოიხსნა სამხედრო წესები, გარდა თბილისისა და ბორჩალოს მაზრისა.

14 იანვარი

- მთავრობის სასახლის წინ გაიმართა სომხეთთან ომში გამარჯვების აღსანიშნავი საზეიმო აღლუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ომში მონაწილე ქართველმა ჯარისკაცებმა. აღლუმზე წარმოდგენილი იყო ასევე სამხედრო ტექნიკა. აღლუმის დასასრულს მთავრობის სასახლეს აეროპლანებით გადაუფრინეს ქართველმა მფრინავებმა. აღლუმი ჩაიბარა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ. (1; №9)
- საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ქალაქისა და ერობის თვითმმართველობაში საქმის წარმოებისა და მიწერ-მოწერის სახელმწიფო ენაზე წარმოების შესახებ. ადგილობრივი უმრავლესობის ენაზე სიტყვის წარმოთქმა ან საქმის წარმოება იყო დაშვებული იმ შემთხვევაში, თუ „რომელიმე თვითმმართველობის ფარგალში მცხოვრებ რესპუბლიკის მოქალაქეთა ნახევარზე მეტისათვის სალაპარაკო ენა არის მხოლოდ ერთი რომელიმე არა ქართული ადგილობრივი ენა". კანონის მეოთხე მუხლი იუწყებოდა, რომ „ეს კანონი არ ვრცელდება სოხუმის და სოჭის ოლქებზე". (7; 204)
- თბილისში ჩამოვიდა 1000 ინგლისელი ჯარისკაცი. (1; №9)
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა დებულება „აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებისა". (1; №9)

15 იანვარი

- დამფუძნებელი კრების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა ქუთაისის, სიღნაღის, გორის, დუშეთის, ოზურგეთის, ახალსენაკის და ახალციხე-ახალქალაქის სამაზრო საარჩევნო კომისია. დამფუძნებელი კრების არჩევნების ჩასატარებლად ბიუჯეტიდან გამოიყო 4 მილიონი მანეთი, რომელიც სახელმწიფო ბანკში ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშზე ჩაირიცხა. თანხის ხარჯვაზე კონტროლი დაეკალა ხაზინადარ გიორგი გვაზავას.
- რაჭის სამაზრო გამგეობამ გამოაცხადა კონკურსი მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობაზე ასარჩევად. (1; №10)

- მთავარი შტაბის ცნობით, 5 იანვრის მონაცემებით სომხეთთან ომის დროს დაიჭრა და დაავადდა 1398 კაცი.2;10)
- სახელმწიფო თეატრში გაიმართა ოპერა „მარგალიტის მაძიებელნი", მონაწილეობდნენ: საბანევა, სარაჯიშვილი, ვრონსკი და ა.შ. (1; №10)

16 იანვარი

- დამფუძნებელი კრების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ თვითონ დაბეჭდავდა საარჩევნო ბიულეტენებს. მაგრამ თუ რომელიმე პარტია გადაწყვეტდა საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვას მას ამის უფლება ეძლეოდა. (ს.ც.ს.ს.ა. ფონდი1834 აღ.2 საქმეზ19 გვ.14-15)
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით ის თვითონ უზრუნველყოფდა საარჩევნო ბიულეტენების დარიგებას სამაზრო და საქალაქო საარჩევნო კომისიებში, რომლებიც თავის მხრივ ვალდებულები იყვნენ ბიულეტენები პირადათ მიეტანათ საარჩევნო უბნებზე. (ს.ც.ს.ს.ა. ფონდი1834 აღ.2 საქმეზ19 გვ.14-15)
- გაიმართა საქართველო-სომხეთის სამშვიდობო კონფერენციის უკანასკნელი სხდომა. (2; №11)
- ქართულ გაზეთებში პირველად გამოჩნდა მოწოდება, რომ მოახლოვდა დამფუძნებელი კრების არჩევნები და მოსახლეობას მოუწოდებდნენ მობილიზაციისა და სწორი გადაწყვეტილების მიღებისაკენ. (1; №11)
- ს. ევლახიშვილის მიერ სახელმწიფო თეატრში დადგმულ იქნა ოპერა „აფრიკანკა". (2; №11)
- პირველხარისხოვანი რესტორანი „კავკაზი" აცხადებდა, რომ კლიენტებს მოემსახურებოდა დილის 10-დან საღამოს 10 საათამდე. რესტორანში ჰქონდათ როგორც ევროპული, ასევე აზიური სამზარეულო. კლიენტების განწყობილების ამაღლებაზე ზრუნავდა სიმებიანი ორკესტრი. „არის მშვენიერი კაბინები, ფასი ზომიერია". (3; №432)

17 იანვარი

- გაზეთ „საქართველოში" დაიბეჭდა დაშნაკური პრესის ცნობები, რომელიც გამოქვეყნებულია სომხეთ-საქართველოს ომის დაწყებამდე 1 კვირით ადრე. მათში გავრცელებულია ინფორმაციით, თითქოს საქართველო უკვე დაიპყრო სომხეთმა და ომში ქართველებმა დაკარგეს 5000 ჯარისკაცი მოკლულის სახით. ეს ცნობები დაბეჭდილი იყო სომხეთში, თურქეთსა და რუსეთში.
- საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ. (7; 206)
- ქართული დრამატული სტუდია აცხადებდა კონკურსს ახალგაზრდა ქალ-ვაჟების მიღებაზე. (2; №12)

18 იანვარი

- ქართულ პრესაში პირველად გამოქვეყნდა ცნობები, რუსეთის გადამდგარი იმპერატორის ნიკოლოზ მეორისა და მისი ოჯახის დახვრეტის შესახებ, ცნობები, ასევე იმ

არაადამიანური მოპყრობისა და ცხოვრების პირობების შესახებ, რომელშიც იმპერატორი და მისი ოჯახი იმყოფებოდა დახვრეტამდე. (1; №13)

- საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი თფილისის უნივერსიტეტთან სასანიტარო ინსტიტუტის დაარსების შესახებ. (7; 214)
- შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობა აცხადებდა კონკურსს 7 მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობაზე. „ჯამაგირი მოსამართლეს 1000 მანეთი, თავმჯდომარეს 1200 მანეთი“ (1; №13)
- ქართულ ენაზე გამოვიდა „ახალი კანონები მუშათა დაზღვევისა და უზრუნველყოფისა ავადმყოფობის დროს“. (1; №13)
- დაშნაკური პარტიის დამაარსებელი როსტომ ზორიანი გარდაიცვალა სახადით. (1; №13)

19 იანვარი

- განცხადება ქალაქის გამგეობისაგან: „ხმოსნების არჩევნები მოხდება 2 თებერვალს. საარჩევნო უბნები გაიხსნება დილის 9 საათზე და დაიხურება საღამოს 9 საათზე თანახმად საარჩევნო დებულებისა“. ქალაქის ხმოსანთა საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით საქალაქო საარჩევნო კომისია მოუწოდებდა მოქალაქეებს თავიანთი თავი გადაემოწმებინათ საარჩევნო სიებში ამისათვის გამყოფილ სპეციალურ ადგილებში, რომლებიც გადანაწილებული იყო ქალაქის კომისარიატებში. სულ გამოყოფილი იყო 13 ასეთი ადგილი. (1; №14)
- თბილისის ქალაქის გამგეობა გადადგა თანამდებობიდან ქალაქის ხმოსანთა საბჭოს არჩევნების მოახლოების გამო. (1; №14)

20 იანვარი

- არტაანის ოლქში დაიწყო აჯანყება, რომელსაც ადგილობრივი ბეგები მეთაურობდნენ. მათ მხარს უჭერდა ოსმალეთიც. ისინი ხალხს ატყუებდნენ, რომ საქართველოს მთავრობამ ეს ტერიტორია სომხეთს გადასცა, ამიტომ ადვილად ახერხებდნენ ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყებაში ჩათრევას.
- გიორგი გვაზავას ინიციატივით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ცალკე ფურცლებზე დაბეჭდილიყო საარჩევნო დებულების ის მუხლები სადაც საუბარი იყო არჩევნების დღეს ქცევის წესებზე და მართლწესრიგის დაცვაზე. ისინი გამოკრული იქნებოდა საარჩევნო უბნებზე. (ს.ც.ს.ს.ა. ფონდი1834 აღ.2 საქმეზ19 გვ.15-16)
- ყველა პარტია ვალდებული იყო მომდევნო სხდომაზე ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის ეცნობებინა მათთვის საჭირო ბიულეტენების რაოდენობა. (ს.ც.ს.ს.ა. ფონდი1834 აღ.2 საქმეზ19 გვ.15-16)
- ქართველმა ანარქო-სინდიკალისტებმა, რომლებიც თავს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტიას უწოდებდნენ, გაზეთი „ახალი ნაკადი“ გამოსცეს. აპრილიდან პარტიამ ახალი სახელწოდება მიიღო: „საქართველოს სარევოლუციო სინდიკალისტ-მაშვრალთა კავშირი“. სინდიკალისტთა კავშირის ლიდერ-დამაარსებლები იყვნენ: ალექსანდრე წერეთელი, სერგო გერსამია, გენო ქელბაქიანი, კოკი ჟორდანია, გრი-

გოლ ლაღიძე (ცნობილი მეწარმისა და თავადაც ანარქისტის მიტროფანე ლაღიძის ძმა – დ. შ), ძმები ისიდორე და ვასილ ვარაზაშვილები და სხვ. (13; 162)

21 იანვარი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის 130 კაციანი საკანდიდატო სია დამფუძნებელი კრების წევრობისათვის. (1; №15)
- ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ გაზეთ „საქართველოს“ მეშვეობით განცხადებით მიმართა პარტიის წევრებს და მხარდამჭერებს, რათა აქტიურად გაეწიათ აგიტაცია-პროპაგანდა მოსახლეობაში. მათთვის გაეცნოთ დამფუძნებელი კრების მნიშვნელობა და აეხსნათ ის აუცილებლობა, რატომ უნდა მიეცათ ხმა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის და არა სოციალისტური პარტიებისათვის.

22 იანვარი

- დამფუძნებელი კრების არჩევნებთან დაკავშირებით დასავლეთ საქართველოს უმეტეს სოფლებში შეიქმნა სასოფლო საარჩევნო კომისიები. ბაღდათის რაიონის დამფუძნებელი კრების არჩევნებზე ინსტრუქტორად დაინიშნა ანანია გუგუაძე, ტყიბულის რაიონში ე. წულაძე. (1; №16)
- გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა გიორგი გვაზავას სტატია მოახლოებულ არჩევნებთან დაკავშირებით. ის მკაცრად აკრიტიკებს სოციალისტური იდეების პარტიებს, მათ პროგრამებს და აცხადებს, რომ მათი იდეოლოგია ეწინააღმდეგება ეროვნული სულისკვეთების გაძლიერებას. ამ ყოველივემ კი შესაძლოა დამოუკიდებლობის დაკარგვამდეც კი მიგვიყვანოსო. (1; №16)
- სიღნაღის მაზრაში განადგურებულ და შეპყრობილ იქნა ავაზაკთა ბრბო ივანე დარჩიაშვილის მეთაურობით. მოკლულია 5 და დაჭრილია 8 ავაზაკი. თელავის მაზრაში ყაჩაღებსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება. მოკლულ იქნა 3 ყაჩაღი და დაიღუპა 1 მილიციელი. (1; №16)

23 იანვარი

- ზუგდიდის სამაზრო გამგეობამ გამოაცხადა კონკურსი 6 მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად. (1; №17)
- სხვადასხვა ქართულმა პოლიტიკურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს თავიანთი პარტიების საკანდიდატო სიები ქალაქის ხმოსანთა საბჭოში ასარჩევად.
- დამფუძნებელი კრების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გაზეთების საშუალებით მოქალაქეებს მოუწოდა გადაემოწმებინათ საკუთარი თავი საარჩევნო სიებში, რომლებიც საარჩევნო უბნებზე იქნებოდა გამოკრული. (ს.ც.ს.ს.ა. ფონდი1834 აღ.2 საქმეზ19 გვ.16)
- განათლების სამინისტრომ გამოყო 100 000 მანეთი ბათუმში ქართული გიმნაზიის გახსნისათვის.

24 იანვარი

- ქართულ ენაზე პირველად დაიდგა ოპერა „დემონი“, ალექსანდრე წუწუნავას ხელმძღვანელობით. მონაწილეობდნენ: შულგინა, ხორინა, სარაჯიშვილი, ინაევი, ისიცკი და ა.შ (1; №18)
- ქართველმა ებრაელებმა`გამოაქვეყნეს სპეციალური მიმართვის ტექსტი, სადაც ისინი მხარს უჭერდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობას, დადებითად აფასებდნენ დამფუძნებელი კრების მომავალ არჩევნებს ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების მიზნით.
- ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დამფუძნებელი კრების ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საკანდიდატო სიიდან ამოიღო მიხაკო წერეთელი, რომელიც ასევე წარმოდგენილი იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის საკანდიდატო სიაშიც, თუმცა ვერცერთმა პარტიამ ვერ წარმოადგინა კანდიდატის თანხმობის ბარათი არჩევნებში კანდიდატის მონაწილეობის თანხმობის შესახებ, რის გამოც მიხაკო წერეთელი ამოიღეს ორივე პარტიის საარჩევნო სიიდან. (ს.ც.ს.ს.ა. ფონდი1834 აღ.2 საქმეზ19 გვ.19-20)

25 იანვარი

- საქართველოს პარლამენტმა გამოაქვეყნა „დებულება საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებისა“, რომელსაც ხელს აწერდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი და საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია. (1; №19)
- რუსეთის ბოლშევიკურმა პარტიამ დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის ხელის შეშლის მიზნით ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს.

26 იანვარი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა საქართველოსა და სომხეთს შორის დადებული ხელშეკრულების ტექსტი, უფლებამოსილი პირების ხელმოწერით. (1; №20)
- ახალციხის მაზრის რწმუნებულმა ბუხაძემ სპეციალური წერილი გამოაგზავნა საქართველოს პარლამენტში იქ მიმდინარე აჯანყების შესახებ და ოსმალების როლზე ამ აჯანყებაში. (1; №20)
- ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიის საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის შესახებ. ყველა პარტიის საარჩევნო ბიულეტენები დაიბეჭდა ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენებზე სხვადასხვა რაოდენობით, მათი მოთხოვნის შესაბამისად. (ს.ც.ს.ს.ა. ფონდი1834 აღ.2 საქმეზ19 გვ.24-25)

27 იანვარი

- ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განიხილა და დაამტკიცა არჩევნებში მონაწილე თხუთმეტივე პოლიტიკური პარტიის საკანდიდატო სია და დაამტკიცა პარტიების კანდიდატები.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სია:

1. ჟორდანია ნოე ნიკოლოზის ძე
2. ჯიბლაძე სილიბისტრო ბესარიონის ძე
3. ჩხეიძე ნიკოლოზ სიმონის ძე
4. წერეთელი ირაკლი გიორგის ძე
5. რამიშვილი ნოე ბესარიონის ძე
6. გეგეჭკორი ევგენი პეტრეს ძე
7. ხომერიკი ნოე გიორგის ძე
8. რამიშვილი ისიდორე ივანეს ძე
9. ჩხენკელი აკაკი ივანეს ძე
10. არსენიძე რაჟდენ მათეს ძე
11. ლომთათიძე ალექსანდრე სპირიდონის ძე
12. გიორგაძე გრიგოლ ტიმოთეს ძე
13. მახარაძე გერასიმე თომას ძე
14. ელიავა ნიკოლოზ ზურაბის ძე
15. ჩხიკვიშვილი ბენიამინ გიგოს ძე
16. შერვაშიძე ვარლამ ალექსანდრეს ძე
17. ჯუღელი ვალერიან ანთიმოსეს ძე
18. ნინიძე კირილე იესეს ძე
19. ვარდოიანი მიკიჩ კარაპეტის ძე
20. ახმეტელაშვილი ვლადიმერ გიორგის ძე
21. ანდრონიკაშვილი კონსტანტინე მანუელის ძე
22. კოვალიოვი მიხეილ ანდრიას ძე
23. ონიაშვილი დავით ეფრემის ძე
24. ბოჭოლავა მუხრან-იონა მაქსიმეს ძე
25. დგებუაძე ალექსანდრე ივანეს ძე
26. ფარნიევი ალექსანდრე ივანეს ძე
27. თევზაია ვიქტორ ვასილის ძე
28. გვარჯალაძე კონსტანტინე იაგორის ძე
29. აბაშიძე ჰაიდარ ალიბეგის ძე
30. ბერნშტეინი ერიკი ადოლფის ძე
31. ერაძე გიორგი პავლეს ძე
32. ლოსკუტოვი ანდრია ვასილის ძე
33. სალაყაია იოსებ ბეჟანის ძე
34. გელეიშვილი პეტრე პავლეს ძე
35. ჯაფარიძე სერგო დავითის ძე
36. ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე ელეონორა მიხეილის ასული
37. სალუქვაძე ანანია მაქსიმეს ძე
38. თოფურიძე დიომიდე ალექსანდრეს ძე
39. ჯიბლაძე ვლადიმერ გიორგის ძე
40. მამედოვი ჰუსეინ გული-მამედ-ოღლი
41. რუსია მელიტონ ივანეს ძე
42. ანჯაფარიძე გიორგი ნესტორის ძე
43. შერვაშიძე ყადირ თანბეგის ძე
44. ჰაშალიდი ივანე გიორგის ძე
45. ჩიხლაძე რაფიელ ალექსის ძე
46. საყვარელიძე პავლე დავითის ძე
47. ცაბაძე ვასილ ზაქარიას ძე
48. ნათაძე ლევან იასონის ძე
49. გაგლოევი გიორგი ალექსის ძე
50. ურატაძე გრიგოლ ილარიონის ძე
51. დავარაშვილი მოსე რახამის ძე
52. ჯაფარიძე კონსტანტინე იასონის ძე
53. ცინცაძე ნოე კონსტანტინეს ძე
54. ძველაია ბარნაბ პავლეს ძე
55. გურული ზაქარია დავითის ძე
56. ჩიქავა ალექსანდრე ხიტუს ძე
57. ყიფიანი რუბენ ლუარსაბის ძე
58. შარაშიძე დავით გიგოს ძე
59. მგელაძე ვლასა დარისპანის ძე
60. გონაშვილი დიმიტრი მიხეილის ძე
61. ტოროშელიძე მინადორა ეფრემის ასული
62. სურგულაძე სიმონ ელიზბარის ძე
63. გურჯუა ვასილი გიორგის ძე
64. ნოდია ვასილი მარკოზის ძე
65. აუშტროვი რუბენ გიორგის ძე
66. მიქელაძე ოსმან შავყი ეფენდი
67. ქუმსიაშვილი ნიკოლოზ გიორგის ძე
68. საბახტარიშვილი კონსტანტინე ბეჟანის ძე
69. პანიევი კონსტანტინე აბგარის ძე
70. კანდელაკი კონსტანტინე პლატონის ძე
71. ბადრიძე ილია გიორგის ძე
72. შარაშიძე ქრისტინე გიგოს ასული
73. სულაქველიძე აპოლონ ალმასხანის ძე
74. კოპალეიშვილი ილია ივანეს ძე
75. ჭავჭანიძე ივანე თედორეს ძე
76. ჭიაბერაშვილი ანდრია იაკობის ძე

77. ცინცაძე გიორგი იესეს ძე
78. ჩხეიძე დავითი ანდუყაფარის ძე
79. ბოლქვაძე ელისაბედ იოსების ასული
80. ცისკარიშვილი გაბრიელ დიმიტრის ძე
81. თევზაძე სარდიონ ონისიმის ძე
82. ცინცაბაძე გრიგოლ დიმიტრის ძე
83. ფირცხალაიშვილი ილია გიორგის ძე
84. კიკვაძე თევდორე გაბრიელის ძე
85. კაციაშვილი ნიკოლოზ აღდგომელის ძე
86. ტატიშვილი ივანე ალექსის ძე
87. კვარაცხელია იოსებ ანტონის ძე
88. წულაძე ვასილ ქაიხოსროს ძე
89. იმნაიშვილი ნიკიფორე ზესარიონის ძე
90. ემუხვარი არზაყან კონსტანტინეს ძე
91. გომართელი ივანე გედეონის ძე
92. ბიული პავლე იაკობის ძე
93. ელიგულაშვილი იოსებ აარონის ძე
94. კიღურაძე დავროსი პავლეს ძე
95. გვარამაძე თავაზ ყადირ მაბიც გული ოღლი
96. რუხაძე ლევან პორფირეს ძე
97. ახმეტელაშვილი სიკო გიორგის ძე
98. შევჩუკი გერასიმე დიმიტრის ძე
99. ზახაროვი დიმიტრი ვასილის ძე
100. წულაია პავლე ლუკას ძე
101. ბერიშვილი პავლე აბრამის ძე
102. ბაკურაძე ვასილი ზურაბის ძე
103. კალაძე ერმალოზ თედორეს ძე
104. ჭელიძე თეიმურაზ სტეფანეს ძე
105. მურვანიძე გიორგი ექვთიმეს ძე
106. ფაღავა გიორგი აქვსენტის ძე
107. მაჭავარიანი იოსებ ივანეს ძე
108. ჟღენტი ლეონტი ალმასხანის ძე
109. ლორია ფილიპე გლახუნას ძე
110. სოლოღაშვილი ანნა ილიას ასული
111. ვადაჭკორია სოლომონ ივანეს ძე
112. სირბილაძე ერმილე ივანეს ძე
113. ირემაშვილი იოსებ გიორგის ძე
114. ხელაძე ალფესი ხირმას ძე
115. სადაღაშვილი გიორგი დავითის ძე
116. საგირაშვილი კონსტანტინე ალექსის ძე
117. ავაქოვი ივანე ზაქარიას ძე
118. ირამაშვილი ნიკოლოზ ხარების ძე
119. დვალი დავით სტეფანეს ძე
120. კაკაბაძე პეტრე მოსეს ძე
121. მამედოვი ახმედ ალი ოღლი
122. ფარქოსაძე სტეფანე ოტიას ძე
123. ელიაძე სტეფანე თედორეს ძე
124. ნადიბაიძე ნიკოლოზ ზაალის ძე
125. დობორჯგინიძე სამსონ მიხეილის ძე
126. ურუშაძე ირაკლი არჯივანის ძე
127. დოლიძე სოლომონ იესეს ძე
128. ცენტერაძე ვიქტორ ლუკას ძე
129. მაჭარაძე პოლიკარპე ნიკოლოზის ძე
130. კაკაბაძე ვლადიმერ გრიგოლის ძე

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სია:

1. ნიკოლაძე ნიკოლოზი (ნიკო) იაკობის ძე
2. კედია სპირიდონი მალხაზის ძე
3. ქიქოძე გერონტი დიმიტრის ძე
4. გვაზავა გიორგი ბეჟანის ძე
5. თაყაიშვილი ექვთიმე სვიმონის ძე
6. მაჭავარიანი იოსებ კონსტანტინეს ძე
7. ასათიანი ალექსანდრე სამსონის ძე
8. სურგულაძე პეტრე როსტომის ძე
9. ამირეჯიბი შალვა გრიგოლის ძე
10. ივანიცკი რაფიელ (რ. ინგილო) ალექსანდრეს ძე
11. ლორთქიფანიძე იასონ მერაბის ძე
12. გოთუა პართენ ალექსანდრეს ძე
13. მარგველაშვილი ტიტე თადეოზის ძე
14. თორაძე ალექსანდრე დავითის ძე
15. ზურაბიშვილი ივანე ივანეს ძე
16. წერეთელი ვასილ გიორგის ძე
17. შევარდნაძე მიხეილ ირაკლის ძე
18. ჩიქოვანი ილია მანუჩარის ძე
19. ჯაყელი ნიკოლოზ იოსების ძე

20. დეკანოზი კეკელიძე კორნელი სამსონის ძე
21. ხახანაშვილი იოსებ სოლომონის ძე
22. წვერავა ნიკოლოზ ესტატეს ძე
23. ჯაფარიძე ტრიფონ მიხეილის ძე
24. მიქელაძე ვლადიმერ სიმონის ძე
25. ჯაფარიძე ლევან სიმონის ძე
26. თავდგრიძე ნიკოლოზ ყარამანის ძე
27. საყვარელიძე ალექსანდრე სიმონის ძე
28. ვართაგავა იპოლიტე პეტრეს ძე
29. ოცხელი იოსებ ივანეს ძე
30. ყიფიანი ვასილ როსტომის ძე
31. გორდეზიანი გიორგი პავლეს ძე
32. პურადიშვილი ივანე ისაკის ძე
33. კვირკველია დავით ბესარიონის ძე
34. დადიანი იოსებ იულონის ძე
35. ძიძიშვილი ნოე სიმონის ძე
36. მამულაიშვილი ლევან ქაიხოსროს ძე
37. თუმანიშვილი პავლე იოსების ძე
38. პაპავა ბარნაბ ამბაკოს ძე
39. მეუნარგია იონა მიხეილის ძე
40. სულუხია მოსე ივანეს ძე
41. საბახტარაშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე
42. ჯავახიშვილი (ადამაშვილი) მიხეილ ჯაბას ძე
43. ციცქიშვილი ვასილ მიხეილის ძე
44. ელიავა გრიგოლ ლავრენტის ძე
45. ქიტიაშვილი ზაქარია დიმიტრის ძე
46. ჟორდანია გიორგი თევდორეს ძე
47. დუმბაძე დიმიტრი მოსეს ძე
48. ნასიძე ივანე აბრამის ძე
49. ბერელაშვილი ვასილ გერასიმეს ძე
50. ედილაშვილი ზაქარია (ზ. ედილი) ერმილოზის ძე
51. მოსეშვილი ბართლომე პავლეს ძე
52. მაჭავარიანი გიორგი ლუარსაბის ძე
53. ხუსკივაძე თეოფილე იესეს ძე
54. გველესიანი იოსებ იოსების ძე
55. დადიანი ილია ილიას ძე
56. ჯაიანი ბესარიონ ლევანის ძე
57. გუჯუჯიანი გიორგი სტეფანეს ძე
58. კალანდაძე დავით იაგორის ძე
59. ბარათაშვილი გრიგოლ საჩინოს ძე
60. ახვლედიანი ვარლამ სოლომონის ძე
61. მგალობლიშვილი ვასილ გიორგის ძე
62. კლიმიაშვილი ზაქარია მიხეილის ძე
63. გვალია მიხეილ ოტიას ძე
64. გრიგოლაშვილი ალექსანდრე პლატონის ძე
65. გოგიტიძე გერმან იოსების ძე
66. გამრეკელი ალექსანდრე ივანეს ძე
67. ჯავახიშვილი იასონ ვლადიმერის ძე
68. ელიოზიშვილი კონსტანტინე მალხაზის ძე
69. შალიბაშვილი გიორგი მიხეილის ძე
70. ტატიშვილი შალვა გიორგის ძე
71. ყუფარაძე ბარნაბ სოლომონის ძე
72. კასრაძე დავით ილარიონის ძე
73. უზნაძე პავლე ნიკოლოზის ძე
74. აბაშიძე გიორგი მინას ძე
75. ხუნდაძე ლევან სილოვანის ძე
76. გედევანიშვილი რევაზ ალექსანდრეს ძე
77. ძებნიაური მიხეილ მათეს ძე
78. იშხნელი ზაქარია ნიკოლოზის ძე
79. გვერწითელი გაბრიელ ივანეს ძე
80. მარუაშვილი მინა მალაქიას ძე
81. ბებურიშვილი ამბროსი ბესარიონის ძე
82. გამყრელიძე სამსონ იოთამის ძე
83. ხერხეულიძე მიხეილ ზურაბის ძე
84. ჟღენტი ილარიონ მოსეს ძე
85. კლიმიაშვილი ნესტორ მიხეილის ძე
86. დალაქიშვილი ევგენი გიორგის ძე
87. მგალობლიშვილი ვარლამ მიხეილის ძე
88. უხურგუნაშვილი რაჟდენ სოლომონის ძე
89. კაიშაური ნიკოლოზ ანდრიას ძე
90. ჩიბალაშვილი ივანე თედორეს ძე
91. შამანაური მიხეილ შიოს ძე

92. დათიაშვილი ბესარიონ ბესარიონის ძე
93. ბერძენიშვილი ივანე სიმონის ძე
94. კეცხოველი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე
95. კვარაცხელია ლავრენტი თადეოზის ძე
96. კიკნაძე ალექსანდრე ილიას ძე

საქართველოს სოციალისტ-
რევოლიუციონერთა პარტიის სია:

1. შენგელაია ლეონ ანდრიას ძე
2. ნუცუბიძე ილია დავითის ძე
3. გობეჩია ივანე პავლეს ძე
4. გობეჩია იოსებ პავლეს ძე
5. ნათაძე გრიგოლ იაზონის ძე
6. ლორთქიფანიძე ივანე ნესტორის ძე
7. ჯავრიშვილი კონსტანტინე ტარიელის ძე
8. თევზაძე ილია მოსეს ძე
9. აბაკელია იოსებ კონსტანტინეს ძე
10. ფაჩუაშვილი მიხეილ ივანეს ძე
11. ბერულავა მიხელ ივანეს ძე
12. ქინქლაძე დანიელ რომანოზის ძე
13. ქავთარაძე პეტრე პავლეს ძე
14. აჯამოვი გიორგი დავითის ძე
15. მეფარიშვილი გედეონ ლაზარეს ძე
16. აბესაძე პოლიევქტ ივლიანეს ძე
17. ჭანიშვილი მიხეილ თომას ძე
18. გოცირიძე ანტონ ნესტორის ძე
19. ჩიგოგიძე ნიკოლოზ ნაუმის ძე
20. კაკაბაძე ალექსანდრე პეტრეს ძე
21. პაპუაშვილი გედეონ ბაგრატის ძე
22. ჩხოლარია დიმიტრი ალექსანდრეს ძე
23. ბერულავა სამსონ ივანეს ძე
24. კაკაბაძე ილია პავლეს ძე
25. ქორქაშვილი მიხეილ ლევანის ძე
26. გაფრინდაშვილი ალექსანდრე მაქსიმეს ძე
27. ბასილია მირიან თეიმურაზის ძე
28. კუხალეიშვილი ნიკოლოზ კონსტან-
ტინეს ძე
29. ბახტაძე ივანე ტიმოთეს ძე
30. ბერიძე ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე
31. ჩხეიძე მარიამ ილიას ასული
32. ხავთასი ვლადიმერ სვიმონის ძე
33. გვაჯია მიხეილ ფილოს ძე
34. ბოჭორიშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე
35. მამამთავრიშვილი დანიელ გიორგის ძე
36. მახარაშვილი დანიელ გიორგის ძე
37. ლაღიძე მიხეილ ერმალოზის ძე
38. ხარბედია ბიქტორ მიხეილის ძე
39. კიზირია დომენტი ერასტის ძე
40. ცხაკაია სილოვან გიორგის ძე
41. ანთელავა ნიკოლოზ ვარდენის ძე
42. ჩარექოვი პეტრე მიხეილის ძე
43. ზანდუკელი მიხეილ ზურაბის ძე
44. მოსიძე შალვა ბიქტორის ძე
45. ღარიბაშვილი ალექსანდრე იოსების ძე
46. წუწუნავა იასონ მაქსიმეს ძე
47. გურგენიძე კონსტანტინე ილიას ძე
48. შალამბერიძე კონსტანტინე ანტონის ძე
49. მაჩაბელი-ანდრონიკაშვილისა ნინო
გრიგოლის ასული
50. მუმლაძე გიორგი ესტატეს ძე
51. სანიკიძე-ვალაბუევისა ოლღა იესეს
ასული
52. გოგოლაშვილი ივანე ნიკოლოზის ძე
53. კაკაბაძე აკაკი ილიას ძე
54. ზარიძე სოფიო გაბრიელის ასული
55. შენგელაია თადეოზ ერასტის ძე
56. ჩიქობავა ბენედიქტე სტეფანეს ძე
57. დანელია კონსტანტინე პავლეს ძე
58. კალანდარიშვილი ქრისტეფორე ნიკოს
ძე (იგივე ალექსანდრეს ძე)
59. ფირცხალავა სამსონ თომას ძე
60. ქინქლაძე კასიანი რომანოზის ძე
61. გაგუა ანდრია ლილოს ძე
62. ნაკაშიძე დიმიტრი დავითის ძე
63. უზნაძე ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე

64. თევზაძე ნიკოლოზ მოსეს ძე
65. დვალიშვილი ნესტორ ხოსიას ძე
66. კობიძე გრიგორლი სიონის ძე
67. მარგველაშვილი სამუელ პარმენის ძე
68. ნადირაძე ნინო თეოფანეს ასული
69. სირბილაძე ნიკოლოზ იოსების ძე
70. ჯუღელი კორნელი პორფირეს ძე
71. ლომია ალექსანდრე პავლეს ძე
72. დავიდოვი გიორგი ანდრიას ძე
73. პუმკოვი ივანე სტეფანეს ძე

საქართველოს სოციალისტ-ფედერა-
ლისტთა სარევოლუციო პარტიის სია:

1. ლასხიშვილი გიორგი მიხეილის ძე
2. რცხილაძე გრიგოლ სვიმონის ძე
3. ნუცუბიძე შალვა ისაკის ძე
4. ფირცხალავა სამსონ გიორგის ძე
5. ალექსი-მესხიშვილი შალვა ვლადი-
მერის ძე
6. ბარათაშვილი იესე ალექსანდრეს ძე
7. გედევანიშვილი იოსებ კონსტანტინეს
ძე
8. მდივანი სიმონ გურგენის ძე
9. ღლონტი თევდორე ზურაბის ძე
10. დადიანი სამსონ პლატონის ძე
11. ლაღიძე გრიგოლ ერმალოს ძე
12. ჯაჯანაშვილი არჩილ რაჟდენის ძე
13. ტოროტაძე ერასტი ილარიონის ძე
14. მდივანი ალექსანდრე ბესარიონის ძე
15. პაპავა აკაკი ამბაკოს ძე
16. ბაქრაძე იასონ თომას ძე
17. დადიანი შოთა პლატონის ძე
18. ჯაკობია გიორგი პავლეს ძე
19. ფაღავა აკაკი ნესტორის ძე
20. იმნაძე ვარლამ მარკოზის ძე
21. რაჭველიშვილი ქრისტეფორე ლუკას ძე
22. მაჭავარიანი სიმონ იოსების ძე
23. მიქელაძე შალვა ანტონის ძე
24. გავაშელი მიხეილ გიორგის ძე
25. კოტეტიშვილი ვახტანგ ილიას ძე
26. ნაკაშიძე ნინო იოსების ასული
27. დაფქვიაშვილი გიორგი დიმიტრის ძე
28. ქადაგიძე დავით ნიკოლოზის ძე
29. კაკულია მიხეილ ჯათუს ძე
30. ყაუხჩიშვილი მიხეილ გიორგის ძე
31. ბოკერია ევგენი გრიგოლის ძე
32. მუსხელიშვილი ვახტანგ სოლომონის
ძე
33. შანიძე აკაკი გაბრიელის ძე
34. ყიფშიძე იოსებ ალექსანდრეს ძე
35. ბერიძე ვუკოლ მიხეილის ძე
36. ახვლედიანი გიორგი სარდიონის ძე
37. გველესიანი მელანია ოხისიმეს ასული
38. ჭანიშვილი პარმენ გიტოს ძე
39. გელოვანი პლატონ ლევანის ძე
40. ესაკია მიხეილ ბესარიონის ძე
41. სანიკიძისა ალექსანდრა ვასილის
ასული
42. პატარაია გრიგოლ პორფილეს ძე
43. ფალავანდიშვილი თამარ ალექსანდრეს
ასული
44. ინაშვილი ალექსანდრე დავითის ძე
45. ბერძენიშვილი გრიგოლ თევდორეს ძე
46. იმნაძისა ელენე ვასილის ასული
47. ხახანაშვილი მიხეილ მაფათას ძე
48. ეგნატაშვილი ვასილ იაკობის ძე
49. ალუდიშვილი ვასილ გიორგის ძე
50. ბაკურაძე ილია ნიკოლოზის ძე
51. რაზიკაშვილი თევდორე პავლეს ძე
52. ჭუმბაძე არტემ მაქსიმეს ძე
53. კობახიძე კონსტანტინე ივანეს ძე
54. სტურუა ისიდორე ივანეს ძე
55. მაჭავარიანი თამარ პეტრეს ასული
56. ასლანიშვილი იოსებ ანტონის ძე
57. აყალიშვილი ესტატე გიორგის ძე
58. ფარცვანია ბესარიონ დავითის ძე
59. ქუთათელაძე იოსებ გიორგის ძე

60. ბერძანიშვილი მაქსიმე დავითის ძე
61. თაბუკაშვილი ტრიფონ რომანოზის ძე
62. ძიძიგური ვარლამ დავითის ძე
63. სანიკიძე შალვა ონისეს ძე
64. ბახტაძე აგრაფინა ლაზარეს ასული
65. ჯორჯაკია ბესარიონ ივანეს ძე
66. რუსიშვილი ილია ალექსანდრეს ძე
67. ქუთელია კონსტანტინე პავლეს ძე
68. ახალკაცი პეტრე ანდრიას ძე
69. ქორქაშვილი ლევან ვასილის ძე
70. ავალიშვილი ბიქტორს ბეგლარის ძე
71. სოლოღაშვილი დიმიტრი ბეჟანის ძე
72. ჩიქოვანი გიორგი პლატონის ძე
73. ბურჭულაძე გრიგოლ იესეს ძე
74. პაატაშვილი ვასილ ივანეს ძე
75. ლორთქიფანიძე გრიგოლ კონსტანტინეს ძე
76. ბახტაძე ივანე ლუკას ძე
77. ჩხენკელისა ლუიზა კონსტანტინეს ასული
78. ჩხენკელი მიხეილ ივანეს ძე
79. ვაშაკიძე გიორგი სიმონის ძე
80. დუშურაშვილი ივანე თევდორეს ძე
81. მერკვილაძე იოსებ ანდრიას ძე
82. აბულაძე სავლე იოსების ძე
83. ნუცუბიძე ნიკოლოზ დიმიტრის ძე
84. თავდგირიძე გრიგოლ როსტომის ძე
85. ქუთათელაძე კონსტანტინე კონსტანტინეს ძე
86. კობახიძე კალისტრატე ასლანგერ-ძე
87. გარსევანიშვილი ივანე იაკობის ძე
88. დუმბაძე ივანე არსეს ძე
89. დაფქვრაშვილი მიხეილ დიმიტრის ძე
90. ბერიძე კარპეხ იესეს ძე
91. ხუნდაძე ტორფიმე ირაკლის ძე
92. ფანჩულიძე პროკოფი იასონის ძე
93. მეუნარგია კაპიტონ გრიგოლის ძე
94. გამრეკელი გაბრიელ ხეითის ძე
95. ჯაფარიძე ქრისტეფორე ექვთიმეს ძე
96. პაატაშვილი ივანე დიმიტრის ძე
97. დოლიაშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე
98. რცხილაძე გიორგი ტარასის ძე
99. ბასილაშვილი ესტატე გრიგოლის ძე
100. ხუნდაძე სიმონ ირაკლის ძე
101. მგალობლიშვილი დავით ლუარსაბის ძე
102. ლაჭყებიანი სილოვან გიორგის ძე
103. საყვარელიძე მიხეილ დიმიტრის ძე
104. მეშველიანი გიორგი ილარიონის ძე
105. ჟორდანია იასონ ისიდორეს ძე
106. იურკევიჩი ანნა ვიქტორიას ასული
107. მუსერიძე სევერიან ივანეს ძე
108. ყაზახიშვილი ანტონ ალექსის ძე
109. შავგულიძე ბესარიონ ბეროს ძე
110. იმერლიშვილი ალექსანდრე სოლომონის ძე
111. პატარაშვილი ვასილ გიორგის ძე
112. სესიაშვილი ნიკოლოზ მიხეილის ძე
113. დავითაშვილი ნიკოლოზ გრიგოლის ძე
114. ბეგიაშვილი თევდორე მალაქიას ძე
115. მოდებაძე კონსტანტინე ბესარიონის ძე
116. კვალიაშვილი ივანე დიმიტრის ძე
117. გიუნაშვილი ივანე არსენის ძე
118. გოგებაშვილი შალვა ზაქარიას ძე
119. ბრეგვაძე მალაქია მეთოდეს ძე

მუსულმანთა ეროვნულ საბჭოს სია:

1. ბაირამოვის ალაი ბეკ ასლან აღა ოღლი
2. ხან მამედოვის აბბას კული ჯაბბარ ოღლი
3. ბაირამოვის კასუმ აბას ოღლი
4. ნარიმანოვი ალი მირზა მოლლა მაგომედ ოღლი
5. ხალილოვი ისმაილ ისა ოღლი

საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიის სია:

1. სახოკია თედო კიმოთეს ძე
2. ჩიქოვანი დავით გიორგის ძე
3. ახმეტელი ალექსანდრე ვასილის ძე
4. კარიჭაშვილი დავით დავითის ძე
5. შანშიაშვილი ალექსანდრე ილიას ძე
6. დედაბრიშვილი (არაგვისპირელი) შიო ზაქარიას ძე
7. ტყავაძე კოტე იასეს ძე
8. არონიშიძე დომენტი გიორგის ძე
9. კაპანაძე ქრისტეფორე იოსების ძე
10. ბერელაშვილი ადამ ზურაბის ძე
11. სამადაშვილი დავით ივანეს ძე
12. მოსაშვილი ილია ონისიმეს ძე
13. ნონაშვილი მარკოზ ივანეს ძე
14. დეკანოზიშვილი დიმიტრი თადეოზის ძე
15. ტურიაშვილი ნიკოლოზ ლაზარეს ძე
16. ტლაშაძე ნიკო ივანეს ძე
17. ტატიშვილი იოსებ გრიგოლის ძე
18. ნასიძე მიხეილ ალექსანდრეს ძე
19. ზურაბიშვილი ვასილ გიორგის ძე
20. კორაშვილი ნიკოლოზ ნოდარის ძე
21. ყოჩიაშვილი მიხეილ სტეფანეს ძე
22. კანაშვილი გიო ყარამანის ძე
23. შალამბერიძე ევგენი ლუკას ძე
24. შალამბერიძე ნადეჟდა ევგენის ასული
25. ჯინორიძე ვლადიმერ ევგენის ძე
26. აღნიაშვილი მირონ ივანეს ძე
27. კაკუნაშვილი პეტრე სვიონის ძე
28. როსტომაშვილი დავით გიორგის ძე
29. ჭოლოკავა იასონ გუტუს ძე
30. გელენიძე ივანე ნიკოლოზის ძე
31. ათანელიშვილი ვასილ ილიას ძე
32. ყაჭიური ლევან ნიკოლოზის ძე
33. კიკალიშვილი რაჟდენ იოსების ძე
34. ჯალიაშვილი რაჟდენ ზაქარიას ძე
35. ნაცვლიშვილი ზაქარია იოველის ძე
36. მაზიაშვილი მიხეილ არსენის ძე
37. ზედელაშვილი სვიმონ (ლიმონა) ივანეს ძე
38. ლაპიაშვილი გიგო მალხაზის ძე
39. ნატროშვილი იოსებ ვასილის ძე
40. როზიტაშვილი ვლადიმერ ზაალის ძე
41. გოგოლაშვილი ვასილ ნინიას ძე
42. ნადაშვილი ნიკოლოზ დავითის ძე
43. მჭედლიშვილი ივანე ფარსადანის ძე
44. გოდერძიშვილი ალექსანდრე ივანეს ძე
45. მატიაშვილი დიმიტრი ალექსანდრეს ძე
46. ჩუთლაშვილი ნიკოლოზ სვიმონის ძე
47. კობიაშვილი ვასილ სპირიდონის ძე
48. ქურხაშვილი ნიკოლოზ თევდორეს ძე
49. შაიშმელაშვილი ივანე ილიას ძე
50. ბასილაშვილი ქიტა აბრამის ძე

საქართველოს ეროვნული პარტიის სია:

1. ვეშაპელი (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე
2. ქარუმიძე შალვა ალექსანდრეს ძე
3. ვაჩნაძე დავით ვლადიმერის ძე
4. გაბაშვილი რევაზ (ლეონიდე) ალექ-სანდრეს ძე
5. მაჩაბელი მიხეილ ვახტანგის ძე
6. ჯავახიშვილი დიმიტრი ვასილის ძე
7. ცაგარელი ალექსანდრე ანტონის ძე
8. სარაჯიშვილი ალექსანდრე თედორეს ძე
9. გაბაშვილი ნიკოლოზ სოლომონის ძე
10. ორბელიანი გიორგი ილიას ძე
11. ჯანდიერ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე
12. ელიაშვილი ივანე სპირიდონის ძე

13. კაპანელი (ჭანტურია) კონსტანტინე გრიგოლის ძე
14. ეკალაძე ია (ცინცაძე) იაკობ თომას ძე
15. ღოღობერიძე დავით სიმონის ძე
16. კელენჯერიძე დავით ბესარიონის ძე
17. ციციშვილი ივანე გიორგის ძე
18. იშხნელი მიხეილ ნიკოლოზის ძე
19. მღვდელი ღუდუშაური ბართლომე გრიგოლის ძე
20. დეკანოზი ივანიცკი ტარასი ალექსანდრეს ძე
21. მამრაძე გიორგი გრიგოლის ძე
22. სიდამონ-ერისთავი ვალერიან ვლა-დიმერის ძე
23. ნიჟარაძე რაფაელ ბესარიონის ძე
24. კიკაბიძე ლადო სპირიდონის ძე
25. კასრაშვილი ქსენოფორე ნიკოლოზის ძე

მემარცხენე სოც. ფედ. მაშვრალთა პარტიის სია:

1. ფანცხავა იაკობ სპირიდონის ძე
2. წერეთელი ალექსანდრე იოსების ძე
3. იოსელიანი ალექსანდრე იასონის ძე
4. ჯანდიერი გიორგი ილარიონის ძე
5. სულთანიშვილი გიორგი ივანეს ძე
6. ვარაზაშვილი ისიდორე სოფრომის ძე
7. ფხაკაძე ივანე ფილიპეს ძე
8. სტურუა ანტიოხ ივანეს ძე
9. გერსამია სერგო ლუკას ძე
10. უსტიაშვილი ნიკოლოზ იაკობის ძე
11. ჯაფარიძე ალექსანდრე მალაქიას ძე
12. კვერეხაძე ერმალოზ ივანეს ძე
13. აბრამიშვილი მიხეილ ვლადიმერის ძე
14. დოლიძე ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე
15. კვირკველია პლატონ მელქისედექის ძე
16. ჩომახიძე ერასტი გაბრიელის ძე
17. ლეჟავა ნიკოლოზ რომანის ძე
18. ლორთქიფანიძე ვარლამ სპირიდონის ძე
19. მხეიძე ალექსანდრე სამსონის ძე
20. დგებუაძე ნინო ფარნაოზის ძე
21. კიკვიძე ლონგინოზ ლავრენტის ძე
22. ნიჟარაძე რაჟდენ ფარნაოზის ძე
23. ბაქრაძე მიხეილ მალაქიას ძე
24. ბოკერია მიხეილ ივანეს ძე
25. ჭანტურია გიორგი პავლეს ძე
26. დოლიძე დომენტი მაქსიმეს ძე
27. ჩიკვაიძე გრიგოლ მეთოდეს ძე
28. ქავთარაძე შუშანიკა ფარნაოზის ასული
29. დათეშიძე ნიკიფორე ალექსის ძე
30. კევლიშვილი ევსევი გიორგის ძე
31. ჩიქოვანი თეოფანე საბას ძე
32. ქავთარაძე გრიგოლ იოსების ძე
33. ბარათაშვილი კარპეზ ფარნაოზის ძე
34. ჩიკვაიძე ნადეჟდა მიხეილის ასული
35. იაშვილი დავით ქაიხოსროს ძე
36. ხუციძე გალაქტიონ უფლისას ძე
37. კოპალაძე იოსებ გრიგორის ძე
38. ლორთქიფანიძე გიორგი სიმონის ძე

დამოუკიდებელ (უპარტიოთა) კავშირის სია:

1. ავალიშვილი ზურაბ დავითის ძე
2. ჯავახიშვილი ივანე ალექსანდრეს ძე
3. აფხაზი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე
4. მაყაშვილი კონსტანტინე ზაქარიას ძე
5. მღვდლიშვილი მიხეილ მოსეს ძე
6. ამირაჯიბი კონსტანტინე მიხეილის ძე
7. ღამბაშიძე ვახტანგ დავითის ძე
8. გედევანიშვილი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე

9. დარახველიძე (კრინიცკი) ალექსანდრე მიხეილის ძე
10. ზედგენიძე ივანე ბესარიონის ძე

ბორჩალოს მაზრის მცხოვრებთა სია:

1. ახუნდოვი ბეიბუკ ბეკ აღა ბეკ ოღლი
2. ალიზადე მირზა რიზა მაჰმუდ ალი ოღლი
3. მამედოვი მოლლა აბბას აჯი-კასიმ-ოღლი
4. მურსაკულოვი იბრაგიმ ბეკ აჯი-აღა-ოღლი
5. კურბან ასან-ოღლი

რუს სოც-დემ. მუშ. პარტიის სია:

1. ზურაბოვი არშაკ გერასიმეს ძე
2. ერზიკიანცი არამაის არუთინის ძე
3. თუმანოვი (თუმანიშვილი) ალექსანდრე ლევანის ძე
4. ავატკოვი სტეფანე ნიკოლოზის ძე
5. გაჯიბეკოვი ქიარიმ
6. დევდორიანი ალექსანდრე დიმიტრის ძე
7. ათოევი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე
8. ელბაქიანი ლეონ ოჰანეზის ძე
9. ზოლნიკოვი მიხეილ პავლეს ძე
10. ალმევსკი რომან გერასიმეს ძე
11. შირინი ნიკოლოზ ფენოგეს ძე
12. ჯიმშეროვი (ჯიმშერაშვილი) გრიგორი ივანეს ძე

ელინთა დემოკრატიული პარტიის სია:

1. პარასკევოვი მიხეილ პავლეს ძე
2. პოლიტოვი ნიკოლოზ ვასილის ძე
3. მიხაილოვი ალექსანდრე მიხეილის ძე
4. შახბაზოვი კირიაკე ივანეს ძე
5. პილავოვი ესტატე ვასილის ძე
6. კოტანოვი არკადი ივანეს ძე
7. უმუდუმოვი გიორგი სიმონის ძე
8. გრიგორიადისი ივანე პეტრეს ძე
9. იოანიდი ქრისტეფორე ანასტასიას ძე

ესთეტიური ლიგა პატრიოტებისა პარტიის სია:

1. პაოლო იაშვილი
2. იაკობ ნიკოლაძე
3. პავლე ინგოროყვა
4. ტიციან ტაბიძე
5. ლადო გუდიაშვილი
6. ალი არსენიშვილი (ს.ც.ს.ს.ა. ფონდი1834 აღ.2 საქმე№19 გვ.21-24)

28 იანვარი

- ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო ცნობები დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილე მოქალაქეთა სიების შესახებ. (ს.ც.ს.ს.ა. ფონდი1834 აღ.2 საქმეზ19 გვ.26)
- საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი სანადელო, სახაზინო და სხვა მიწების კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ. კანონში აღნიშნული იყო რომ: „მიწა მიეცემა საკუთრებად იმ უმიწაწყლო და მცირედი მიწის მქონე სოფლელთ, რომელთა არსებობის მთავარ წყაროს შეადგენს სასოფლო-სამეურნეო შრომა.“ რეფორმის შედეგად გლეხობას გადაეცა 340 000 დესეტინა მიწა. მიწების ნაწილი სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. ასევე სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა 2 000000 დესეტინა ტყე. 758 046 დესეტინა საზაფხულო და საზამთრო საძოვრები. (7; 217)
- პარლამენტის კანონით 1918 წლის 2 აგვისტოს კანონით დაწესებული სამაზრო და სოფლის საზოგადოებათა ადმინისტრაცია და მილიცია გადაეცა სამაზრო საერობო გამგეობას. (7; 224)

29 იანვარი

- გამოქვეყნდა შინაგან საქმეთა მინისტრის სპეციალური ბრძანება, რომელიც განსაზღვრავდა პოლიტიკური პარტიებისათვის უფლებამოსილების საზღვრებს აგიტაციებისა და შეკრებების დროს. (1; №22)
- სენაკის საქალაქო საბჭოს ხმოსანთა არჩევნებში გაიმარჯვა ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ. 20 შესაძლო მანდატიდან მათ მოიპოვეს 12, ხოლო სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტების და სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიების ბლოკმა 8 მანდატი. (1; №22)

30 იანვარი

- თბილისის ქალაქის გამგეობამ გამოაქვეყნა ქალაქის საბჭოს არჩევნებისათვის გათვალისწინებული 51 საარჩევნო უბნის მისამართი, რომელიც 12 კომისარიატად(რაიონად) იყო დაყოფილი. არჩევნები დანიშნული იყო 2 თებერვლისათვის. (1; №23)
- საგანგებო კომისიამ დაათვალიერა თბილისის სასახლის შენობა, რათა შეესწავლა გამოდგებოდა იგი თუ არა დამფუძნებელი კრების მუშაობისათვის. (1; №23)
- ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოაქვეყნა ის ოლქები, სადაც დამფუძნებელი კრების არჩევნები 14-16 თებერვალს ვერ მოხდებოდა და დაასახელა შესაბამისი მიზეზები: სოხუმის ოლქში აღნიშნულ დროს არჩევნები ვერ ჩატარდება, რადგან იქ მიმდინარეობს ერობის და სახალხო საბჭოს არჩევნები. ამ ოლქში არჩევნები გაიმართება მოგვიანებით. ბორჩალოს, ახალციხის და ახალქალაქის მაზრაში არჩევნები ჩატარდება მოგვიანებით, რადგან საომარი მოქმედებების გამო ამ ოლქებში ვერ მოესწრო საარჩევნო სიების შედგენა. თიანეთის მაზრის ნაწილში და სვანეთში ვერ ჩატარდება არჩევნები უამინდობის, კერძოდ დიდთოვლობის გამო.

- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის №11 დადგენილებით ახალციხის და ახალქალაქის მაზრაში სამხედრო წესები გამოცხადდა. გენერალ-გუბერნატორად დანიშნულ იქნა გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, რომელსაც უნდა დამორჩილებოდა ყველა სამოქალაქო და სამხედრო პირი ამ ქალაქში. (ს.ც.ს.ს.ა. ფონდი1834 აღ.2 საქმეზ19 გვ.27)
- პარლამენტის მიერ მიღებული კანონით გაუქმდა რესპუბლიკის გუბერნიებად ქუთაისის და თბილისის) დაყოფა და შესაბამისი საგუბერნიო ადმინისტრაციული დაწესებულებანი. (7; 225)
- პარლამენტის მიერ მიღებული კანონის თანახმად, ომში გაწვეულ ან მოხალისეებად წასულ მუშა-მოსამსახურეებს სამსახურში ენახებოდათ თავიანთი ადგილები; იღებდნენ ხელფასის ნახევარს და ჰქონდათ უფლება, მოეთხოვათ „ნახევარზე მეტი ჯამაგირიც“. (7; 227)
- შეტაკება მოხდა ახალციხის მაზრაში, სადაც ქართულმა ჯარმა აიღო 8 სოფელი, რომელსაც თურქი ასკერები აკონტროლებდნენ. (1; №24)

31 იანვარი

- გაიმართა საქართველოს პარლამენტის უკანასკენლი სხდომა, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა. სხდომის დასასრულს პარლამენტმა მიიღო კანონი საკუთარი უფლებამოსილების შეჩერების შესახებ დამფუძნებელ კრებასთან დაკავშირებით. დამფუძნებელ კრებას მოიწვევდა პარლამენტის პრეზიდიუმი და ცენტრალური საარჩევნო კომისია. (7; 236)
- პარლამენტის კანონით „დაარსდა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მთავრობის ოფიციალური ორგანო „საქართველოს რესპუბლიკა“. (7; 235)
- საღამოს თბილისში ვაზნესენკის ქუჩაზე შეიარაღებულმა პირებმა გაძარცვეს საფრანგეთის ელჩი. წაღებული ფულის და ნივთების რაოდენობა უცნობია. (1; №24)
- გაზეთ „ერთობაში გამოქვეყნდა საარჩევნო ექსპრომტები:

I

აი, აქვე, ამ ადგილას
გამათავოს ზეციით მეხმა,
თუ ეროვნულ-დემოკრატებს
მივაშავო კვირას მე ხმა!

II

ქადა მქონდეს,მჭადად მექცეს-
ისე არა ვარ მწირველი
ეს „მეორე“ განზე იყოს
მომე, ჩავაგდო პირველი!

III

ორ პოეტში რომელს ირჩევ
გვაზავას თუ მოხუც ჰომერს?

ორ ნომერში რომელს მისცემ
მეორეს თუ პირველ ნომერს?

IV

მე „პირველი ნომერი“ ვარ
არ წააგებ მომეცი ხმა,
თუ გსურს თანაბრად იცხოვროს
რუს-ქართველმა და სომეხმა!

V

მე „მეორე ნომერი“ ვარ
არ გაბრიყვდე მომეცი ხმა,
თუ გსურს თანაბრად იკვნესოს
უცხომა და ჩვენმა გლეხმა!

VI

დახეთ მეორე ნომერსა,
როგორ ტყუილათ ეთრია:
სულყველა შავი მიიღო,
ველარ იგემოს თეთრია!

VII

ხმა მიეცით პირველ ნომერს...

პირველს!
ხმა მიეცით პირველს,
ბედის მწირველს...
ბრძოლაში დაცდილებს
ხალხის ერთგულ შვილებს...

სხვას არ უგდოთ ყური...
სისინია მტრული,
ტკბილ ხმაზე გალობენ;
გულით გღალატობენ
ხმა მიეცით პირველს,
ჩვენი ყოფნის დამცველს...
არ ასცილდეთ გზას ძველს,
თუმც ეკლიანს და ძნელს...
მაშ ხმა მივსცეთ მებრძოლთ
პირველ ნომერ სიას!
და ჩვენ შევასრულებთ
ჩვენს ვალს, ჩვენს მისიას!
დ. მეჩონგურე, 31 იანვარი 1919 წ. ქ. თფილისი.

1 თებერვალი

- განათლების სამინისტროს დადგენილებით, კავკასიის მუზეუმი გადაკეთდა საქართველოს ეროვნულ მუზეუმად. ხარჯთაღრიცხვისა და წესების დადგენა მიენდოთ მუზეუმის დირექტორს ნ. ყიფიანს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ექვთიმე თაყაიშვილს. (1; №25)
- სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა ფიცის ტექსტი, რომელიც მოქალაქეს უნდა მიეღო საქართველოს შეიარაღებულ ძალებში შესასვლელად. ფიცის ტექსტი დასამტკიცებლად წარედგინა მთავრობას. (1; №25)
- შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა სამინისტროებმა გაავრცელეს ერთობლივი განცხადება, რომლის თანახმადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს ხელში ჩავარდნიათ დეპეშა, რომელიც ბათუმში ომარ ფაიკ ეფენდის სახელზე იყო გაგზავნილი. წერილში საუბარია ამიერკავკასიის მუსლიმანთა რესპუბლიკის შექმნაზე, სამხრეთ საქართველოში აჯანყების მოწყობაზე, დამფუძნებელი კრების არჩევნების ბოიკოტზე. აჯანყებულები ასევე აღნიშნავენ ინგლისელთა მიერ მათ მხარდაჭერაზე. (1; №25)

2 თებერვალი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ პირველად გამოქვეყნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბის გრაფიკული გამოსახულება. (1; №26)
- გაიმართა თბილისის ქალაქის ხმოსანთა საბჭოს არჩევნები. (1; №26)
- ქუთაისში გაიხსნა ქართული სამუსიკო სასწავლებელი, რომლის დირექტორ-კომპოზიტორიც იყო მელიტონ ბალანჩივაძე. (1; №26)
- ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება არჩევნებზე მოძრავი ყუთების დაშვების შესახებ. მოძრავი ყუთების გამოყენება დაშვებული იყო მთიან და მიუვალ ადგილებში. მათ ასევე აცნობეს ადგილობრივ თვითმმართველობებს რომ არ ჩარეულიყვნენ საარჩევნო პროცესში. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იქნებოდნენ დასჯილი კანონის მთელი სიმკაცრით. (ს.ც.ს.ს.ა. ფონდი1834 აღ.2 საქმეზ19 გვ.31-35)

3 თებერვალი

- საქართველოს მთავრობამ ინგლისის მთავრობას აცნობა, რომ დავით ღამბაშიძე ინიშნებოდა საქართველოს წარმომადგენლად დიდ ბრიტანეთში. (1; №28)
- საღამოს 7 საათზე დასრულდა თბილისის ხმოსანთა არჩევნების შედეგების დათვლა. გაირკვა, რომ 71 000 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 36 366-მა მოქალაქემ. პარტიებს შორის ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა: 1. სოციალ-დემოკრატიული პარტია – 26 908 ხმა; 2. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 3 816; 3. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 136; 4. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 440; 5. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია – 2 964; 6. საქართველოს მუსლიმთა საბჭო – 3; 7. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ-მაშვრალთა პარტია – 418;

8. ეროვნული პარტია – 389; 9. თბილისის სახლის პატრონთა და მესაკუთრეთა პარტია – 309. მანდატები ქალაქის საბჭოში შემდეგნაირად გადანაწილდა: 90 ადგილიდან 69 მიიღეს სოციალ-დემოკრატებმა, 10 ეროვნულ-დემოკრატებმა, 7 – სოციალისტ-ფედერალისტებმა. №4, 7, 8, 9 პარტიებმა თითო მანდატი. ეს ინფორმაცია გაზეთებში გამოქვეყნდა 5 თებერვალს, ყველა საარჩევნო უბნის მონაცემები ცალ-ცალკე. (1; №28)

4 თებერვალი

- თბილისში ჩამოვიდა მთიელთა მთავრობის კავშირის წარმომადგენლობა საგარეო საქმეთა მინისტრის კანტემირ ალიხანოვის მეთაურობით. შემდეგ დღეებში ელოდნენ ფინანსთა მინისტრს ბაჯაგიეკს. (1; №27)
- სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარე შეხვდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ე. თაყაიშვილს, მათ ორი ქვეყნის ურთიერთობებზე და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს.

5 თებერვალი

- სახელმწიფო თეატრში გაიმართა დიმიტრი არაყიშვილის პირველი ქართული ოპერის „თქმულება შოთა რუსთაველზე“, პრემიერა ცნობილი საოპერო დასის შესრულებით. პარტიებს ასრულებდნენ ვანო სარაჯიშვილი, სანდრო ინაშვილი, კალანდაძე და სხვ. უამრავი მაყურებელი აღტაცებით შეხვდა ამ მოვლენას. დიმიტრი არაყიშვილს საზეიმოდ გადასცეს ეროვნული დროშით შემკული გვირგვინი. (1; №28)
- ქართველთა ლეგიონმა გამოაცხადა მოხალისეების შეკრება ახალციხის ფრონტზე საბრძოლველად. განცხადება გაავრცელა ლეგიონის სარდალმა ლეო კერესელიძემ. (1; №28)

6 თებერვალი

- მცხეთის ეპარქიის მეორე ოლქის სამღვდელოებამ მიიღო სპეციალური დადგენილება სკოლებში საღვთო სჯულის სწავლების შესახებ. „ვინაიდან ხელისუფლებას სურს საღვთო სჯულის სწავლების გაუქმება და ამის მიზეზად მასწავლებლებისათვის თანხების ვერმიცემას ასახელებს, ამიტომ სამღვდელოება თვითონ კისრულობს უფასოდ ასწავლონ საღვთო სჯული სკოლებში“. განცხადებას ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე მღვდელი ს. ტყემალაძე.
- თბილისში, ვაკეში, ჭიჭინაძის სახლში მცხოვრებმა მოქალაქე ჟორდანიამ განცხადებით მიმართა ქალაქის მილიციას: მისი სახლში არყოფნის დროს 15 ინგლისელ ჯარისკაცს მისთვის მოუპარია ფული და ბვირფასეულობა. (1; №29)
- დილის 10 საათზე სოჭის ოლქში ჩვენს პოზიციებს შემოუტიეს მოხალისეების ჯარებმა, რომლებსაც მხარს უმაგრებდნენ ყაზახების 2 ასეული და სომეხთა ბანდები.
- ქუთაისში გამოვიდა ლიტერატურული ალმანახი „მეოცნებე ნიამორები“, სადაც დაიბეჭდა გრიგოლ რობაქიძის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, კოლაუ ნადირაძის და სხვათა როგორც პროზის, ასევე პოეზიის ნიმუშები.

7 თებერვალი

- იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დაინიშნა რევიზია №1 და №2 საპატიმროებში, ასევე ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიაში, პატიმრების მდგომარეობის შესწავლის მიზნით. ყველა იმ პირს, ვისაც ჰქონდა ინფორმაცია ამ საპატიმროებში არსებული ბოროტმოქმედების შესახებ, მათ ეს ინფორმაცია უნდა ეცნობებინათ რევიზიისათვის ზეპირად ან წერილობით ფორმით. (1; №30)
- სახალხო გვარდიის შტაბმა გაავრცელა მოწოდება იმის შესახებ რომ გამოცხადებულიყვნენ რაიონულ შტაბებში, რათა მონაწილეობა მიეღოთ ახალციხის მიმართულებით სამხედრო მოქმედებებში. (1; №30)
- საღამოს 5 საათსა და 30 წუთზე თბილისის გარნიზონის უფროსმა, გენერალმა ახმეტელაშვილმა ფლაგი(დროშა) მოაგლიჯა საფრანგეთის მისიის ავტომობილს. მან არ იცოდა ვის ეკუთვნოდა ეს მანქანა. ამ ფაქტის გამო საფრანგეთის მისიას ბოდიში მოუხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ და გენერალმა ახმეტელაშვილმა, რომელიც დაკავებული თანამდებობიდან გადადგა.
- პოლკოვნიკმა გედევანიშვილმა ორ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით განცხადება წარუდგინა ბათუმის გენერალ-გუბერნატორს: 1. 5-6 თებერვლის ღამეს ჩოლოქის ხიდთან მდგომ ქართველ მესაზღვრეებს სროლა აუტეხეს ინგლისელმა ჯარისკაცებმა, რის შედეგადაც მსუბუქად დაიჭრა ერთი ქართველი ჯარისკაცი; 2. სოფელ არადიდში დააპატიმრეს ქართველი ოფიცერი აბაშიძე, რომელიც მშობლებთან იმყოფებოდა სტუმრად. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ფაქტებისა, ინგლისის მისიის წარმომადგენელმა პოლკოვნიკ გედევანიშვილს უარი უთხრა შეხვედრაზე, რომელიც მიზნად ისახავდა არსებულ სიტუაციაში გარკვევას. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ენერგიული პროტესტი განუცხადა ინგლისის მისიას საქართველოში.
- სამხედრო მინისტრის გრიგოლ გიორგაძის ბრძანებით გამოცხადდა სამხედრო მობილიზაცია სოჭის ოლქში დაწყებული სამხედრო მოქმედებების გამო. მობილიზაცია შეეხო 1890-1891 წლებში დაბადებულებს. ისინი უნდა გამოცხადებულიყვნენ შესაბამისი მაზრის სამობილიზაციო შტაბებში, საიდანაც მოხდებოდა მათი განაწილება ფრონტზე 9 თებერვალს.
- ბრიტანეთის სარდლობის თანხმობით, დენიკინის ჯარებმა სოჭი დაიკავეს. ქართულმა ჯარებმა უკან დაიხიეს. ევგენი გეგეჭკორმა ნოტით მიმართა ინგლისელებს და სოჭის რაიონის ნეიტრალურ ზონად გამოცხადება მოითხოვა.

8 თებერვალი

- საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა სოჭის ოლქში ბ. ხოჭოლავამ გააკეთა მოხსენება სოჭის ოლქზე მოხალისეთა ჯარის თავდასხმის გამო. მისი განცხადებით მოხალისეებთან პირველი შეტაკება მოხდა 24 იანვარს. ამის შემდეგ დაიწყო შეტაკებები და დროდადრო იმართებოდა მოლაპარაკებები ორივე მხარეს შორის. ორივე მხარე ცდილობდა სოჭის ოლქის დაკავებას, რის გამოც მოლაპარაკებები ჩიხში შედიოდა. (1; №31)

- შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით ბორჩალოს ნეიტრალურ ზონაში სისტემატიური ხასიათი მიიღო სომხების მიერ მაჰმადიანი მოსახლეობის დაწიოკებამ და ძარცვამ. (1; №31)
- სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მხარდასაჭერად საჩაიემ „ძმური ნუგეში", გამართა საღამო კაბარე, სადაც მონაწილეობდნენ ცნობილი მომღერლები.

9 თებერვალი

- მთავარი შტაბის ცნობით სოჭის ოლქში შეტაკებები კვლავ გრძელდება. ახალციხეში სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობს. ქუთაისში დაარსდა სამხედრო მასალებისა და იარაღის საწყობები. (1; №32)
- გამოქვეყნდა დამფუძნებელი კრების არჩევნებში ხმის უფლების მქონე ამომრჩეველთა რაოდენობა საქართველოს იმ ქალაქებსა და მაზრებში, სადაც არჩევნები ჩატარდებოდა. (1; №32)
- მოხდა ფოთის ქალაქის საბჭოს არჩევნები. ქალაქის საბჭოში ასარჩევი 31 მანდატი პარტიებს შორის ასე გადანაწილდა: სოციალ-დემოკრატიული პარტია 22 ხმოსანი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 6 ხმოსანი, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია 1 ხმოსანი, სოციალისტ-ფედერალისტები – 2 ხმოსანი. (1; №32)
- დილის 10 საათზე მთაწმინდაზე მამადავითის ეკლესიაში გადახდილ იქნა წირვა აკაკი წერეთლის სულის მოსახსენიებლად, ხოლო წირვის დასრულების შემდეგ მგოსნის საფლავზე გადაიხადეს პანაშვიდი.

10 თებერვალი

- გაიმართა თბილისის ქალაქის ახალი საბჭოს კრება.
- გზათა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება, რომლის ძირითადი არსი ასეთია: მიღებული ცნობებით სასურსათო კრიზისის გამო ამ ბოლო დროს მთავრობის სხვადასხვა ორგანიზაციებს ხშირად მიაქვთ კახეთის ზოგიერთ სადგურებზე სხვადასხვა საქონელი და აწარმოებენ მათ გაცვლა-გამოცვლას, ან ფულზე ყიდიან, რაც არღვევს კანონს. ამის გამო სამინისტრო აფრთხილებდა ყველას, რომ მსგავსი ფაქტი აღარ მომხდარიყო.

11 თებერვალი

- საკათალიკოსო და საეპისკოპოსო საბჭოებმა (სინოდმა) დაადგინა „აირჩიონ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდე. მათი უწმინდესობის კურთხევა მოხდეს 23 თებერვალს". (1; №33)
- საგარეო საქმეთა სამინისტრომ თბილისში მყოფ ყველა უცხო ქვეყნის წარმომადგენელს გაუგზავნა ნოტა, სადაც ეწერა: „სოჭის ოლქის აღების შემდეგ მოხალისეთა არმიის სარდლობა აპირებს დახვრიტოს ყველა პირი, ვინც ასრულებდა თანამდებობრივ საქმიანობას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველობის ქვეშ ან რაიმე კავშირში იყო ქვეყნის მთავრობასთან. ამ სასტიკი ფაქტის გამო საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ თუ მსგავს მოქმედებას ექნება ადგილი მოხალისეთა სარ-

დლობის მხრიდან, მაშინ საქართველოს მთავრობა უმკაცრესად უპასუხებს მათ ამ ქმედებას". (1; №33)

- საგარეო საქმეთა სამინისტრომ ნოტა გაუგზავნა ინგლისის მისიას, სადაც საუბარი იყო სოჭის ოლქის სადაო ტერიტორიებზე ინგლისის ჯარის ჩაყენების შესახებ, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული სამხედრო დაპირისპირება. ნოტაში ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ მსგავსი შეთავაზება ინგლისის მისიას ომის დაწყებამდე გაუგზავნა ქართულმა მხარემ. (1; №33)
- გამოქვეყნდა დროებითი დებულება უმაღლეს დაწყებით სკოლებში მოსამსახურე პირთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. განისაზღვრა ხელფასები და კვირაში ერთი მასწავლებლის მიერ ჩასატარებელი გაკვეთილების მაქსიმალური რაოდენობა.
- ადლერიდან წამოსულმა მოხალისეთა ჯარმა შეტევა განახორციელა ჩვენს პოზიციებზე. მოხალისეებს მხარს უჭერდა ადგილობრივი სომხები. შეტაკება მოხდა ვესელოვსკის ხიდთან. მოწინააღმდეგეები დამარცხდნენ და უკუიქცნენ. (1; №33)
- ქართულმა ჯარმა თურქი ასკერებისა და აჯანყებულთა შემოტევის შემდეგ ახალციხე დატოვა. (1; №33)

12 თებერვალი

- ქალაქ თბილისის საქალაქო საარჩევნო კომისიამ განცხადებით მიმართა მოქალაქეებს, ვისაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა აღებული პირადობის ღია ბარათები, რომლებიც საჭირო იყო არჩევნებში ხმის მისაცემად, შეეძლოთ აეღოთ 12 და 13 თებერვალს 3-დან 8 საათამდე. მისამართები თან ერთვოდა განცხადების ტექსტს. (1; №34)
- მიიღეს კანონი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებული განსაკუთრებული რაზმის მოქმედების განგრძობისა, სპეკულაციის, კონტრრევოლუციისა და მძარცველობის წინააღმდეგ საბრძოლველად. (1; №34)
- 11-12 თებერვალს ბოლშევიკებმა იერიში მიიტანეს ყაზბეგში ქართულ სასაზღვრო რაზმზე. 18 საათიანი ბრძოლის შემდეგ ქართველთა მცირერიცხოვანი რაზმი გადავიდა კონტრშეტევაზე, ბოლშევიკებმა დიდი ზარალი მიიღეს, აირივნენ და უკან დაიხიეს. 3 000-მდე ბოლშევიკი ქართველებმა ტყვედ ჩაიგდეს, იარაღი აჰყარეს და პატარა ჯგუფებად გააგზავნეს მცხეთაში. (1; №34)
- საგანგებო რაზმმა რუსეთის ნაციონალური საბჭოს თავმჯდომარე, თბილისში, ლებედევი დააპატიმრა. (1; №34)
- გენერალ მაზნიაშვილის ცნობით, ახალციხის ფრონტზე ჩავიდა ინგლისელი ოფიცერი, რომელმაც მას მოსთხოვა უკან დახევა, რადგან მოწინააღმდეგე მხარეებს შორის უნდა ჩამდგარიყო ინგლისის ჯარი. გენერალმა მაზნიაშვილმა აცნობა სამხედრო მინისტრს. რომელმაც განაცხადა, რომ მსგავსი საკითხი სარდლობის გადასაწყვეტი არაა და მთავრობას მიმართა აღნიშნულ საკითხზე რეაგირებისათვის.
- შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, დამფუძნებელი კრების არჩევნებში ჩაბმული ადგილობრივი ადმინისტრაციის თანამშრომლები უმკაცრესად იქნებიან დასჯილები. (1; №34)

- დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებით, წინასწარი მუშაობა არჩევნებისათვის დასრულებული იყო. ყველა ტექნიკური დეტალი მოგვარებულია. არჩევნების ჩატარებისათვის ხელისშემშლელი პირობები არ არსებობს. (1; №34)

13 თებერვალი

- დამფუძნებელი კრების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გაავრცელა განცხადება: „თუ ვინმე დაბეჭდავს ან გაავრცელებს დამფუძნებელი კრების რომელიმე კანდიდატის შესახებ ყალბ ცნობებს პასუხს აგებს კანონის წინაშე. ასევე არჩევნების დროს ნებისმიერი კანონდარღვევა დასჯილი იქნება უმკაცრესად“. (1; №35)
- შინაგან საქმეთა სამინისტროში დაარსდა ადმინისტრაციული ინსპექცია, რომელიც კონტროლს უწევდა ადგილობრივ თვითმმართველობას და სამაზრო მილიციას. (1; №35)
- აფხაზეთში ჩატარდა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნები. არჩეულ იქნენ სოციალ-დემოკრატები,) დამოუკიდებელი სოციალისტები, ესერები, ეროვნულ-დემოკრატები და სხვ. (1; №35)
- შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი გაემგზავრა რაჭა-ლეჩხუმში, სადაც გაეცნო არსებულ მდგომარეობას. ამის შემდეგ იგი დაბრუნდა ქუთაისში და დააპატიმრებინა პოლკოვნიკი ზაქარიაძე, რომელსაც ბრალი ედებოდა ლეჩხუმში ჩადენილი დანაშაულისთვის. ეს ფაქტი შინაგან საქმეთა მინისტრისთვის ცნობილი გახდა ლეჩხუმში ყოფნის დროს. (1; №35)

14 თებერვალი

- დაიწყო საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გაზეთებში გამოაქვეყნა საარჩევნო უბნების მისამართები თბილისის მასშტაბით. ასევე მთელ მოსახლეობას მოუწოდა არჩევნებში მონაწილეობისაკენ. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 505 474 ამომრჩეველმა. არჩევნებში მონაწილე 15 პოლიტიკურმა პარტიამ და დაჯგუფებამ შემდეგი რაოდენობის ხმები მიიღეს: 1. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ – 409 766 ხმა; 2.საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიამ – 33 721; 3. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ – 30 754; 4. საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ – 21 453; 5. საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულმა პარტიამ – 3 107; 6. სომეხთა პარტიამ საქართველოში „დაშნაკცუტიუნმა“ – 2 353; 7. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ – 1616; 8. საქართველოს ეროვნულმა პარტიამ – 1532; 9. დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირმა – 795; 10. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ – 779; 11. ესტეტიურმა ლიგამ პატრიოტებისა – 53; 12. შ. რუსთაველის ჯგუფის პარტიამ – 51; 13. ბორჩალოს მაზრის მუსლიმანების ჯგუფმა – 77; 14. მუსლიმანთა ეროვნულმა საბჭომ – 60; 15. საქართველოს ელინთა დემოკრატიულმა ჯგუფმა – 14.

- ქართული ტანვარჯიშის საზოგადოებამ „შევარდენმა“ დაიწყო მოსწავლეთა მიღება. ვარჯიში იმართებოდა ყოველ ორშაბათს, სამშაბათს და პარასკევს, როგორც გოგონებისთვის ასევე ვაჟებისთვის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში. (1; №36)
- გაგრძელდა შემოწირულობების შემოტანა ქართული ჯარისთვის. შემომწირველთა სია გამოქვეყნდა გაზეთებში.

15 თებერვალი

- საქართველოს მთავრობის დადგენილებით მობილიზაცია გამოცხადდა, რომელიც შეეხო 24, 25, 26 და 27 წლის ახალგაზრდებს.
- ნოე ჟორდანია შეხვდა ბრიტანეთის ჯარების მთავარსარდალს კავკასიაში ფორესტიე უოკერს. უკანასკნელმა ქართულ მხარეს ფაქტიურად აუკრძალა გაგრის რაიონში შემოჭრილი დენიკინის წინააღმდეგ შეტევა. გარდა ამისა, მთავრობის თავმჯდომარის კითხვაზე, თუ რა დახმარებას უნდა მოელოდეს საქართველო ბრიტანეთისაგან, გენერალმა უპასუხა: „მე უკვე მივაქციე ყურადღება, თქვენი რესპუბლიკის ფინანსურ მდგომარეობას, მაგრამ ვინაიდან იგი მჭიდროდაა დაკავშირებული რკინიგზის საქმესთან, ინგლისი ვერ დააფინანსებს ქვეყნებს, სადაც ეს საქმე უზრუნველყოფილი არ იქნება. რაც შეეხება კერძო კაპიტალების მოდენას, თქვენში არსებული სოციალიზაციის პირობებში მოკავშირეთა კაპიტალები აქ ვერ მოვლენო. (1; №36)
- დაიწყო მოლაპარაკებები სოჭის ოლქში სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ. მოლაპარაკებებს ხელმძღვანელობდა ინგლისის მისია. ქართული მხარის მოთხოვნით ზავს ხელი არ მოეწერებოდა მანამდე სანამ მოხალისეთა ჯარები სოჭის ოლქს არ დატოვებდნენ. (1; №36)
- გაზეთებმა გამოაქვეყნეს მიმართვა დამფუძნებელი კრების არჩევნებთან დაკავშირებით: „მოქალაქენო! ამ ისტორიულ დღეებში თქვენ არავითარი უფლება არა გაქვთ შინ კარჩაკეტილები ისხდეთ. მიაშურეთ საარჩევნო ყუთებს! არ დაჰკარგოთ ხმა!“ (1; №36)
- რევაზ გაბაშვილის წერილის გამო, რომელიც ინგლისის მისიის კრიტიკას შეიცავდა, გაზეთი „სალი კლდე“ ერთი კვირით დაიხურა შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით.

16 თებერვალი

- დიდი ყინვის გამო თბილისს წყალმომარაგება შეუწყდა, რადგან მილებში წყალი გაიყინა. (1; №38)
- ნოვოროსიისკიდან წამოსული გემი, რომელშიც მოხალისეთა ჯარის 40 ჯარისკაცი და გენერალი მგზავრობდა, უამინდობის გამო სოჭის ნაცვლად ფოთში შემოვიდა. გემის მგზავრები სანაპიროს დაცვამ მაშინვე დააკავეს და იარაღი აჰყარეს, გემზე ასევე აღმოჩნდა დიდი რაოდენობით ფქვილი და სანოვაგე, რომელსაც კონფისკაცია ჩაუტარდა. (1; №38)
- თბილისის ლომბარდში გაიმართა აუქციონი სადაც გასაყიდად გამოიტანეს საყოფაცხოვრებო ნივთები, ძვირფასი ქვები და ლითონები. (1; №38)

17 თებერვალი

- მთავრობის საქმეთა სამმართველოს მდივნის თანაშემწედ დაინიშნა დავით ლომთა-ძე. ბრძანებას ხელს აწერენ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია და მთავრობის საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე.

18 თებერვალი

- პრეზიდიუმის მოწვევით გაიმართა პარლამენტის საგანგებო სხდომა ქვეყანაში არსებული საგანგებო ვითარების გამო. (1; №3)
- გამოქვეყნდა დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგები თბილისის 52 უბნის და ერთი მოძრავი ყუთის მონაცემების მიხედვით არჩევნებში სულ მონაწილეობა მიიღო 37 126 ამომრჩეველმა. (1; №38)
- ღარიბი მოსწავლეებისათვის სახელმწიფოს ათმილიონნიანი ფონდიდან გამოიყო 150 000 მანეთი სწავლის საფასურის გადასახდელად. (1; №38)

19 თებერვალი

- ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით იუსტიციის მინისტრმა თხოვნით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს, რათა რესპუბლიკის ყველა ქალაქის თვითმმართველობებსა და სამაზრო საერობო გამგეობებს სპეციალური ცირკულარით ეცნობოთ, რომ დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ ნაფიც მსაჯულთა საერთო სიების შედგენას და ეს სიები წარედგინათ სათანადო ოლქების სასამართლოს თავმჯდომარეთათვის. (1; №39)
- იუსტიციის სამინისტროს წინადადებით სასამართლო უწყების დაწესებულებებმა უნდა წარუდგინონ სამინისტროს სია, მათთვის საჭირო სახელმწიფოს ბეჭდებისა, რომელიც დამზადებულ იქნება სახელმწიფო ღერბის ავტორის იოსებ შარლემანის ხელმძღვანელობით. (1; №39)
- საპყრობილეებში ანტისანიტარული მდგომარეობის გამო იუსტიციის სამინისტრო აფრთხილებს ციხის ადმინისტრაციას, რომ სწრაფად გამოასწორონ სიტუაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი სტრუქტურების ხელმძღვანელები განთავისუფლდებიან სამსახურიდან და მიეცემიან პასუხისგებაში. (1; №39)

20 თებერვალი

- შედგა საქართველოს იურიდიული საზოგადოების ყოველწლიური კრება, სადაც განხილული იქნა სხვადასხვა საკითხები, მათ შორის სამართალწარმოების გაუმჯობესების და სასამართლო რეფორმის შესახებ. (2; №39)
- ზაქარია ფალიაშვილის შესახებ დაიბეჭდა სტატია, სადაც საუბარია მის შემოქმედებით ნიჭზე და ახალ ქართულ ოპერაზე „აბესალომ და ეთერი“, რომელიც ძალიან მაღალ დონეზეა შეფასებული. (2; №39)
- თბილისში სამუშაო ვიზიტით ჩამოვიდა სომხეთის სამთავრობო დელეგაცია, მთავრობის თავმჯდომარის კაჩაზმუნის მეთაურობით. დელეგაციაში ასევე შედიოდნენ სომხეთის პარლამენტის წევრები.

- სახელმწიფო თეატრში დაიდგა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი.“ წარმოდგენას ესწრებოდნენ მთავრობისა და პარლამენტის წევრები, ამერიკის მისიის წარმომადგენლები, მრავალრიცხოვანი მაყურებელი. ავტორი დაჯილდოვდა თეთრი გიორგის ორდენით. ოპერამ საქართველოს მრავალი ქალაქი მოიარა. ყველგან აბესალომის პარტიას ასრულებდა ვანო სარაჯიშვილი, მურმანისას-ს. ინაშვილი.

21 თებერვალი

- ინგლისის მთავრობამ დენიკინის არმიას მოსთხოვა ჯარი გაეყვანა მის მიერ ოკუპირებული ოლქიდან. (3; №462)
- თბილისში გამოვიდა ინგლისურენოვანი გაზეთი, რომელიც კვირაში ორჯერ სამშაბათს და პარასკევს გამოიცემოდა. (1; №41)

22 თებერვალი

- გაზეთში „ხმა მესხეთიდან“, დაიბეჭდა წერილი მესხეთის აჯანყების შესახებ, რომელშიც საუბარია ოსმალთა მიერ ადგილობრივი მუსლიმების წაქეზებაზე აჯანყებისათვის. (3; №463)
- პროფესორ იოსებ ყიფშიძის გარდაცვალების გამო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორებმა გამოთქვეს ღრმა მწუხარება. მის მოღვაწეობას ვრცელი წერილი მიუძღვნა სიმონ ყაუხჩიშვილმა. (3; №463)

23 თებერვალი

- მცხეთის სვეტიცხოვლის საკათალიკოსო ტაძარში თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდი ხელდასხმულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. მან დალოცა და სიტყვით მიმართა მრევლს, იქადაგა ეკლესიის როლზე ქვეყნის ცხოვრებასა და მის ისტორიაში. უწმინდესისა და უნეტარესი ლეონიდის კურთხევას დაესწრნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, ინგლისის, საფრანგეთის, პოლონეთის და აზერბაიჯანის მისიების ხელმძღვანელები, მათ შორის იყვნენ: ექვთიმე თაყაიშვილი, ზურაბ ავალიშვილი, იუსტიციის მინისტრი შალვა ალექსი-მესხიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე საბახტარაშვილი და სხვანი. (16; 40)
- საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდის შესახებ გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნდა, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ეპიზოდები. (2; №42)
- ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ სასარგებლოდ „ქართული კლუბის“, კლუბისნ მიერ გაიმართა დიდი სამხატვრო, სამუსიკო და სალიტერატურო საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართული სცენის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა.

24 თებერვალი

- სამაზრო საერობო ბინაზე გაიხსნა მიწათმოქმედების მინისტრის მიერ მოწყობილი სამეურნეო კურსები.

- დღის პირველ საათზე საბარგო ავტომობილი ელისაბედის და გორის ქუჩის შესახვევში დაეჯახა ექვსი წლის ბავშვს და დააშავა.

25 თებერვალი

- გამოქვეყნდა გურიაში დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგები. (1; №44)
- გამოქვეყნდა გენერალ გიორგი კვინიტაძის მიმართვის ვრცელი ტექსტი, რომლითაც ის მიმართავს ახალციხის მაზრის მცხოვრებ მუსლიმანებს. გენერალი მათ სთხოვს ხელში არ აიღონ იარაღი და იძულებული არ გახადონ ის, რომ მათი სისხლი დაღვარონ ქართველმა ჯარისკაცებმა. გენერალი მათ მშვიდობიან თანაცხოვრებას ჰპირდება.
- თბილისში სახადი ძლიერდებოდა და ათეულობით ავადმყოფი იყო მოთავსებული ქალაქის სხვადასხვა საავადმყოფოებში.
- დუშეთის მაზრის არჩევნების შესახებ გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც აღწერილია დუშეთის მაზრაში ჩატარებული არჩევნების მიმდინარეობა, გაკრიტიკებულია საარჩევნო პროცესი, რომელიც დარღვევებით მიმდინარეობდა და მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიაა დადანაშაულებული.

26 თებერვალი

- გამოქვეყნდა ქალაქ თბილისის გენერალ-გუბერნატორის სავალდებულო დადგენილება, ქალაქში ავტომობილების მოძრაობის წესების შესახებ, როგორც დღისით ასევე ღამით. განკარგულებას თან ახლავს მოთხოვნა ახალი მართვის მოწმობების მისაღებად. 3 დღის ვადაში, შესაბამის ადგილზე გამოცხადებისა და წესების გაცნობის შესახებ. (1; №45)
- სენაკის მაზრის არჩევნები ქუთაისის საოლქო სასამართლომ გააუქმა. (1; №45)
- ბაქომ თბილისს შეუწყვიტა ნავთის გადმოქაჩვა (ნავთობსადენით), 1,5 მლნ. მანეთის დავალიანების გამო. პრობლემის მოგვარებაში ინგლისის მისია ჩაერთო. (2; №44)
- იუსტიციის მინისტრის შალვა მესხიშვილის ბრძანებით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სასამართლო ვალდებული იყო სამართალწარმოება გაემართა ქართულ ენაზე, მიუხედავად იმისა, რა ენაზე იყო გამოძიება ნაწარმოები და რომელ ენას ფლობდა მოპასუხე ან მთხოვნელი. (2; №44)
- თბილისის სახელმწიფო თეატრში დაიდგა პირველი ქართული ბალეტი. ეს იყო პირველი ქართველი კომპოზიტორ-ბალეტმეისტერის თ. ვახვახიშვილის ნაწარმოები „ვაკხის დღესასწაული."

27 თებერვალი

- გამოქვეყნდა დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგები ქუთაისის და გორის მაზრების. (1; №46)
- გაიმართა ქართველ მწერალთა კავშირის საბჭოს კრება, დრამატიული კავშირის შენობაში. (1; №46)

28 თებერვალი

- ქალაქ თბილისის ქსენონთა (საავადმყოფოთა) თანამშრომლები ითხოვდნენ სოციალური სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მოაწყობდნენ გაფიცვას. (1; №48)
- დუშეთის მაზრის ერობა აცხადებდა კონკურსს მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევის შესახებ. საბუთების მიღება იწარმოებდა სამაზრო ერობაში 20 მარტამდე. (2; №46)
- 7 უცნობი პირი თავს დაესხა არქიმანდრიტ ეგიაზარიანცს, ბინიდან წაღებულია 18 000 მანეთის ნივთეულობა. (1; №48)

1 მარტი

- დამფუძნებელი კრების არჩევნებთან და მის მომავალ მუშაობასთან გამოთქმული პროგნოზები გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოში", სადაც საუბარია დამფუძნებელი კრების მომავალი მუშაობის მნიშვნელობაზე. (2; №47)
- საქართველოს პარლამენტის 30 იანვრის კანონის საფუძველზე გაუქმდა საქართველოს რესპუბლიკის გუბერნიებად დაყოფა. ქვეყანა დაიყო მაზრებად. (1; №48)
- თბილისის №1 საგუბერნიო საპყრობილის უფროსის არყოფნის დროს ციხის თანამშრომლებს ორი პატიმარი გაუშვიათ უკანონო სამუშაოზე და გააყოლეს ზედამხედველი ჟუკოვი. ისინი შეიპყრო მილიციამ, მაგრამ გზაში სამივემ სცადა გაქცევა, რის გამოც სამივე მოკლულ იქნა. (1; №48)

2 მარტი

- გამოქვეყნდა საქართველოს ერობის ყრილობის წარმომადგენელთა მიერ მიღებული რეზოლუციები, მათი განსახორციელებელი საქმიანობის შესახებ. (1; №49)
- საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ მოაწყო ლაზარეთები სამცხე-ჯავახეთის ფრონტზე, მათ შორის 50 საწოლიანი ლაზარეთი ბორჯომში. (1; №49)
- ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერის" შესახებ გამოქვეყნდა ვრცელი სტატია გაზეთ „საქართველოში", სადაც საუბარია გამართულ პრემიერაზე, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა. (1; №49)
- გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნდა შალვა ამირეჯიბის, გრიგოლ რობაქიძის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის და გიორგი ლეონიძის ახალი ლექსები. (1; №49)

3 მარტი

- საგარეო საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით შესდგა სომეხ-ქართველთა თათბირი. გაირჩა საკითხი ტრანზიტის შესახებ. თათბირის დროს აირჩიეს განსაკუთრებული კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა მათ შორის არსებული პრობლემური საკითხები.

4 მარტი

- გამოქვეყნდა იუსტიციის, ვაჭრობა-მრეწველობისა და საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის მიერ ძველი თანამშრომლების დათხოვნა და ახალთა მიღება თავისი მიზეზებით. (1; №50)
- ფოთში დაარსდა ლაზისტანის განთავისუფლების კომიტეტი. (2; №49)
- გენერალ გიორგი კვინიტაძის განცხადებით, ახალციხის მაზრაში საომარი სიტუაციის გამო ხშირია ძარცვა და ძალადობა.
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა განცხადება ქალაქ თბილისის ქალაქის თავად ბენიამინ ჩხიკვიშვილის არჩევის შესახებ.

5 მარტი

- მთავარი შტაბის ცნობით ქართულმა ჯარმა აწყური დაიკავა და 6 ვერსით წაიწია წინ. (1; №51)
- საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმი და საარჩევნო კომისია აცხადებს, რომ დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა გაიმართება 12 მარტს 12 საათზე. (1; №51)
- ცნობა ყაზბეგიდან: პოლკოვნიკ წერეთლის განცხადებით, ჩრდილოეთ კავკასიაში, ალაგირში მცხოვრები 500 ქართველი ოჯახი აუწიოკებიათ და გაუფანტიათ ოსებს, რის შედეგადაც ჩრდილოეთ კავკასიიდან ყაზბეგის გავლით საქართველოში შემოვიდა 5000 ქართველი ლტოლვილი. (1; №51)
- თავდაცვის სამინისტროს ცნობით, სამხედრო უწყებამ მასწავლებლები მობილიზაციიდან გაანთავისუფლა.
- გაზეთ „სახალხო საქმეში" გამოქვეყნდა დამფუძნებელი კრების არჩევნებში, საჩხერის რაიონში პარტიების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა სოფლების მიხედვით.

6 მარტი

- სამხედრო საგანგებო სასამართლოში, სოხუმის ოლქში დაიხვრიტა გვარდიელი, ცხენოსანი კონსტანტინე კარაკაში. იგი ბრალდებული იყო სოფელ აძიავის მცხოვრებ სტეშკოს გაძარცვასა და მისი ქალიშვილის გაუპატიურებაში. (1; №52)
- ამავე სასამართლომ 20 წლიანი კატორღა მიუსაჯა ძარცვა-ყაჩაღობაში ბრალდებულ რამდენიმე გვარდიელსა და უნტერ-ოფიცერს. (1; №52)
- დამფუძნებელი კრების არჩევნებისა და მისი მომავალი მუშაობის მნიშვნელობის შესახებ ვრცელი ანალიტიკური სტატია გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოში". (2; №51)

7 მარტი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა საქართველოს ქალაქებში ჩატარებული დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგების ცხრილი პარტიების მიერ მიღებული ხმების მიხედვით.
- დილის ათის ნახევარზე ქართულმა სამხედრო ნაწილებმა ახალციხე აიღეს. (1; №53)

- ჩრდილო კავკასიელმა მთიელმა ქალებმა ბრძოლა გამოუცხადეს დენიკინის არმიას და იარაღით ხელში იბრძოდნენ მათ წინააღმდეგ.
- სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოებამ დააარსა ბათუმის დიდი ბიბლიოთეკა. რეგიონში სწავლის გაუმჯობესების მიზნით. (3; №474)

8 მარტი

- მთიელთა კავშირის რესპუბლიკას საქართველოს მთავრობამ სესხის სახით გამოუყო 3 მილიონი მანეთი, აქედან 2,5 მილიონი თერგის რესპუბლიკის ბონებით, ხოლო 0, 5 მილიონი ამიერკავკასიის ბონებით. (1; №54)
- შტაბის ცნობით ქართულმა ჯარებმა უბრძოლველად დაიკავეს ახალციხე, ხოლო 6 მარტს ქართულმა ჯარებმა აიღეს სოფლები ზაქილი და ფოცხოვი. (1; №54)
- მთავრობის განკარგულებით ლტოლვილებს გამოეყოთ 500 000 მანეთი დახმარება, ასევე იმ ადგილებში სადაც ლტოლვილები კომპაქტურად სახლობდნენ, გაიხსნა უფასო საავადმყოფოები და სასადილოები. (1; №54)
- სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ ბათუმში დაარსა დიდი ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება 6 განყოფილებისგან. (3; №475)

9 მარტი

- არტისტული საზოგადოების დარბაზში გაიმართა კონცერტი კაბარე საღამოს 10 საათიდან 3 საათამდე. მონაწილეობა მიიღეს მსახიობებმა და მომღერლებმა. (1; №55)
- შალვა მაღლაკელიძე დაინიშნა რესპუბლიკის საადმინისტრაციო ინსპექტორად. (1; №55)
- საგანგებო რაზმმა დააპატიმრა მერვე კომისარიატის კომისარი რევია და იმავე კომისარიატის მილიციონერი დავითური ფულის დატყუებისათვის. (1; №55)
- იყიდება პაპიროსი და თუთუნი „ქიზიყი“. (2; №54)

10 მარტი

- იუსტიციის მინისტრის განკარგულებით იუსტიციის სამინისტროს უწყებაში ჩაირიცხა და იგზავნება ლაგოდეხის უბნის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ვასილ ყიფიანი.
- გამოიცა განკარგულება, რომლის თანახმადაც დ. ყიფიანი დაინიშნა კანცელარიის მოხელედ. განკარგულებას ხელს აწერდა კანცელარიის დირექტორი გ. ჟორდანია.

11 მარტი

- დამფუძნებელი კრების არჩევნები საბოლოო შედეგები, ასევე მიღებული ხმების და გაყვანილი კანდიდატების რაოდენობა – პირველი სხდომის დღის წესრიგშია. კრება გაიმართება თბილისში მთავრობის სასახლის თეთრ დარბაზში. (1; №56)

- ინგლისის დიპლომატიური მისიის მეთაური ფორესტიე უოკერი ავადმყოფობის გამო გაემგზავრა ინგლისში. მისი ადგილი დაიკავა გენერალმა ტომსონმა. (2; №55)
- აზერბაიჯანის მთავრობამ საქართველოს მთავრობას საპროტესტო ნოტა გამოუგზავნა ახალციხეში სამხედრო მოქმედების მიმდინარეობის გამო. მათი განცხადებით, თვითგამორკვეულ მაჰმადიანებს საქართველოს მთავრობა ავიწროებს. ეს ნოტა მათ ასევე გაუგზავნეს მოკავშირეებსაც. (2; №55)

12 მარტი

- გაიმართა დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა. პარლამენტის პრეზიდიუმისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის დღის წესრიგი შემდეგნაირად განისაზღვრა: სხდომა დაიწყო დღის 12 საათსა 12 წუთზე. სხდომა გახსნა უხუცესმა წევრმა სილიბისტრო ჯიბლაძემ, ხოლო მდივნობდა ყველაზე ახალგაზრდა წევრი გოგიტა ფაღავა. სხდომის თავმჯდომარემ სიტყვით მიმართა დამფუძნებელი კრების წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს. ამის შემდეგ დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ხოლო მის პირველ ამხანაგად (მოადგილედ) ალექსანდრე ლომთათიძე. სხდომის დასასრულს დამფუძნებელმა კრებამ ხელახლა დაამტკიცა დამოუკიდებლობის აქტი და წევრებმა ხელი მოაწერეს ამ აქტს. (1; №57)
- დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის დღე ქართულმა გაზეთებმა შეაფასეს ისტორიულ დღედ და ბევრი საინტერესო სტატია გამოაქვეყნეს ამ თარიღის მნიშვნელობის შესახებ: „მარტის თორმეტს მზიანი დღე დადგა. თუმცა ცოტა ჰქროდა, მაგრამ დარი საერთოდ ნამდვილი გაზაფხულისა იყო. და სწორედ რომ ეს მეორე გაზაფხულია საქართველოსათვის, როგორც ბუნებისა, ისე პოლიტიკური. ამ დღეს გაიხსნა სრულიად საქართველოს პირველი დამფუძნებელი კრება... სასახლესთან ტევა აღარაა. ქუჩის ორთავე მხარე სავსეა ხალხით. ნემსი ვერ ჩავარდებაო, რომ იტყვიან, სწორედ ისეა. ტრამვაის მოძრაობა შეჩერებულია“. „...სასახლის თეთრი დარბაზის შუაში სხედან სოციალ-დემოკრატები, მარცხნივ სოციალისტ-ფედერალისტები და ესერები, მარჯვნივ ეროვნულ-დემოკრატები. სავსეა პრესის წარმომადგენელთა ლოჟა. აქვე არიან უცხო სახელმწიფოთა – ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, შვეიცარიის, ესპანეთის, ნიდერლანდების, საბერძნეთის, პოლონეთის, სპარსეთის, ჩეხოსლოვაკიის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ლიტვის, უკრაინის და სხვ. წარმომადგენლები. 12 საათსა და 5 წუთზე სხდომას ხსნის უხუცესი დეპუტატი სილიბისტრო ჯიბლაძე, მდივნობს ყველაზე ახალგაზრდა გოგიტა ფაღავა“. (1; №57)
- გამოქვეყნდა ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნების შედეგები. საარჩევნო უბნების მიხედვით არჩევნების შედეგად: 1. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ქალაქის საბჭოში გაიყვანა 34 ხმოსანი. 2. ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ – 14 ხმოსანი. 3. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ – 1 ხმოსანი. 4. ეროვნულმა პარტიამ – 1 ხმოსანი. 5. სოციალისტ-ფედერალისტურმა პარტიამ – 9 ხმოსანი. 6. მაშვრალთა პარტიამ – 1 ხმოსანი. (1; №57)
- სიღნაღის მაზრის კომისარმა დეპეშით აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ცნობები ვითომ ზაქათალის ლეკები ამწვავებენ ოლქში მდგომარეობას, გამოძიებით არ დასტურდება. (1; №57)

- 11-12 მარტს ქართულმა ჯარებმა ახალციხის ფრონტზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. 11 მარტს დაკავებულ იქნა სოფლები – ვალე და წყალთბილა, ხოლო 12 მარტს აბასთუმანი და მიმდებარე ტერიტორიების სტრატეგიული სიმაღლეები. ქართულ ჯარს შეტევები წელამდე თოვლში უხდებოდა. მიუხედავად ამისა, მტერმა დიდი ზარალი მიიღო და უკან დაიხია. (1; №57)

13 მარტი

- გიორგი ყიფიანი დაინიშნა თბილისის საგუბერნიო №1 საპყრობილეს უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად.
- ნ. ელიავას თავმჯდომარეობით შესდგა ქალაქის საბჭოს საბალნეოლოგიო კომისიის კრება, რომელზედაც დაესწრნენ სამიწათმოქმედო სამინისტროს წარმომადგენელები გ. ჩურსინი, პროფესორი მელიქოვი, ქიმიკოსები, ბაქტერიოლოგები, ექიმები და სხვა კომისიის მიერ მიწვეული სპეციალისტები. კომისიას მსჯელობა ჰქონდა თბილისში საბალნეოლოგიო სადგურის და კურორტის მოწყობის შესახებ.

14 მარტი

- გაიმართა დამფუძნებელი კრების სხდომა, სადაც დამფუძნებელი კრების მდივნად აირჩიეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი კონსტანტინე ჯაფარიძე. (დამფუძნებელი კრების სხდომის 14 მარტის სტენოგრაფიული ანგარიში)
- სახელმწიფო თეატრში 14, 15 და 16 მარტს გაიმართა სპექტაკლები დამფუძნებელი კრების წევრთა პატივსაცემად. შემდეგი თანმიმდევრობით: „აბესალომ და ეთერი“, „ოტელო“, „პიკის ქალი“ და „ფაუსტი“. (1; №58)
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის სრული ვერსია. გაზეთი საზეიმოდ აღნიშნავს ამ აქტის კიდევ ერთხელ დადასტურებას დამფუძნებელი კრების წევრების მიერ. (1; №58)
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა იუსტიციის სამინისტროს ანგარიში 1918 წლის 26 დეკემბრიდან 1919 წლის 12 მარტამდე, სადაც დაწვრილებითაა მოყვანილი სისტემაში გატარებული რეფორმების შედეგები და ის ბრძანებები, რომლებმაც ხელი შეუწყო სასამართლოს და სხვა მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობას. (1; №58)
- საქართველოს დელეგაციამ რომელსაც ნიკოლოზ ჩხეიძე მეთაურობდა, პარიზის კონფერენციას გადასცა მემორანდუმი. მასში დასაბუთებული იყო კანონიერი თხოვნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ცნობის შესახებ.

15 მარტი

- ქალაქ თბილისის ლომბარდმა გამართა აუქციონი გირაოზე ვადაგასული ნივთებისა და გასაყიდად გამოტანილი იქნა ძვირფასი ქვები და ლითონები, ასევე საყოფაცხოვრებო ნივთები. (1; №59)

- გაზეთ „ერთობის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა აფხაზეთის სახალხო საბჭოს შესახებ ვრცელი სტატია, სადაც საუბარია სახალხო საბჭოს არჩევნებზე და იმ მნიშვნელოვან საქმეებზე, რომლებზეც მუშაობდა ეს საბჭო. (1; №59)
- „ახალციხე და ადერბეიჯანი“ ამ სათაურით გამოქვეყნდა სტატია გაზეთ „ერთობაში“, სადაც საუბარია აზერბაიჯანის რესპუბლიკის საპროტესტო ნოტაზე, რომელიც მათ გამოუგზავნეს საქართველოს მთავრობას ახალციხის აჯანყებასთან დაკავშირებით. სტატიის ავტორი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ამ ნოტას და ისტორიული არგუმენტებით ასაბუთებს ახალციხის ოლქზე საქართველოს ლეგიტიმურ იურისდიქციას. ამის შემდეგ გაზეთის რედაქცია კიდევ ერთხელ აქვეყნებს საპროტესტო ნოტის იმ ტექსტს, სადაც აზერბაიჯანული მხარე საქართველოს მთავრობას ბრალს სდებს ახალციხელი მუსლიმანების თვითგამორკვევის ჩაკვლაში. (1; №59)

16 მარტი

- ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონის კომისარმა ა. ლორთქიფანიძემ წერილი გამოუგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრს, საიდანაც იტყობინებოდა, რომ ბორჩალოს მაზრაში მოვიდნენ დიდი რაოდენობით სომხები, რომლებსაც სურთ საქართველოს ტერიტორიაზე დასახლება. შემდგომი რეაგირებისათვის ა. ლორთქიფანიძე მითითებებს ელოდებოდა სამინისტროდან. (1; №60)
- ახალციხის აჯანყების მოვლენების გამორკვევის მიზნით შეიქმნა დამფუძნებელი კრების სპეციალური კომისია, რომელშიც შევიდნენ დამფუძნებელი კრების შემდეგი წევრები: მამედ ოღლი და გიორგი ანჯაფარიძე – სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, პეტრე სურგულაძე – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან და სამსონ ფირცხალავა – სოციალისტ-ფედერალისტური პარტიიდან. (1; №60)
- გამოქვეყნდა ახალციხის ფრონტზე დაჭრილ-დახოცილ ჯარისკაცთა, გვარდიელთა და მოხალისეთა სია. (1; №60)
- შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო რაზმმა აღმოაჩინა თბილისის მეშვიდე კომისარიატში ბოლშევიკთა ბიურო, რომლის ყველა წევრი დაპატიმრებულ იქნა.
- 16 მარტს თბილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში შუადღის 12 საათსა და 30 წუთზე შედგა საქართველოს ქალაქთა საბჭოს წარმომადგენელთა პირველი ყრილობა, რომელიც გახსნა ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ელიავამ. კრებაზე არჩეულ იქნა პრეზიდიუმი და განხილულ იქნა ის პრობლემები, რომლებიც იდგა საქართველოს ქალაქებში. მათ შორის მთავარ პრობლემად დასახელდა საავადმყოფოების და აფთიაქების გახსნა და ეპიდემიების წინააღმდეგ ბრძოლა. (1; №60)
- 15-16 მარტს ფოცხოვის ფრონტზე მძიმე პოზიციური ბრძოლები მიმდინარეობდა. 16 მარტს ქართულმა ჯარმა აიღო ორი სოფელი – ჩილვანი და შუვლაური. ფოცხოვის მოსახლეობამ ხალხი გამოგზავნა სარდლობასთან და მორჩილება აღუთქვა.
- 16 მარტს გაიმართა ზუგდიდის ქალაქის საბჭოს არჩევნები. მასში მონაწილეობა მიიღო 1293-მა ამომრჩეველმა. სულ სიაში იყო 3 284 ამომრჩეველი. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო 391 ხმა და გაიყვანა 6 ხმოსანი. ეროვნულ-დემოკრატიულმა

პარტიამ მიიღო 432 ხმა და გაიყვანა 6 ხმოსანი. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ მიიღო 109 ხმა და გაიყვანა 2 ხმოსანი. სოციალისტ-ფედერალისტებმა მიიღეს 310 ხმა და გაიყვანეს 5 ხმოსანი. ზუგდიდის მოსახლეთა უპარტიო კავშირმა- 51 ხმა და გაიყვანა 1 ხმოსანი.

17 მარტი

- გაიმართა ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელსაც ალექსანდრე ლომთათიძე ხელმძღვანელობდა. მათ განიხილეს ქალაქის პრობლემები და შეთანხმდნენ, რომ ხოლერის და სხვა ეპიდემიების წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო იყო საავადმყოფოებისა და ექიმების რაოდენობის გაზრდა. (1; №62)

18 მარტი

- შედგა დამფუძნებელი კრების სხდომა, რომელზედაც ნოე ჟორდანიას დაევალა მთავრობის ახალი კაბინეტის შედგენა, რომელსაც თავად უხელმძღვანელებდა. იმავე სხდომაზე არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის დარჩენილი წევრები. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგად სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან აირჩა სვიმონ მდივანი, ხოლო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან – ექვთიმე თაყაიშვილი. დამფუძნებელი კრების ორი უმცროსი მდივნის პოსტი დაიკავეს ქრისტინე შარაშიძემ – სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან და გრიგოლ ნათაძემ – სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან. (დამფუძნებელი კრების სხდომის 18 მარტის სტენოგრაფიული ანგარიში)
- ამის შემდეგ დამფუძნებელმა კრებამ აირჩია შემდეგი მუდმივმოქმედი კომისიები: სარეგლამენტო, საკონსტიტუციო, საფინანსო, საბიუჯეტო, სარედაქციო.
- ფოთიდან ბათუმში მიმავალ გემზე მოხდა ყაჩაღობა. გემის 30 მგზავრიდან 11 აღმოჩნდა ყაჩაღი, რომლებმაც მგზავრებს წაართვეს 140 ათასი მანეთი. ასევე მათ გაძარცვეს ორი ვაჭარი: დავით ხომლიაკი და დავით კოგანი, რომლებმაც საქართველოს მთავრობას მიჰყიდეს რამდენიმე ვაგონი შაქარი და აღებული თანხა 850 ათასი მანეთი ძალით წაართვეს ყაჩაღებმა. (1; №61)
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ უნივერსიტეტში უნდა იკითხებოდეს მუსიკის თეორია და ქართული მუსიკის ისტორია. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო სთხოვდა ქართულ სამუსიკო საზოგადოებას, რომ წარმოედგინათ სამეცნიერო ხარისხის მქონე შესაბამისი კანდიდატი უნივერსიტეტში აღნიშნული ლექციების წასაკითხად. (1; №61)
- შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, რესპუბლიკის ადმინისტრაციის უფროსს გენერალ შალვა მაღლაკელიძეს მიენდო საგუბერნიო ბატალიონის, საგანგებო და მფრინავი რაზმების ხელმძღვანელობა. (1; №61)
- გენერალ შალვა მაღლაკელიძის განცხადებით, აზერბაიჯანიდან გადმოდიოდნენ იქაური ჯარისკაცები ყალბი მოწმობებით და საქართველოში ყიდულობდნენ იარაღს. მაგ.: „ვინტოვკას“ – 2000 მანეთად. ასეთი 16 აზერბაიჯანელი ოფიცერი უკვე შეპყრობილ იქნა და მიმდინარეობდა საგამოძიებო სამუშაოები. (1; №61)

- სომხეთის წარმომადგენელმა პოღოს ნუბარ ფაშამ მოითხოვა ტერიტორიები მცირე აზიაში, მერსინიდან საქართველოს საზღვრებამდე. ამ ტერიტორიებში შედიოდა კილიკია, ერზრუმის სომხური ვილაიეთები, ბითლისი, ვანი, დიარბექირი, ხარპუთი და სივასი. ასევე – ტრაპიზონის ვილაიეთის ნაწილი პორტით. (1; №61)

19 მარტი

- დამფუძნებელი კრების არჩევისა და პირველი სხდომის ჩატარების შემდეგ საქართველოს დამფუძნებელ კრებას მისალოცი ტექსტები გამოუგზავნეს სხვადასხვა ქვეყნებმა. მათ შორის სომხეთისა და აზერბაიჯანის საკანონმდებლო ორგანოებმა. (1; №62)
- გენერალმა შალვა მაღლაკელიძემ ჩაატარა რევიზია საგუბერნიო ბატალიონსა და საგანგებო რაზმში. რამდენიმე პირი დისციპლინარული სასჯელის გამო განთავისუფლდა ამ დანაყოფებიდან. (1; №62)

20 მარტი

- გენერალი შალვა მაღლაკელიძე საგუბერნიო ბატალიონისა და საგანგებო რაზმის თანხლებით გაემგზავრა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში სამოქალაქო წესრიგის დამყარების მიზნით, რათა არ მოხდეს მარადიორობა, ძარცვა, ქურდობა და ყაჩაღობა. (1; №63)
- შალვა მაღლაკელიძეს მიუვიდა ოპერატიული ინფორმაცია თბილისის პირველ საგუბერნიო ციხეში მოსალოდნელი აჯანყების შესახებ. აჯანყების მეთაურები გადაყვანილ იქნენ მეტეხისა და ქუთაისის ციხეებში, ხოლო პირველ საგუბერნიო ციხეში ჩადგა ერთი ასეული წესრიგის დაცვის მიზნით. (1; №63)
- უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებს განათლების მინისტრის ბრძანებით, გაეგზავნათ შემდეგი ცირკულარი: კლასის დამრიგებელს ერთმეოდა უფლება, 24 საათზე მეტი ჰქონოდა. კლასის აღმზრდელი ვალდებული იყო გამოცხადებულიყო სკოლაში სწავლის დაწყებამდე, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ – არა პირველი გაკვეთილი. (1; №63)
- აფხაზეთის სახალხო საბჭომ მიიღო აქტი ავტონომიის შესახებ და საქართველოს დამფუძნებელ კრებას წარუდგინა. მასში ნათქვამი იყო, რომ: „აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული“. (22; 36)

21 მარტი

- გაიმართა დამფუძნებელი კრების სხდომა, რომელმაც დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ახალი მთავრობა შემდეგი შემადგენლობით: მთავრობის თავმჯდომარე – ნოე ჟორდანია, საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი – ევგენი გეგეჭკორი, შინაგან საქმეთა, სახალხო განათლებისა და სამხედრო საქმის მინისტრი – ნოე რამიშვილი, მიწათმოქმედების, შრომისა და გზათა მინისტრი – ნოე ხომერიკი, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი – კონსტანტინე კანდელაკი. (დამფუძნებელი კრების სხდომის 21 მარტის სტენოგრაფიული ანგარიში)

- აფხაზეთის სახალხო საბჭოს გახსნაზე მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აფხაზეთს შიდა საქმეებში ენიჭებოდა ავტონომია. დაწვრილებით მათი ავტონომიისა და ხელისუფლების კონტროლს შორის ზღვარი გავლებულ იქნებოდა საქართველოს კონსტიტუციით. (1; №64)
- პირიქითა ხევსურეთის მოსახლეობამ თხოვნით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა მოეხდინათ მათი ჩასახლება ბარში, რადგან მთაში რთული საცხოვრებელი პირობებისა და უგზოობის გამო მათ უჭირდათ ცხოვრება. (1; №64)
- თბილისში პარიზიდან მიიღეს სომხეთის დელეგაციის მიერ კონფერენციაზე წარდგენილი დიდი სომხეთის რუკა და მემორანდუმი. (1; №64)

22 მარტი

- დამფუძნებელი კრების სხდომაზე მოხსენება წაიკითხა სამანდატო კომისიის თავმჯდომარე გრიგოლ ურატაძემ, რომელმაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოქმებისა და მისი კომისიის ოქმების საფუძველზე შეაფასა დამფუძნებელი კრების არჩევნები, ისაუბრა დარღვევებზე და მიღწევებზე. ბოლოს კი სხდომას წარუდგინა დამფუძნებელ კრებაში გასული დეპუტატების სია დასამტკიცებლად პარტიების მიხედვით. დამფუძნებელმა კრებამ საკუთარი უფლებამოსილება კანონიერად სცნო. (დამფუძნებელი კრების სხდომის 22 მარტის სტენოგრაფიული ანგარიში)
- ინგლისური პრესის ცნობით საქართველოს დელეგაცია პარიზის კონფერენციაზე ითხოვს მხოლოდ დამოუკიდებლობის აღიარებას დიდი ქვეყნების მიერ, რადგან მას თვითონ შეუძლია დამოუკიდებლობის დაცვა. (1; №65)
- ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში შეიქმნა განსაკუთრებული კომისია, რომელიც იმუშავებს ღვინის გატანის საკითხზე სხვადასხვა ქვეყანაში.
- ქუთაისის ქალაქის გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება გამოეკრა უბნებში 1899 წელს დაბადებული ადამიანების სია, ვისაც მაისის თვეში ეკუთვნოდათ სავალდებულო სამხედრო გაწვევა. (1; №65)

23 მარტი

- ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილების განცხადებით 22 მარტიდან დარიგდებოდა ტალონები შაქრის, ნავთისა და სხვა პირველადი მოხმარების პროდუქტების დასარიგებლად. (1; №66)
- დაიბეჭდა და გასაყიდად გამოვიდა დ. თურდოსპირელის ნოველების კრებული – „გაწყვეტილი ზღაპარი“. ასევე გამოვიდა ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ მეშვიდე და მერვე ნომრები. (1; №66)
- სამხედრო მინისტრის ბრძანებით რესპუბლიკის დაცვის საქმეში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გამოუცხადეს გენერალ გიორგი კვინიტაძეს, გენერალ ართმელიძესა და გენერალ ფურცელაძეს. (1; №66)
- ქართულმა სამუსიკო საზოგადოებამ თხოვნით მიმართა ქალაქის თვითმმართველობას, მიეცათ ადგილი სიმფონიური სიმებიანი ორკესტრის შექმნისთვის, რათა ქალა-

ქის მოსახლეობისათვის გამართულიყო სხვადასხვა ტიპის მუსიკალური კონცერტები. (1; №66)

- გამოქვეყნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდასაჭერად გაღებული ქველმოქმედებისა და შემომწირველთა სია, რომელიც რამდენიმე ათას მანეთს შეადგენდა. (1; №66)

24 მარტი

- ქალაქის ტრამვაის მუშა მოსამსახურეთა პროფესიონალურ საბჭოს გამგეობამ სხდომაზე განიხილა ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა მიერ გამოცხადებული გაფიცვის საკითხი.
- გაიმართა თბილისის სადგურის ს.დ. ორგანიზაციის მორიგი კრება.

25 მარტი

- თბილისის ქალაქის თვითმმართველობამ გამოაცხადა სხვადასხვა პროფესიის ექიმების მიღებაზე კონკურსი, ქალაქის საავადმყოფოებში შტატების გაზრდის გამო. (1; №67)
- მიწათმოქმედების სამინისტროს მიერ დაარსებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო ორწლიანი კურსები სასოფლო და აგრონომიური კუთხით სპეციალისტების გამოშვების მიზნით. (1; №67)
- აფხაზეთის სახალხო საბჭომ და მისმა თავმჯდომარემ არზაყან ემხვარმა საპროტესტო ნოტა გაუგზავნეს მოხალისეთა ჯარის სარდლობას გაგრის რაიონის ოკუპაციის გამო. (1; №67)

26 მარტი

- ხაშურში ბოროტმოქმედებმა გატეხეს ინგლისის მისიის მატარებლის ვაგონი, საიდანაც წაღებულ იქნა მთელი საქონელი. საგანგებო რაზმის მიერ დროულად მოხდა ფაქტის გამოძიება. ნაქურდალი საქონელი ამოიღეს, ხოლო მძარცველები, რომელთა შორის იყო სადგურის უფროსი, მისი მოადგილე და უფროსი მილიციონერი დაპატიმრებულნი იქნენ. (1; №68)
- კულტურისა და შრომის კავშირის მიერ დამზადებული ეროვნული დროშების პირველი პარტია სრულიად გაიყიდა. შეუდგნენ მეორე პარტიის დამზადებას და წინასწარი შეკვეთა უკვე მიიღეს სამხედრო სამინისტროდან. (1; №68)

27 მარტი

- ჩრდილო კავკასიიდან, კერძოდ, ალაგირიდან ლტოლვილ ქართველებს ლტოლვილთა დახმარების კომიტეტის გადაწყვეტილებით 100 დესეტინა მიწა გამოეყოთ სიღნაღის მაზრაში, სადაც მოხდა მათი დასახლება. (1; №69)
- თბილისში გაიფიცნენ ქალაქის თვითმმართველობის მოხელე-მოსამსახურეები, რომლებიც ითხოვდნენ ხელფასების მომატებას და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას. (1; №69)

- გაფიცვის გამო თბილისში შედგა ქალაქის საბჭოს საგანგებო სხდომა, სადაც პარტიებს შორის მწვავე დებატები გაიმართა პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებით. სოციალ-დემოკრატების ფრაქციამ მიიღო რეზოლუცია – თუ მომდევნო დღეს 9 საათზე გაფიცულები არ გამოცხადდებოდნენ სამუშაო ადგილებზე, ისინი განთავისუფლდებოდნენ სამსახურებიდან, ხოლო თუ ექიმები არ გამოცხადდებოდნენ სამსახურში, ისინი მიეცემოდნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ეს რეზოლუცია ქალაქის საბჭომ დაამტკიცა. (1; №69)
- გარდაიცვალა დამსახურებული პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იოსებ ოცხელი, რომელიც იყო მეორე გიმნაზიის დირექტორი.

28 მარტი

- სომხებთან ბრძოლაში თავის გამოჩენისთვის ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი დაჯილდოვებულ იქნა წმინდა გიორგის მე-4 ხარისხის ჯვრით. (1; №70)
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ნათიშვილმა შეადგინა და გამოსცა საანატომიო ტერმინოლოგია. ფასი 15 მანეთი. (1; №70)
- ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობამ წერილი გაუგზავნა ერობათა და ქალაქთა კავშირის პრეზიდიუმს და ითხოვა 60 ვერსის სივრცისთვის საჭირო მავთული, 6 ტელეფონის აპარატი და სხვა ინვენტარი ქალაქში სატელეფონო კავშირის მოსაწყობად. (1; №70)

29 მარტი

- დამფუძნებელი კრების სხდომაზე რიგი საკითხების განხილვის შემდეგ არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრების დარჩენილი მუდმივმოქმედი კომისიები: შრომის, თვითმმართველობის, აგრარული, სახალხო განათლების, სახალხო ჯანმრთელობის, სამხედრო, იურიდიული, ხელოვნებისა და საგზაო კომისიები. ამ კომისიების არჩევის შემდეგ ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წევრებმა – ექვთიმე თაყაიშვილმა და გიორგი გვაზავამ დააყენეს კიდევ ორი კომისიის არჩევის საკითხი: საბიბლიოთეკო და საგარეო საქმეთა კომისიების. ექვთიმე თაყაიშვილის ინიციატივა საბიბლიოთეკო კომისიის არჩევის შესახებ დაკმაყოფილებულ იქნა, ხოლო გიორგი გვაზავას საგარეო საქმეთა კომისიის შექმნაზე უარი ეთქვა (შემდგომში ეს კომისია შეიქმნა- დ. შ).. (დამფუძნებელი კრების სხდომის 29 მარტის სტენოგრაფიული ანგარიში)
- მთავრობის გადაწყვეტილებით ფინანსთა მინისტრმა მიიღო დავალება ახალციხის მაზრაში ფულის გადარიცხვის შესახებ, რათა მოხდეს ადგილობრივ სახელმწიფო მოხელეთა ხელფასების გადახდა და დაიწყოს ომის დროს დაზიანებული დაწესებულებების აღდგენა. (1; №71)
- საქართველოს რესპუბლიკის სახაზინო რკინიგზის სამმართველომ გამოაცხადა: დაინტერესებულ პირებს, ვისაც სურდათ, იჯარით აეღოთ რკინიგზის სადგურებთან არსებული ბუფეტები, სავაჭრო კარვები და სადალაქოები, შეეტანათ განცხადება რკინიგზის მთავარ სამმართველოში. (1; №71)

- გენერალ შალვა მაღლაკელიძის ცნობით, ახალქალაქის მაზრაში სიტუაცია სტაბილურია და სამოქალაქო წესრიგი აღდგენილია. მოსახლეობა დახმარებას ითხოვს, რათა მიეცეთ სათესლე ხორბალი და სურსათი. მათ ასევე ითხოვეს სოფლებიდან ჩაყენებული ჯარის ნაწილების გაყვანა. (1; №71)

30 მარტი

- მთავრობის განცხადებით პურზე ფასების აწევის გამო მოსახლეობაში დათესილ პანიკას საფუძველი არ აქვს, რადგან უახლოეს დღეებში საქართველოში შემოვა ხორბლის ახალი მარაგი უცხოეთიდან. (1; №72)
- სოჭის ოლქიდან ჩამოვიდა უკანასკნელი ნაწილი ქართველი სამხედრო ტყვეებიდან. მათ შორის იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი მუხრან ხოჭოლავა. (1; №72)
- საქართველოს მთავრობამ დააკმაყოფილა ქუთაისის ქალაქის საბჭოს თხოვნა ფოთი--ბაქოს მატარებლის ქუთაისში შესვლისა და გაჩერების შესახებ. ამიერიდან ორივე მიმართულებით მოძრავი მატარებელი შევიდოდა ქუთაისში, საიდანაც მატარებლების პირად შემადგენლობას ჩაებმებოდა სამი ვაგონი. (1; №72)

31 მარტი

- სახელმწიფო თეატრში დაიდგა შემდეგი სპექტაკლები: „თქმულება შოთა რუსთაველზე“, „რომეო და ჯულიეტა“, „სოფლის პატივი“ – ცნობილი შემსრულებლების მონაწილეობით.
- მუსიკოსთა ორკესტრის კავშირმა გამართა კონცერტი „კრუჟოკში“. საღამოზე მონაწილეობა მიიღო ყველა ცნობილმა და თვალსაჩინო მსახიობმა და მუსიკოსმა.
- თბილისის ფარმაცევტებმა დაიწყეს მშვიდობიანი მიტინგები და გაფიცვები ხელფასის მომატების მოთხოვნით.

1 აპრილი

- გურიაში მძარცველებმა გაძარცვეს შემოქმედის მონასტერი. მძარცველები დაკავებულნი იქნენ აღნიშნული ფაქტის გამო, მათმა ნაწილმა დანაშაული აღიარა. (1; №73)
- ქალაქ თბილისის თავად არჩეული ბენია ჩხიკვიშვილი სოხუმიდან თბილისში ჩამოვიდა და მოვალეობის შესრულებას შეუდგა. (1; №73)
- თბილისში დაპატიმრებული იქნა ბოლშევიკური პარტიის რამდენიმე მეთაური, რომლებიც გეგმავდნენ ქალაქში არეულობის მოწყობას. (1; №73)
- პირველი აპრილიდან გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფასი გახდა 5 კაპიკის ნაცვლად 1 მანეთი – ქაღალდისა და მუშახელის გაძვირების გამო. (1; №73)

2 აპრილი

- მთავარი საბაჟოს განცხადება: მათ მიერ მოწყობილი იქნა საჯარო ვაჭრობა, სადაც გასაყიდად გამოტანილი იყო ის ნივთები, რომლებიც ჩამორთმეული იყო საბაჟო კონტროლის დარღვევის დროს. (1; №74)
- ქალაქ თბილისის თვითმმართველობის სასურსათო განყოფილების განცხადებით უახლოეს დღეებში ქალაქის მოსახლეობისათვის დაიწყებოდა იაფად პურის მიწოდება. (1; №74)
- კავკასიის მთიელ ხალხთა კავშირის მთავრობამ ნოტა გადმოსცა საქართველოს ელჩს აზერბაიჯანში – ნიკოლოზ ქარცივაძეს, სადაც საუბარია მოხალისეთა ჯარების წინააღმდეგ ჩეჩნების ბრძოლის შესახებ და საქართველოს მთავრობას სთხოვენ დახმარებას. (1; №74)

3 აპრილი

- სომხეთის მთავრობამ აღიარა საქართველო ს დამოუკიდებლობა და ეს აღიარება საქართველოს მთავრობას საგარეო საქმეთა სამინისტროს საშუალებით გადმოსცეს. (1; №75)
- საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით თბილისში 25 აპრილს უნდა ჩატარებულიყო კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა საერთაშორისო კონფერენცია. (1; №75)

4 აპრილი

- გაიმართა დამფუძნებელი კრების სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა დამფუძნებელი კრების რეგლამენტის პირველი 12 მუხლი. (დამფუძნებელი კრების სხდომის 4 აპრიოლის სტენოგრაფიული ანგარიში)
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა სამძიმრის წერილი, რომლითაც მშობლები და ოჯახის წევრები იუწყებოდნენ, რომ გარდაიცვალა ანდრეიკა ჟორდანია, რომელიც იყო პრემიერ-მინისტრ ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანიას შვილი. (1; №76)
- თბილისის გუბერნატორ გენერალ შალვა მაღლაკელიძეს შეხვდნენ პირიქითა ხევსურეთის მცხოვრებნი და სთხოვეს იარაღი საზღვრისა და ოჯახების დასაცავად ჩრდილო კავკასიიდან მომთაბარეების წინააღმდეგ. გენერალმა შალვა მაღლაკელიძემ მათ სათანადო შეიარაღება და ტყვია-წამალი გადასცა. (1; №76)
- მოწათმოქმედების მინისტრის განკარგულებით ახტალის ბალნეოლოგიურ კურორტზე დაიწყო კეთილმოწყობითი სამუშაოები, გაზაფხულიდან კურორტის სრული ამოქმედების მიზნით. (1; №76)
- სტამბოლიდან თბილისში დაბრუნდა პარიზის საზავო კონფერენციის მონაწილე დელეგაციის ნაწილი: ნიკო ნიკოლაძე, ზურაბ ავალიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, გენერალი ილია ოდიშელიძე და სხვ. (1; №76)

5 აპრილი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ინსტრუქცია „საქონლის ჭირის წამლის დამზადებისა და გაყიდვისა ქუთაისის შრატის დამამზადებელ სადგურზე“, რომელიც მიმართული იყო ეპიდემიის შეჩერებისკენ. (1; №77)
- წყალტუბოს სამკურნალო წყლებზე დასასვენებელი კომპლექსის მოწყობა დაიწყო მიწათმოქმედების სამინისტრომ. მათ დაიწყეს არსებული ინფრასტრუქტურის აღდგენა და მოწესრიგება, ასევე – ელექტრო გაყვანილობებისა და განათებების მონტაჟი. (1; №77)
- ქუთაისის სამაზრო ერობამ აირჩია მომრიგებელი მოსამართლეები, რომელთა სიაც გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. (1; №77)
- ნოე ჟორდანიას ვაჟი თბილისიდან ლანჩხუთში გადაასვენეს. სამგლოვიარო პანაშვიდს დაესწრნენ საქართველოს მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრები, ასევე რიგითი მოქალაქეები. (1; №77)

6 აპრილი

- მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას სამმიმრის წერილები გაუგზავნეს საქართველოს მთავრობის, ერობებისა და შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა, ვაჟის ანდრეიკა ჟორდანიას გარდაცვალების გამო. (1; №78)
- გამოქვეყნდა მთიელთა რესპუბლიკის საპროტესტო ნოტა მოხალისეთა ჯარის მიერ მათი ტერიტორიების დიდი ნაწილის ოკუპაციის გამო. (1; №78)
- ცნობილ სომეხ პოეტს ოვანეს თუმანიანს თბილისის მეორე გიმნაზიაში საზეიმო საღამო გადაუხადეს, რომელსაც საზოგადოების ფართო სპექტრი და მთავრობის წევრები დაესწრნენ. (1; №78)

. 7 აპრილი

- ამერიკელი ინსტრუქტორები და მოწყალების დები საგანგებო მატარებლით ერევანში გაემგზავრნენ.
- ბარონის ქუჩაზე მიმავალ ი. ნიკოლაიშვილს წაართვეს პალტო და ფული.
- ჭავჭავაძის ქუჩაზე მიმავალ ინჟინერს ოთხმა თავდამსხმელმა წაართვა 20 000 მანეთი.

8 აპრილი

- დამფუძნებელი კრების სხდომაზე განხილული იქნა დამფუძნებელი კრების რეგლამენტის სრული ტექსტი, რომელიც მიიღეს პირველადი მოსმენით. ამავე სხდომაზე ასევე მიღებულ იქნა დამფუძნებელი კრების 1919 წლის შტატები და ხარჯთაღრიცხვა. (დამფუძნებელი კრების სხდომის 8 აპრიოლის სტენოგრაფიული ანგარიში)

9 აპრილი

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა რამდენიმე სახელმწიფო გამომცდელი კომისია: საისტორიო, საფილოლოგიო, სამათემატიკო და საპროვიზორო. (1; №79)

- ფშავ-ხევსურთა უბნის კომისარმა შუამდგომლობა აღძრა სამხედრო სამინისტროს წინაშე, რათა ფშაველები გაენთავისუფლებინათ ჯარში გაწვევისგან, ვინაიდან ფშაველები, ისევე როგორც – ხევსურები, სახელმწიფო საზღვარს ამაგრებდნენ და მათი ჯარში გაწვევა ამ პროცესს შეასუსტებდა. (1; №79)
- თელავის მაზრის კომისრის განცხადებით, მათ გაანადგურეს ყაჩაღთა რაზმი. (1; №79)

10 აპრილი

- ახალციხიდან პოლკოვნიკმა გედევანიშვილმა სამხედრო შტაბს შეტყობინება გამოუგზავნა, სადაც იტყობინებოდა, რომ მე-6 პოლკმა დუგურში ხელთ იგდო საწყობი, სადაც დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალა და შეიარაღება აღმოჩნდა. (1; №80)
- გორის მაზრის სოფელ სკრაში გაიხსნა პრაქტიკული სკოლა, სადაც მოსახლეობას შეასწავლიან მეხილეობას, მებოსტნეობას და ხილის ტექნიკურ დამუშავებას. (1; №80)
- მიწათმოქმედების სამინისტრომ შამპანურისა და კონიაკის დამუშავების გასაძლიერებლად შულავერის და საქარის სანერგეებს დახმარება გამოუყო. (1; №80)

11 აპრილი

- 11-16 აპრილს მიმდინარეობდა საქართველოს პროფესიული კავშირების პირველი ყრილობა. ამ დროს ქვეყანაში მოქმედებდა 87 პროფკავშირი, რომლებიც აერთიანებდნენ 54 701 წევრს. ყრილობის დადგენილების საფუძველზე შეიქმნა ე. წ. სატარიფო პალატა, სტრუქტურა, რომელსაც ერთდროულად უნდა მოეგვარებინა და დაეცვა მუშათა, მეწარმეთა და სახელმწიფოს ინტერესები. სხვათა შორის ჟურნალი „მუშათა ცხოვრება" წერდა, რომ „სატარიფო პალატის მსგავსი დაწესებულება ჯერ ისტორიის პრაქტიკამ არ იცისო".
- თბილისის ქალაქის გამგეობის განცხადებით, ქალაქის საავადმყოფოებში ქირურგთა დიდმა ნაწილმა სამსახურს თავი დაანება და სანამ ახალ ექიმებს აიყვანდნენ, მანამდე ქირურგიული ოპერაციები შეფერხებული იყო. (1; №81)
- წერა-კითხვის გამავრცებელი საზოგადოების გადაწყვეტილებით, დაიწყო იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარის" ხელახალი ბეჭდვა საჭიროებებიდან გამომდინარე. (1; №81)
- ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნების შედეგად სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გაიყვანა 34 ხმოსანი, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ – 14, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ – 1 ხმოსანი, ეროვნულმა პარტიამ – 1, სოციალისტ-ფედერალისტურმა პარტიამ – 9 ხმოსანი, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტიამ – 1 ხმოსანი. (1; №81)

12 აპრილი

- სახელმწიფო თეატრში გაიმართა სპექტაკლები „აბესალომ და ეთერი" და „ქალბატონი ბატერფლეი". (1; №82)

- გენერალი შალვა მაღლაკელიძე გაემგზავრა გორში, რათა ოსეთის მხრიდან მოთარეშე ბანდების ასალაგმათ მიეღო გადამჭრელი ზომები. (1; №82)
- გენერალ გიორგი კვინიტაძის მოხსენებით, ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში გენერალ შალვა მაღლაკელიძეს გადაეცა უფლება იქ ადმინისტრაციის მოწყობის შესახებ. (1; №82)
- ზაქარია ფალიაშვილს თბილისის კონსერვატორიის პროფესორთა კოლეგიამ 12 აპრილის სხდომაზე 25 წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის კონსერვატორიის პროფესორის უმაღლესი ხარისხი მიანიჭა. (1; №82)
- გაზეთ „სახალხო საქმეში" თედო ღლონტი ყურადღებას მიაქცევდა პარტიათა და ინტელექტუალთა სიმრავლეს და წერდა: „პარტიათა სიმრავლე ნიშნავს საზოგადო მოღვაწეთა ხელოვნურად გამრავლებას, ...პარტიათა სიმრავლე ერთგვარი ფუფუნებაა. ...ამკარაა საქართველო დღეს საზოგადო მოღვაწეების სიმრავლით იტანჯება და ამ ტანჯვაში შეიძლება სულიც ამოხდეს... ჩვენი ქვეყნისთვის საკმაოა რამდენიმე პარტია, სერიოზული, ძირგამდგარი, პარტია დიდი საკითხებისადმი მზრუნავი და ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია კარლიკური ჯგუფების მოსპობა, ან მათი ასიმილაცია რომელიმე პარტიის მიერ." (3; №502)

13 აპრილი

- მიწათმოქმედების სამინისტრომ განიხილა სახელმწიფო მიწების მოიჯარეების საკითხი და აღმოჩნდა, რომ მათი უმეტესობა ამ მიწებს მომგებიანად ამუშავებდა, ამიტომ ასეთ პირებს იჯარის ვადა გაუგრძელდათ. (1; №83)
- თბილისის წყალსადენის ხელმძღვანელობამ და ქალაქის გამგეობამ ხარჯის გაძვირების გამო მოსახლეობას წყლით სარგებლობის გადასახადი გაუზარდა. (1; №83)
- თბილისის ქალაქის ლომბარდში გაიმართა აუქციონი, სადაც გასაყიდად გამოტანილი იყო ძვირფასი ლითონები და საყოფაცხოვრებო ნივთები. (1; №83)

14 აპრილი

- ა. კუდროვის ბინიდან ბოროტმოქმედებმა მოიპარეს 8 000 მანეთის სხვადასხვა ნივთები.
- საღამოს 8 საათზე მ. სურანოვის ბინაზე შევიდა 10 შეიარაღებული ბოროტმოქმედი და სიკვდილის მუქარით წაართვეს 1 500 მანეთი და მიიმალნენ.

15 აპრილი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა კანონი საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრობისა და მოხელეობის შეუთავსებლობისა და წევრთა გასამრჯელოს შესახებ. (1; №84)
- ქართულმა სამუსიკო საზოგადოებამ ქართული მუსიკის განვითარების წინსვლისათვის თელავში დაარსა თავისი ფილიალი. (1; №84)

- შრომის ბირჟის ადმინისტრაციის განცხადებით, აპრილის თვეში მათ დაასაქმეს 17 ქალი და 96 მამაკაცი. (1; №84)

16 აპრილი

- სიღნაღის მაზრის საერობო გამგეობის განცხადებით, მათ ტერიტორიაზე არსებულ 10 სკოლას ჩაუტარდა რესტავრაცია და კეთილმოეწყო. (1; №85)
- საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა დახმარებოდა სასწავლებლებს და მათ გამოუყო გარკვეული ფულადი სახსრები პირობების გაუმჯობესების მიზნით. (1; №85)

17 აპრილი

- მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენლებმა საქართველოს მთავრობას დახმარება სთხოვეს დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაში. (1; №86)
- სამთამადნო სამმართველომ გამოაქვეყნა იმ ადგილების სია კახეთში, საიდანაც შესაძლებელი იყო ნავთობის მოპოვება. (1; №86)
- თბილისში მიიღეს ცნობა, რომ „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“ მთავრობის თავმჯდომარე სერვერ-ბეგი მოკლულ იქნა გლეხების მიერ, ხოლო მთავრობის წევრები ინგლისის მისიამ დააპატიმრა და თბილისში ჩამოიყვანა. (1; №86)

18 აპრილი

- მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რათა შეეგროვებინათ ფული პურის საყიდლად, რადგან ამ რეგიონში საშინელი შიმშილობა იყო ომის შემდეგ. (1; №87)
- სამხრეთ ოსეთის სოციალისტური პარტიების ორგანიზაციები ნდობას უცხადებდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას. მათ სპეციალური მიმართვა გამოუგზავნეს საქართველოს მთავრობას, რომელსაც ხელს მათი წარმომადგენელი გიორგი გაგლოევი აწერდა. (1; №87)
- ერობების ადმინისტრაციებმა გამოაქვეყნეს ადმინისტრაციის შენობებთან 1899 წელს დაბადებული იმ პირების სია, რომლებიც ჯარში უნდა გაეწვიათ. (1; №87)

19 აპრილი

- სახალხო გვარდიის შტაბის ცნობით დენიკინთან არსებულ საბრძოლო ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია. მდინარე ბზიფის მარცხენა ნაპირზე მტერი არსად არ აღმოჩნდა.

20 აპრილი

- ღამით, მიხეილის ქუჩაზე სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ ქალებთან ერთად მიდიოდა ინგლისელი ექიმი. მათ თავს დაესხა რამოდენიმე ბოროტმოქმედი და შეათ-

რიეს სასწავლებლის ეზოში, სადაც მოკლეს ექიმი. დამნაშავეთაგან სამი უკვე შეიპყრეს. (1; №89)

- ღამით, სასამართლოს ქუჩაზე მცხოვრებ მესასტუმრეთა და მერესტორნეთა ბიუროს თავმჯდომარეს ს. გიგიბერიას სახლში შეუცვივდნენ და რევოლვერის 4 ტყვიით მოკლეს. (1; №89)
- გენერალ გიორგი კვინიტაძი მეთაურობით მოქმედმა ქართულმა ჯარმა ახალციხე-ახალქალაქის განთავისუფლების შემდეგ არტაანი დაიკავა. (21; 52)

21 აპრილი

- ფოთში მთელი ძველი მილიცია დაითხოვეს. ყველა უბანის დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა მოაწყვეს თავდაცვა. მოქალაქენი ამ მიზნით თვითონ გამოდიოდნენ ღამ-ღამობით სადარაჯოდ, სანამ მოიწვეოდა ახალი მილიცია.

22 აპრილი

- სახელმწიფო თეატრში დილით დაიდგა „რუსლან და ლუდმილა“, საღამოთი კი „ტრავიატა“.

23 აპრილი

- მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ შემდეგი დეპეშები მიიღო:
„ძვირფასო ნოე ნიკოლოზის ძევ, გვარდიისა და არმიისადმი თქვენი მისალმება, ქართულ დემოკრატიის ნატანჯი ბელადის მისალმება განსაკუთრებით ძვირფასია მაშინ, როდესაც დემოკრატიამ ცხადჰყო, რომ შეუძლია წინაღუდგეს რეაქციის შემოტევას; ვიმედოვნებთ და გვწამს, რომ თქვენთან ერთად და თქვენი ხელმძღვანელობით შევძლებთ ჩვენი თავისუფალ რესპუბლიკის დაცვას. გედევანიშვილი და ჯუღელი.“
„ჩემდამი რწმუნებული ჯარის ადმინისტრაცია და პირადათ მე გულმხურვალეთ გილოცავთ ქრისტეს აღდგომის დღესასწაულს თქვენ და ჩვენ მთავრობას ბატონო თავმჯდომარევ. დაე თქვენი ღვაწლი ნაყოფიერი იყოს ჩვენი ძვირფასი სამშობლოსთვის და მტრის საზარათ თქვენს ხელში იყოს ჩვენი შეიარაღებული ძალა. კვინიტაძე.“

24 აპრილი

- ღამის 12 საათზე ქალაქის მოურავის ამხანაგმა ს. რობაქიძემ და მილიციის უფროსმა ვ. სულაქველიძემ მოულოდნელად მოახდინეს რევიზია ცირკში. აღმოჩნდა, რომ ყველა ბილეთზე იყო ქალაქის ბეჭედი დასმული. (1; №88)
- ჩვენმა ჯარმა არდაგანი დაიკავა. მტერი ოლთისისკენ იხევს, სოჭის ფრონტზე ჩვენმა ჯარმა გაგრის ოლქი გაწმინდა მოხალისეთა ჯარებისგან. (1; №88)

25 აპრილი

- ახალქალაქიდან იტყობინებიან: „ახალქალაქის მაზრაში მცხოვრებთა მდგომარეობა აუწერელია. არავითარი სურსათი არ მოიპოვება. მცხოვრებლები ცხენების და ძაღლე-

ბის ხორცით იკვებებიან, სჭამენ ბალახს, როგორც პირუტყვნი, მათ განადგურება მოელით. არ მოგვეძებნება საჭირო თანხა, რომ დახმარება აღმოვუჩინოთ ხალხს."(1; №89)

- თბილისში დაარსდა საქართველოს ექიმთა პროფესიონალური კავშირი. კავშირი მოქმედებას უკვე შეუდგა. (1; №89)
- გამოვიდა და იყიდება საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის ორგანო ჟურნალი: „კავკასიის ქალაქი". მეოთხე ნომერი შემდეგი შინაარსისაა: „საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა წარმომადგენლების მეორე ყრილობა"; გ. ნანეიშვილი – „დამოკიდებულება ცენტრსა და ადგილობრივ ორგანოებს შორის" და სხვ(1; №89).
- სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ცნობით 25 აპრილს ჩოხატაურში გვარდიელებს შეუპყრიათ ინგლისელი ექიმის მკვლელი პაიჭაძე, რომლის თბილისში ჩამოსაყვანადაც შტაბმა დამცველი რაზმი გაგზავნა ჩოხატაურში. (1; №89)

26 აპრილი

- დღის 4 საათზე, ვორონცოვის ქუჩაზე საბარგო ავტომობილი დაეჯახა 13 წლის ბავშვს ა. აკროფოვს. (1; №90)
- ინგლისელი ექიმის მკვლელებს სამხედრო სასამართლომ მიუსაჯა: სამს-სიკვდილით დასჯა, ორს – კატორღა, ერთს – 20 წლით პატიმრობა, მეორეს – 12 წლით. (1; №90)

27 აპრილი

- ყარსის ოლქის სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით, ყარსში შესვლა ნებადართულია ყველასთვის. (1; №91)
- საღამოს სასტუმრო „ზავში", სადგურის ქუჩაზე, შევიდა რამდენიმე შეიარაღებული ბოროტმოქმედი და სასტუმროში მცხოვრებთ 27 000 მანეთი წაართვეს. ეჭვით დააპატიმრეს ვინმე ბაქრაძე, ჩიხლაძე და ჟღენტი. (1; №91)
- დილით, ოლღას ქუჩაზე, ოფიცერმა ღოღობერიძემ ხმლით დაჭრა ინგლისელი ჯარისკაცი. ღოღობერიძე დააპატიმრეს. (1; №91)

28 აპრილი

- საგანგებო მატარებლით გორის მაზრაში გაემგზავრა ადმინისტრაციის ინსპექტორი შ. მაღლაკელიძე. მას თან ახლდა საგუბერნიო ბატალიონი.
- შინაგან საქმეთა სამინისტროში მისული ცნობით, სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს, რომელიც გორის მაზრის სოფელ ცხინვალშია, ბოლო ხნის მოქმედება აღემატება მის კომპეტენციას და საქართველოს რესპუბლიკის საერთო მმართველობის საქმეს ეხება. მაგალითად, საბჭომ თავისი ნებით გადააყენა საქართველოს მთავრობის მიერ ჯავის კომისრად დანიშნული ცხოვრებოვი, მოაწყო ეკლესიის მრევლი, ცხინვალის რეგიონში ახალგაზრდების ჯარში გაწვევის შესახებ სამხედრო უწყისების განკარგულებანი გააუქმა, დამფუძნებელი კრების არჩევნების მოწყობას ხელს უშლიდა და სხვ. ყოველი ამის გამო გადაწყდა გარკვეული ზომების მიღება.

- ერევნიდან თბილისში ჩამოვიდა სომხეთის საბჭოს წევრი ნ. აღბალიანი, რომელიც დანიშნულია სომხეთის დელეგაციის მრჩევლად.
- ალექსანდრე ლომთათიძის თავმჯდომარეობით გაიმართა ქალაქის საბჭოს ხმოსანთა სხდომა, სადაც განიხილეს სანიტარული გადასახადების შემოღების საკითხი.

29 აპრილი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ცნობით, მთავარი შტაბის განკარგულებით რაჭასა და ლეჩხუმში მობილიზაციით გამოწვეული გვარდიელები ამავე მაზრებში დარჩებიან.
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ცნობით სოფელ სიმონეთში ბოჭორიშვილს 4 000 მანეთი შეუპამეს თაგვებმა, რომელიც ჭინჭში გაკრული ჰქონდა შენახული სიმინდში.
- დამფუძნებელი კრების წევრები გოგიტა ფაღავა, რ. ყიფიანი, ადმინისტრაციის ინსპექტორი ს. გეგელაშვილი და ლეჩხუმის მაზრის ერობის გამგეობის თავმჯდომარე ალ. მითიაშვილი დილით გაემგზავრნენ ლეჩხუმში, რათა ადგილზე გამოეძიებინათ და შეეგროვებინათ მასალები ლეჩხუმის მაზრაში ადმინისტრაციის მიერ ჩადენილი უწესობების შესახებ.

30 აპრილი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ცნობით ქალაქ ბათუმში ქართველთა ნაციონალური საბჭოს მიერ დაარსდა საქონლის გაცვლა-გამოცვლის კომიტეტი, რომელიც ექვემდებარება საქართველოს ცენტრალურ სასურსათო საბჭოს.
- ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ გამოსცა ბრძანება: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სათანადო დაწესებულებების უფროსის განკარგულება ამა თუ იმ მოხელის სამსახურიდან დათხოვნისა ან გადაყვანისა გასაჩივრებულ იქნა პროფესიონალურ კავშირში. ვინაიდან პროფესიონალურ კავშირებს წმინდა ეკონომიური მიზნები აქვთ და საადმინისტრაციო საქმე, როგორიცაა ამა თუ იმ მოხელის დათხოვნის ან გადაყვანის შესახებ, მათ კომპეტენციას არ შეადგენს, წინადადებას ვაძლევ ფინანსთა და ვაჭრობა--მრეწველობის სამინისტროს ყველა დაწესებულებების უფროსებს, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან პროფესიონალური კავშირების საადმინისტრაციო საქმეებში ჩარევა, რადგან მთელი პასუხისმგებლობა დაწესებულებების შინაური წესრიგისა და მათი ნაყოფიერი მუშაობისა მათ უფროსებს ედებათ.
- სიცოცხლეს გამოასალმეს ძველი ჟურნალისტი გიორგი პავლოვი, რომელიც მოკლა უცნობმა ბოროტმოქმედმა. პავლოვი 30 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა ჟურნალისტიკაში.

1 მაისი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ინფორმაციით ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ კახელი მეთამბაქოენი

კრიზისში იყვნენ, რადგან თბილისის ქარხნები მათ თამბაქოს არ იბარებდნენ. გაცვლა-გამოცვლის კომიტეტიც აფერხებდა თამბაქოს საზღვარგარეთ გატანას, რაც იწვევდა კონტრაბანდის სახით აზერბაიჯანში თამბაქოს გაზიდვას. ეს კი სახელმწიფო შემოსავალს ფუთზე 20 მანეთს აზარალებდა. სწორედ ამ პრობლემის მოგვარებას სთხოვდა ფინანსთა მინისტრი შინაგან საქმეთა მინისტრს. (1; №94)

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ინფორმაციით სომეხ ლტოლვილთა თავშესაფარი ამერიკის ლტოლვილთა დახმარების კომიტეტის განკარგულებაში გადავიდა. (1; №94)
- პირველი მაისის დღესასწაულის აღსანიშნავი ზეიმი გაიმართა თბილისში. ზეიმში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 50 ათასმა ადამიანმა. ქალაქში გამოფენილი იყო სარევოლუციო ალმები და მორთული იყო ყვავილებით. ზეიმის დროს სიტყვით გამოვიდნენ დამფუძნებელი კრების წევრებიც და მიულოცეს მისულ მოსახლეობას პირველი მაისი. ქართულმა დრამატულმა დასმა წარმოადგინა ია ეკალაძის 4 მოქმედებიანი დრამა. (1; №95) (1; №99)
- მარტვილში გაძარცვეს ანდრია ფირცხალავა, რომელსაც წაართვეს 60 000 მანეთი და ჩამოართვეს ხელწერილი, რომ მოკლე ხანში კიდევ 10 000 მანეთს მისცემდა მათ. (1; №104)

2 მაისი

- დილის 4 საათზე თბილისის საგანგებო სასამართლოს განაჩენის თანახმად დახვრიტეს არსენ და პეტრე გაბაშვილები, რომლებსაც თავდასხმა ბრალდებოდათ. (1; №96)
- საკუთარი თხოვნის საფუძველზე თანამდებობიდან გაანთავისუფლეს თბილისის ოლქის სასამართლოს წევრი ალექსანდრე საბინინი და ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრი სიმონ ჯორბენაძე. (1; №98)
- დასრულდა თბილისისა და დუშეთის სამაზრო ერობათა ყრილობა. ყრილობამ თბილისისა და დუშეთის სამოსამართლო უბნები დაანაწილა. საუბნო მოსამართლეებად აირჩიეს: საგარეჯოსი – ყარანგოზიშვილი, აღბულაღისა – ბარათაშვილი, მანგლისის – ყიფიანი, ყარაიზის – ღვაღვაძე, მარტყოფისა – იოსელიანი და თბილისის გუბერნიის – ზაალიშვილი. (1; №102)

3 მაისი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ინფორმაციით თბილისის მაზრის კომისარმა აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ყაზახის მაზრიდან გადმოდიან შიხლინელნი და ყარაიზის რაიონში ადგილობრივ მცხოვრებთ არბევენ და ძარცვავენ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ შუამდგომლობით მიმართა სამხედრო მინისტრს, რომ ამ რაიონის მოსაზღვრე დარაჯებმა არ შემოუშვან შიხლინელები ამ რაიონში. (1; №95)
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ინფორმაციით ქალაქის სამისამართო მაგიდის გამგედ ქალაქის გამგეობამ ა. ბერეჟინა დანიშნა. (1; №95)

- ფოთის ნავსადგურს დაეტყო გამოცოცხლება. მოდიან გემები რუსეთიდან და ოსმალეთიდან. ნავსადგურში დგას ინგლისელების ტრანსპორტი, რომელიც მარგანეცით იტვირთება. (1; №96)
- გაიმართა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციის მეორე საქმიანი სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და მთიელ ხალხთა კავშირის რესპუბლიკის წარმომადგენლები.
  კონფერენციაზე უნდა განეხილათ შემდეგი საკითხები: 1) ტერიტორიალურ და სამოსაზღვრო დავის პრინციპების და საშუალებათა გადაწყვეტა; 2) რკინის გზის, ფოსტის და ტელეგრაფის მისვლა-მოსვლის მოწესრიგება; 3) საბაჟო და საფინანსო საკითხები; 4) პოლიტიკურ დამოუკიდებლობის რესპუბლიკათა ერთმანეთის ცნობა. დეკლარაციის გამოცემა რესპუბლიკათა დასაცავად გარეშე მტერთაგან; 5) სასამართლო საუფლებრივო დამოუკიდებლობა. (1; №97)
- შუადღეს კათოლიკეთა ეკლესიაში პოლონელთა საზოგადოებამ საზეიმო პარაკლისი გადაიხადა პოლონეთის 3 მაისის კონსტიტუციის აღსანიშნავად. პარაკლისს დაესწრნენ მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე ლომთათიძე და ზოგიერთი წევრი მთავრობის და დამფუძნებელი კრების. (1; №97)
- დაინიშნა თბილისის №2 საპყრობილეს უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად არჩილ მდივანი. (1; №98)
- ქალაქის მოურავის ბენია ჩხიკვიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა ქალაქის ბალნეოლოგიური კომისიის კრება, სადაც მოისმინეს მოხსენება თბილისის ყველა სახელმწიფო აბანოების ქალაქის ხელში გადაცემის შესახებ. კომისიამ დაადგინა ეთხოვოს ქალაქის გამგეობას, რომ მან აღძრას შუამდგომლობა მიწათმოქმედების მინისტრის წინაშე საუწყებათაშორისო კომისიის დაარსების შესახებ. ამ კომისიაში შევა 3 წარმომადგენელი ქალაქის მმართველობიდან და 3 წარმომადგენელი სამინისტროდან. კომისიამ უნდა განიხილოს საკითხი ამ აბანოების ექსპლოატაციის შესახებ. (1; №98)

4 მაისი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ინფორმაციით გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის ურთიერთობა ყარსის ფოსტა-ტელეგრაფთან. კორესპონდენციის მიღება-გაგზავნა ხდებოდა სომხეთთან დადებული საფასურით და წესით. (1; №96)
- ქაშვეთის ეკლესიაში გაიმართა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტის გიორგი პავლოვის გასვენება, რომელიც 30 აპრილს მოკლა უცნობმა ბოროტმოქმედმა. (1; №96)
- აზერბაიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენლად საქართველოს მთავრობასთან დაინიშნა ვექილოვი. (1; №96)
- ხონის რაიონის კომისარი ატყობინებს მაზრის კომისარს, რომ სურსათის ფასმა ძალიან მოიმატა. (1; №96)
- ავტომობილების რეგისტრაციის კომისია აცნობებს კერძო ავტომობილების მეპატრონეებს, რომ ისინი ვალდებულნი არიან 6 მაისის 2 საათამდე წარმოუდგინონ ამ კომი-

სიას განცხადებები, რომლებშიც ნაჩვენები უნდა იყოს ავტომობილის ნომერი, ფირმა და თავისი ბინა. ამ ვადის შემდეგ ავტომობილის მეპატრონეები კარგავენ ყველა უფლებას ავტომობილებზე და ისინი გადადის საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად. (1; №96)

- დაკრძალეს დამფუძნებელი კრების წევრი რაფიელ ჩიხლაძე. დაკრძალვას დაესწრნენ მთავრობის თავმჯდომარე, მინისტრები და სხვა მაღალჩინოსნები. (1; №97)
- ნამუადღევის 2 საათზე დიდების ტაძარში გაიხსნა ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა. გამოფენის გახსნას დაესწრნენ წარმომადგენლები საქართველოს მთავრობიდან, დამფუძნებელი კრებიდან, ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, ასევე იყვნენ უცხოური მისიების წარმომადგენელნი და მოსახლეობის დიდი რაოდენობა. გამოფენის პირველ დღეს გამოფენა 2 000-ზე მეტმა ადამიანმა დაათვალიერა. პრესაში დაიბეჭდა თ. გარტმანის აღფრთოვანებული სტატია. მან პირველმა უწოდა გამოფენაზე წარმოდგენილი ნახატების ერთ-ერთ ავტორს – ფიროსმანს, გენიალური მხატვარი. (1; №98)
- ქუთაისში დგებუაძის სახლიდან ღამით მოიპარეს ტანსაცმელი და სხვა საოჯახო ნივთები. სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მოწაფე მოსეშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა ნაძარცვი. (1; №104)

5 მაისი

- საღამოს თბილისიდან საგანგებო მატარებლით გაემგზავრნენ ბათუმში არდაგანისა და შავშეთის ლტოლვილები. (1; №97)
- მეექვსე უბნის კომისარმა ჯანაშვილმა შეიპყრო ნიკოლოზ და არტაშეს არუთინოვები, რომელთაც ნავთლუღის ქუჩაზე ოსიპოვის ბინიდან 19 000 მანეთი მოიპარეს. დამნაშავეებს მოპარული თანხა სრულად აღმოაჩნდათ, რაც დაუბრუნდა პატრონს. (1; №100)

6 მაისი

- ბორჯომის სახელმწიფო გამგეობამ მოაწყო ნახშირ-მჟავის წარმოება. გაზი ღირდა 25 მან. გირვანქა (ბალონისთვის ცალკე საფასური იყო საჭირო). (1; №97)
- ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა კონსტანტინე კანდელაკმა და მთავარ საბაჟოს გამგემ მიქაძემ გაავრცელეს ცირკულიარი, რომლის მიხედვითაც აცნობებდნენ, რომ საჩივრების მიხედვით საბაჟოს თანამშრომლები უხეშად და არასაკადრისად ექცეოდნენ საბაჟოზე მგზავრ ადამიანებს, უცხოელებსაც და საქართველოს მოქალაქეებსაც. ცირკულიარით ხდებოდა იმის შეხსენება, რომ მათი უპირველესი მოვალეობა ხალხის ინტერესების სამსახურში ყოფნაა კანონის ფარგლებში. (1; №97)
- დარიალის რაზმის უფროს პოლკოვნიკ სრესელისაგან შინაგან საქმეთა მინისტრმა მიიღო დეპეშა დუშეთიდან, რომ მაზრაში და სამხედრო გზაზე გამრავლდა ძარცვა-გლეჯა და ავაზაკების რაოდენობა სწრაფად იზრდება. ის ითხოვდა განკარგულებას და ხელმძღვანელობის ბოძებას. (1; №97)

- ქუთაისიდან თბილისში ჩამოვიდა თბილისის მილიციის ახლად დანიშნული უფროსი სალუქვაძე და შეუდგა მოვალეობის აღსრულებას. (1; №97)
- ინგლის-ამერიკასთან სავაჭრო საქმეების მომწყობ სავაჭრო-სამრეწველო ბიურომ ცნობა მიიღო, რომ უკვე წამოვიდა გემი „ვერენცია" რომელსაც მოაქვს 2 000 ტონა სხვადასხვა საქონელი. (1; №97)
- დილის 6 საათზე თბილისიდან ბაქოსკენ გასული მატარებელი უკანვე დააბრუნეს სადგურ სალ-ოღლიდან. მიზეზი, აზერბაიჯანში მუშების საყოველთაო გაფიცვა იყო.
- საღამოს მატინოვის ქუჩაზე მიმავალ ლ. ჯაფარიძეს და ტ. ტაბიძეს თავს დაესხნენ მძარცველები და ჯაფარიძეს წაართვეს ოქროს საათი, ფული და გახადეს ტანისამოსი. მძარცველები მიიმალნენ. (1; №100)
- მთავრობის სხდომაზე გადაწყდა 10 მილიონიანი ფონდიდან 100 000 მანეთის გადადება ქართველ მხატვართა საზოგადოებისგან ზოგიერთი სურათის შესაძენად. (1; №101)

7 მაისი

- ქუთაისის საგანგებო სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა მილიციონერ მეფარიშვილს, რომელსაც ბრალდება კომისრის თანაშემწის ლანჩავას მკვლელობა. (1; №98)
- სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს რწმუნებულმა საქართველოში მოაწყო სომეხ ლტოლვილთათვის პურის დარიგების საქმე. კანადის პური ურიგდებოდათ თბილისიდან მესამასე ვერსზე სომეხ ლტოლვილებს, 3-4 გირვანქა სულზე. (1; №98)
- დილით ხოჯივანქის სასაფლაოზე მილიციონერებმა იპოვეს ვართან ვერდიანცის გვამი. როგორც გამოირკვა იგი მოუკლავს ცოლს რამოდენიმე პირის დახმარებით, რომლებიც შეიპყრეს. (1; №100)
- ქუთაისში გელათის ქუჩაზე მცხოვრებ ელიგულაშვილს მიუვიდა უსახელო წერილი ყაჩაღი მორჩაძის სახელით, რომლითაც ის სთხოვდა ელიგულაშვილს ასიათას მანეთს. სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა წერილის მიმტანი 15 წლის ყმაწვილი ვლადიმერ ხაჭაპურიძე, რომელიც გამოტყდა, რომ წერილი თვითონ დაწერა და ეს მისი განზრახვა იყო. (1; №104)
- დანიშნულია ქუთაისის ყოფილი სახაზინო პალატის ყოფილი უფროსი ბუღალტერი ილია ოსიტაშვილი, გადასახადთა და ხაზინის სამმართველოს მესამე განყოფილების გამგედ. (1; №105)

8 მაისი

- განათლების სამინისტროს განკარგულებით ქუთაისის საშუალო სასწავლებლებს რევიზიას უკეთებს სულაქველიძე და ზანდუკელი. (1; №99)
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ცნობით, პარტახიანი სახადი ქუთაისში უკვე კლებულობს, თუმცა ამ დაავადებამ სოფლებშიც მოიკიდა ფეხი. (1; №99)
- ფოთის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ხოფერია. ასევე განახლდა კატერების მიმოსვლა რიონზე ჭალადიდამდე. (1; №99)

- ქალაქ თბილისის მოურავი ბენია ჩხიკვიშვილი შეხვდა მიწათმოქმედების მინისტრს ნოე ხომერიკს და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ქალაქის აბანოების გადაცემის შესახებ, ქალაქის თვითმმართველობის ხელში. (1; №100)
- მთავრობის სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება, ნება მიეცეს სამხედრო მინისტრს, ტყვედ წაყვანილების ოჯახების დასახმარებლად გადადებული 200 000 მანეთიდან, თანხის ნაწილი მოახმაროს თვითონ დაბრუნებულ ტყვეებს. (1; №105)
- მთავრობის სხდომის გადაწყვეტილებით სამხედრო მინისტრის განკარგულებაში გადაიდო 20 000 მანეთი, სამხედრო ფონდიდან სამხედრო პირთა დასაკრძალავი ხარჯების დასაფარავად. (1; №105)

9 მაისი

- მიწათმოქმედების სასოფლო-სამეურნეო ინსპექტორი როლოვი დაბრუნდა თბილისში და თავისი მოვალეობის აღსრულებას შეუდგა. (1; №100)
- სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო სამკურნალო ფაკულტეტი ზრდა-განვითარების გამო ორ დამოუკიდებელ ფაკულტეტად გაიყო: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტებად. არჩეულ იქნა ახალი დეკანები და მდივნები. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე დეკანად აირჩიეს ივანე ჯავახიშვილი, ხოლო მდივნად აკაკი შანიძე. (1; №100)
- მეოთხე სამილიციო უბნის კომისრად დაინიშნა კ. მიქაბერიძე. (1; №100)
- თავისი თხოვნის საფუძველზე თანამდებობიდან გაანთავისუფლეს თბილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი გარეგინ მელიქოვი. (1; №102)
- დღის პირველ საათზე ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკში გაიმართა სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლების კრება და გადაწყვიტეს განსვენებული კ. ლორთქიფანიძე დაკრძალონ სამოქალაქო წესით, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში (ბაგრატის გალავანში). ამავე კრებაზე აირჩიეს დამკრძალავი კომიტეტი. კ. ლორთქიფანიძის ანდერძით მისი პირადი ბიბლიოთეკა გადაეცა ეთნოგრაფიულ საზოგადოებას, რომლის საპატიო წევრსაც ის წარმოადგენდა. (1; №105)
- დამფუძნებელი კრების სხდომამ მიიღო დეკრეტი დამფუძნებელი კრების წევრის შეუვალობისა, სადაც დაწვრილებით იყო აღნიშნული, თუ რა შემთხვევაში შეიძლებოდა დამფუძნებელი კრების წევრის დაკავება. (7; 267)
- დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიას სახელმწიფო ხაზინიდან უნდა გადასცემოდა 100 000 მანეთი, 26 მაისის სახელმწიფო დღესასწაულის გასამართავად, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან ერთი წლის შესრულების გამო. (1; №106)
- განათლების მინისტრმა გამოსცა განკარგულება: 1) განთავისუფლებულია თანამდებობიდან დამფუძნებელი კრების წევრად არჩევის გამო უმაღლეს და საშუალო სკოლების მთავარი გამგე გრიგოლ ნათაძე; 2) გამოწვეულია განათლების სამინისტროში უმაღლეს და საშუალო სკოლების მთავარი გამგის აღმასრულებლად ფოთის გიმნაზიის დირექტორი სერგი დანელია. 3) ფოთის გიმნაზიის დირექტორის თანამდებო-

ბის დროებით აღსრულება დაევალოს ამავე გიმნაზიის მასწავლებელს ფილიმონ ნადარეიშვილს. (1; №108)

10 მაისი

- საქართველოს რესპუბლიკის სასურსათო საქმეთა ცენტრალურმა საბჭომ ბაქოში საქონლის გამცვლელი კომიტეტი დააარსა. კომიტეტს ურთიერთობა ექნება ევროპასა და ოსმალეთთან. (1; №101)
- ბათუმში ინგლისელთა ნაღმოსანი გემით რუსეთის ყოფილი დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული და ყოფილი მეფისნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ჩასულან და ცხოვრობენ ინგლისელთა გემზე. (1; №101)
- ბუკის ციხის (ოზურგეთის მაზრა) ტელეგრაფის განყოფილება გარდაიქმნა ფოსტა--ტელეგრაფის განყოფილებად. ფოსტის გაცვლა-გამოცვლა ხდება ჩოხატაურის ფოსტა-ტელეგრაფთან. (1; №104)
- საკუთარი თხოვნის საფუძველზე სამსახურიდან გაანთავისუფლეს იუსტიციის მინისტრის ამხანაგი სერგი ჯაფარიძე. (1; №105)

11 მაისი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორი პავლე საყვარელიძე თავისი თხოვნის და დამფუძნებელი კრების წევრად არჩევის გამო განთავისუფლებულია თანამდებობიდან, ხოლო მისი მოვალეობის აღსრულება დროებით დაევალა ვიქტორ ნოზაძეს. (1; №102)
- სოფელ სამიქაოში (სენაკის მაზრა) გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, რომელსაც ფოსტის გაცვლა-გამოცვლა ექნება აბაშის ფოსტა-ტელეგრაფთან. (1; №105)
- საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საგანგებო კრებამ დაადგინა წითელი ჯვრის საზოგადოებათათვის საკუთარი შენობების შეძენა. (1; №107)

12 მაისი

- გაიმართა ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელსაც ალექსანდრე ლომთათიძე თავმჯდომარეობდა. სხდომაზე განიხილეს რკინიგზისთვის მიწის გადაცემის საკითხი, იმსჯელეს დახელოვნებული მუშებისათვის ჯამაგირის მომატების და ამბულატორიების დაარსების შესახებ და სხვ. (1; №104)
- ცნობილი მილიონერი არამიანცი საღამოს 8 საათზე, როდესაც ის მიუახლოვდა სერგეევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეს თავს დაესხა 3 შეიარაღებული პირი, ძალით ჩასვეს ავტომობილში და გაიტაცეს. მილიციამ დაიჭირა ავტომობილის მძღოლი, თუმცა ის უარყოფს გატაცებაში მონაწილეობას. (1; №104)
- სიონის შესახვევში შაპიანცის ბინაზე შევიდნენ მძარცველები და 50 000 მანეთის ნივთები და ფული წაიღეს. (1; №105)
- ცხინვალში ჩავიდა მთავრობის ჯარი, რომელიც ახლო-მახლო სოფლებში დაბანაკდა. რაზმის ხელმძღვანელად დანიშნულია გენერალი ყარალაშვილი. (1; №112)

13 მაისი

- დამფუძნებელი კრების სხდომაზე სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ინიციატივით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ პლენუმის სხდომები დაინიშნებოდა დილის 1-დან ნაშუადღევის 3 საათამდე. (1; №105)
- მილიციის უფროსის მეთაურობით მთელ ნაძალადევში მიმდინარეობდა ჩხრეკა, რომლის დროსაც დაატუსაღეს ყოფილი მილიციონერი დავით ურუშაძე, რუბენ შახარონოვი, პეტრე ფითოევი და სედრაკ კუკუევი და აღმოაჩინეს იარაღებიც. (1; №105)
- მთავრობის სხდომაზე გადაწყდა მიწის მზომელთათვის არსებული ყოველდღიური ნორმა (25 მანეთი) გადიდებული ყოფილიყო ხუთი მანეთით. (1; №107)
- გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის ოპერაციები აბასთუმნის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში. (1; №108)

14 მაისი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ცნობით თბილისში დაბრუნდა საშუალო სასწავლებლების მთავარი რწმუნებული დანიელი. (1; №104)
- უკრაინის სახალხო რესპუბლიკის გენერალური კონსული კავკასიაში ლესნიაკი შეუდგა თავისი თანამდებობის ასრულებას. მიღება აქვს ყოველდღე 12-დან 2 საათამდე, ვერის დაღმართი №3. (1; №104)
- ექიმი ვირსალაძე დაინიშნა მიხეილის სახელობის საავადმყოფოს უფროს ექიმად. (1; №104)
- დილით იტალიის მისიის წევრებმა ინახულეს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე და გამოთქვეს სურვილი დაესწრონ დამფუძნებელი კრების უახლოეს სხდომას. (1; №105)
- გათენებისას ბოროტმოქმედებმა არამიანცი გამოუშვეს. გამოძიება მიმდინარეობს. (1; №106)
- მაზრის კომისრის განკარგულებით გაჩხრიკეს სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს შენობა, წაიღეს მიწერ-მოწერა და ბეჭედი. ამის გამო დაპატიმრებულ იქნა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ნ. ჯიოევი. (1; №112)

15 მაისი

- ოდესიდან იტყობინებიან, რომ მოკავშირეებმა ქალაქის დატოვებამდე, თავისი ინტერესების დაცვა მიანდეს საქართველოს წარმომადგენელს, რაც ბოლშევიკებთან მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა. ბოლშევიკებმა განუცხადეს მოკავშირეებს, რომ ისინი არ დათანხმდებიან სხვა წარმომადგენელს საქართველოს გარდა, რადგან ამ უკანასკნელმა საკუთარი თავი ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოაცხადა. (1; №105)
- უწმინდესი და უნეტარესი ლეონიდი შეხვდა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს. მათ დაწვრილებით გააანალიზეს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მდგომარეობა და პრობლემები. მთავრობის თავმჯდომარე დაპირდა კათალიკოს-

პატრიარქს, რომ ახლო მომავალში მთავრობა მიიღებდა გადაწყვეტილებას, მონასტრებისათვის კერძო მესაკუთრის ნორმით მიღებული მიწების მათსავე საკუთრებაში დატოვების შესახებ. (16; 42)

- დუშეთში დააპატიმრეს ნახუცარი არონ დონდოლაძე, რომელსაც ბრალდება ოზურგეთის ფოსტის გაძარცვა და მგზავრების დახოცვა. დონდოლაძე დუშეთის ერობის სკოლაში ყალბი დოკუმენტით იყო მასწავლებელი. (1; №105)
- გამოიცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული რაზმის უფროსი თანამშრომელი იონა ჯანელიძე ინიშნება ამავე რაზმის უფროსის მეორე თანაშემწედ. (1; №107)
- მთავრობის სხდომაზე გადაწყდა გადადებულიყო სამხედრო ფონდიდან 100 000 მანეთი, სამხედრო საადმინისტრაციო განყოფილების უფროსის განკარგულებაში, ბათუმიდან მომავალი ქართველი სამხედრო ტყვეების გამოსაკვებად და საგზაო ხარჯების დასაფარავად. (1; №109)
- კირკის ქუჩაზე მცხოვრებ ვ. მურუსიძეს შეუცვივდნენ 3 შეიარაღებული პირი და წაართვეს ძვირფასი ნივთები 70 000 მანეთის ღირებულების და 40 000 მანეთის ნიკოლოზის ფული. (1; №110)
- ქუთაისში დასრულდა დრამატული საზოგადოების საზაფხულო სათეატრო სეზონი. უკანასკნელ დღეს მსახიობებმა ითამაშეს ალექსანდრე სუმბათაშვილის ცნობილი პიესა „ღალატი". (1; №111)

16 მაისი

- ქუთაისის ერობის გამგეობის თავმჯდომარე სულაქველიძე დაინიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ ნაწილის ინსპექტორის მოვალეობის აღმასრულებლად, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ ნაწილის ინსპექტორის მოვალეობის აღმასრულებელი მაღლაკელიძე, საკუთარი თხოვნის საფუძველზე დათხოვნილია თანამდებობიდან და მთლიანად სამსახურიდან. (1; №106)
- საუწყებათაშორისო კომისია, რომელიც გამგზავრებული იყო ბორჩალოს მაზრაში შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, ქართველ-სომეხთა ომის დროს ზარალის გამოსარკვევად, უკვე დაბრუნდა. (1; №106)
- საპყრობილეთა რევიზიისათვის დანიშნულმა საგანგებო კომისიამ დაასრულა მუშაობა და მოხსენება წარუდგინა იუსტიციის მინისტრს. რევიზიამ საგუბერნიო ციხეში აღმოაჩინა ბოროტმოქმედება, გაფლანგული იყო 150 000 მანეთი. (1; №106)
- გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება სოფელ ძირულაში (შორაპნის მაზრა). ფოსტის გაცვლა-გამოცვლა მოხდებოდა ძირულის რკინიგზის სადგურზე. (1; №106)
- სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ონიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ რაჭის საზღვრებში შემოიჭრნენ დენიკინთან დამარცხებული ბოლშევიკები, 400 კაცამდე. მათ იარაღი აყარეს. (1; №106)
- გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სომხური ენის ლექტორი იოსებ ყიფშიძე. (1; №108)

- საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა ბანკეტი, რომელზეც მიწვეულნი იყვნენ თბილისში მყოფი უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები, დამფუძნებელი კრების ფრაქციები და სხვა პირნი. ბანკეტზე საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანგულ ენაზე მიმართა სტუმრებს და იმედი გამოთქვა, რომ კავკასიის ერები შეძლებდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ თანაარსებობას და მტკიცე კავშირი ექნებოდათ ევროპის ნაციებთან. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე იტალიის მისიის უფროსმა პოლკოვნიკმა გაბამ, სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტიგრანიანმა, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯაფაროვმა, მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენელმა კანტემირმა, დამფუძნებელი კრების წევრმა ეროვნულ-დემოკრატმა სპირიდონ კედიამ და სხვ. (1; №108)
- საღამოს 6 საათზე მუსათა კლუბში მოხდა ცენტრალური საბჭოს და პროფესიული კავშირების გამგეობის კრება. კრებას დაესწრნენ შრომის სამინისტროდან გოლდმანი, ელბაქიანი და ფანცხავა და ასევე ყველა კავშირის გამგეობის წარმომადგენლები. კრებას თავმჯდომარეობდა პ. ხელაძე. დღის წესრიგში იდგა საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ყრილობის ანგარიშის მოსმენა. (1; №109)
- პეტრე კურცხალია დაინიშნა სოხუმის მაზრის აქციზის უფროსის თანაშემწედ. (1; №110)
- გაიმართა საქართველოს ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების სხდომა სადაც განიხილეს ამ საზოგადოებასთან არსებული საკურორტო კომისიის მოხსენება კურორტებში მომავალი სეზონისთვის ავადმყოფების მიღების შესახებ. კრებამ აუცილებლად სცნო ყველა კურორტი, რომელიც სამიწათმოქმედო სამინისტროს უწყებაშია, გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ სამედიკო--სასანიტარო განყოფილებას. (1; №111)

17 მაისი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით, სახლის და ცალკე ბინის პატრონები მოვალენი არიან ერთი კვირის განმავლობაში, ანუ 24 მისამდე შეიტანონ საქართველოს რესპუბლიკის ნაციონალური ბაირაღები. ეს განკარგულება არ ეხებოდათ უცხოურ მისიებს და მათ დაწესებულებებს. მილიცია მოვალე იყო თვალყური ედევნებინა ამ სავალდებულო დადგენილების შესრულებისთვის და დამრღვევი 300-500 მანეთით დაეჯარიმებინა. დადგენილება მიღებული იყო ქალაქ თბილისის გამგეობის მიერ. (1; №107)
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ჯარისკაცთა და გვარდიელთათვის ყოველდღიური შაქრის ნორმა შემცირებულიყო და მიეცათ 12 მისხალი შაქრის ნაცვლად 9 მისხალი. (1; №107)
- გაიხსნა ფოსტის ოპერაციები ნაქალაქევის (სენაკის მაზრა) ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში. ფოსტის გაცვლა-გამოცვლა უნდა მომხდარიყო ძველი სენაკის ფოსტა--ტელეგრაფთან. (1; №110)
- სამეურნეო ბანკში შესდგა პარმენ გოთუას თავმჯდომარეობით, დამფუძნებელი კრება აქციონერულ საზოგადოებისა „კახური ღვინო“, რომელმაც დაისახა მიზნად პირდაპირი აღებ-მიცემობის მოწყობა კახური ღვინის საზღვარგარეთის ბაზრებზე. (1; №112)

18 მაისი

- პროფესორმა გიორგი ახვლედიანმა, რომელიც ავადმყოფობის გამო უნივერსიტეტში ვეღარ მუშაობდა, მიმდინარე სეზონზე ისევ განაახლა ლექციების კითხვა ენათმეცნიერებაში. (1; №108)
- ქუთაისის ქალაქის გამგეობამ თავისი საგანგებო დადგენილებით, სისხლის სამართლის მილიციის უფროსი ადეიშვილი სამსახურიდან გადააყენა. (1; №108)
- ქართულ კლუბში გაიმართა წლიური საერთო კრება ქართული სამუსიკო საზოგადოების წევრებისა. პირველი ნაწილი შედგებოდა საკონცერტო განყოფილებისაგან, რომელმაც დამსწრე საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია. მეორე განყოფილება დაიწყო ქართული სამუსიკო საზოგადოების წლიური კრებით. თავმჯდომარეობდა კ. ანდრონიკაშვილი, მდივნობდა ივანე ჯავახიშვილი. (1; №110)
- ღამით ლორის-მელიქოვის ქუჩაზე გაქურდეს კოოპერატივი „მეურნე". მოიპარეს ფეხსაცმელები 40 000 მანეთის ღირებულების. (1; №110)
- დაბა ცხინვალში შესდგა სამხრეთ ოსეთის დელეგატთა მეშვიდე ყრილობა, რომელიც მოწვეული იყო მთავრობის მიერ ეროვნულ საბჭოს წინააღმდეგ მიღებულ ზომების გამო. ყრილობას 70-მდე დელეგატი დაესწრო. გამოირკვა, რომ ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმი გაპარული იყო ცხინვალიდან, წაიღო რა თან ზოგიერთი მიწერ-მოწერა. ყრილობამ დაგმო პრეზიდიუმისა და ზოგიერთი წევრების ასეთი საქციელი და ის ნაბიჯები, რომელიც მიმართული იყო მთავრობის განკარგულებათა წინააღმდეგ. ბოლოს გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლუცია: მოისმინა რა მოხსენება მაზრის კომისარ ვ. ქარცივაძისა, დაადგინა რომ სამხრეთ ოსეთის დელეგატთა მეშვიდე ყრილობა უარყოფითად ეპყრობა სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოს მოქმედებას, რომელიც მიმართული იყო წინააღმდეგ მეხუთე ჯავის ყრილობის რეზოლუციისა, რომლითაც ოსეთი შედის საქართველოში ფართო ტერიტორიალურ თვითმმართველობის გზით და ექვემდებარება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებათ და ირჩევს დროებით ეროვნულ საბჭოს, სანამ მოწვეულ იქნებოდეს სახალხო საბჭო საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი ფარული კენჭისყრით. (1; №112)

19 მაისი

- უმაღლეს და საშუალო სასწავლებელთა ახალი მთავარი გამგე სერგი დანელია შეუდგა თანამდებობის ასრულებას. (1; №110)
- სახალხო განათლების მინისტრი ნოე რამიშვილი, მისი ამხანაგი ნოე ცინცაძე და სამინისტროს კანცელარიის დირექტორი ვ. ბერიძე ეწვივნენ საღამოს 6 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. მათ შეხვდნენ პროფესორები პროფ. ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით. მინისტრმა დაათვალიერა უნივერსიტეტის ყველა აუდიტორია და დიდხანს ესაუბრა დეკანს პროფ. ჯავახიშვილს უნივერსიტეტის საჭიროებებზე. შემდეგ მინისტრმა შესთავაზა პროფ. ჯავახიშვილს აღენუსხა წერილობითი სახით ვრცლად, პირველი საჭიროების მოთხოვნილებანი უნივერსიტეტისთვის, რომელსაც სახალხო განათლების სამინისტრო სასწრაფოდ განიხილავდა. შემდეგ მინისტრი დაესწრო ორ ლექციას: ივანე ჯავახიშვილისას და დიმიტრი უზნაძისას. (1; №110)

- გაიმართა პირველი სხდომა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციის სალტოლვილო კომისიასთან დაარსებული განყოფილების, რომელშიც კავკასიის თითოეული რესპუბლიკიდან თითო წარმომადგენელი შედიოდა. თავმჯდომარედ არჩეული იყო ჩიკვაიძე, ხოლო ვიცე-პრეზიდენტებად ხან-ხოელი და ივანიანცი. კრებაზე განიხილეს საზოგადო პრინციპები ლტოლვილთა ევაკუაციის და მოსახლეობის შესახებ. (1; №110)
- თბილისის გარნიზონის უფროსმა მაყაშვილმა გამოსცა ბრძანება: იმ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, რომელიც კიდევ მეორდება, მოვუწოდებ სამხედრო უწყების ოფიცრებს, ექიმებს და მოხელეებს, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის ჯარში არ მსახურობენ, ნუ ატარებენ სამხრეებს და მათ კი, რომელნიც მსახურობენ თან უნდა ჰქონდეთ პირადობის მოწმობა ფოტოსურათით. ვისაც ასეთი მოწმობა არ აქვს და ფორმას მაინც ატარებს დატუსაღებული იქნება საკომენდანტო ადიუტანტის მიერ. (1; №111)
- სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციების დამთავრების შემდეგ გაიმართა სტუდენტთა საერთო კრება. კრების საგანი იყო განხილვა კოოპერატივების დაარსების და 26 მაისის დღესასწაულის საკითხების. გამგეობას დაევალა ყოველგვარი ზომების მიღება კოოპერატივში საჭირო ნივთების შესაძენად. გამგეობამ აგრეთვე დაავალა სტუდენტ სიმონ გაჩეჩილაძეს, შიო არაგვისპირელის პატივსაცემად გამართულ საღამოზე სტუდენტების სახელით მილოცვა, ხოლო საკითხის გარჩევა 26 მაისის დღესასწაულში მონაწილეობის შესახებ შემდეგი კრებისთვის გადაიდო. (1; №111)

20 მაისი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსად დაინიშნა ქუთაისის რკინიგზის ყოფილი უფროსი სულაქველიძე. (1; №109)
- თბილისიდან ყარსისაკენ გავიდა ლტოლვილთა მეხუთე მატარებელი, რომელმაც წაიყვანა 2000-მდე ლტოლვილი. (1; №110)
- კავკავიდან (ვლადიკავკაზიდან) მომავალ სამგზავრო ავტომობილს ანანურსა და ფასანაურს შუა თავს დაესხა მძარცველთა ბრბო და სროლა აუტეხა. ავტომობილი გააჩერეს და მგზავრებს წაართვეს ფული, ფასიანი ნივთები და შემდეგ ნება მისცეს განეგრძოთ გზა. ეს ავტომობილი დაეჯახა გზაზე გაბმულ მავთულხლართს, რომელიც მძარცველების მეორე ბრბოს დაემზადებინა. ავტომობილს დაუზიანდა წინა ნაწილი და დასახიჩრდა ერთი მგზავრი. ამის გამო დუშეთიდან გამოწვეული იქნა მილიცია, მაგრამ მძარცველები მიიმალნენ. (1; №111)
- მთავრობის სხდომაზე გადაწყდა გადადებულიყო სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში 250 000 მანეთი, ჯარისკაცთა სამსახურის გამო გასაგზავნ-გამოსაგზავნ საგზაო ხარჯების დასაფარავად. (1; №112)
- თბილისის მაზრის ერობის გამგეობის სხდომაზე მოისმინეს საადგილ-მამულო განყოფილების გამგის ნ. გვანცალაძის მოხსენება. (1; №116)

- მიღებულ იქნა კანონი ოჯახური მდგომარეობის გამო ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლების შესახებ. (7; 268)

21 მაისი

- ფოსტა-ტელეგრაფის უწყებამ უკვე დაბეჭდა და გადაუგზავნა დაწესებულებებს ქართული საფოსტო ნიშნები, რომლებიც შემოღებული უნდა ყოფილიყო ხმარებაში 26 მაისიდან. (1; №110)
- მეორე კომისარიატის კომისარმა მიქაბერიძემ მოიწვია ვაჭრები და განუცხადა, რომ საქონელი უსათუოდ ნიხრდთ გაეყიდათ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაისჯებოდნენ. (1; №110)
- არტაანის ოლქიდან თბილისში ჩამოვიდა ცნობილი არტილერისტის კაპიტან ილ. მახარაძის ბატარეია, რომელმაც თავი ისახელა ახალციხისა და არტაანის ოპერაციებში. (1; №110)

22 მაისი

- მთავრობამ მოიწონა პროექტი ჯარის რეორგანიზაციის შესახებ. ამ პროექტის მიხედვით ძველი პოლკების ნაცვლად იქმნებოდა ათასეულები (ბატალიონები). მშვიდობიანობის დროს სულ იქნებოდა 16 ათასეული: 12 რეგულარული ჯარიდან და 4 გვარდიისა. (1; №111)
- ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ესტუმრნენ იტალიელები: პოლკოვნიკი ინჟინერ-ელექტრიკოსი ცესიდიო დელ პროპოსტო, პროფესორ-გეოლოგი ვიტორიო ნავარეზე და სხვა 2 იტალიელი სპეციალისტი. სტუმრები დაინტერესებული იყვნენ სატყეო, საწყლო და სამთო სიმდიდრეთა შესახებ ინფორმაციის მიღებით. მათ ახსნა-განმარტებას აძლევდნენ დეპარტამენტის დირექტორი აფხაზი, სამთო-სამმართველოს უფროსი ყიფშიძე და სამინისტროს სხვა წევრები. ამ საუბრის შემდეგ ყიფშიძემ სთხოვა სტუმრებს მიბრძანებულიყვნენ სამთო სამმართველოში და გასცნობოდნენ საქმეს. პროფესორმა ვიტორიო ნავარეზემ ინახულა სამთო სამმართველო და რამდენიმე დღე იარა სამმართველოში, რათა გაცნობოდა სხვადასხვა სამთამადნო წარმოებას საქართველოში. (1; №111)
- თბილისში გამართულმა სამიტროპოლიტო საბჭოების კრებამ გამართა საერთო კამათი იმის შესახებ თუ როგორ უნდა შეეგებოს კრება და ერთმორწმუნე ერი სახელმწიფოს და ეკლესიის მოსალოდნელ განცალკევებას. საკითხის ყოველმხრივ განხილვის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილება: 1) თბილისის სამრევლო საბჭოების კრებამ მოისმინა რა საკითხი, ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფისა, დაადგინა: კრება შესაძლებლად ცნობს მოსალოდნელ განცალკევებას და გამოთქვამს სურვილს, რათა საკათალიკოსო საბჭომ შეიმუშავოს პირობები, რომლებშიც მოხდება ეკლესიის სახელმწიფოსაგან უმტკივნეულოდ გამოყოფა. 2) ეთხოვოს საკათალიკოსო საბჭოს მიწეროს საეპარქიო საბჭოებს, რათა დაისვას ყოველ სამრევლო საბჭოში საკითხი, ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის შესახებ და ამის გამო გამოტანილ იქნეს დადგენილებანი, რაც ერთი თვის განმავლობაში უნდა მოხსენდეს საკათალიკოსო საბჭოს. (1; №111)

- მოხეტიალე მუსიკოსმა ილიკო ქურხულმა თბილისის მოურავისაგან მიიღო ოფიციალური ნებართვა ქალაქის ქუჩებზე და მოედნებზე შემთხვევით გამვლელ-გამომვლელთათვის მუსიკაზე ლექციების კითხვის და ვიოლინოზე დაკვრის. (1; №111)
- ნაშუადღევს გაიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელთა მესამე სხდომა საგარეო საქმეთა სამინისტროში. სხდომას თავმჯდომარეობდა ტიგრანიანი. თავმჯდომარის წინადადებით მოისმინეს კონფერენციის კომისიების მოხსენებანი. რამიშვილის მოხსენების მიხედვით ტერიტორიალურმა კომისიამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია ტეროტირიალურ საკითხების შესახებ: 1) კონფერენციის წინამე წამოყენებულია საკითხი ამიერკავკასიის რესპუბლიკების გამიჯვნისა, რომლებიც აღმოცენდნენ რევოლუციის დიადი ლოზუნგის განსახორციელებლად ცხოვრებაში, ხალხთა თვითგამორკვევის უფლებაზე. 2) განსახილველ საგნად შესაძლოა იყოს ცნობილი მხოლოდ ის სადავო საკითხები, რომელიც მოდავე რაიონებზე რესპუბლიკათა შორის წარმოებს საზღვრებზე. 3) გადაწყვეტა ზემოაღნიშნული საკითხებისა მიენდოს დაინტერესებულ რესპუბლიკათა შეთანხმებით მოლაპარაკებას და თუ ეს შეთანხმება არ მოხდა, მაშინ სადავო საკითხები არბიტრაჟის გზით გადაწყდება. (1; №112)
- გაიმართა სხდომა ქალაქ თბილისის საბჭოში, სადაც განიხილეს გადასახადების საკითხები. (1; №112)

23 მაისი

- სავაჭრო სახლმა „შუამავალმა" დაამზადა გასაყიდად ქართული ეროვნული დროშები. (1; №112)
- მთავრობის ბრძანების საფუძველზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ქიქოძე დაინიშნა იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორად. (1; №115)
- ცენტრალური საბჭოს შენობაში შედგა სეკრეტარიატის ჩვეულებრივი სხდომა. სხდომას გარდა წევრებისა და პრეზიდიუმისა დაესწრნენ წარმომადგენლები შრომის სამინისტროდან: გოლდმანი, ალბაქიანი და ფანცხავა. სხდომას თავმჯდომარეობდა ა. ხელაძე. (1; №115)
- თბილისში განახლდა მოლაპარაკება დენიკინის მოხალისეთა არმიასთან და მხარესთან ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით. ქართულ მხარეს წარმოადგენდა ევგენი გეგეჭკორი, ნოე რამიშვილი, გენერალი ი. გედევანიშვილი, დიომიდე თოფურიძე; ინგლისელთა მხარეს გენერალი ბიჩი; მოხალისეთა არმიას გენერალი ბრიმსი. უკანასკნელმა განაცხადა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე „არ უნდა დაისვეს. იგი რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებას ეჭვემდებარება. ისეთი პატარა ხალხი არ უნდა მიისწრაფოდეს დამოუკიდებლობისაკენ." ქართული მხარე დათანხმდა ჯარი მდინარე მეხადირიდან ბზიფზე დაებრუნებინა. საბოლოოდ ინგლისის მისიამ შეძლო დენიკინისა და ქართული მხარეები მოლაპარაკებების რეჟიმში დაებრუნებინა. (10; 289)

24 მაისი

- ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრმა ნ. საყვარელიძემ ხელსაყრელ ფასებში დაუკვეთა კერძო მოვაჭრეებისგან ქალაქის მცხოვრებთა საჭიროებისათვის 50 ვაგონი სიმინდი. (1; №112)
- ქუთაისის დარაჯთა კავშირის გამგეობა წერს ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმს, რომ თანახმად გამგეობის დადგენილებისა, დღეიდან დარაჯებს ეწოდოს დაბალი მოსამსახურეები და არა დარაჯები. (1; №112)
- ლეჩხუმის მაზრის ერობის გამგეობის თავმჯდომარე იტყობინება, რომ იქ ავადმყოფობამ ფეხი ფართოდ მოიდგა. საჭიროა ექიმები და ფერშლები. (1; №112)

25 მაისი

- დილით განათლების მინისტრის თავმჯდომარეობით გაიმართა თათბირი სამინისტროსთან სამეცნიერო საზოგადოების დაარსების შესახებ. (1; №117)
- დილით ქუთაისში ჩამოვიდნენ იტალიის მისიის წარმომადგენლები. სადგურზე მათ შეხვდნენ ქუთაისის ქალაქის გამგეობის წარმომადგენელნი. სადგურიდან იტალიელები მიიწვიეს ქალაქის გამგეობის დარბაზში. დასვენების შემდეგ სტუმრები წავიდნენ სხვადასხვა დაწესებულებების სანახავად, დაათვალიერეს მუზეუმი, სამეურნეო სასწავლებელი და ბაგრატის ტაძრის ნანგრევები. უკანასკნელის ნახვით განცვიფრებულნი დარჩნენ. საღამოთი ქალაქის გამგეობამ საზოგადო საკრებულოში მათ გაუმართა სადილი, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ სხვადასხვა კულტურული დაწესებულებების და პრესის წარმომადგენელნი. (1; №118)

26 მაისი

- ქალაქში გაიმართა დღესასწაული საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენიდან ერთი წლის აღსანიშნავად. მოხდა დღესასწაულის ვიდეოფირზე დაფიქსირებაც. (10; გვ.282)
- საქართველოში ჩამოვიდა ფრანგების გემი „ანატოლიე“ და ჩამოიტანა საქართველოს მთავრობის დიდძალი მანუფაქტურა და ფეხსაცმელები, სამაგიეროდ გემს გააქვს საქართველოდან მატყლი, ბამბა და აბრეშუმის პარკი. (1; №117)
- იტალიის მისიის წარმომადგენლები ქუთაისიდან წავიდნენ ტყიბულში, იქიდან კი ჭიათურაში მადნების დასათვალიერებლად.

27 მაისი

- თბილისში გაიხსნა ამიერკავკასიის კოოპერატივთა ყრილობა. ყრილობას დაესწრნენ საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის წარმომადგენლები. ყრილობაზე განიხილეს სხვადასხვა საკითხები. (1; №116)
- შრომის უწყებასთან დაარსდა სატარიფო პალატა ხელფასის საკითხების მოსაწესრიგებლად. (1; №119)

- მიღებულ იქნა კანონი სადაც გაწერილი იყო თუ ვის ჰქონდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღების უფლება. ძირითადი ნაწილის მიხედვით საქართველოს მოქალაქედ ითვლებოდა ის პირი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მიწერილი იყო 1914 წლის 19 ივლისამდე. (7; 270)

28 მაისი

- საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ დეპეშა გაუგზავნა სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ხატისოვს, შიმშილობაში დახმარების შესახებ: ვადასტურებ რა ჩემ გულწრფელ სურვილს ხელმეორედ შესახებ იმისა, რომ ჩვენ მზათა ვართ ხელი გაუწოდოთ სომხეთს სასურსათო საქონლის ტრანზიტის საქმეში, მე გთხოვთ თქვენ სასწრაფო განკარგულება მოახდინოთ იმ ვაგონების დროზე დაცლის და დაბრუნების შესახებ, რომელიც სომეხთა რესპუბლიკის ფარგლებში ამჟამად იმყოფება – აღნიშნული იყო დეპეშაში. (1; №115)
- თანახმად გენერალ ილია ოდიშელიძის განკარგულებისა ყველა ლაშქრის ოფიცრებს სამსახურის გარეშე ეკრძალებოდათ რაიმე სასროლი იარაღის ტარება. ჯარისკაცთ კი საერთოდ ეკრძალებოდათ სამსახურის გარეშე რაიმე სასროლი იარაღის ტარება. (1; №115)

29 მაისი

- იტალიის სამხედრო მისია აცხადებს, რომ მაისის 14-დან იტალიასა და საქართველოს შორის დაიწყო სამგზავრო გემების მიმოსვლა ბათუმში. (1; 116)
- სახელმწიფო თეატრში გაიმართა კონცერტი, რომელიც ჩაატარა კ. ფოცხვერაშვილის მიერ შედგენილმა მომღერალთა გუნდმა. (1; №117)
- მთავრობის სხდომის გადაწყვეტილებით გადაიდო 50 000 მანეთი ათ მილიონიანი ფონდიდან მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებაში, რათა დახმარებოდა გაჭირვებულ საზოგადო მოღვაწეებს. (1; №121)

30 მაისი

- დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი ბორჩალო-ახალქალაქის მაზრებში საერობო ყრილობათა ხმოსნების რიცხვის განსაზღვრის შესახებ, რომლის მიხედვით: 1) დაუყოვნებლივ შემოღებულ იქნეს საერობო დაწესებულებანი ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრებში. 2) დაწესებულ იქნეს ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრებისათვის საერობო ყრილობათა ხმოსნების შემდეგი რიცხვი: ა) ბორჩალოს მაზრისათვის 31 ხმოსანი; ბ) ახალქალაქის მაზრისათვის 29 ხმოსანი; 3) დეკრეტი ძალაში შედიოდა დღიდან მიღებისა. (1; №123)
- ღამით აფრიკიანის ბინიდან ბოროტმოქმედებმა 20 000 მანეთის სხვადასხვა ტანსაცმელი მოიპარეს. (1; №120)
- დამფუძნებელი კრების სხდომაზე დამტკიცდა სამხედრო კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი რესპუბლიკის ჯარში მოსამსახურე ოფიცრების ყოველთვიური ჯამა-

გირის შესახებ, რომელიც ასე გამოიყურებოდა: 1) ბრიგადის უფროსს – 3 000 მანეთი; 2) ბრიგადის უფროსის თანაშემწეს 2 700 მანეთი; 3)ბატალიონის უფროსს – 2 500 მანეთი; 4) ბატალიონის უფროსის თანაშემწეს – 2 200 მანეთი; 5) როტის (ასეული) უფროსს – 1 800 მანეთი; 6) უმცროს ოფიცერს – 1 200 მანეთი. ამის გარდა ოფიცრები მიიღებდნენ ჯარისკაცის საკვებს. (1; №121)

31 მაისი

- ნაფიც მსაჯულთა არჩევნები მაზრებში უკვე მიმდინარეობს. ამ დღეებში იუსტიციის სამინისტროს წარუდგინა გორის მაზრამ ცხრა უბნის მომრიგებელ მოსამართლეთა სია დასამტკიცებლად. (1; №117)
- მთავრობამ დაამტკიცა განაჩენი სიკვდილით დასჯის შესახებ მიქაბერიძის, ნაკაიძის და მეფარიშვილის. პირველ ორს ბრალდებათ ოზურგეთის ფოსტაზე თავდასხმა, ხოლო მესამეს კომისრის თანაშემწის ლანჩავას მკვლელობა. (1; №117)
- მილიციის უფროსმა სულაქველიძემ ბრძანება გასცა მილიციის მიმართ, რომ მათ გამოძიების დროს მოქალაქეებზე ძალადობა არ იხმარონ და ხალხს ზრდილობიანად მოექცნენ. (1; №117)

1 ივნისი

- გაიმართა დამფუძნებელი კრების სხდომა, რომელზეც სიტყვით გამოვიდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი და გააცნო ვითარება დენიკინის მხრიდან არსებულ საფრთხეზე. გეგეჭკორი არწმუნებდა დამსწრეებს, რომ საქართველო გამარჯვებული გამოვიდოდა ამ დაპირისპირებაში. (1; №119)
- დამფუძნებელი კრების სხდომაზე მიღებული იქნა რეზოლუცია, სადაც გამოთქვამდნენ მზადყოფნას საფრთხის წინააღმდეგ და აცნობებდნენ პარიზის საზავო კონფერენციას და ევროპის ქვეყნების პარლამენტებს არსებული ვითარების შესახებ.
- ქართველ მსახიობთა ყრილობის მეოთხე დღეს გაიმართა მსჯელობა შემდეგი წლის სეზონის გამართვის გეგმის შემუშავების და პროვინციაში მუშაობის შესახებ. (2; №117)
- ბოტანიკური ბაღის ქუჩაზე აღმოაჩინეს მირ-ჰაჯი-აბდულ ოღლის გვამი. (1; №120)
- სასტუმრო „ორიენტში“ დ. ორბელიანმა თავის მოკვლის განზრახვით რევოლვერი ისროლა და მძიმედ დაიჭრა. (1; №121)

2 ივნისი

- თბილისის გარნიზონის უფროსმა გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც ყველა რუსი ოფიცერი უნდა გამოცხადდეს მის მიერ რწმუნებულ სამმართველოში რეგისტრაციის გასავლელად და პირადობის მოწმობის მისაღებად. წინააღმდეგ შემთხვევაში პიროვნება პასუხისგებაში იქნება მიცემული, როგორც საქართველოს წინააღმდეგ ბოროტი განზრახვით აღჭურვილი. (1; №120)

- სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მირ ყამუს-ოღლის მკვლელი ბაშირ-ჯალი-ოღლი. როდესაც მკვლელი მიყავდათ კომისარიატში, მან გაქცევა დააპირა, რა დროსაც იგი მოკლეს. (2; №113)
- საღამოს რუსთაველის გამზირზე მთვრალმა ჯარისკაცმა კორინთელმა შეურაცხყოფა მიაყენა ოფიცერ იოსავას და ხმლით გამოეკიდა. იოსავამ რევოლვერიდან ესროლა, რომლის ტყვიითაც შემთხვევით დაიჭრა მეეზოვე ფედოევი. (1; №122)

3 ივნისი

- თბილისის მილიციის უფროსმა სულაქველიძემ გამოსცა ბრძანება, რომელშიც მოითხოვდა, რომ მილიციელებს ჩხრეკა ჩაეტარებინათ როგორც სისხლის სამართლის, აგრეთვე ქალაქის მილიციის პასუხისმგებელი თანამდებობის პირების თანდასწრებით, რათა არ გამოიწვიონ მოქალაქეთა პრეტენზიები. ასევე უნდა ეცადონ, რომ ჩხრეკა ღამით არ ჩატარდეს, გარდა სერიოზული და საჩქარო შემთხვევებისა. ამავე წესით უნდა განხორციელდეს იარაღის ჩამორთმევაც. (1; №119)
- დღის სამ საათზე ალექსანდრეს ქუჩაზე, ვ. დუდაევის ბინიდან 15 000 მანეთი მოიპარეს. (1; №121)
- დღისით მიხეილის ქუჩაზე, სერაფიმა პემის ბინიდან მოიპარეს 6 300 მანეთის ვერცხლეულობა. (1; №121)

4 ივნისი

- სახალხო განათლების სამინისტროს განცხადებით სამინისტროსთან დაარსდა სასწავლო კომიტეტი, რომელსაც მინდობილი აქვს რესპუბლიკის სკოლებში სხვადასხვა საგნების სახელმძღვანელოთა გარჩევა, რომლებითაც უნდა მოხდეს სწავლა. (1; №120)
- ბორჩალოს მაზრის კომისრის ლანდიას ცნობით დაიწყო შეტაკებები ყაჩაღთა ორი ბრბოს წინააღმდეგ, რომელთაც ცნობილი ყაჩაღები მაჰმუდა სულეიმან ოღლი და მაქსო მჭედლიშვილი მეთაურობდნენ და თავისი მხეცური მოქმედებებით შიშის ზარს სცემდნენ მოსახლეობას. შეტაკებების შედეგად ყველა ყაჩაღი დაიღუპა. (1; №127)
- დაიხურა ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა, რომელიც ერთი თვე გრძელდებოდა. (2; №115)
- საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძემ ინახულა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პიშონი და გააცნო იმ მოთხოვნილებათა შინაარსი, რომელსაც საქართველოს დელეგაცია საზავო კონფერენციაზე წარადგენს. პიშონმა განუცხადა ჩხეიძეს, რომ საქართველოს საკითხი სავსებით ცხადია და ის ხედავს სიძნელეს ამ საკითხების გადაწყვეტაში. (1; №120)
- იშხნელის საბენეფისოდ მისი ათი წლის მოღვაწეობის გამო, ქართველმა მსახიობებმა სახელმწიფო თეატრში წარმოადგინეს სუმბათაშვილის დრამა „ღალატი". წარმოდგენას დიდი რაოდენობით მაყურებელი დაესწრო. (4; №123)
- ქ. ფოთში გაიმართა ადგილობრივი ხე-ტყის ქარხნების მუშების კავშირის წევრთა საერთო კრება. განიხილეს საჭილაოს მუშების შემოკავშირების საკითხი. (4; №128)

5 ივნისი

- სომეხთა ეროვნული საბჭოს დელეგაცია შეხვდა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას და სთხოვა ეროვნული საბჭოს არჩევნების ჩატარების ნებართვა. ასევე იმსჯელეს სოჭის და სოხუმის ოლქში მცხოვრები სომხების მდგომარეობის შესახებ და სთხოვეს მთავრობის თავმჯდომარეს ამ ოლქებში გაეგზავნათ კომისია სომეხთა მდგომარეობის გამოსარკვევად. (1; №123)
- მეტეხის ციხეში ტუსაღებმა გამოაცხადეს გაფიცვა. მათი ძირითადი მოთხოვნა იყო მნახველების მათის სურვილისამებრ შეშვება ნებისმიერ დროს. გაფიცვას არ შეუერთდნენ პოლიტიკური დამნაშავეები. გაფიცულთა წინააღმდეგ მიიღეს შესაბამისი ზომები. (1; №124)
- თბილისის სადგურის მთავარ საბაჟოსთან გაიხსნა საბაჟო საექსპედიციო სააგენტო, რომელიც ხელს შეუწყობს საქონლის და ბარგის გასინჯვას. (1; №121)
- სოფ. ვარციხეში სახელმწიფო მამულში გაიფიცნენ მუშები ეკონომიკური მოთხოვნილებების გამო. მათთან მოსალაპარაკებლად ჩავიდა შრომის მინისტრის ამხანაგი ერაძე და მათ პრობლემების მოგვარებას დაპირდა. (1; №126)
- გაზეთი „ერთობა“ წერდა: „სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ უკუაგდო რა ჩვენი მთავრობის განკარგულებები და ზოგიერთი უკვე ცხოვრებაში გატარებული კანონები, მოინდომა ძალაუფლების ხელში ჩაგდება, რამაც ადგილობრივ ცხოვრებაში არევ-დარევა შეიტანა და ამით ფართო ნიადაგი მოუმზადა ძარცვა-გლეჯას და ანარქიას. ამიტომ მთავრობა იძულებული გახდა სასწრაფო ზომები მიეღო და შესაფერისი ნაბიჯიც გადაედგა ამ მხრივ“.
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით ლონდონში თემთა პალატამ, პარლამენტმა და საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენელმა დავით ღამბაშიძემ მიიღეს ცნობა დენიკინის მიერ ამიერკავკასიაზე გამოლაშქრების შესახებ. საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს მოლაპარაკება ჰქონდა ლოიდ ჯორჯთან, რომელმაც აღუთქვა, რომ დენიკინის ამიერკავკასიისკენ წინსვლას მოკავშირეები შეაჩერებდნენ. (1; №121)
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიამ დაამტკიცა სამხედრო სამსახურის ვადები: 1) ქვეითი ჯარისთვის 1 წელი და 4 თვე; 2) სატეხნიკო ნაწილებისათვის 2 წელი. (1; №121)
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით ბერნის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციამ წარადგინა რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნული იყო საქართველოს სამართლიანი უფლება თვითგამორკვევის, ნაციონალური დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბების შესახებ. (1; №121)

6 ივნისი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში გამოქვეყნდა წერილი სიღნაღის მაზრის სოფ. ზემოქმედის წარმომადგენლებისა, სადაც ეწერა, რომ მოსაზღვრე აზერბაიჯანის სოფ. მუღანლოს მცხოვრებლები სტაცებენ მათ საქონელს, რომლის უკან დაბრუნებასაც ვე-

ღარ ახერხებენ. სოფლიდან მოსალაპარაკებლად გაგზავნილი დელეგაცია შეიპყრეს და მხოლოდ დიდი ხვეწნის შემდეგ გამოუშვეს. (1; №122)

- საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ გამოყო 800 000 მან. ახალციხე-ახალქალაქ-არტაანისა და სოხუმ-ახალსენაკის გზატკეცილების შესაკეთებლად. (1; №131)
- მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში გაიმართა დიდი საღამო – მიტინგი. ამ საღამოს ჰქონდა ორი დანიშნულება. პირველი ეს იყო ფართო მასისთვის მომხდარიყო დენიკინის მხრიდან არსებული საფრთხის გაცნობა, რისთვისაც გამომსვლელებმა წაიკითხეს მოხსენებები. მეორე მიზანი კი იყო ფრონტზე დახოცილი მეომრების ცოლ-შვილებისთვის, გამართული საღამოდან მიღებული შემოსავლის გადაცემა. (4; №127)

7 ივნისი

- ნაშუადღევს მცხეთის ჯვრის მონასტერთან ახლოს მილიციამ მოკლა ფირან ზანდუკელი, რომელსაც დიდი ხანი ეძებდნენ. მას ბრალად ედებოდა პირველ კომისარიატში მილიციელის და გვარდიელის მკვლელობა, არამიანცის გატაცებაში მონაწილეობა და სხვ. ასევე დაიჭირეს ბერი, რომელმაც დამალა მისი ადგილსამყოფელი. (1; №125)
- იუსტიციის სამინისტროს ცნობით დასრულდა ნაფიც მსაჯულთა არჩევნები ზუგდიდში. (1; №123)
- შეიპყრეს ცნობილი ქურდთა ბრბო, რომელსაც „ჟოკე მიშკა“ მეთაურობდა და 5 კაცისაგან შედგებოდა. (1; №127)
- საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სანამ გადაწყდებოდა ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის საკითხი, საკათალიკოსო საბჭოს ეძლეოდა საშუალება სასულიერო სემინარიის ქონებით სარგებლობის. (1; №129)

8 ივნისი

- ფინანსთა სამინისტროს ცნობით, სამინისტროსთან არსებულმა საგანგებო კომისიამ შეიმუშავა პროექტი, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი ვალუტა უნდა შეუფარდონ ევროპის რომელიმე ქვეყნის ვალუტას და ამით უფრო მეტი ღირებულება მისცენ მას. (1; №124)
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ინფორმაციით შინაგან საქმეთა სამინისტრომ აცნობა საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ გაზეთ „ტიფლისკაია გაზეტას“ გამოსვლა მინისტრის ბრძანებით შეწყდა, რადგან აღნიშნულ გაზეთში სისტემატიურად იბეჭდებოდა ყალბი ცნობები მოხალისეთა ჯარების კასპიის და შავი ზღვისკენ მსვლელობის შესახებ, რისი მიზანიც მშვიდობიანი მოსახლეობის დესტაბილიზაცია იყო. (1; №124)
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით ამსტერდამში მოქმედმა საერთაშორისო სოციალისტურმა კომისიამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მხარს უჭერს საქართველოს დამოუკიდებლობას და მიმართავს პარიზის სამშვიდობო კონფერენციას და ყველა სახელმწიფოს, რომ ფორმალურად ეცნოთ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. (1; №124)
- ჩატარდა ერობების არჩევნები შულავერის, ბორჩალოს, ეკატერინენფილდის და ბაშკიჩეთის რაიონებში. (1; №132)

- ხონის რაიონში დამთავრდა ერობების ხმოსანთა არჩევნები. (1; №134)
- სიონის ტაძარში წირვის დროს პირველად შესრულდა ახალი ლიტურღია და მუსიკა დიმიტრი არაყიშვილისა. მლოცველნი ორ ნაწილად გაიყვნენ: ახლის მოტრფიალენი და მამა-პაპური გალობის მომხრენი. (1: №125)

9 ივნისი

- გაიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია, სადაც განიხილეს დენიკინის მხრიდან არსებული საფრთხე და ამ საკითხზე მხარეების დამოკიდებულება. (1; №128)

10 ივნისი

- გაიმართა ახლად არჩეული მანგლისის სათემოს ხმოსანთა პირველი ყრილობა, რომელმაც მიმართა დამფუძნებელ კრებას და აღუთქვა ერთგული და ნაყოფიერი მუშაობა. (1; №127)
- გაიმართა საქართველოს მთავრობის სხდომა სადაც მიიღეს გადაწყვეტილება იმ სადგურების გახსნის შესახებ, რომლებიც დახურული იყო 1919 წლის 25 მარტის დადგენილებით. სადგურები გაიხსნა სიმინდის და ტვირთის გადასაზიდად ყველა ერობისა და თვითმმართველობისათვის. (1; №131)
- მიღებულ იქნა კანონი დაზარალებული მეომრებისა და მათი ოჯახების დახმარების შესახებ. აღნიშნული კანონი ეხებოდა 1918 წლის პირველი იანვრიდან შიდა და გარე ბრძოლებში საკუთარი მოვალეობის აღსრულების დროს დაზარალებულ მეომრებს და მათ ოჯახებს. (1; №132)

11 ივნისი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით იტალიის მისიის წევრებმა მოინახულეს მთელი ამიერკავკასია და საქართველოს ყველა კუთხე და აღნიშნავენ, რომ სოფლის მეურნეობა ძალიან დაბალ საფეხურზე დგას, განსაკუთრებით კი მებაღეობა. მათი აზრით ამ პრობლემის გამოსწორების შემთხვევაში ამიერკავკასია შეიძლება ხილეულის ძლიერი მიმწოდებელი გახდეს ბაზრებისათვის. (1; №125)
- ბრიტანეთისა და საერთოდ ანტანტის გადაწყვეტილების თანახმად დენიკინისა და საქართველოს მხარეების შეთანხმებით, მდინარე ბზიფის მარცხენა მხარეს შეიქმნა სადემარკაციო ხაზი, რომელიც მიჯნავდა ორ მხარეს – საქართველოს და დენიკინის მოხალისეთა არმიას. საბოლოოდ საბჭოთა რუსეთმა დენიკინის ჯარების განადგურების შემდეგ სოჭი დაიკავა და გაგრის რაიონი საქართველოს საკუთრებად აღიარა.
- ღამით სიონის ქუჩაზე უცნობმა პირებმა სროლა ატეხეს, რომლის დროსაც ფეხში დაიჭრა მეოთხე უბნის კომისარი ახვლედიანი. (1; №127)
- რამდენიმე შეიარაღებული პირი თავს დაესხა სამნის მოედანზე მოდარაჯე მილიციელ ბროლაძეს და სროლა აუტეხა. სროლამ უშედეგოდ ჩაიარა. (1; №127)
- შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმის უფროსის კედიას მიერ დატუსაღებულია მიხეილ მელიქი, ალი ვაირაგოვი, მუსა კალანდაროვი და აპოლონ ჯაფარიძე ყალბი ბონების გასაღებისათვის. (1; №125)

12 ივნისი

- გზათა მინისტრის განკარგულებით, კახეთის რკინიგზის მმართველის თანამდებობაზე დაინიშნა ინჟინერი იოსებ მამაცაშვილი. (1; №129)
- გზის მთავარ სახელოსნოებში მოხდა ფქვილნახშირის გამოცდა. გამოცდას დაესწრო რკინიგზის მოძრაობის გამგე ოდიშელიძე, მთავარ სახელოსნოების უფროსი სარაჯიშვილი, ინგლისის წარმომადგენელი მაიორი ბრეტი და სხვ. გამოცდამ დამსწრეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და კმაყოფილები დარჩნენ. (4; №131)

13 ივნისი

- ამერიკის კონსული ვილობი სმითი თბილისიდან გაემგზავრა ამერიკაში. გამგზავრების წინ კონსული სადარბაზოდ იყო საქართველოს მთავრობის წევრებთან და მინისტრებთან. (1; №128)
- შინაგან საქმეთა მინისტრს შეხვდა მხატვარი მოსე თოიძე, რომელმაც სთხოვა ერთი ვაგონის გამოყოფა, რათა გადაეზიდათ სურათები და ქანდაკებები დაგეგმილი გამოფენებისთვის. გამოფენები დაგეგმილი იყო ქუთაისში, ფოთში, ბათუმში, ბორჯომში, თელავში და გორში. (1; №128)
- თელავის სამაზრო ერობის გამგეობის ინიციატივით მოხდა თუშების და ქისტების წარმომადგენელთა კრება, რომლის მიზანიც იყო მათ შორის არსებული გამუდმებული პრობლემების მოგვარება, რადგან მათი დაპირისპირება ხშირად მწვავე ხასიათს იღებდა. გამოსავლად ორივე მხარემ თავშეკავების გამოჩენა და მთავრობის მიერ საზღვრების გამაგრება მიიჩნია. (1; №133)
- სოფ. ვანათის მოსახლეობამ მოაწყო ყრილობა და დაადგინა, რომ ისინი მზად იყვნენ საჭიროების შემთხვევაში ყველა სამხედრო ვალდებულ ახალგაზრდას მოეხადა თავისი ვალი მთავრობის მოწოდების შემთხვევაში, მტერთან ბრძოლის დროს. გამოთქვამდნენ მზადყოფნას მოხალისეების გამოსაყვანად და გზების შესაკეთებლად. ასევე ნდობას უცხადებდნენ ქართული ლეგიონის პოლკოვნიკ ლეო კერესელიძეს. (1; №133)
- დამფუძნებელი კრების დადგენილებით სახელმწიფო ხაზინიდან გადაიდო 2 მილიონი მანეთი საზღვარგარეთ ვაჭრობის მოსაწყობად. (1; №134)
- დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო დაწესებულებათა შენახვას ყოველთვიურად უნდა მოხმარებოდა 65 827 720 მან. (1; №136)

14 ივნისი

- სოფ. აცანაში გარდაიცვალა აფთონ ჩხაიძე, რომელიც იყო ფერშალთა უუფლებო მდგომარეობის თავგამოდებული დამცველი. (4; №132)
- გაიხსნა ბათუმ-ყარსის გზატკეცილი სადაც დიდი რაოდენობით ფურგუნებმა დაიწყეს მოძრაობა. (1: №128)

15 ივნისი

- სახელმწიფო თეატრში საქველმოქმედო მიზნით გაიმართა მოხსენებათა დილა. მოხსენებები ეხებოდა დენიკინის განზრახვას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების წინააღმდეგ გამოლაშქრების შესახებ. მოხსენებებით გამოვიდნენ როგორც საქართველოს მხრიდან, ასევე აზერბაიჯანის მხრიდანაც. აღსანიშნავია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის გამოსვლა. ის ხალხს უმტკიცებდა, რომ საქართველოს რესპუბლიკამ ყველაფერი გააკეთა შეიარაღებული დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად. ასევე აღინიშნა დენიკინის წარმომადგენლის, ინგლისელი გენერლის არაობიექტური დამოკიდებულება. წარმოდგენილ იქნა გუცკოვის ცნობილი ტრაგედია „ურიელ აკოსტა“. (1; №130)
- გამოვიდა საქართველოს პროფკავშირების ბეჭდვითი ორგანო, ჟურნალი „მუშათა ცხოვრება“.
- მთელ ქალაქში გაიმართა ხელოვნების მსახურთა დღე. მსახიობები სხვადასხვა როლებში და გრიმებში გამოწყობილები ავტომობილებით, ეტლებით და ურმებით დადიოდნენ ქალაქში, ორკესტრის თანხლებით. ნაშუადღევს მთელმა კორტეჟმა სასახლის წინ მოიყარა თავი და ეროვნული ჰიმნის შესრულებით მიესალმა მთავრობის თავმჯდომარეს. (1; №130)
- წალკის რაიონში ჩატარდა ერობის არჩევნები.
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებული რაზმის უფროსმა მექი კედიამ დაატუსაღა პავლე ნიკიტინი, რომელიც მსახურობდა საქართველოს სამხედრო სამინისტროს სამხედრო-ტოპოგრაფიულ განყოფილებაში და რომელსაც განზრახული ჰქონდა საქართველოდან გაეტანა ჩრდილოეთ კავკასიაში მთელი ტოპოგრაფიული კომპლექტი, რომელიც მას ებარა. (1: №129)

16 ივნისი

- საქართველოს და აზერბაიჯანის მთავრობებმა გააფორმეს ოფიციალურ სამხედრო თავდაცვით ხელშეკრულება, რომელსაც ორივე მხარის წარმომადგენლები აწერდნენ ხელს. ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო, რომ „შეთანხების დამდები სახელმწიფონი ვალდებულნი არიან ერთად გამოვიდნენ ყველა თავის შეიარაღებული ძალებით და სამხედრო საშუალებით ყოველგვარ თავდასხმის წინააღმდეგ, რომელიც ემუქრება შეთანხმების მონაწილე ერთს ან ორსავე რესპუბლიკათა დამოუკიდებლობას ან ტერიტორიალურ ხელშეუხებლობას.“ (1; №133)
- თბილისის ოლქის სასამართლოს მდივნის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა ნიკოლოზ მიხეილის ძე ავნატამიშვილი (იგივე ავნატამოვი). ბრძანებას ხელს აწერს თბილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე პ. კიზირია. (1; №134)

17 ივნისი

- სასახლეში გაიმართა კრება, რომელსაც „ფრონტის დღის“ მოსაწყობად საჭირო საკითხები უნდა განეხილა. „ფრონტის დღის“ მიზანია ნივთიერი და მატერიალური დახმარების გაწევა ფრონტზე მყოფი ლაშქრისა და გვარდიისათვის. (1; №132)

- მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობის დრო. მუშაობის დრო იყო დილის 8 სთ-დან, დღის 2 სთ-მდე. (1; №133)
- დამფუძნებელი კრების სხდომამ დაადასტურა შინაგან საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობა და ახალციხესა და ახალქალაქში დროებით მცხოვრებთა დასახმარებლად გადადო 2 მილიონი მანეთი. (1; №133)
- გორის მაზრის ყოფილი კომისრის გ. მაჩაბლის დაობლებული ოჯახის დასახმარებლად მთავრობამ გამოყო 20 000 მანეთი. (1; №134)
- მთავრობის სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება სოხუმის ოლქში ეპიდემიასთან საბრძოლველად 100 000 მანეთის გამოყოფის შესახებ.
- დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით, დამფუძნებელი კრების წევრის თვიური ხელფასი 1500 მანეთიდან გაიზარდა 2500 მანეთამდე. (1; №135)
- შემოღებულ იქნა კანონი უქმე დღეების შემცირების შესახებ. უქმე დღეებიდან ამოიღეს: მირქმა უფლისა – 15 თებერვალი, დიდი პარასკევი, აღდგომის მესამე დღე – სამშაბათი, მეორე დღე – სულიწმიდის მოფენისა, ფერისცვალება უფლისა – 19 აგვისტო, ღვთისმშობლის მიძინება – 28 აგვისტო, ჯვართამაღლება – 27 სექტემბერი და ტაძრად მიყვანება – 4 დეკემბერი. (7; 273)

18 ივნისი

- თბილისში მექანიკურ სატრანსპორტო სააქციონერო ქარხანაში მოხდა მუშების კრება. განსახილველი საკითხი დენიკინის მხრიდან არსებული საფრთხე იყო. (4; №136)
- გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის სამმართველოს უფროსმა ვირსალაძემ გამოსცა ბრძანება ხაზინაში მოხელეების მორიგეობის გამკაცრების შესახებ, რადგან ხშირი იყო ამ მხრივ სამსახურეობრივი მოვალეობის შეუსრულებლობა. (1; №135)
- დღის პირველ საათზე ორმა პიროვნებამ გატეხა არტელის საფთიაქო საწყობი და უნდოდათ სხვადასხვა საქონლის გატაცება, მაგრამ მილიციონერებმა ისინი ადგილზე შეიპყრეს. (1; №134)

19 ივნისი

- თბილისში შედგა სომხეთის მთავრობის თავმჯდომარის ხატისოვის და ინგლისის სარდლობის მთავარსარდლის გენერალ კიორის (ჯორის) შეხვედრა. (1; №133)
- გაიმართა ლითონზე მომუშავეთა სხდომა. განიხილეს არსებული სიტუაცია და ბაქო--თბილისის სარკინიგზო საერთო ხაზზე არსებული ვითარება. (1; №134)
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამატებითი ჯამაგირების მისაცემად სახელმწიფომ გამოყო 172 635 მანეთი. (1; №137)
- გაიმართა საერობო ექიმთა ყრილობა, სადაც განიხილეს სამკურნალო საშუალებების დეფიციტის საკითხი. (1; №144)

20 ივნისი

- ნაშუადღევს რკინიგზის ხაზთან, როდესაც პირველი რაიონის გვარდიელი მელქისედეკ ბურჭულაძე ბრუნდებოდა შტაბში, იგი მოკლა შავკანიანმა. დაღუპულს ტყვია უკნიდან კეფაში ჰქონდა მოხვედრილი. (1; №135)
- ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილებამ აღადგინა ობოლ ბავშვთა თავშესაფარი, რომელიც დაკეტილი იყო ოსმალთა შემოსევის დროიდან. თავშესაფრის გახსნას დაესწრნენ მთავრობის საგანგებო რწმუნებული გიორგაძე, დამფუძნებელი კრების წევრი რუხაძე და ლტოლვილთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის რწმუნებული ვეშაპელი. (1; №136)
- საღამოს 7 საათზე გაიმართა პროფესიულ კავშირთა სხდომა, რომელზეც განიხილეს შემდეგი საკითხები: 1) დახმარების აღმოჩენა ფრონტზე მყოფი გვარდიელებისთვის, 2) პროფკავშირების რეორგანიზაცია, 3) მიმდინარე საკითხები. (1; №141)
- დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი „პირველდაწყებითი სკოლებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებლად საზაფხულო კურსების მოწყობის შესახებ". აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად სახელმწიფო ხაზინიდან გაღებულ იქნა 334 000 მანეთი. (7; 274)

21 ივნისი

- ქალაქის მილიციის უფროსის სულაქველიძის და სისხლის სამართლის მილიციის უფროსის ფაჩულიას ხელმძღვანელობით, მილიციამ შეიპყრო სოლოლაკის ქუჩაზე და მის მიდამოებში თავმოყრილი სხვადასხვა ეროვნების სპეკულიანტები, დაახლოებით ორას კაცამდე. (1; №135)
- მთავრობის სხდომაზე გადაწყვიტეს მიეცეს შავი ქვის მრეწველთა საბჭოს სესხის სახით ნახევარი მილიონი მანეთი, საფუთო გარანტიის ქვეშ. (1; №141)
- გაიმართა საქართველოს კოოპერატიული ბანკის დამფუძნებელი კრება, რომელმაც განიხილა წესდება და წარუდგინა ფინანსთა მინისტრს დასამტკიცებლად. (1; №152)

22 ივნისი

- გაიმართა დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომა, რომელზეც მოხდა 1919 წლის 16 ივნისს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დადებული თავდაცვითი ხელშეკრულების რატიფიკაცია. (7; 275)
- თბილისში, ვანქის ეკლესიის ეზოში გაიმართა სომეხთა მიტინგი, რომელსაც ოვანეს თუმანიანი თავმჯდომარეობდა. მიტინგის გამართვის მიზეზი ყარაბაღში მომხდარი ამბები იყო. მიტინგზე მიიღეს დადგენილება, რომ მიმართონ პარიზის საზავო კონფერენციას, რათა ყარაბაღი სომხეთის რესპუბლიკას შეუერთდეს და სანამ ეს საკითხი გადაწყდება დაინიშნოს ყარაბაღში მოკავშირეთა ადმინისტრაცია. (1; №137)

23 ივნისი

- დახვრიტეს 1918 წელს გორში მოკლული ოფიცრის მკვლელი, ყოფილი გვარდიელი როსტომოვი. (1; №138)
- თბილისში დაარსდა და მოქმედება დაიწყო საურთიერთობო ბიურომ, რომლის დანიშნულებაა თბილისში მყოფ უცხო სახელმწიფოთა მისიებთან კავშირის დამყარება. ასევე მიაწოდოს უცხოელ დაინტერესებულ პირებს ყოველგვარი ცნობები საქართველოს შესახებ და დაეხმაროს ყველას ვინც მოინდომებს ევროპის სახელმწიფოებთან რაიმე დამოკიდებულებას. (1; №138)
- ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით შედგა საქართველოს დროებითი სამხედრო საბჭოს სხდომა, რომელმაც განიხილა ინგუშეთის წარმომადგენლის თხოვნა, მათთვის სამხედრო დახმარების აღმოჩენის შესახებ. სხდომამ დაადგინა რომ „რადგანაც ჩვენ აქამდე კეთილ განწყობილებაში ვიყავით ინგუშებთან და სასურველია ეს განწყობილება შემდგომშიც განვაგრძოთ, სამხედრო საბჭო სცნობს შესაძლოდ გავუმართოთ მათ ხელი, რითაც შეიძლება. გარდა ამისა სამხედრო საბჭო არ ხედავს დაბრკოლებას, რომ გადავცეთ იარაღი.“

24 ივნისი

- გარდაიცვალა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო და მთავარი გამგეობის წევრი, ცნობილი პედაგოგი ლუარსაბ ბოცვაძე. (1; №139)
- მიღებულ იქნა დეკრეტი, რომლის მიხედვითაც მთავრობის განკარგულებაში გადავიდა ოცი მილიონი მანეთი, რომელიც უნდა მოხმარდეს უცხოეთში გასატანი საქონლის დამზადებას და უცხოეთიდან საქონლის შემოტანას. (1; №140)
- მთავრობამ გამოყო 150 000 მანეთი 10 მილიონიანი ფონდიდან, ყოფილი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხეებიდან ქართველების სამშობლოში ჩამოსაყვანად. ქართველთა ჩამოყვანის საქმე უნდა განხორციელებულიყო მოსკოვში საქართველოს წარმომადგენლის გაბრიელ ხუნდაძის მიერ. (1; №141)
- მთავრობამ მიიღო დადგენილება სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდიდან უმიწაწყლო მცხოვრებთათვის გადასაცემ მიწებზე შეღავათიანი ფასის დამტკიცების შესახებ. (1; №170)
- ავლაბრის საზოგადოების კლუბში სახალხო უნივერსიტეტის განყოფილება გაიხსნა. (4; №145)

25 ივნისი

- სიღნაღის მაზრის გადასახადთა ინსპექტორი ალოიზ აკოფაშვილი გადაყენებულია თანამდებობიდან და დანიშნულია შორაპნის მაზრის პირველი უბნის გადასახადთა ინსპექტორის თანაშემწედ. მისი ადგილი სიღნაღის მაზრაში დაიკავა ლევან ქართველიშვილმა. (1; №143)
- რამდენიმე მთვრალმა ინგლისელმა კიროშნის ქუჩაზე სეირნობის დროს შეურაცხყოფა მიაყენა გამვლელებს და სცემა ქუჩაზე მდგარი მუშა. ქართულ მილიციას მათ წინააღ-

მდეგობა გაუწიეს და იარაღითაც დაემუქრნენ. ბოლოს ადგილზე მივიდნენ ინგლისელი პოლიციელები, რომლებმაც დაიჭირეს მთვრალი ჯარისკაცები. (1; №140)

- შესდგა ამიერკავკასიის კოოპერატიულ კავშირთა საბჭოს კრება. აირჩიეს დროებითი პრეზიდიუმი და გადაწყდა წესდებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება. (1; №152)

26 ივნისი

- 26, 27 და 28 ივნისს პარიზში შესდგა მოკავშირე და ნეიტრალურ ქვეყნების კოოპერატივთა კონგრესი. საქართველოს მონაწილეობა ამ კონგრესზე იყო მოულოდნელი. სამშვიდობო დელეგაციაზე საქართველოს დელეგაციის მინდობილობით კოოპერატივთა კონგრესზე დასწრება საქართველოს მხრივ დაევალა ნაფიც ვექილს გიორგი ჯინორიას, რომელმაც წაიკითხა მოხსენება საქართველოს კოოპერატივების შესახებ. (1; №161)
- გაიმართა თბილისის დეპუტატების სხდომა, რომელსაც აუარებელი საზოგადოება დაესწრო. განსახილველი საკითხი ამიერკავკასიის მუშათა ყრილობის მოწვევა იყო. (4; №136)

27 ივნისი

- დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი, რომლის მიხედვითაც შინაგან საქმეთა მინისტრს გამოეყო ნახევარი მილიონი მანეთი ანარქიასთან საბრძოლველად. (1; №145)
- დამფუძნებელმა კრებამ დეზერტირობის მოსასპობად მიიღო დეკრეტი ჯარის ნაწილებიდან გაქცევისა და ნებადაურთველად წასვლისთვის დასჯის შესახებ. (7; 280)

28 ივნისი

- აჯამეთსა და რიონს შუა მატარებელი ლიანდაგს გადასცდა. ამ საქმის გამოსაძიებლად იმ დღესვე გაემგზავრა კომისია, გზათა დეპარტამენტის დირექტორ ჭიჭინაძის თავმჯდომარეობით. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ლიანდაგი განზრახ იყო აყრილი ბოროტმოქმედების მიერ. ამ დანაშაულის ჩადენის ბრალდებით დააკავეს რკინიგზის სამი თანამშრომელი. (1; №143)
- სისხლის სამართლის მილიციამ დაიკავა ქალაქის მილიციონერი ჭიჭიკო ლიბრაძე, ყოფილი მილიციონერი კუკულავა და ცნობილი ჯიბგირი გაბადაძე. მათ ბრალი ედებათ ქ. ქუთაისში და სოფ. ჭოგნარში განხორციელებულ ძარცვებში. (1; №146)

29 ივნისი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის წერილი ინგლისის პრემიერ-მინისტრ ლოიდ-ჯორჯისადმი. წერილი ეხებოდა ინგლისის გადაწყვეტილებას, რომ საქართველოს ჯარს დაეხია მდინარე ბზიფის აქეთ და ამით დემარკაციული ხაზი გაევლოთ მოხალისეთა ჯარსა და კავკასიის რესპუბლიკებს შორის. გეგეჭკორი ითხოვდა გარანტიებს, რომ ქართული ჯარის უკან დახევის შემთხვევაში მოხალისეთა ჯარები თავს არ დაესხმებოდნენ. გამოსავალს გეგეჭ-

კორი გაგრის ოლქის ნეიტრალიზაციაში და იქ მოკავშირეთა ჯარის ან პიკეტის დაყენებაში ხედავდა. (1; №141)

- დ. გაბაშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა ქართული კლუბის წევრთა საგანგებო სხდომა. კრებაზე განიხილეს სანოვაგის სიძვირის საკითხი. (1; №143)
- სიონის ტაძარში გადაიხადეს წირვა და პანაშვიდი განსვენებული კირიონ კათალიკოსის სულის მოსახსენიებლად. პანაშვიდს აუარებელი ხალხი დაესწრო. (1; №143)
- ქუთაისში გაიმართა ქუთაისის და რაჭა-ლეჩხუმის მაზრებში არსებული კოოპერატივების წარმომადგენელთა კრება. კრებამ გადაწყვიტა ქუთაისში მაზრის ადგილობრივი კავშირის ნაცვლად დაარსებულიყო ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირის ქუთაისის განყოფილება. (1; №152)
- შესდგა თბილისის მაზრის ერობის ხმოსანთა საბჭოს მესამე ყრილობა. ყრილობაზე განიხილეს საბიუჯეტო საკითხები. (1; №152)

30 ივნისი

- იუსტიციის სამინისტროს იურისტკონსულტის თავმჯდომარეობით შესდგა საუწყებათაშორისო თათბირი, რომელმაც მიზნად დაისახა საუწყებათაშორისო დეპარტამენტის დაარსება, რომელიც იქნებოდა გამგე სახელმწიფოებრივ მმართველობის განსაკუთრებული დარგის. (4; №144)
- არსენალის აუდიტორიაში ქართველ სცენის მოყვარულთა მიერ გაიმართა წარმოდგენა და ბოლოს ღონისძიება, სადაც შესრულდა სხვადასხვა მუსიკალურ-გასართობი ნომრები. წარმოადგინეს ვოდევილი „სოსიას ღელე“ და „უბედური დებიუტი“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, მაგრამ მაყურებელს წარმოდგენის შემდეგ გამართული ღონისძიება უფრო მოეწონა. გამომსვლელებმა წაიკითხეს ქართველი პოეტების ლექსები და დაუკრეს გიტარაზე, ასევე გაიმართა ცეკვაც. (4; №144)

1 ივლისი

- გაიმართა დამფუძნებელი კრების სხდომა, რომელმაც გამოყო 7.069.126 მან. საქართველოს საერობო დაწესებულებათა შესანახად. (1; №144)
- შესდგა საუწყებათაშორისო კომისია შრომის, ფინანსთა სამინისტროს და გზათა დეპარტამენტის წარმომადგენელთაგან, რომელსაც დაევალა რკინიგზელ პენსიონერებისათვის პენსიის მომატების საკითხის განხილვა და გარკვეული დროის შემდეგ მთავრობისთვის მოხსენების წარდგენა. (1; №147)
- ვეტერინარ-ექიმი გალაქტიონ მასხარაშვილი დაინიშნა ქუთაისის გუბერნიაში ვეტერინარ-ექიმთა საერთო ხელმძღვანელად, საქონლის ჭირთან ბრძოლის საქმეში. (1; №160)

2 ივლისი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით ბორჩალოში მოკლულ იქნა ცნობილი ყაჩაღი შიაკირ იზმაილ ოღლი. (1; №143)

- მილიციის უფროსმა სულაქველიძემ გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც კომისრებს უნდა შეეწყვიტათ მილიციონერებისთვის ზედმეტი უფლებების მინიჭება. (1; №147)
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ცნობით თბილისში მყოფ ჯარისკაცთათვის დაარსდა უნივერსიტეტი, რომლის მიზანია ჯარში შეიტანოს სწავლა-განათლება და ამით ხელი შეუწყოს მათ გონებრივ განვითარებას. (1; №143)
- ბათუმში სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების მიერ გაიმართა საქველმოქმედო საღამო, რომელსაც დიდი რაოდენობით მუსულმანი ქართველობა დაესწრო. საქველმოქმედო საღამოზე მივიდნენ სოფლებიდანაც, ასევე მივიდნენ ქრისტიანი ქართველებიც და სტუმრები იტალიიდან. (4; №151)

3 ივლისი

- მთავრობის სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი, შავი ქვის საფუთო გადასახადის 5 კაპიკამდე გაზრდის შესახებ. (1; №151)
- მთავრობის სხდომაზე მიწათმოქმედების მინისტრმა დასვა აბასთუმნის ეროვნული მამულის შეკეთების საკითხი, რისთვისაც 10 მილიონიანი ფონდიდან გამოიყო 50 000 მანეთი. (1; №151)
- გამოიცა ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოების მიმართ, რომ ყველა იმ პირს, რომელთაც სურდათ საოჯახო ნივთებისა თუ ავეჯეულობის საზღვარგარეთ გატანა, უნდა მოეთხოვათ მილიციის უფროსის მიერ გაცემული მოწმობა, რომ ისინი საქართველოში ერთ წელზე მეტ ხანს ცხოვრობდნენ და საოჯახო ნივთები მათ საკუთრებას წარმოადგენდა. (1; №157)

4 ივლისი

- დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ იქნა დეკრეტი, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს გამოეყოს 200 ათასი მანეთი, გადამდებ სენთან საბრძოლველად. (1; №147)
- სახელმწიფომ გამოყო 66 000 მანეთი მდინარე ცხენისწყლის ნაპირების გასამაგრებლად. (1; №149)
- ბათუმში ღამის კლუბ „ინტერნაციონალს" თავს დაესხა ათამდე შეიარაღებული ადამიანი, რომლებმაც მოთამაშენი ერთ ოთახში შეიყვანეს და წაართვეს ფული, ძვირფასი ნივთები და სხვ. სულ წაიღეს 1 მილიონი მანეთის ღირებულების ფული და ნივთები. (4; №151)

5 ივლისი

- მთავრობის სხდომამ მიიღო დადგენილება აბრეშუმის პარკის ძველი მოსავლის მხოლოდ მთავრობისგანვე შეძენის შესახებ. (1; №148)
- პასტეროვისა და პლეხანოვის ქუჩის კუთხეში ინგლისელმა ჯარისკაცებმა მოკლეს მეშვიდე კლასელი დანიელ ნარსია. (1; №149)

- სასახლეში შესდგა თბილისში არსებული მნიშვნელოვანი ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება, რომელმაც „ფრონტის დღის“ მოწყობა დანიშნა 19 და 20 ივლისს. ასევე გამოიმუშავა ფრონტის დღის პროგრამა და გაანაწილა სამუშაოები პროგრამის განხორციელებისათვის.
- მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რომ მეორე ქვეითი დივიზიის შემხვევ რაზმს გაეხსნა სანიტარული სადგური ბორჯომში 50 საწოლით. ამ სანიტარული სადგურით ისარგებლებდნენ ის სამხედრო პირები, რომლებსაც კლიმატური და მინერალური წყლებით მკურნალობა ესაჭიროებოდათ და აგრეთვე ახალციხე-ახალქალაქიდან გამოგზავნილი ავადმყოფი სამხედროები. (1; №150)

6 ივლისი

- თბილისში ჩამოვიდა ინგლისში მყოფი საქართველოს წარმომადგენელი. (4; №150)
- საღამოს 6 საათზე გატეხეს საელექტრონო კანტორა „ენერგია“ და წაიღეს 63 000 მანეთი. მილიციამ დაიჭირა გ. ყაზარიანცი, რომელსაც აღმოაჩნდა გატაცებული ფული. (1; №149)

7 ივლისი

- დასრულდა ქართული სამუსიკო საზოგადოების წევრთა წლიური კრება, რომელმაც დაამტკიცა გამგეობისა და მუსიკალური კოლეგიის წევრთა ვინაობა. (1; №149)
- გაიმართა თელავის თვითმმართველობის სხდომა სადაც განიხილეს შემდეგი საკითხები: ქუჩების მოკირწყვლა, ელექტრონით განათება, გაფართოება და ბიბლიოთეკის საკითხი. (1; №152)
- დღის 3 საათზე მილიციამ დაიჭირა მირიან სოიმ ოღლი, რომელსაც ბრალდება ვორონცოვის №56 სახლიდან 68 000 მანეთის გატაცება. (1; №150)
- მეოთხე კომისარიატიდან გაიქცა დატუსაღებული ტატიანა ხურცილავა, რომელსაც ბრალდებოდა აკოფოვის მაღაზიიდან 20 000 მანეთის მოპარვა. (1; №150)

8 ივლისი

- დილის 7 საათზე, აზოვოდის ბანკის ბინაზე რევოლვერით თავი მოიკლა მილიციელმა ალ. ზოლოტუშინმა. (1; №150)
- დამფუძნებელმა კრებამ განიხილა საზღვარგარეთ სწავლა-განათლების მისაღებათ გასაგზავნ პირთათვის თანხის გამოყოფის და საქართველოს რესპუბლიკის ბონების გამოშვების საკითხები. (1; №151)
- დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა 2 მილიონი მანეთის გამოყოფა სტიპენდიის მისაცემად საზღვარგარეთ სწავლა-განათლების მისაღებად წამსვლელი პირებისათვის. აღნიშნული სასტიპენდიო თანხის განაწილების წესის შესამუშავებლად შესდგა სახალხო განათლების მინისტრის თავმჯდომარეობით საუწყებათაშორისო კომისია, რომელშიც უნდა მოეწვიათ დამფუძნებელი კრების კომისიებისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები. (1; №155)

- თბილისში მცხოვრებმა გუსეინ გასან ოღლიმ მოტყუებით წაართვა საგალანტერო საქონელი 36 000 მან. ღირებულების, სპარსეთის ქვეშევრდომს ალი ბაბა ოღლის. ბრალდებული დაიჭირა მილიციამ და ჩასვა სატუსაღოში, საქონელი კი პატრონს დაუბრუნა. (1; №156)
- მთავრობამ მიიღო დადგენილება ჭიათურის თვითმმართველობისთვის ერთი მილიონი მანეთის სესხის გამოყოფის შესახებ. დადგენილება დასამტკიცებლად დამფუძნებელ კრებას გადაეცა. (1; №157)
- გაიმართა ტყიბულის მუშათა კავშირის გამგეობის და დელეგატთა გაერთიანებული ყრილობა, სადაც შეადგინეს მემორანდუმი მთავრობისთვის გასაგზავნად. მუშები სთხოვდნენ მთავრობას, რომ მაღაროების წარმოება არ გადაეცათ კერძო პირებისთვის. პირველ ივლისს ძველ კოლექტიურ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა, ამის გამო იმავე ყრილობაზე ახალი მოთხოვნა შეიმუშავეს და ადმინისტრაციას წარუდგინეს. (4; №157)

9 ივლისი

- შრომის მინისტრი ხომერიკი და მისი ამხანაგი ერაძე მატარებლით გაემგზავრნენ ქ. ფოთში პორტის მუშების კონფლიქტის მოსაგვარებლად. (1; №151)
- მილიციამ დაატუსაღა რამდენიმე ცნობილი ჯიბგირი. (1; №153)
- სალუქვაძის ბინიდან მოიპარეს სხვადასხვა ნივთები 67 000 მანეთის ღირებულების. (1; №154)

10 ივლისი

- საღამოს 10 საათზე, მ. მიქიაშვილის ბინაზე ახალშენში 3 შეიარაღებული პირი შეიჭრა და მუქარით წაიღეს 1000 მანეთის ნივთები. (1; №153)
- გაიხსნა საქართველოს სახალხო გვარდიის კონფერენცია, რომელმაც მთელი წყება საკითხები შეიმუშავა და მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა სხვადასხვა დაწესებულებებს და რეგულარულ ჯარს. კონფერენცია გაგრძელდა 13 ივლისამდე.
- იუსტიციის სამინისტროს განკარგულებით საკუთარი თხოვნის საფუძველზე თანამდებობიდან გაანთავისუფლეს თბილისის სასამართლო პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარე მიხეილ პლავსკი. (1; №157)
- მთავრობამ სახელმწიფო თეატრისთვის გამოყო ყოველთვიური სუბსიდია 20 000 მანეთის ოდენობით 10 მილიონიანი ფონდიდან. (1; №158)

11 ივლისი

- დამფუძნებელი კრების სხდომამ გამოყო 15 მილიონი მანეთი სამხედრო უწყებისთვის. (1; №153)
- დამფუძნებელმა კრებამ და მთავრობამ მიიღო კანონი: „უძრავ ქონების იძულებით ჩამორთმევისა, დროებით დაპერისა და მის სარგებლობაში მონაწილეობის უფლების დაწესებისა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საჭიროებისათვის.“ კანონის პირველი

მუხლი იუწყებოდა, რომ მთავრობას უფლება აქვს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე იძულებით ჩამოართვას კერძო მესაკუთრეებს უძრავი ქონება, დროებით დაიჭიროს ან მის სარგებლობაში მონაწილეობის უფლება დააწესოს, როდესაც ამას მოითხოვს სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი საჭიროება. (7; 282)

- გაიმართა ქალაქ სენაკის საბჭოს პირველი სხდომა სადაც განიხილეს გამგეობის არჩევნები და გამგეობისთვის ჯამაგირის დანიშვნა, ასევე „ფრონტის დღის" მოწყობის საკითხი და ქალაქის ქონების მიმღები კომისიის არჩევის საკითხი ძველი გამგეობიდან. (1; №162)
- დამფუძნებელი კრების დეკრეტით მთავრობას ნება დაერთო გამოეცა სამასი მილიონი მანეთის ბონი. ბონები უნდა გამოსულიყო 1, 3, 5, 10, 25, 50, 100 და 500 მანეთის კუპიურებით. (7; 290)

12 ივლისი

- მთავრობამ გადაწყვიტა ერთი არქიტექტორის გაგზავნა გელათის ტაძრის დასათვალიერებლად, რათა შემდგარიყო ხარჯთაღრიცხვა, ტაძრის იმ დონეზე შესაკეთებლად, რომ წვიმა არ ჩასულიყო და არ დანგრეულიყო. (1; №164)
- მთავრობის სხდომაზე გადაწყდა კომისიის შედგენა, რომელიც აღწერდა ქართული ეკლესია-მონასტრების ქონებას და სათანადო აქტებს შეადგენდა. კომისიაში უნდა შესულიყო ორი ადამიანი და აღწერის ჩატარების დროს მათ უნდა დახმარებოდა ადგილობრივი ერობის ერთი წარმომადგენელი. კომისიის შედგენა მთავრობის თავმჯდომარეს დაევალა, ხოლო სამუშაოების განსახორციელებლად გამოიყო 10 000 მანეთი 10 მილიონიანი ფონდიდან. (1; №164)
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ცნობით თბილისში ჩამოვიდნენ ინგლისელთა საევაკუაციო კომისიის წევრები და გენერალი, რომელთაც დავალებული აქვთ დააჩქარონ ამიერკავკასიიდან ინგლისის ჯარების გაყვანა. მოკლე ხანში ინგლისელი გენერალი, დენიკინის ჯარების მიმართულებით აპირებს გამგზავრებას. (1; №152)

13 ივლისი

- გარდაიცვალა ჟურნალისტი ვასილ ლიმაროვი, რომელიც თბილისის ჟურნალ-გაზეთებთან თანამშრომლობდა. (1; №155)
- თბილისის მაზრის შენობაში გაიმართა ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადო კრება, სადაც წაიკითხეს შემდეგი მოხსენებები: 1) უწერის წყლები, ბახმაროს და წყალტუბოს აბანოები – პროფესორმა მოსეშვილმა, 2) ახტალა – ექიმმა დ. ახვლედიანმა, 3) თბილისი როგორც კურორტი – ექიმმა ა. მაღალაშვილმა, 4) რამდენიმე შემთხვევა სისხლდენის გაჩერების შესახებ ღვიძლის ტკივილით დაჭრის დროს – ექიმმა ალ. წულუკიძემ. (1; №156)
- გაიმართა „წერა-კითხვის სეირნობა," რომელმაც 49 000 მან. შემოსავალი მოიტანა. ხარჯი იყო 12 000 მანეთი, ხოლო წითელი ჯვრისთვის გადაიდო 7 000 მანეთამდე. შემოსავალი დარჩათ 30 000 მან. (1; №157)

- ქ. ქუთაისის საჭიროებისათვის ქალაქის გამგეობის წევრმა, სასურსათო განყოფილების გამგე ნიკოლოზ საყვარელიძემ სამურზაყანოში შეიძინა 13 ვაგონი სიმინდი. სიმინდის ნაწილი სამურზაყანოდან ფოთში ჩაიბარა გამგეობის წევრმა ალექსანდრე ჭირაქაძემ, რომელსაც ევალებოდა მისი ქუთაისში გაგზავნა.
- ბახვში ჩატარდა საერობო წვრილი ერთეულის არჩევნები, სადაც არჩეულ იქნა 25 ხმოსანი. (1; №176)

14 ივლისი

- საღამოს 5 საათზე სადგურ ნავთლუღზე მაშადი ჯაფა-ოღლი, რომელიც ბათუმიდან ჩამოვიდა, უცნობმა ბოროტმოქმედებმა გაიტყუეს, სიკვდილის მუქარით სასტუმრო „ბელგიაში“ შეიყვანეს, წაართვეს 32 700 მანეთი და 56 ოქროს ლირა. (1; №156)
- გაიმართა ქ. თბილისის საბჭოს სხდომა, რომელზეც გამგეობის წევრმა ფანიაშვილმა გააკეთა მოხსენება ქალაქში აგრარული რეფორმის გატარების შესახებ. (1; №156)
- თბილისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც აფრთხილებდა მილიციონერებს არ გამოცხადებულიყვნენ სამსახურში მთვრალები, ან რესტორანში არ შესულიყვნენ საქეიფოდ სამუშაო პერიოდში, წინააღმდეგ შემთხვევაში ადმინისტრაციული წესით სასტიკად დაისჯებოდნენ და დათხოვნილი იქნებოდნენ სამსახურიდან. (1; №157)
- მთავრობის დადგენილებით სურათების მოძრავი გამოფენის მოსაწყობად 10 000 მანეთი მიეცა მხატვარ მოსე თოიძეს. (1; №158)
- ჭიათურაში თვითმმართველობის ბინაზე მოხდა ქალაქის საბჭოს მორიგი კრება, რომელსაც დაესწრნენ ქალაქის თავი პლატონ მოდებაძე, გამგეობის წევრები ევ. თოდუა, ის. ხარატიშვილი და 14 ხმოსანი. სხდომაზე წაიკითხეს მოხსენებები და განიხილეს რამდენიმე საკითხი, მათ შორის სესხის აღების საქმეც. (1; №159)
- გამოიცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც იოსებ გომართელი დაინიშნა ახალციხის მაზრის კომისრად.

15 ივლისი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით ნ. გიორგობიანმა გამოიგონა ახალი მანქანა, რომლის საშუალებითაც შეიძლება თონეში შეშის მაგივრად მაზუთის გამოყენება. (1; №155)
- საღამოს 9 საათზე ეგზარქოსის მოედანზე ბოროტმოქმედებმა გაიტაცეს სიღნაღის ცნობილი მდიდარი არშაკ აკოპოვი. (1; №158)
- კოოპერატიულ ამხანაგობათა და კავშირების რეგისტრაციის ვადა, რომელიც დადებულია 1917 წლის 20 მარტის კანონით, გაგრძელდა 1920 წლის 1 იანვრამდე. (1; 159)
- დაწესდა ახალი გადასახადი ტელეფონით სარგებლობისათვის. სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებისათვის ყოველთვიურად 300 მანეთი, ხოლო კერძო პირთათვის და სახელმწიფო დაწესებულებებისთვის 100 მანეთი. საქალაქთაშორისო საუბრებისთვის კი ნუთი ორი მანეთია. (1; №159)

16 ივლისი

- მილიციის უფროსის განკარგულებით დააპატიმრეს მე-3 უბნის კომისარი კ. კვესაძე, რომელსაც მექრთამეობა ბრალდებოდა. (1; №158)
- აკაკი მომფორია დაინიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული ნაწილის ინსპექტორის თანაშემწედ ქუთაისის გუბერნიაში. (1; №160)
- თბილისის სისხლის სამართლის მილიციის მოსამსახურეებმა აღმოაჩინეს მამი-რიზ-დევის საჩაიეში და მამედ-ალი-ჯაფარ-ოღლის ბინაზე აზარტული თამაში ბანქოსი და ბაიბურთის. ასევე აღმოაჩინეს დიდი რაოდენობით უბანდეროლო ბანქოს სათამაშო ქაღალდი და მათარები ბაიბურთის სათამაშოდ. დამნაშავენი მიცემულ იქნენ პასუხისგებაში. (1; №160)

17 ივლისი

- თბილისიდან ახალქალაქისკენ გაემგზავრა რამდენიმე ასეული სომეხი ლტოლვილი. (1; №157)
- გაიმართა სატარიფო პალატის სხდომა, რომლის დღის წესრიგიც ასეთი იყო: 1) სატარიფო ვადის დაწესება, 2) ნაწარმოებთა გაძვირების საწინააღმდეგო ზომების მიღების განხილვა, 3) მუშების სურსათით უზრუნველყოფის საკითხი, 4) სეილანოვის თამბაქოს ქარხნის მუშებისთვის ქირის მომატების საკითხი, 5) ტარიფების დამტკიცება.(1; №160)
- თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ ეგრეთ წოდებულ „ჟოკეი კლუბში" ფრეილენის ქუჩაზე დაიჭირა კლუბის პატრონი მიხეილ ბენდერსკი და იქ მყოფი ცნობილი აფერისტები არშაკ იაკუბეკოვი და დავით ტერ-დავიდოვი. „ჟოკეი კლუბში" მყოფი სხვა პირები მიიმალნენ. (1; №160)
- მთავარ სამმართველოს მთავარ მმართველად დაინიშნა ი. ქარცივაძე. (1; №166)
- გაიმართა სიღნაღის თვითმმართველობის ხმოსანთა საბჭოს კრება. ძირითადი განსახილველი საკითხი საქონლის ხორცით ვაჭრობა იყო. (1; №166)

18 ივლისი

- პროფესორი სიმონ ავალიანი დაინიშნა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგად. (1; №159)
- დამფუძნებელმა კრებამ დახურულ კარს მიღმა განიხილა კანონპროექტები სამხედრო ბეგარის და შეიარაღებული ძალების შევსების შესახებ, სამხედრო პირთა ხარისხების დებულების შეცვლის შესახებ, ოფიცრების სამხედრო მოვალეობის და სამღვდელოებისთვის ახალი ჯამაგირის შესახებ, ოფიცერთა და ჯარისკაცთა ფორმის შესახებ, მფრინავთა ჯილდოების გადიდების შესახებ და სამხედრო ძალების რეორგანიზაციის საკითხი.
- დაბა ქობულეთში გაიმართა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის მიტინგი, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო. მიტინგზე სიტყვით გამო-

ვიდა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე მემედ-ბეგ აბაშიძე. მან მიმოიხილა საქართველოს წარსული და ისაუბრა იმ არგუმენტებზე რის გამოც საქართველოს დამოუკიდებლობის სრული უფლება გააჩნდა. მან ასევე იმედი გამოთქვა, რომ ბრიტანეთი ხელს არ შეუშლიდა და სამუსლიმანო საქართველო ფართო ავტონომიით შეუერთდებოდა დამოუკიდებელ საქართველოს. (1; №161)

- დამფუძნებელმა კრებამ განიხილა დაბა ონის საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება: 1) დაბა ონი სოფელ მოედნითურთ გამოცხადდეს ქალაქ ონად, 2) გავრცელდეს ქალაქ ონზე საქალაქო დებულების მოქმედება, 3) საბჭოს ხმოსანთა რიცხვი განისაზღვროს ოცი კაცით. (7; 291)
- დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა დეკრეტი საქართველოს ქალაქებისა და მაზრის ერობათა სასარგებლოდ ერთდროული სანიტარული გადასახადების შემოღებისა. (1; №168)

19 ივლისი

- 19 და 20 ივლისს თბილისში გაიმართა „ფრონტის დღე", რომლის მიზანიც ფრონტზე მყოფი მეომრებისთვის შემოწირულობების შეგროვება იყო. ორივე დღეს ქალაქში გაიმართა მსვლელობები და სხვადასხვა ღონისძიებები, ამ დროს ქალაქის ქუჩებში და გასართობ ადგილებში დადიოდნენ ყულაბებით და აგროვებდნენ შემოწირულობებს. (1; №160)
- ივანე აბხაზი დაინიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის ადგილობრივი სამეურნეო განყოფილების უფროსად. (1; №161)
- სოფ. ბოდბიდან ყაზახის მაზრის თათრებმა ასი სული საქონელი წაასხეს. (1; №164)

20 ივლისი

- ღამე ამაღლების ქუჩაზე ქობულაშვილის ბინაში, ვლ. ვარონინის ოთახიდან უცნობმა პირებმა მოიპარეს 66 ათასი მანეთი ამიერკავკასიის ბონების, 4 ათასი ნიკოლოზის ფული და დიდძალი განძეულობა, სულ 1 მილიონი მანეთზე მეტის. (1; №162)
- დუშეთში გაიმართა თვითმმართველობის ხმოსანთა არჩევნები, სადაც გამარჯვება სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მოიპოვა. (4; №166)

21 ივლისი

- შესდგა საქართველოს მუსიკალური საზოგადოების ახალი გამგეობის და მუსიკალური კოლეგიის სხდომა. კ. ანდრონიკაშვილი აირჩიეს თავმჯდომარედ, ს. ჟორჟოლიანი თავმჯდომარის ამხანაგად, კ. მოსული მდივნად. გამოირკვა, რომ „კაპელა"-ს მუსიკალური ნაწილი მუსიკალური საზოგადოების ხელში იქნებოდა, ხოლო ფინანსური კი კოოპერატივთა კავშირის. (1; №163)
- ტყიბულის და მისი რაიონის რწმუნებულად დაინიშნა მიტროფანე ჯაფარიძე. (1; №165)

22 ივლისი

- დღის ოთხ საათზე ლაგოდეხიდან მომავალ.ქართულ დასს ყაჩაღები დაესხნენ თავს ჭიაურის ტყესთან და გაძარცვეს უკანასკნელ პერანგამდე. (1; №162)
- დამფუძნებელმა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება სოხუმ-სენაკისა და გუდაუთა-პოლენკოვის გზატკეცილების ხიდების ასაგებად და შესაკეთებლად დამატებით 857 996 მანეთის გადადებისა. (1; №163)
- ზუგდიდში ორმხრივი სროლის და დიდი წინააღმდეგობის შემდეგ დაიჭირეს ყაჩაღთა ბრბოს მეთაურები აბრამია, მირცხულავა და აფსავა. (1; №164)
- ოზურგეთში, ერობის და ქალაქის ხმოსანთა და დიდი რაოდენობით საზოგადოების თანდასწრებით გაიხსნა ჯარისკაცთა უნივერსიტეტი. საზეიმო დღესასწაული გახსნა გენერალმა ართმელიძემ. მიესალმნენ ჯარის, ერობის, სამხედრო უწყების და სახალხო მასწავლებელთა კავშირის წარმომადგენლები. ამის შემდეგ გაიმართა სადღესასწაულო აღლუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქვეითმა ჯარმა არტილერიით და სამხედრო მუსიკის თანხლებით. (1; №164)
- დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი სახელმწიფო ხაზინიდან 120 160 მანეთის გამოყოფის შესახებ, რათა დახმარება გაეწიათ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის. (4; №163)
- მოხდა საშუალო სკოლის რეორგანიზაცია. მთავრობის დადგენილებით პირველდაწყებითი სკოლა 7-8 წლიანია და ევალება განათლების სამინისტროს სათანადო გეგმის გამომუშავება საყოველთაო სწავლის შემოსაღებად. საშუალო სკოლა ოთხწლიანია, რომელიც უკანასკნელ კლასებში იყოფა სხვადასხვა დარგებად. ახალი სასწავლო წლიდან უნდა გაუქმებულიყო სკოლებთან არსებული მოსამზადებელი კლასები. 1919-1920 და 1920-1921 სასწავლო წლების განმავლობაში არსებული საზოგადო საშუალო სკოლის და კომერციული სკოლების პირველი ოთხი კლასი უნდა გადაკეთებულიყო უმაღლეს დაწყებით სკოლებად. ასევე განხორციელდა კიდევ ერთი ცვლილება, რომლის მიხედვითაც ლათინური ენა ამოღებულ იქნა როგორც სავალდებულო საგანი. (1; №167)

23 ივლისი

- ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწე მამფორია შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებს, რომ მან მიიღო ცნობები ცნობილი ყაჩაღის დაჭრის შესახებ, რომლის დასაჭერადაც მიიღეს ზომები. (1; №163)
- ფოთში ადგილობრივმა მილიციამ შეიპყრო მთელი რიგი დენიკინის აგენტებისა: დადიანი, რომელიც თავის თავს უწოდებს „სამეგრელოს ბრწყინვალე მთავარს“, სინსკი, პეტროვი, და სხვ. მათ აღმოაჩნდათ მიწერ-მოწერა მოხალისეთა ჯარის მთავარსარდალთან. ყველა მათგანს, საქართველოს საზღვრებიდან გააძევებენ, გარდა დადიანისა, რომელიც გადაეცემა სასამართლოს. (1; №163)
- ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში გაიმართა საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს საკითხი საჩეკო ოპერაციების შესახებ. განხილვის დროს თავი იჩინა აზრთა სხვადასხვაობამ და საბჭოს წევრნი ორ ჯგუფად გაიყვნენ. ერთ ჯგუფს

სათავეში ედგა სახელმწიფო ბანკის გამგე ბერგი, ხოლო მეორე ჯგუფს ამიერკავკასიის ბანკის დირექტორი იასონ ლორთქიფანიძე. საბჭომ დაადგინა საბოლოო აზრის შესამუშავებლად არჩეულ იქნეს 4 კაცისგან შემდგარი კომისია, რომელშიც შევლენ ბერგი, ლორთქიფანიძე, ჯაყელი და ჯაბადარი. (1; №164)

- აჭარისწყალზე გაიმართა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის მიერ ორგანიზებული მიტინგი, რომელსაც ახლოს მდებარე სოფლების მოსახლეობაც შეუერთდა. მათი მოთხოვნა სამუსლიმანო საქართველოს ფართო ავტონომიით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შესვლა იყო. (1; №166)

24 ივლისი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით თელავის მაზრაში დაუჭერიათ ყაჩაღთა ბრბოს სამი მეთაური და ბრბო მოსპობილია. (1; №162)
- ზუგდიდში მოკლეს ცნობილი ყაჩაღები ბაძაღუა და სასანია, რომელთაც ბრალად ედებოდათ ხობის კომისრის მკვლელობა. (1; №167)
- საქართველოს სამხედრო გზაზე, ქვეშეთის რაიონში ფოსტის ავტომობილს თავს დაესხნენ ბოროტმოქმედები. ორმხრივი სროლის შემდეგ დაიჭრნენ კაპიტანი ციტაძე და ოფიცერი ახობაძე. ყაჩაღებმა ვერაფერი წაიღეს და გაიქცნენ. (1; №167)
- გაიმართა სატარიფო პალატის სხდომა, სადაც განიხილეს სხვადასხვა პროფესიონალური კავშირების ხელფასები და მათი დამტკიცება.

25 ივლისი

- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლად სომხეთში დაინიშნა გერასიმე მახარაძე. (1; №165)
- მიღებულ იქნა კანონი რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის დაარსების შესახებ, რისთვისაც ხაზინიდან ყოველწლიურად გამოიყო 1 099 800 მანეთი. მიზანი სახელმწიფო სტატისტიკის ყველა დარგის გაერთიანება იყო. (1; №176)

26 ივლისი

- მიწათმოქმედების, შრომისა და გზათა მინისტრი ნოე ხომერიკი დასასვენებლად განთავისუფლდა ერთი თვით. მისი მოვალეობის შესრულება დაევალა: გზათა უწყებაში – გზათა დეპარტამენტის დირექტორს ინჟინერ ბესარიონ ჭიჭინაძეს, შრომის და მთავარ მიმწოდებელ სამმართველოში – შრომის მინისტრის ამხანაგს გიორგი ერაძეს, ხოლო მიწათმოქმედების უწყებაში – მიწათმოქმედების მინისტრის ამხანაგს პავლე გელეიშვილს. (1; №166)
- მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობა დროებით გადაიბარა საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა. (1; №166)
- გენერალური შტაბის ცნობით ჩრდილოეთის ოსების შეიარაღებული ბანდები თავს დაესხნენ სანაპირო მოდარაჯე პოსტებს მამისონის უღელტეხილზე. ქართული მხრი-

დან მოკლულია სამი, ხოლო ორი მძიმედ დაიჭრა, მოწინააღმდეგის ზარალი უცნობია. წამოყვანილი ტყვეების ინფორმაციით აღნიშნული მიმართულებით ადგილობრივი ოსებისგან შემდგარი პოლკი მოქმედებდა. სამხრეთის ოსები კი ერთსულოვნად მხარს უჭერენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. (1; №166)

- სოფ. გუდავაში შეტაკების დროს მოკლეს მილიციელი გაბრიელ ქოლბაია. შეიპყრეს ერთი ყაჩაღი ლაზარე ფალია. (1; №183)

27 ივლისი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით დაჩქარებით მიმდინარეობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობის კაპიტალური რემონტი და ახალი ლაბორატორიების მოწყობა.(1; №165)
- სურპ-კარაპეტის აღმართზე დღის 4 საათზე მოკლეს ანდრანიკ მაშინიანცი. მკვლელი ფარსეღ მაშინიანცი დააპატიმრეს. (1; №167)

28 ივლისი

- თბილისის სამაზრო ერობის ბინაზე გაიხსნა რესპუბლიკის ერობათა სტატისტიკოსების პირველი ყრილობა. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საერობო ცენტრის გამგეობის წევრი ის. სტურუა, რომელმაც მისასალმებელი სიტყვით გახსნა ყრილობა. (1; №168)
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმოადგინა 1919-1920 წლების სრული ხარჯთაღრიცხვა. წლიური ხარჯი შეადგენდა 2 941 600 მანეთს. (1; №180)
- ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით შედგა პირველი სხდომები იმ საუწყებათაშორისო კომისიის, რომელსაც დამფუძნებელი კრების მიერ დავალებული აქვს შეიმუშავოს წესი საზღვარგარეთ სწავლა-განათლების, ან სპეციალური ცოდნის შესაძენად გასაგზავნი ახალგაზრდებისთვის სასტიპენდიო თანხის (2 მილონი მანეთის) განაწილების. (1; №184)

29 ივლისი

- ღამის 11 საათზე ყუბანის ქუჩაზე ბოროტმოქმედებმა მოკლეს ალექსანდრე ხმალაძე. (1; №169)
- გამოიცა განკარგულება, რომლითაც ეკატერინენფილდის რაიონის კომისარი მჟავანაძე დაითხოვეს თანამდებობიდან. (1; №172)
- დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა საქართველოს სენატის დებულება და ხარჯთაღრიცხვა. საქართველოს სენატი, როგორც უზენაესი სასამართლო, თვალყურს ადევნებდა კანონის დაცვასა და სისწორით ასრულებას მთავრობის, დაწესებულებების, თანამდებობის პირების და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ. ასევე განაგებდა სასამართლოს ნაწილს, როგორც საკასაციო სასამართლო. (7; 291)

30 ივლისი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა გ. პახარის სტატია საქართველოს ტყის შესახებ. სტატიაში მოყვანილი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით საქარ-

თველოს რესპუბლიკის ფარგლებში შედიოდა 2 000 000 დესეტინა ტყის სივრცე, ხოლო მთლიანად ამიერკავკასიაში 3 836 890. (1; №167)

- ღამის 12 საათზე მირზოევის ჩიხში გრიგოლი სარქისიანცი ორი უცნობის თანხლებით შეეცადა ელენა გრიგორიევის ქალის მოტაცებას, მაგრამ მეხუთე უბნის კომისრის მიერ მიღებული ზომებით სარქისიანცი შეიპყრეს, ორი უცნობი მიიმალა, ავტომობილის მძღოლი ბოგდანოვი კი სროლის დროს დაიჭრა. (1; №171)
- შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით დახურეს გაზეთი „კლდე", როგორც მავნე მიმართულების. ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმში შეიტანა განცხადება ადმინისტრაციის უკანონო მოქმედების შესახებ. (4; №170)

31 ივლისი

- ოვანეს გულიანცმა განაცხადა, რომ მისი ხასა ოლღა ოვჩინიკოვა მან დაღრჩობილი იპოვა თავის ბინაში თუმანოვის ქუჩაზე. ეკვმიტანილის სტატუსით დააკავეს ტერ გალუსტოვი. (1; №171)
- თანამდებობიდან დაითხოვეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერობო ნაწილის ინსტრუქტორი ვასილ სოკოლოვი. (1; №172)
- შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალა 21 ივლისის დადგენილების სისრულეში მოყვანა და 2 472 ფუთი ფქვილის სამხედრო და გზათა უწყებისათვის გადაცემა. (1; №175)
- განთავისუფლებულ იქნა სამსახურიდან ფინანსთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი ს. ჭანტურიშვილი, თანახმად მისივე თხოვნისა, ოზურგეთის ერობაში არჩევის გამო. (1; №176)
- სტამბოლში სავაჭრო აგენტად დაინიშნა ვასილ გორდელაძე. (1; №176)

1 აგვისტო

- გენერალური შტაბის ცნობით მამისონის უღელტეხილი და მისი მიმდებარე ადგილები გაწმენდილია ოსებისგან. (1; №171)
- ხელოსანთა კლუბში გაიმართა სამხედრო სამინისტროს სადარაჯო ჯარისკაცთა კონცერტი ალ. მაისურაძის ლოტბარობით. კონცერტის დაწყებამდე იოსებ იმედაშვილმა წარმოთქვა სიტყვა „ჯარი და სიმღერა", რომელსაც საზოგადოება ხანგრძლივი ტაშით შეხვდა. წარმოადგინეს დაროშვილის პიესა „პარტია-პურტია". (1; №171)
- დამფუძნებელი კრების სხდომაზე სპირიდონ კედიამ წაიკითხა მოხსენება აფხაზეთში არსებული მდგომარეობის შესახებ, ისაუბრა იმ ანტიქართულ განწყობაზე, რომელსაც რუსეთის აგენტების აქტიური პროპაგანდა ქმნიდა და დაასახელა ის მიზეზები, რის გამოც იმ დრომდე არ მოგვარდა აღნიშნული პრობლემა. (1; №172)
- გაიმართა ახალციხის მიწის მუშათა საბჭო, სადაც განხილვის საგანს შეადგენდა ქართულ-ეროვნული პარტიის ორგანოში „მესხეთ-ჯავახეთის" №7-ში მოთავსებული წერილი, სადაც უარყოფითად იყო დახასიათებული აღნიშნული საბჭო. მათ დაადგინეს, რომ აღნიშნული გაზეთის ხელმძღვანელს სასამართლოს წინაშე ეგო პასუხი. (1; №176)

- გაუქმდა თბილისში არსებული კავკასიის მუზეუმი და მის ნაცვლად დაარსდა საქართველოს მუზეუმი, რომელსაც გადაეცა კავკასიის მუზეუმის მთელი უძრავ-მოძრავი ქონება. საქართველოს მუზეუმი შედგებოდა ხუთი განყოფილებისგან: 1) გეოლოგიის, 2) ბოტანიკის, 3) ზოოლოგიის, 4) ეთნოლოგიის და 5) ისტორია-არქეოლოგიის. მუზეუმის დირექტორად დაინიშნა ნოე ყიფიანი, რომელიც მანამდე კავკასიის მუზეუმს ხელმძღვანელობდა. (7; 307)
- დამფუძნებელი კრების სხდომამ მიიღო დეკრეტი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებული განსაკუთრებული რაზმის არსებობის ვადის გაგრძელების შესახებ 1920 წლის 1 იანვრამდე. რაზმის მიზანი იყო სპეკულაციებისა და მძარცველობის წინააღმდეგ ბრძოლა. (1; №183)

2 აგვისტო

- დამფუძნებელმა კრებამ ერობებისთვის გამოყო 10 მილიონი მანეთი სესხის სახით. (1; №172)
- სვიმონ მდივანმა დამფუძნებელი კრების სხდომაზე წარადგინა დეკრეტი სამხედრო სასამართლოს და ბრალმდებლის საზედამხედველო შტატის დამტკიცების შესახებ. (1; №173)
- დამფუძნებელმა კრებამ სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებაში გამოყო 500 000 მანეთი ხაზინიდან, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის სესხის მისაცემად.
- გაიმართა დამფუძნებელი კრების პირველი სესიის უკანასკნელი სხდომა, სადაც მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დამფუძნებელი კრება 3 აგვისტოდან დროებით წყვეტდა მუშაობას და სხდომები თვენახევრის შემდეგ განახლდებოდა. (1; №174)
- გაზეთ „ერთობის" ინფორმაციით მთავრობამ დაადგინა შემოიღოს ზოგიერთ მიმართულებებზე მონოპოლია: შავ ქვაზე, მატყლზე, აბრეშუმის პარკზე, ტყავზე, კონიაკზე, ხე-ტყეზე, ქვანახშირზე, და სპილენძზე. (4; №171)

3 აგვისტო

- მუშტაიდში „კაპელამ", ქართული სამუსიკო საზოგადოების და ამიერკავკასიის კავშირის მომღერალთა გუნდმა გამართა რეპეტიცია, რომელსაც დიდი რაოდენობით დაესწრნენ მოსწავლეები. (1; №173)
- საინჟინრო დისტანციის ჩინოსან ნეროვის ბინაზე, მილიციის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს „ბერდანკა", 49 საომარი ტყვიით. (1; №176)
- თიანეთის მაზრის ხმოსანთა ყრილობამ ერობის თავმჯდომარედ აირჩია ვლადიმერ პაპავა. გამგეობის წევრებად არჩეულ იქნენ პროკოფი დოლიძე, ნიკოლოზ ნადიბაიძე და ლევან დოლიაშვილი. (1; №176)

4 აგვისტო

- გამთენიისას ქუთაისის საგუბერნიო საპყრობილეს გალავანში დახვრიტეს პავლე ჭავჭანიძე, რომელსაც საგანგებო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა შალვა ლეჟავას მკვლელობისათვის. (1; №183)

- გაიმართა ქ. თბილისის საბჭოს სხდომა სადაც განიხილეს ჯამაგირის საკითხები. (1; №173)
- განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან გზატკეცილების სამმართველოს ტეხნიკური განყოფილების უფროსი ინჟინერი ივანე ჩეხოვი. (1; №174)
- სისხლის სამართლის მილიციის თანამმრომლებმა დაიჭირეს ალექსანდრე გოცირიძე, რომელმაც მოტყუებით მიყიდა პაიკ აივაზიანცს 700 მანეთის შაქრის მაგივრად მარილი. (1; №176)
- შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საერთო განყოფილების უფროსის მოვალეობათა აღსრულებაზე დაშვებული ალექსანდრე ჩიქოვანი დაინიშნა იმავე განყოფილების უფროსად. (1; №199)
-

5 აგვისტო

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ცნობით 500 ქისტი თავს დაესხა უკანა ფშავის დარაჯებს, გარეკეს 1000 სული ცხვარი, რამდენიმე ცხენი, ძროხა და წაიღეს 3 ფშაველის ქონება. (1; №172)
- შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრმა ნოე რამიშვილმა გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც ხდებოდა დამატებითი ზომების მიღება, რათა შესრულებულიყო დამფუძნებელი კრების დეკრეტი – „თავისი ნებით წასვლის და სამსახურიდან გაქცევის პასუხისმგებლობისა და 2 აგვისტოს სამხედრო ბეგარის აუსრულებლობის, ამ დანაშაულის დაფარვის და წაქეზებისათვის დასჯის". (1; №174)

6 აგვისტო

- მთავრობის საქმეთა მმართველის კ. ჯაფარიძის დაბრუნების გამო, ამავე მმართველობის მდივანი დ. დიდებულიძე განთავისუფლებულ იქნა მთავრობის საქმეთა მმართველის მდივნის მოვალეობის აღსრულებისგან. (1; №199)
- ღამით საჯირითო მოედანზე, დიდუბეში, მოკლეს ინგლისელი ჯარისკაცი და დაჭრეს ანნა კონიშევის ქალი. სისხლის სამართლის მილიციამ მკვლელობის კვალს მიაგნო. ისინი აღმოჩნდნენ რკინიგზის ბატალიონის ჯარისკაცები ერმილე ბარდაველიძე და ბაგრატ გვენაძე. (4; №178)

7 აგვისტო

- შინაგან საქმეთა, სამხედრო და სახალხო განათლების მინისტრმა ნოე რამიშვილმა აიღო შვებულება, რის გამოც შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობა დაეკისრა ამხანაგ ნ. ჭიჭინაძეს, მასვე ეძლეოდა უფლება მინისტრთა საბჭოში საკითხების გადაჭრაში მონაწილეობის მიღების. სამხედრო მინისტრის მოვალეობა კი დაეკისრა მინისტრის ამხანაგს ნ. ცინცაძეს. (1; №175)
- საკუთარი თხოვნის საფუძველზე სამსახურიდან გაანთავისუფლეს ფოთის საზღვაოსნო სასწავლებლის უფროსი ივანე კოსტიუკოვი, ხოლო აღნიშნულ თანამდებობაზე მოვალეობის აღმსრულებლად დაინიშნა კაპიტანი ალექსანდრე გოგავა. (1; №178)

8 აგვისტო

- გაზეთ „ერთობის“ ცნობით ქალაქის თავმა აკრძალა ქუჩებში სასმელი წყლის ვედროებით გაყიდვა. (4; №176)
- კანცელარიის მეორე განყოფილების უფროსი დიმიტრი წითლანაძე, რომელიც ავადმყოფობის გამო დროებით განთავისუფლებული იყო სამსახურიდან, დაუბრუნდა თავისი მოვალეობის აღსრულებას. (1; №199)
- ფოთის პირველი უბნის მოვალეობის აღმასრულებლად დაინიშნა როსტოვის ოლქის სასამართლოს კანდიდატი ალექსანდრე კუხიანიძე. (1; №199)

9 აგვისტო

- ცხინვალის ქუჩაზე ნატალია მღვდელაძისამ თავისი ქმარი დანით დაჭრა. ნატალია მღვდელაძისა მილიციამ დაიჭირა. (1; №178)
- მთავრობის გადაწყვეტილებით ილია ჩიქოვანი დაინიშნა ფინანსთა სამინისტროს საბჭოს წევრად. (1; №181)
- გამოქვეყნებული ინფორმაციით 9 და 10 აგვისტოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭო ინიციატივით უნდა გამართულიყო კონცერტი „პროლეტარული საღამოები.“ (4; №179)

10 აგვისტო

- ცეცხლი გაუჩნდა ქალაქის მეორე სასურსათო მაღაზიას. მიუხედავად იმისა, რომ ხანძარი მალე ჩააქრეს ზარალი მაინც დიდი იყო. (1; №178)
- ბორჯომის ქუჩაზე, ეისანოვის ბინიდან მოიპარეს 10 000 მანეთის სხვადასხვა ნივთები. დააკავეს რამდენიმე ეჭვმიტანილი. (1; №178)
- გაიმართა ლანჩხუთის საბჭოს სხდომა. ქალაქის თავმა შარაშენიძემ მოახსენა საბჭოს, რომ საბჭოს სურვილის თანახმად შეძენილია ელექტრონის სადგური ქალაქის გასანათებლად. სადგური უკვე ჩამოტანილია და მის დასადგმელად და მოსაწყობად მიმდინარეობს სამუშაოები. (1; №184)
- 10, 11 და 12 აგვისტოს გაიმართა საქართველოს დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები. ხმების უმრავლესობა №1 სიამ დააგროვა. (1; №186)

11 აგვისტო

- დაიწყო მუშაობა საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურმა სტატისტიკურმა განყოფილებამ. (1; №178)
- სისხლის სამართლის მილიციამ სადგურზე დააპატიმრა პოპანდოპულო, რომელსაც აღმოაჩნდა 225 ცალი ოსმალური ოქროს ლირა და აგრეთვე ბაქოს მატარებლის ბილეთი. ვინაიდან ოქროს გატანა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან აკრძალული იყო, მას ჩამოართვეს ოქრო და ჩააბარეს საბაჟოს. (1; №181)

12 აგვისტო

- სახალხო უნივერსიტეტის ბინაზე ცეცხლი გაჩნდა. ხანძრის ჩაქრობა მალევე მოხერხდა. (1; №180)
- გაიმართა მთავრობის სხდომა, რომელზეც განიხილეს სხვადასხვა დამნაშავეთათვის სასჯელის ვადის შეცვლის საკითხი. (1; №183)

13 აგვისტო

- ჟუკოვისკის ქუჩაზე მცხოვრებმა მიხ. ზაალიშვილმა მილიციას განუცხადა, რომ მას ბინიდან მოპარეს 20 000 მანეთის ოქრო-ვერცხლი. (1; №182)
- ტრამვაის ქვეშ მოყვა უცნობი მაჰმადიანი, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში გააგზავნეს და იქ გარდაიცვალა. (1; №1, №182)
- შედგა გაერთიანებული კრება ჯავშნიანი მატარებლების რაზმის. არსებულ სიტუაციაზე მოხსენება გააკეთა ჯავშნიანი მატარებლების რაზმის ხელმძღვანელმა ვალოდია გოგუაძემ. კრება მხარდაჭერას უცხადებდა დამფუძნებელ კრებას და მთავრობას. (4; №187)

14 აგვისტო

- სწრაფი მატარებლით ბათუმიდან გამოვიდნენ აზერბაიჯანის დიპლომატიური მისიის წევრები, რომლებიც სტამბოლიდან ბაქოში ბრუნდებოდნენ საქართველოს გავლით. (1; №182)
- გამთენიისას გორის საპყრობილიდან გაიქცა 24 პატიმარი, რომელთაგან მცველებმა 2 მოკლეს, ხოლო 4 შეიპყრეს. მიიღეს ზომები გაქცეული პატიმრების დასაჭერად. (1; №183)
- მთავრობამ გამოყო 80 000 მანეთი ბორჩალოს, თიანეთის, ახალქალაქის და ახალციხის მაზრებში საერობო დაწესებულებათა შემოსაღებად. (1; №185)

15 აგვისტო

- ფინანსთა მინისტრის განკარგულების თანახმად, 15 აგვისტოდან აიკრძალა რუსული საგერბო მარკების ხმარება. ამიერიდან უნდა გამოეყენებინათ ახლად დამზადებული ქართული საგერბო მარკები. (1; №182)
- ბათუმიდან თბილისში ჩამოვიდა პარიზის კონფერენციის მიერ სომხეთის უმაღლეს კომისრად დანიშნული ამერიკელი პოლკოვნიკი ჰასკელი თავისი მეუღლით. მას თბილისში შეეგებნენ მური და სომხეთის მისია. ჰასკელი ამერიკელთა სამხედრო მისიის ბინაზე გაჩერდა. (1; №182)
- გორის ციხიდან პატიმრების გაქცევის გამო, გორში გაიგზავნა საპყრობილეთა ინსპექტორი ყიფიანი.
- საღამოს ამერიკის მისიის ავტომობილი პუშკინის ქუჩაზე დაეჯახა ხაჩატურ ქოჩარიანს და მძიმედ დააშავა. (1; №183)

- სისხლის სამართლის მილიციამ სასტუმრო „ნოე“-ში დააპატიმრა ცნობილი ქურდი ვლადიმერ გონჩარენკო, რომელსაც მეტსახელად ეძახიან „ვოლოდკა ციგან“-ს. ის მოათავსეს თბილისის ციხეში. (1; №184)
- რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკური ანუ რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა და კავკასიის საერთო ბოლშევიკების პარტიულმა თათბირმა განიხილა საქართველოში საყოველთაო აჯანყების საკითხი, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობას და ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას.)
- გაიხსნა საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირი თბილისსა და მანგლისს შორის, რომლით სარგებლობაც შეუძლია საზოგადოებას. (1; №185)

16 აგვისტო

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი გაეცნო რა იმ ტენდენციურ და პროვოკაციულ წერილებს, რომლებიც სისტემატიურად იბეჭდებოდა გაზეთ „გრუზიაში“ და მიიღო რა მხედველობაში, რომ ისინი მიმართულია საქართველოსთან მეგობრულ განწყობილებაში მყოფი სახელმწიფოს წინააღმდეგ და მათი მიზანია ჩამოაგდოს ორ ერს შორის შუღლი და მტრობა, დაადგინა: გაზეთი „გრუზია“ იქნას დახურული, ხოლო სტამბა და რედაქცია დაბეჭდილი. (1; №182)
- გაიმართა მთავრობის სხდომა, სადაც გზათა დეპარტამენტის დირექტორმა წაიკითხა მოხსენება მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, ხოლო შრომის მინისტრმა ხელფასის ახალი ტარიფის შესახებ. (1; №186)

17 აგვისტო

- დილის 10 საათზე ორთაჭალაში გაიმართა მებაღეთა, მუშების და ბაღის მოჯარადრეთა საზოგადო კრება ტექნიკური საკითხების განსახილველად. (1; №187)
- მუშათა კლუბში ბავშვთა დღესასწაული მოეწყო, სადაც წარმოდგენილი იყო პიესა თვითონ ბავშვების მონაწილეობითვე. ასევე მოეწყო სხვადასხვა გასართობი ღონისძიებები. (4; №187)

18 აგვისტო

- დღის 12 საათზე შრომის სამინისტროში შედგა მთავრობის კომისიის სხდომა საქართველოს რკინიგზის დაშავებული მუშების პენსიის გასადიდებლად და სახელმწიფო მოსამსახურეთა პენსიის წესდების შესამუშავებლად. (1; №187)
- ბაქოდან ცენტრალურ სასურსათო საბჭოს მოუვიდა 25 ვაგონი თეთრი ფქვილი. (1; №187)
- საღამოს 11 საათზე სახალხო გვარდიის ყარაულებმა მოკლეს გრ. ჩხეიძე. (1; №185)

19 აგვისტო

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოსცა დადგენილება, რომლის მიხედვითაც ყალბი ცნობების მოთავსების გამო გაზეთ „კავკაზსკოე სლოვოს“ გამოცემა შეჩერდა, ხოლო რედაქცია დაიბეჭდა. (1; №184)
- დილის 10 საათზე მოკავშირეთა უმაღლესი კომისარი ამიერკავკასიასა და სომხეთში, ამერიკის პოლკოვნიკი უილიამ ჰასკელი ოფიციალური ვიზიტით მივიდა ევგენი გეგეჭკორთან, რომელიც მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. ვიზიტის შემდეგ სტუმარმა დაათვალიერა სასახლე და კმაყოფილი დარჩა. (1; №185)
- შესდგა სატარიფო პალატის სხდომა. სხვა საქმეების გარდა სატარიფო პალატამ განიხილა ქსნის ანდრიოლეტის ქარხნის მუშების მოთხოვნილება, რომელთაც მოემატათ ჯამაგირი, მოზრდილებს 15%, ხოლო უფროსებს 10%. (1; №187)
- მთავრობის სხდომამ გადაწყვიტა სახელმწიფო თეატრისთვის ყოველ თვე მიეცათ 16 000 მანეთი 10 მილიონიანი ფონდიდან. (1; №189)

20 აგვისტო

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკაკი შანიძემ განაახლა არაბული ენის ლექციების კითხვა. (1; №185)
- დღის 12 საათზე სწრაფი მატარებლით თბილისიდან ერევანში გაემგზავრნენ ამერიკის მისიის წევრები პოლკოვნიკ ჰასკელის მეთაურობით. სადგურ კობამდე ისინი გააცილა გზათა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორმა ჭიჭინაძემ და მოძრაობის უფროსმა გ. აბელოვმა. (1; №187)
- ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგმა დაამტკიცა კავკასიურ-ევროპული ბანკის (ყოფილი „ფრიდონოვისა და ამხანაგობის“) წესდება. (1; №199)

21 აგვისტო

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულმა საგანგებო რაზმმა სტამბა „ეკონომია“-ში, რომელიც ეკუთვნის ავაკ აკოპოვს, აღმოაჩინა ბოლშევიკური ბროშურები, პროკლამაციები და მოწოდებები ქართულ და რუსულ ენებზე. ბროშურების რაოდენობა იყო დაახლოებით 5 ფუთი. აღნიშნულ ბროშურებს კონფისკაცია გაუკეთეს, ხოლო აკოპოვი დააპატიმრეს. ამავე რაზმის უფროსმა მექი კედიამ დაიჭირა პანაიტ აკრიტოსი, რომელიც ბერძენ მოსახლეობაში საქართველოს რესპუბლიკის წყობილების საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდა. (1; №185)
- გაიმართა ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელზეც სამ ხმოსანს სოციალ-დემოკრატების სიიდან მოეხსნათ უფლებამოსილება, რადგან ისინი 6 თვის განმავლობაში არ გამოცხადებულან საბჭოში. მათი ადგილი დაიკავეს კავკასიძემ, მამედოვმა და ვადაჭკორიამ. (1; №188)

22 აგვისტო

- თბილისიდან გუმბრში გაემგზავრა 35 ვაგონი, რომლებშიც სომეხი ლტოლვილები იმყოფებოდნენ. (1; №187)
- რესპუბლიკის საზღვრებიდან გასასვლელი მოწმობების გაცემა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გადაეცა თბილისის მილიციის უფროსს. (1; №187)
- სამხედრო მინისტრმა გამოსცა ბრძანება, რომ ყველა ჯარისკაცი, რომელიც დაკავებული იყო სამსახურში თანახმად გენერალური შტაბის 2 ივნისის დეპეშისა, უნდა დაითხოვონ პირველი სექტემბრიდან თანდათანობით. (1; №198)
- თბილისში არსებულმა და მოქმედმა ჩრდილოეთ კავკასიელთა კომიტეტმა საქართველოს ხელისუფლებას სთხოვა სამხედრო დახმარება აღმოეჩინა დენიკინის მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

23 აგვისტო

- გენერალმა ზაქარიაძემ აცნობა სანაპირო ჯარებს, რომ დაბრუნდა სადგურ ნატანებიდან, სადაც უბნის დასათვალიერებლად იყო ჩასული. (1; №198)
- გურიის სამომრიგებლო ოლქის ყრილობის მდივანს სერგო ჩერეპნოვს მიეცა ერთი თვით თავისუფლება ავადმყოფობის გამო. დაბრუნებამდე მისი მოვალეობის აღმსრულებლად დაინიშნა მისი თანაშემწე ნესტორ ჩხატარაიშვილი. (1; №200)

24 აგვისტო

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით ინგლისელთა მისიამ აცნობა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამიერკავკასიაში აგზავნის პოლიტიკურ მისიას ოლივერ უორდროპის მეთაურობით, რომელსაც ერქმევა ბრიტანეთის მთავარი კომისარი. მისიის მიზანი იყო შეეკრათ კავშირი ამიერკავკასიის მთავრობებთან და გაეცნოთ მათთვის ბრიტანეთის ინტერესები ამიერკავკასიაში. ოლივერ უორდროპი იყო „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე მთარგმნელის მარჯორი უორდროპის ძმა. (1; №188)
- გაიმართა ბორჯომის სარაიონო ხმოსანთა საზოგადო მეორე კრება. წაიკითხეს მოხსენებები დეზერტირების, სესხის აკრეფის და ჯამაგირის შესახებ. ასევე გადაწყდა ბორჯომში იაფფასიანი სასადილოს გახსნა. (1; №201)

25 აგვისტო

- ქ. თბილისის გარნიზონის უფროსმა გენერალმა გედევანიშვილმა თბილისის კომენდანტის მოვალეობა დააკისრა მაიორ ფურცელაძეს. მან ასევე გამოსცა ნორმების მარეგულირებელი რამოდენიმე ბრძანება. (1; №193)

26 აგვისტო

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით დუშეთში დაარსდა მოძრავი ჯარისკაცთა უნივერსიტეტი, სადაც ლექტორები დარიალში და სხვადასხვა სადარაჯოებზე იგ-

ზავნებოდნენ და წაიკითხავდნენ ლექციებს. ამისთვის შედგა კულტურულ-საგანმანათლებლო კომისია, რომლის წევრები იყვნენ: ნ. ჩიმაკიძე, ალექსიშვილი და ნ. წივწივაძე. ასევე გადაწყდა მოძრავი ბიბლიოთეკის მოწყობაც. (1; №189)

- გენერალი ახმეტელაშვილი გაემგზავრა ქ. სიღნაღში, სიღნაღის რაზმის დასათვალიერებლად, ამავე რაზმის უფროსის, პოლკოვნიკ ქარცივაძის თანხლებით. დროებით მისი მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა მისი თანაშემწე პოლკოვნიკი კავკასიძე. (1; №198)

27 აგვისტო

- ბათუმში ჩამოვიდა ბრიტანეთის მთავარ კომისრად დანიშნული ოლივერ უორდროპი. (1; №192)
- თბილისში გაიხსნა ჩრდილოეთ კავკასიელი მთიელი ხალხების კონფერენცია, რომელიც 3 სექტემბრამდე მიმდინარეობდა. შეიქმნა სამოკავშირეო მეჯლისი.

28 აგვისტო

- ბათუმში გაიგზავნა სწრაფი მატარებელი ინგლისის წარმომადგენელ უორდროპისთვის. გზათა დეპარტამენტის დირექტორის ვ. ჭიჭინაძის განკარგულებით მის გამოსაცილებლად გაიგზავნა ექსპლუატაციის უფროსი გ. აბელოვი.
- მთავრობამ გადაწყვიტა, რომ გაუქმებული თბილისის საცენზურო კომიტეტის წიგნთსაცავის წიგნების, პერიოდული გამოცემების და ჟურნალ-გაზეთების თითო ეგზემპლიარი უნდა გადასცემოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ხოლო დანარჩენი ფონდი საჯარო ბიბლიოთეკას. (1; №198)
- სისხლის სამართლის მილიციის უფროსი ფაჩულია თბილისში დაბრუნდა და თავისი მოვალეობის ასრულებას შეუდგა. (1; №199)
- საბიუჯეტო-სახაზინო განყოფილების რეგისტრატორად დაინიშნა გიორგი კაპანაძე. (1; №204)

29 აგვისტო

- გაიმართა ლანჩხუთის საბჭოს სხდომა. სხდომაზე განიხილეს საგზაო, საფინანსო და ქალაქის საყოფაცხოვრები საკითხები. (1; №201)
- დ. კალანდარიშვილი დაინიშნა თბილისის სასახლის მეთვალყურედ. (1; №203)

30 აგვისტო

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ცნობით გუდაუთაში შეიპყრეს ცნობილი ყაჩაღი კოკი დადიანი. (1; №193)
- სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ერვანდ მალხაზოვი, რომელსაც ბრალი ედებოდა ნიკოლოზის ფულის გაყიდვაში. მას აღმოაჩნდა 39 ცალი ხუთას მანეთიანი. მალხაზოვის სიტყვით ის ღებულობდა ნიკოლოზის ფულს გასაყიდად სერებრიაკოვის

დასახურდავებელი კანტორიდან და საკომისიოს ღებულობდა. მისი თქმით მისი მსგავსი თანამშრომლები სხვებიც იყვნენ. აღნიშნული საქმე და 19 500 მანეთი გადაეცა სასამართლო პროკურორს. (1; №199)

31 აგვისტო

- სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის ინიციატივით ბათუმში გაიხსნა სამუსლიმანო საქართველოს წარმომადგენელთა პირველი ყრილობა. ყრილობამ მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილება: „ამიერიდან და სამარადისოდ ბათომი და ბათომის ოლქი შეუერთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს საქართველოს რესპუბლიკას, სამუსლიმანო საქართველოს ფართო ავტონომიის ნიადაგზე...“
- გაიმართა ფრონტის „პროლეტარული დღის“ მიტინგები ავლაბრის და ორთაჭალის მუშათა კლუბებში ო. ლაცაბიძის თავმჯდომარეობით. (1; №200)
- გზათა მინისტრმა ნოე ხომერიკმა გამოსცა განკარგულება საავტომობილო განყოფილების მიმართ: ვინაიდან 23 აგვისტოს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას სატრანსპორტო საზოგადოებასთან და მთელი ქონება, გარდა იმისა რაც სჭირდება მთავრობის სხვადასხვა დაწესებულებებს, უნდა გადაეცეს აღნიშნულ საზოგადოებას. (1; №200)

1 სექტემბერი

- საღამოს სადგურ იალალიიდან ჩამოვიდნენ ლტოლვილი მოლოკნები. (1; №197)
- შინაგან საქმეთა სამინიტრომ მადლობა გადაუხადა ფოთის ქალაქის მილიციის მთელ შემადგენლობასა და მის უფროსს ნოდიას, ქალაქში წესრიგის დასამყარებლად, ნაყოფიერი ზომების მიღბისათვის. (1; №198)

2 სექტემბერი

- 12 სთ და 3 წთ-ზე თბილისში ოდნავ იძრა დედამიწის ზედაპირი. (1; №197)
- დღის 1 საათზე სასწრაფო მატარებლით N6 რომიდან თბილისში ჩამოვიდა რომის პაპ ბენედიქტის დიპლომატიური წარმომადგენელი ანტონ დელფუშე. (1; №197)
- ბათუმიდან თბილისში ჩამოვიდა ამერიკის შვიდკაციანი მისია. (1; №197)
- იალალიიდან ჩამოსული ლტოლვილი მოლოკნები, 2 სექტემბერს გაიგზავნენ 16 ვაგონით ყარსში თავის ძველ ბინებზე. (1; №197)
- აქში ყველა საზოგადო, სავაჭრო, სამრეწველო და სხვა დაწესებულებაზე მთავარი წარწერა უნდა იყოს ქართულ ენაზე. სხვა ენაზე წარწერა მცირე ზომით მეორეხარისხოვან ადგილას შეუძლიათ გამოაკრან. მართლწერის და სტილის დასაცავად ყველა მეპატრონე ვალდებულია ტექსტი წინდაწინ წარუდგინოს ქალაქის თვითმართველობის სეკრეტარიატს დასამტკიცებლად. თუ მეპატრონე არ შეასრულებს ამ პირობას, მაშინ ის ხელოსანმა უნდა წარადგინოს. (1; №199)
- შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხსენება ახალქალაქის მაზრაში მილიციის დაარსების შესახებ მიღებულია, ხოლო ხარჯების და შტატების შესახებ დეკრეტის შედგენა შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალა დამფუძნებელ კრებაში წარსადგენად. (1; №201)

- ცენტრალურმა სასურსათო საბჭომ გამოაქვეყნა, რომ 2 სექტემბრის დადგენილების თანახმად მთავრობის მიერ ნებადართულია ტკბილეულობის დამზადება საკონდიტროებში და მსგავს დაწესებულებებში. დღემდე გამოცემული ყოველგვარი სავალდებულო დადგენილებები ტკბილეულობათა დამზადების შესახებ ამიერიდან გაუქმებულია. (1; №205)

3 სექტემბერი

- სხდომაზე განიხილეს საკითხი ვაჭარ-მრეწველთა და ხმოსანთა მიერ სპეკულანტების ფასის აწევის შესახებ. საჭიროა დაარსდეს ზედამხედველთა ინსტიტუტთან ბაზრის დროებით მეთვალყურის ახალი შტატები. თითო მეთვალყურეს ბრძოლის კანონის თანახმად მათი დასჯის უფლებაც მიეცეს. (1; №199)

4 სექტემბერი

- თბილისში აჭარიდან ჩამოვიდა 23 კაციანი დელეგაცია საქართველოს მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. (1; №198)
- სომხეთის პარლამენტის 4 სექტემბრის სხდომაზე თავჯდომარე მიესალმა საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელ მახარაძეს. თავჯდომარემ ამ ორი ქვეყნის საერთო ინტერესებზე ისაუბრა. მან მწუხარება გამოთქვა იმ კონფლიქტის გამო, რომელშიც შარშან მოხდა მათ შორის და სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ეს კონფლიქტი უკვე დავიწყებულია და ისევ კეთილმეზობლობენ. ორივეს მიზანია დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. თავმჯდომარე აცხადებს, რომ საქართველოს მთავრობა თანახმაა აღადგინოს status quo და სადაო საკითხები შეთანხმებით გამოარკვიოს. ორივე მთავრობამ უნდა გამონახონ ახალი გზები, რათა შეაერთონ აღმოსავლეთის ორი დემოკრატიული ერი თავის უფლებათა დასაცავად. (1; №202)
- ქუთაისის სახალხო გვარდიის ბინაში შედგა ქუთაისის ოლქის გვარდიელების ყრილობა, რომელსაც დაესწრო მთავარი შტაბის თავჯდომარე ვალიკო ჯუღელი. ყრილობა გახსნა ქუთაისის შტაბის თავჯდომარემ ნიკ. ჭუმბურიძემ, რომელიც თავმჯდომარედ აირჩიეს. დაესწრო 24 დელეგატი. კრებაზე გაკეთდა 1. მოხსენება მომენტზე. 2. მოხსენება ადგილებიდან. 3. მოხსენება ფრონტიდან. 4. სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთ მისალმება. 5. მომავალი მუშაობა. 6. ახალი საოლქო შტაბის არჩევნები, რომელიც იქნა მიღებული. (1; №205)
- სიღნაღის სამაზრო ერობის გამგეობის წევრი ახმეტელაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპეშით ატყობინებს, რომ 3-4 სექტემბერს ყაზახის მაზრის თათრებმა ივრიდან და ელდარიდან 83 სული მუშა-საქონელი გაიტაცეს და 6 კაცი ტყვედ წაიყვანეს. ის სთხოვს სამინისტროს სათანადო ზომები მიიღონ, მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად. (1; №207)
- ქალაქის საბჭომ დაადგინა: ყველა ის მესაკუთრე, რომელთაც ამ წლის 1 იანვრიდან ქ. თბილისში შეუძენიათ უძრავი ქონება, მიწა ან სახლი 10 000 მანეთზე მეტი ღირებულების, დაიბეგროს სანიტარული გადასახადით გამგეობის შეხედულობით, მაგრამ

არა უმცირეს ნორმებისა, რომლებიც მიღებულია ჯამაგირებიანი ხალხისათვის. (1; №210)

5 სექტემბერი

- ფინანსთა სამინისტრომ უკვე შეიმუშავა სტუდენტების კანდიტატთა სია, რომლებიც სპეციალური უმაღლესი განათლების მისაღებად ევროპაში უნდა გაიგზავნონ. სულ წარმოდგენილი იყო 121 თხოვნა, საიდანაც შეირჩა 19 სტუდენტი: 1.ალშიფანია ეპიფანე ნესტორის ძე – ელექტროობა; 2.ახვლედიანი ვალერიან – სამთო მრეწველობა; 3. ბაქრაძე გიორგი – ელექტროობა; 4.ბერიკაშვილი დავით – მეტალურგია; 5.გოგიჩაიშვილი – ეკონომისტი; 6. ედიბერიძე გიორგი – სამთო მრეწველობა; 7.ელიავა ზურაბ – ეკონომისტი. 8.ლაზარაშვილი ივანე – სამთო მრეწველობა; 9.კობახიძე კონსტანტინე – ფინანსები; 10.მესხი ნიკოლოზი – ელექტრო მექანიკოსი; 11.ნაზაროშვილი ალექსანდრე – ელექრო ტექნიკოსი; 12. პაპასკირი ლიდია – ეკონომისტი; 13. ცაგურია ნიკოლოზ – მეტალურგი; 14. ცეკვაშვილი მიხეილ – ეკონომისტი; 15.ჩომახიძე სპირიდონ – საქონეთლა მეცნიერება; 16. ჩხენკელი ი. – ტექნოლოგი; 17. კახაძე გრიგოლ; 18. ქიქოძე გაბრიელ; 19. წულეისკირი მირონ. მათგან მხოლოდ სამია საშუალო განათლებით, დანარჩენი კი დამამთავრებლი კურსის სტუდენტია. (1; №198)
- ახალქალაქიდან იუწყებიან, რომ გვალვამ და მინდვრის თაგვმა ნათესები გაანადგურა. მოსახლეობა გაჭირვებულ მდგომარეობაშია, რის გამოც ჯგუფ-ჯგუფად სახლდება ახალქალაქის მაზრიდან. რამდენიმე ათასი ბავშვი უპატრონოდაა დატოვებული. (1; №198)
- იუსტიციის სამინისტროში მიღებული ცნობების მიხედვით 5 სექტემბერს სიღნაღში, გარნიზონის უფროსის და სხვა თანამდებობის პირთა თანდასწრებით სისრულეში მოიყვანეს საგანგებო სასამართლოს დადგენილი სასჯელი (სიკვდილით დასჯა) ა. სარაჯიშვილის მკვლელთაგან 6 დამნაშავეზე. დანარჩენ 3 დამნაშავეს სიკვდილით დასჯა შეუცვალეს უვადო კატორღით. დახვრიტეს: ალექსი ლისაშვილი, ნიკო კოკოლაშვილი, ლევან ზარდიაშვილი, გიორგი მინდორაშვილი, ივანე ლორთქლიშვილი და გიორგი ტიფლიშვილი. (1; №211)

6 სექტემბერი

- საქართველოს სასურსათო საბჭომ ბაქოდან მიიღო 50 000 ფუთი ფქვილი. (1) № 200
- 6 სექტემბერს სურამის ისრაელებმა თავის მრავალრიცხოვან კრებაზე, რომელსაც თავჯმდომარეობდა ქალაქის თავი ხიდიბეგიშვილი, მ. დავარიშვილის მოხსენების შემდეგ დაადგინეს: მისალმებოდნენ თავისუფალ საქართველოს დამფუძნებელ კრებას და ეცნობებინათ დემოკრატიული მთავრობისთვის, რომ აღელვებთ შოვინისტური და აღმაშფოთბელი გამოსვლები, რომელსაც სჩადიან ორიოდე თავხედი სიონისტი, პროვოკაციული ქაღალდებით. კრება სასტიკად გმობს მათ მოქმედებას. ხელს აწერენ: რაბინი დ. მ. ჯანაშვილი. ხმოსანი მ. ჯანაშვილი, ხმოსანი გ. დავრიშვილი. (1; №204)

7 სექტემბერი

- თბილისში საგანგებო მატარებლით ჩამოვიდნენ სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის თავმჯდომარე და წარმომადგენლები, მეჯლისის დადგენილების დასამტკიცებლად. მათ სადგურზე დახვდნენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის, დამფუძნებელი კრების წევრები და ქალაქის მოურავი. აჭარელთა წარმომადგენელები აბასთუმანში უკვე წარუდგნენ მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას. მთავრობის თავმჯდომარემ მათ წარმოთქმულ სიტყვაზე პასუხი გასცა და იმედი გამოთქვა, რომ მათი კავშირი საქართველოსთან მტკიცე და გულწრფელი იქნება. სასტუმრო „ორიენტში" აჭარლებს გაუმართეს სადილი. (1; №200)

8 სექტემბერი

- რესპუბლიკის მომარაგების მთავარი სამმართველოს საბჭოს სხდომაზე გადაწყდა, რომ საჭიროა თამბაქოზე მონოპოლიის შემოღება. ეს იმ გეგმის ნაწილია, რომლითაც სხვადასხვა სამონოპოლიო საქონელი მთავრობის ხელში დაგროვდა. მონოპოლია მოსპობს იმ ვაკხანალიას, რომელიც ეხლა არსებობს ბაზარზე თამბაქოს ფასების გარშემო. მიწათმოქმედების მინისტრის ნოე ხომერიკის წინადადებით მუშავდება ღონისძიებები მეთამბაქოობის განსავითარებლად, მეთამბაქოელთა წასახალისებლად და სპეკულანტებისგან მათ გადასარჩენად. (1; №203)

9 სექტემბერი

- ფოთში ჩამოვიდა გერმანიის გემი „ედუარდი", მიწის სამუშაო იარაღით საქართველოს მთავრობის სახელზე. (1; №204)
- კავკასიის საერთო ბოლშევიკურმა პარტიულმა თათბირმა მიიღო სპეციალური დადგენილება საქართველოში საყოველთაო აჯანყების შესახებ, თანახმად რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მითითებისა.
- გენერალმა ჯიჯიხიამ გამოაგზავნა დეპეშა სადაც იტყობინება, რომ ქართულმა კაპელამ დაასრულა საკონცერტო ტურნე. 7, 8 ,9 სექტემბერს გამართა სამი კონცერტი ფრონტზე ახალ და ძველ გაგრაში. კოოპერატივთა კავშირს და ქართულ სამუსიკო საზოგადოებას ამაყად შეუძლიათ თქვან, რომ მათ ჩაუყარეს საფუძველი დიდ კულტურულ საქმესო. კონცერტს წინ უძღოდა ზაკსოუზის წარმომადგენლის ვლადიმერ ემუხვარის სიტყვა. გაგრის ფრონტის ჯარი მადლობას უხდის „კაპელას". (1; №204)

10 სექტემბერი

- 10 სექტემბერს ქართულ კლუბში, თბილისში სტუმრად მობრძანებულ აზერბაჯანის მთავრობის თავმჯდომარის ნასიბ ბეკ იუსუმბეკოვის პატივსაცემად გაიმართა რაუტი. მას დაესწრნენ აზერბაიჯანის მთავრობის წევრები, აჭარელთა და ბათუმელთა თავმჯდომარეები მამედ ბეგ აბაშიძე და ჯამალ ბეგ ხიმშიაშვილი. სტუმრებს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია და სხვა წევრები შეხვდნენ. აღნიშ-

ნეს ორ ქვეყანას შორის მეგობრული და საერთო ინტერესების შესახებ. იუსუბბეკოვს დ. ვ. აბხაზი თათრულ ენაზე მიესალმა და აღნიშნა, რომ მან ხელი შეუწყო აჭარის საკითხის კეთილად დაგვირგვინებას. საპასუხოდ აბაშიძემ და ხიმშიაშვილმა მადლობა გადაუხადეს საქართველოს მთავრობას და საზოგადოებას მზრუნველობის გამო. გიორგი გვაზავამ კი აღნიშნა რომ მეცნიერების გავლენით თანდათან ირღვევა სარწმუნოებრივი მირაჟი, რომელიც ძმებს ყოფდა ორ ბანაკად. (1; №205)

11 სექტემბერი

- შინაგან საქმეთა სამინისტროს დადგენილებით სამი თვით ციხეში ყოფნა მიესაჯათ ყარამან ზვანგაიას, მიხეილ მარღანიას, ომარ ემუხვარს, რაჟდენ კაკუბავას და სპირიდონ ქოლბაიას, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგეებს. (1; №203)
- აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარე შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობს, რათა სოხუმის აგრონომიული კაბინეტი აფხაზეთის კომისარიატს გადაეცეს. (1; №203)
- მიწათმოქმედების სამინისტროსთან არსებულმა წყალთა სამმართველომ უკვე დაამთავრა და მალე მთავრობას წარედგინება დასამტკიცებლად ფოთის ჭაობების დაშრობის პროექტი. ე. წ. „ფოთის ჭაობიანი ადგილები" რიონისა და ხობის შუაა და წარმოადგენს 50 000 დესეტინა სივრცეს. პროექტი გულისხმობს 6 000 დესეტინა სივრცის ამოშრობას ჭალადიდსა და ქვალონის შუა, რადგან ამ ნაწილის ამოშრობა უფრო ადვილი და იაფია. ჭაობის ამოშრობით შესაძლებელი იქნება სიმინდის მოყვანა. დესეტინაზე წელიწადში 120 ფუთი სიმინდი, სულ კი 72 000 ფუთი, რაც შეამცირებს მიწის სიმცირეს ქუთაისი გუბერნიაში. (1; №203)
- საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილება აქვეყნებს ადგილობრივ პრესის საყურადღებოდ, რომ მათ მიიღეს წერილი ამიერკავკასიის უმაღლესი კომისარის პოლკოვნიკ ჰასკელისგან, სადაც იგი აღნიშნავდა, რომ ადგილობრივ პრესაში იბეჭდებოდა მის შესახებ არასწორი ცნობები. ის სთხოვდა რომ გააფრთხილოს პრესა, რათა არ დაბეჭდონ მის მიერ ხელმოუწერელი ცნობა, რომელიც არ იქნება გაგზავნილი პრესისთვის საგარეო საქმეთა სამინისტროს საშუალებით. (1; №203)
- გაიხსნა საქართველოს ერობების წარმომადგენელთა II ყრილობა, სადაც წარმოდგენილია 13 ერობა, სოხუმის ოლქიდან და რაჭის მაზრიდან დელეგატების გარდა. ყრილობის თავმჯდომარედ აირჩიეს დავით ონიაშვილი, მოადგილეებად შიო ჭანტურიშვილი და ლეო შენგელაია, მდივნებად: დ. ჩხეიძე და მენაღარიშვილი. ყრილობას მიესალმა შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი, რომელმაც აღნიშნა ერობის სახელმწიფო მნიშვნელობა. ქალაქთა კავშირის სახელით ყრილობას მიესალმა მ.რუსია. არჩეული იქნება ორი კომისია: საბიუჯეტო და საკანონმდებლო. (1; №204)
- გენერალ-მაიორ ბიჩის გამგზავრების გამო მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ დეპეშით მიმართა და ბოდიში მოუხადა, რომ ჯამრთელობის გაუარესების გამო

იგი ვერ გამოემშვიდობა და იმედს გამოთქვამს, რომ ჩვენს ერს არ დაივიწყებს, ასევე, მას საპასუხო წერილით მიმართა გენერალ-მაიორმა ბიჩიმ, რომ ის ქართველი ხალხის კეთილის მსურველია და ნოე ჟორდანიას მეგობარიც. (1; №203)

12 სექტემბერი

- აჭარის დელეგაცია წარუდგა საზავო კონფერენციის საგანგებო უმაღლეს კომისარს პოლკოვნიკ პასკელს და ბრიტანეთის პოლიტიკური მისიის თავმჯომარეს ოლივერ უორდროპს. დელეგაციას კარგად შეხვდნენ და ხანგრძლივი ლაპარაკი ჰქონდათ. (1; №206)
- ღამით ბოროტმოქმედებმა, როცა სასწრაფო მატარებელს უნდა გამოევლო ლიანდაგი აყარეს სადგურ ქსნიდან 2 ვერსის მანძილზე. ვაგონი ხევში გადაეშვა, ოცმა ბოროტქმოქმედმა დაიწყო მგზავრების ძარცვა. ავარიის შედეგად დაიღუპა მემანქანე, მისი თანაშემწე და კორესპონდენციის კონდუქტორი. მალე მცხეთიდან მოვიდა ჯავშნიანი მატარებელი და დაიწყეს სროლა. აქვე მოვიდნენ გზის მინისტრი და სხვა გვარდიელები. დაზარალებულებს დახმარება აღმოუჩინეს. (1; №207)

13 სექტემბერი

- ვერის დაღმართზე, საქართველოს სამხედრო უწყების ავტომობილს N20, რომლითაც რუსთაველისკენ მიდიოდნენ მოხალისეთა ჯარის წარმომადგენელი ამიერკავკასიაში, კავალერიის გენერალი ბარათოვი, საქართველოს ჯარის გენერალ-ლეიტენანტი ილია ოდიშელიძე და პოლკოვნიკი სელიმ გეორგის ძე ალხავი, ორი ყუმბარა ესროლეს, რომელიც მანქანის ქვეშ გასკდა. დაიღუპა ალხავი, მძღოლი ვასილ ჟუჟიაშვილი, მისი თანაშემწე შალვა სამათაძე. გენერალი ბარათოვი ფეხებში დაიჭრა, ხოლო გენერალი ოდიშელიძე სახეზე. ბოროტმოქმედი მძიმედ დაჭრილი მალევე გარდაიცვალა. იგი აღმოჩნდა რაჭის მაზრის, სოფ წესის მცხოვრები არკადი ელბაქიძე, ცნობილი ბოლშევიკი. (1; №207)
- გაიმართა საქართველო რესპუბლიკის ერობათა წარმომადგენლების II ყრილობა. (1; №206)
- საღამოს სასტუმრო „ორიენტში" საქართველოს მთავრობამ აჭარის დელეგაციის საპატივსაცემოთ გამართ რაუტი. მას დელეგაცია სრულად დაესწრო, მემედ ბეგ აბაშიძის ხელმძღვანელობით, საქართველოს მთავრობიდან ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი. სიტყვა თქვა მოლა ისკანდერ ეფენდი ცივაძემ, სამხედრო მინისტრმა ნოე რამიშვილმა, ნიკო ნიკოლაძემ, ნოე ჟორდანიამ. თამადობა ბენია ჩხიკვიშვილმა გასწია. (1; №207)

14 სექტემბერი

- ზუბალაშვილის სახალხო სახლში გაიხსნა გვარდიელების წარმომადგენელთა ყრილობა. აქ იყვნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, მუშები და ა. შ. იყო ეროვნული და წითელი დროშები. ყრილობა გახსნა შტაბის უფროსმა ვალიკო ჯუღელმა. აირჩიეს პრეზიდიუმი, ხოლო თავჯდომარედ გრიგოლ ლორთქიფანიძე, მოადგილეებად ნიკოლოზ ჭუმბურიძე და ძამაშვილი. (1; №207)

15 სექტემბერი

- გრძელდებოდა საქართველოს რესპუბლიკის ერობათა წარმომადგენლების მეორე ყრილობა. სადაც განიხილეს სხვადასხვა საკითხები, ყრილობის შედეგად საქართველოს ერობების ხელში გადავიდა ადმინისტრაცია, სკოლა, სასამართლო, საადგილმამულო საქმეები, სანიტარია და სხვა. (1; №210)
- სამტრედიის ქალაქის საბჭომ მიიღო დადგენილება სასტუმროს გახსნის და მათი სარგებლობის შესახებ. (1; №249)
- სწავლა დაიწყო თბილისის სასწავლებლებში. (1; №207)
- ა. შერლინგი დანიშნეს თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიაში, მუსიკის თავისუფალ გაკვეთილებზე მასწავლებლად. (1; №214)

16 სექტმბერი

- მთავრობის თავმჯდომარეს, ბაქოდან, აზერბაიჯანის მთავრობის თავმჯდომარის უსუფბეკოვის დეპეშა მოუვიდა სადაც ეწერა, რომ გენერალ ოდიშელიძეზე თავდასხმის ამბავს აზერბაიჯანის მთავრობა დიდი აღშფოთებით შეხვდა და სთხოვს მათ გენერალ ოდიშელიძეს გულწრფელი მწუხარება გადასცენ მასზე თავდასხმის გამო. ასევე მწუხარებას გამოთქვამდნენ გენერლები მეხშანდაროვი, სულკევიჩი, შიხლინსკი და პოლკ კარგარეთელი. (1; №207)
- მთავრობის თავმჯდომარეს დეპეშა მოუვიდა, დაბა წალენჯიხიდან (ზუგდიდის მაზრა), სადაც მოხდა პირველი კრება სახალხო გვარდიელთა, ისინი გულწრფელ სალამს უძღვნიან. ხელს აწერს თავმჯდომარე ლადო კვარაცხელია. (1; №207)
- შრომის სამინისტროს ცნობა მოუვიდა, რომ დამსაქმებლები თავის დასაქმებულებს პროდუქტს იაფ ფასში აძლევენ, მუშა სახალხო გვარდიელების ოჯახებს კი არ აძლევენ, იმ დროს როცა გვარდიელები ფრონტზე მიდიან. შრომის სამინისტრო აცხადებს, რომ სახალხო გვარდიის კანონის თანახმად, სახალხო გვარდიელებს ენახებათ ადგილები, ყველა იმ პრივილეგიით, რომელიც სამსახურშია დაწესებული. ამის გამო თუ მუშა სახალხო გვარდიელი ფრონტზე გაიგზავნება მისი ოჯახები სარგებლობენ იმ პრივილეგიით რითაც სარგებლობდა მუშაობის დროს. ისინი აგრეთვე პროდუქტებს მიიღებენ იაფ ფასში. (1; №207)
- განათლების სამინისტრომ 200 000 მანეთი გადასცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, სუბსიდიის სახით, სახელმძღვანელოების დასაბეჭდავად. (1; №207)
- ქუთაისსა და ბაღდათს შორის დაიწყო ავტომობილების მიმოსვლა. ქუთაისის ქალაქის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს ავტომობილებით მიმოსვლა მოაწყოს ხონსა და ქუთაისს შორის. (1; №215)
- დაბა უდეში ჩავიდა რომის პაპის წარმომადგენელი 6 თანმხლებ პირთან ერთად. მათ შეეგება ადგილობრივი ეკლესიის მღვდელი თომა იგითხანოვი, რომელმაც ეკლესიის საქმეები გააცნო, ასევე მისი გაძარცვის შესახებ. წარმომადგენელი დაპირდა, რომ პაპს მოახსენებდა ამის შესახებ. შემდეგ, ადგილობრივი გვარდიის უფროს პ. რუხაძის, ფოსტის უფროსის

ყანჩაველის და 40 გვარდიელის თანხლებით წარმომადგენელი გაემგზავრა არალში. (1; №222)

- ხაშურის ერთ მიყრუებულ უბანში აღმოაჩინეს ქურდების ბუდე, რომელიც აბანოში იყო მოწყობილი. მათ ხელძღვანელობდა აბანოს მოიჯარადრე მჭედლიშვილი. აქ ნახეს რკინიგზაზე ნაქურდალი. (1; №207)

17 სექტემბერი

- ნეიტრალური ზონის კომისარი ლორთქიფანიძე შინაგან საქმეთა სამინისტროს აუწყებს რომ 17 სექტემბერს სომხეთიდან გადმოსულან ს. დოსიხში მცხოვრებნი და კორინჯელებისათვის წაურთმევიათ საქონელი, ფული და სხვ. ითხოვენ დახმარებას. (1; №217)

18 სექტემერი

- „დაშნაკცუტიუნ"-ის ცენტრალური კომიტეტი საქართველოში შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობს, რათა ნება მისცენ სტამბა თბილისიდან ერევანში გადაიტანონ თავისი მოწყობილობებით. (1; №209)
- აზერბაიჯანის მთავრობას მიეცა 20 000 წყვილი ფეხსაცმლის, დამუშავებული მაგარი ტყავის მარლა. სულ 1125 ფუთი. ასევე დამუშავებული რბილი ტყავის მასალა 20 000 ფუთი. ყოველ ფუთზე აზერბაიჯანი იხდის 2 000 მანეთს. ამის გარდა თითო ფუთზე უთმობს 7-7 ფუთის მაღალ ღირსების მშრალ კერმექს. (1; №209)
- მთავრობის წარმომადგენლებად, ნეიტრალური ზონის საკითხთან დაკავშირებით, სომეხ-ქართველთა კონფერენციაზე დაინიშნა შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრი ნოე რამიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კ. საბახტარიშვილი და დამფუძნებელი კრების წევრი სიმონ მდივანი. (1; №209)
- იუსტიციის სამინისტრომ დეპეშით გასცა განკარგულება რომ 1 ოქტომბერს ყველგან უნდა დამთავრდეს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებისათვის წინასწარი მუშაობა (პირების სიების დადგენა). (1; №209)
- რადგან გამოირკვა, რომ სასამართლო უწყების ზოგიერთი დაწესებულება ჯერ კიდევ რუსეთის ძველი სახის სახელმწიფო ბეჭედს იყენებს, იუსტიციის სამინისტრომ შესაფერისი განკარგულება გაუგზავნა სასამართლო დაწესებულებებს, რათა ყველამ გააკეთებინოს თავისთვის ქართული სახელმწიფო ბეჭედი. (1; №209)
- „საქართველოს რესპუბლიკის" 18 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა მადლობის წერილი, საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარეს, გენერალ მაიორ კორისაგან (ამიერ კავკასიის ბრიტანეთის ჯარის სარდალი). „1919 წ 11 სექტემბერს დამთავრდა საქართველოდან და აზერბაიჯანიდან ბრიტანეთის ჯარის ევაკუაცია. უკანასკნელმა სამხედრო მატარებელმა თბილისი ამ თვის 9-ში დატოვა. საქმე გეგმის მიხედვით მოხდა, ამაში დახმარება საქართველოს მთავრობამ პატიოსნად შეასრულა. იგი იწვევს ნდობას. მიიღეთ მადლობა ასევე მადლობა საქართველოს რკინიგზის თანამშრომლებს. ხოლო ინგლისის ჯარების გადამყვანმა ელკინსმა დეპეშა გააგზავნა სადაც მადლობას უხდის გზათა უფროს კანდელაკს, ებლოვს და ცქიტიშვილს." (1; №209)

- მთავრობის გადაწყვეტილებით, გადაიდო სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში 4 584 000 მანეთი სახელმწიფო საზღვრების დასაცავად, გასამაგრებლად, არსებულ 10 მილიონიანი ფონდიდან, სამხედრო ავიაციის საჭიროებისთვის, შენობების ასაგებად და მათ მოსაწყობათ. (1; №209)
- მომარაგების მთავარმა სამმართველომ მიიღო 59 ვაგონი საქონელი, რომელიც გერმანულ ფირმების „კორსის“ და „ემესგან“ იყო შეძენილი. ჰამბურგიდან ფოთში გემი „ქრისტეან ნებე“-თი ჩამოზიდეს. აქ არის საგაზეთო, საფოსტო, საკანცელარიო და საკრედიტო ბილეთების ქაღალდები, სალიტოგრაფიო საღებავი და მოწყობილობა, 500 ყუთი ასანთი, ელექტრონის ლამპები და მოწყობილობა, მიზერის კოჭები, დაღიანი ჭურჭელი, რადიო და ელექტრონ სადგურის მოწყობილობა, სამეურნეო იარაღები, რკინეულობა და სხვ. ამჟამად ბატონი შრეიდერი ამუშავებს ამ საქონლის განაწილების გეგმას. (1; №209)

19 სექტემბრი

- გაიხსნა დამფუძნებელი კრების მეორე სესია სადაც დღის წესრიგში იყო სამანდატო კომისიის მოხსენება დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნებისა, სენატორთა არჩევის და გზათა უწყების დეკრეტი რკინიგზის დასაცავად განსაკუთრებული რაზმის დაარსებისა. (1; №212)
- ნაძალადევის სოციალ-დემოკრატ ქალთა ორგანიზაციის მრავალრიცხოვანი კრება სახალხო გვარდიას მიესალმა და იმედი გამოთქვა, რომ ის კვლავ გააგრძელებს ბრძოლას დემოკრატიული წყობილების განსამტკიცებლად. (1; №212)
- საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიის წარმომადგენელთა I ყრილობის სხდომაზე გვარდიელთა ნიშნების შესახებ მოხსენება გააკეთა კომისიის წევრმა, რომ ის უნდა იყოს სადა და მარტივი, მოისპოს კაგარდები და პაგონები. განხილვის შემდეგ საბოლოოდ კომისიამ მოიწონა ერთი პროექტი რომელიც შემდეგნაირია: აღმართულია ბოძი რომელზედაც მიჭედილია იარაღი, ორივე მხარეს ჩირაღდანია, ერთ მხარეს ეროვნული, ხოლო მეორე მხარეს ინტერნაციონალური დროშაა, ასევე ნამგალი და ჩაქუჩი, თუმცა აქვე დასძინეს, რომ ეს დეტალი შესაძლოა შეიცვალოს სხვა შრომის იარაღების სიმბოლოთი. გადაწყდა მხატვარსა და პროექტის ავტორს იაკობ ნიკოლაძეს გადაეცეს 2 000 მანეთი, ხოლო მეორე მხატვარს 1 000 მანეთი. (1; №213)

20 სექტემბერი

- კუკიის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელს (ყოფილ მეხუთე ქალთა გიმნაზიიდან გამოყოფილს), განათლების სამინისტროს დადგენილებით ეწოდა „კუკიის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი“. მის გამგედ დაინიშნა ქალბატონი კონჩევსკაია. (1; №211)
- „საქართველოს რესპუბლიკის“ ნომერში დაიბეჭდა გოგი შალიბაშვილის მიმართვა, რომ ვინაიდან სასამართლო ძალებს შეადგენს 45-50 დახელოვნებული გამოცდილი იურისტი, იურიდიულმა საზოგადოებამ მიიღო ახალგაზრდების სურვილი, სასამართლოსთვის პრაქტიკულ იურისტების მოსამზადებლად და ქართული იურიდიულ

მეცნიერების შესასწავლად, თბილისის უნივერსიტეტთან დააარსოს პრაქტიკულ იურიდიული კურსები. საზოგადოების საბჭო „მსაჯულთა სიები. ვინც ამას არ შეასრულებს პასუხისმგებლობაში მიეცემა. იუსტიციის მინისტრის დავალებით შესაფერი მიწერ-მოწერა გამართონ სათანადო ერობებთან და ქალაქებთან, 4 ოქტომბერს სამინისტროს აცნობონ მათი ვინაობა, ვინც არ წარმოადგენს. (1; №216)

- თბილისიდან კავკავში გაემგზავრა კადეტთა კორპუსის 40 მოწაფე, 22-შიც იმდენივე გაემგზავრება. (1; №214)

21 სექტემბერი

- ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონის სოფლებმა: იღმაზლომ, ჯუჯაკენტრმა, სოულ-ბულაღმა ყარაგალამ, ყარაისამ და პრივოლნაიამ შუამდგომლობა აღძრეს საქართველოს მთავრობის წინაშე ამ სოფლების საქართველოსთან შემოერთბის შესახებ. (1 № 212)
- თბილისიდან ბაქოში გაიგზავნა 120 ცისტერნა ნავთისთვის, სასურსათო საბჭოსა და საქართველოს რკინიგზის საბჭოსთვის. (1; №212)
- ფოთის საკათედრო ტაძარმა, დიდი ზეიმი გადაიხადა ახლად დაწესებული ღვთისმშობლის დაბადების სახელზე, ტაძრის დღესასწაული. წირვისა და პარაკლისის შემდეგ კინემატოგრაფ „კომეტაში“ დეკანოზმა ი. ბობოხიძემ წაიკითხა ლექცია სახელმწიფოსგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ. შეხვედრას ბევრი ხალხი დაესწრო. (2; №216)

22 სექტემბერი

- მთავრობის 22 სექტემბრის სხდომაზე მიიღეს ზომები რკინიგზაზე წესრიგის დასაცავად. გამოცხადდა სამხედრო წესები. დროებით გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლად გამოცხადდა პორუჩიკი ვლადიმერ ავაკუმის ძე სალუქვაძე, მილიციის უფროსის თანამდებობაზე დატოვებით. ფონდიდან გამოიყო 100 000 მანეთი, მიმდინარე ხარჯების დასაფარად. ლიანდაგის დაცვაში მიმდებარე სოფლებიდან მონაწილეობის მიღების ორგანიზება დაევალა ერობებს. (1; №214)

23 სექტემბერი

- „საქართველოს რესპუბლიკის“ ნომერში გამოქვეყნდა ცნობა, რომ რადგანაც გადაწყვეტილია მომავალი წლის 1 იანვრიდან ქალაქის თვითმართველობის სრული ნაციონალიზაცია, ქალაქის გამგეობა აპირებს გახსნას ქართული ენის კურსები, იმათთვის ვინც 1 იანვრიდან მოისურვებს სამსახურში დარჩენას. კურსის პროგრამის შედგენა დაევალა გამგეობის წევრ გ. კონიაშვილი. (1; №213)
- ქალაქის მედიკურ სანიტარულმა ინსპექტორმა ქ. გამგეობას წარუდგინა მოხსენება იმის შესახებ, რომ ხილის ვაჭრები დუქნის გაღებამდე და დაკეტვის შემდეგ ყიდიან ხილს, რაც არღვევს ქალაქის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებებს. ეს გამგეობამ სასტიკად აკრძალა. (1; № 213)

- 23 სექტემბერს კაპელა ქართულ სამუსიკო საზოგადოებისა და ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირი ფრონტიდან უკვე დაბრუნდა თბილისში. ამ მოგზაურობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ესთეტიურად ასევე პოლიტიკურად. (1; №216)

24 სექტემბერი

- შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დაიხურა გაზეთი „ვოზროჟდენიე", რომლის ერთ-ერთ ნომერში დასტამბული იყო ოქმი აჭარის დელეგაციის მოლაპარაკებისა პოლკოვნიკ ჰასკელთან. (1; №214)
- ქალაქის თავმა ა. მოდებაძემ მოხსენება გააკეთა, რომ ქალაქის უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლებში სწავლის ფული დაწესდეს 200 მანეთი, საბჭომ ის დაამტკიცა, გარდა დაბალ დაწყებით სასწავლებლებში სწავლებისა. (1; №214)
- კობახჩოელენმა (ზაქათალის სოფელმა) თვითნებურად გადმოლახეს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრები, გაჩეხეს ტყე და გაატარეს სახელმწიფო საზღვარი მიწამის N3 სადარაჯოს მიდამოებში, დაახლოებით 5 ვერსის მანძილზე, სივრცით 3 საჟენი მიჯნის გატარების შემდეგ უკან გაბრუნდნენ. ადგილობრივი მცხოვრებლები ძალიან აღელვებული არიან. გამოწვეული არიან სპეციალისტები ამ საქმის გამოსაძიებლად და მოსაგვარებლად. (1; №217)

25 სექტემბერი

- სოციალ-დემოკრატიული პარტიის მე-3 კოლექტივმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ ავლაბარში გაიხსნას ქალაქის იაფი სასადილო. გამგეობამ პრინციპიალურად დასტური გასცა, მაგრამ უსახსრობის გამო ჯერჯერობით ვერ მოაწყობს სასადილოს, თუმცა მხედველობაში იქონიებს. (1; №215)
- ქალაქის გამგეობამ მილიციის სამკითხველოსთვის 1000 მან. გადადო. (1; №215)
- ქალაქების კავშირმა ინგლისელებისგან შეიძინა სამგზავრო ავტომობილი, რომელიც ივლის ხონი-ქუთაისის და ხონი-სამტრედიას შორის. (1; №215)
- იტალიურმა ფირმა „გელლას და ამბ." საქართველოს ქალაქთა კავშირს საკომისიოთ გადასცა 2 ნახევარი მილიონი მანეთის ფართლეული და ფეხსაცმელი. მალე მეორე პარტიასაც ელიან. ეს ფირმა საქსოვი ქარხნის გახსნას აპირებს საქართველოში. (1; №215)
- ფინანსებისა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სხდომაზე 25 სექტემბერს შუამდგომლობის თანახმად, ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციონერო საზოგადოების წესდების ერთი მუხლი შეიცვალა, ადრე თუ აქციონერთა საერთო კრებაზე ხმის უფლება ენიჭებოდა 200 აქციის პატრონს, ახლა ეს უფლება 50 აქციის პატრონს ენიჭება. (1; №220)
- სამინისტროს ლაბორტორიის მიმღებ კომისიაში სახელმწიფო უნივერსიტეტმა თავის წარმომადგენლად დანიშნა ქიმიის კათედრის ასისტენტები ა. ციციშვილი და თ ბებურიშვილი, რომელთაც ხელმძღვანელობას გაუწევს პროფესორი პ. მელიქიშვილი. (1; №215)

26 სექტემბერი

- თბილისის ებრაელთა ნაციონალურ საბჭოს სიონისტთა ფრაქციამ აღძრა საკითხი, რათა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში მოსამსახურე ებრაელებმა იუქმონ ახალი წელი 25-26 სექტემბერს და 4 ოქტომბერს. ამის გამო ებრაელთა ნაციონალური საბჭოს პრეზიდიუმმა მიმართა თბილისის ქალაქის თავს, თვითმართველობას, ნება დართონ და ამის შესახებ გაგზავნა ყველა სამოქალაქო დაწესებულებებში დეპეშები. შესაფერი განცხადებებით მიმართა პრეზიდიუმმა საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარეს (1; №216)

27 სექტემბერი

- შინაგან საქმეთა სამინისტროს აუწყეს, რომ ამ დღეებში მე-300 ვერსზე აჯანყდნენ იქ მყოფი სომეხი ლტოლვილები, სცემეს ყარაულებს, რომლებიც სომხეთის ადმინისტრაციის მიერ არიან დაყენებული, ქვები დაუშინეს გამგის ოთახს და მინები ჩაუმსხვრეს. ისინი ახალი ადმინისტრაციის გადაყენებას და სურსათის მომატებას მოითხოვდნენ. გამოირკვა რომ მათ იარაღიც ჰქონდათ. შედგენილია ოქმი. (1; №217)

28 სექტემბერი

- თბილისში გაიხსნა თბილისის მაზრის ერობის ხმოსანთა ყრილობა, სადაც მოისმინეს და განიხილეს მოხსენება გამგეობის შესახებ. (1; №219)
- თბილისის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს ბინაზე მოხდა ოფიციალური გახსნა ს. მაისურაძის ბიბლიოთეკა-სამკითხველოსი, რომელსაც მთავრობის თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრი, სახალხო გვარდიის შტაბის თავჯდომარე, ქალაქის თავი, დამფუძნებელი კრების წევრები, პრესა და სხვები დაესწრნენ. (1; №219)
- სახალხო გვერდიის მთავარ შტაბში ერთ ახალ ჯავშნიან ავტომობილს სახელად ეწოდა „გლეხი“. (1; №219)
- სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა კონკურსი გამოაცხადა სახალხო გვარდიისთვის საგანგებო მარშის დასაწერათ. გამარჯვებულს 10 000 მან. გადაეცემა. (1; №218)

29 სექტემბრი

- მთავრობის სხდომაზე ახალციხის მაზრის გლეხთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარის შუამდგომლობა აჭარიდან შემოტანილ საქონელზე, ბაჟის მოხსნის შესახებ, დაკმაყოფილდა. (1; №228)
- 29 სექტემბრიდან განახლდა ლექციები (2 სემესტრის) მიწათმოქმედების სამინისტროს მიერ წინა წელს გახსნილ სასწავლო კურსებზე. სწავლის ფულის შეტანის ვადა 25 ოქტომბერია. (1; №228)
- თბილისის თვითმართველობის სხდომაზე, მედიკო-სანიტარულმა ინსპექტორმა მეუნარგიამ განაცხადა რომ ქალაქში მძვინვარებს ორი სენი: პარტახტიანი სახადი და

ხოლერა. პირველი სენი ომამდე არ ყოფილა თბილისში, ომის მსვლელობისას გაჩნდა ის ომში მიმავალ და დაბრუნებულ ჯარის ჯგუფების საშუალებით. შარშან ამ სენს უფრო მოუმზადებელი შეხვდა ქალაქის თვითმმართველობა. ამ ორივე სენით ძირითადად ავად ხდებიან ლტოლვილები. (1; №219)

30 სექტემბერი

- „საქართველოს რესპუბლიკის" ინფორმაციის მიხედვით, ბათუმში ყოველდღე მოდის გემები დიდი საქონლით. თუმცა ფასები ქალაქში მაინც ძვირია. გამრავლდა ქაღალდის სათამაშო სახლები. ყავახანებში მოწყობილი ლოტო. მიღებული მკაცრი ზომების წყალობით ქურდობა შეწყდა. 12 საათის მერე ქალაქში სიარული აკრძალეს. ბათუმის ნავთის წარმოების მეპატრონეებს მუშებმა მოთხოვნები წაუყენეს: 1) 8 საათიანი სამუშაო დღე; 2) ხელფასის გადიდება 100%; 3) ზედმეტ საათზე ჯილდო. პროფესიონალთა საბჭომ ეს მოთხოვნები კანონიერად ცნო. (1; №219)
- მიწათმოქმედების სამინისტრომ, ბორჯომის წყლის კონტრაგენტის დ. ქებაძის საშუალებით, კონსტანტინეპოლში გააგზავნა ბორჯომის წყალი. იგი გაიყიდება ქართულ ფულზე. (1; №219)
- რედაქციამ მიიღო „ალ. არაბაძის და ამხ". გამოცემის „მსოფლიო ისტორიის" დაწყებითი კურსი, ნაწილი I, ძველ საუკუნეთა ისტორია, ალ. წერეთლის. წიგნი დასურათებულია და ღირს 25 მან. (1; №219)

1 ოქტომბერი

- საბჭო ნებას რთავს ქალაქის გამგეობას 20 000 მანეთი გადადოს ქართული ენის საღამოს კურსების მოსაწყობად, მათთვის ვისაც უნდა სწავლა. (1; №222)
- ქალაქის გამგეობის დადგენილებით 1 ოქტომბრიდან დაიხურა სოლოლაკის გვირაბი, ხოლო მოსამსახურეები დაითხოვეს. (1; №220)

2 ოქტომბერი

- მთავრობის სხდომაზე საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ მოხსენება გააკეთა დიომიდე თოფურიძემ, მან აღნიშნა რომ აუცილებელია ბანკის დაარსება. შემოვდივართ წინადადებით, აქ დაარსდეს სახელმწიფო ბანკი, რომელსაც ძირითად თანხას აძლევს სახელმწიფო, ხოლო მართვა-გამგეობა ეწყობა მთავრობისგან დამოუკიდებლად. ბანკის გამგეს ირჩევს დამფუძნებელი კრება, წევრებს გამგის წარდგენით ამტკიცებს პარლამენტი. პარლამენტი ირჩევს საბჭოს წევრებს, საბჭო ზედამხედველი ორგანოა. წესდება რუსეთის ბანკისგან მივიღეთ, შევიტანეთ ცვლილებები. მუხლობრივი განხილვა შემდეგ მოხდება. (1; №221)
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა 2 ოქტომბერს მოკავშირეთა უმაღლეს კომისარს, იტალიის, ინგლისის, საფრანგეთის და საბერძნეთის წარმომადგენლებს ნოტა გაუგზავნა სადაც წერია რომ დაღესტანსა და ჩრდილოთ კავკასიაში, ყოფილ მთიელთა კავშირის რესპუბლიკის მიწაზე მიმდინარეობს სისხლისმღვრელი

ამბები. მოხალისეთა ჯარის დაპყრობილ ოლქებში ხალხი აჯანყდა. ეჭვი არაა, რომ აჯანყების ჩაქრობის მიზნით მოხალისეთა ლაშქრის სარდლობა დაიწყებს შეტევას. ეს ამბები ანარქიას გამოიწვევს მხარეში. საქართველოს მთავრობა შიშით ადევნებს თვალს მოვლენებს. ის უარყოფს საქმის იარაღით გადაწყვეტას და გთხოვთ ჩაერიოთ და ხალხის თავისუფალი ნების გამოთქმით და მათი თვითგამორკვევის უფლებით გადაწყვიტოთ საკითხი. (1; №223)

- 2 ოქტომბერს 5 ავტომობილით თბილისში ჩამოვიდა გენერალი ჯეიმს ჰარბორდი. იგი წამოსულა კავკასიაში და მცირე აზიაში, ამერიკის შეერთებულო შტატების პრეზიდენტის ვილსონის დავალებით, რომლისგანაც დავალებული ჰქონდა აქაური მდგომარეობის გაცნობა. (1; №223)
- სენაკის თვითმმართველობაში, საბჭოს ხმის უფლებით, მიიღეს წინადადება ხმოსანი პეტრე ქავთარაძისა: დაევალოს ქალაქის გამგეობას შეიძინოს სიმინდი ევროპიდან და პურის ფქვილი ქალაქთა კავშირიდან, ნება მიეცეს გამგეობას სესხის აღებისა. (1; №221)
- თბილისის სახალხო სახლში (ზუბალაშვილებისა) გაიმართება პირველი კაპელას კონცერტი. (1; №221)
- განჯის გუბერნიის გერმანელმა კოლონისტებმა გადაწყვიტეს ამერიკაში გადასახლდნენ, რადგან მათ ხშირად თავს ესხმიან თათრები და დიდ ზარალს აყენებენ. (1; №221)

3 ოქტომბერი

- თბილისის დიდუბის ეკლესიის გალავანში დაკრძალეს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მფრინავი, კაპიტანი გრიგოლ (გრიშა) ვასილის ძე მალაშხია. (1; №222)
- სახალხო განათლების სამინისტრომ ახალციხის მაზრაში თავისი რწმუნებული გაგზავნა სწავლა განათლების საქმის მოსაგვარებლად, რათა გამოარკვიოს იქაური სკოლების მდგომარეობა და ახალი სკოლების გახსნის საჭიროება. (1; №222)
- შრომის სამინისტრომ გააუქმა კამერის მიერ მაისში მიღებული დადგენილება, რომლის ძალითაც დახურა გაზეთი „ტფილისის ფურცელი". თანამშრომლებისათვის სალიკვიდაციო ჯილდო უნდა მიეცეთ გაზეთის უკანასკნელ პატრონებს. (1; №221)
- მიწათმოქმედების სამინისტროს ცნობით, ბორჩალოს მაზრიდან, სახელმწიფო მამულებიდან, უკვე ჩამოვიდა დიდძალი ხილი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საშუალებით გაიყიდა იაფ ფასში. (1; №222)
- „საქართველოს რესპუბლიკის" 3 ოქტობრის ნომერში დაიბეჭდა, რომ რაჭაში დააპატიმრეს ბოლშევიკები წულუკიძე, კბილაძე, გოსექიშვილი და სხვ. გაჩხრეკის დროს მათ აღმოაჩნდათ რუსეთიდან ჩამოტანილი ფული და აგრეთვე მიწერ-მოწერა, სადაც ნაჩვენებია, როდის უნდა მოეწყოთ რაჭაში გამოსვლა. ქუთაისში დაიჭირეს ჭიათურელი ბოლშევიკი ალექსანდრე ვაშაძე, რომელიც ჭიათურიდან იყო გაქცეული და იმალებოდა. (1; №222)
- ქართული კლუბის დარბაზში საქართველოს მთავრობამ ნადიმი გაუმართა გენერალ ჰარბორდს. (1; №224)

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების წარმომადგენლები შეხვდნენ ქალაქის თავს ბენია ჩხიკვიშვილს და სთხოვეს დახმარება აღმოეჩინათ სტუდენტებისთვის ბინის მოძებნაში. ქალაქის თავი დაპირდა, ყოფილი სემინარიის (ვაკეში) შენობის ნახევრის დათმობას. (1; №222)

4 ოქტომბერი

- მიწათმოქმედების სამინისტრომ 3 მილიონი მანეთი მიიღო მთავრობისგან ვარციხის სახელმწიფო მამულში, კონიაკის და ღვინის დასამზადებლად. (1; №223)
- სახელმწიფო თეატრში, გაიხსნა ზამთრის საოპერო სეზონი, ზაქარია ფალიაშვილის ქართული ოპერა „აბესალომ და ეთერით“. (1; №216)

5 ოქტომბერი

- კვირას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა წლიური კრება. (1; №224)
- თბილისში ჩამოვიდა რამდენიმე მსხვილი მრეწველი, რომელთაც განზრახული აქვთ სხვადასხვა სამრეწველო ქარხნის მოწყობა. უცხოელ მრეწველთა წარმომადგენლები ეთათბირნენ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პრეზიდიუმს მათთვის საინტერესო საკითხებზე. (1; №224)
- მიწათმოქმედების სამინისტროს სატყეო განყოფილებას სჭირდება ტყის საქმის მცოდნე სპეციალისტები, დიდი იმედები მყარდება სამინისტროს მიერ გახსნილ სატყეო კურსებზე სადაც ჩაეწერა 60 ახალგზარდა, რომლებიც იქნებიან ამ სფეროს მომავალი სპეციალისტები. (1; №224)
- მომარაგების მთავარ სამმართველოს ამ დღეებში მოუვიდა 100 ფუთი ინდოეთის ჩაი, რომლის გადანაწილებაც ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირს მიენდობა. ეს ჩაი გაიყიდება 84 მანეთად. (1; №224)

6 ოქტომბერი

- ახალციხესი გაემგზავრა საგანგებო სასამართლო სესია, რომელიც რამდენიმე საქმეს გადაარჩევს ახალციხესა და ახალქალაქში. გასარჩევი საქმეები ყველა სისხლის სასამართლოს წესისაა. (1; №226)
- ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა 28 000 ფუთი ფქვილი საქართველოს სასურსათო საბჭოს სახელზე. (1; №226)
- ერევნიდან თბილისში ჩამოვიდა მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლის ამერკავკასიაში – ჰასკელის შტაბი. (1; №226)

7 ოქტომბერი

- თბილისში მყოფი ამერიკის მისია იუწყება, რომ მან მიიღო ახალი კატალოგი ამერიკული ფოლადის ნაწარმოებთა და საალმშენებლო მასალებისა, მსურველებმა უნდა მიმართონ მისიის კანცელარიას. (1; №225)

- თბილისიდან ბაქოში გაემგზავრა სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი აზერბაიჯანში. (1; №226)

8 ოქტომბერი

- ფოთში მოვიდა გემი „სმირნა", უმეტესად ქაღალდით დატვირთული. აქ 150 ვაგონი იყო გაზეთის ქაღალდით. (1; №228)
- 7 ოქტომბერს სომხეთიდან თბილისში ჩამოსული ლტოლვილი მუსულმანები, 8 ოქტომბერს 4 ვაგონით განჯაში და ბაქოში გაიგზავნენ. (1; №228)

9 ოქტომბერი

- სომეხთა სახალხო პარტიის თბილისის კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა ნება დართოს თბილისიდან ერევანში გაიტანოს 50 ფუთი თეთრი და ყვითელი საგაზეთო ქაღალდი და 30 ფუთი შრიფტი, გაზეთი „ჟოლვორთისთვის", რომელიც ერევანში გამოდის. (1; №227)
- ნეიტრალური ზონის კომისარი იუწყება, რომ სომხეთის სოფელ დილიხის 300 მცხოვრები თავს დაესხა ს. კორინჯის მცხოვრებლებს და გაიტაცა ცხვრის ფარა, კამეჩი, 2 ძროხა და მეცხვარე ავაკ რილინგაროვი. (1; №227)
- ივანე ჟალიაშვილი, რომელსაც ამიერკავკაიის კომისარიატი ყალბი ბონების დამზადება ბრალდებოდა, გამომძიებლის განკარგულებით, გირაოთი გაანთავისუფლეს. (1; №227)
- თბილისში კოოპერატივთა კავშირის წარმომადგენელთა V ყრილობა გაიმართა. (1; №229)
- სატარიფო პალატის სხდომა შეეხო მუშათა კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭირო ზომების მიღების საკითხის გარჩევას და მასთან დაკავშირებულ სტატისტიკური განყოფილების მოხსენებას. ცხოვრების გაძვირების შესახებ მოხსენება გააკეთა სტატისტიკური განყოფილების თავმჯდომარემ მ. ნ მანდელაშვილმა. (1; №231)
- ბათუმიდან თბილისში მატარებლით ჩამოვიდა ხმელთაშუაზღვის ფლოტის ადმირალი დეობეი. (1; №228)

10 ოქტომბერი

- შინაგან საქმეთა მინისტრს, ქ. ონში ებრაულ სკოლა თალმუნდ თორას ახალი შენობის გახსნის გამო, იქაურ ებრაელების სახელით რაბინ დავით ბააზოვისგან მოუვიდა დეპეშა, სადაც სალამს უგზავნის მინისტრს, საქართველოს მთავრობას ერთგულებას ეფიცება და იმედს გამოთქვამს, რომ ებრაელებს მიენიჭებათ სრული ეროვნულ-კულტურული ავტონომია. (1; №228)
- განათლების სამინისტრომ დაადგინა შექმნას მასწავლებელთა სახლი, პროვინციიდან ჩამოსულ მასწავლებელთა თავშესაფარი. იქვე იქნება გატანილი ცენტრალური პედაგოგიური სამკითხველო. (1; №228)

- მიწათმოქმედების მინისტრის მოადგილის პეტრე გელეიშვილის თავმჯდომარეობით მოხდა თათბირი, რომელმაც დაადგინა სახელმწიფო მამულები „ვაჩნაძიანი“ იჯარით მიეცეს 12 წლით წინანდელ მფლობელ ლევან ჯანდიერს, სამინისტროს სასოფლო სამეურნეო და სახელმწიფო მამულების განყოფილების მიერ შემუშავებულ პირობებში. მოიჯადრემ უნდა შემოიტანოს გირაოთი 30 000 მანეთი. მამული სულ 2 დესეტინის სივრცისაა, მოიჯადრემ მის 3/4 ნაწილში ამერიკული ვაზი უნდა გააშენოს, ხოლო 1/4 ნაწილში ხეხილი.
- მთავრობის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გადაიდოს განათლების მინისტრის განკარგულებაში 26 300 მანეთი, 10 მილიონიანი ფონდიდან, „დიდების ტაძრის“ ეროვნულ გალერეად გადასაკეთებლად. ასევე, მიეცეს განათლების უწყებას უფლება ყავდეს 1 დარაჯი. სახელმწიფო თეატრში უნდა გაიმართოს კვირაში 1 წარმოდგენა დაკლებულ ფასებში, (თანახმად განათლების მინისტრის მიერ წარმოდგენილი ნუსხისა), რათა საშუალება მიეცეს მუშებს, სახელმწიფო მოხელეებსა და სამსახურში მყოფ პირებს წარმოდგენებს დაესწრონ. (1; №234)

11 ოქომბერი

- „საქართველოს რესპუბლიკა“ უწყება, რომ სოხუმის ეროვნულ საბჭოსთან არსებულმა ხელოვნების სექციამ მიმდინარე სეზონში სადრამო საქმის ხელმძღვანელად მიიწვია რეჟისორ-მსახიობი ივ. ბარველი. სცენისმოყვარეთა დასის გასაძლიერებლად მიწვეულია აგრეთვე ცნობილი ქალი ნატ. ჯავახიშვილის ასული. განზრახულია მოწვევა კიდევ ერთი მსახიობი ქალისა და ვაჟის. წარმოდგენები რეგულარულად გაიმართება. საგასტროლოთ მიწვეულნი იქნებიან დამსახურებული მსახიობნი. სეზონის დასასრულს გაიმართება საზეიმო წარმოდგენა ნინო ჩხეიძის საპატივსაცემად. სეზონი დაიწყება 20 ოქტომბერს. პირველი წარმოდგენისათვის დაიდგმება. პ. ირეთელის კომედია შარჟი „ბედნიერი დღე“. (1; №229)

12 ოქტომბერი

- თბილისში მოხდა ებრაელთა საბჭოს არჩევნები, რომელის შედეგი ასეთია: სულ მონაწილეობა მიიღო 1020 კაცმა, აქედან №1 (უპარტიო) მიიღო 110 ხმა, №2 (ცეირო ციონი) 116 ხმა, №4 (ხელოსანთა ჯგუფი) 100 ხმა, №5 (ბუნდი) 146 ხმა, №6 (სიონისტები) 343 ხმა, №7 (პოილეი-ციონი) 160, №8 (კლერიკალები) 45. (1; №231)
- სადგურმა ტყიბულმა მოითხოვა 30 ვაგონი ბათუმში ნახშირის გასაგზავნათ, სადაც ელოდება გემი იტალიაში წასაღებად. (1; №233)

13 ოქტომბერი

- გზათა დეპარტამენტის დირექტორმა ინჟინერმა ჭიჭინაძემ ინახულა ბრიტანეთის ტრანსპორტის მთავარი გამგე გენერალი ბრაფი, რომელიც ამ დღებში ტოვებს საქართველოს. მან სახსოვრად გადასცა საქართველოს რკინიგზის მთავარ სახელოსნოში

გაკეთებული ორიგინალური საწერელი, შემდგარი რკინიგზის ნაწილებისგან. გენერალმა ბრაფმა ყველა თანამშრომელს მადლობა გადაუხადა და აღტაცებით აღნიშნა მათი სწრაფი მუშაობა. (1; №234)

14 ოქტომბერი

- „საქართველოს რესპუბლიკა" იუწყება, რომ განათლების სამინისტროსთან არსდება განსაკუთრებული მუდმივი კომიტეტი, რომელმაც უნდა განიხილოს არსებული სახელმძღვანელოები, მათ სასწავლებელში შემოსაღებად. (1; №231)
- დამფუძნებელი კრების სახალხო განათლების კომისიამ შეიმუშავა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეურნეო განყოფილების ხარჯთაღრიცხვა, რომელიც 91 800 მანეთს უდრის. (1; №231)
- საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარეს დეპეშა მოუვიდა ქუთაისიდან, სადაც ქუთაისის „შევარდენის" საზოგადოების დამფუძნებელი კრება ესალმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს. „შევარდენის" საზოგადოება მიზნად ისახავს აღზარდოს ჯანით საღი და სულით ძმური თაობა. (1; №231)
- „საქართველოს რესპუბლიკის" ცნობით, გიორგი ამილახვარმა წინადადებით მიმართა მთავრობას მისგან შეიძინოს XV საუკუნის ძვირფასი ჯვარი წმ. იორისა და ითხოვს 1 მილიომ მანეთს. მთავრობამ ეს წინადადება დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიას გადასცა. (1; №231)
- პოლკოვნიკ ინწკირველის მიერ წარმოებულ, ქ. ონში მომხდარი ინციდენტის შესახებ კვლევა ძიებისგან გამოირკვა, რომ 2 ოქტომბერს ქ. ონში ადგილობრივ ებრაელთა სკოლის ახალი შენობის კურთხევაზე მიწვეული სხვადასხვა დაწესებულებების წარმომადგენლები, რომლებიც სადილად ისხდნენ ებრაელთა სალოცავის ეზოში, იქ მივიდნენ II ბატალიონის ოფიცრები გოგიტიძე და ლეიტენანტები ზედგინიძე და ქარუმაძე. ისინი მთვრალები იყვნენ და შეურაცყოფა მიაყენეს მათ. ამიტომ ისინი განთავისუფლებულები არინ. (1; №233)
- მთავრობის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლად ამერიკაში გაიგზავნოს დავით ღამბაშიძე; ყუბანში – საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დიომიდე თოფურიძე და გენერალი ილია ოდიშელიძე. (1; №237)
- თბილისის აფთიაქებში მოსამსახურეთა კავშირმა სატარიფო პალატაში წარადგინა მოთხოვნილებები მათ ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯოსებისათვის. მოთხოვნები სატარიფო პალატამ უარყო. ამის გამო აფთიაქის მოსამსახურეთა საერთო კრებამ გადაწყვიტა გამოაცხადოს მშვიდი ეკონომიური გაფიცვა, ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მოთხოვნების შესრულების მიზნით. ეს გადაწყვეტილება სატარიფო პალატას ეუწყა. (1; №248)
- დუშეთის მაზრის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა პოლკოვნიკი ბიქტორ ნიკოლოზის ძე ინწკირველი. (1; №235)

15 ოქტომბერი

- „საქართველოს რესპუბლიკა“ იუწყება, რომ საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოება შუამდგომლობს სათანადო თანხის გაღების შესახებ ბ.ნ ამილახვრისგან XV-XVI საუკუნეების საეკლესიო ჯვრის შესაძენად, გადაეცეს დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიას აზრის წარმოსადგენად. (1; №232)
- ასანთის ქარხანა „პრომეთემ“ შუამდგომლობა აღძრა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს წინაშე, რათა მისცენ მას ნებართვა საზღვარგარეთ თამბაქო გაზიდოს, ქარხნისთვის საჭირო მანქანა მოწყობილობის შესაძენად. (1; №232)
- „საქართველოს რესპუბლიკა“ იუწყება, რომ წელს ყურძნის მოსავალი კახეთში საშუალოზე დაბალია. (1; №232)
- „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით, შარშან დაარსებულმა ქართული ინტელიგენციის ახალგაზრდა საზოგადოება „საბავშვო თეატრმა“ ზაფხულის დასვენების შემდეგ განაახლა მუშაობა. საზოგადოება ყოველ თვეში ერთხელ გამართავს ქართულ საბავშვო წარმოდგენებს ყველა თეატრში და შემდეგ კვლავ გაემგზავრება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წარმოდგენების გასამართად. (1; №232)
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორსა და ბრიტანეთის წარმომადგენელს ამიერკავკასიაში გენერალ ბრაფს შორის დაიდო ხელშეკრულება, ნატანებ-ბათუმის ნაწილზე რკინიგზის მოძრაობის გასაადვილებლად. ეს ხელშეკრულება არის წმინდა საექსპლოატაციო ხასიათის შეთანხმება და სრულიად არ შეესაბამება საკუთრების საკითხს. (1; №235)
- საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით ახალქალაქის მაზრაში გაემგზავრნენ მოხევეთა წარმომადგენლები იქ დასასახლებლად გამოსადეგი ადგილების დასათვალიერებლად. (1; №232)

16 ოქტომბერი

- „თეატრი და ცხოვრების“ მორიგ ნომერში (11) მოთავსებულია ცახელის 1883 წ. აკრძალული ლექსი, გრ. შაქარიქედელის პიესის დასასრული, რომანი „განახლებული სიცოცხლე“. ნომერი დასურათებულია. ფასი 5 მანეთი. (1; №233)
- „საქართველოს რესპუბლიკა“ იუწყება, რომ ციმბირიდან თბილისში ჩამოვიდნენ ციმბირის ყველა ქალაქებსა და შორეულ აღმოსავლეთში მყოფი ქართველთა წარმომადგენლები ბ.როსტომაშვილი და ხავთასი, რომელთაც დავალებული აქვთ მიესალმონ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და მოახსენონ მათ ციმბირში მყოფ ქართველთა პოლიტიკური მდგომარეობა და საქართველოში დაბრუნების სურვილი. (1; №233)
- ტფილისიდან ბაქოში გაიგზავნა 27 ვაგონი, ცხენით დატვირთული. ცხენები ნაყიდია თბილისის მაზრაში ბაქოს ქალაქის „კონკისთვის“. (1; №235)
- სატარიფო პალატის სხდომა გაიმართა, თავმჯდომარეობდა ი. გოლდმანი. აქ დაამტკიცეს, რომ იმ მოსამსახურეებს ვინც ღებულობს 2 000 მან. ზევით, მოემატება 25%, ვინც 2 000 მანეთამდე 30%, ვინც 1.500 მან 35% და ვინც 1 000 მან. 40%, ეს შემოიღეს 1 აგვისტოდან. (1; №236)

17 ოქტომბერი

- სოციალ-დემოკრატიულ კლუბში საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ქუთაისის კომიტეტის წევრთა საზოგადო კრებაზე, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსმა მოადგილემ ალ.ექსაანდრე ლომთათიძემ მოხსენება გააკეთა თემაზე: „საქართველოს საგარეო და შინაური მდგომარეობა". მოხსენება შინაარსიანი იყო და მრავალრიცხოვანმა პარტიულმა კრებამ მომხსენებელი მხურვალე ტაშით დააჯილდოვა. (1; №241)
- თბილისში გაიმართა „დედობის და ბავშვობის დაცვის დღე". ამ საქმეს სათავეში უდგას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მეუღლე ი. ჟორდანია. (1; №224)

18 ოქტომბერი

- ყოფილ რესტორან „ანონა"-ს ბინა საქართველოს მწერალთა კავშირს გადაეცა. იქ მოეწყობა მწერალთა კაფე. (1; №235)
- საღამოს 6 საათზე შედგა ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა. დაადგინეს სავაჭრო დაწესებულებების გაღება-დაკეტვის წესები: კვირაობით ყველა სავაჭრო დაწესებულებები დაკეტილია, გარდა ფურნისა, სასადილოსი, საყასბოსი და ხილით მოვაჭრე ბუტკებისა; ღვინის საწყობები გაღებულია კვირაობით მორიგეობით. საქმის დღეებში სავაჭროები იღება დილის 7 საათზე, იკეტება შუადღის 12 საათზე, შესვენებამდე 2 საათამდე. იკეტება 5სთ-ზე. საპარიკმახეროები შაბათობით იღება დილის 9 სთ-ზე. იკეტება 12 სთ ზე. ნასადილევს იღება 3 სთ-ზე იკეტება 8 სთ-ზე. (1; №248)

19 ოქტომბერი

- ბორჯომში გაიმართა სათემო ერობის ყრილობა. (1; №246)
- ქართულ კლუბში გაიმართა დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის კრება. განიხილეს, რომ თეატრს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. (1; №234)

20 ოქტომბერი

- გაიმართა თბილისის ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა გრიგოლ გველესიანი. (1; №240)

21 ოქტომბერი

- „საქართველოს რესპუბლიკა" იუწყება, რომ ადრინდელის ანუ ქართული უძველესი ჟურნალ „ცისკარის" დამაარსებლის, განსვენებული ივანე კერესელიძის მეუღლეს ღრმად მოხუცებულს (85წ.), მთავრობისთვის მიუმართავს და თავისი უმწეო მდგომარეობით მოუხსენებია, იქნებ დამეხმაროთო. (1; №237)
- ქუთაისში გამოვიდა „მომავლის" გამოცემა, ალგებრული ამოცანათა კრებული კ.მ. კანდელაკისა. (1; №237)

- დილის 7 სთ-ზე მალთაყვის ხიდთან ბოროტმოქმედებმა გაბარცვეს ფოთიდან სუფსაში ეტლით მიმავალი სერბიის კონსული ბათუმში, საბა სტეფანის ძე ველევიჩი. მათ ვერც დაზარალებული და ვერც მეეტლე ვერ იცნეს. დაპატიმრებულია არსენ გუნია და კალიტრატე ქორიძე, მიმდინარეობს გამოძიება. (1; №256)
- გამართულ მთავრობის სხდომაზე გადაიდო 900 000 მანეთი ამილახვრის კუთვნილი მეთექვსმეტე საუკუნის ჯვრისათვის, რომლისთვისაც იგი ერთ მილიონ მანეთს ითხოვდა. (1; №243)

22 ოქტომბერი

- „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით, ქალაქის გამგეობამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სასადილოს გადასცა ყოფილ „კარაღდო“-ს ინვენტარი, რომელიც გორგიჯანოვს ეკუთვნოდა. (1; №238)

23 ოქტომბერი

- სამოსამართლო დაწესებულებათა შენობაში მოხდა საქართველოს სენატის საზეიმო გახსნა. თავმჯდომარე ი. ხელთუფლიშვილი. ეს იყო ისტორიული დღე. შეიქმნა დემოკრატიულ სასამართლოს სწორკანონიერების დამცველი ორგანო. (1; №240)
- როკის რაიონში ოსმა ბოლშევიკმა-სეპარატისტებმა, ანტისახელმწიფოებრივი აჯანყება წამოიწყეს, მაგრამ უშედეგოდ.
- გაიხსნა საქართველოს რკინიგზელთა II ყრილობა. იგი რკინიგზის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარემ ერ. დიდიძემ გახსნა, რომელმაც აღნიშნა ის მძიმე პირობები რომელშიც უხდებოდათ მუშაობა რკინიგზელებს. ყრილობაზე თავმჯდომარედ აირჩიეს გრ. ლორთქიფანიძე, მოადგილეებად: ვ.სიხარულიძე და გიორგაძე. მდივნებად ს. თავაძე და არჩ. რუხაძე. (1; №241)
- მთავრობის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ თბილისის თავშესაფრის შენობა განთავისუფლებულ იქნეს და გადაეცეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. თბილისის თავშესაფარი გადატანილ იქნეს ყოფილ სამხედრო საფერშლო სკოლის შენობაში. ამის თანხა გაღებულ იქნას შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში, თანახმად წარმოდგენილი ხარჯთაღიცხვისა. (1; №248)
- თბილისში მყოფი ამერიკის მისია იუწყება, რომ მან მიიღო ახალი კატალოგი ამერიკული ფოლადის წარმოებათა და სააღმშენებლო მასალებისა, მსურველებმა უნდა მიმართონ მისიის კანცელარიას. (1; №239)
- ლაგოდეხის რაიონ სოფელ შრომაში 3 000 მდე შეიარაღებული გლეხი თავს დაესხა ცეიგაზს, მორიგე რაზმს იარაღი აყარეს, დაატყვევეს და გაიტაცეს. ლაგოდეხში შემოსვლისთანავე დაატყვევეს რესპუბლიკის მოხელეები, ერობის წევრები და მის შენობაში აღმართეს წითელი დროშა წარწერით „ამიერკავკასიის საბჭოთა მთავრობა, ლაგოდეხის ადგილობრივი საბჭო“. თუმცა მალე ისინი ტყეში გაიქცნენ და 2 დღის შემდეგ მეამბოხეები დაიჭირეს. (1; №234)

24 ოქტომბერი

- ბიქტორ თევზაიამ ქუთაისის სოციალ-დემოკრატიულ კლუბში წაიკითხა ლექცია „რუსეთისა და უკრაინის მდგომარეობაზე“. ბევრი ხალხი დაესწრო და ლექტორი ტაშითაც დააჯილდოვეს. თევზაია იმავე ლექციას ჩაატარებს ზესტაფონსა და ჭიათურაში. (1; №247)
- შუადღის 2 სთ-ზე მოხდა შეიარაღებული ბოლშევიკური გამოსვლა კულაშის და მარნის საზოგადოებაში, მილიციამ და გვარდიამ ზომები მიიღო, ამბოხება ჩააქრეს. რამდენიმე დამნაშავე დააპატიმრეს. სხვების წინააღმდეგ მიღებულია ზომები. მსხვერპლი არ არის. მიმდინარეობს გამოძიება. (1; №252)

25 ოქტომბერი

- „საქართველოს რესპუბლიკა“ იუწყება, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა გააკეთა განცხადება: „მე საჭიროდ ვცანი, რათა გაუქმებულ იქნას, ჩემს მიერ ამა წლის 14 ივნისს გამოცემული სავალდებულო დადგენილება, ქ. თბილისში, ქაღალდის მთელი რაოდენობის შინაგან საქმეთ სამინისტროს ანგარიშზე აღების შესახებ“. (1; №241)
- შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ყალბი ცნობების სისტემატურად მოთავსებისათვის დახურულ უნდა იქნას გაზეთი „ტიფლისკაია გაზეტა“ და მისი რედაქტორი ივ. ლებედევი რესპუბლიკის საზღვრებიდან იქნა გაძევებული. (1; №241)
- გამგეობის დადგენილებით წყალტუბოს თემი მიეწერება ქუთაისის რაიონს. (1; №241)
- სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოება ახალციხის ლტოლვილთა თავშესაფრიან ჭრაკერვის, კალათების დაწვნის და ზეინკლობის სახელოსნოს სსნის. (1; №241)
- ქართული დასი უკვე შედგა ვალერიან გუნიას ხელმძღვანელობით, რომელიც სისტემატურად დადგამს წარმოდგენებს ქართულ კლუბსა და სახელმწიფო თეატრებში. დასის შემადგენლობა ასეთია: ქ. აბაშიძე, ტ. დათიაშვილი, ნ. ლეჟავა, ოლ. გორდელი, ივერიელი, ნ. ჯავახიშვილი, ელ. ჩერქეზიშვილი და სხვები. განზრახულია ხელოვნების კომისიის დაარსება. (1; №241)
- განათლების მინისტრს წარუდგა საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა ყრილობის დელეგაცია, რომელსაც მინისტრმა მოუსმინა და აღუთქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილება, რომლითაც ითხოვდნენ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. (1; №243)
- საქართველოს რკინიგზელთა II ყრილობის მეორე დღეს, მოხსენებები გაკეთდა რაიონებიდან. მდგომარეობა მძიმეა, რკინიგზელებს არ აქვთ ბინები, სანიტარია არ არის მოწყობილი და სხვა. ამ ყველაფერს იმიტომ ვიტანთ, რომ ქვეყნის მმართველი და გამგე ნოე ჟორდანიას მთავრობა არისო. (1; №243)
- დილის 9 საათზე პუშკინის ქუჩაზე, სასტუმრო „სასახლის ნომრები“-ს გვერდით უცნობმა პირმა რევოლვერით მოკლა აზერბაიჯანელი ინჟინერი გასუმბეკოვი. მკვლელი მიიმალა. მილიციამ რამდენიმე ეჭვმიტანილი დააპატიმრა. მოკლულს თან ჰქონდა თანხა, რისთვისაც მკვლელს ხელი არ უხლია, როგორც ირკვევა მკვლელობა პოლიტიკურ ნიადაგზე მომხდარა. (1; №243)

- ბათუმში ინგლისური ადმინისტრაციის განკარგულებით, დაიხურა დენიკინელების გაზეთი „ნაშ კრაი“. (1; №246)

26 ოქტომბერი

- „საქართველოს რესპუბლიკა“ იუწყება, რომ პარიზში პასტერის ინსტიტუტში სამუშაოთ ქალაქთა კავშირმა 6 თვით გაგზავნა ბაქტეროლოგიური ლაბორატორიის გამგე ექიმი ელიავა. (1; №242)
- რუსეთის სავაჭრო, სანაოსნო დამზღვევმა საზოგადოებამ უკვე მოაწყო წესიერი საზღვაო მიმოსვლა ბათუმიდან და ფოთიდან ოდესასა და სტამბოლში. ამჟამად წესიერად გადის როგორც სამგზავრო, ისე საბარგო გემები ხსენებული მიმართულებით. (1; №242)
- ბათუმიდან თბილისში ჩამოვიდა ბათუმში ინგლისის ბანკის მმართველი გენერალური შტაბის კაპიტანი ნ. ს. სმიტი, საქართველოს მთავრობასთან ფინანსურ საკითხზე მოსალაპარაკებლად. (1; №244)

27 ოქტომბერი

- შედგა საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მისაღებად ახალგაზრდების გაგზავნის შესახებ არჩეული საუწყებათა შორის კომისიის შემადგენლობიდან გამოყოფილი მცირე კომისიის სხდომა, სადაც განიხილეს და მიიღეს გასაგზავნი ახალგაზრდების სია. 1 ნოემბერს ეს სია უნდა დაამტკიცონ. (1; №247)

28 ოქტომბერი

- „საქართველოს რესპუბლიკის“ ნომერი იუწყება, რომ გზათა დეპარტამენტის ინჟინერ, ჭიჭინაძის, ამერიკის მისიასთან მოლაპარაკების თანახმად, ინგლისელთა მისია ვალდებულია გადაყვანის ვალში მისცეს ბათუმში საქართველოს რკინიგზის მოსამსახურეთათვის ყოველთვიურად 40 000 ფუთი კანადის ფქვილი, ყუთი 160 მანეთად. (1; №243)
- ამერიკის გენერალური საკონსულო თბილისში აცხადებს, რომ ნიუ-იორკის ექსპორტის და იმპორტის საზოგადოება „ი. ბაგრო და შვ.“ კისრულობს ყოველგვარი ნედლი მასალის გავრცელებას ამერიკის ბაზარზე. იგივე საკონსულო აცხადებს, რომ ნიუ-იორკის ფირმა „ტრეტინგ და კომპ.“ კისრულობს სხვადასხვა ფეხსაცმლის, წინდების, რკინეულობის და ტყავეულობის, ქაღალდის და სათამაშოების მიწოდებას ფილადელფიიდან. (1; №243)
- თბილისიდან ბათუმში გაიგზავნა ლტოლვილი ბერძნების 40 ოჯახი და რუსები ოჯახებით 120 კაცი. (1; №246)
- ბათუმში მოვიდა 100 000 ფუთი სხვადასხვა ხარისხის ქაღალდი „კიუმენე“-ს სახელზე. გ.ა აბელოვის განკარგულებით. ყოველდღე იტვირთება 10 ვაგონი ქაღალდი. (1; №246)

29 ოქტომბერი

- ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ტექნიკურმა კომიტეტმა პატენტი გასცა ნავთით გასახურებულ ორიგინალურ ტიპის ახლათ გამოგონილ ფარსუნკისთვის. (1; №244)
- ამერიკის გენერალური საკონსულოს ცნობით, ნიუ-იორკის ფირმა „ფორეინ ფრო-დაქტი და ამხ."-ს შეუძლია ტანისამოსის, სურსათის და სასოფლო-სამეურნეო იარა-ღის გაცვლა კაკლის ხეზე, ბეწვეულსა და სელზე. (1; №244)

30 ოქტომბერი

- შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიამ მოწერილობა დაუგზავნა ყველა მაზრის ერობებს, აფხაზეთის კომისარიატს, ტფილისის, ქუთაისის და ფოთის ქალაქის მილი-ციის უფროსებს: სტამბოლის საქართველოს მისიისგან მიღებული ცნობით, საქარ-თველოს ქვეშევრდომნი მოგზაურობენ საზღვარგარეთ შინაური ან რუსული პასპორ-ტებით. შსს კანცელარია გაცნობებთ, რომ საქართველოს მოქალაქე საზღვარგარეთ ჩვენი საზღვარგარეთის პასპორტის აუღებლად ვერ მიიღებს ვიზას სტამბულში და მიცემული იქნება პასუხისგებაში. (1; №245)
- რაჭის სამაზრო ერობა თანახმათ ხმოსანთა ყრილობის დადგენილებისა შუამდგომ-ლობს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა ლეჩხუმის მაზრის ჭყვიშის საზო-გადოება რაჭის მაზრას შეუერთდეს. (1; №245)

31 ოქტომბერი

- „საქართველოს რესპუბლიკა" იუწყება, რომ ბათუმში ინგლისელთა გენერალ-გუბერ-ნატორის განკარგულებით დახურულ იქნა რუსეთის სახელმწიფო ბანკის განყოფი-ლება. ბანკის შენობაში მოთავსდა ინგლისური ბანკი. (1; №246)
- ბათუმიდან მიღებული ცნობებით, იქ ქართული ბონების და ამიერკავკასიის ბონების ფასი ერთი და იგივეა. ქართული ბონები დონის ბონებზე 20%-ით ძვირია. (1; №246)
- ღამის 1 საათზე გასული მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა. ლიანდაგი აყრილი აღმოჩნდა. გადავარდა 4 საკლასო მატარებელი და დაშავდნენ მემანქანე და უფროსი კონდუქტორები. თავდასმა მოიგერიეს. (1; №247)

1 ნოემბერი

- „საქართველოს რესპუბლიკა" იუწყება, რომ სოფ. საწირეში (ტყიბულის რ-ნი) წელს გა-იხსნა უმაღლესი პირველი დაწყებითი სასწავლებელი, სადაც სწავლა 7 ოქტომბერს დაიწყო. (1; №247)
- ერობათა კავშირში კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე მოისმინეს ექიმ ლომოურის მოხსენება საექიმო სასანიტარო ცენტრის მოწყობაზე ერობათა კავშირში. გადაწყდა მოეწყოს ერობათა კავშირთან საექიმო სასანიტარო განყოფილება, ერობების მუშაობის გასაერთიანებლად და სახელმძღვანელოდ საექიმო-სასანიტარო დარგში. დებულების პროექტის შედგენა ამ საკითხზე ექიმ ლომოურს დაევალა. (1; №253)

2 ნოემბერი

- კვირას სახელმწიფო თეატრში დაიწყო ქართული ლატარიის გათამაშება. გათამაშებას ბევრი ხალხი დაესწრო. სხდომა სიტყვით დაიწყო ლატარიის გამგეობის თავმჯდომარემ პროფესორმა ივანე ჯავახიშვილმა. პირველი ბილეთებს ხსნიდა ბ-ნი ნოე რამიშვილი. ყველაზე დიდ მომგებიანი ბილეთი ამოვიდა 25 000 მანეთის ოდენობით. (1; №249)
- მუშა ქალთა ორგანიზაციის საღამოს სკოლაში ამჟამად 120 მოსწავლე მუშა ქალი ითვლება, რომლებიც ენერგიულად იღებენ ცოდნას. უადგილობის გამო სხვა მოსწავლეების მიღება შეწყდა. (1; №248)

3 ნოემბერი

- იტალიის გაზეთ „ილ მესაჯეროსში“ დაიბეჭდა სტატია სადაც საუბარია საქართველოს მისიის შესახებ რომში. აქ აღნიშნულია, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრაფ პორცას ბევრჯერ ესაუბრა, ასევე, პრემიერ-მინისტრ ნიტტისთან ლაპარაკში მან აღნიშნა, რომ ყურადღება მიექციათ, რომ პარიზში მყოფი იტალიის დელეგაცია დათანხმდეს, იკისროს საქართველოს ინტერესების დაცვა და ცნობილი იქნას დამოუკიდებელი სახელმწიფოდ. მეორე ის რომ მოითხოვდა სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებას საქართველოსა და იტალიას შორის. (1; №262)

4 ნოემბერი

- „საქართველოს რესპუბლიკა“ იუწყება, რომ თბილისის სასამართლო პალატის საგანგებო საქმეთა გამომძიებელი მ. ა. გრაევსკი და ამავე სასამართლო პალატის ბრალმდებლის მოადგილე ი.ს. კალვაიტი სახელმწიფო ენის უცოდინარობის გამო განთავისუფლებული არიან თანამდებობებიდან, ამა წლის ნოემბრის პირველიდან სალიკვიდაციო ჯილდოს მიცემით. (1; №249)

5 ნოემბერი

- „საქართველოს რესპუბლიკა“ იუწყება, რომ თბილისის ქალაქის თვითმმართველობის სასურსათო განყოფილება აძლევს საპონს სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათა მოსამსახურეებს, სულზე 3 გირვანქას, რადგან საპონი ცოტაა, მხოლოდ ისინი დაკმაყოფილდებიან, რომლებიც ადრე წარმოადგენენ სიას. (1; №250)

6 ნოემბერი

- „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით, ჭიათურის სახალხო გვარდიის კრება იღებს რა მხედველობაში ანარქიულ გამოსვლებს, რომელთაც სურთ სამოქალაქო ომის გაჩაღება მუშათა კლასს შორის და ამით ხელი შეუწყონ შავი გენერლების შემოსევას, სთხოვს მთავრობას, ასეთი გამოსვლების წინააღმდეგ უსასტიკესი ზომები მიიღოს.

კმარა ლმობიერება, ყველა დამახილზე ჩვენ მზად ვიქნებით შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა. (1; №251)

- „საქართველოს რესპუბლიკის“ ნომერი იუწყება, რომ მიწათმოქმედების სამინისტროს სატყეო განყოფილებამ შეიმუშავა ახალი „სატყეო წესდების“ პროექტი, რომელიც შედგენილია 1916 წელს რუსეთის მიწათმოქმედების და მიწათმოწყობის მთავარ სამმართ[ელოს მიერ შემუშავებული პროექტის მიხედვით. ამ პროექტში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი კავკასიის ტყეებს. (1; №251)
- ქართულ სამუსიკო საზოგადოებაში შეერთებული რეპეტიციები საოპერო სტუდიისა და კაპელასი უკვე დაიწყო და მალე საზოგადოება მოისმენს ქართულ ოპერას „თქმულება შოთა რუსთაველზე“. მუსიკა დიმიტრი არაყიშვილისა. (1; №251)
- დრამატული სტუდიის დავალებით დ. ნახუცრიშვილმა თარგმნა დიდი მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის პიესა „მეფე ურიათ“. (1; №251)
- თბილისიდან ბაქოში გაიგზავნა 5 ცარიელი სამარშუტო მატარებელი თითოეულში 55 ცისტერნა, ამით ნავთი უნდა ჩამოიტანონ ქართული გზების და სამრეწველო მიზნებისთვის. (1; №255)

7 ნოემბერი

- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ქარცივაძის და ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის დ. მგელაძისა და ბათუმის ოლქის სამხედრო სარდლობის უფროსის კაპიტან გოუტს შორის დაიდო ხელშეკრულება, რესპულიკასა და ინგლისელების მიერ დროებით დაპყრობილ ბათუმის ოლქს შორის ფოსტა-ტელეგრაფის ურთიერთობა აღდგენის შესახებ. ეს შეთანხმება ძალაში 10 ნოემბრიდანაა. (1; №255)

8 ნოემბერი

- შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება, რომ ლაგოდეხში ბოლშევიკური გამოსვლის სრული ლიკვიდაცია უკვე მოხდა. ხალხმა გვარდიას ჩააბარა იარაღი. 28 ოქტომბერს მოხდა მთელი თემის ყრილობა, სადაც ხალხმა სრული მორჩილება და ერთგულება გამოუცხადა მთავრობას. გამოსვლის ყველა მეთაური და ხელის შემწყობი ხალხმა გასცა. 20 მეთაური მთაში გაიქცა, თუმცა 9 დაბრუნდა. (1; №253)

9 ნოემბერი

- კვირას ქართველმა საზოგადოებამ ვასილ ბარნოვს დიდი ზეიმით გადაუხადა თავისი 30 წლის მოღვაწეობა სამწერლო ასპარეზზე, სახელმწიფო თეატრში, სადაც უამრავი ხალხი იყო. იუბილარი დავით კლდიაშვილთან ერთად მივიდა. (1; №255)
- ახალქალაქში და მეჯვრისხევში (გორის მაზრაში) რესპუბლიკის მტრებმა დაიჭირეს ადმინისტრაციის და სათემო თვითმმართველობის წევრები, ხოლო მეჯვრისხევში ამის გარდა მილიციის ადგილობრივი უფროსი. სახალხო გვარდიის და სამაზრო ადმინისტრაციის მიერ მიღებული ზომებით, რამდენიმე საათის შემდეგ მეამბოხეები შეიპყრეს და წესრიგი აღადგინეს. ამ შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდნენ ადგი-

ლობრივი სამიკიტნოების პატრონები, რომლებიც ადრე ითვლებოდნენ დაშნაკცუტუნის პარტიის წევრებად, ამის გარდა ადგილობრივი ქურდბაცაცები. დააპატიმრეს 40 კაცი. (1; №256)

- ბრბომ ხელთ იგდო დაბა ჩოხატაური და აქ გამოაცხადა საბჭოთა მთავრობა, დაატუსაღა სახალხო გვარდიის შტაბის წევრი ჩიგოგიძე. მეამბოხეებს ხელმძღვანელობდნენ ცნობილი ყაჩაღი პაიჭაძე, ინგლისელი ექიმის მკვლელი და ცნობილი ყაჩაღი შანტაჟისტი გიორგი ძნელაძე. მთელ გურიაში ხალხმა მიიღო ენერგიული ზომები შეთქმულთა ბრბოს წინააღმდეგ. ყველგან აღდგა წესიერება, ამბოხების ყველა მონაწილე გადაეცემა ადგილობრივ სასამართლოს. (1; №256)

10 ნოემბერი

- მთელ გურიაში აღდგენილი იქნა წესრიგი. შეიარაღებული მაცხოვრებლები, მილიციის და გვარდიის მეთაურობით ოზურგეთიდან დაიძრა ლიხაურის, ახალსოფლის და ჯუმათისკენ, რომელიც ბოლშევიკური ბანდის ბუდედ ითვლებოდა და ასევე მიმდებარე ტყეებისკენ სადაც მათი აზრით ისინი იმალებოდნენ. ამ ამბოხებამ დაამტკიცა გურიის ხალხის ერთგული თავდადება დემოკრატიული რესპუბლიკისათვის. ეს აჯანყება ხალხმა ჩააქრო იარაღით ადგილობრივი მთავრობის მეთაურობით. (1; №258)

11 ნოემბერი

- სახელმწიფო მამულში კიულარში (ბორჩალო) განზრახულია სახელმწიფო ცხენის გასაშენებლის მოწყობა. უკვე შეძენილია 22 ჯიშიანი ფაშატი ცხენი. გასაშენებლის მოსაწყობად მიემგზავრება განსაკუთრებული კომისია. (1; №255)
- დამფუძნებელი კრების 11 ნოემბრის დეკრეტის თანახმად, „საქართველოს ტერიტორიაზე ნაფიც ვექილად, მის თანაშემწედ და კერძო ვექილად შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს ქვეშევრდომი“. ამავე დეკრეტით შეიქმნა ნაფიც ვექილთა საბჭო. (7; 310)
- დამფუძნებელი კრების სხდომაზე განხილული იქნა შინაგან საქმეთ მინისტრის განკარგულებით 10 მილიონი მანეთის გადადება ანარქიასთან და სხვა ანტისახელმწიფოებრივ უწესრიგობასთან საბრძოლველად. (1; №257)
- დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიაში გერონტი ქიქოძემ დაწვრილებითი მოხსენება გააკეთა ვაკეში სტადიონის მოწყობის შესახებ. სტადიონამდე ტრამვაი ან ვიწრო ლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანის აზრი აქვს ქალაქის გამგეობას, ხოლო ირგვლივ მთის კალთებზე დაირგვება ხეები. სტადიონი იქნება 100x200 კვადრატული საჟენის ფართის. ქვის ამფითეატრი ძვირი დაჯდება, ამიტომ იგი უბრალოდ უნდა გაიმართოს მთის კალთების შესაფერისად გადათხრით. (1; №259)

12 ნოემბერი

- „საქართველოს რესპუბლიკის“ ინფორმაციით, ქალაქის თავს აცნობეს რომ მილიციელები სასტიკ ზომებს იღებენ დაპატიმრებულ ადამიანებზე. ეს მილიციის უფროსს არ

შეუმჩნევია, მაგრამ თუ ასეთი ფაქტი მოხდება მილიციელი არამარტო დათხოვნილი იქნება, არამედ სასჯელი მიეცემა 345-ე მუხლით. (1; №256)

13 ნოემბერი

- ხაშურში შეიარაღებული ბრბო რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ყაჩაღები ქორქაშვილი და ბატსაშვილი, თავს დაესხა ერობის შენობას და მილიციის პოსტს. შეიპყრეს და წაიყვანეს გამგეობის თავმჯდომარე. წევრები და მილიციელები. (1; №269)
- თბილისის ვაჟთა 1 გიმნაზიის შენობაში გაიხსნა ფრანგული უმაღლესი საუნივერსიტეტო კურსები. გახსნას დაესწრო მაიორი გრაფი დენონ ანკური, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი, განათლების მინისტრის წარმომადგენელი სერგი დანელია, საფრანგეთის მისიის წევრი გიუგი, აზერბაიჯანის წარმომადგენელი, პოლონეთის წარმომადგენელი ასტროვსკი, გენერალი ილია ოდიშელიძე, პაპის დელეგატი დელფუშე, ქალაქის მოურავი ბენია ჩხიკვიშვილი და დამფუძნებელი კრების წევრი, ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წევრი გიორგი გვაზავა. (1; №260)

14 ნოემბერი

- „საქართველოს რესპუბლიკის“ ნომერი იუწყება, რომ დახურულ გაზეთ „საქართველოსნ მაგივრად გამოვიდა გაზეთი „ახალი საქართველო“. (1; №258)
- „საქართველოს რესპუბლიკა“ იუწყება, რომ დაიხურა საორშაბათო გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ და „ზნამია ტრუდა“. (1; №258)
- ქალაქის მილიციის უფროსმა სახლის ანტისანიტარულ მდგომარეობისათვის ერთი თვით ციხეში დააპატიმრა აზნაურთა ქუჩაზე მე-6 სახლის პატრონი შახ. ჰარონიანი. (1; №258)
- ერევნიდან იტყობინებიან რომ სომხეთის პარლამენტს ერთსულოვნად დაუმტკიცებია სომეხ-ქართველთა შეთანხმების ტექსტი. (1; №258)
- თბილისში ერევნიდან ჩამოვიდა სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარე, ექვსი წევრითურთ. (1; №259)
- შინაგან საქმეთა სამინისტროს აუწყებენ, რომ დღის 10 სთზე გორში თვით ხალხმა დახვრიტა მეამბოხეთა მეთაური არსენა ლომიძე, ხიჯიშვილი და აბესალომ ბეკოშვილი. (1; №265)
- საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსმა მოადგილემ ალექსანდრე ლომთათიძემ დააამტკიცა, საქართველოს რესპუბლიკის და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობათა შორის ქ. თბილისში 1919 წლის 3 ნოემბერს დადებული ხელშეკრულება, სადავო საკითხების შეთანხმებით ან სავალდებულო არბიტრაჟის გადაწყვეტით შესახებ. (უფრო სწორად რატიფიკაცია მოახდინა დამფუძნებელმა კრებამ და არა რომელიმე ერთმა პირმა – დ. შ). (7; 310)

15 ნოემბერი

- დაიწყო სასურსათო დარგისა და გამგეობის წევრთა თათბირი, სადაც განიხილეს სხვადასხვა საკითხები: 1. ყველა მაზრაში მოუსავლიანობის გამო მოსალოდნელია

შიმშილი; 2. სასურსათო პოლიტიკას უნდა აწარმოებდეს მთავრობა; 3. მთავრობას ევალება ექსპორტ-იმპორტი; 4. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საზღვრების დაცვას და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლას და სხვა საკითხები. (1; №236)

16 ნოემბერი

- ადმინისტრაციის განკარგულებით დაიხურა „სასპორტო კლუბი“ ნება დაურთველი ქაღალდის თამაშის წარმოებისთვის. (1; №260)
- „საქართველოს რესპუბლიკის“ ნომერი იუწყება, რომ თბილისში შედგა „ქართველ მაჰმადიანთა დამხმარე საზოგადოება“, რომლის წესდება უკვე წარედგინა საოლქო სასამართლოს. (1; №260)
- „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით, ბოლო დროს ერევნის და განჯის გუბერნიიდან ბათუმში მოდიან სომეხი ლტოლვილები სამსახურის საძიებლად, სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს წარმომადგენელმა გამოაცხადა, რომ ბათუმში სამუშაო არ მოიპოვება. (1; №260)

17 ნოემბერი

- თბილისის თვითმმართველობის სხდომაზე ქალაქის მოურავმა ბენია ჩხიკვიშვილმა მოახსენა საბჭოს, რომ მან შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, სასურსათო და საბინაო კრიზისის გამო, ქალაქიდან უსაქმური ელემენტების გასახლების შესახებ. (1; №236)
- ბაქოდან, საქართველოს წარმომადგენელმა ალშიბაიამ გამოაგზავნა დეპეშა, სადაც ეწერა რომ ის 17 ნოემბერს შეხვდა გარეშე საქმეთა მინისტრ ჯაფაროვსა და მთავრობის თავმჯდომარე უსუმბეკოვს. ბრიტანეთის წარმომადგენლის ოლივერ უორდროპისა და რეის შუამდგომლობით. ისინი თანახმა არიან შეაჩერონ სამხედრო მოქმედება ზანგეზურში, განსაზღვრული პირობებით.

18 ნოემბერი

- დამფუძნებელი კრების განათლების კომისიამ დაადგინა ვიდრე რესპუბლიკის ყველა უწყებისთვის შემუშავდებოდა საპენსიო დებულება, დაევალოს კომისიის მიერ არჩეულ საგანგებო კომისიას, შეიმუშაოს განათლების უწყების მოხელეთათვის პენსიის დანიშვნის წესი. (1; №264)
- მთავრობის სხდომაზე მოისმინეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება მეტეხის ციხის სტამბის დახურვის შესახებ. მოიწონეს. გადაწყდა, რომ სტამბა დაიხუროს და მის მოსამსახურეებს მიეცეთ სალიკვიდაციო ფული, როგორც ეს კანონითაა გათვალისწინებული. (1; №262)

19 ნოემბერი

- „საქართველოს რესპუბლიკის“ ნომერი იუწყება, რომ განათლების სამინისტროს განკარგულებით გადაიდო 3 000 მანეთი, 10 მილიონიან ფონდიდან, ჟურნალ „განათლებისთვის“ დასახმარებლად. (1; №262)

- „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციამ მიიღო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ გამოცემულ აკაკის ისტორიული დრამა „პატარა კახი“. წიგნი პატარა ფორმატისაა და ღირს 12 მანეთი. (1; №262)
- საველე სასამართლოს დადგენლებით დახვრიტეს ს. ახალქალაქში მომხდარ აჯანყების მეთაური გალუსტოვი, ხუციევი და მეცხვრიშვილი. (1; №268)
- შედგა საუწყებათშორისო კომისიის ბოლო სხდომა, განათლების მინისტრის თავმჯდომარეობით. გადაწყდა საზღვარგარეთ გასაგზავნ სიას კიდევ 25 სტუდენტი შეემატოს, სულ უნდა 75 სტუდენტი გაიგზავნოს. (1; №264)
- ერევნიდან თბილისში ჩამოვიდა სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე ა.ი. ხატისოვი. ასევე, 3 სთ-ზე ბაქოდან ჩამოვიდა აზერბაიჯანის მთავრობის თავმჯდომარე უსუმბეკოვი. მათ ქართველი მთავრობის წარმომადგენლები დახვდნენ. ისინი შეხვდნენ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს ევგენი გეგეჭკორს. შეხვედრის შემდეგ ისინი საზავო კონფერენციის უმაღლესი კომისიის თავმჯდომარემ პოლკოვნიკმა რეიმ თავისთან სასადილოდ მიიპატიჟა: ევგენი გეგეჭკორი, ხატისოვი, უსუმბეოვი, დავით ღამბაშიძე და გ ევანგელოვი. სადილის შემდეგ დაესწრნენ ოპერა „აბესალომ და ეთერის“. ხალხი მათ ტაშით შეხვდა. შესრულდა საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის და ამერიკის ჰიმნები. (1; №264)

20 ნოემბერი

- „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობა იუწყება, რომ სამეურნეო ბანკის ბინაზე მოწვეულია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარი გამგეობის კრება, რომელიც იმსჯელებს ქართული შრიფტის შესწორებასა და შემუშავებაზე. მოწვეულია სხვადასხვა დაწესებულებებიდან მცოდნე პირები. (1; №263)
- „საქართველოს რესპუბლიკა“ იუწყება, რომ დაიბეჭდა და გასაყიდად გამოვიდა ს. იამვილის „მოკლე სახელმძღვანელო საზოგადო გეოგრაფიისა: აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია“ – ფასი 27 მანეთი; ვ. ხრამელაშვილის „არითმეტიკული ამოცანებისა და რიცხვთა მაგალითების კრებული“ 1 და 2 ნაწილი – ფასი 17მან. ორივე წიგნი ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემაა, დაბეჭდილია სუფთად და ლამაზად. (1; №263)
- საღამოს 10 სთ-ზე ავლაბარში ცეცხლი გაუჩნდა „მირ“-ის თამბაქოს ქარხანას. როგორც გადმოგვცემენ, ცეცხლი ღუმელიდან გაჩენილა და ალი მთელ ქარხანას მოედო. სახალხო გვარდიის დახმარებით მოხერხდა თამბაქოს და პაპიროსის გადარჩენა. ცეცხლს დიდხანს აქრობდნენ მეხანძრეები. ზარალი მილიონ მანეთს აღემატება. (1; №265)

21 ნოემბერი

- „საქართველოს რესპუბლიკა“ იუწყება, რომ იუსტიციის სამინისტროს დაარსებული საგანგებო კომისიის მიერ შედგენილი რუსულ-ქართული ლექსიკონი იურიდიული ტერმინებისა, სასწრაფოდ იბეჭდება სტამბულში. უკვე დაბეჭდილია სამი ფორმა ასო

„ბ"-მდე. აქ შედის 3 000-მდე სიტყვა. უკანასკნელი კორექტურა უნდა გააკეთოს პროფესორმა ივანე ჯავახიშვილმა, რომელიც მონაწილეობას იღებდა ლექსიკონის შემდგენელ კომისიის მუშაობაში. მისი დაბეჭდვა უნდა დამთავრდეს არაუგვიანეს 15-20 დეკემბრისა. (1; №264)

- ინგლისის სარდლობა მკაცრ ზომებს ღებულობს იმ მოქალაქეთა წინააღმდეგ ვინც ინგლისურ სამხედრო ტანისამოსს ატარებს. (საუბარია ბათუმში მიმდინარე მოვლენებზე – დ. შ). (1; №264)
- ინგლისის სარდლობა მკაცრ ზომებს ღებულობს აგრეთვე ყაჩაღი-მძარცველების წინააღმდეგ. ამ დღეებში ბათუის ერთ მთავარ მოედანზე საჯაროდ დახვრიტეს რამდენიმე ყაჩაღი-მძარცველი. (1; №264)

22 ნოემბერი

- „საქართველოს რესპუბლიკის" ნომერი იუწყება, რომ საქართველოს კონსულმა ჩინოჯიშვილმა აცნობა საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ ბათუმში ფოთიდან შესულა პირველი ქართული გემი „თბილისი", ჩვენი ეროვნული დროშით. გემს დიდი ენთუზიაზმით შეხვედრია ქართული საზოგადოება და დიდი ოვაციები გაუმართავს. (1; №265)

23 ნოემბერი

- 12 სთ-ზე თბილისის მაზრის ერობის შენობაში (რუსთაველის პროსპექტი N6) მოწვეულია ჭლექთან მებრძოლი საზოგადოების დამფუძნებელი კრება. (1; №264)
- დაიბეჭდა და იყიდება ქართული საყმაწვილო გამომცემლობის „სურათები-ზღაპრები"-ს გამოცემა N5, „ყვავი, ბუ და ლელა კოდა". ფასი 5 მან. (1; №266)
- 4 საათზე სასტუმრო „ორიენტში" გაიმართა შეხვედრა ზანგეზურის საკითხის შესახებ შეთანხმების გამო აზერბაიჯანის მთავრობის თავმჯდომარე ნასიმ ბეკ უსუმბეკოვის და სომხეთის მთავრობის თავმჯდომარის ხატისოვის. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. შეთანხმებით: 1) პირობას დებდნენ შეწყვიტონ სამხედრო შეტაკება, აღარ მიმართონ იარაღს და მიიღებენ საერთო ზომებს. 2) გადაწყვიტეს შესწორდეს ზანგეზურის გზები და აღდგეს სამშვიდობო მიმოსვლა. 3) ერთმანეთთან შეთანხმებით გადაწყვიტონ ყოველივე, მათ შორის საზღვრების საკითხი, სხვა სადავო საკითხები, ვიდრე ამის შესახებ საჭირო დადგენილებას არ მიიღებს სამშვიდობო კონფერენცია, აირჩიონ მედიატორი, გარეშე პირი, ამ შემთხვევაში ამერიკის პოლკოვნიკი ჯემს ს. რეი. (1; №268)

24 ნოემბერი

- ხაშურიდან, სამმართველოს პალატის წევრი ორჯონიკიძე იუსტიციის მინისტრს დეპეშით აუწყებს, რომ 24 ნოემბერს იქ გაუსამართლებიათ 5 მილიციელი, რომელთაც ბრალად ედებათ ყაჩაღებისთვის იარაღის გაცვლა. 2 მათგანს სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა, ერთს 10 წლის კატორღა, ორს 15 წლით. (1; №270)

25 ნოემბერი

- იუსტიციის სამინისტროს მიერ მიღებულ დეპეშის თანახმად 25 ნოემბერს საგარეჯოში გაიხსნა მომრიგებელ მოსამართლეთა კრება. (1; №272)

26 ნოემბერი

- „საქართველოს რესპუბლიკის" ნომერში დაბეჭდილია გენერალ ლეიტენანტ დენიკინის ბრძანება. (ტაგან როგი 12 ნოემბერი). რადგანაც შავი ზღვის იმ ნავთსადგურებში, რომლებიც ქართველებს უჭირავთ, ბათუმში და შავი ზღვის სანაპიროების და სხვა უცხო ნავსადგურებში შესვლის და სურსათის შეზიდვის აკრძალვა რუსეთის სავაჭრო გემების მიერ გრძელდება, ამიტომ ბრძანებს, რუსეთის სავაჭრო გემებს აეკრძალოს ქართველების მიერ დაპყრობილ სანაპიროს ნავსადგურებში შესვლა. შავი ზღვის ფლოტის სარდალმა გასცეს განკარგულება რომ ფლოტის გემებმა შეამოწმონ რუსეთის სავაჭრო გემები თუ საით მიდიან და რა მიაქვთ. (1; №268)
- ამერიკის დამხმარე კომიტეტმა განკარგულება გასცა რათა თავშესაფრიდან დაითხოვონ ის ობლები, რომლებიც წლოვანებით აღემატებიან ვაჟები 14 წელს და გოგონები 16-ს. (1; №268)
- თბილისიდან ევროპაში გაემგზავრა, მთავრობის სტიპენდიანტთა 5 კაციანი ჯგუფი. მათ რამდენიმე სტუდენტი თან გაყვა თავისი ხარჯით. (1; №272)
- N 275 ბრძანებით, სამხედრო მინისტრი ნოე რამიშვილი მადლობას უცხადებს მე-8 ასეულის უფროს ლეიტენანტ გამყრელიძეს და მასთან ერთად ჯარისკაცებს, გამოჩენილი გმირობისათვის სამშობლოს წინაშე, ლაგოდეხში ბოლშევიკების ბრბოების გამოსვლის დროს 23 ოქტომბერს მათ, მოთხოვნის მიუხედავად, რომ იარაღი ჩაებარებინათ, ეს არ გაკეთეს და აჯანყებულებს არ დანებდნენ. (1; №272)

27 ნოემბერი

- „საქართველოს რესპუბლიკის" ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს აუწყებენ, რომ ფოთის ახლოს იპოვეს გემი „არტას" გერმანელი კაპიტნის მერკჰაუზენის გვამი. ეს ამბავი აცნობეს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს. მინისტრმა განკარგულება გასცა, რომ დაინიშნოს ამ საქმის გამოძიება. (1; №269)

28 ნოემბერი

- „საქართველოს რესპუბლიკის" ნომერში გამოქვეყნდა დეპეშა სადაც საქართელოს მევენახეთა და მეღვინეთა პირველი კონგრესის თავმჯდომარე ნიკო ნიკოლაძე და წევრნი, ესალმებიან საქართელოს დემოკრატიულ მთავრობას და უსურვებენ სრულ გამარჯვებას სამეურნეო აღმშენებლობაში. (1; №270)
- „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა დეპეშა, რომლითაც სენაკის სამაზრო სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობა ესალმება მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიასა და მთელ მთავრობას. (1; №270)

- პირველი რაიონული სახალხო გვარდიის კრება დაბა ცხინვალიდან, მიესალმება საქართველოს მთავრობას და ფიცს დებს, რომ სასტიკად შეებრძოლება ყოველგვარ ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებს, როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდან და დაიცავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენულ პატრონს დამფუძნებელ კრებას და მის მიერ არჩეულ სოციალისტურ მთავრობას. მისალმებას ხელს აწერს კრების თავმჯდომარე დ. მაჭავარიანი. (1; №270)
- იტალიის მისიის უფროსმა, გენერალური შტაბის პოლკოვნიკმა გაბბამ საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს მისწერა, რომელშიც მადლობას უხდის გუშინდელი (27 ნოემბერს) სადილისთვის, აღნიშნავს რომ მისთვის სასიხარულოა მონაწილეობის მიღება ამიერკავკასიის ერთა მომავლისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობის ხელშეკრულების დადებაში, იმისთვისაც რომ ხედავს მათ ბრძნულ მუშაობას. ის ამის შესახებ დაწვრილებით მოახსენებს იტალიის სამეფო მთავრობას. (1; №270)

29 ნოემბერი

- „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა, რომ ქართულს სამუსიკო საზოგადოებაში ქართული საოპერო სტუდია შეუდგა ზაქარია ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის“ სწავლას. რეპეტიციები ყოველდღიურად მიმდინარეობს აგრეთვე, ალექსანდრე ახმეტელის რეჟისორობით „თქმულება შოთა რუსთაველზე“ დადგმისათვის, მუსიკა დიმიტრი არაყიშვილისაა, რომელიც უახლოეს ხანში განხორციელდება. (1; №271)

30 ნოემბერი

- „საქართველოს რესპუბლიკის“ ნომერში გამოქვეყნდა დეპეშა სამტრედიიდან, რომლითაც იუწყებოდნენ რომ წვიმების გამო ადიდდა მდინარე რიონი, ცხენისწყალი და მთის სხვა მდინარეები. წყალმა წაიღო ღობეები და საქონელიც. მოსახლეობა შეწუხებულია. (1; №272)
- პლეხანოვის ქუჩაზე მდებარე თეატრალურ-საზოგადოებრივი კლუბი დაიხურა. (1; №272)
- პლეხანოვის ქუჩაზე მდებარე სპორტის კლუბის მაგიერ, რომელიც დაიხურა, გაიხსნა „რესპუბლიკანური კლუბი“. (1; №272)
- ადმინისტრაციამ ხელწერილები ჩამოართვა ზოგიერთ კლუბებს, რომ ისინი არ დაუშვებენ ბანქოს თამაშს. (1; №272)

1 დეკემბერი

- იუსტიციის დეპარტამენტის მმართველმა გიორგი ჟორდანიამ დაათვალიერა ქ. თბილისის ზოგიერთ მომრიგებელ მოსამართლეთა და სასამართლოს გამომძიებლების კამერები. (1; №273)
- თბილისის გამგეობამ დაადგინა, ქალაქის საწყობების დამტვირთავ მუშებს პირველი დეკემბრიდან გაეზარდოს ხელფასი – ფუთზე 50 კაპიკით. (1; №273)

- ქალაქში, დილის მატარებლით, ოზურგეთიდან დაბრუნდა ქალაქის თავი ბენია ჩხიკვიშვილი, რომელიც სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობაზე იყო წასული. (1; №273)
- თბილისის სამაზრო ერობის ბინაზე შედგა თბილისის მაზრის აგრარული კომისიის თავმჯდომარეთა ყრილობა. (1; №275)

2 დეკემბერი

- თბილისის მეხუთე სამილიციო უბანში, სუფსარქისის ქუჩაზე, ბებუთოვის აბანოს ცეცხლი გაუჩნდა. გამოძახებულმა ცეცხლის მქრობელმა რაზმმა დროულად ჩააქრო ხანძარი. დაუდგენელია ცეცხლის გაჩენის მიზეზი. ზარალი დიდი არ არის. (1; №277)
- სადგურ ნავთლუღთან ლიანდაგს გადასცდა, თბილისიდან დილის 5 საათსა და 20 წუთზე გასული მატარებელი №138. დაიღუპა 2 ადამიანი, დაშავდა მრავალი, დაიმტვრა ორთქლმავალი, დაზიანდა 15 ვაგონი. (1; №277)
- თბილისის სამაზრო ერობაში ყარაიზისა და ასურეთის ოლქიდან დაიწყო გადასახადების შემოტანა. (1; №273)
- სახელმწიფო თეატრში იმართება, ცნობილი კომპოზიტორის, „აბესალომ და ეთერის" ავტორის, ზაქარია ფალიაშვილის ბენეფისი. აქვე წარმოდგენილი იქნება ამავე სპექტაკლის 25-ე დადგმა. (1; №273)

3 დეკემბერი

- ციციანოვის ქუჩაზე მცხოვრებ დარია მიხეილის ასულ მგალობლიშვილს, სახლში მიადგა, ოთხი, მილიციის ფორმაში გამოწყობილი უცნობი და 51 ათასი მანეთი გამოსძალეს. (1; №277)
- სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური კავშირის გამგეობამ, ჩაიბარა ყოფილი სასტუმრო „ბომონდის" ბინა, სტუდენტთა საერობო ბინებისათვის. პირველ რიგში დაბინავდებიან სრულიად უსახლკარონი. (1; №274)
- სოჭის ქართველობამ, სათანადო უწყების წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რომ სოჭის გიმნაზიებში სახელმწიფო ენის სწავლა იყოს სავალდებულო. (1; №274)
- თბილისის კლუბების კავშირმა გადაწყვიტა, ბოლო დროს მომრავლებულ იმ სახის კლუბების წინააღმდეგ ბრძოლა, რომლებიც ქაღალდის თამაშს უწყობენ ხელს. (1; №274)
- 11-ის ნახევარზე შედგება ხელოვნების კომისიის სხდომა. (1; №274)

4 დეკემბერი

- ბანძის ერობა ფოსტის მოხელეებს ავალდებულებს გზის მშენებლობაში მონაწილეობის მიღებას ან ამის სანაცვლოდ ფულად გამოსაღებს 1000 მანეთს. ფოსტის თანამშრომლები კი მიმართავენ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა მან განუმარტოს ბანძის ერობას, რომ ზემოაღნიშნული არ შედის ფოსტის თანამშრომელთა მოვალეობაში. (1; №275)

- სამიწათმოქმედო მინისტრის განკარგულებით, თბილისის საბაღოსნო სკოლების შენობა და მიწა გადავიდა თბილისის კულტურულ-ტექნოლოგიური სასწავლებლის გამგებლობაში. (1; №275)
- ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავის სახელობის პრემია – 1200 მანეთი, გადაეცემა ორიგინალური ნაწარმოების ავტორს. შეიძლება მიენიჭოს თარგმანსაც, ან პრიზი განაწილდეს სამ ავტორზე. (1; №275)
- სახელმწიფო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო კომისია აცხადებს საჭიროებას, უნივერსიტეტის წიგნთსაცავში მომუშავეებისა. საჭიროა ქართული და ევროპული ენების ცოდნა და კარგი კალიგრაფია. (1; №276)

5 დეკემბერი

- გარდაიცვალა დიდი კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი. (1; №276)
- ქალაქის თავმა მიიღო ბრიტანეთის უმაღლესი წარმომადგენლის – უორდროპის თხოვნა, ნუ გაგზავნიან თბილისიდან გადასახლებულებს ბათუმს, რადგან იქ პურის ნაკლებობაა. დაპირდნენ განხილვას. (1; №276)
- მუშაობას განაგრძობს კომისია, რომელიც თბილისიდან უსაქმური ელემენტების განსადევნად შეიქმნა. ეს პროცესი რამდენიმე დღეში უნდა დასრულდეს. (1; №276)
- თბილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება, თბილისის მცხოვრებთ ურიგებს 1 მანეთისა და 5 გირვანქის ღირებულების ნავთს. (1; №277)
- იმის გამო, რომ დამფუძნებელმა კრებამ მასწავლებელთა ხელფასი 100%-ით უკვე გაზარდა, ბალაში არ შევიდეს მაზრის ერობის გადაწყვეტილება მათთვის ხელფასის გაზრდის შესახებ. (1; №277)

6 დეკემბერი

- მოხდება სენატის კასაციურ დეპარტამენტთა შეერთებული საკრებულოს სხდომა. იგეგმება სასამართლოების რევიზიაც. (1; №277)
- სახალხო სახლში 8 საათზე იმართება სამმოქმედებიანი დადგმა „ლაქია“, თარგმანი კ. ხახანაშვილის. ასევე იდგმება „ჭკუა მიჭრის“. ფასი სახალხოა. (1; №276)
- ქართvელ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებას გადაეცა 5 000 მანეთი ქალაქის თვითმმართველობისგან, ჭრა-კერვის სკოლისათვის. (1; №277)
- ქართულმა კლუბმა მწერალთა ცენტრის სასარგებლოდ გადადო 11 957 მანეთი, მეორე კლუბმა კი – 28 237 მანეთი. (1; №277)

7 დეკემბერი

- დაკრძალავენ ნიკო სულხანიშვილს. (1; №278)
- დამთავრდა ლაგოდეხის რაიონში მომხდარი ამბოხების გამოძიება. მასალები ეგზავნება მინისტრს. (1; №278)
- მომარაგების სამინისტრო აცხადებს, რომ ქალაქში მომრავლდა ყალბი მოწმობებით ვაჭრობის ფაქტები. თაღლითები ყალბი მოწმობებით იძლევიან უფლებას ამა თუ იმ

საქონლის რესპუბლიკის გარეთ გატანის შესახებ. ისინი მკაცრად იქნებიან დასჯილნი. (1; №278)

- განათლების სამინისტრომ მთავრობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა დამსახურებულ მსახიობს კოტე ყოფიანს დაენიშნოს პენსია. (1; №278)
- თბილისის სამაზრო ერობა შეუდგა, სოფელ საგარეჯოსა და მარტყოფში 15 საწოლიანი საავადმყოფოს მოწყობას. (1; №278)
- სახალხო უნივერსიტეტი ხსნის უფასო კურსებს ექსპერიმენტალური ფსიქოლოგიისას, უმთავრესად ქალაქის მასწავლებელთათვის. წარმოებს ჩაწერა. (1; №278)

8 დეკემბერი

- მუშათა კლუბში გაიმართა ფილმ „ქრისტინეს“ ჩვენება. (1; №279)
- იუსტიციის მინისტრმა დაათვალიერა თბილისის პირველი და მეორე ციხეები. ციხეებში არსებული წესრიგით მინისტრი კმაყოფილი დარჩა. (1; №280)

9 დეკემბერი

- დამფუძნებელი კრების განათლების კომისიამ მოიწონა განათლების მინისტრის პროექტი და მუზეუმისთვის ძვირფასი ნივთების შესაძენად მილიონი მანეთი გადადო. (1; №279)
- მომარაგების სამინისტრომ შინაგან საქმეთა სამინისტროს აცნობა, რომ სოხუმიდან კონტრაბანდის სახით გადიოდა თამბაქო. მომარაგების სამინისტრო ამის საწინააღმდეგოდ ზომების მიღებას ითხოვდა. (1; №280)
- ქართული ფულის კურსი სოჭაში და ვლადიკავკაზში 100%-ით გაიზარდა. (1; №280)

10 დეკემბერი

- ოზურგეთის ერობამ მთავრობას მიმართა, გადაეცათ მათთვის ჭაობიანი ადგილები, რომელთაც გააშრობდნენ და გამოიყენებდნენ. (3; №701)
- გარე კახეთში დამთავრდა სატელეფონო ქსელის გაყვანა. (3; №701)
- ზ. ფალიაშვილის განცხადებით, საოპერო თეატრის რეპერტუარიდან მოიხსნა „აბესალომ და ეთერის“ დადგმა. (1; №280)
- დაიღუპა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კანტორის გამგე ა. ქავთარაძე, იგი სწრაფად მიმავალ ტრამვაის შეახტა, მაგრამ ვაგონში შესვლა ვერ მოასწრო და ბოძს დაეჯახა. (1; №280)

11 დეკემბერი

- ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონაში მთავრობამ დაიწყო გვარდიის მობილიზაცია ყაჩაღური დაჯგუფებების ასალაგმად. (1; №281)
- შინაგან საქმეთა სამინისტროში შედგა სხდომა, სადაც განიხილეს საქართველოს საზღვრების დაცვის საკითხი. (1; №281)

- რკინიგზის სამინისტრომ გამოყო უფასო მატარებელი მათთვის, ვისაც შინაგან საქმეთა სამინისტროს დადგენილებით უწევდა თბილისის დატოვება. და გადასახლება. (1; №281)
- პირველად დაიდგა ვიქტორ დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე". (1; №281)

12 დეკემბერი

- სახალხო გვარდიის დღე მთავრობამ უქმე დღედ გამოაცხადა. (1; №282)
- გაიხსნა ახალი კაფე „დარბაზი", სადაც გაიმართა კონცერტი და კაბარე. (1; №282)
- გაიმართა თბილისის კომიტეტის სხდომა, სადაც განიხილეს სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხები. (1; №282)

13 დეკემბერი

- აგრარულმა კომისიამ ჯუგაანის საერობო თემს გადასცა 1200 დესეტინა მიწა. (1; №282)
- მმართველობისა და თვითმმართველობის კომისიამ მოიწონა და პრეზიდიუმს გადასცა ბინებზე უკიდურესი ფასის მომატების კანონპროექტი. (3; №703)
- მოკავშირეთა უმაღლესი კომისარის მოადგილემ პოლკოვნიკმა რეიმ საქართველო დატოვა. წასვლის წინ ის შეხვდა საგარეო საქმეთა მინისტრს. (3; №703)

14 დეკემბერი

- იუსტიციის სამინისტრომ განუმარტა თბილისის სამომრიგებლო ყრილობის თავმჯდომარეს, რომ ყველა მოსამართლეს საქმე უნდა ეწარმოებინა ქართულ ენაზე. იუსტიციის სამინისტრომ განკარგულება გასცა, ე.წ. „ბალკონის ადვოკატთა" საქმის გამორკვევის შესახებ. საქმე ეხებოდა იმ პირებს, რომელთაც არ ჰქონდათ უფლება სასამართლოში ემსახურათ, მაგრამ უკანონოდ მაინც აკეთებდნენ ამას. (1; №283)
- ბაპტისტების სამლოცველოში გაიმართა ქადაგება ქართულ და რუსულ ენაზე. (1; №283)
- სოფელ მეჯვრისხევში გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. (1; №283)

15 დეკემბერი

- საზავო კონფერენციის ამიერკავკასიის უმაღლესი კომისარის მოადგილემ პოლკოვნიკმა რეიმ საზღვარგარეთ გამგზავრების წინ ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრი და ხანგრძლივად ესაუბრა მას. (1; №283)
- იუსტიციის სამინისტრომ შენიშვნა მისცა თბილისის მაზრის სამომრიგებლო ყრილობის თავმჯდომარეს, იმის შესახებ, რომ კანონის ძალით ყველა მომრიგებელი მოსამართლე სახელმწიფო ენაზე უნდა აწარმოებდეს საქმეს. (1; №283)
- პროვინციაში მოგზაურობიდან დაბრუნდა და მოვალეობის შესრულებას შეუდგა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი მოადგილე ალექსანდრე ლომთათიძე. (1; №283)

- თბილისის სამაზრო ერობის შენობაში შედგა ჭლექთან მებრძოლი საზოგადოების პირველი კრება, ექიმ ვ. ღამბაშიძის თავმჯდომარეობით. კრებაზე განხილულ იქნა ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლის გზები. (1; №283)
- გაიმართა ქალაქის საბჭოს სხდომა ალექსანდრე ლომთათიძის თავმჯდომარეობით. სხდომის მთავარი თემა იყო ქალაქის სასურსათო მდგომარეობა. მოხსენებით გამოვიდნენ ფანიევი, პართენ გოთუა, ივანე გომართელი და არჩილ ჯაჯანაშვილი. სხვა საკითხებისაგან განსხვავებით, მთავარ პრობლემად პურის გამვირება იქნა მიჩნეული. (1; №283)
- ბათუმში გენერალმა მილნიმ დაამტკიცა ინგლისის სამხედრო საველე სასამართლოს განაჩენი, რომლის ძალითაც ქუთაისელი ვაჭრის ნარსიას და მისი შეგირდის გაძარცვისა და მოკვლისათვის სიკვდილი მიესაჯათ მიქელაიშვილსა და ჯინჭარაძეს. განაჩენი სისრულემი მოყვანილ იქნა. (1; №283)

16 დეკემბერი

- იუსტიციის სამინისტრომ განკარგულება გასცა, რომ თბილისის სასამართლო უწყების შენობაში მოთავსებული იმპერატორ ალექსანდრე II-ის ბიუსტი მოიხსნას და გადატანილ იქნას მუზეუმში. (1; №284)
- სამხედრო მინისტრის განკარგულებით თანამდებობიდან გადაყენებულ იქნა ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების მთელი შემადგენლობა, მათ მაგიერ გამგეობის თავმჯდომარედ დაინიშნა გენერალი ჟღენტი, წევრებად კი დ. ქარცივაძე, გ. ბახტაძე და სხვები. ხოლო ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარედ ბ-ნი ყიფშიძე. (1; №284)
- წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ განაცხადა, რომ აპირებს გამოსცეს ი. გომელაურის „ქართველი მწერლები"-ს პირველი ნაწილი. (1; №284)
- მილიციის უფროსმა მეშვიდე უბნის კომისარ გელიას მადლობა გამოუცხადა ენერგიული სამსახურისათვის და რაიონში საქმის უნარიანად წარმართვისათვის, რაც გამოიხატა ცოტა ხნის წინათ მთავრობის დიდძალი ქონების მომპარავი ქურდების აღმოჩენაში. (1; №284)
- შინაგან საქმეთა სამინისტრო გადავიდა ახალ შენობაში, ესაა სამხედრო გიმნაზიის შენობა. (3; №705)
- ნაშუადღევის 3 საათზე სასტუმრო „ორიანტ"-ში შედგა საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის საზღვაო ძალთა ამირბარ დე-ბონის საპატივსაცემო ბანკეტი, რომელსაც ესწრებოდნენ ადმირალი დე-ბონი ამალით, მინისტრები: რამიშვილი, ხომერიკი, კანდელაკი და სხვა თანამდებობის პირები. ბანკეტის შემდეგ ამირბარი დე-ბონი თავისა ამალითა და შტაბით ბათუმში გაემგზავრა. (3; №705)
- თბილისში ხანძრის შედეგად დაიწვა ენფიანჯიანცის თამბაქოს ფაბრიკა. (3; №705)

17 დეკემბერი

- დათვალიერებულ იქნა ბრმათა სკოლა, რომელსაც განაგებს ერისთავის ქალბატონი. სკოლაში ირიცხება 26 ბავშვი და 11 ზრდასრული ადამიანი. უსინათლოები თავისუფ-

ლად კითხულობენ, წერენ, უკრავენ როიალზე და აკეთებენ სხვადასხვა ნივთებს, რომელთა გასაყიდადაც განზრახულია ფართის გამოძებნა. (1; №285)

- გორის ქალაქის თვითმმართველობამ ქალაქში მალარიას გავრცელების მთავარ მიზეზად ქალაქის გარშემო არსებული ჭაობები და თვით ქალაქში არსებული ანტისანიტარია მიიჩნია. აღნიშნავენ რომ არ არსებობს შესაბამისი ტრანსპორტი ნაგვის გასატანად, ასევე ქალაქში არ არსებობს კანალიზაცია და სიბინძურის გატანა ქალაქიდან ხორციელდება ძველი ხის კასრებით, რომლებიც უვარგისია და მათი ქალაქში გასკდომის შემთხვევებიც ყოფილა. ყოველივე ეს სიბინძურე და ანტისანიტარია ხელს უწყობს მალარიას გავრცელებას. (1; №285)
- სოფელ გრაფოვკაში მყოფმა რუსმა ლტოლვილებმა თხოვნით მიმართეს რუსთა ნაციონალურ საბჭოს, რათა მათ შეღავათიან ფასებში დაეთმოთ ხორბალი, კარტოფილი შაქარი და სხვა პროდუქტი. (1; №285)
- სახელმწიფო თეატრში წარმოდგენილ იქნა ნინო კოშიცის მესამე გასტროლი „დემონ", რუსულ ენაზე. (1; №285)
- თბილისიდან სომხეთში გაემგზავრა ამიერკავკასიის უმაღლესი კომისარი პოლკოვნიკი ჰასკელი თავისი შტაბით. (1; №285)
- ოზურგეთში შეიარაღებული წინააღმდეგობის მიუხედავად მილიციამ შეიპყრო ყაჩაღი ეფრემ გიორგაძე. (1; №285)
- საგარეო საქმეთა მინისტრმა ევ. გეგეჭკორმა გაუგზავნა მოსკოვში საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ჩიჩურინს შემდეგი რადიო დეპეშა: საქართველოს რესპუბლიკის მისიის წევრების შეპყრობით, რაც გამოწვეულია საქართველოში კომუნისტების დატუსაღების საპასუხოდ, იმ კომუნისტების, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოსვლაში, საბჭოთა მთავრობამ საერთაშორისო უფლება დაარღვია და დაუმტკიცა მსოფლიოს, რომ ის მტრულად უყურებს საქართველოს ხალხის სურვილს განამტკიცოს და ხელი შეუწყოს თავის დამოუკიდებლობას. ამის გამო საქართველოს რესპუბლიკა აუქმებს მთელ საბჭოთა რუსეთში ყველა მისიებს, საელჩოებს და იმ ორგანოებს, რომლებიც იცავდნენ საქართველოს მოქალაქეთა ინტერესებს. საბჭოთა მთავრობის მიერ შეპყრობილი მისიის წევრები და კონსულები ამ მომენტიდან კერძო პირებად ითვლებიან. (1; №285)

18 დეკემბერი

- მუშათა კლუბში მოეწყო მოხსენება თემაზე „რა კეთდება, რა უნდა კეთდებოდეს ქალაქის თვითმმართველობის მიერ ხალხის სოციალური დახმარებისათვის". (1; №286)
- სახელმწიფო თეატრში დაიდგა ვიქტორ დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე". (1; №286)
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ში გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას მოხსენება, რომელშიც მან განიხილა საგარეო და საშინაო პოლიტიკა, დამოკიდებულება მეზობელ ერებთან, შინაური მუშაობა (მმართველობის სისტემა,ადმინისტრაცია ეკონომიკური პოლიტიკა), ადმინისტრაცია, სასამართლო და ეკონომიური მდგომარეობა. (1; №286)
- ხაშურში ზარ-ზეიმით აღნიშნეს სახალხო გვარდიის დღე. (1; №286)

- ტანვარჯიშის საზოგადოება „შევარდენმა“ დახმარების თხოვნით მიმართა ქალაქის თვითმმართველობას. (3; №707)
- ქალაქის თვითმმართველობამ გადმოხვეწილთა განყოფილება გააუქმა, იმ მიზეზით რომ ქალაქში გადმოხვეწილები აღარ არიან. (3; №707)
- ღამის 12 საათზე გვარდიელებს მიყავდათ ტუსაღები ნ. ოგანეზოვი, ა. ალიხანიანცი, ი. ჩილიკაძე და გრ. ტერსარქისოვი რომელთაც სცადეს გაქცევა რის გამოც გვარდიელებმა გახსნეს ცეცხლი, სროლისას სამი მათგანი დაიღუპა ხოლო დაჭრილი ტერსარქისოვი შეიპყრეს და საავადმყოფოში გადაგზავნეს. (3; №707)

19 დეკემბერი

- ძმათა სასაფლაოზე გადაიხადეს პანაშვიდი ერთი წლის წინ ამავე დღეს ეკატერინოფელდთან მოკლული გვარდიელებისა. (1; №287)
- ქართულმა საოპერო სტუდიამ სახალხო თეატრში დადგა ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“. მუსიკა დ. არაყიშვილისა. (1; №287)
- პრესბიურომ პარიზიდან მიიღო ჟურნალი „ი'მაგე“ („სახე“), რომელშიც მოთავსებულია ვრცელი სტატია საქართველოს შესახებ. სტატიაში შესულია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიასა და მინისტრების ფოტოები, ასევე არის ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, შოთა რუსთაველის, თამარ მეფის, ერეკლე II-ის და სხვების სურათები. სტატიის მიზანია გააცნოს საქართველო საფრანგეთის საზოგადოებას. (1; №287)
- წერა კითხვის საზოგადოებამ გამოსცა შემდეგი წიგნები: შიო არაგვისპირელი I, II, III წიგნი, ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“ და არდაზიანის „სოლომონ მეჯღანუაშვილი“. (1; №287)
- სახალხო გვარდია შეუდგა ონში და მის ახლომდებარე სოფლებში მოსახლეობისგან იარაღის აყრას. (3; №708)
- გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ იუწყება რომ გვარდიის დღეს, მწკრივში არ ჩადგომის გამო მეორე გიმნაზიის დირექტორმა ბატონმა სილოვან ხუნდაძემ გიმნაზიიდან დაითხოვა 10 მერვე კლასის მოსწავლე, რომელთაც მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცყოფა. (3; №708)
- ქართულმა საყმაწვილო გამომცემლობამ „სურათები-ზღაპრები“ გამოსცა ახალი საყმაწვილო წიგნაკი „ყვავი, ბუ და მელაკუდა“. გამოცემის ავტორები არიან დავ. დონდუა და სიმ. ჯაფარიძე. ფასი 5 მანეთი. (3; №708)
- ღამით აბაშის უბნის მილიციელებმა მოკლეს ცნობილი ყაჩაღი ვანო ჩაჩავა.(3; №708)

20 დეკემბერი

- გაზეთები იუწყებოდნენ რომ გაიმართება ს. ი ევლახიშვილის ხელმძღვანელობით ოპერა „ტრავიატა“ მუშებისათვის. მონაწილეობენ: ლევიცკაია, სარაჯიშვილი, თარხან-მოურავი. (4; №290)

- შინაგან საქმეთა სამინისტროში აღიძრა საკითხი იმის შესახებ, რომ თბილისში შემდგარიყო განსაკუთრებული გუნდი იმ მილიციელთაგან, რომელთაც ველოსიპედით სიარული შეეძლოთ. (1; №287)
- ბათუმში, ფქვილის უქონლობის გამო, შეწყდა ქალაქის ფურნეებში პურის ცხობა. (4; №290)
- გზათა დეპარტამენტის დირექტორის ვ. ა. ჭიჭინაძის განკარგულებით მატარებლებში მოეწყო მგზავრთათვის სასადილო სამზარეულოთი. №5 და №6 მატარებლებში, რომლებიც მოძრაობდნენ ბაქოსა და თბილისს შორის, მოეწყო ბუფეტი ცივი საჭმელებითა და ჩაით. (3; №708)
- დამფუძნებელი კრების სახალხო განათლების კომისიაში შემოვიდა ტფილისის ქალაქის სკოლების მასწავლებელთა შუამდგომლობა: ხელფასის 100% მომატების მათზე გავრცელების შესახებ. (3; №708)

21 დეკემბერი

- გაიმართა ნინო ჩხეიძის იუბილე, ოცდახუთი წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად: დილით პირველ განყოფილებაში საიუბილეო ზეიმი შედგა. დაიდგა ზაქარია ფალიაშვილის ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“ მეორე მოქმედება. მონაწილეობა მიიღო საოპერო დასმა. საღამოთი დაიდგა საიუბილეო წარმოდგენა „უბედური ნაბიჯი“ და „ღალატიდან“ მეხუთე აქტი. (4; №291)
- საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოებამ განაცხადა, რომ გახსნა ავტომობილების მუდმივი მიმოსვლა ტფილის-ყაზბეგისა და ტფილის-მანგლისის გზებზე შემდეგი ფასებით: ერთი მგზავრი ტფილის-ყაზბეგი – 1250 მანეთი, ერთი ფუთი ბაგაჟი – 165 მანეთი. ტფილის-მანგლისი – 550 მანეთი, ბაგაჟი – 75 მანეთი. (4; №291)
- ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებამ მეფუტკრეებს მისცა ჭუჭყიანი შაქარი; მე-3 ხარისხისა – გირვანქა 5 მანეთად, ხოლო მე-4 ხარისხისა – გირვანქა 4 მანეთად. (4; №291)
- გზათა დეპარტამენტის დირექტორმა, ბატონმა ჭიჭინაძემ შემდეგი დეპეშა მიიღო ინგლისელ გენერალ როდსისგან: ვტოვებ რა ბათუმს, მსურს, თქვენ და თქვენს კოლეგებს მადლობა გამოგიცხადოთ სტუმართმოყვარეობისათვის, ვიმედოვნებ, კვლავაც მექნება ბედნიერება ვეწვიო თქვენს სატახტო ქალაქს. (4; №291)
- მილიციამ დააპატიმრა პურის საქმის პროფესიონალურ კავშირის თავმჯდომარე გაბრიელ მილორავა, რომელმაც 5000 მანეთი ქრთამი აიღო რკინიგზის ცენტრალური ფურნის პატრონების მურუსიძისა და მაძღარაშვილისაგან. (4; №291)
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ იშუამდგომლა, რათა გაუმჯობესებელი ყოფილიყო უკანონოდ შობილ ბავშვთა მდგომარეობა. გაზეთის ცნობით, იმჟამად არსებობდა უკანონოდ შობილთა თავშესაფარი ოლღას სახელობის საბებიო ინსტიტუტთან. აგრეთვე ასეთი ბავშვები აყვანილი ჰყავდათ აღმზრდელებს თბილისის და ქუთაისის გუბერნიაში 132 სული. აღმზრდელებს თბილისის გუბერნიაში 40 მანეთი ეძლეოდათ, ქუთაისის გუბერნიაში – 20 მანეთი. სამინისტროს აზრით ყველგან 100 მანეთი უნდა მისცემოდათ. (4; №291)

22 დეკემბერი

- ბათუმში ტუაფსედან მოვიდა რუსული გემი, რომელიც საქონლით დატვირთული გაბრუნდა უკან. (3; №711)
- თბილისიდან ბაქოში გაემგზავრა აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი ახვერდოვი. (3; №711)
- კოჯრის გზაზე უცნობები თავს დაეცნენ მეურმეებს და გაძარცვეს. ერთი მეურმე მოკლეს. ბოროტმოქმედების ადგილას გაემგზავრა ტფილისის მაზრის კომისარი ახვლედიანი მილიციელების თანხლებით. (3; №711)
- სპარსეთის საკონსულოს გამგის ბინიდან პასკევიჩის ქუჩაზე მოიპარეს სხვადასხვა საოჯახო ნივთები და დიდი რაოდენობით ფული. (3; №711)

23 დეკემბერი

- ინჟინერმა ბოგატინმა და ამხ. დააარსეს ტფილისში სათამაშოების ფაბრიკა; თანახმად ბოგატინის თხოვნისა, მათ მიეცათ უფლება სათამაშოების გატანისა უცხოეთში. (3; №711)
- ამხანაგმა გ. მუშიშვილმა დაასრულა მუშაობა თემაზე „სოციალიზმი საქართველოში". იგი გამომცემელს ეძებდა. (3; №711)
- შალვა ნუცუბიძემ კონსერვატორიის დარბაზში წაიკითხა ლექცია „პიროვნების თავისუფლება და ქალთა ემანსიპაცია". (3; №711)
- სიმონეთის ბიბლიოთეკა სამკითხველოს წ.კ საზოგადოებამ დახმარება აღმოუჩინა წიგნებით და მწერლების სურათებით. (3; №711)
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხინვალიდან აუწყეს ,რომ მთა ოსეთის განიარაღება გრძელდებოდა, ჯავის საზოგადოების ნაწილს იარაღი უკვე ჩაბარებული ჰქონდა და დარჩენილიც აბარებდა, ხოლო ჯარში გასაწვევი ახალგაზრდები გორში იმყოფებოდნენ. ის პირნი რომელნიც ბოროტმოქმედებას ჩადიოდნენ ტყეებში მიიმალნენ. (3; №711)

24 დეკემბერი

- თელავში გირვანქა პური 6 მანეთი გახდა. (3; №712)
- ტფილისის ქალაქის საბჭომ, თანახმად გამგეობის მოხსენებისა, მიართვა იუბილარ ნინო ჩხეიძეს 6000 მანეთი. (3; №712)
- თელავის კოოპერატივებმა შუამდგომლობა აღძრეს ქალაქის საბჭოს წინაშე, რომ მათ არ გადაეხადათ სანიტარული გადასახადი მანამ, სანამ ტფილისში გაირკვეოდა, იყვნენ თუ არა ისინი ვალდებულები გადაეხადათ ეს გადასახადი. (3; №712)
- ახალქალაქის მაზრის მცხოვრებმა დუხობორებმა მოითხოვეს ნება მისცემოდათ შეესყიდათ კახეთში 20.000 ფ ქერი და ხორბალი, ვინაიდან ისინი შიშობდნენ, სასურსათო კრიზისი ელოდათ. (3; №712)
- სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, წმინდა ნინოს რაიონში, ჩატარდა ლექციები,რომლებიც წაიკითხეს ი. ანთაძემ „საქართველოს ისტორია" და კაპ.

გორგაძემ „საქართველოს გეოგრაფია“. საბურთალოს რაიონი – ირემაშვილმა და ასათიანმა წაიკითხეს ლექციები „ეკონომიკური საკითების“ და „საფრანგეთის რევოლუციის“ შესახებ. ავლაბარი – შალამბერიძემ ჩაატარა ლექცია „ქიმიაში“, ხოლო დოლიძემ ისაუბრა ქართველთა შესახებ. (3; №712)

25 დეკემბერი

- კაფე „დარბაზი“ – მეორე ინტიმური საღამო
  მონაწილეობა მიიღეს: „ბიმ-ბამ-ბომ-ბუმ კვარტეტმა“, კოტე ფოცხვერაშვილმა, ბალერინა ლეონოვამ, ნ.ა.დიმოვმა, რომელმაც წარმოადგინა ექსპრომტი, მოცეკვავე სერგეევმა, თარხან-მოურავმა და შულცმა, რომელთაც რომანსები შეასრულეს.
  ალექსანდროვის ბაღიდან მოწვეული იყო ფოტოგრაფი. (3; №713)
- შინაგან საქმეთა მინისტრმა თელავის მაზრის ერობას წინადადება მისცა, რომ დაუყოვნებლივ შეეპყროთ და სამართალში მიეცათ, შილდის კომისარი, რომელმაც არ აღმოუჩინა ადმინისტრაციას დახმარება, დამალული დეზერტირების შესაპყრობად. (3; №713)
- განათლების მინისტრმა გერმანელი ლუთერანები, გერმანიის ეროვნული საბჭოს შუამდგომლობის თანახმად, გაათავისუფლა მეცადინეობიდან. (3; №713)
- მომარაგების სამინისტრომ აუწყა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ მიღებული ცნობებით, ბორჩალოს მაზრიდან ნეიტრალური ზონით სომხეთში გაჰქონდათ, ხორბალი და სურსათი. შინაგან საქმეთა მინისტრმა მაზრის მილიციის უფროსს უბრძანა, რომ სასტიკი ზომები მიეღოთ ნეიტრალურ ზონაში ხორბლის გატანის წინააღმდეგ. (3; №713)
- სახაზინო თეატრში დაიდგა „თქმულება შოთა რუსთაველზე.“ მუსიკადიმიტრი არაყიშვილისა. (3; №713)
- ქალაქის თვითმმართველობამ დააკმაყოფილა სავარჯიშო საზოგადოება „შევარდენის“ თხოვნა და გადადო 10000 მანეთი მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვაში ამ საზოგადოებისათვის. (3; №713)

26 დეკემბერი

- პირველი ქართული ოპერის „ქრისტინეს“ ავტორმა რევაზ გოგნიაშვილმა, დაამთავრა თავისი მეორე ქართული ოპერა სამ მოქმედებად „ჯადოსანი“ – ფანტასტიური და ეროვნული მუსიკით დამუშავებული. (3; №714)
- შინაგან საქმეთა მინისტრმა ცირკულარი დაუგზავნა ყველა სამაზრო ერობას, რათა გაეცათ განკარგულება, რომ სამაზრო ადმინისტრაციას საზღვარგარეთ გასასვლელი მოწმობები არ მიეცათ ჯარში გასაწვევი ახალგაზრდებისთვის. (3; №714)
- სახალხო უნივერსიტეტის ქართულმა განყოფილებამ ლექციები ჩაატარა მეორე განყოფლებაში ვერაზე. ლექციები წაიკითხეს ა. ჟორჟოლიანმა „მეცხრამეტე საუკუნის ისტორია“ და ირემაშვილმა „ეკონომიური საკითხები“. მეექვსე განყოფილებაში ლექციები წაიკითხეს ტურიაშვილმა „გიგიენა“, შალამბერიძემ „ქიმია“. საბურთალოს

მეშვიდე განყოფილებაში ბარნოვმა წაიკითხა „ქართული მწერლობა“ და ანთაძემ „საქართველოს ისტორია.“. ავლაბრის მერვე განყოფილებაში ნაკაშიძემ ისაუბრა სახელოვან კაცთა ცხოვრების შესახებ და რაჭველიშვილმა წაიკითხა ლექცია, „სოციალური ბრძოლა ძველ რომში“. (3; №714)

- სომხეთის მზრუნველობის მინისტრმა მოწერილობა გამოუგზავნა ტფილისში მყოფ თავის წარმომადგენლობას, რომლის ძალითაც, საქართველოდან ლტოლვილთა გაყვანის გამო, გაუქმებული უნდა ყოფილიყო ლტოლვილთა თავშესაფრები. (3; №714)
- თიანეთის მაზრის ერობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს 200 ათასი მანეთი თხოვა ყაჩაღებთან საბრძოლველად. ამავე ერობამ საგანგებო თანხა გადადო ფშავ-ხევსურეთისათვის სახელმძღვანელო წიგნების შესაძენად. (3; №714)

27 დეკემბერი

- ქართული კლუბში გაიმართა საოჯახო საღამო, კლუბის მამასახლისის, დ. გაბაშვილის საინტერესო პროგრამით. მონაწილეობა მიიღეს დრამისა და ოპერის საუკეთესო წარმომადგენლებმა. (3; №715)
- საქართველოს მუსულმანთა პარტია ჰუმეტის პირველმა ყრილობამ სალამი უძღვნა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. ყრილობა სრულ იმედს გამოთქვამდა, რომ ჰუმეტის პარტია საქართველოს დემოკრატიასთან ერთად იმუშავებდა საქართველოს განსამტკიცებლად. (3; №715)
- ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ეშუამდგომლა მთავრობის წინაშე, რათა თბილისში მოხსნილიყო გრიაზნოვისა და ვორონცოვის ძეგლები. აგრეთვე მეფის სახსოვარი ჯვარი ვერაზე, ოლღას ქუჩის ბოლოში. (3; №715)
- თბილისში ჩამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელი გერმანიაში აკაკი ჩხენკელი. (3; №715)
- გამოვიდა ბ.ა. ჭიჭინაძის მიერ შედგენილი ჰიდრავლიკის პირველი დაწყებითი პრაქტიკული სახელმძღვანელო. წიგნი პოპულარულ ენაზე იყო შედგენილი და ღირდა 25 მანეთი. (3; №715)
- სახალხო უნივერსიტეტის განყოფილებაში ჩატარდა ლექციები. შალამბერიძემ წაიკითხა „ქიმია“ და ანთაძემ „საქართველოს სახელმწიფოს წარმოშობის უძველესი ისტორია“. (3; №715)
- დიდი საღამო გორის საკრებულო დარბაზში იოსებ გრიშაშვილის მონაწილეობით გაიმართა. (3; №715)
- მწერალთა კლუბის „ქიმერიონის“ გახსნის გამო დაიგეგმა მწერალთა საზეიმო სხდომა.(3; №715)

28 დეკემბერი

- დიდუბის ეკლესიაში გადაიხადეს კიტა აბაშიძის მოსახსენიებელი პანაშვიდი. (3; №716)
- ბაპტისტების საზოგადოებამ მუმტაიდში, მდინარეში ნათლობა მოაწყო. (3; №716)
- მსახიობ კოტე ყიფიანს დაენიშნა დახმარება 2000 მანეთი ყოველთვიურად. (3; №716)

- ქართულ კლუბში სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სალიტერატურო წრის სასარგებლოდ გაიმართა დილა,რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: დუტუ მეგრელმა, აკაკი პაპავამ, სიკო ფაშალიშვილმა, გალაქტიონ ტაბიძემ, კონსტანტინე ჭიჭინაძემ და სხვებმა. (3; №716)
- გორში, ადგილობრივ კლუბში სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრმა ქრისტეფორე რაჭველიშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ევროპა და საქართველო". (3; №716)
- თბილისის პროლეტარიატმა საზეიმოდ გახსნა თავისი სასახლე, შენობა წითელი დროშებით და გირლიანდებით იყო მორთული, 12 საათზე დარბაზი მუშებით იყო სავსე, დაესწრნენ დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის წარმომადგენლები. ასევე ტფილისის თვიმმართველობის წარმომადგენელნი. სიტყვით გამოვიდა ნოე ჟორდანია. (3; №716)
- ჩატარდა ახალი წლის შეგებება ქართულ კლუბში, მრავალი გასართობი იყო სცენაზე და დარბაზში. მონაწილეობა მიიღეს მსახიობებმა, მხატვრებმა და მწერლებმა. (3; №716)

29 დეკემბერი

- სტამბოლში გაემგზავრა საქართველოს მისიის წევრი ი.გოგოლაშვილი. (3; №717)

30 დეკემბერი

- განათლების სამინისტრომ საზოგადოება „შევარდენისთვის" 30 000 მანეთი გადასდო. (3; №717)
- თბილისის სააბრეშუმო სადგურისთვის ,მიწათმოქმედების სამინისტრომ განიზრახა შეეძინა მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობისათვის საჭირო ხელსაწყოები, როგორც ტფილისის სადგურისათვის, ისე მცხოვრებთათვის მისაწოდებლად. (3; №717)
- ქალაქის გამგეობამ მოაწყო ტფილისის უბნებში იაფი ნავთის ტარება მოქალაქეებისთვის, ამისთვის 45 გამანაწილებელი პუნქტი შეიქმნა. გირვანქა ნავთი 2 მანეთი ღირდა, ხოლო საქალაქო დუქნებში 1.80 კაპიკი.(3; №717)
- ქართულმა კლუბმა თავისი ერთი თვის შემოსავლიდან ქალაქის თვიმმართველობასთან არსებულ სოციალურ დახმარების საზოგადოებისა და სახელოვნო ცენტრის ფონდისთვის 80.496 მანეთი გადასდო.(3; №717)
- მიწათმოქმედების სამინისტრომ იშუამდგომლა მთავრობის წინაშე, რათა 300 000 მანეთი გადადებული ყოფილიყო გაგრის რაიონში ზღვის ნაპირის გასამაგრებლად.(3; №717)
- მთავრობამ დაადგინა, რომ რკინიგზის ადმინისტრატორთა საქმეები დისციპლინარული წესით უნდა გარჩეულიყო, ამიტომ გზათა დეპარტამენტს დაევალა შეეტანა სამმართველოს დებულებაში შესაბამისი ცვლილებები.(3; №717)

31 დეკემბერი

- უცაბედად რევოლვერით თავი დაიჭრა აფხაზეთის კომისარმა,გზათა ყოფილმა მინისტრმა ივანე ლორთქიფანიძემ. (3; №718)
- დამფუძნებელმა კრებამ მიიღო „კანონი სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ". მას ერთვოდა წესდება რომელშიც განმარტებული იყო ბანკის დანიშნულება, წყობის სტრუქტურა, საწესდებო კაპიტალი და უფლებამოვალეობანი. მასში აღნიშნული იყო რომ „ბანკის დანიშნულებას შეადგენს გაადვილება ფულის ტრიალის, ხელის გამართვა მოკლე ვადიან სესხის მიცემით ვაჭრობის, მრეწველობის და სოფლის მეურნეობისათვის და აგრეთვე განმტკიცება ფულის საქმის". 1920 წლის იანვრის მონაცემებით, საშუალო საბაზრო ფასები მანეთებში, პირველი მოთხოვნილების საგნებზე (გირვანქობით) შემდეგი იყო: ხორცი – 15,50; ზეთი – 60, 57; კომბოსტო – 2,88; პური – 10,58; ლობიო – 9,19; კარტოფილი – 6,08; ყველი – 41,00; მარილი – 4,83; ბრინჯი – 23,87; ხახვი – 4,00. (7; 325)
- მიღებული იქნა დეკრეტი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებულ, განსაკუთრებულ რაზმის არსებობის განგრძობის შესახებ, რომელიც იბრძოდა სპეკულიაციის, კონტრრევოლუციისა და მძარცველობის წინააღმდეგ. (3; №718)
- სამხედრო ტაძარში სრულიად საქართველოს პატრიარქმა ლეონიდემ გადაიხადა ქართველ-სომეხთა ომში დაღუპული მამულიშვილების მოსახსენიებელი პანაშვიდი. პანაშვიდს დაესწრნენ :სამხედრო მინისტრი, სამხედრო სამინისტროს წარმომადგენლები და უამრავი ადამიანი. ლეონიდეს სიტყვის შემდეგ სამხედრო მინისტრი გამობრძანდა ტაძრიდან და შეკრებილებს სიტყვით მიმართა. შემდეგ მან დაბანაკებული ჯარის ნაწილები მოიარა. ჯარმა მარშით გაიარა, მარშს ხელმძღვანელობდა გედევანიშვილი. (3; №718)
- შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი სვანეთის მდგომარეობის გამოსასწორებლად. მონაწილეობა მიიღეს: შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ბ.ჭიჭინაძემ, ადმინისტრაციის დირექტორმა გეგელაშვილმა, ზემო სვანეთის კომისარმა გაბლიანმა, ლანჩხუთის ერობის თავმჯდომარემ მიქაიშვილმა და ლანჩხუთის ერობის გამგეობის ერთმა წევრმა. თათბირზე შემუშავებული იქნა სხვადასხვა ზომები საქმის მოსაგვარებლად. (3; №718)

1920 წელი

1 იანვარი

- თბილისში დაარსებულ იქნა ორი წლისა და რვა თვის ვადით, სამხედრო-საბეითლო საფერშლო სკოლა, სამოსწავლო სამკედური და გარნიზონის საბეითლო სამკურნალო, ამასთან დართული შტატითა და ხარჯთაღრიცხვით. ჯარისკაცი, რომელიც დაამთავრებს საფერშლო სკოლას და სამოსწავლო სამკედურს, ვალდებულია, სკოლის დამთავრების შემდეგ წელიწადნახევარს იმსახუროს ჯარში, როგორც სამხედრო ბეგარა-ვალდებული. (1; №1)
- ქალაქის თვითმმართველობის გამგეობამ დაადგინა გადაიდოს ქალაქის სკოლების ჯამაგირი 400 მანეთით მეტი და გაკვეთილის ფასად მიეცეთ 20 მანეთით მეტი. (1; №1)
- თბილისის ელექტრონის სადგურთა პატრონებმა ქალაქის გამგეობაში განცხადება შეიტანეს, რათა იანვრის პირველიდან მომატებულ იქნეს გადასახადი ელექტრო ენერგიის სარგებლობისთვის. (1; №1)

2 იანვარი

- თანამდებობის აღსრულებას შეუდგა იუსტიციის მინისტრად ახლად დანიშნული რ. არსენიძე. ახალმა მინისტრმა იუსტიციის ყოფილ მინისტრთან ე. ჰ. გეგეკორთან ერთად დაიარა სასამართლო უწყების დაწესებულებები და გაეცნო სასამართლო მოხელეებს. (1; №4)
- საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობის დადგენილების თანახმად, თბილისში არსდება ახალი ბანკი, რომელსაც ეწნება სახელწოდება ცენტრო ბანკი. ესაა ცენტრალური სავაჭროგსამრეწველო ბანკი. ამ ბანკის დაარსებაში მონაწილეობას ღებულობენ საქართველოს რესპუბლიკის საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლები და თფილისის მსხვილი ვაჭარ-მრეწველნი. (1; №4)
- თბილისის პირველ საკომერციო სასწავლებლის მზრუნველ კომიტეტში სახალხო განათლების წარმომადგენლად დანიშნა მიხეილ თაქთაქიშვილი. (1; №4)
- გზათა დეპარტამენტიდან ცნობა მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომ სანაინის რაიონში, ნეიტრალურ ზონაში რკინის გზის ფარგლებში სახაზინო ქონების გატაცება ხშირ მოვლენად იქცა. (1; №4)
- დუშეთის საგანგებო სამხედრო-საველე სასამართლომ მიუსაჯა სიკვდილით დასჯა ტუსაღებს: გრიქულა ისაიანს, შაქრო ლალიაშვილს, ალექსი ვერძელს. (1; №4)
-

3 იანვარი

- ქუთაისის სანიტარული ექიმის – ვალერიანე ლორთქიფანიძის ცნობით, უკანასკნელი კვირის განმავლობაში შავმა სახადმა – სიპნოი ტიფმა ქალაქში საშინელი სახე მიიღო. შემთხვევებია დღეში, დაახლოებით, შავი სახადით 10-12 კაცის ავად გახდომისა. (1; №2)
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გეგეკკორმა დეპეშა გაუგზავნა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ა.ი. ხატისევს სომხეთ-ადებეიჯანის შეტაკების გამო. ის სთხოვს ხატისევს, ჩამოვიდეს თბილისში, რათა საერთო კონფერენციის მოწვევამდე

მოხდეს თათბირი შექმნილი მდგომარეობის გამო. მან ასევე მსგავსი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრს ხან ხოისკს. (1; №2)

- აფხაზეთის აგრარული რეფორმის განხორციელება და სახელმწიფო მამულების გამგებლობა დაეკისრა აფხაზეთის კომისარიატის მიწათმოქმედების განყოფილებას. (1; №2)

4 იანვარი

- გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ იუწყება, რომ ციხეთა ინსპექტორი, რომელიც ქუთაისის გუბერნიაში იყო გამგზავრებული სამაზრო ციხეების დასათვალიერებლად უკვე დაბრუნდა და ვრცელი მოხსენება წარუდგინა ადმინისტრაციის ინსპექტორს ციხეების მდგომარეობის შესახებ. მრავალ ციხეში აღმოჩენილ იქნა ზოგიერთი ნაკლოვანებები, რის გამოც ციხეთა ინსპექტორს შემდეგი ზომები მიუღია: ავადმყოფი პატიმრები გადაყვანილ უნდა იქნას ცალკე საკანში, საპყრობილეებს მიეცეთ საჭირო ლეიბები, საცვლები, ფეხსაცმლები და სხვა. ციხეებთან მოეწყობა სახელოსნოები, რაც სარგებლობას მოუტანს სახელმწიფო ხაზინას. (1; №3)
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ზუგდიდიდან დეპეშით აცნობეს, სროლის დროს დაჭრილ იქნა ცნობილი ყაჩაღი გოგია. დეკემბრის განმავლობაში მოკლულ იქნენ ცნობილი ყაჩაღები: კვარაცხელია, მალაშხია და დარასელია. (2; №3)
- საბოლოოდ გადაწყდა სასოფლოგსამეურნეო ჟურნალ „მეურნეს“ გამოცემა ახლო მომავალში. ჟურნალი იქნება 48 გვერდიანი. რედაქტორად მოწვეულია ილია ლომიძე. (2; №3)

5 იანვარი

- ერობათა კომიტეტის სამედიცინო განყოფილების დროებითი გამგე ი. ლომოურმა დაუგზავნა შეკითხვები სამაზრო ერობებს საავადმყოფოების მოთხოვნილების შესაბამისად. ექიმი ლომოური მიუთითებს, რომ ევროპის მაგალითის თანახმად, ერობებმა უნდა იზრუნონ 15 საწოლიანი საავადმყოფოების დაარსებისთვის ყოველ 15000 მცხოვრებელზე. გარდა ამისა, სამაზრო ცენტრში უნდა იყოს 30 საწოლიანი საავადმყოფო. (1; №5)

6 იანვარი

- იუსტიციის სამინისტროს განკარგულებით მოიხსნა მეფე ალექსანდრე მეორის ბიუსტი, რომელიც მოთავსებული იყო სასამართლო უწყების შენობაში. (1; №4)
- შორაპნის სამაზრო ერობა შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა მისცეს ერთი მილიონი მანეთი სუბსიდია სამი ხიდის ასაშენებლად მდინარე ყვირილაზე, აჯამურაზე და ჩოლაბურაზე. ერთი ამ ხიდთაგანი შეაერთებს ორ მხარეს მაზრისას, ხოლო მეორე კი – ჩხარის რაიონს ცენტრთან. (1; №4)
- გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ყურადღებას ამახვილებს „თქმულება შოთა რუსთაველზე“, რომელზეც დიმიტრი არაყიშვილმა დაწერა შეუდარებელი ოპერა. გა-

ზეთი იუწყება რომ პირველად ეს ლეგენდა დაწერილ იქნა ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაძის მიერ და მას ეს ღვაწლი არ უნდა ჩამოერთვას. (1; №4)

7 იანვარი

- ბათუმში ძლიერ გაჭირდა ბონების შოვნა. მათი კურსი უკვე 130 პროცენტამდე გაიზარდა. საქართველოსადმი მტრულად განწყობილი პირნი დიდ ენერგიას ხარჯავენ ბონის კურსის დასაცემად. (1; №5)
- სასურსათო კრიზისის დასაძლევად მიწათმოქმედების სამინისტრომ გადასწყვიტა, სავალდებულო გახადოს შრომა და ცარიელი ადგილების დათესვა-დამუშავება. (4; №5)
- ბათუმში ჩამოვიდნენ ის ჯარისკაცები და ოფიცრები, რომლებიც მეკობრეებმა ტყვედ ჩაიგდეს გემ „ჭოროხის" დატყვევების დროს რამდენიმე კვირის წინ. (1; №5)

8 იანვარი

- თბილისში გაიხსნა სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა. გამოცხადდა 120-მდე დელეგატი. ყრილობას დაესწრო ნოე რამიშვილი, პრესის წარმომადგენელნი... ყრილობის მიზანი იყო განათლების რეფორმა. ნოე რამიშვილმა ვრცელი სიტყვა წარმოთქვა კრებაზე. მოვიყვანთ ნაწყვეტს: ჩვენ დიდ ნაკლს ვგრძნობდით და ახლაც ვგრძნობთ ტექნიკური ძალების უქონლობის გამო. ეს საქმე აფერხებს არა მარტო პროფესიონალური განათლების გავრცელებას, არამედ თვითონ სახელმწიფოებრივ შემოქმედებასაც. მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს ნაკლი ახლო მომავალში თავიდან აცილებულ იქნებან. (1; №7)
- იუსტიციის მინისტრმა რაჟდენ არსენიძემ დეპარტამენტის დირექტორ გიორგი ჟორდანიასთან და ოლქის სასამართლოს პროკურორ კანდელაკთან ერთად დაათვალიერა თბილისის ნომერ მეორე (მეტეხის) ციხე. პირადად დაიარა კამერები და მიიღო განცხადებები პატიმრებისგან. (1; №7)

9 იანვარი

- სახაზინო თეატრში ჯარისა და გვარდიისთვის უფასო წარმოდგენების მოსაწყობად გადაიდო განათლების სამინისტროს განკარგულებაში 15900 მანეთი პირველ მარტამდე. (1; №6)
- საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირმა მოაწყო ავტომობილით მიმოსვლა თბილისსა და დუშეთს შორის. სამგზავრო ექვს ადგილიანი ავტომობილის ბილეთის ფასად დაწესდა 250 მანეთი. (1; №7)

10 იანვარი

- შრომის სამინისტროში დაიწყეს პროექტზე მუშაობა, რომელიც შეეხება საყოველთაო შრომის ბეგარის შემოღებას. ამ პროექტით აზრად აქვთ, სავალდებულოდ გაუხადონ ვაჟებს 16 წლიდან და ქალებს 14-დან წარდგნენ სახელმწიფო შრომის კომისიის წინაშე

და აირჩიონ თავისთვის რაიმე ნაყოფიერი შრომა. ვინც ამ მოთხოვნას არ შეასრულებს, არ ექნება უფლება, ისარგებლოს მოქალაქის ყოველგვარი უფლებით. (1; №7)

- შედგა ახალციხისა და ბორჯომის რაიონის ტყის ზედამხედველთა ყრილობა საერობო მოღვაწეთა მონაწილეობით. ყრილობამ გამოიმუშავა წესები ტყის დასაცავად და ყურადღება გაამახვილა ხე-ტყის განაწილების საქმეზე როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივ დაწესებულებათა შორის. (1; №7)
- მიღებულ იქნა მიწათმოქმედების მინისტრის მოხსენება და დედობისა და ბავშვთა დამცველ საზოგადოებას დროებით და უფასოდ დაეთმო ყოფილ საბაღოსნო სკოლის ორი შენობა. (1; №7)

11 იანვარი

- გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ აქვეყნებს ნოე რამიშვილის ბრძანებას, გადადგომის შესახებ: „ეშორდები რა რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს, როგორც მათი უშუალო ხელმძღვანელი, ვალდებულად ვსთვლი ჩემს თავს, გამოვუცხადო ღრმა, გულწრფელი მადლობა ყველა იმ პირთ, რომლებიც მეხმარებოდნენ და ხელს მიწყობდნენ ჯარის შექმნაგგანმტკიცების ფრიად მძიმე და მეტად საპასუხისმგებლო საქმეში“. (1; №7)
- საქართველოს რკინის გზის სამმართველომ ბრძანება გასცა, რომ არ იქნენ მიღებული სომხეთის გზიდან ლტოლვილთა ვაგონები. (1;№8)
- გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ აქვეყნებს საუბარს აკაკი ჩხენკელთან, სადაც ის საუბრობს ევროპის დამოკიდებულებაზე საქართველოსთან. აღნიშნავს, რომ ევროპის სახელმწიფოები ნელ-ნელა რწმუნდებიან ამიერკავკასიაში შექმნილი ახალი სახელმწიფოების სასიცოცხლო მომავალში: „ასეთი შეხედულების შემუშავებას ევროპის სახელმწიფოებში ხელი შეუწყო არა მარტო ლიბერალური და დემოკრატიული იდეების პროპაგანდამ, არამედ მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენელთა ინფორმაციამ კავკასიიდან, რომელთაც თავიანთ მოხსენებებში არ შეეძლოთ არ აღენიშნათ ამიერკავკასიის სახელმწიფოთა სიმწიფე ადრეულ საუკუნეებში, მაშინ როდესაც თვით რუსეთში ანარქია მძვინვარებდა“. (1; №7)

12 იანვარი

- ანტანტის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს დე ფაქტო დამოუკიდებლობა აღიარა. (1; №8)
- საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა შემდეგი ბარათი მიიღო ბრიტანეთის უმაღლესი კომისრის ოლივერ უორდროპისგან: „თქვენო აღმატებულებავ! მაქვს პატივი გაუწყოთ, ლორდმა კერზონმა მთხოვა თქვენ გაგიცხადოთ, რომ მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს წინადადება მიეცა ეცნოთ de facto საქართველოსა და ადერბეიჯანის რესპუბლიკები. ეს წინადადება მიღებულ იქნა უკამათოდ საფრანგეთისა და იტალიის მთავრობათა თანხმობით“. (1; №9)

- რესპუბლიკის სახაზინო რკინის გზის მილიციის უფროსმა ვრცელი მოხსენება წარუდგინა გზათა სამინისტროს ბათუმ-ნატანების რკინის გზის ხაზზე შექმნილ მდგომარეობის შესახებ. ხსენებულ ლიანდაგებზე ძალიან გახშირებულია სხვადასხვა ბოროტმოქმედება, განსაკუთრებით საბარგო მატარებელში. ხშირად ბოროტმოქმედები ტვირთის სახით გაგზავნილ ცარიელ ყუთში ათავსებენ ცოცხალ ადამიანს – თავიანთ მეგობარს, რომელიც ყუთიდან ამოდის, ვაგონს ქურდავს, შემდეგ კი იპარება. ამიტომ, სახაზინო რკინის გზის მილიციის უფროსს საჭიროდ მიაჩნია, შესდგეს ბათუმ-ნატანების ლიანდაგის ცალკე სამილიციო შტატი, რომლის პროექტიც თან აქვს დართული მოხსენებას. (2; №8)
- პროფკავშირების სატარიფო პალატამ დადგენილება გამოიტანა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის 60%-ით გაზრდის შესახებ. მეწარმეთა ბოიკოტის გამო ღონისძიება ვერ განხორციელდა. (1;№9)

13 იანვარი

- აკაკი ჩხენკელმა სახელმწიფო თეატრში მოხსენება გააკეთა საქართველოს დამოუკიდებლობის de facto-დ აღიარებასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ „საქართველო აღსდგა მკვდრეთით“. მოიგონა საქართველოსთვის დაღუპული მეომრები, რომელთაც ნიადაგი მოამზადეს დამოუკიდებლობისთვის. მან მადლობა გადაუხადა მეზობლებს: ადერბეიჯანს, სომხეთს, სამუსლიმანო საქართველოს, ასევე არგენტინას, რომელმაც პირველმა აღიარა ჩვენი დამოუკიდებლობა. (2; №8)
- ფრანგული ჟურნალი „დ ორიანი“ საქართველოს მეღვინეობის შესახებ სწერს სტატიას. გაზეთის ცნობით, მეღვინეობა საქართველოში ოდითგანვე იყო განვითარებული და ახლაც აღმავლობის გზაზეა. ვენახები ათასობით ჰექტარზეა გადაჭიმული, ხოლო ღვინის წარმოება 15 მილიონ ჰექტო ლიტრს უდრის. (1; №8)
- გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ იუწყება, რომ იტალიურ გაზეთ „La tribuna Coloniale“-ში დაიბეჭდა სამი წერილი საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების შესახებ. (1; №8)

14 იანვარი

- საზეიმო სპექტაკლი „აბესალომ და ეთერი“ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას მიეძღვნა. თეატრის ორკესტრმა და ხორომ ქართული ეროვნული ჰიმნი შეასრულა. უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისადმი მისალმების დროს შესრულებულ იქნა თითოეული უცხო სახელმწიფოს ჰიმნი. (1; №9)
- გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ცალკე სტატიას უძღვნის საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებით გამოწვეულ სახალხო სიხარულს რუსთაველის პროსპექტზე („დიდებული დღე“), სადაც სიტყვა წარმოსთქვეს ნ. რამიშვილმა, აკ. ჩხენკელმა, ნ. ჟორდანიამ და ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა უორდროპმა. (1; №9)
- გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ აქვეყნებს რუსეთის საგარეო საქმეთა კომისრის ჩიჩერინის რადიო ტელეგრამას, სადაც ჩიჩერინი საქართველოს სთხოვს დენიკინის (მეფის გენერლის) წინააღმდეგ გალამქრებას: „რადგან დენიკინი მტერია არა მარტო რუსე-

თის მუშათა და გლეხთა, არამედ საქართველოსა და ადერბეიჯანის მუშათა და გლეხთა". აქვე მოყვანილია გეგეჭკორის რადიომიმართვა, სადაც ის უარს აცხადებს სამხედრო ჩარევაზე რუსეთის სამოქალაქო ომში, რადგან ეს ქართველ ხალხს ჩააყენებდა დიდ გაჭირვებაში და რესპუბლიკის შინაურ ცხოვრებას არევდა. (2; №9)

- გაიმართა დამფუძნებელი კრების საზეიმო სხდომა, საქართველოს დამოუკიდებლობის დე იურე ცნობასთან დაკავშირებით. კრებას მიმართა მთავრობის თავმჯდომარემ, რომელმაც განაცხადა: „დასავლეთი თუ აღმოსავლეთი – აი ეს კითხვაა ჩვენს წინაშე დასმული და აქ ყოყმანი შეუძლებელია. ჩვენ მუდამ ვირჩევდით და ვირჩევთ დასავლეთს... ვიცი, მტრები აყვირდებიან – იმპერიალისტებს ემხრობითო. ამიტომ აქ გადაჭრით უნდა ვსთქვა: მირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსავლეთის ფანატიკოსებს". (2; №9)

15 იანვარი

- მთავრობის თავმჯდომარეს ბ-ნ ნოე ჟორდანიას წარუდგა სამხედრო მისიის მეთაური ნონკარი, რომელმაც მიულოცა მოკავშირეთა, უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება. მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგნენ აგრეთვე სომეხთა მწერალი და საზოგადო მოღვაწე ოვანეს თუმანიანი და ტფილისში მყოფი უცხო სახელმწიფოების მისიათა წარმომადგენელნი. (2; №10)
- მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ შემდეგი დეპეშა მიიღო ბათუმიდან: „მოკავშირეთა მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო აღფრთოვანებით მოგესალმებით თქვენ, ჩვენი საყვარელი სამშობლოს ღირსეულ ბელადს, ბათუმის ქართველთა სახელით, განურჩევლად სარწმუნოებისა. გისურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს. ქართველი მუსულმანობა მთელ ქართველ ერთან ერთად ზეიმობს მოკავშირეთა მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას. გვწამს, რომ მალე დადგება სანატრელი ჟამი ბათუმის ოლქის დედა სამშობლო საქართველოსთან შეერთებისა. სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის და მეჯლისის თავმჯდომარე – მემედ ბეგ აბაშიძე". (2; №10)
- მთავრობის ბრძანების თანახმად, გაუქმდა დუშეთის მაზრის საგენერალ-გუბერნატორო და მოიხსნა დუშეთის სამხედრო წესები. (1; №10)
- ქალაქ ყვირილას თვითმმართველობა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობს, რათა ქ. ყვირილას ამ სახელის ნაცვლად მთავრობამ ოფიციალურად უწოდოს ზესტაფონი. (1;№10)
- ზუგდიდის მაზრის კომისარი შინაგან საქმეთა სამინისტროს აუწყებს, რომ ცნობილი ყაჩაღი იესე პერტაია გაქცევას აპირებდა, მაგრამ მოკლულ იქნა. ასევე მოკლულ იქნა ყაჩაღი კალენიკე ჭანკვეტაძე. (1; №11)

16 იანვარი

- საგარეო საქმეთა სამინისტრომ მისალოცი ბარათები მიიღო საბერძნეთის მისიისაგან, სომხეთის მთავრობისაგან და სპარსეთის გენერალური კონსულისაგან კავკასიაში (მოაზედოდ დოვალე). (1; №11)

- ჟენევაში გამოვიდა ემ. კიუნის წიგნი საქართველოს შესახებ – „თავისუფალი საქართველო“. წიგნში ფართოდ და ზედმიწევნით არის დახასიათებული და აღწერილი საქართველოს კულტურული და პოლიტიკური მდგომარეობა, მისი ბუნებრივი სიმდიდრეები და სხვა. (1;№11)
- თამბაქოს სარეალიზაციოდ და პურის საქმის მოსაგვარებლად გაიგზავნა საზღვარგარეთ მთავრობის წარმომადგენელი ბ-ნი ქავთარაძე. (2; №11)

17 იანვარი

- საქართველოს კონსულს ოდესაში ბ-ნ უშვერიძეს მოუვიდა პოლონეთის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრის წერილი, სადაც ეს უკანასკნელი მადლობას უხდის წერილის ადრესატს, რომ ის ოდესაში თავისი სიცოცხლის ფასადაც კი იცავდა პოლონეთის მოქალაქეებს ბოლშევიკური ტერორისაგან. (1; №12)
- მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო შინაგან საქმეთა სამინისტროს მისალმების და მოლოცვის წერილები მოუვიდა ახალქალაქიდან (ერობის თავმჯდომარის – ფაჩულიასაგან), სიღნაღიდან (ერობის თავმჯდომარის-ახმეტელაშვილისაგან), სოხუმიდან (ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთაგან). (1; №12)
- სოფელ ჯავაში (გორის მაზრა), რომელიც შორავს ცხინვალს 21 ვერსით, გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, რომელიც ყოველგვარი კორესპონდენციის გაცვლა--გამოცვლას აწარმოებს გორის კანტორასთან. (1; №12)

18 იანვარი

- დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსმა ამხანაგმა ალექსანდრე ლომთათიძემ მილოცვის დეპეშა გაუგზავნა ადერბეიჯანის პარლამენტის თავმჯდომარეს. წერილი შემდეგი სიტყვით მთავრდებოდა: „გაუმარჯოს თავისუფალი ადერბეიჯანის თავისუფალ ხალხს“. (1; №13)
- გაიხსნა საქალაქთაშორისო ტელეფონის მოქმედება ტფილისსა და თიანეთის და თბილისსა და ეკატერინოვკას შორის ლაპარაკისთვის – წუთი 2 მანეთი. (1; №13)
- აღიძრა საკითხი სამუსიკო სასწავლებლის უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებლად გადაკეთების შესახებ. (2; №13)
- მოკავშირე სახელმწიფოების უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას მოუვიდა შემდეგი მოლოცვის დეპეშები სხვადასხვა დაწესებულებათა და პირთაგან: სოხუმიდან – გარნიზონის უფროს პოლკოვნიკ სრესელისგან, ახალციხე-ახალქალაქის რაზმის დროებით უფროს, მაიორ ოთხმეზურისგან, ახალციხე-ახალქალაქის სამღვდელოებისგან, მანგლისიდან – გარნიზონის უფროს პოლკოვნიკ გრიგოლიასგან. (2; №14)
- წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის ინიციატივით, დავითის ეკლესიაში (მთაწმინდაზე) დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის სულთა მოსახსენებლად გადახდილ იქნა პანაშვიდი, რომელსაც უძღვებოდა კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე. (1; №13)

19 იანვარი

- თბილისში ჩამოვიდა ამერიკის გენერალური კონსული ჩარლზ მოზერი. (1; №14)
- ქართულ კლუბში შედგა დრამატულ საზოგადოების წევრთა კრება, რომლის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა პ.დ. საყვარელიძე. (2; №15)
- სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით დაარსდა პირველი ქართული ბუხჰალტერიის კურსები ორივე სქესისთვის წლოვანების განურჩევლად. მისამართი: თბილისი, დუმეთის ქუჩა № 5. (1; №14)
- სასოფლო-სამეურნეო ბანკის დარბაზში თ. კიკვიძის თავმჯდომარეობით შედგა კრება ქართული შრიფტის შემსწორებელ მცირე კომისიისა. კრებაზე მხატვარ შევარდნაძეს დაევალა რედაქტირება გაუკეთოს და დახატოს შრიფტები. (1; №15)

20 იანვარი

- შინაგან საქმეთა მინისტრის დადგენილებით დახურულ იქნა გაზეთი „გოლოს რაბოჩაია“, იმ წერილის გამო, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთის მეორე ნომერში, სადაც აშკარად უარყოფითი აზრი იყო გამოთქმული საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. (1; №15)
- გაზეთი „საქართველო“ იუწყება, რომ სომხური გაზეთი „არაცი“ ბრალს სდებს არტაანის ოლქში მყოფ ქართველ ოფიცრებს, თითქოს ესენი სომხეთის მთავრობის წინააღმდეგ პოლიტიკურ ინტრიგას ეწეოდნენ. „საქართველოს“ რედაქცია ამ ფაქტს სიცრუეს უწოდებს და „არაცს“ სიყალბეში ადანაშაულებს. (1; №15)

21 იანვარი

- სპარსეთის გენერალურმა კონსულმა საქართველოში ინახულა ნოე ჟორდანია და ხანგრძლივი საუბარი გამართა მასთან. (1;№14)
- ახალციხიდან რესპუბლიკის ციხეთა ინსპექტორი ივ. იაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპეშით აუწყებს, რომ ახალციხის საპყრობილის უფროსი ჩიქოვანი სამსახურში ბოროტების ჩადენის გამო დატუსაღებულია და გადმოგზავნილია თბილისის მეტეხის ციხეში მოსათავსებლად. (1; №14)
- თბილისის სამაზრო ერობის გამგეობამ მოაწყო რვეულების დამამზადებელი სახელოსნო, რომელში დამზადებული რვეულებიც გაუნაწილდებათ მაზრის სკოლებს, მეტად შეღავათიან ფასად. (1; №14)
- ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობამ დაადგინა გაიყოს მაზრა სამ საბეითლო უბნად: 1. ოზურგეთის 2. ლანჩხუთის 3. ჩოხატაურის. ამ რაიონებში გაიხსნება ამბულატორიები. (2; №14)

22 იანვარი

- თბილისში გაიხსნა ახალი საშუამავლო კანტორა „კავკასია-ევროპა“, რომლის მიზანია კავშირის დაჭერა ინგლის-საფრანგეთ-იტალიასთან. (1; №15)

- ილია ჭავჭავაძის სახლი, რომელიც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგებლობაშია, დაზღვეულ იქნა საზოგადობის მიერ 30 000 მანეთში. (1; №15)
- წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნ. ერისთავისა და ნ. ღოღობერიძის სახელობის პრემიის მისაღებად წარუდგინეს ნაწარმოებები შემდეგმა ავტორებმა: სანდრო ბაქრაძემ – „მზეჭაბუკი“ (ლეგენდა); სარგის კაკაბაძემ – მონოგრაფია „საქართველო ერეკლე მეორის დროს“; ბარნოვმა მოთხრობები – „ფეხი იბრუნა“ და „ამქრის მშვენება“. (1; №15)

23 იანვარი

- მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლესმა საბჭომ მოუსმინა საქართველოს დელეგატებს: ნიკოლოზ ჩხეიძეს, ირაკლი წერეთელს, ზურაბ ავალიშვილს და ადერბეიჯანის მხრიდან – ბეკ ტობჩიბაშევს. კავკასიის ორ სახელმწიფოს წარმომადგენლებმა დაწვრილებით გააცვნეს საბჭოს ორივე სახელმწიფოს მოთხოვნილებანი და სურვილები. (1; №16)
- საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსისა და იტალიის სამხედრო მისიის უფროსისგან მიიღო მილოცვები. (2; №16)
- სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა აბასთუმანში მოაწყო გვარდიელებისთვის სანატორიუმი 50 საწოლით. (2; №16)
- თბილისიდან ბაქოს გაემგზავრა სპარსეთის გენერალური კონსული კავკასიაში და სპარსეთის მისიის წევრი ტაგი-ხანი. (1; №16)
- შინაგან საქმეთა მინისტრის დადგენილებით, საქართველოდან გააძევეს გრ. ჩალხუშიანი (უცნობია, იყო თუ არა საქართველოს მოქალაქე). მას ნება მიეცა 24 საათის განმავლობაში დატოვოს საქართველოს საზღვრები. (1; №17)

24 იანვარი

- დილის შვიდ საათზე შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში ცეცხლი გაჩნდა. დაზიანდა საადმინისტრაციო განყოფილება. (1; №22)
- ებრაელთა ეროვნულმა საბჭომ და მუსულმანმა მოვაჭრეებმა ქალაქის გამგეობას შუამდგომლობით მიმართეს, რომლითაც მოითხოვენ, ნება მიეცეთ კვირა დილით ვაჭრობისა. ქალაქის გამგეობა თანახმაა მათი თხოვნის და საჭიროდ სცნობს, არ დაევალოთ მათ კვირა დღეებში სავაჭროების დახურვა. (1; №17)
- განათლების სამინისტრომ მთავრობას წარუდგინა მოხსენება, სახალხო მასწავლებელთა დასაკმაყოფილებლად ხაზინიდან 4 293 333 მანეთის გაღების შესახებ. (1; №17)

25 იანვარი

- ბათუმში ჩამოვიდა იტალიის გემი „ალდო“ და ამერიკის გემი „ბეატრისი“, რომლებმაც მოიტანეს დიდძალი მანუფაქტურა და საგალენტერიო საქონელი. (2; №18)

- ბათუმიდან გავიდა იტალიის გემი „გრაცი“, რომელიც სხვადასხვა საქონლით იყო დატვირთული. (2; №18)
- სასოფლოგსამეურნეო საზოგადოების ბინაზე გაიხსნა სრულიად საქართველოს აგრონომიული დახმარების მოღვაწეთა პირველი ყრილობა. ყრილობა გახსნა პროფესორმა ს. ავალიანმა. (1; №18)
- შორაპნის სამაზრო ერობამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა მაზრაში დიდი მოუსავლიანობისა და მოსალოდნელი შიმშილის გამო აკრძალულ იქნას სურსათის გაზიდვა სადგურებზე მისი გატანის მიზნით. (1; №18)
- შედგა საქართველოს მეცხვარე-მესაქონლეთა წარმომადგენლების ყრილობა. რადგან ამიერკავკასიაში სამი რესპუბლიკის დაარსებით ბევრი საზამთრო და საზაფხულო საძოვარი რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ დარჩა, ყრილობის წევრებმა მთავრობას ამ საძოვრების შენარჩუნება (შეზღუდულად) მოსთხოვეს. (2; №18)
- გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე გ. მ. თუმანოვი. (1; №18)

26 იანვარი

- საეკლესიო-სარწმუნოებრივ ცხოვრების განსამტკიცებლად დაარსდა „მართლმადიდებელი ეკლესიის დამხმარე წმინდა ნინოს სახელობის საზოგადოება“. საზოგადოების მიზნებია: 1. სარწმუნოებრივ-ზნეობრივი; 2. საგანმანათლებლო; 3. საქველმოქმედო საქმიანობა. (1; №21)
- თბილისში ჩინებულად ჩატარდა ქართველი სტუდენტის პირველი დღე. დილიდანვე ქუჩებში სწარმოებდა ყულაბებით ფულის შეგროვება, რასაც საზოგადოება დიდის ხალისით შეხვდა. საღამოს ყველა თეატრში გაიმართა წარმოდგენები. (1; №19)
- სტუდენტის დღის აღსანიშნავად გამოიცა ჟურნალი „ქართველი სტუდენტი“. ამასთანავე ეთხოვა გზათა დეპარტამენტის დირექტორს, ნება დართოს სტუდენტებს, აღნიშნული ჟურნალი გაავრცელონ მატარებელში. (2; №19)
- არტისტულ საზოგადოების დარბაზში გაიმართა საღამო სტუდენტურ დღესთან დაკავშირებით. მონაწილეობის მისაღებად მთიდან საგანგებოდ ჩამოვიდა ცნობილი პოეტი ბაჩანა (ნიკო რაზიკაშვილი), რომელმაც წაიკითხა საკუთარი ლექსები. (1; №21)

27 იანვარი

- პროფესიულ კავშირთა საბჭომ სხდომაზე განიხილა საკითხი შრომის ბირჟის ორგანიზაციის შესახებ და მიიღო შემდეგი რეზოლუცია: 1.შრომის ბირჟის მოვალეობა უნდა გამოიხატოს მხოლოდ სამუშაოს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში. 2. ყველა კერძო დამქირავებელი კანტორები და ბიუროები უნდა დაიხუროს. (1; №19)
- ბათუმში პროდუქტთა სიძვირემ პიკს მიაღწია. ყოველგვარი სანოვაგე სანთლით საძებარი გახდა. (1; №19)
- ჟინვალში მოკლულ იქნა ყაჩაღთა მეთაური ვიდო პაპიაშვილი და ამით სრულიად მოისპო ყაჩაღთა ერთი ჯგუფი. (1; №19)

28 იანვარი

- შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულმა საგანგებო რაზმის უფროსმა კედიამ შეიტყო, რომ უცნობი პირნი აკეთებენ ყალბ მოწმობებს საქართველოდან სავალუტო საქონლის გაზიდვისთვის და ბირჟაზე ვაჭრობენ კიდეც. (2; №21)
- ქართული სახელმწიფო ლატარიის გამგეობამ დრამატულ საზოგადოებას გადასცა 1200 000 მანეთი. (1; №21)
- ფრანგული ფირმა „ჰავეს“ სავაჭრო გემმა „სორკასი“, ჩამოიტანა სხვადასხვა საქონელი. გემი ხუთი დღე დარჩება ბათუმში. (1; №23)

29 იანვარი

- განათლების მინისტრის ბრძანებით დაარსდა საქართველოს მუზეუმის შენობის დამამთავრებელი საზოგადოება გ. დ. ჟურულის თავმჯდომარეობით. წევრებად არჩეულ იქნენ: ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი... (1; №21)
- ქუთაისის ოლქის სასამართლოს და საგანგებო სასამართლოს საბრალმდებო ნაწილები გაერთიანდა. (1; №21)
- ხოჯევანქის სასაფლაოზე მიწას მიაბარეს ცნობილი საზოგადო მოღვაწე გ. მ. თუმანოვი. (1; №21)

30 იანვარი

- დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეს და მთავრობის თავმჯდომარეს შემდეგი დეპეშა მოუვიდათ: „შორეულ ლანქორანში მცხოვრები ქართველები ვდღესასწაულობთ ძვირფასი სამშობლოს დამოუკიდებლობას, რასაც დიდი ხანია ველოდით... მზად ვართ მთელი სულით და გულით მხარი დავუჭიროთ დამოუკიდებლობის და თავისუფლების აღიარების აქტს“. (2; №21)
- გადაწყდა ცნობილი ამერიკელი ფინანსისტის – ლუი ბრანდეისის საქართველოში ჩამოსვლა. მის ჩამოსვლას კავშირი აქვს ამიერკავკასიაში რკინის გზების გაყვანასთან. (1; №22)
- საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს დადგენილებით მოწვეულ იქნა სრულიად საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობა. მწერალთა საბჭოს დადგენილებით, თებერვლის ბოლო რიცხვებში გამოცემულ იქნება დიდი სალიტერატურო კრებული. (4; №22)

31 იანვარი

- დამფუძნებელმა კრებამ დეპეშა მიიღო ქალაქ ენზელიდან (სპარსეთი). ციტატა: „ქართული საზოგადოება „გურჯისტანი“ დამფუძნებელი კრების სახით, ქართველ ხალხს მიულოცავს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას და უსურვებს მის დემოკრატიას შემდეგ განვითარებას და წინსვლასნ. (1; №23)
- წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბინაზე შედგა გამგეობის წევრთა საგანგებო კრება, რომელსაც დაესწრნენ განსვენებული ილია ჭავჭავაძის ქვრივ ავად-

მყოფ ოლღა ჭავჭავაძის მზრუნველნი (აპეკუნნი). კრებამ დაადგინა, გაუდიდოს მას დახმარება 2000 მანეთამდე. (1; №23)

- სახალხო სახლში შედგა შილლერის ტრაგედია „ყაჩაღები". (1; №23)

1 თებერვალი

- დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დადგენილება, რომელიც პოლიტიკურ საერთო სისხლის სამართლის და სამხედრო დანაშაულობის ჩამდენთა ხვედრს მნიშვნელოვნად ამსუბუქებდა. (1; №24)
- წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარმა სამმართველომ გახსნა წითელი ჯვრის საავადმყოფო და უფასო ამბულატორია საკუთარ შენობაში. 26 მაისის ქუჩა №60. (2; №22)
- გამოვიდა სასოფლო-სამეურნეო ორკვირეულ ჟურნალ „მეურნეს" პირველი ნომერი. ჟურნალი 24 გვერდიანია და კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი. (1; №24)

2 თებერვალი

- საქართველოს რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრმა იტალიის მისიის უფროსისგან გამბასგან მიიღო ცნობა, რომ სპეციალურ გემ „სოლუნტოზე", რომელიც ჩამოყვა ამიერკავკასიისთვის იტალიის სამოქალაქო მისიას, დატვირთული იქნება 500 ტონა ფქვილი, რომელსაც იტალიის მეფის მთავრობა უთმობს საქართველოს მთავრობას მცხოვრებთა საჭიროებისთვის. (1; №25)
- შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის განკარგულებით დახურულ იქმნა სომხური ყოველდღიური გაზეთი „პაჰაკი", რომელშიც საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ წერილები იბეჭდებოდა. (2; №24)
- ქუთაისში გამოვიდა ჟურნალ „შვილდოსანის" პირველი ნომერი. პირველ ნომერში მონაწილეობენ: გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, კოლაუ ნადირაძე. ჟურნალის ფასია 30 მანეთი. (1; №25)

3 თებერვალი

- სახაზინო რკინის გზათა სამმართველოს შენობაში შესდგა განსაკუთრებული თათბირი საუღელტეხილო რკინის გზის ტფილის-კავკავის გზაზე გაყვანის შესახებ. თათბირს თავმჯდომარეობდა გზათა სამინისტროს ტექნიკურ სამმართველოს უფროსი ინჟინერი გ. ზ. ანდრონიკაშვილი. (1; №25)
- ბათუმში მარსელიდან ჩამოვიდა 117 ყოფილი სამხედრო ტყვე ქართველი. სამხედრო მინისტრის განკარგულებით ბათუმში გაიგზავნა შტაბ-ოფიცერი სამხედრო ტყვეების დასახვედრად და დასაგზავნად თავიანთ მაზრებში. (1; №26)
- მთავრობამ მიიღო შავი ზღვის პირის გლეხთა ლაშქრის შტაბის ცნობა ტუაპსის ოლქიდან, რომლის თანახმადაც, მათ მოწინააღმდეგეს უკან დაახევინეს. მართალია ბევრი მოხალისე დაზარალდა, მაგრამ მათ დიდძალი ნადავლი იგდეს ხელთ: 3 ზარბაზანი, 3 ყუთი ყუმბარა, 300 ტყვე, 2 ვაგონი ფქვილი. (1; №25)

4 თებერვალი

- სომეხთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარემ შუამდგომლობა აღძრა განათლების სამინისტროს წინაშე, რათა გახსნილ იქნას სოფელ ვაყარში (ვაქირში? – დ. შ) სომხური სკოლა, რომელიც ერობის მიერ იყო დახურული. (1; №26)
- სასურსათო განყოფილებამ შეიძინა ბლომად საზღვარგარეთის ფართლეულობა. რომელიც მიეცემა ქალაქის მცხოვრებლებს უბარათოდ. საფართლო მაღაზიები გაიხსნება ავლაბარში და ვაგზლის მიდამოებში. (1; №26)
- სახელმწიფო თეატრში დაიდგა ოპერა „სევილიელი დალაქი“ ს. ი. ევლახიშვილის მონაწილეობით. (1; №27)
- ქალაქ გორში ახალი ავადმყოფობით გარდაიცვალა ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველი მსახიობი გ. არადელი-იშხნელი. (2; №24)

5 თებერვალი

- დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიაში კათალიკოს-პატრიარქმა განცხადება შეიტანა, რომ მცხეთის საპატრიარქო ტაძარს დაზიანებული აქვს სახურავი, რის გამოც წვიმის დროს ტაძარში წყალი ჩადის და კედლებს აფუჭებსო. კათალიკოსი სთხოვს კომისიას, ყურადღება მიაქციოს ამ ტაძარს და გაიღოს სათანადო თანხა სახურავის შესაკეთებლად. (1; №27)
- ვინაიდან სასახლიდან გადიან მთავრობის კანცელარია და სახალხო გვარდიის შტაბი, ამიტომ დამფუძნებელი კრების სამეურნეო კომისიას დაევალა, ჩაიბაროს სასახლის მთელი ქონება და თვალყური ადევნოს ინვენტარს. (1; №27)
- თბილისიდან წასვლის გამო ქალაქის გამგეობამ პენსიები მოუსპო 19 პირს. (1; №27)

6 თებერვალი

- საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორად დაინიშნა ზურაბ მაჩაბელი. (1; №28)
- თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციის განყოფილებამ დაამტკიცა ქართველ მაჰმადიანების დამხმარე საზოგადოების წესდება. (2; №26)
- საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა აღმასრულებელმა საბჭომ დაადგინა, გაიგზავნოს დელეგატი რუსეთის პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენელთა ყრილობაზე. დელეგატი არ იქნება აღჭურვილი გადამწყვეტი ხმის უფლებით, არამედ იგი ინფორმაციას მიაწვდის ყრილობას. (1; №28)

7 თებერვალი

- საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა პარიზული დელეგაციის თავმჯდომარის ნიკოლოზ ჩხეიძისგან მიიღო ბარათი, რომლის მიხედვითაც იაპონიამ აღიარა საქართველოს დე-ფაქტო დამოუკიდებლობა. (1; №29)
- გარეშე საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა მიიღო რუსეთიდან ჩიჩერინის ნოტა, რომელშიც ის აღნიშნავდა რა, საბჭოთა მთავრობის მიზანს – კეთილმეზობლური ურ-

თიერთობა დაემყარებინა საქართველოსთან, მოითხოვდა დენიკინის (მეფის გენერლის) წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს ჩაბმას. (1; №29)

- 25 იანვარს ზუგდიდში გამართულ სამაზრო ერობის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 20782 მოქალაქემ. ხმები ასე განაწილდა: №1 სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 10436 ხმა; №2 ეროვნულ-დემოკრატებმა – 2890; № 5 სოციალისტ-ფედერალისტებმა – 1593. (1; №29)
- მუშებისთვის გამართულ ოპერაზე შემთხვევით დაესწრო იტალიიდან ჩამოსული საკომერციო მისია, რომელმაც სახელმწიფო თეატრის კომისარს დიდი მადლობა გადაუხადა ოპერაზე მიღებული სიამოვნებისთვის და გადასცა 2000 მანეთი დაჭრილ-დასახიჩრებულ ჯარისკაცთა სასარგებლოდ. (1; №29)
- ნება მიეცა ტფილისის რაბინს, თავის ბეჭედზე გამოსახული გერბი შეცვალოს საქართველოს რესპუბლიკის გერბით. (1; №29)

8 თებერვალი

- ევგენი გეგეჭკორმა პასუხი გასცა ჩიჩერინის ნოტას, სადაც ის აღნიშნავდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ორ მომმე ხალხთა შორის კეთილმეზობლურ განწყობილების დამყარებას ხელოვნურად აბრკოლებდა და იმედს გამოთქვამდა, რომ რუსეთის მთავრობა თავის მომავალ პოლიტიკაში მოძებნიდა ქართველი ხალხისთვის მისაღებ ენას. (1; №31)
- თბილისის ზოგიერთ სასწავლებელში სათბობ მასალის უქონლობის გამო დროებით სწავლა შეწყდა. (1; №30)
- მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძემ დაასრულა ნოე ჟორდანიას ბიუსტის დამზადება. (1:№30)

9 თებერვალი

- თბილისის თვითმმართველობაში აღიძრა ქალაქის მცხოვრებთა საერთო აღწერის საკითხი, რადგან 1917 წლის აღწერის მასალები საქმის ნამდვილ ვითარებას არ შეესაბამებოდა და მასში ბევრი უზუსტობა იყო. (1; №31)
- ქალაქის საბჭომ დაადგინა, იბულების წესით ჩამოართვას საარტისტო საზოგადოების თეატრი და შენობა, მის პატრონს დავით საგნაგსკის. თუ ფასის შესახებ შეთანხმება არ მოხდება, მაშინ, თანახმად კანონისა, საგნაგსკის შენობის საფასურად მიეცემა 397 254 მანეთი, რადგან ამ ფასად არის შეფასებული შენობა. (1; №31)
- შედგა დავით კლდიაშვილის იუბილის მომწყობ კომისიისა და მწერალთა კავშირის საბჭოს შეერთებული სხდომა. სხდომაზე შემუშავდა საიუბილეო დღის წესრიგი. (2; №29)

10 თებერვალი

- კაფე „ფრასკატის“ ბინაზე „დედობისა და ბავშვთა დაცვის საზოგადოების“ სასარგებლოდ გათამაშებულ იქმნა „შრომის ლატარეა“, რომელსაც დაესწრნენ მთავრობის თავმჯდომარე ჟორდანია მეუღლითურთ, ბრიტანიის უმაღლესი კომისარი ბნი უორდროპი, დამფუძნებელი კრების წევრნი და სხვა. (1; №31)

- დასრულდა თბილისის ეპარქიული საბჭოს სხდომები. წამოყენებული იყო ფრიად საყურადღებო საკითხები. სხდომაზე გამოირკვა, რომ საეპარქიო სანთლის ქარხანაში მრავალი ბოროტმოქმედება მომხდარა. გადაწყდა, პირველ ივნისს მოწვეულ იქნეს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება. (1; №31)
- გამოვიდა სომხურ უპარტიო გაზეთ „მშაკის" პირველი ნომერი, რომელიც ათი თვის წინ შეწყდა. (1; №31)
-

11 თებერვალი

- მთავრობის გადაწყვეტილებით გადაწყდა თბილისში დაარსდეს საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა. (1; №32)
- კახეთის რკინის გზაზე საფოსტო ტვირთის გადასაზიდად არსებული ფასი (12 კაპიკი ვაგონ-ვერსზე) გადიდდა 40-ჯერ, რაც შეადგენს თითო ვაგონ-ვერსზე 4 მანეთსა და 80 კაპიკს. (1; №32)
- ბორჩალოს მაზრის სოფელ პატარა გომარეთის მცხოვრებლებმა მიმართეს შინაგან საქმეთა მინისტრს და სთხოვენ გადასახლების ნებართვას ბარათაშვილის ყოფილ ადგილში ე. წ. „დიაში". გადასახლებას პატარა გომარეთელები ასაბუთებენ მიწის სიმცირით. (1; №32)
- ბაქოში გაემგზავრა სახაზინო რკინის გზათა უფროსი ინჟინერი ა. კანდელაკი, რომელიც საქართველოს რკინის გზების წარმომადგენელ ჩაჩიბაიასთან ერთად მოლაპარაკებას აწარმოებს აზერბაიჯანის მთავრობასთან, საქართველოსთვის ნავთობის შესყიდვის შესახებ. (1; №32)
- საქართველოს და აზერბაიჯანის დელეგაციებმა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, წერილი გაუგზავნეს საფრანგეთში აშშ-ის ელჩს. ისინი ატყობინებდნენ ადრესატს, რომ ამიერკავკასიის ორივე რესპუბლიკა დე ფაქტო დამოუკიდებლად ცნეს რიგმა სახელმწიფოებმა და მათ შორის ანტანტის უმაღლესი საბჭოს წევრმა ქვეყნებმა. ისინი თხოვდნენ აშშ-ის ხელისუფლებას, რომ დაედასტურებინა ანტანტის წევრ-სახელმწიფოთა გადაწყვეტილება საქართველო-აზერბაიჯანის ცნობით. (1; №32)

12 თებერვალი

- მოსალოდნელი პარტახტიანი სახადის თავიდან ასაცილებლად 2 მილიონი მანეთის გადადება დაევალა შინაგან საქმეთა სამინისტროს. (2; №31)
- გზათა კომისიამ მოიწონა პროექტი ლანჩხუთის ქალაქის თვითმმართველობისთვის 5000 000 მანეთის მიცემის შესახებ, მდინარე რიონის მარცხენა ნაპირის გასამაგრებლად. (1; №33)
- განათლების სამინისტროსთან დაარსდა სასწავლო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეობაც განათლების მინისტრის ამხანაგის განკარგულებით დაეკისრა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს – პროფესორ ივანე ჯავახიშვილს. სასწავლო კომიტეტის დანიშნულებაა უმთავრესად სახელმძღვანელოების, ხელსაწყობებისა და სასწავლე-

ბელთა პროგრამების განხილვა და პედაგოგიურის მხრით შეფასება, საუკეთესო სახელმძღვანელოებისთვის პრემიების მისჯა. (1; №33)

- ხელოვნების კომისიის დროებით თავმჯდომარედ აირჩიეს ივანე გომართელი. (1; №33)
- მოწვეულ იქნა ხელოვნების კომისიისა და ეთნოგრაფიული საზოგადოების შეერთებული სხდომა აკაკი წერეთლის ძეგლის დასადგმელად საჭირო პირობების შესამუშავებლად. (2; №31)
- სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის კულტურულ-განმანათლებელმა განყოფილებამ დაადგინა, კვირაში ერთხელ ან ორჯერ მოეწყოს წარმოდგენები სახაზინო თეატრში სახალხო გვარდიელებისთვის. წარმოდგენების დღეს გვარდიელები განთავისუფლებულ იქნებიან თავის მოვალეობისგან. (1; №33)

13 თებერვალი

- თბილისის საოლქო სასამართლომ დაამტკიცა საქართველოს მწარმოებელი კოოპერატივი „ძმობა“. კოოპერატივის დამაარსებელთ მიზნად დაუსახავთ, საქართველოში ხელი შეუწყონ ტყავეულობის დამუშავებას და ფეხსაცმლების შეკერვასა და გავრცელებას. (1; №34)
- ქალაქის (თბილისის) მოურავის განკარგულებით, დააპატიმრეს „პოლონელთა“, „სამხატვრო წრის“ და „ვაჭარ-მრეწველთა“ კლუბებში აღკრძალულ ქაღალდის თამაშობის ხელმძღვანელნი და მეკარეები, რომლებიც ქალაქის მოურავს არ უშვებდნენ კლუბში, სადაც ის მივიდა დასათვალიერებლად. (1; №34)
- სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს წარმომადგენლობამ თბილისში გახსნა ქურთ-იეზიდების ობოლ ბავშვთა თავშესაფარი. (1; №34)

14 თებერვალი

- დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიამ დაადგინა, გასახელმწიფოებრივებულ იქნეს თბილისის კონსერვატორია. (1; №35)
- ოზურგეთში არსებული 100 საწოლიანი სამხედრო ლაზარეთი გადაეცა სამაზრო ერობებს. (1; №35)
- ქუთაისის შრომის კომისარმა შრომის სამინისტროს შეატყობინა, რომ იქაური აფთიაქის მეპატრონენი უქმე დღეებში მუშაობისთვის მუშა-მოსამსახურეებს არაფერს არ აძლევენ გასამრჯელოდ. სამინისტრომ განუმარტა, რომ ამ საკითხის შესახებ ძველი კანონი ჯერ-ჯერობით ისევ ძალაშია, მუშაობის დროის ახალი კანონის შემუშავებამდე. (2; №33)

15 თებერვალი

- მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ დეპეშა მიიღო აზერბაიჯანის სამხრეთ-დასავლეთის ნაწილის თათრებისგან, სადაც ისინი ჩიოდნენ სომეხთა თავდასხმების

გამო და სთხოვდნენ ჟორდანიას, „კაცთმოყვარეობისა და სამართლიანობისთვის უარი არ გვითხრათ და მიიღოთ ზომები საზღვრებზე სომხების ასეთი საქციელის შესაწყვეტად“. (1; №36)

- დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის თავმჯდომარე პავლე საყვარელიძე არჩეულ იქნა საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარედ, ამიტომ ხელოვნების კომისიის თავმჯდომარეობა დაეკისრა ივანე გომართელს. (1; №36)
- სახელმწიფო თეატრში შესდგა დავით კლდიაშვილის იუბილე. (1; №37)
- გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ დავით კლდიაშვილის იუბილესთან დაკავშირებით აქვეყნებს შიო მღვიმელის ლექსს:

  ცივი ქვეყნის ქების ქარმა თავის წყაროდ ვერ გაქცია,
  შენი ძალა შენს მიწაზედ სწორედ გსურდა დაგექცია
  და ასედაც მოიქეცი ვაშა! ჩვენო ტკბილო ძია.
  სალამს გაძლევს „საქართველოს რესპუბლიკის“ რ ე დ ა ქ ც ი ა. (1; №37)

16 თებერვალი

- თბილისში მეორე უბნის კომისარმა შეიპყრო ივ. გულიაევი, ვ. ზაიცევი, ტფილისის საპყრობილის ზედამხედველი – ვ. ლებედინსკი, ვასილ და მარიამ გულიავები და არსენ ლებედინსკი, რომელთაც ფართო ორგანიზაცია ჰქონდათ მოწყობილი და სისტემატურ ქურდობას ეწეოდნენ. (1; №37)
- მთავრობამ შეიწყნარა კონსტანტინე ყურუას თხოვნა და უწოდა მას ყურაშვილი.
- საქართველოს მთებში მოვიდა დიდი თოვლი, რის გამოც დუშეთ-ფასანაურს შორის მიმოსვლა მეტად გაძნელებულია. (2; №35)

17 თებერვალი

- თბილისის სამაზრო ერობის გამგეობამ დაადგინა, სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსოს 5 სტიპენდია. გამგეობას სურვილი აქვს, ამ სტიპენდიების განაწილების დროს მონაწილეობა მიიღოს მისმა წარმომადგენელმა ლექტორთა საბჭოსთან ერთად. სტიპენდიის განაწილების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს თბილისის მაზრის მცხოვრებს. თითო სტიპენდიანტს დაენიშნება არანაკლებ 2000 მანეთისა თვეში. (1; №37)
- თბილისის სამაზრო ერობის გამგეობამ ათ კაცამდე შეამცირა ცხენოსან მილიციელთა სარეზერვო რაზმი. (1; №37)
- საგარეჯოს თემში მოხდა ხელახალი არჩევნები. თემის თავმჯდომარედ არჩეულია აგრონომი ს. მჭედლიშვილი. (1; №37)
- თბილისის მომღერალთა კავშირმა კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილის მეთაურობით სახალხო სახლში გამართა უფასო კონცერტი მუშათათვის. (4; №37)
- საქართველოს რკინის გზის სამმართველომ ხელშეკრულება დასდო ამერიკის მისიასთან – „ახლო აღმოსავლეთის დახმარება“, გადაუტანოს დამშეულ სომხებს სურსათი ბათუმიდან, ტფილისიდან და სანაინიდან გუმბრამდე. (2; №35)

18 თებერვალი

- იტალიის სამოქალაქო მისიამ სენატორ კონტორის მეთაურობით ინახულა მთავრობის თავმჯდომარე, რომელთანაც ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა საქართველოსა და იტალიის ეკონომიკურად დაახლოვების შესახებ. შემდეგ მისიამ დაათვალიერა სასახლე და დაესწრო დამფუძნებელი კრების სხდომას, სადაც დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე მისიას მიესალმა. მისიას სხდომაზე ტაშის კვრით და ოვაციით შეხვდნენ. (1; №38)
- სამხედრო მინისტრის თხოვნის საფუძველზე ოფიცრებსა და ჯარისკაცებს გაეზარდათ ჯამაგირი. (1; №38)
- ქალაქის გამგეობამ გაადიდა პირველ საავადმყოფოს შესანახი თანხა 11 500 მანეთიდან 28 000 მანეთამდე. (1; №38)
- ნოვოროსიისკიდან ფოთში ჩამოვიდა 300 ლტოლვილი სომეხი, რომლებიც სომხეთში გაემგზავრებიან. (1; №38)
- მთავრობამ ასლან გიორგის ძე ყიზილბაშის თხოვნა შეიწყნარა და მას მისცა ახალი გვარი აბაშიძე. (1; №38)

19 თებერვალი

- თბილისის ობსერვატორიის ცნობით, საღამოს სამ საათზე თბილისში მოხდა მიწისძვრა. პირველ სუსტ გაქანებას მოჰყვა მეორე შედარებით ძლიერი. (1; №39)
- გორში მოხდა დიდი მიწისძვრა. ქალაქი დიდად დაზარალდა. თითქმის ყველა შენობა დაინგრა, არის მრავალი დაჭრილი და დახოცილი. (1; №39)

20 თებერვალი

- თბილისიდან გორში მიწისძვრასთან დაკავშირებით) გაიგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ა. ჭიჭინაძე, რკინის გზის უფროსი, სამედიცინო პერსონალი, ინჟინრები. (1; №40)
- 2 საათსა და 20 წუთზე კვლავ განმეორდა ტფილისში მიწის ძვრის ბიძგები. (1; №40)
- დამფუძნებელმა კრებამ მიიღო ოსმალეთის პარლამენტის დროებითი თავმჯდომარის ილიაზ ეფენდის მილოცვა დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით. (1; №40)
- მიწათმოქმედების სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე დ. გედევანიშვილი თანამდებობიდან გადადგა. მის ადგილზე დაინიშნა ბ-ნი ჩხაიძე. (1; №40)
- სომხეთის საქველმოქმედო საზოგადოებამ გაგზავნა ტფილისიდან ერევანში 2 ვაგონი ობოლი ბავშვები, რომლებიც დატოვეს ლტოლვილმა სომხებმა. 1; №41)

21 თებერვალი

- წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარმა სამმართველომ გორში გაგზავნა სასანიტარო მატარებელი საექიმო რაზმით და გაატანა საჭირო ნივთები დაჭრილ-დასახიჩრებულებთან. (2; №39)

- მევენახეობისა და მეღვინეობის ყრილობის საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა ივ. ზ. ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით. საბჭომ საჭიროდ სცნო, დააარსოს ტფილისის ლაბორატორიასთან საკუთარი ლაბორატორია, სადაც უნდა ხდებოდეს ღვინის ანალიზი. აქვე შეისწავლიან მსურველები ღვინის დაყენებას ევროპული წესით. (1; №41)
- გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ აქვეყნებს სტატიას „მოხეტიალე მუსიკოსის მოწოდება“. ეს არის მონოლოგი მუსიკოსისა, რომელიც 4 წელია დაბრუნდა მოსკოვიდან სამშობლოში და ახლა ლუკმა-პურის საშოვნელად ქუჩაში მათხოვრობს. „მომხედეთ, გამომიწოდეთ თქვენი ხელი და მეც აპეკური გამიხალვათდება. ჯერ-ჯერობით ჩემი საქმისთვის საჭიროა პიანინოს შეძენა ჩემი მუდამდღიური გროშებით შეუძლებელია. ეს მცირედი თხოვნა რომ შემისრულოს ჩვენმა საზოგადოებამ მეც კმაყოფილი დავრჩები და დღე-დღეზე გასაქცევათ თვალი უცხოეთისაკენ აღარ მეჭირება“. (1; №41)

22 თებერვალი

- გორიდან დაბრუნდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ნ. ჭიჭინაძე და სამინისტროს ადმინისტრაციულ განყოფილებათა უფროსი ვ. მგალობლიშვილი, რომელნიც 20 თებერვალს დილით ადრე გაიგზავნენ გორში მიწისძვრისგან მომხდარ უბედურების ადგილობრივ გასაცნობად და სასწრაფო ზომების მისაღებად. (1; №42)
- იუსტიციის მინისტრის განკარგულებით სასახლეზე ეროვნული დროშა მწუხარების ნიშნად ჩამოშვებულ იქნა. (1; №42)
- ბათუმიდან მიიღეს ცნობა, რომ ბათუმიდან ინგლისის ჯარის წასვლის გამო ოლქში გაძლიერდა ოსმალეთის იმპერიალიზმის აგენტურის მოქმედება. ოლქში გაჩნდნენ ოსმალთა ჩეტნიკები, რომლებიც აწარმოებენ საქართველოს საწინააღმდეგოდ სასტიკ პროპაგანდას. ოლქის მცხოვრებნი შეშფოთებულნი არიან, ოსმალთა ემისრები მოქმედებენ მუქარით და დაშინებით. (1; №42)
- გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ იუწყება, რომ სოხუმის „ნაშე სლოვოში“ გრ. აიოლო „ბათუმის შთაბეჭდილებებში“ შემდეგს სწერს: „ტფილისიდან გაძევებული სპეკულიანტები და სხვანი ბათუმში იმყოფებიან, ისინი ზიზღით არიან აღვსილნი საქართველოსადმი და დღე-დღეზე მოელიან, როცა დაწყევლილ ქართველებს მოსთესავენ. მათთვის სულ ერთია ვინც უნდა დაიპყროს საქართველო- დენიკინი იქნება ის თუ – ბოლშევიკები“. (1; №42)
- ონის ქალაქის თავი შუამდგომლობს ქალაქთა კავშირის წინაშე, რათა დახმარება აღმოუჩინონ მაზრაში შიმშილის თავიდან ასაცილებლად. დიდი თოვლის გამო მაზრა მოწყვეტილია მთელს რესპუბლიკას. ადგილობრივ კი სურსათი არ მოიპოვება. (1; №42)
- სახელმწიფო თეატრში რეჟისორ ალექსანდრე წუწუნავას საბენეფისოდ დადგმულ იქნა „აბესალომ და ეთერი“. (1; №42)

23 თებერვალი

- სასწრაფო მატარებლით გორში გაემგზავრნენ ბრიტანიის უმაღლესი კომისარი ბ-ნი ოლივერ უორდროპი, საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსი დე-ნონაკური, საფრანგეთის

კონსული დიუ-რუა, პოლონეთის წარმომადგენელი ბ. ოსტოვსკი, იტალიის მისიის წარმომადგენელი დ-რიკუკი. (2; №40)

- თამარ-მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარიის მასწავლებლებმა დაადგინეს, ყოველთვიურად გაიღონ თავიანთი წვლილი გორში მიწის ძვრისგან დაზარალებულთა დასახმარებლად. (1; №43)
- სახალხო უნივერსიტეტთან არსებულმა დრამატულმა წრემ წარმოადგინა ანდრეევის პიესა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა". შემოსავალი მთლიანად გადაიდება გორის ფონდის გასაძლიერებლად. (1; №43)

24 თებერვალი

- დაარსდა „მთავრობის საგანგებო კომიტეტი მიწისძვრისგან დაზარალებულთა დასახმარებლად". კომიტეტის წევრებად არჩეულ იქნენ იუსტიციის მინისტრი რაჟდენ არსენიძე (თავმჯდომარე), შინაგან საქმეთა სამინისტროს მედიკო-სანიტარულ განყოფილების უფროსი ს. ჯაფარიძე, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი ან. სალუქვაძე... (1; №43)
- საბაჟოებთან არსებულმა შრომის მეორე საზოგადო ყრილობამ თავის წევრთა შორის შეკრიბა 20 000 მანეთი მიწისძვრისგან დაზარალებულთა დასახმარებლად.
- ეკონომიურ-ფინანსურ სფეროში მოღვაწეთა ინიციატივით დაარსდა საქართველოს ეკონომიური საზოგადოება. (1; №43)
- მიღებულ იქნა შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქალაქთაშორისო ტელეფონის ქსელის მოსაწყობად 9786 000 მანეთი ფულისა და 291 251 მანეთად ღირებული მასალის გადადების შესახებ. (1; №43)

25 თებერვალი

- სინემატოგრაფ „აპოლომი" აჩვენეს მიწისძვრისგან განადგურებულ ქალაქ გორის ნანგრევები. (1; №44)
- თბილისის სასოფლო-სამეურნეო კრების საზოგადოებამ 100 000 მანეთი გადასდო მიწისძვრისგან დაზარალებულთა დასახმარებლად. (1; №44)
- ქართულ კლუბში რუსული დრამის თეატრმა –„ტარტიმ" წარმოადგინა მხიარული კომედია „ჩემი მხედარი". (1; №44)

26 თებერვალი

- მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია და მთავრობის და დამფუძნებელი კრების წევრნი დილის ცხრა საათზე საგანგებო მატარებლით გაემგზავრნენ გორში. (2; №43)
- 26 თებერვლის მონაცემებით ქალაქ გორიდან და მის მიდამოებიდან ამოყვანილია 200 ცხედარი, დაახლოებით ამდენივეა მძიმედ დაშავებული. დაზარალებულია 50-მდე სოფელი, აქედან 30-ში სახლები თითქმის სულ განადგურებულია. (1; №45)

27 თებერვალი

- მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშა მიიღო ბაქოდან: „გთხოვთ თქვენს განკარგულებაში მიიღოთ 200 000 მანეთი მიწისძვრისგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. თანხას გადმოგცემთ ჩვენი რწმუნებული პეპინოვი. ძმ. სკობელევებინ. (1; №46)
- ამიერკავკასიის ბანკმა გადასდო მიწისძვრისგან დაზარალებულთა სასარგებლოდ 500 000 მანეთი. (1; №46)
- სომეხთა ეროვნულმა საბჭომ გადასდო 50 000 მანეთი და აგრეთვე თანხა 20 საწოლის შესანახად. (1; №46)

28 თებერვალი

- გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" აქვეყნებს მთავრობის საგანგებო კომიტეტის მოწოდებას მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად. მოწოდება ასე მთავრდება: „რესპუბლიკის ერთგულნო შვილნო! გამოეხმაურეთ ხალხის გაჭირვებას, შესწირეთ მათ სანუგეშოდ რის გაცემაც შეგიძლიათ, ვინც გორს არ დაეხმარება, ღალატობს საქართველოს". (1; №47)
- ქალაქ თბილისის გამგეობამ მოაწყო ნავთის მიტანა მოსამსახურეებთან დაწესებულებებში. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი მოსამსახურეები ართმევენ ნავთს დამტარებელს უფასოდ. სასურსათო განყოფილება ამით აცხადებს, რომ ასეთი მტაცებლების წინააღმდეგ მიღებულ იქნება სერიოზული ზომები. (2; №45)
- სომეხთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბ. თოფჩიანი. (2; №45)

29 თებერვალი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ინფორმაციით, საქართველოს სახაზინო რკინიგზის საკომერციო ნაწილი ამით აცხადებს, რომ ფოსტით გამოგზავნილ წერილებს არ მიიღებს, თუ ფოსტის საფასური მთლიანად გამომგზავნისგან არ იქნება გადახდილი. (1; №48)

1 მარტი

- შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა სიტყვით მიმართა დამფუძნებელ კრებას და პასუხი გასცა ყველა იმ ბრალდებას, რომელიც მისი უწყების მიმართ იყო გამოთქმული. ნ. რამიშვილმა კატეგორიულად უარყო უფლებამოსილების გადამეტების ფაქტები. მან აღნიშნა, რომ დაშვებულ იქნა შეცდომები, მაგრამ ეს არ იყო სისტემური. რამიშვილის გამოსვლას აურზაური მოჰყვა. ყველა ბრალდება დასაბუთებულად იქნა უარყოფილი. ნ. რამიშვილმა თავის გამოსვლაში თქვა რომ, ადმინისტრაცია ცდილობს კანონიერების დაცვას და თვითნებობის აღკვეთას. (1; №51)

2 მარტი

- სახელმწიფო თეატრი: სამშაბათს, 2 მარტს ინაშვილის ბენეფისი შედგა. (1; №49)

- დამფუძნებელი კრების ცენტრალურმა საარჩევნო საპარლამენტო კომისიამ, საყოველთაოდ გამოაცხადა დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები აფხაზეთსა და რესპუბლიკის იმ ადგილებში, სადაც არჩევნები არ ჩატარებულა ან გაუქმდა. არჩევნები დანიშნულია 1920 წლის 27, 28, 29 მარტს. (1; № 49)
- ამერიკულმა დამხმარე კომიტეტმა, მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად 3 ვაგონი ტანსაცმელი გამოგზავნა. საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო ჰასკელის ტელეგრამა, რომლის თანახმადაც ვაგონები უკვე ფოთში იყო. (1; №49)
- საქათველოში მცხოვრებ ელინთა ყრილობამ 2250 მანეთი გადასცა მიწისძვრით დაზარალებულთ. (1; №49)
- პოლონეთის წარმომადგენელმა ოსტროვსკიმ მიწისძვრით დაზარალებულებს 10 000 მანეთი შესწირა. (1; №49)
- ქალაქის გამგეობამ დაადგინა, რომ გაიხსნას ცეცხლის მქრობელთა რაზმის განყოფილება ნიკოლოზის ქუჩაზე, № 106. (1; № 49)
- გამოვიდა ან. ჟუჟისპირელის მოთხრობა „ტყის ძმებინ, მოთხრობა დაწერილია გურიის 1905 წლის მოძრაობაზე. ფასი 40 მანეთი. (1; №49)
- ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა 1920 წლის ტრამვაის ხარჯთაღრიცხვა – 110 მილიონი მანეთი. (1; №49)
- ქალაქის კავშირმა აამუშავა ავეჯის დამამზადებელი ქარხანა. დღიურად მზადდება 300 სკამი. (1; №49)
- ფინანსთა სამინისტრომ მოლაპარაკებები აწარმოა იტალიელებთან, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების კონცესიის მათთვის მიცემის შესახებ.
- რესპუბლიკის ომებში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირმა თავისი მოსაზრება გამოთქვა საპენსიო წესდების პროექტის შესახებ, რომელიც შეადგინა საგანგებო კომისიამ სამხედრო მინისტრის თანაშემწის გენ. გედევანიშვილის თავმჯდომარეობით. კავშირი მოითხოვდა სახელმწიფოსგან პენსიის გარდა სხვადასხვა სოციალურ დახმარებას, რადგან გამოყოფილი პენსია საკმარისი არ იყო. ასევე ისეთი პუნქტების შეტანას, რომელიც საზოგადოებაში ადაპტირების საშუალებას მისცემდა დაზარალებულებს. (1; №49)
- საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა დამფუძნებელ კრებას ბათუმის ქალაქის არჩევნებში, ბრწყინვალე გამარჯვება მიულოცა. სიტყვით გამოვიდა ასევე აკაკი ჩხენკელი. მან აღწერა ის მძიმე გარემო, რომელშიც ჩატარდა არჩევნები, მაგრამ მიუხედავად ამისა ბათუმში გაიმარჯვა საქართველოს მთლიანობის პრინციპმა, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინად აღიარა სამუსლიმანო საქართველომ.
  დამფუძნებელ კრების სხდომაზე წარდგენილ იქნა რეზოლუცია, ბათუმის ოლქის საქართველოსთან განუყრელობაზე. გამოითქვა იმედი, რომ საქართველოს მთავრობა მიიღებდა სათანადო ზომებს. (1; №49)

3 მარტი

- სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის თავმჯდომარემ მემედ აბაშიძემ მემორანდუმით მიმართა კავკასიაში მყოფ ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს ოლივერ უორდროპს.

მემედ აბაშიძე მოითხოვდა ბათუმის ოლქის საქართველოს რესპუბლიკისათვის შეერთებას, ავტონომიით. აღწერდა იქ მიმდინარე მოვლენებს და რთულ მდგომარეობას. „რადგანაც ამ ჟამად ისე გართულდა საქმე, ამ ოლქის მცხოვრებთა სახელით, უმორჩილესი თხოვნით მოგმართავთ თქვენო მაღალო აღმატებულებავ, გადასდგათ სათანადო ნაბიჯები, რომ საჩქაროდ გადაწყდეს ბათუმის ოლქის საკითხი და ამით შეიძლება მისცეთ ექვსი წლის ომით მოქანცულ ხალხს თავისუფლათ ამოისუნთქოს თავის დედა სამშობლოს, საქართველოს წიაღში". მემორანდუმში საუბარი იყო ძალებზე, რომლებიც ცდილობდნენ, სხვადასხვა ხერხებით, ხელი შეეშალათ ბათუმის ოლქის საქართველოსთვის შეერთებისათვის. (1; №50)

- ბათუმის საქალაქო არჩევნებში ასარჩევი იყო 36 ხმოსანი. გაიმარჯვა ქართველთა ჯგუფმა – 20 ხმოსანი, ებრაელები 1, ბინის დამქირავებლები 1, ბერძნები 8, სომხები 4, რუსები 2. (1; №50)
- ზუგდიდის მაზრის ერობის განახლებულმა ყრილობამ დამფუძნებელ კრებას მიულოცა დამოუკიდებლობა. ერობის ყრილობამ გულისტკივილი გამოთქვა ბათუმის გარშემო არსებული სიტუაციის გამო და იმედი გამოთქვა, რომ ბათუმი დაუბრუნდება დედა სამშობლოს. (1; №50)
- ოთხშაბათს, 3 მარტს სახელმწიფო თეატრში გაიმართება გალაქტიონ ტაბიძის საღამო. (1; №50)
- წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მიწისძვრით დაზარალებულთა სასარგებლოდ გადადო 50 000 მანეთი დახმარება. (1; №50)
- მთავრობამ ჯავიდან მიიღო დეპეშა: „ოსეთის ყველა სოფლების, გარდა მთის ოსეთისა, წარმომადგენელთა ყრილობა რესპუბლიკის მთავრობას ულოცავს დამოუკიდებლობის აღიარების დიდ აქტს; ყრილობას სწამს, რომ ეს ისტორიული ამბავი შედეგია იმ დემოკრატიული წესწყობილებისა, რომელმაც რესპუბლიკის მცხოვრებნი გადაარჩინა ანარქიას და სამოქალაქო ომს. გაუმარჯოს ნ. ნ. ჟორდანიას და მის მთავრობას". თავმჯდომარე ჯიოევი. (1; №50)
- ყოველ კვირა გამოდის სახელოვნო-სალიტერატურო უპარტიო ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება". დასურათებული. რედ. გამომცემელი იოსებ იმედაშვილი. ფასი 10 მანეთი. (1; №50)
- 3 მარტს მოლაპარაკება გაიმართა გზათა დეპარტამენტის დირექტორსა და იტალიის სამოქალაქო მისიის ფინანსურ კომისიას შორის. იტალიის მთავრობამ ვალდებულება აიღო საკუთარ თავზე, რომ 30 მილიონი იტალიური ლირა გადაეცა გზათა დეპარტამენტისთვის. (1; №50)

4 მარტი

- სახელმწიფო თეატრი – ხუთშაბათს, 4 მარტს, ნინო კოშიჩის მონაწილეობით „ფაუსტი" და „ვალპურგის ღამე". (1; №51)
- მიწისძვრის საგანგებო კომიტეტში რწმუნებულ ჩიკვაიძეს მისცეს დავალება, მოახდინოს დაზარალებულთა ევაკუაცია თბილისში, ვისაც არ აქვს საკუთარი ბინა ბორჯომ-

ში, თელავში, სიღნაღში და სხვ. ასევე მოახდინოს საავადმყოფოებიდან გამოწერილთა ევაკუაცია. (1; №51)

- საქართველოს პროფკავშირთა სეკრეტარიატმა მიიღო დადგენილება, იშუამდგომლოს მთავრობის თავმჯდომარესთან და დაეხმაროს სახალხო უნივერსიტეტს, რათა სწავლა გაგრძელდეს წლის ბოლომდე. (1; №51)
- თბილისში სასწრაფო მატარებლით ჩამოვიდა აზერბაიჯანის განათლების მინისტრი რუსტამბეკოვი. (1; №52)

5 მარტი

- ელინთა მეორე ყრილობა აღფრთოვანებით მიესალმება რესპუბლიკის მთავრობას, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების გამო და უსურვებს მას თავისუფალ აყვავებას. ყრილობის თავმჯდომარე პაპონდოპულო. (1; №52)
- საფრანგეთის მთავრობამ საქართველოს გემებს ეროვნული დროშით ცურვის ნება დართო. (1; №52)
- სახელმწიფო თეატრი – პარასკევს 5 მარტს „ქეთო და კოტე". (1; №52)
- შინაგან საქმეთა სამინისტროში (ბორჩალოელ გერმანელთა შუამდგომლობა) – დამფუძნებელი კრების წევრმა ბ. ბილმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა შუამდგომლობით, რათა ბორჩალოს მაზრაში გერმანელების სოფლებს ორმაშენს და იაკობლინს გამოუცვალონ სახელი, ორმაშენს ეწოდოს – ვალდგეიმი, იაკობლინს – ბლიუგენფელდი. (1; №52)
- მთავრობის თავმჯდომარემ, სოხუმის ბერძენ მასწავლებელთაგან მიიღო დეპეშა, სადაც ისინი მადლობას უხდიდნენ საქართველოს მთავრობას ბერძნული სასწავლებლისათვის თავისუფლების მინიჭებისათვის. (1; №52)
- გამოვიდა ყოველკვირეული ჟურნალი „ერობა და ქალაქი". (1; №52)

6 მარტი

- დამფუძნებელი კრების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შევიდა რადიკალ დემოკრატიული პარტიის და უპარტიოთა კავშირის განცხადება, რომ ისინი დამფუძნებელი კრების დამატებით არჩევნებში თავის სიას უერთებენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიას. (1; №53)
- სახელმწიფო თეატრის დირიჟორმა სამუელ ალექსანდრეს ძე სტოლერმანმა, რევოლვერით მოკლა თვისი ცოლი. როგორც გაირკვა სტოლერმანს ცოლი ჩაგრავდა, მას არ უნდოდა სტოლერმანს „აბესალომ და ეთერისთვის" ედირიჟორა, სმულდა ქართული მუსიკა. „აბესალომ და ეთერის" ვირის ოპერას უწოდებდა. ის ქმარს ფიზიკურად უსწორდებოდა. ესენტუკის პარკში ერთხელ ქოლგითაც კი გამოეკიდა.
15 იანვარს სტოლერმანმა გადაწყვიტა ან თავი მოეკლა ან ცოლი. დილით გაღვიძებულს პარტიტურიდან ამოხეული დახვდა ფურცლები, ის შევიდა ცოლის ოთახში და მოკლა. სახლიდან გამოსულს გზად „აბესალომ და ეთერის" ავტორი ზ. ფალიაშვილი

შეხვდა, მას უამბო მომხდარი. სასამართლოს მისთვის უვადო პატიმრობა უნდა მიესაჯა, მაგრამ გაამართლა. (1; №53)

7 მარტი

- ლორდი კერზონის სალამი ქართულ უნივერსიტეტს. საგარეო საქმეთა მინისტრს წერილი მოუვიდა ბრიტანეთის უმაღლესი კომისრის ბ. ნ. ოლივერ უორდროპისაგან. „ლორდმა კილდსტონიდან მთხოვა გადმოგცეთ თქვენ შემდეგი დეპეშა ტფილისის უნივერსიტეტისთვის". ლორდი ულოცავდა ამიერკავკასიაში უნივერსიტეტების გახსნას და წარმატებას უსურვებდა. (1; №54)
- ბოლშევიკებისა და ოსმალეთის აგენტების შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ. ეს შეთქმულება მიმართული იყო ბათუმის ოლქის წინააღმდეგ. შეთქმულებს ხელი უნდა შეეშალათ საქართველოსთვის ბათუმის ოლქის დაკავებაში. (1; №54)
- ტერმინოლოგიის შემუშავების გარშემო. ბ. ნ. დანელია მოითხოვდა ახალი სამეცნიერო ტერმინების შემუშავებას. მის მიერ წამოყენებული არგუმენტები გაბათილებულ იქნა. „ხე" ყოველთვის არის „ხე", მისი სამეცნიერო ტერმინის შერჩევა საჭირო არ არის. (1; №54)
- 7 მარტს საღამოს 6 საათზე, კავკასიის საარქეოლოგიო ინსტიტუტის ბინაზე (ოლღას ქ. N 40) დანიშნული იყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების წევრთა კრება. მათი მიზანია: 1) მღვდლის პ. კარბელაშვილის მოხსენება: „ირაკლის დროის ქართლის ტახტის მაძიებელნი"; 2) ახალი წევრების არჩევა. (1; №54)
- პენსიის შესახებ პროექტი გააპროტესტა დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობამ. კავშირის გამგეობა არ ეთანხმებოდა პროექტის იმ მუხლებს, სადაც საუბარი იყო იმის შესახებ, რომ 1914 წლიდან დაჭრილებს ნაკლები პენსია ერგებოდათ, ვიდრე 1918 წლის 26 მაისიდან დაჭრილებს. სტატიაში საუბარი იყო რომ, ეს მუხლები უნდა შესწორებულიყო და სამართლიანობა აღმდგარიყო. (1; №54)

8 მარტი

- შედგა პირველი სხდომა ნაფიც მსაჯულთა საოლქო სასამართლოსი. (1; №55)

9 მარტი

- სამეცნიერო დეპარტამენტის დაარსება, დირექტორად დაინიშნა პეტრე გელეიშვილი. (1; №55)
- ბათუმის გაზეთი „ნაშ კრაი" აცხადებს რომ, ისინი დარწმუნებულნი არიან რუსეთის გამარჯვებაში და მოქალაქეებს მოუწოდებენ გამოფხიზლდნენ. (1; №55)
- დამფუძნებელი კრება. 9 მარტის სხდომა. თავმჯდომარეობდა ალ. ლომთათიძე. დღის წესრიგში იდგა სოციალისტ-ფედერალისტების კითხვა ბათუმის შესახებ თუმცა გადაიდო. სხდომა გაგრძელდა მომარაგების სამინისტროს პასუხით, რომელიც ვეშაპელს აუწყებდა, რომ ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს სამინისტრო კომერსანტებს დევნი-

და, სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. ივ. ჭავჭანიძემ დასაბუთებულად უარყო ბრალდება. (1; №57)

10 მარტი

- 10 მარტს დაიწყება სარკინიგზო მიმოსვლა თბილისსა და ერევანს შორის. (1; №55)
- 10 მარტს შალვა დადიანმა გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენილი იყო მისივე პიესა „გეგეჭკორი". (1; №55)
- ივანე სარაჯიშვილის საბენეფისოდ დაიდგმება ოპერა „ჰუგენოტები". სარაჯიშვილი რაულის პარტიაში გამოვა. (1; №55)

11 მარტი

- თბილისის სამაზრო ერობამ დააარსა მოზრდილ უცოდინართათვის წერა-კითხვის საღამოს კურსები. (1; №57)
- გამოვიდა ახალი მხატვრული ჟურნალი „პარნასი". შ. მეფანდურის რედაქტორობით. (1; №57)
- ჰეიდარ აბაშიძის მიმართვა: ოსმალეთისა და აზერბაიჯანის აგენტების მიზანია, ქართველი მუსლიმანები ბრმა იარაღად გამოიყენონ. აგენტები ცდილობენ ავანტიურაში ჩააბან და აამხედრონ, მათი მთავარი მიზანი ბათუმით ნავთობის თავისუფლად გატანაა. (1; №57)
- მასწავლებელთა მოსამზადებლად და გამოსაცდელად შემუშავდა პროგრამა, რომლის მიხედვითაც მოხდებოდა მასწავლებელთა მომზადება და შემდგომ გამოცდა. გადამზადება აუცილებელი გახდა იმის გამო რომ საქართველოში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იყო უმაღლესი დაწყებითი სკოლების მდგომარეობა. თითქმის არ არსებობდნენ პროფესიონალი მასწავლებლები. (1; №57)
- ეკატერინოდარიდან მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო დეპეშა, რომელშიც ღრმა მწუხარებას გამოთქვამდნენ გორში მომხდარი მიწისძვრის გამო. (1; №57)

12 მარტი

- ცნობილი მოცეკვავე ქალი ლიდია ჯონსონი ბათუმიდან დაბრუნდა. მეორე გასტროლი შედგება თეატრ „ტარტოში". (1; №58)
- თბილისიდან ბათუმში გაემგზავრა ქართული დასი ტასო აბაშიძის, ელ. ჩერქეზიშვილის და შალვა დადიანის მონაწილეობით. (1; №58)
- თბილისში ჩამოვიდა პროფესორი როსტოვცევი, ამიერკავკასიის უნივერსიტეტში ფიზიოლოგიის კათედრის დასაკავებლად. (1; №58)
- კინემატოგრაფ „მიმინოში" მიმდინარეობსდა პირველი ქართული სურათის ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან „ქრისტინეს" ჩვენება. „მიმინოში" აჩვენებდნენ – „საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავს", „გვარდიის დღესასწაულს" და სხვ. (1; №58)
- დამფუძნებელი კრება. 12 მარტის საზეიმო სხდობა. სიტყვა წარმოსთქვა თავმჯდომარე – ალ. ლომთათიძემ. მან შეკრებილ საზოგადოებას მიულოცა 12 მარტი, 1917 წლის

12 მარტს დაეცა რუსეთის დესპოტიზმი და 1919 წლის 12 მარტს საქართველოს დაედგა ხალხის და უზენაესობის გვირგვინი. მან ისაუბრა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე და ბათუმის ოლქის შემოერთების აუცილებლობაზე. დასასრულ თავმჯდომარემ წაიკითხა 28 თებერვალს მიღებული დეპეშა ლონდონის თემთა პალატის თავმჯდომარისგან. ბოლოს სასახლის წინ გაიმართა მიტინგი. (1; №60)

- თბილიში ჩამოვიდა აჭარელთა დელეგაცია: ოსმან ბეგი, იზიდ ბეგი, აზაბ აღაიაშვილი. დელეგაცია შეხვდა დამფუძნებელი კრების წევრ – აკაკი ჩხენკელს, საუბარი იყო აჭარის შესახებ სხვადასხვა საკითხებზე. (1; №59)

13 მარტი

- დამფუძნებელი კრების13 მარტის სხდომაზე მოხდა რატიფიკაცია აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის სატრანზიტო ხელშეკრულებისა. (1; №63)
- დამფუძნებელი კრების სხდომაზე მომარაგების სამინისტროს დაევალა აჭარის დამშეული მოსახლეობა უზრუნველყოს სურსათით, შესაფერის ფასებში. (1; №63)

14 მარტი

- სახელოვნო ცენტრის, სააღმშენებლო კომისიის, სამხატვრო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების შეერთებულ სხდომაზე 14 მარტს მიღებული რეზოლუციით, მუზეუმის მასალის სიჭარბის გამო საჭირო იყო გამოყოფილიყო ახალი შენობა, სპარსული სტილი არ შეეფერებოდა დროისა და ერის ღირსებას, ამიტომ რეზოლუციით ის უნდა შეცვლილიყო. სამხატვრო ცენტრის პრეზიდიუმს ევალებოდა სათანადო მოხსენებით წარმსდგარიყო დამფუძნებელი კრების წინაშე.
- კვირას 14 მარტს, დილით „ქეთო და კოტე“. საღამოს ს. გ. მახდენოვას ბენეფისი „აბესალომ და ეთერი“. (1; №59)

15 მარტი

- ქალაქის საბჭოს სხდომამ განიხილა თბილისის მდგომარეობა და მთავრობას თხოვა 30 000 000 მანეთი სესხად. 30 მილიონი მანეთის სესხის აღების შესახებ მოხსენება წაიკითხა გ. მაჭავარიანმა. ომამდე ხარჯები იყო 2,248,479 მანეთი, შემოსავალი კი ბევრად ნაკლები, ქალაქი ფინანსური კატასტროფის წინაშე იდგა. საბჭომ ერთხმად მიიღო გამგეობის მოხსენება და მთავრობას სესხად ეთხოვა 30,000000 მანეთი. (1; №61)
- დამფუძნებელმა კრებამ გააუქმა უძრავი საგვარეულო ქონების გამოსყიდვის უფლება. (7; 363).
- საბჭოთა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა, „ოსეთის მშრომელთა“ სახელით, „თხოვნით“ მიმართა საბჭოთა რუსეთს, დახმარებოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში ანუ დაეპყრო დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიის ნაწილი. (1; №61).

16 მარტი

- გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის, პერიოდული ორგანო ჟურნალი „განათლება", პირველი ნომერი. შემდეგი ნომერი გამოვა მარტის ბოლო რიცხვებში. (1; №60)
- დამფუძნებელ კრებას ზემო სვანეთის საერთო კრებისგან მოუვიდა მისალოცი დეპეშა საქართველოს დამოუკიდებლობის გამო. (1; №60)
- სახელმწიფო ხაზინიდან გაიცა ორი მილიონი მანეთი, შავი სახადის სენის წინააღმდეგ ბრძოლისათვის წინასწარი ზომების მისაღებად. დეკრეტი ძალაში შედის მიღების დღიდან 1920 წ. 16 მარტს. (1; №71)
- დამფუძნებელი კრებაზე მოხდა პრეზიდიუმის და კომისიების არჩევნები. სოციალისტ-რევოლუციონერებმა თავი შეიკავეს კენჭის ყრაში მონაწილეობაზე. პრეზიდიუმში ფარული კენჭის ყრით, თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნიკოლოზ ჩხეიძე. თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე. უმცროს ამხანაგებად არჩეულ იქნენ: ექვთიმე თაყაიშვილი, სვიმონ მდივანი. პრეზიდიუმში ერთი ადგილი თავისუფალი დარჩა. (1; №62)

17 მარტი

- დეპეშა ახალციხიდან, მთავრობის თავმჯდომარეს: სოფელ შავშეთის წარმომადგენლები მთავრობას მადლობას უთვლიდნენ ჯარის გამოგზავნისათვის. ასეთივე სულიერი განწყობა იყო ართვინსა და არტანუჯში. სადაც მიემგზავრებოდა დამფუძნებელი კრების წევრი გ. ანჯაფარიძე. (1; №61)
- ამ დღით დათარიღებულ დეპეშაში ლენინი წერდა ორჯონიკიძეს: „ბაქოს აღება ჩვენთვის უაღრესად, უაღრესად საჭიროა. მთელი ღონისძიებანი აქეთ წარმართეთ, ამასთან აუცილებელია განცხადებებში უაღრესი დიპლომატიურობა გამოიჩინოთ და მაქსიმალურად დარწმუნდეთ მტკიცე ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების მომზადებაში. იგივე ეხება საქართველოს, თუმცა გირჩევთ მას კიდევ უფრო ფრთხილად მოეპყროთ". (17; 11).
- სამკითხველო, რომელიც შეიძინა დამფუძნებელმა კრებამ ნიკო ნიკოლაძისაგან ფოთიდან თბილისში იქნა გადმოტანილი. (1; №61)
- ლანჩხუთში ნ. ჟორდანია სახელობის სასოფლო სამეურნეო სასწავლებლის მოწყობა დაიწყო. (1; №61)
- ამუშავდა ქონის სახდელი ქარხანა. (1; №61)
- ზამთარში გაიხსნა საპნის ქარხანა სასაკლაოსთან. (1; №61)
- დღეს თეატრში შ. დადიანის დასასვენებლად გამგზავრების წინ გაიმართება წარმოდგენა, მისი ახალი პიესისა „გეგეჭკორი". (1; №61)
- თბილისში იმყოფება მომღერალი მოხ. ნანობაშვილი. ის მღეროდა პარიზის „გრანოპერაში". (1; №61)

18 მარტი

- შედგა დამფუძნებელი კრების საკანონმდებლო მოქმედების 1919-1920 წლების ანგარიში. დამფუძნებელი კრების მოქმედება დაიწყო 1919 წლის 12 მარტს. სხდომები შეწყვეტილი იყო საზაფხულო არდადაგებისათვის 1919 წლის 3 აგვისტოდან 19 სექტემბრამდე, საახალწლო-საშობაო დღესასწაულების გამო 1920 წლის 1 იანვრიდან 23 იანვრამდე. დასვენების დროს გაიმართა სასწრაფო-სადღესასწაულო სხდომა 14 იანვარს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო.
  წლის განმავლობაში დაინიშნა 97 სხდომა. მორიგი 77, სასწრაფო 20. აქედან არ შედგა 3 მორიგი სხდომა უქვორუმობის გამო. წლის განმავლობაში დამფუძნებელი კრების მიერ განსახილველად შევიდა სხვადასხვა ხასიათის საკანონმდებლო ხასიათის აქტი, სულ 415. დამფუძნებელი კრება შედგება 6 ფრაქციისაგან: სოციალ-დემოკრატები. 2. სოციალისტ-ფედერალისტები. 3. სოციალისტ-რევოლუციონერთა. 4. ეროვნულ-დემოკრატიული. 5. ეროვნული. 6. დაშნაკცუთიუნი. (1; №62)
- ქალაქის ხუროთმოძღვრის აბესალომოვის გამოანგარიშების თანახმად, შრომის ბირჟის კინო-თეატრის შესაკეთებლად ქალაქის გამგეობამ 13 ათას ხუთას სამი მანეთი გამოყო. (1; №62)
- ტრამვაის უფასო ბილეთების ნაცვლად „დედობისა და ბავშვობის" დამცველ საზოგადოებას ქალაქის გამგეობამ 251000 მანეთი დახმარება გამოუყო, სოციალური დახმარების ფონდიდან. (1; №62)
- წ.-კ. საზოგადოება ბეჭდავს გამოსაცემად დ. კლდიაშვილის თხზულებათა II ტ., ეგ. ნინოშვილის ნაწერებს სამ ტომად, ივ. გომართელისა და აკაკი წერეთლის კრიტიკული განხილვით და ვას. ბარნოვის თხზულებათა პირველ ტომს. (1; №62)
- სოხუმის ცენტრალურმა საბჭომ რევოლუციის სამი წლის შესრულების გამო, საქართველოს მთავრობას გამოუგზავნა სალამი და უსურვა წარმატება. (1; №62)
- ყუბანის მთავრობამ დეპეშა გამოუგზავნა საქართველოს მთავრობას, სადაც მიწისძვრის გამო მწუხარებას გამოსთქვამდა. (1; №62)

19 მარტი

- 19 მარტი, პარასკევი, გასტროლი ნ. პ. კოშიცის 1. პიანები და 2. კონცერტი. (1; №63)
- ქალაქის უმცროს მოსამსახურეთა, მზარეულთა, თამბაქოს მომუშავეთა და პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ სახალხო უნივერსიტეტს შესწირა თანხა. (1; №63)
- განათლების სამინისტრომ ქართული მუსიკალური საზოგადოებისათვის გამოყო 50000 მანეთი. ნახევარი გადაირიცხება ქუთაისის სასწავლებლის განყოფილებისათვის. (1; №63)
- დამფუძნებელმა კრებამ მოახდინა საქართველო-აზერბაიჯანის ხელშეკრულება ტრანზიტის შესახებ. (7; 364)
- სამხედრო მინისტრმა გრ. ლორთქიფანიძემ მადლობა გადაუხადა მესამე ქვეით ბრიგადას, რადგან ისინი სანიმუშოდ იქცეოდნენ, როდესაც (20 თებერვალი) მოსახლეობის მოთხოვნით, შავშეთისა და აჭარის ზოგიერთი პუნქტები დაიკავეს. (1; №63)

- დამფუძნებელი კრების. 19 მარტის სხდომა 12-ის 15 წუთზე დაიწყო, დარბაზი გადაჭედილი იყო, სასახლის წინ უამრავ მომიტინგეს მოეყარა თავი, რომელთაც აინტერესებდათ რას იტყოდა ბათუმის ოლქის შესახებ მთავრობა. სხდომა დაიწყო საქართველო-აზერბაიჯანს შორის დადებული სატრანზიტო ხელშეკრულების მნიშვნელობაზე საუბრით. შემდეგ კრება გადავიდა ბათუმის საკითხზე. ს. მდივანმა ისაუბრა ბათუმის ოლქის უკანონო მიტაცებაზე თურქეთის მიერ და აღნიშნა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას ზომები, ბათუმის შემოსაერთებლად. მთავრობის თავმჯდომარეს მომიტინგეებმა გადასცეს რეზოლუცია, სადაც საუბარი იყო, რომ ბათუმის ოლქი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, რაც მკაფიოდ დაადასტურა კიდეც მეჯლისმა. მომიტინგეები მთავრობისგან მოითხოვდნენ გაბედულ ნაბიჯებს პრობლემის მოსაგვარებლად. (1; №64)

20 მარტი

- 14 და 15 მომრიგებელი უბნის სასამართლოს ბოქაული გეგეჭკორი აცხადებს რომ ამ წლის 20 მარტს დილის 10 საათზე ელისაბედის ქუჩა N17, მის მიერ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ნატალია ტულკოვა-შილერის უძრავ ქონებაზე, რომელიც აღწერილია ნინო ინაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად. 1920 წელი №33016.

21 მარტი

- დამფუძნებელი კრების ცენტრალურმა საპარლამენტო კომისიამ დაადასტურა, დამფუძნებელი კრების მეორე დამატებით არჩევნებში – ეროვნულ-დემოკრატების, რადიკალ-დემოკრატების, უპარტიოთა კავშირის, აფხაზეთის ეროვნულ-დემოკრატების და აფხაზეთს უპარტიოთა კავშირის საკანდიდატო სიების შეერთება. (1; №64).
- შინაგან საქმეთ სამინისტროსთან არსებულმა მზრუნველობის განყოფილებამ ცნობა მიიღო, რომ ახალციხეს ყარსის ოლქიდან ლტოლვილები მოაწყდნენ. ადგილობრივმა ერობის გამგეობამ მათ დასახმარებლად მიიღო ზომები, ასევე მზრუნველობის განყოფილებამაც მიიღო ზომები. (1; №64)
- შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის მიერ ნება დაერთო მოქალაქე ლ. ვ. პუტილოვს და აბაციევს საქართველოს საზღვრებში თავისუფალი შემოსვლა-გასვლისა და თავისუფალი ცხოვრების. (1; №64)

22 მარტი

- 22 მარტს წალენჯიხაში მოკლულ იქნა ერთი ზუგდიდის ციხიდან გაქცეული ტუსაღი; ხოლო შეპყრობილ იქნა ხუთი ციხიდან გაქცეული ტუსაღი.
- 22 მარტს (ყაზბეგი) უკანდახეული მოხალისეთა ნაწილები მოადგნენ საქართველოს საზღვარს. დაიწყო მათი განიარაღება. აუარებელი ლტოლვილები გამორბოდნენ კავკავიდან. დედაკაცები, ბავშვები და ინვალიდები, ასევე კულტურული ძალები დაუბრკოლებლად გადმოვიდნენ საზღვარზე. დაკავებულ იქნენ ქართველი ოფიცრები და ცნობილი კონტრრევოლუციონერები. (1; №65)

23 მარტი

- თბილისში კონსულად დაინიშნა ჯონ ლოუდონი. (1; №65)
- სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოში, ევანგულოვი თანამდებობიდან გადადგა და ერევანში გაემგზავრა. (1; №65)
- კინემო „მიმინო“ 22, 23, 24 მარტს წარმოადგენს სურათს „მითხარი რისთვის“.
- დამფუძნებელი კრების დეკრეტის მიხედვით, სახელმწიფო ხაზინიდან მთავრობის განკარგულებაში გაცემულ იქნა ოცი მილიონი მანეთი, ევროპაში კომერციული საგენტოების დასაარსებლად და ეკონომიკური მისიის გასაგზავნად.
- 23 მარტის სხდომა. „წითელი ჯვრის საზოგადოების ეტიკეტების ტარება უნებართვოთ აკრძალულ იქნეს“. (1; №71)
- საბჭოთა რუსეთის რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიის, კერძოდ შიდა ქართლის ერთ ნაწილში, შიდა ქართლის ჩრდილოეთ პერიფერიაზე (როკის რაიონში), გამოცხადებულიყო საბჭოთა ხელისუფლება და ამ მიზნით შექმნილიყო სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტი. კავკასიის სამხარეო კომიტეტი ასრულებდა საბჭოთა რუსეთის სპეცსამსახურის როლს, რომელსაც უნდა განეხორციელებინა დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია (რედაქტორის კომენტარი – დ. შ.).

24 მარტი

- საგარეო საქმეთ მინისტრმა ე.პ. გეგეჭკორმა ნოტა გაუგზავნა ოლ. უორდროპს. გეგეჭკორმა ბათუმის პორტო ფრანკოდ გამოცხადება გააპროტესტა და აღნიშნა, რომ ესა არის ბათუმის მოსახლეობის და საქართველოს ინტერესების ფეხქვეშ გათელვა და რომ საქართველო ამ ფაქტს არ შეურიგდება. (1; №66)
- თბილისის ქალაქის მილიციის უფროსს სისრულეში მოსაყვანად გადაეცა დადგენილება: პასკევჩის ქუჩაზე N13-ში მდებარე კლუბ „უნიონში“ სისტემატურად წარმოებდა კანონით აკრძალული ბანქოს თამაში, ამიტომ კლუბი დაუყოვნებლივ უნდა დაიხუროს. (1; №66)
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ განიხილა რესტორან „ორიენტალის“ საქმე, რომლის მიხედვითაც ის დახურულად გამოაცხადა. ვინაიდან მისი არსებობა საზიანო იყო საზოგადოებრივი წესიერებისთვის. (1; №66)
- 24 მარტს ე.პ. გეგეჭკორმა მიიღო ნოტა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრისგან: „ბ-ნო. მინისტრო პატივი მაქვს გაუწყოთ, რომ პოლონეთის მთავრობა მზათ არის იცნოს საქართველოს მთავრობა, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია „დეფაქტო“ იმ დრომდე, სანამ საზავო კონფერენცია არ ცნობს ხალხთა სურვილთან შეთანხმებულ „სტატუსს“ საქართველოს მიმართ...“ (1; №67)
  პოლონეთის მთავრობა მოხარული იქნება ვარშავაში მიიღოს საქართველოს წარმომადგენელი. თავის მხრივ პოლონეთის მთავრობამ მინისტრ ტიტ. ფილიპოვიჩის თავმჯდომარეობით დანიშნა საგანგებო მისია, რომელიც ახლო მომავალში ეწვევა თბილისს. საგარეო საქმეთ მინისტრი პატეკი.

- სახელმწიფო თეატრი 24 მარტს, ქალთა პირველი გიმნაზიის წრის სასარგებლოდ წარმოადგენს „ქეთო და კოტეს". ს.ი. ევლახიშვლის ხელმძღვანელობით. (1; №66)

25 მარტი

- სახელმწიფო თეატრი, 25 მარტს ნ.პ. კოშიცის მერვე გასტროლი „ფაუსტი". ს.ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით. (1; №67)
- შინაგან საქმეთ სამინისტრომ არტაანის ოლქის კომისრის უფროსი ლეიტენანტის გვარამაძისაგან მიიღო დეპეშა, რომ ახლად შემოერთებული არტაანი განიცდის საშინელ შიმშილობას, აღნიშნული კომისარი ითხოვდა მიღებულ იქნას სათანადო ზომები სურსათის უფასოდ მიწოდებისათვის. ასევე დაუყოვნებლივ ითხოვს გაგზავნილ იქნეს ექიმი და ფერშალი საჭირო მედიკამენტებით. ასევე, მსაჯული, რომელიც დაგროვილ საქმეებს მისცემს კანონიერ მსვლელობას. (1; №67)
- მთავარმა კომიტეტმა დაადგინა, რომ სასურველია აფთიაქებისა და წამლების შეძენის მუნიციპალიზაცია.
- სარწმუნო წყაროები იტყობინებიან, რომ აშშ-დან თბილისში ჩამოვა აბრეშუმ-ქსოვილთა საგანგებო კომისია, რომელიც გამოგზავნილია ამერიკის მეაბრეშუმეთა სინდიკატების მიერ. მათი მიზანია საქართველოსთან დაიჭირონ ფართო კავშირი და ურთიერთობა. (1; №67)
- შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული მზრუნველობის განყოფილების მიერ მიღებული ცნობებით ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში ყარსის ოლქიდან ჩამოსული მუსლიმანი ლტოლვილები განიცდიან აუტანელ მდგომარეობას, ტანსაცმლის და სურსათის მხრივ. შსს-მ მიიღო ზომები ლტოლვილების მდგომარეობის შესამსუბუქებლად. (1; №67)

26 მარტი

- სახელმწიფო თეატრი პარასკევს 26 მარტს წარმოადგენს მ.ს. დავიდოვას უკანასკნელ გამოსათხოვარ გასტროლს „კარმენი". (1; №68)
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ სათანადო განკარგულება გასცა საექიმო-სასანიტარო განყოფილებისადმი, სასწრაფოდ გაგზავნილ იქნას არტაანის ოლქში საექიმო პერსონალი მედიკამენტებით. (1; №68)
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულმა განყოფილებამ სათანადო მოხსენება წარუდგინა მთავრობას, რათა ხაშურის ქალაქის თვითმმართველობას მიეცეს დეკემბერში და იანვარში მილიციაზე გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად 56 065 მანეთი. (1; №68)
- დამფუძნებელი კრება. 26 მარტის სხდომა. ივ. გომართელმა კრებას მოახსენა დეკრეტი „მიგდებულ ბავშვთა" თავშესაფრის დაარსების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ოლღას ინსტიტუტთან არსებული თავშესაფარი სათანადო სიმაღლეზე არ დგას. წარმოდგენილი დეკრეტი, ცალკე თავშესაფარი ბავშვებისათვის, რომელთათვისაც საჭიროა ექიმი, ფერშლები, ძიძები, მომვლელები და სხვ. ხარჯთაღრიცხვით უკამათოდ მიიღეს. (1; №70)

- ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეის დაარსების შესახებ. (1; №70)

27 მარტი

- სახელმწიფო თეატრი, შაბათი 27 მარტი, ოპერა მუშებისათვის „კამორა". (1; №69)
- შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ლეჩხუმის მაზრის, სოფელ სასაში მცხოვრებ მოქალაქე ერმალოზ გლახოს ძე ონიანს გადაეცა დახმარება 3000 მანეთი. (1; №69)
- სოფელ ახალქალაქში (გორის მაზრა) გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. (1; №69)
- კავკასთან ტელეგრაფის კავშირის უქონლობის გამო დროებით შეფერხებული იყო ჩრდილოეთ რუსეთში მიმართული დეპეშების მიღება. (1; №69)
- სურამის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ერობათა კომიტეტის წინაშე რათა, მხარი დაუჭიროს ცარცის ქარხნის შეძენას, რომელიც კერძო პირს აქვს და ქალაქის გამგეობას სურს მისი შეძენა. ერობათა კომისიამ მხარი დაუჭირა ამ ინიციატივას. (1; №69)

28 მარტი

- სახელმწიფო თეატრი, კვირას 28 მარტს წარმოადგენს „პიკის ქალს" ევლახიშვილის ხელმძღვანელობით. (1; №70)
- მოსკოვის სამხატვრო თეატრის დასი მსახიობ კაჩალოვის მეთაურობით იმყოფებოდა ქ. ფოთში, მათ სურვილი ჰქონდათ წვეოდნენ ქ. თბილისს, თუმცა უსახსრობის გამო ვერ ახერხებდნენ. განათლების სამინისტროს კანცელარიის დირექტორმა ვუკ. ბერიძემ გასცა განკარგულება, რომ კაჩალოვს და მის დასს დაეთმოს მეორე კლასის ერთი ვაგონი თბილისში გადმოსაყვანად. (1; №70)
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა განათლების სამინისტროს წინაშე, ნივთიერი ხელმოკლეობის გამო, საქართველოს რკინიგზაზე შეღავათიანი ტარიფით მოგზაურობის თაობაზე. განათლების სამინისტრომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. (1; №70)
- აზერბაიჯანში გამგზავრებულ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრზე გაზ. „აზერბეიჯანში" გამოქვეყნდა წერილი (სურათით). სტატიაში საუბარი იყო კეთილმეზობლური ურთიერთობების ქონის აუცილებლობაზე, რომელთაც ცოტა ხნის წინ მოიხსნეს მონობის უღელი. (1; №70)
- სახალხო უნივერსიტეტმა მოუწოდა ყველა იმ ადამიანს, რომელთაც უნარი შესწევთ და თავს მომზადებულად თვლიან ლექციების წასაკითხად, ჩაერთონ მუშაობაში, რადგან ძველი ჯგუფი სამუშაოს ველარ სწვდება; გაწეული შრომა ლექტორს აუნაზღაურდება. (1; №70)
- სოფელი ზნაკვა (რაჭის მაზრა) ,არის საშინლად ჩამორჩენილი, სოფელში არ არსებობს არანაირი კულტურული დაწესებულება, აქ მხოლოდ ერთი კოოპერატივია „გლეხის იმედი". (1; №70)

29 მარტი

- დეპუტატი აკაკი ჩხენკელი, რომელიც იმყოფებოდა კახეთში, დაბრუნდა. მან გააკეთა ვრცელი მოხსენება საქართველოს თანამედროვე მდგომარეობაზე, როგორც საშინაო ასევე საგარეო კუთხით ფართო აუდიტორიის წინაშე. (1; №72)

30 მარტი

- შინაგან საქმეთ სამინისტრომ მიიღო ზომები იმ უკანონობის წინააღმდეგ, რომელიც ხდებოდა ახალციხეში. დამფუძნებელი კრების წევრი ოსმან მიქელაძისაგან მიღებული დეპეშიდან ჩანს რომ, ახალციხის მეჩეთის ციხის უპატრონო შენობებს ძარცვავდა ადგილობრივი მოსახლეობა, მიჰქონდათ მინები, ჩარჩოები, ფანჯრები და ა. შ. (1; №71)
- მთავრობის თავჯდომარემ, ზუგდიდის მაზრის მასწავლებელთა კავშირისაგან მიიღო ცნობა, რომ მათი მატერიალური მდგომარეობა აუტანელია. ერობა რომელიც განათლების სამინისტროსგან იღებს ფულს, სხვა საჭიროებებს ანდომებს. მთავრობის თავმჯდომარემ მიუღებლად ჩათვალა ასეთი მოვლენა. საქმე შსს-ს გადასცა. (1; №71)
  შსს-ში მიღებული ცნობით სიღნაღის მაზრაში გაუძარცვავთ მომარაგების სამინისტროს სიღნაღის მაზრის რწმუნებულის აგენტი ბარნაბა ტურილიძე, მძარცველებმა წაიღეს 72 000 მან. შსს-მა უკვე მიიღო სათანადო ზომები. (1; №71)
- სახელმწიფო თეატრი, სამშაბათი 30 მარტი „აბესალომ და ეთერი“ (1; №71)
- დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული დეკრეტით, თბილისში უნდა დაარსდა ეროვნული სამხატვრო გალერეა. გალერეის მიზანი იყო: „შეგროვება და დაცვა მხატვრობისა და ქანდაკების ნაწარმოებთა, უმთავრესად ქართულისა და საქართველოს მოსაზღვრე ხალხთა ხელოვნებისა, როგორც ძველისა ისე ახლისა“. (7; 379).
- 30 მარტს, საღამოს 7 საათზე ქართული სამუსიკო კოლეგია იწვევს თავის წევრებს და ყველა ქართველ მუსიკოსს კრებაზე. სადაც განხილულ იქნება საოპერო სტუდიის და კაპელას რეორგანიზაცია, რათა საერთო ძალით სასურველ და მტკიცე ნიადაგზე დაამყარონ ქართული საოპერო სტუდია და კაპელა. (1; №71)
- ამ დღეებში გასაყიდად გამოვა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემანი: ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“, საყმაწვილო მოთხრობები, I წიგნი ვაჟა ფშაველასი; როგორ ცხოვრობდნენ ძველად ადამიანები კურდიავსკის წიგნი, ის. კვიცარიძის თარგმანით; ლექსები პაწია ბავშვთათვის შ. მღვიმელის I წიგნი. (1; №71)
- 30 მარტს, ვარშავიდან კონსტანტინეპოლ-ბათუმის მარშრუტით ჩამოვიდა პოლონეთის რესპუბლიკის დიპლომატიური მისია (ისინი იტალიური გემით ფრანც-ფერდინანდით ჩამოვიდნენ) ეს მისია იყო პოლონეთის მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენლობა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში. მისიას სათავეში ედგა ტიტუს ფილიპოვიჩი. 31 მარტს პოლონელი დიპლომატები შეხვდნენ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილეს ექვთიმე თაყაიშვილს. (1; №71)
- 30 მარტს ერევნიდან მოვიდა დეპეშა, რომელშიც სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ხატისოვი საქართველოს საგარეო მინისტრს სწერს სომხეთ-აზერბაიჯანის ყარაბაღში

წარმოქმნილი კონფლიქტის შესახებ. ხატისოვი აზერბაიჯანს ადანაშაულებს სომეხთა შევიწროებასა და ხოცვა-ჟლეტვაში, ასევე 1919 წლის 22 აგვისტოს ხელშეკრულების დარღვევაში. ხატისოვი ქართულ მხარეს სთხოვს მოახდინოს გავლენა აზერბაიჯანის მთავრობაზე რათა მან დაუყოვნებლივ შეაჩეროს თავდასხმა ყარაბახ-ზანგეზურზე და იარაღის საშუალებით არ გადაწყდეს ყარაბახის საკითხი. (1; №71).

31 მარტი

- ✓ დიდთოვლობის გამო ქ. თბილისში და მის მიდამოებში მოსალოდნელია წყალდიდობა, ამიტომ შსს-მ გასცა განკარგულება, რომ მაზრის კომისრებმა ქალაქის თვითმმართველობას ყოველდღე აცნობონ დეპეშით, მდ. მტკვრის, არაგვის და ლიახვის ადიდების შესახებ. (1; №72)
- ნეიტრალურ ზონაში სოფ. ალავერდში, შამბლუღში, ბენდივში და სოფ ალტალაში შიმშილობამ იმ ზომამდე მიაღწია, რომ არის შემთხვევები შიმშილით სიკვდილისა. შსს-მ დაიწყო ზომების მიღება. (1; №72)
- იტალია-კავკასიის სარიცხი ბანკის გამგემ აუწყა შსს მინისტრს, რომ ევროპასთან მჭიდრო კავშირის მიზნით, ბანკის მიერ შემუშავდა პროექტი სენატორ მარკონის კონტაქტით და თანხმობით, ამიერკავკასიაში რადიო-ტელეგრამის ექსპლოატაციის და განვითარებისთვის დამოუკიდებელ საზოგადოების დაარსებისა. ამ საზოგადოების კაპიტალი უდრის 2.200.000 იტალიურ ლირას. ადგილობრივი მთავრობის მიერ შემოტანილ უნდა იქნას 800.000 მანეთი. მთავარი რადიო სადგური მოთავსებული იქნება ნავთლუღში. ბანკის გამგეობა მოითხოვს ეცნობოს ამ საკითხთან დაკავშირებით შსს-ს პოზიცია. (1; №72)
- ქუთაისის დრამატული საზოგადოების მეთაურობით ქ. ქუთაისში გასული ზამთრის განმავლობაში იმართებოდა წარმოდგენები, თუმცა ხარჯთა გასავალი აჭარბებდა შემოსავალს, საზოგადოებამ 130 ათასი მანეთით იზარალა. ზარალი კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა, როდესაც სახადის გამო დროებით (18დღით) დაიხურა თეატრი. წარმოდგენების განახლების შემდეგ ბილეთების ფასმა მოიმატა, ზარალის შესამცირებლად, თუმცა ხალხმა იკლო, ამიტომ საზოგადოებას დახმარებისათვის მიუმართავს დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიისათვის, რომელმაც დასკვნისთვის შუამდგომლობა განათლების სამინისტროს გადაუგზავნა. (1; №72)
- ეროვნული გუნდის გამგემ კ. ფოცხვერაშვილმა შუამდგომლობით მიმართა მთავრობის თავმჯდომარეს, რათა ეროვნულ გუნდს მთავრობის სუბსიდია 15 ათასი მანეთი გაუდიდდეს 30 ათას მანეთამდე. ძველი სუბსიდია ვერ აკმაყოფილებს გუნდის მოთხოვნილებებს. თანხა საჭიროა ასევე 26 მაისის სამზადისისათვის, ფოცხვერაშვილს განზრახული აქვს 500 კაცი მოაწყოს გუნდში ეროვნული დღესასწაულისათვის. (1; №72)

1 აპრილი

- „დამფუძნებელთა კრების" 30 მარტის სხდომაზე, რომელსაც ექვთიმე თაყაიშვილი თავმჯდომარეობდა, დ. ონიაშვილმა კრებას წარუდგინა კანონპროექტი სამაზრო და სასოფ-

ლო მილიციისა და ადმინისტრაციის ახალი შტატის შემოღების შესახებ. კერძოდ, გაუქმდა მაზრის კომისრის და რაიონის კომისრის თანამდებობა და შემოიღეს მაზრის მილიციის უფროსისა და რაიონის მილიციის უფროსის თანამდებობები. (1; №73)

- 23 თებერვალს „ტაიმსში" გამოქვეყნებულია კონსტანტინეპოლიდან ტელეგრაფით გადმოცემული ცნობა ბათუმიდან მიმავალი ბრიტანეთის ჯარების პირველი ეშელონის კონსტანტინეპოლში შესვლის შესახებ. აქვე გამოთქმულია ბათუმის მოსახლეობის ეჭვი, რომ მალე ქალაქს ქართული ჯარები დაიკავებენ, თუმცა აქვეა მოსაზრება, რომ საეჭვოა დაამყარებენ თუ არა ისინი წესრიგს ქალაქში, რომელსაც ორგვარი ბანდები ემუქრებიან (ერთ-ერთი კი ბოლშევიკები არიან). (1; №73)
- აღბულაღის თემის თავმჯდომარემ თაბუკაშვილმა თბილისის ერობის გამგეობას წარუდგინა სოფლების: ვაკის, ქსოვრეთის, ამრამეთის, ბუჟურელეთის, ტბისის, გოლთეთის, ჩხიკვთა, აგრითის და ჭალის მოსახლეობის მოთხოვნა აღბულაღის სათემოსთან შეერთებასთან დაკავშირებით. აგრეთვე, ივრის თემის გერმანული ახალშენის მცხოვრებლები მოითხოვდნენ ერთ ახალშენად გაერთიანებას „მარიენფელდის" სახელწოდებით. თბილისის ერობის გამგეობამ ორივე ეს საკითხი განსახილველად დღის წესრიგში დააყენა. (1; №73)
- თიანეთის მაზრის ერობის მესამე ყრილობაზე დაადგინეს, რომ მაზრაში შეიქმნებოდა 5 თემი. ამავე ყრილობაზე განხილულ იქნა განათლების, სოფლის მეურნეობის, გზებისა და სხვა საკითხები. აგრეთვე განისაზღვრა, თუ სად უნდა შექმნილიყო საგანმანათლებლო ცენტრები. (1; №73)
- საქართველოში ჩამოვიდა ლატვიის არმიის სარდალი კაპიტანი რიცენსი, რომელიც დაინიშნა კავკასიაში ლატვიის არმიის წარმომადგენლად. (1; №73)
- ლატვიის მთავრობამ საქართველოში კონსულად დანიშნა ოსკარ ბუმანი, რომელსაც რწმუნებულება რიცენსმა ჩამოუტანა 30 მარტს. (1; №73)
- ქართულ კლუბში ქართული დრამატული სტუდიის წრემ წარმოადგინა ავქსენტი ცაგარელის პიესა „ხანუმა". (3; №792)

2 აპრილი

- ციტატა ნოე ჟორდანიას 25 მარტის მოხსენებიდან: „პრინციპულად ბოლშევიკები სცნობენ ერთა თვითგამორკვევას, მაგრამ პრაქტიკულად დღევანდლამდის მათი დამოკიდებულება ჩვენთან ისეთია, როგორც იყო მოხალისეების მხრიდან, როგორც მოხალისეები არ გვცნობდნენ... მათ როგორც წინათ არ სურდათ მენშევიკებთან მეგობრობა, არც ახლა სურთ". (1; №74)
- საღამოს 5 საათზე სასახლის ქუჩაზე ქართული კლუბის პირდაპირ უცნობმა პირმა რუბენ საფაროვს ესროლა „მაუზერის" სისტემის რევოლვერი და სასიკვდილოდ დაჭრა. საფაროვი საავადმყოფოში მისვლამდე გარდაიცვალა, მკვლელი კი მიიმალა. (1; №78)
- სახელმწიფოს თეატრმა 2 აპრილს უმასპინძლა მიშელ დარიალი-ნანობაშვილის მეორე გასტროლს, რომელზეც წარმოდგენილი იყო „გუგენოტები". (1; №74)

- საზღვარგარეთიდან თბილისში ჩამოვიდა ცნობილი პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე მიხაკო წერეთელი. (1; №74)
- 31 მარტს ქალაქის თვითმმართველობაში შედგა თბილისის ჟურნალისტების კრება. თავმჯდომარედ აირჩიეს ო. ბუქშტეინი. (1; №74)

3 აპრილი

- საკათალიკოსო საბჭომ აცნობა შსს-ს, რომ ახალქალაქის მაზრაში ადგილობრივად მცხოვრები სომხები ანგრევდნენ კუმურდოს ეკლესიას. საბჭო სთხოვდა სამინისტროს, გაცემულიყო შესაბამისი განკარგულება, რათა კუმურდოს ეკლესია ყოფილიყო დაცული. (1; №75)
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა წერილი მიიღო ესპანეთის ვიცე კონსულისაგან, სადაც ნათქვამი იყო: „თქვენო აღმატებულებავ, მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ მათ აღმატებულებამ მადრიდში შეიტყო რა გორში მიწისძვრისგან მომხდარ უბედურებაზე, დამავალა მე, საქართველოს მთავრობას და ქართველ ხალხს, გამოვუცხადო გულწრფელი თანადგომა მომხდარის გამო“. (1; №75)
- სახელმწიფო თეატრმა უმასპინძლა ორ ოპერას, რომელიც სპეციალურად მუშებისთვის გაიმართა. წარმოდგენილი იყო „ფაუსტი“ და „ვალპურგის ღამე“. (1; №75)
- მეორე ქართულ კლუბში გაიმართა ბელეტრისტ ვასილ ბარნოვის საიუბილეო საღამო. (1; №75)

4 აპრილი

- დამფუძნებელი კრების სხდომას დაესწრო პოლონეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა. მათ სიტყვით მიმართა სხდომის თავმჯდომარემ ექვთიმე თაყაიშვილმა. (1; №76)
- ცნობა: ახლო მომავალში თბილისში ჩამოვა ლატვიის რესპუბლიკის საგანგებო მისია, რომლის მიზანია საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება. (1; №76)
- დეპეშა: მესხეთ-ჯავახეთის არაჩვეულებრივი სახალხო ყრილობა სალამს უძღვნის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს და დახმარებას აღუთქვამს იმ ბრძოლაში, რომელიც მას ისტორიამ დააკისრა. (1; №76)
- ახალციხის ერობის რწმუნებულად თბილისში დაინიშნა ვარლამ ძიძიგური. (1; №76)
- 11 საათზე სასამართლო პალატის შენობაში გაიმართა იურიდიული საზოგადოების საერთო კრება, სადაც განიხილეს სამხედრო ოლქის სასამართლოს გაუქმების, სასამართლო პალატასთან სასამართლო- სამეცნიერო ექსპერტიზისთვის კაბინეტის დაარსებისა და სხვა საკითხები. (1; №77)

5 აპრილი

- საღამოს 6 საათზე მუშათა სასახლეში გაიმართა სახელმწიფო დაწესებულებებში მომსახურეთა სადელეგატო ყრილობა, სადაც აირჩიეს ახალი გამგეობა და შეცვალეს წესდების ზოგიერთი მუხლი. (1; №89)

- სახელმწიფო თეატრმა უმასპინძლა ნ. პ. კოშიცის უკანასკნელ გამოსათხოვარ გასტროლს. (1; №82)

6 აპრილი

- შსს-მ განკარგულება გასცა ახალქალაქის მაზრის მილიციის უფროსისადმი, რათა მიეღოთ ზომები კუმურდოს ეკლესიის ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ განადგურების წინააღმდეგ. (1; №77)
- სოფელ ჯუჯაკენტის (ნეიტრალური ზონა) მცხოვრებლების რწმუნებულმა შუამდგომლობა აღძრა შსს-ს წინაშე, რათა აღნიშნული სოფლის მცხოვრებნი მიღებული ყოფილიყვნენ საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომობაში. (1; №77)
- დამფუძნებელი კრების სხდომაზე განხილულ საკითხთა შორის მ. რუსიას მოხსენებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო მესხეთ-ჯავახეთის და არტაანის რაიონში სამომრიგებლო სასამართლოს ინსტიტუტის შემოღება და ამავე რაიონებში საგამომძიებლო ინსტიტუტის შესახებ მიღებული კანონები. ასევე ნ. ნანეიშვილის მოხსენებით მნიშვნელოვანი იყო ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსება. (1; №80)

7 აპრილი

- სახელმწიფო თეატრში გაიმართა გალაკტიონ ტაბიძის საღამო, აგრეთვე მოხსენება მისი პოეზიის შესახებ. (1; №78)
- შსს-მ თერგის ოლქის ლტოლვილების წარმომადგენელს ნება დართო, რომ სახალხო სახლის შენობაში მოეწვიათ ლტოლვილების საზოგადო კრება. (1; №78)
- შსს-მ ბაქოდან მიიღო შემდეგი სახის დეპეშა: „საქართველოს რესპუბლიკის სოფელ ნეიზვოლილის მცხოვრებლებმა 25 იანვარს გადენეს ახალშენი გიზგალასადან სოფელ შიხლის მაცხოვრებელთა კუთვნილი საქონელი, რიცხვით 70 სული. ვინაიდან შიხლის მცხოვრებნი ამხედრებულნი არიან და მოსალოდნელია შეტაკება, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, გთხოვთ ჯეროვან განკარგულებას, რათა დაუბრუნდეს სოფელ შიხლის მცხოვრებთ კუთვნილი საქონელი". შსს-მ დაუყოვნებლივ მიიღო სათანადო ზომები. (1; №78)
- ჭიათურის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა შსს-ს წინაშე, რათა 1919 წლის 31 ივლისის დეკრეტი საფუთი გადასახადის შესახებ გავრცელებულიყო შავ ქვაზეც. (1; №78)
- სასურსათო კრიზისის შესამცირებლად მთავრობამ გამოსცა განკარგულება, რომლითაც სავალდებულო იყო ყველა სახნავ-სათესი მიწა, თუ სხვა აუცილებელი დანიშნულება არ ჰქონდა დაემუშავებინათ თვითონ პატრონებს, ან იჯარით გაეცათ იმ პირებზე, ვინც შეძლებდა დამუშავებას. (1; №78)

8 აპრილი

- დამფუძნებელმა კრებამ დეკრეტით დაადგინა, რომ საქართველოს პარლამენტის წევრები ისარგებლებდნენ რესპუბლიკის რკინიგზით წლიური უფასო მგზავრობის სახელობითი ბილეთით. (7; 381)

- დამფუძნებელი კრების დეკრეტით დაარსდა ამა წლის თებერვლის პირველიდან იუსტიციის სამინისტროსთან დროებითი კომისია მოქმედ კანონმდებლობათა გადასასინჯად და მიმდინარე საკანონმდებლო წინადადებათა დასამუშავებლად.
- საბჭოთა რუსეთის ბოლშევიკურმა პარტიამ შექმნა ე. წ. რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის ბიურო, რომელსაც სათავეში ჩაუყენა ქართველი ბოლშევიკი სერგო ორჯონიკიძე. ბიუროს მთავარი მიზანი იყო უშუალოდ ეხელმძღვანელა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების ოკუპაციისა და გასაბჭოებისათვის.

9 აპრილი

- შსს-მ მიიღო ცნობა, რომლის მიხედვითაც ერობათა კავშირმა გაგზავნა რწმუნებული ქალაქ ფოთში და მცხეთაში, რათა მათ გადმოეყვანათ ყუბანის ლტოლვილები ყარაიაზის რაიონში ერთ-ერთ ორგანიზაციაში სამუშაოდ. (1; №79)
- სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის ცნობით, ფოთში ჩამოსული იყვნენ სომეხი ოფიცრები, რომელთაც სურდათ საქართველოს გავლით სამშობლოში დაბრუნება. სომხეთმა საქართველოს შსს-ს ამაზე უფლება სთხოვა, თავის მხრივ კი შსს-მ ნება დართო იმ შემთხვევაში, თუ ისინი არსად შეჩერდებოდნენ და პირდაპირ გაემგზავრებოდნენ სომხეთში. (1; №79)
- გაიმართა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მონაწილეობით კონფერენცია, რომელსაც საქართველოს მხრიდან გეგეჭკორი, ლორთქიფანიძე და მახარაძე დაესწრნენ (სომხეთი-ოგანჯიანი, ბეკზადიანი და ხაჩატურიანი. აზერბაიჯანი-აგაევი, კრიჩინსკი და ვექილოვი). სხდომა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გეგეჭკორმა გახსნა. კონფერენციამ განიხილა მრავალი საკითხი. მან წამოჭრა ყარაბახში სომეხთა და მუსლიმთა სისხლისღვრის შეწყვეტის საკითხი, თუმცა მას აზერბაიჯანის და სომხეთის მხრიდან დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია. (1; №81)
- სახელმწიფო თეატრში გაიმართა ს. დევდარიანის ლექცია „რუსეთის რევოლუციის შესახებ". (1; №79)
- სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის თხოვნით დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის ზოგიერთი წევრი სახალხო უნივერსიტეტში გააკეთებენ მოხსენებებს". (1; №79)

10 აპრილი

- მთავრობამ მიიღო დეკრეტი, რომ საქონლის ჭირისათვის შრატის დამამზადებელი სადგურისათვის სოფ. ტაბახმელაში მელიქიშვილების მამულის შესაძენად გამოყოს 1060000 მანეთი. (1; №80)
- მთავრობამ მიიღო დეკრეტი, რომ სამხედრო უწყებისათვის გამოეყოთ 50,000,000 მანეთი. (1; №80)
- მთავრობის კანონის მიხედვით, სკოლის გარეშე განათლებისათვის უნდა გათვალისწინებულიყო 2,000,000 მანეთი. (1; №80)
- საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენელმა კონსტანტინოპოლში შუამდგომლობა აღძრა საქართველოს შსს-ს წინაშე, რომ დენიკინის მიერ გადასახლებულ ყუბანის რადის წევრებს ნება დართვოდათ საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისა,

ისინი იყვნენ 8 ადამიანი. შსს-ს მინისტრის მოადგილემ შესაძლოდ სცნო მათი საქართველოში შემოსვლა. (1; №80)

- ახალი ათონის „სვიმონ კანანელის" მონასტრის წინამძღვარმა შუამდგომლობა აღძრა შსს-ს წინაშე, რომ ამ მონასტერს დართვოდა ნება, რათა გაეყიდა მისი კუთვნილი ქ. ცხუმში მიხეილის და ოლგის ქუჩაზე მდებარე მამული. შსს-ს მინისტრმა საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს დასკვნის თანახმად, შესაძლოდ სცნო ამ თხოვნის დაკმაყოფილება. (1; №80)
- მესხეთ-ჯავახეთის მმართველმა გასცა განკარგულება, რომ აბასთუმნის აგარაკების პატრონებს სეზონის დაწყებამდე დაეწყოთ და დაესრულებინათ თავიანთი სახლების შეკეთება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ეს აგარაკები ჩამოერთმეოდათ და სხვას გადაეცემოდა შესაკეთებლად. (1; №80)

11 აპრილი

- 11 აპრილის სხდომაზე ამიერკავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენციამ საბოლოოდ მიიღო დადგენილება, რომ შეთანხმდებოდნენ ყარაბახში სისხლის ღვრის შეწყვეტასთან დაკავშირებით. (1; №89)
- ცნობა: 11-დან 15 აპრილამდე ქვემო იმერეთში ძლიერი ქარი ქროდა. ქარმა მრავალ სახლს მოგლიჯა სახურავი, მოთხარა ხეები და დიდი ზარალი მიაყენა ქვემო იმერეთის მცხოვრებთ. (1; №85)
- მილიციამ აღმოაჩინა, რომ თარხანოვის ბინაზე იყო ბოლშევიკების სტამბა. იქ აღმოჩნდა პროკლამაციები, დასაბეჭდი მასალები და სხვადასხვა ნივთები. თარხანოვი დაატუსაღეს. (1; №82)
- 11, 12 და 13 აპრილს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" არ გამოსულა. (1; №83)

12 აპრილი

- გაიმართა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლების კონფერენციის მორიგი სხდომა. (1; №81)

13 აპრილი

- გაიმართა მთავრობის სხდომა, რომელზეც განიხილეს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების საკითხი. (1; №86)

14 აპრილი

- ბათუმის ოლქში მყოფი საქართველოს ჯარების სარდალი გენ. მდივანი, პოლ. მელიქიშვილის თანხლებით თბილისში ჩამოვიდა. (1; №83)

15 აპრილი

- გორსა და მის მიდამოებში მომხდარი მიწისძვრისგან დაზარალებულთა დამხმარე მთავრობის საგანგებო კომიტეტმა გამოაცხადა კონკურსი სეისმომძლე სახლების პროექტის შესადგენად. (1; №82)

- გამოიცა დეკრეტი, რომლის მიხედვითაც რესპუბლიკის კერძო სკოლების დასახმარებლად უნდა გადარიცხულიყო 500 000 მანეთი. (1; №82)
- აფხაზეთში გამართულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ამომრჩეველთა მცირე რაოდენობამ. (1; №82)
- ფოთში ჩამოვიდა გემი, რომელიც დაიტვირთა შავი ქვით და გაიგზავნა საზღვარგარეთ. (1; №82)
- კაფე „დარბაზში" გაიმართა ნეოპოლიტანური სიმღერების საღამო. (3; №801)
- კინო „პალასში" წარმოდგენილი იყო პირველად ეკრანზე ჯერ არ ყოფილი კინემატოგრაფიული დადგმა: „ო ოლმასნ, ბუ ოლსუნ", იგი იყო ხუთ ნაწილიანი მხიარული კინო ოპერეტა კავკასიის კინო ცხოვრებაზე. (3; №801)
- განცხადება: საქონლის საზღვარგარეთ გამტანი და საზღვარგარეთიდან შემომტანი კანტორა დემურიასი მარსელში (Demouria- Marseille 48, Boulevor du jardan zoologigue) ღებულობს გასასაღებლად საფრანგეთში: პარკს, მატყლს, მუხის და კაკლის ხეს, თუთუნს, თხილს, ნიგოზს და სხვას. ხოლო დაკვეთისამებრ ჰგზავნის მარსელიდან: კრამიტს, შაბიამანს, გოგირდს და სხვას. (3; №801)

16 აპრილი

- იტალიური გაზეთში „corriere della sera"-ში 27 მარტის ნომერში გახლდათ შემდეგი ცნობა: ლონდონიდან, სადაც მინისტრთა საბჭოს შეხვედრა იმართებოდა, „ბათუმი საქართველოსთვის" – სადაც გამოთქმული იყო ეჭვი, რომ ბათუმი ისევ საქართველოს დაუბრუნდებოდა ოღონდ იმ გარანტიით, რომ შესაძლებელი იქნებოდა აქ თავისუფალი ვაჭრობა იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც არ ჰქონდა ზღვაზე გასასვლელი. (1; №83)
- თბილისში მყოფი პოლონეთის წარმომადგენელი ვ.ოსტროვსკი დაინიშნა პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო მისიის წევრად, რომელსაც დაავალეს საგანგებო საქმეთა გამგებლობა. (1; №83)
- ცნობა: „ქუთაისის ადმინისტრაციამ დაატუსაღა ცნობილი ბოლშევიკი თენგიზ ჟღენტი, რომელიც ქუთაისში პროპაგანდისთვის და ფარული ორგანიზაციების მოსაწყობად ჩასულა". (3; №802)
- კინოთეატრ „ფილმში", რომელიც ოლღას ქუჩის №3-ში მდებარეობს წარმოდგენილი იყო ფილმი „ნიუ-იორკის საიდუმლოებანი". (3; №802)

17 აპრილი

- სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებული სასწავლო კომიტეტის დადგენილების თანახმად, თბილისში მაისში უნდა გახსნილიყო ქართული ენის მცოდნეთა ყრილობა. ყრილობის მიზანი იყო, რომ დადგენილიყო საერთო სალიტერატურო ქართული ენის ნორმები. (1; №84)
- აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკათა კონფერენციის დადგენილებით ყაზახის მაზრაში სომეხთა და მუსლიმთა შორის სისხლისღვრის შეწყვეტის მიზნით გაიგზავნა სამკაციანი ჯგუფი: ხასან ბეგ აგაევის, ს. გრ. მამიკონიანის და გ. ი. მახარაძის შემადგენლობით. (1; №84)

- სახელმწიფო თეატრში გაიმართა კურბატოვის ბენეფისი „ტოსკა“. (1; №84)
- აზერბაიჯანში გაემგზავრა ლტოლვილებით დატვირთული 2 ვაგონი. (3; №803)

18 აპრილი

- თბილისში დაარსდა „მაჰმადიან ქართველთა დამხმარე საზოგადოება“, რომლის მიზანი იყო ყოველმხრივი დახმარება გაეწია მაჰმადიანი ქართველებისთვის. საზოგადოებას ჰყავდა ნამდვილი და საზოგადო წევრები. საზოგადოების საქმეებს კი წევრთა საზოგადო კრება, გამგეობა და სარევიზიო კომისია განაგებდნენ. (1; №85)
- 1920 წლის 7 აპრილს თბილისში „ქართველ კათოლიკეთა აღმასრულებელი კომიტეტისნ ინიციატივით ჩატარდა ქართველ კათოლიკეთა კონფერენცია, რომლის მიზანი იყო სომეხ კათოლიკეთა განთავისუფლება და ლათინის ტიპიკონზე გადასვლა ე.ი. წირვის გარდა ყველა საეკლესიო წესი ქართულ ენაზე აღსრულდებოდა. კონფერენციას ესწრებოდნენ მესხეთ-ჯავახეთის, ქუთაისის და თბილისის კათოლიკეები. (1; №85)
- სერგეი გოროდეცკიმ წაიკითხა ლექცია-მოხსენება „ახალი ქართული პოეზია“ (გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ლელი ჯაფარიძე, კოლაუ ნადირაძე). (1; №87)

19 აპრილი

- მოქმედება დაიწყო საქართველოს კოოპერატიულმა ბანკმა. იგი აწარმოებდა ყოველგვარ საბანკო ოპერაციებს. ბანკი მდებარეობდა ლორის-მელიქოვის ქუჩის №11-ში. (1; №78)
- თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მეორე კონფერენციის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: სომხეთი-ოგანჯიანი, ხაჩატურიანი,მამიკონიანი, ბეგზადიანი. აზერბაიჯანი: აგაევი, კრიჩინსკი, ვექილოვი. საქართველო: შსს მინისტრი-გეგეჭკორი, სამხედრო მინისტრი – ლორთქიფანიძე, საქართველოს წარმომადგენელი სომხეთში – მახარაძე. (1; №86)
- რესპუბლიკის ყველა სასწავლებელში განახლდა სწავლა. (1; №83)
- 18 აპრილს შსს და განათლების მინისტრი ნოე რამიშვილი მიწისძვრისგან დანგრეულ გორს ეწვია. სახალხო გვარდიის საოლქო შტაბის ეზოში მოეწყო დიდი მიტინგი, სადაც სიტყვა წარმოსთქვა მინისტრმა. ხალხი დიდად კმაყოფილი იყო. (1; №87)
- სან-რემოში დაიწყო საზავო კონფერენციის უმაღლესი საბჭოს სხდომები იტალიის პრემიერის ნიტტის თავმჯდომარეობით, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო ბათუმის საკითხი. (3; №805)

20 აპრილი

- შსს-მ სიღნაღის გამგეობისაგან მიიღო დეპეშა, რომელშიც იუწყებოდნენ, რომ ზაქათალას ოლქიდან ალიაბადის მხრიდან 14 აპრილს შემოსულან გამოქცეული სომხები, 170 კაცი. სიღნაღის ერობის წარმომადგენლებმა ლტოლვილები დედოფლისწყაროში გადაიყვანეს დროებით დასაბინავებლად. (1; №86)

- დამფუძნებელი კრების სხდომაზე განხილულ იქნა საკითხები ოფიცერთა და ჯარისკაცთა ტანისამოსის ფორმის შეცვლის შესახებ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულების შეცვლის შესახებ და ასევე სხვადასხვა სამსახურების ხარჯთაღრიცხვები. (1; №87)
- განახლდა დამფუძნებელი კრების სხდომები. (1; №83)
- სახელმწიფო თეატრმა უმასპინძლა მიჩელ დარიალ-ნანობაშვილის მეხუთე გასტროლს „აფრიკელი ქალი". (1; №86)
- ცნობა: „თბილისიდან ჭიათურაში გაემგზავრა სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეესწავლა შავი ქვის ექსპორტისა და ტრანსპორტის საკითხი და მოხსენება წარედგინა მთავრობისათვის. (1; №86)
- ბაქოში ვიზიტად გაემგზავრა გენერალ გიორგი კვინიტაძის მეთაურობით საქართველოს მთავრობის სამხედრო კომისია. (3; №807)

21 აპრილი

- საგარეო საქმეთა მინისტრმა გეგეჭკორმა კარდინალ გასპარისაგან მიიღო სამადლობელი წერილი იმის გამო, რომ საქართველოს მთავრობა ხელს უწყობს კათოლიკეებს თავისუფლად აღმსარებლობაში (კარდინალი გასპარი იყო პაპის ნდობით აღჭურვილი პირი და მისი კურიის კარდინალი). (1; №87)
- სახელმწიფო თეატრში გაიმართა ხოროს ბენეფისი სტაროსტინის მონაწილეობით, ოპერაში: „ლაკმე". (1; №87)
- ცნობა: „გემი „კაპე" ბათუმიდან მარსელში გავა პარასკევს 23 აპრილს". (1; №87)
- ფინანსთა სამინისტროში გაიმართა სხდომა, რომელზეც განიხილეს: ფულის ტრიალის რეფორმა, კავკასიის ბანკის წესდება და სხვა საკითხები. (1; №87)
- ცნობა: „განსაკუთრებულმა რაზმმა აღმოაჩინა მეხუთე ბატალიონის ცეხგაუზიდან მოპარული საქონელი, დახლოებით 300 000 მანეთის ღირებულებისა. ქურდი აღმოჩნდა მეშვიდე ბატალიონის ჯარისკაცი ცანავაძე. (1; №87)

22 აპრილი

- ერმოლოვის ქუჩაზე წმინდა ნინოს სასწავლებელში გაიმართა სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭოს სხდომა, რომელზეც მრავალი საკითხი განიხილეს. (1; №88)
- ცნობა: „თბილისში ამჟამად დიდძალი შაქარი არის შემოტანილი, მიუხედავად ამისა, შაქრის ფასი მაინც არ კლებულობს". (1; №88)
- ცნობა: „თბილისში ისევ არ იკვლება საქონელი და მცხოვრებლები უხორცოდ არიან". (1; №88)
- ცნობა: „სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამიერკავკასიის საზოგადოება იუწყება, რომ ამა წლის აპრილიდან ხსნის ბათუმში საბითუმო საწყობს და კანტორას."(1; №89)

23 აპრილი

- ბათუმის ოლქის მკვიდრთა წარმომადგენლობის ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლუციები: 1) ქალაქ ბათუმის და ბათუმის ოლქის დედასამშობლო საქართველოსთან ავტონომიურად გაერთიანების შესახებ; 2) ქალაქ ბათუმში და ბათუმის ოლქში სამუსლიმანო საქართველოს მტერთა თავაშვებული აგიტაციის შესახებ; 3) ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შესახებ. (1; №93)
- ბათუმში შეიკრიბნენ ბათუმის ოლქის წარმომადგენელთა ყრილობის მიერ არჩეული წევრები, რომლებიც აპროტესტებდნენ პარიზის კონფერენციის გადაწყვეტილებას, რაც გულისხმობდა ბათუმის ოლქისაგან ქალაქ ბათუმის გამოყოფას ცალკე ერთეულად და მისი ერთა ლიგისთვის გადაცემას. თავის მხრივ პარიზის კონფერენციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არღვევდა ბათუმის ოლქის მკვიდრთა წარმომადგენლების მიერ 1919 წლის 31 აგვისტოს მიღებულ დადგენილებას, რომლის მიხედვითაც ბათუმი და ბათუმის ოლქი უნდა შეუერთდეს განუყოფელ ნაწილად თავის დედასამშობლოს-საქართველოს რესპუბლიკას ფართო ავტონომიის სახით. (1; №93)
- დამფუძნებელი კრების კანონით დაარსდა ამა წლის მარტის პირველიდან ქ. თფილისში სახალხო განათლების სამინისტროსთან რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივი. (7; 382)

24 აპრილი

- ქართულ კლუბში გაიმართა მომღერალი ქალის, ფავლენიშვილის კონცერტი. კონცერტში მონაწილეობა მიიღო ვანო სარაჯიშვილმაც. (1; №89)
- იუსტიციის მინისტრის განკარგულებით თბილისის №1 საპყრობილეში გაიგზავნა რევიზია. (1; №90)
- საქართველოში აქტიურად მოქმედებდა და მოსახლეობის თხოვნებსაც კი იღებდა, მთავრობის მიერ დანიშნული მცხეთაში მოსულ რუს მოხალისეთა და ლტოლვილთა ქონების ჩამომრთმევი კომისია. (1; №90)
- დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა სამუსლიმანო საქართველოს წარმომადგენელთა კრებას. კერძოდ, ბათუმის მეჯლისის თავმჯდომარეს. მასში გამოთქმული იყო იმედი, რომ მეჯლისი პირნათლად შეასრულებს საერთო ქართულ საქმეს და ბათუმი მუდამ დედასამშობლო საქართველოს განუყოფელი ნაწილი იქნება. (1; №90)
- ცნობა: 24 აპრილიდან გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის ფულის ნიშნები, 1000 მანეთის ღირებულებისა. (1; №91)

25 აპრილი

- შსს-მ რესპუბლიკის მოსახლეობის აღწერა ჩაატარა. (1; №91)
- დიდების ტაძარში გაიმართა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშების გამოფენა, ეს მოხდა ქართული საისტორიო და ეთნოგრაფიული საზოგადოების ინიციატივით. (1; №91)

- სახაზინო რკინიგზის მმართველობამ კინტრიშის აფეთქებული ხიდის შეკეთება საუკეთესო სპეციალისტებს მიანდო. (1; №91)
- სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამიერკავკასიის საზოგადოებამ აპრილში ბათუმში გახსნა საბითუმო საწყობი და კანტორა. (1; №91)
- ცნობა: ზუგდიდის მაზრის სოფელ ცაისში გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. (1; №91)
- ქალაქ ფოთში ფუნქციონირება დაიწყო ქართულმა სავაჭრო აქციონერულმა ბანკმა. იგი ჩვეულებრივ აწარმოებდა ყოველგვარ სავაჭრო ოპერაციებს. (1; №91)
- ვაჭრობა-მრეწველობის და ფინანსთა სამინისტროს საბჭოში აირჩიეს კომისია, რომელიც დაკომპლექტებული იყო ექსპერტებითა დ სპეციალისტებით. კომისიას უნდა განეხილა სამთამადნო წესდება. (1; №91)

26 აპრილი

- ღამით ამაღლების ქუჩაზე აღმოაჩინეს ტერორისტი კომუნისტების ორგანიზაცია პანტელეიმონ კვინტრაძის მეთაურობით. ნახეს პარიკები, ყუმბარები, მაუზერები და 46 მანეთი. (1; №92)

27 აპრილი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ინფორმაციით, თბილისის სამაზრო ერობა სოფ. ხამშში, მუღანლოში, აზამბურგში და სართიჭალაში აკეთებს წყალსადენს. (1; №92)
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ცნობით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოსცა ინსტრუქცია, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს თბილისის მილიციამ. (1; №92)

28 აპრილი

- გურიაში დააპატიმრეს ცნობილი კომუნისტი და ოქტომბერ-ნოემბრის აჯანყების მეთაური თევდორე კალანდაძე. (1; №93)
- განცხადება: ანჩისხატის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე აცხადებს, რომ დაიკარგა იმავე ტაძრის ეზოს 1919 წლის საბინაო დავთარი . (1; №93)
- მიწათმოქმედების სამინისტროს სატყეო განყოფილების ცნობა: „მიმდინარე წელს პირველად შევუდექით ტყის მოშენებას, დავთესეთ ნაძვი ახალციხის რაიონში, გარე და შიდა კახეთში. კახეთში წიწვიანი ტყეები არსად არის, თუმცა მათ გამრავლებას აქ ხელი უნდა შეუწყოს, როგორც შესაფერმა ნიადაგმა, ისე ჰავამ, რადგანაც მაღალ ზონაში უკეთეს ჯიშად უნდა ჩაითვალოს ნაძვი, ამიტომ შემდეგშიც ვეცდებით ეს ჯიში გადავიტანოთ და გავამრავლოთ იქ, სადაც გავრცელებული არ არის. ტყის მოშენების საქმისთვის ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებულია 475000 მანეთი". (1; №93)
- საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელი არმიის ნაწილები შევიდნენ ბაქოში, დაამხეს დამოუკიდებელი აზერბაიჯანის რესპუბლიკა და ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს. (1; №94)

- ცნობა: „სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელმა ექსპედიციამ დაბეჭდა და გამოუშვა ახალი ათას მანეთიანი. ფულის გარეგანი სახე ძლიერ ლამაზია“. (3; №812)

29 აპრილი

- ნავთის ფასმა თბილისში საგრძნობლად აიწია. ზოგიერთ ადგილას გირვანქა ნავთს 10 მანეთად ყიდიდნენ. ქუჩაში ხალხი ნავთის შესაძენად რიგში იდგა. (1; №95)

30 აპრილი

- დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა სამხედრო სამსახურში სადისციპლინო დებულების შემოღება, რომელშიც განსაზღვრული იყო ყველა სამხედრო პირისათვის სამხედრო კანონებში აღნიშნული წესების მტკიცედ და სწორად დაცვის აუცილებლობა, სამსახურის მოვალეობათა კეთილსინდისიერად ასრულება, უფროსის ბრძანებათა სიმტკიცით და სისწორით შესრულება და უფროსის მიმართ შესაფერი პატივისცემა. (7; 383)

1 მაისი

- მაისიდან „ქართული ბეჭდვითი ამხანაგობა“ დაიწყებს ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანიას სრულ თხზულებათა კრებულის გამოცემას, თვეში დაიბეჭდება ერთი ტომი, სულ 15 მდე. ფასი: 55 მანეთი. (1; №96)
- პირველად ქართულ ენაზე გამოვიდა ახალი წიგნი „პედაგოგიკა და ფსიქოლოგია“. პ. როსტომაშვილის მიერ შედგენილი. (1; №96)
- საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად, იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომელიც შეიქმნა საქართველოს საზღვრებზე, მთავრობამ გამოაცხადა ნაწილობრივი მობილიზაცია. (1; №96)
- თბილისში გრანდიოზულად აღინიშნა მუშათა კლასის საერთაშორისო დღესასწაული. ის ეროვნულ დღესასწაულად იქცა. დემონსტრაცია იმ საგარეო საფრთხის წინააღმდეგ იყო მიმართული, რომელიც საქართველოს რუსეთიდან და ოსმალეთიდან ემუქრება. (1; №97)

2 მაისი

- შედგა ხალხთა ლიგის საქართველოს საზოგადოების გამგეობის სხდომა. თავმჯდომარეობდა ბ-ნი დ. ღამბაშიძე. სხდომას დაესწრო ვარლამ ჩერქეზიშვილი, რომელმაც წაიკითხა მოხსენება ხალხთა ლიგის მუშაობის შესახებ ევროპაში. (1; №98)
- ზუბალაშვილის სახალხო სახლში ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით შედგა თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს და ყველა პროფესიონალური კავშირების წარმომადგენელთა შეერთებული სხდომა. სხდომამ მოისმინა მოხსენებები აზერბაიჯანში საბჭოთა მთავრობის გამოცხადების შესახებ. (1; №97)
- ღამის 12 საათზე სამხედრო სკოლას თავს დაესხნენ შეიარაღებული პირები. (ბოლშევიკები). დიდი სიმამაცე გამოიჩინეს როგორც იუნკერებმა, ასევე პოლკოვნიკმა ჩხეი-

ძემ. აქ იმყოფებოდა გენერალი კვინიტაძეც. საბოლოოდ მოახერხეს ბოლშევიკების განდევნა. იუნკერებიდან ერთ-ერთი, მაყაშვილი, მძიმედ დაიჭრა. (1; №97)

3 მაისი

- 3 მაისს ღამით სამხედრო სასწავლებელზე თავდასხმის გამო, ერემიანცს, მუშეგიანცს და ბრიანცს სამხედრო სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა, სასამართლოს განაჩენი იმ დღესვე იქნა სისრულეში მოყვანილი. (1; №98)
- 3 მაისს სომხეთის პარლამენტმა გამართა მსჯელობა, აზერბაიჯანის საბჭოთა მთავრობის გამოგზავნილი ნოტის შესახებ და დაადგინა, მტკიცედ დაიცვან სომხეთის დამოუკიდებლობა. (1; №99)
- ქ. თბილისის და აღმოსავლეთ საქართველოს გენერალ-გუბერნატორის კ. სულაქველიძის დადგენილებით, ყველას აეკრძალა სასროლი იარაღის შენახვა და ტარება, გარდა ოფიცრებისა. (1; №99)

4 მაისი

- თიანეთში არსებულმა ყველა პოლიტიკურმა პარტიამ და დემოკრატიულმა ორგანიზაციამ მოისმინა რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შესახებ აზერბაიჯანზე და საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გამოლაშქრების შესახებ ინფორმაცია, ერთსულოვნად დაადგინა – მაზრის სასიცოცხლო ძალები გადასცეს მთავრობას (ერობის თავმჯდომარე პაპავა). (1; №97)
- ორჯონიკიძემ განმეორებით გაუგზავნა ბაქოდან მოსკოვს დეპეშა: „მოსკოვი, კრემლი, ლენინს, სტალინს. მეორედ გპასუხობთ. ამბები ისე დატრიალდა, რომ იმედი გვაქვს თორმეტს მაინც თბილისს ვიქნეთ. საამისოდ ყველაფერი გაკეთებულია. ბრწყინვალედ გამოვა... (17. 12).
- ქუთაისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი და რაიონული კოლექტივები მზად არიან მოახდინონ მობილიზაცია და სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოლონ. (1; №97)
- ამხანაგ ალ. ლომთათიძის თავმჯდომარეობით შედგა დამფუძნებელი კრების სასწრაფო სხდომა, განსახილველი იყო აზერბაიჯანში მომხდარი გადატრილება. მოხსენება გააკეთეს გოთუამ, ვაჩნაძემ, კონიაშვილმა, გომართელმა და ა. შ. უამრავი ხალხი დაესწრო. (1. №97).
- ღამით სომხების ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტს უცნობმა პირებმა რამდენჯერმე ესროლეს. ბოროტმოქმედთა ვინაობა ჯერ-ჯერობით უცნობია. (1; №102)

5 მაისი

- რესპუბლიკის დასაცავად მობილიზაციის გამოცხადების გამო, შრომის სამინისტრომ წინადადებით მიმართა ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებებს, იხელმძღვანელონ კანონით, რათა შეენახოთ ადგილი იმ მუშა მოსამსახურეებს, რომლებიც სამხედრო სამსახურში მიიღეს. (1; №98)

- გენერალური შტაბის ოპერატიული ცნობით, „გაგრის ფრონტზე ჩვენს წინ პოზიციები დაიკავეს წითლებმა და აღმართეს დროშა წარწერით: „გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს“. (1; №99)
- გარდაიცვალა იუნკერი მაყაშვილი, რომელიც ბოლშევიკებმა დაჭრეს სამხედრო სკოლაზე თავდასხმის დროს. (1; №98)
- ბაქოდან მიღებული ცნობებით, წითელი მთავრობით უკმაყოფილონი არიან მუშები, ამიტომ მათ წინააღმდეგ ავრცელებენ პროკლამაციებს. (1; №98)

6 მაისი

- თავდაცვითმა საბჭომ და მთავრობამ შეიმუშავა დებულება მობილიზაციით გაწვეული ჯარისკაცების ოჯახების დახმარების შესახებ. (1; №99)
- რუსეთის ხელისუფლებისა და სპეცსამსახურების მითითებით, სეპარატისტ ოსთა რევოლუციურმა კომიტეტმა და ბოლშევიკთა თათბირმა დაადგინა, როკის რაიონში საბჭოთა ხელისუფლება გამოეცხადებინა და ეთხოვა საბჭოთა რუსეთის ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკასთან შეერთება. (რედაქტორის შენიშვნა – დ. შ).
- საქართველოს რკინიგზელთა ცენტრალური გამგეობა სალამს უძღვნის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას და აღთქმას დებს, რომ მედგრად შეებრძოლება თავისუფლების მტრებს, როგორც გარედან თავდამსხმელებს, ისე შიგნით მომუშავე ბნელ ელემენტებს. (1;№99)
- მსს-ს ზუგდიდიდან ატყობინებენ, რომ ხანგრძლივი დევნის შემდეგ დაიჭირეს სენაკის სატუსაღოდან გაქცეული პატიმრები: ბიგვავა, ქაჯაია, გვასალია. ბიგვავა მძიმედ დაჭრეს. (1; №99)
- ლაგოდეხის მოქალაქე ვანი ჯანიაშვილმა განაცხადა, რომ ნიკოლოზის დროს ომში მოაჭრეს მარცხენა ხელი, თუმცა ის მაინც მზად არის სამშობლო დაიცვას. (1; №99)
- ყაზბეგიდან მთავრობის სახელზე დარიალის რაზმისგან მიღებულია დეპეშა, რომ ისინი არავის გაათელინებენ რევოლუციით მონაპოვარ თავისუფლებას. (1; №99)

7 მაისი

- თბილისისა და აღმოსავლეთ საქართველოს მაზრების გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაიხურა თბილისში გამოცემული გაზეთი „ნოვოსტი დნია“, რომელიც განზრახ ათავსებდა სენსაციურ ცნობებს. (1; №100)
- საფრანგეთის მოქალაქე გიბიმ მიწათმოქმედების სამინისტროს წინაშე აღძრა შუამდგომლობა მდინარე ტყვიბულაზე ათი ათასი ცხენის ძალის ჰიდროელექტროსადგურის ასაგებად. მოხსენებაზე განაცხადეს თანხმობა. (1; №100)
- თელავში სამაზრო მილიციის უფროსის დიდგულიძის მიერ მოკლულია ყაჩაღთა რაზმის მეთაური გარი ასტან ასუფ-ოღლი. (1; №100)
- სრულიად საქართველოში გაიმართება ქართველ პოეტთა და ლიტერატორთა „პოეზიის დღე“. დღესასწაულის აღსანიშნავად გამოვიდა სპეციალური გაზეთი „პოეზიის დღე“. (1; №100)

- მთავარსარდლის განკარგულებით გაზეთების ამწყობნი და მბეჭდავნი განთავისუფლებულნი არიან ჯარში გაწვევიდან ერთი თვის ვადით. (1; №100)
- 7 მაისს 12 საათსა და 20 წუთზე გრიგოლ ილარიონის ძე ურატაძემ ხელი მოაწერა ზავს საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის. რუსეთის მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლევ კარახანმა. ხელშეკრულების პირველი მუხლების თანახმად, საბჭოთა რუსეთი უსიტყვოდ სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას; უარს აცხადებდა მის საშინაო საქმეებში ჩარევაზე; სცნობდა მის არსებულ საზღვრებს. (27; 110).

8 მაისი

- თბილისის მიხაილოვის საავადმყოფო აცხადებს, რომ 8 მაისს გაიმართება იმ ნივთებით ვაჭრობა, რომელიც დარჩათ მიცვალებულებს. (1; №101)
- როკის რაიონში აჯანყებულმა ოსმა ბოლშევიკ-სეპარატისტებმა საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. ეს იყო რიგით მესამე და ყველაზე მასშტაბური ამბოხება დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ. ეს აჯანყებაც რკპ(ბ)-ის კავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ იყო დაგეგმილი. რუსეთმა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ რევოლუციურ კომიტეტს 100 000 მანეთი გადასცა. (რედაქტორის შენიშვნა – დ. შ).
- პრეს-ბიურო იტყობინება, რომ ის ცნობები ვითომ ინგლისის სამხედრო და დიპლომატიური მისია ტოვებდეს საქართველოს, ტყუილია. (1; №101)
- დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში, მოხსენების წასაკითხად. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოვალეობა დაევალა სვიმონ მდივანს. (1; №103)
- პირველ ვაჟთა გიმნაზიის შენობაში შედგა დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა ყრილობის გაგრძელება, თავმჯდომარე ა. წერეთელი. (1; №103)

9 მაისი

- კვირას 9 მაისს ქართული კლუბის დარბაზში გაიმართა პარიზის გრანდოპერის მომღერლის მიშელ დარიალის (ნანობაშვილის) კონცერტი.
- მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგა სომხეთის დიპლომატიური მისიის წარმომადგენელი ბეკზადიანი. (1; №102).
- საერობო სკოლებში, თუ ამას გამგენი საჭიროდ ჩათვლიდნენ, სწავლა უნდა დაწყებულიყო დილის 6 საათზე, რათა შემდგომ ბავშვები მიხმარებოდნენ მშობლებს მინდვრის სამუშაოებში. (1; №102)
- სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მიხეილ ქუთათელაძე, რომელმაც მიხეილ ლოლუას მოპარა 41 000 მანეთი.
- 9 მაისს საღამოს 6 საათზე შედგა დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის სხდომა. (1; №103)
- შავ ზღვაზე – ბათუმსა და სტამბულს შორის მიმავალ გემს თავს დაესხნენ მეკობრეები. გემზე იმყოფებოდა პოლკოვნიკ ჰასკელის მეუღლე, რომელსაც წაართვეს ორი მილიარდის ღირებულების ნივთები. (1; №103)

- დილის 11 საათზე ქალაქის საბჭოში შედგა თბილისის ჟურნალისტთა პროფესიონალური კავშირის კრება. თავმჯდომარეობდა ბუქშტეინი. მოხსენება გააკეთა სარევიზიო კომისიის წევრმა ანილმა. განხილულ იქნა კავშირის ახალი წესდება. (1; №103)

10 მაისი

- 10 მაისს წითელი ხიდის რაიონში ქართულმა ჯარებმა მტერს ბრძოლით 4-5 ვერსით დაახევინეს უკან. (1; №104)

11 მაისი

- მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ დეპეშა გაუგზავნა დამფუძნებელი კრების წევრს გრიგოლ ურატაძეს. ჟორდანიამ მიულოცა მას ზავის დადება და აღნიშნა, რომ იგი დარწმუნებულია რუსეთსა და საქართველოს შორის მოისპობა ყოველგვარი გაუგებრობა. (1; №103)
- სენაკის პირველი და მეორე გუნდის სახალხო გვარდიელებისაგან და ტყიბულის მაღაროების მუშათა მრავალრიცხოვანი მიტინგისაგან მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო დეპეშა, რომ ისინი დაიცავენ დედა საქართველოს. (1; №103)
- 11 მაისს დილიდან წარმოებდა ბრძოლა წითელი ხიდის რაიონში.
- 11 მაისს გაიმართა დამფუძნებელი კრების სხდომა. მიიღეს დამატება: „უჭკუოსა და ჭკუაზე შეშლილის შემოწმების წესის“ შესახებ. (7; 394)

12 მაისი

- იუსტიციის მინისტმა რაჟდენ არსენიძემ სასამართლო უწყების ყველა დაწესებულებას აცნობა, რომ არავითარი შუამდგომლობა სამხედრო სამსახურში გაწვევის გადადებისა არ იქნება შეწყნარებული. (1; №104)
- თბილისის ქალაქის გამგეობამ სასურსათო განყოფილებას მოკლე ვადით ასესხა 25 მილიონი მანეთი სასურსათო ოპერაციებისათვის. (1; №104)
- დამფუძნებელი კრების შრომის კომისიამ მცირე ცვლილებებით მიიღო სოციალური დახმარების წესდების პროექტი. (1; №104)
- ქალაქის თვითმმართველობის კომისიამ ჩაატარა ქალაქის აბანოების რევიზია. კომისიამ საჭიროდ სცნო დაიხუროს აბანოების მამაკაცთა განყოფლება, რადგან ცოტა ხალხი დადიოდა და დააწესოს იაფფასიანი ბილეთები. აბანოებით უფასოდ ისარგებლებენ ობლები და ჯარისკაცები. (1; №104)
- დაიბეჭდა და გასაყიდად გამოვიდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა: მელანიას მოთხრობა „ბნელო“. (1; №104)
- სოფელ კულაში გაიმართა მიტინგი, რომელსაც დამფ. კრების თავმჯდომარის მოადგილე ალ. ლომთათიძეც დაესწრო. მომიტინგეები მთავრობას ყოველგვარ დახმარებას აღუთქვამდნენ თავდაცვის საქმეში. (1; №109)

13 მაისი

- დილის 11 საათზე პრეზიდიუმის დარბაზში – დამფუძნებელი კრების ტექნიკური საპარლამენტო სხდომა გაიმართა. (1; №105)
- კახეთში ვენახებს გაუჩნდათ სენი. მიწათმოქმედების სამინისტრომ კახეთში თავის წარმომადგენლად დანიშნა კ. ბერეკაშვილი, რომელიც გამოარკვევს გადამდებ სენის წინააღმდეგ საბრძოლველ სამუალებას. როგორც ამბობენ ამ ახალ სენს ეწოდება „ეიდემუს“. (1; №105)
- სამხედრო გენერალურ შტაბთან დაარსდა საცენზურო კომისია, რომელშიც შედიან წარმომადგენელნი: შინაგან საქმეთა სამინისტროდან, იუსტიციის სამინისტროდან, გენერალური შტაბიდან, სახალხო გვარდიიდან და პრესბიუროდან. (1; №105)
- წითელი ჯვრის საზოგადოების დავალებით სომხეთის ეროვნულ საბჭოს საქართველოში უნდა გაეხსნა წითელი ჯვრის საზოგადოების განყოფილებები. (1; №105)

14 მაისი

- გენერალური შტაბის ცნობით ყაზახის მიმართულებით მტრის არტილერია და ცხენოსანი ჯარი 4 პოლკზე ნაკლები არ არის. მტერი შემოტევაზე გადმოსვლას სცდილობდა, მაგრამ სახალხო გვარდიის მედგარი შეტევით მტერი ქართული პოზიციების 8 ვერსის მოშორებით უკუაგდეს. (1; №105)

15 მაისი

- საღამოს 6 საათზე რკინიგზის საავადმყოფოდან გამოასვენეს ფრონტზე დაღუპული ჯარისკაცების ცხედრები. დაკრძალვას დაესწრნენ დამფუძნებელი კრების წევრები. სიტყვა წარმოსთქვეს სვიმონ მდივანმა და ბენია ჩხიკვიშვილმა. (1; №109)
- ხაშურში გაიხსნება საზომ-საწონი პალატის დროებითი განყოფილება. (1; №105)

16 მაისი

- გერმანიის სოციალ დემოკრატიული ორგანო „ფორვერტი“ 1920 წელს საქართველოს შესახებ წერდა: „საქართველოს რესპუბლიკას... მაცხოვრებელთა რიცხვი თითქმის 4 მილიონს უდრის. ამ მხარეში დიდი ბუნებრივი სიმდიდრეა: თამბაქოსა და ჩაის პლანტაციები. დიდად განვითრებულია მეაბრეშუმეობა, მეღვინეობა და სხვა. ამასთანავე საქართველოს აქვს 2 საუკეთესო პორტი: ბათუმისა და ფოთის, რომელთა საშუალებით მას შეუძლია გახდეს აღმოსავლეთისა და დასავლეთს შორის შემაერთებელი ხიდი. საქართველოდან არის აგრეთვე მოკლე გზა შორეულ მხარეებისკენ... საქართველომ უკვე დაამყარა მტკიცე სახელმწიფო წესრიგი და ძლიერი მთავრობა, რომელიც გამოსულია დემოკრატიის წიაღიდან და შესდგება მხოლოდ და მხოლოდ სოციალ-დემოკრატიისაგან (ეს სტატია გამოქვეყნდა 1920 წლის 16 მაისის „საქართველოს რესპუბლიკაში“ – ხ. ნ.). (1; №108)

- საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მიიღეს დეპეშა: „ბორჩალოს მუსლიმთა ყრილობა მოგესალმებათ თქვენ ქართული დემოკრატიის ბელადს, რომელსაც მაღლა გიჭირავთ უფლება-თანასწორობის დროშა, აღგითქვამთ რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაცვას კარზე მომდგარ მტრის წინააღმდეგ. გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას. ყრილობის თავმჯდომარე – შარიფოვი. (1; №108)
- ცნობა: სამთო ინჟინერ ყიფშიძის მეთაურობით ჯგუფი გაემგზავრა სამთო მადნეულობის გამოსაკვლევად „ნავთის ჭალაში". კომისიას მიზნად აქვს, შექმნას ორგანიზაცია, რომელიც ამოიღებს და დაამუშავებს ნავთს. (1; №108)
- ქართულ კლუბში პირველად დაიდგა ახალი პიესა „ქალის ცბიერება". წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო ალ. მაისურაძის მომღერალთა გუნდმა და აზიურმა ორკესტრმა. (1; №108)
- მუშათა კლუბში პროფესიონალ ორგანიზაციათა შეერთებულ კრებაზე ევროპიდან დაბრუნებულმა ირაკლი წერეთელმა ვრცელი მოხსენება გააკეთა მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. იგი საქართველოს მდგომარეობას ბელგიის მდგომარეობას ადარებდა. (1; №110)

17 მაისი

- დაიწყო 1888-1889 წლებში დაბადებულთა აუცილებელი სამხედრო მობილიზაცია. (1; №109)
- გენერალური შტაბის განყოფილებასთან არსებული სამხედრო საცენზურო კომისიის გადაწყვეტილების თანახმად სტამბაში დასაბეჭდი ყოველგვარი მასალა ნებადართული უნდა ყოფილიყო სამხედრო ცენზურის მიერ. (1; №109)
- დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნის გამო თბილისის ყველა სინაგოგაში საზეიმო ღვთის მსახურება გაიმართა, მთავარ სინაგოგაში მსახურებას ინგლისის ელჩიც დაესწრო (პალესტინა დამოუკიდებელი ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების ძალით გახდა). (1; №109)
- სხდომაზე ქალაქის საბჭომ დაადგინა, რომ სისხლის სამართლის მილიცია გამოყოფოდა საერთო მილიციისაგან. (1; №109)
- მომარაგების სამინისტრომ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით დაადგინა, რომ შეღავათიან პირობებში მიეწოდებინა სურსათი დამშეული სოფლებისათვის. (1; №111)

18 მაისი

- დამფუძნებელი კრების წევრნი: სამსონ ფირცხალავა, ივანე გომართელი, ჭელიძე ლეჩხუმიდან იტყობინებიან, რომ ხალხი ერთხმად დგას ფეხზე სამშობლოს დასაცავად. (1; №109)
- ერობათა კავშირმა ფრონტზე მყოფ მამაკაცებს საჩუქრად გაუგზავნა 300 ფუთი თუთუნი და რამდენიმე ათასი პაჩკა პაპიროსი. (1; №109)
- თბილისსა და ერევანს შორის მიმოსვლა აღდგა. (1; №109)

- თბილისში ვიზიტად ჩამოვიდა აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე რ. გ. სტრანბეკო. (1; №109)
- ქართული წითელი ჯვრის დამაარსებელმა ექიმმა მიხეილ ზანდუკელმა „წითელ ჯვარში“ სამსახურს თავი დაანება. (1; №109)
- იუსტიციის მინისტრი რაჟდენ არსენიძე სამუშაო ვიზიტით გაემგზავრა გორის მაზრასა და ქუთაისის გუბერნიაში. (1; №109)

19 მაისი

- დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიამ დაასრულა კონსტიტუციის ტექსტის საბოლოო დამუშავება. (1; №110)
- სამთო სამმართველოს სასინჯადო განყოფილებამ აღმოაჩინა ყალბი სინჯადები და აცნობა საგანგებო რაზმს. საგანგებო რაზმმა კი შეიპყრო ოქრომჭედლები: ბაღდასაროვი და კარაპეტოვი. (1; №110)
- სამთო სამმართველოში დიდი მუშაობა წარიმართა სამთო მადნეულის დასამუშავებლად, როგორც მაგალითად მუხრანის „გლაუბერის“ მარილი და მარტყოფ-ნორიოს ნავთია. (1; №110)
- 5 კერძო პირისაგან საქართველოს ფრონტის სასარგებლოდ საქართველოს რესპუბლიკის საკონსულოში შემოწირულობად მიიღეს 5 000 ბონი. (1; №110)

20 მაისი

- ე. წ. ინვალიდის თხოვნა (ციტატი): „მე, ნიკო შარამზანის ძე აბრამიშვილი, ს. თიანეთის მცხოვრები, ცალხელი (მარჯვენა დაკარგული მსოფლიო ომში), საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ მსურს მეორე, ჩემი მარცხენა ხელი და სიცოცხლე შევწირო ჩემს ძვირფას და საყვარელ სამშობლო საქართველოს და ვთხოვ სამხედრო სამინისტროს მიმიწვიოს სამსახურში“. (1; №111)
- განცხადება: „სამუსლიმანო საქართველოს მტრები და მტრის მიერ მოსყიდული პირები ავრცელებენ ხმებს, თითქოს ქობულეთის უბნის რაიონიდან, სადაც საქართველოს ჯარი იდგა, ჯარს და ოზურგეთის მცხოვრებლებს ურმებით გაეზიდათ ქართველი მუსლიმანების სახლ-კარიდან ნივთები, ვაცხადებთ, რომ ეს საზიზღარი ჭორია. ამას ყველა ადასტურებს გარდა პროვოკატორებისა, რომლებიც სამშობლოს ღუპავენ და სომხეთის საქმეს აკეთებენ“. (1; №111)
- მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას შეხვდნენ ქიზიყელები, რომლებმაც მზადყოფნა გამოთქვეს მთავრობასთან ერთად დაეცვათ ზაქათალის ოლქი, ხოლო თუ მთავრობა არ დაიცავდა, ქიზიყელები მაინც დაიცავდნენ ამ ოლქს. (1; №111)
- ერობათა კავშირის გადაწყვეტილებით მას უნდა შეეძინა 1 მლნ მანეთის ღირებულების ხორნის რკინიგზის საზოგადოების ობლიგაციები. (1; №111)
- განცხადებიდან: „20 მაისს ბათუმში მოვიდა გემი „რიონერო“, რომელმაც ფრანგი ჯარისკაცები მოიყვანა“. (1; №111)

21 მაისი

- სომხეთის მთავრობის დავალებით თბილისში ჩამოვიდა სომხეთის პარლამენტის წევრი და მინისტრთა ყოფილი თავმჯდომარე ა. ხატისოვი. იგი გაემგზავრა ბათუმიც. მისი ეს ვიზიტი გამოწვეული იყო სომხეთში უსურსათობის გამო. ხატისოვის მიზანი იყო გენერალ ჰასკელთან მოლაპარაკება, რათა ამ უკანასკნელს დახმარება გაეწია სომხეთისთვის ფქვილის მიცემით. (1; №112)
- 21 მაისს ხულოში გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელსაც 70 სოფლის წარმომადგენელი დაესწრო. მიტინგზე ერთხმად დაადგინეს, რომ მხარი დაეჭირათ აჭარაში საქართველოს ჯარის შემოსვლისათვის. აგრეთვე გადაწყდა, რომ გაეგზავნათ დელეგატები ჩვენის ხეობაში, რათა მათ მოეთხოვათ საქართველოს წინააღმდეგ მტრული მოქმედებების შეწყვეტა. წინააღმდეგ შემთხვევაში კი სამოცდაათიე სოფლის მცხოვრებნი იარაღით ხელში გამოვიდოდნენ სამშობლოს დასაცავად. (1; №114)
- ცნობა: გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ფრონტის დამხმარე კომიტეტს ყოველდღე უგზავნიდა უფასოდ 40 ცალ გაზეთს. (1; №112)
- განცხადება: სახელმწიფო თეატრი იწვევს მუსიკოსებს სახელმწიფო სამსახურში თეატრთან არსებული ორკესტრისათვის. (1; №112)

22 მაისი

- გენერალური შტაბის სამხედრო ცნობა: „აქსტაფის გზატკეცილზე ჩვენი პარლამენტიორები შეხვდნენ აზერბაიჯანის პარლამენტიორებს. აზერბაიჯანის პარლამენტიორებმა დროებით ზავის პირობად ჩვენი ჯარის წითელ ხიდს იქეთ დახევა წამოაყენეს... ისტორიამ არ იცის ასეთი შემთხვევა, როდესაც დროებითი ზავის დროს რომელიმე მხარის ჯარებს უკან დაეხიოს. ეს მოთხოვნა უარყოფილ იქნა“. (1; №112)
- მთავრობამ მიიღო კანონპროექტი სახალხო გვარდიის შტატების დამატების შესახებ. (1; №112)
- ცნობა: „გურიის თემთა წარმომადგენლების ყრილობა რესპუბლიკის მთავრობას, სამხედრო სამინისტროსა და სახალხო გვარდიას თანადგომას აღუთქვამდა და თავდადებულ ბრძოლას პირდებოდა დამოუკიდებლობის საქმეში“. (1; №113)
- თბილისიდან ერევანში გაიგზავნა 15 ვაგონი თეთრი ფქვილი. (3; №833)

23 მაისი

- მომარაგების სამინისტრომ უცხოეთში შეიძინა ბევრი ხორბალი. ერთი გემი ბათუმში, მეორე კი ფოთში მივიდა. ამ ხორბალს მთელი რესპუბლიკა უნდა უზრუნველეყო. (1; №113)
- თიანეთის ერობის გამგეობასთან დაარსდა თავდაცვითი საბჭო, რომელიც ორიენტირებული იყო მობილიზაციის უზრუნველყოფაზე. (1; №113)
- ქალაქის გამგეობამ ფრონტის სასარგებლოდ ასი ათასი მანეთის სანოვაგე შესწირა. (1; №113)

- მეორე ქართულ კლუბში გაიმართა ფრონტის დღე. შემოსავალი გადაიდო ფრონტის სასარგებლოდ. (1; №113)

24 მაისი

- ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის დადგენილებით დაუყოვნებლივ უნდა გახსნილიყო საკვები პუნქტი ჯარისკაცებისთვის, სოფელ შიხლანში, რომელიც რკინიგზის ლიანდაგს 27 ვერსით იყო დაშორებული. მასზე სამედიცინო ზედამხედველობა დაევალა საექიმო-სასანიტარო განყოფილების გამგეს კიკალეიშვილს. (1; №114)
- მიწათმოქმედების სამინისტროში გაიმართა თათბირი, რომელზეც იმსჯელეს ქ. თბილისის მიდამოებში მუშათა ახალშენების მოწყობის შესახებ. (1; №115)

25 მაისი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ცნობით: გზათა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორის განკარგულებით ბაქოს მიმართულებით სადგურებს უნდა დარქმეოდა შესაფერი ქართული სახელები. ამ მიზნით შედგა კომისია, რომელშიც მონაწილეობა სთხოვეს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ივანე ჯავახიშვილს, ისტორიკოს სარგის კაკაბაძეს და ეთნოგრაფ პავლე ინგოროყვას. (1; №115)
- 12 საათზე ამიერკავკასიის ბანკმა, რომელიც მდებარეობდა ტამოჟნის ქუჩა N4-ში, მოაწყო საჯარო ვაჭრობა. (1; №116)
- ჩატარდა ქ. ბათუმის მცხოვრებთა აღწერა, შედეგი ამგვარი იყო: ქართველი – 10112 კაცი; რუსი – 7302 კაცი; სომეხი – 12836 (5240-ლტოლვილია); ბერძენი – 8593 (1546 – ლტოლვილია); ებრაელი – 1705; თურქი – 1831, სულ ქალაქში ითვლებოდა 43348 მცხოვრები. (1; №115)
- იუსტიციის სამინისტროში გაიმართა სასამართლო მოღვაწეთა ყრილობა. (1; №115)

26 მაისი

- მთავრობის თავმჯდომარის მისალმება საქართველოს შეიარაღებული ძალებისადმი, დამოუკიდებლობის ორი წლის თავზე: „მოგილოცავთ 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულს, თქვენ ხართ ამ დამოუკიდებლობის მთავარი დარაჯი და მისთვის თავდადებული მებრძოლები. თქვენ გიყურებთ მთელი საქართველო, მთელი ჩვენი დემოკრატია მოელის თქვენგან საქართველოს საზღვრების დღესაც ისე მედგრად დაცვას, როგორც წინად დაგიცავთ. დღევანდელი დღე უმთავრესად თქვენი დღეა. გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას! გაუმარჯოს 26 მაისს!!! (1; №115)
- ვინმე გ. მ-ს მოხსენება დამოუკიდებლობის 2 წლის თავზე: „დღეს საქართველო მეორედ დღესასწაულობს დამოუკიდებლობის დღეს. 2 წელიწადია, რაც საქართველო დამოუკიდებლად, საკუთარი ძალით არსებობს. მეორედ ზეიმობს, ნეტარობს ბორკილაყრილი, საუკუნის განმავლობაში დამონებული, მაგრამ მებრძოლი სულის მატარე-

ბელი ერი. საქართველოს რჩეულნი შვილნი მუდამ იღწვოდნენ ამ დღისთვის, ოცნებობდნენ, ნეტარობდნენ ამას და აი, აღსრულდა კიდეც 1918 წლის 26 მაისს საქართველო აღსდგა, ხორცი შეისხა... საქართველო დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, ხელმძღვანელობდა სამართლიანობის პრინციპით, რომელსაც უნაკლოდ ახორციელებდა ჩვენი მთავრობა". (1; №115)

- დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განცხადებიდან: „დღეს ქართველი ერი დღესასწაულობს თავის დამოუკიდებლობას, რომელიც ჩვენს სამშობლოს ჯავშნად შემოევლო და იხსნა ყოველნაირი საფრთხისაგან... დამოუკიდებლობის დღე იქცა ეროვნულ დღესასწაულად, რადგან იგი საქართველოს აღდგენისა და განთავისუფლების დღეა... დე თვით ხალხმა, რომელმაც შექმნა დამოუკიდებელი საქართველო, მიიღოს უშუალო მონაწილეობა დამოუკიდებლობის აღნიშვნის საქმეშიც... დამფუძნებელ კრებას სწამს, რომ თვითოეული მოქალაქე შეძლებისდაგვარად თავის წვლილს გაიღებს დამოუკიდებლობის ფონდისათვის. (1; №115)
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ცნობის თანახმად, ყველა მოქალაქეს აუცილებლად უნდა მოერთო სახლი და აივანი სადღესასწაულოდ დამოუკიდებლობის გამოცხადების 2 წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით. (1; №115)
- ქალაქის გამგეობამ 26 მაისის დღესასწაულისათვის 75000 მანეთი გაითვალისწინა. (1; №115)
- ცნობა: 26 მაისის სადღესასწაულო დღის წესრიგი ითვალისწინებდა შემდეგს: დილით 7 საათზე ქალაქი საყვირებით გაიარეს მებუკეებმა, 9 საათზე დღესასწაულის მონაწილეებმა თავი მოიყარეს თავისუფლების მოედანზე... 10 საათზე არსენალიდან გაისროლეს 7-ჯერ ზარბაზანი და ამის შემდეგ პროცესია თავისუფლების მოედნიდან სტადიონისკენ დაიძრა, სადაც დღესასწაული დაიწყო 12 საათზე ეროვნული ჰიმნით. დღესასწაულის წესრიგის ხელმძღვანელობა დაევალა დამფუძნებელი კრების წევრს გრიგოლ გიორგაძეს. (1; №115)
- საგარეო საქმეთა მინისტრმა სომხეთის მინისტრთა თავმჯდომარე ოგანჯიანისაგან მიიღო დეპეშა: ჩემი მთავრობის და სომეხი ხალხის სახელით გილოცავთ და გულწრფელ სალამს გიძღვნით საქართველოს დამოუკიდებლობის ორი წლის შესრულების გამო. გულწრფელად გისურვებთ თავისუფალ დამოუკიდებელ საქართველოს აყვავებას და ქართველი ხალხის სუვერენული უფლების დაცვას... (1; №115)
- საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ბათუმში, საელჩოში საზეიმო მიღებით აღნიშნეს. (1; №115)
- კონსტანტინოპოლიდან დაბრუნდა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი გრიგოლ რცხილაძე. (1; №115)
- 26 მაისს გამოვიდა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფის სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი „მომავალი" (სახალხო საქმე). (3; №835)
- გაზეთ „სახალხო საქმის" ცნობით: მუშაობა დაიწყო კავკასიაში ახლადგახსნილმა პირველმა, ქალაქთა კავშირის კუთვნილმა ნამდვილი ვენის ავეჯეულობის ქარხანამ. (3; №834)

27 მაისი

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნეიტრალური ზონის კომისრისაგან მიიღო ცნობა, რომ სადგურ სადახლოში იყვნენ 40 ვაგონამდე ლტოლვილი ბერძნები, რომელნიც თხოულობდნენ საქართველოს ტერიტორიით ბათუმში გამგზავრების ნებართვას. (1; №116)
- სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ლეონიდემ შუამდგომლობა აღძრა, რომ გადადებულიყო 100 000 მანეთი სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების მოსაწვევად. (1; №116)
- მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია ლანჩხუთში გაემგზავრა. მისი მოვალეობის შესრულება საგარეო მინისტრ ევგენი გეგეჭკორს დაევალა. (1; №116)

28 მაისი

- დეპუტატმა აკაკი ჩხენკელმა სოხუმიდან მიიღო დეპეშა: „გიგზავნით ფრონტისთვის ქართული ეროვნული საბჭოს სახელით 100 000 მანეთს და გთხოვთ, უყიდოთ ჩვენს სახელოვან გმირებს, რესპუბლიკის დამცველთ თქვენი სურვილისამებრ საჩუქრები“. ქართული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ექიმი გროგოლია. აკაკი ჩხენკელმა აფხაზეთში სამადლობელი დეპეშა გაგზავნა. (1; №116)
- დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეპეშა: „ჩვენ არტაანში მყოფი მეცხრე ათასეულის ჯარისკაცები გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის ორი წლის თავს. იარაღით ხელში მზად ვართ მის დასაცავად“. (1; №116)
- შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით რესპუბლიკაში გამოცხადდა ცხენების მობილიზაცია. (1; №116)
- დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი „საისტორიო, საარქეოლოგიო, სამხატვრო და სხვა საკულტურო ნივთების საქართველოს რესპუბლიკიდან გატანის აკრძალვის“ შესახებ. (7. 396).

29 მაისი

- ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის ორგანიზებით გაიმართა ფრონტის სასარგებლოდ საღამოები: „ქიმერიონში“, საერთაშორისო კლუბში, „ამირანში“, „უნიონში“, ცირკ „კრისტენსში“, ნაძალადევში. (1; №117)
- საქართველოში საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლად დაინიშნა სერგეი კიროვი.
- სამეურნეო საგამგებლო კომისიის გამგებლობაში მყოფი სასახლე გადაეცა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს. (1; №117)
- მოწოდება: „29-30 მაისი ფრონტის დღეა. ყველა, ყველაფერი ფრონტისთვის“. (1; №117)

30 მაისი

- მოწოდება: „დღეს ფრონტის დღეა... ვინც ფრონტს არ დაეხმარება, ის თავისუფალი სამშობლოს მოღალატეა“. (1; №118)

- ფრონტისთვის საქველმოქმედო საღამოები გაიმართა: ტივოლში, მერცხალში, ხელოსანთა კლუბში, ტარტოში, კაფე „26 მაისშინ, მუშათა კლუბში. ალექსანდროვის ბაღში გაიმართა სეირნობა, ხოლო მუშთაედის ბაღში მიტინგი-სეირნობა. (1; №118)
- დიდუბის პანთეონში დაკრძალეს პოეტი ნოე ჩხიკვაძე. სიტყვები წარმოსთქვეს მწერალთა სახელით აკაკი პაპავამ, რედაქცია „ერთობის" სახელით – ლეო ნათაძემ, ჟურნალ „ცისარტყელას" სახელით – გიორგი ქუჩიშვილმა და სხვებმა. (1; №118)
- სახალხო სახლში წარმოდგენილი იყო რ. გოგნიაშვილის ორიგინალური ქართული ოპერა „ქრისტინე". (1; №118)

31 მაისი

- დეპეშა სიღნაღიდან: „საშინელმა და მოულოდნელმა სეტყვა-ნიაღვარმა მთლად წალეკა ქიზიყის სოფლების: კარდენახის, ანაგის, ვაქირის, მარნარის, საქობოს, ასანურის, ხირსის, ქვემო მაჩხაანის, დედოფლისწყაროს და ბოდბისხევის ვენახები და მინდვრები. არის ადამინათა და საქონელთა მსხვერპლი. ზარალი რამდენიმე მილიონისაა". (1; №119)
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ ზუგდიდიდან მიიღო დეპეშა: „პრინცესა მიურატის სასახლიდან გაძარცული ნივთები მიღებული ზომებით აღმოჩენილ იქნა, ბოროტმოქმედნი დატუსაღებულნი არიან, სწარმოებს გამოძიება... ზოგიერთი ნივთი აღმოჩნდა პრინცესას რწმუნებულ მღვდელ ჭანტურიას სახლში. (1; №119)
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ ერობათა და ქალაქთა თვითმმართველობებს გაუგზავნა მოთხოვნა, რათა მიეღოთ ზომები თავიანთ რაიონებში არსებული ისტორიულ-არქეოლოგიური შენობების დასაცავად, როგორიცაა ციხე-კოშკები, მონასტრები, ძველი საყდრები და სხვ. თვითმმართველობებს მოეთხოვებოდათ ზემოაღნიშნული ძეგლების შეკეთებაც, თუ საჭიროებდნენ ამდაგვარ მოქმედებებს. (1; №120)

1 ივნისი

- 1 ივნისიდან ბაქოს მიმართულებით დაინიშნა ერთი სამგზავრო მატარებელი, რომელსაც 200-მდე მგზავრის გადაყვანა შეეძლო. მატარებელი ყოველდღე, ღამის 12 საათზე თბილისის რკინიგზის სადგურიდან გადიოდა. (1; №119)
- თბილისისა და აღმოსავლეთ საქართველოს გენერალ გუბერნატორმა გამოსცა კანონი, რომლის მიხედვითაც ყველა მოქალაქე ვალდებული იყო მუდმივად თან ჰქონოდა მოწმობა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ. (3; №842)
- 1 ივნისს დამფუძნებელი კრების სხდომაზე მიღებულ იქნა კანონ-პროექტი მიწათმოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა შტატისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ. (1; № 119)

2 ივნისი

- ქიზიყში მოვიდა დიდი სეტყვა, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა ვენახებს, ასევე დახოცა პირუტყვი, გაანადგურა ნათესები. როგორც იმდროინდელი პრესა წერდა, სეტყვა ქათმის კვერცხის სიდიდის ყოფილა. (1; № 120)

- შინაგან საქმეთა სამინისტრომ ერობებს აცნობა, რომ ჯარში გაწვეულ პირთა ოჯახებს დახმარება მიეცემოდათ ხაზინიდან, თუ ასეთი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესებული იყო სამხედრო წვევამდელის ჯარში გაწვევის გამო. (1; № 120)
- ფასანაურში საქართველოს სამხედრო გზაზე დიდმა ნიაღვრებმა გზა დააზიანეს, რის გამოც მიმოსვლა შეწყდა. მთავრობამ მიიღო ზომები მიმოსვლის აღსადგენად. (3; №842)
- ნიაღვრებმა კახეთის რკინიგზაზე, ჩალაუბანთან ლიანდაგი დააზიანა. გზის შესაკეთებლად ყველა სადგურიდან გაიწვიეს მუშები. (1; № 120)
- დამფუძნებელი კრების თვითმმართველობის და მმართველობის კომისიამ აირჩია ახალი პრეზიდიუმი. (1; № 120)

3 ივნისი

- თავდაცვის საბჭოს მიერ მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის მიხედვითაც ფრონტზე ან ფრონტიდან გამოგზავნილი ბარათები გათავისუფლდა ყოველგვარი საფოსტო გადასახადისგან. (1; № 121)
- პოეტმა მაზურკევიჩმა ფრონტის დამხმარე კომიტეტს შესწირა 5000 მანეთი, ომში დაზარალებულთა დასახმარებლად. (3; №842)
- გორში დილის 5 საათზე დაფიქსირდა ძლიერი მიწისძვრის ტალღები, ასევე განმეორებითი ტალღები 6 საათზე და 16 საათზე. (3; №842)

4 ივნისი

- ხულოს რაიონში მიმდინარე ბანდფორმირებებისა და ჯარის შეტაკებაში ჯარის მხარეს ბრძოლაში ჩაერთო რამდენიმე ასეული ადგილობრივი აჭარელი. (1; № 122)
- ქალაქთა საბიუჯეტო უფლებათა გამომმუშავებელმა კომისიამ მიიღო პროექტი ცალ-ცალკე გაქირავებულ ოთახებზე გადასახადის დაკისრების შესახებ. გადასახადის რაოდენობა განისაზღვრებოდა წინა წელს მიღებული მთლიანი ქირის რაოდენობისგან. (3; №842)
- საქართველოს მწერალთა კავშირმა შეიძინა ნახევარი მილიონი მანეთის ღირებულების ქაღალდი, ქართველ მწერალთა ნაწარმოებების და სალიტერატურო ჟურნალის გამოსაცემად. (3; №842)

5 ივნისი

- საქართველოს მთავრობის ნებართვითა და ხელშეწყობით, ჩინელთა ჯგუფმა დააარსა საქართველოში მცხოვრებ ჩინელთა კავშირი, რომლის მიზანიც იყო ჩინელების მძიმე მდგომარეობის გაუმჯობესება. (1; № 123)
- სახალხო განათლების სამინისტრომ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც უწყების ყოფილ და მოქმედ თანამშრომლებს, რომელთაც შრომის უნარი ჰქონდათ დაკარგული, დაენიშნათ პენსია. (3; №842)

- საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობაში მიიღეს ცნობა პარიზიდან, საზოგადოებისთვის ამერიკული საოკეანო გემის შესყიდვის შესახებ, გემის ღირებულება შეადგენდა 800 000 დოლარს და თანხის გადახდა უნდა მომხდარიყო ეტაპობრივად. საზოგადოებისთვის ასევე შეძენილ იქნა ავტობუსები და საბარგო ავტომობილები. (1; № 123)
- ირაკლი წერეთელმა და გრიგოლ ურატაძემ ინახულეს ლანჩხუთი, სადაც კრებაზე ი. წერეთელმა გააკეთა მოხსენება დასავლეთ ევროპის მდგომარეობის შესახებ. (1; № 123)

6 ივნისი

- ნავთობის კრიზისის გამო საქართველოს რესპუბლიკის გზათა დეპარტამენტის მიერ მიღებული დადგენილებით, შეიზღუდა ნავთობპროდუქტების გაცემა სახელმწიფო, კერძო დაწესებულებათა და კერძო პირთათვის. ამიერიდან საწვავი გაიცემოდა თვიური გეგმის მიხედვით. (1; № 124)
- მუშათა კავშირის „პროდოვოლსტვიეს" გამგეობამ განიხილა საკითხი უმუშევართა ფონდის დაარსების შესახებ. ფონდი უმუშევრებს დაეხმარებოდა მუშათა სალიკვიდაციო ჯილდოდან 5 პროცენტის გადადებით. (1; № 124)

7 ივნისი

- თბილისში ჩამოვიდა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი აზერბაიჯანში – გ. ა. ალშიბაია. საქართველოს მისია დროებითი ზავის ჩამოგდების გამო გაათავისუფლეს ბოლშევიკებმა. (3; №844)
- ჩატარდა ქ. თბილისის საბჭოს სხდომა, ალ. ლომთათიძის თავმჯდომარეობით. მიღებულ იქნა მოხსენებანი – უპატრონო ქალთა შესანახად და სოციალური დახმარებისთვის 15000 მანეთის გადადება, უფასო სასადილოების ხარჯების ასანაზღაურებლად 20000 მანეთის გადადება და სხვ. (3; №844)
- თბილისში ჩამოვიდა სამხედრო ფლოტის ხელმძღვანელი კაპიტანი თაყაიშვილი, რომელმაც ჩამოიტანა ინფორმაცია ფოთის პორტის მდგომარეობის შესახებ. იმ დროისთვის მიმდინარეობდა მუშაობა პორტის ყელის გაფართოებისათვის. პორტში იდგა 4 ამერიკული გემი და ასევე რამდენიმე სხვა უცხოური გემი. (1; № 125)
- ქ. თბილისის პროფესიულ კავშირთა საბჭომ ფრონტზე მყოფი მეომრების სასარგებლოდ თამბაქოს ფაბრიკის პატრონთაგან – საფაროვისგან, ბოზარჯიანცისგან მიიღო შემოწირულობა 100 000 პაპიროსის სახით. (3; №844)

8 ივნისი

- თელავის ერობის გამგეობამ თხოვნა გაუგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა დახმარება გაეწიათ ველისციხეში მყოფი 70 სომხეთის ლტოლვილი მოქალაქის სამშობლოში უფასოდ გამგზავრებაში. (1; № 125)
- ამბოხებულმა ოსთა ბოლშევიკურ-სეპარატისტულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა ბრძანება, რომელშიც იუწყებოდა, რომ: „აჯანყებული გლეხების მი-

ერ სამხრეთ ოსეთიდან განდევნილნი არიან საქართველოს მენშევიკური ჯარები და გამოცხადებულია საბჭოთა ხელისუფლება აღნიშნულ ტერიტორიაზე – ონიდან დუშეთამდე... მივმართავთ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სამხრეთ ოსეთის ნება-სურვილს საბჭოთა რუსეთთან შეერთების შესახებ". (1; № 125)

- ფოთის პორტში ორი გემით იტალიელებმა ჩამოიტანეს 200 ათასი ფუთი ხორბალი. სანაცვლოდ მათ მიჰქონდათ ნახშირი, მარგანეცი და თუთუნი. (1; № 125)
- საქართველოში ჩამოვიდა ფრანგი მწერალი ქალი ოღეტა კოიენი, რომელსაც განზრახული ჰქონდა საქართველოს შესახებ წიგნის დაწერა. (1; № 125)
- თბილისის ერობამ დაადგინა, რომ ჯამაგირი უნდა მისცემოდა ყველა იმ პირს, რომელიც ერთი თვის წინ მობილიზაციის წესით ჯარში იქნა გაწვეული. (1; № 125)
- იტალია-კავკასიის თბილისის ბანკმა მიიღო ელექტრო ლამპების დიდი პარტია მთავრობის საჭიროებისათვის. (1; № 125)
- გაიმართა დამფუძნებელი კრების სხდომა ალ. ლომთათიძის თავმჯდომარეობით. (1; № 125)

9 ივნისი

- თბილისისა და აღმოსავლეთ საქართველოს გენერალ გუბერნატორმა თელავის, სიღნაღისა და ზაქათალას ერობებს წინადადება მისცა, რომ რაიმე განკარგულების გამოცემამდე დაეტოვებინათ ზაქათალაში მცხოვრები სომხები საქართველოს ტერიტორიაზე. (1; № 126)
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა ორთვიანი კურსების დებულების პროექტი. კურსებზე შეასწავლიდნენ მესაქონლეობას და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებს. სწავლა კურსებზე იყო უფასო. (1; № 126)
- ერთა ლიგის ქართული საზოგადოების თავმჯდომარემ ალექსანდრე ლომთათიძემ ერთა ლიგის მეოთხე კონფერენციის თავმჯდომარეს რომში ტელეგრაფით მისალმების წერილი გაუგზავნა. (1; № 126)
- გამოვიდა ჟურნალ „მხედარის" მეორე ნომერი, სადაც დაბეჭდილი იყო საქართველო--სომხეთის ომის ამსახველი ფოტო მასალა. (1; № 126)
- თბილისის ერობამ დაადგინა მოაწყოს თბილისსა და მანგლისს შორის შარა გზით საფოსტო კავშირი. (1; № 126)

10 ივნისი

- მწერალთა კავშირმა გარდაცვლილ პოეტ ნოე ჩხიკვაძის ოჯახს დახმარების სახით 20 000 მანეთი გადასცა. (1; № 127)
- მიწათმოქმედების სამინისტრომ ბორჩალოს მაზრაში გააგზავნა წარმომადგენელი სეტყვისგან მიყენებული ზარალის დასათვლელად. (1; № 127)
- ქალაქის თვითმმართველობამ აირჩია კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა ჯარში გაწვეულ პირთა ოჯახების მატერიალური მდგომარეობა. (1; № 127)

- იუსტიციის სამინისტროს ცნობით ქუთაისის მთელ გუბერნიაში შემოღებულ იქნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. (1; № 127)
- სამთავრობო დაწესებულებებში, სამინისტროებში, მუშაობა დაიწყო საზაფხულო დროით, დილის 8 საათიდან შუადღის 2 საათამდე. (1; № 127)
- ფრონტის დამხმარე კომიტეტმა მიიღო ბათუმიდან გამოგზავნილი 4 ვაგონი საჩუქრები. (1; № 127)

11 ივნისი

- ქალაქის თვითმმართველობამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც ქალაქის გასართობი დაწესებულებებისგან შემოსული გადასახადი სოციალური დახმარების განყოფილებას გადაეცემოდა. აღნიშნული გადასახადი თვიურად 200 000 მანეთზე მეტს შეადგენდა. (1; № 128)
- ბორჯომის თვითმმართველობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა თხოვნით, რომ ბორჯომის წყაროები, ელექტრონის სადგური და წყალსადენი გადასულიყო შინაგან საქმეთა სამინისტროს მფლობელობაში. (1; № 128)
- შინაგან საქმეთა სამინისტროში მომარაგების სამინისტროსა და მიწათმოქმედების სამინისტროს მონაწილეობით გაიმართა სხდომა, სადაც მიიღეს დადგენილება მოუსავლიანობით დაზარალებულებისათვის დახმარების შესახებ. (1; № 128)
- გორის სამაზრო ერობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა თხოვნით, რომ დაერთოს ნება 10 მილიონი საობლიგაციო სესხის გაცემისა, რათა გაეყვანათ სარწყავი არხები და ტყის მხერხავი ქარხანა აღედგინათ. (1; № 128)
- მხატვრები – ლანსიე, ნიკოლაძე, შევარდნაძე, ერისთავი და შალერმანი შეუდგნენ ახალი ფულის ნიშნების პროექტის შედგენას 1, 3, 5, 10, 25, 100, 250 და 500 მანეთის კუპიურებისათვის. პროექტში დაცული უნდა ყოფილიყო ქართული სტილი. (1; № 128)

12 ივნისი

- ✓ თბილისის თვითმმართველობამ აკრძალა ეტლით გადაყვანა იმ ავადმყოფებისა და მიცვალებულებისა, რომლებიც გადამდები სენით იყვნენ დაავადებულნი. დადგენილების დამრღვევთ 3 თვით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდათ. (1; № 129)
- მთავრობამ დაადგინა, რომ მთელი მსოფლიოს საფოსტო კავშირის ბერნის კონფერენციის მომართვის თანახმად, შევიდეს ამ კავშირში. კავშირის შესანახად საქართველოს უნდა შეეტანა 2000 მანეთი და 383 ცალი საქართველოს მარკის ნიმუში, რათა იგი კავშირის ყველა წევრ სახელმწიფოსთვის გაეგზავნათ. (1; № 129)
- ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ საჭიროდ სცნო, რომ საზღვარგარეთ გაგზავნილ იქნეს კომისია ღვინის დაყენებისა და მეღვინეობის საქმის შესასწავლად. (1; № 129)
- სანიტარული ბიუროს ინსპექტორი აცხადებდა, რომ ქალაქის განაპირა უბნები საშინელ სანიტარულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და თვითმმართველობას სთხოვდა საჩქარო ზომები მიეღო. (1; № 129)

- ქალაქის თვითმმართველობამ წინადადებით მიმართა ქალაქის განყოფილებებს. შეედგინათ დაწესებულებებში მოსამსახურეთა ნამსახურეობის სიები. განყოფილებებს უნდა მიეწოდებინათ ცნობები, როგორც მომუშავე პირების, ასევე დათხოვნილი ადამიანების შესახებ. (1; № 129)
- მედიკო-სანიტარულმა განყოფილებამ თვითმმართველობას მოხსენება წარუდგინა ქალაქის ქუჩებში ტკბილეულობით და ცივი სასმელებით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ. (1; № 129)

13 ივნისი

- გამოვიდა და წიგნის მაღაზიებში დაიწყო გაყიდვა შ. ბერიძის წიგნისა – „მეგრული ენა, შესავალი და მასალები". (1; № 130)
- მიხეილ ნაკაშიძემ გაიღო 100 000 მანეთი შემოწირულობა ომში დახოცილ მეომართა ოჯახების დასახმარებლად. (1; № 130)
- მთავრობამ მოიწონა პროექტი წარდგენილი განათლების სამინისტროს მიერ, ბავშვთა სახლის, ბაგა-ბაღის და დედათა კონსულტაციის სახლის მოსაწყობად 380 000 მანეთის გადადების შესახებ. (1; № 130)
- მთავრობის დადგენილებით, მომარაგების სამინისტრო შეუდგა ნედლი აბრეშუმის პარკის შესყიდვას, მეაბრეშუმეს ეძლეოდა ადგილობრივი ბაზრის შესაბამისი ფასი და დამატებით, როდესაც მთავრობა აბრეშუმს საზღვარგარეთ გაასაღებდა, მოგების 20% გადაეცემოდა. (1; № 130)
- მუშათა კავშირმა „სურსათმა" ორი პარტია საჩუქრები გაგზავნა სადახლოს ფრონტზე და ასევე ახალციხის ფრონტზე. (1; № 130)
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ გასცა განკარგულება დასახიჩრებულ სამხედრო მოსამსახურეთა პენსიის გაზრდის შესახებ. (1; № 130)

14 ივნისი

- ცხინვალის მიმართულებით ქართულმა ჯარმა ჯავის ხეობა მტრისგან გაწმინდა და როკის უღელტეხილისკენ წინ წაიწია. (3; №844)
- გაიმართა თბილისის საბჭოს სხდომა, სადაც გადაწყდა საზოგადოება „განათლებას" 10 000 მანეთით დახმარებოდნენ. ჩულურეთის ნ. ჟორდანიას სახელობის ბიბლიოთეკისათვის გადაეცათ 5 000 მანეთი. (3; №844)
- დააპატიმრეს კლიმეტი ბოკერია, რომელიც თავს ასაღებდა საქართველოს ფლოტილიის მექანიკოსად. მან არარსებული მანქანა „ბოლინდური" როსტომ ყაზბეგს მიჰყიდა 240 000 მანეთად. ასევე ა. აგასოვს მიჰყიდა არარსებული მამოძრავი „ეკონომა".

15 ივნისი

- ნავთლუღის სამხედრო ლაზარეთის მოსამსახურეებმა და მუშებმა დაადგინეს კრებაზე, რომ ფრონტის სასარგებლოდ ხელფასიდან გადადონ გარკვეული ნაწილი. (1; № 131)

- მუშების ცენტრალურ კლუბს გადეცა 30 000 მანეთი საზაფხულო დასასვენებელის გასახსნელად. (1; № 131)
- პროფკავშირების ცენტრალურმა საბჭომ სახალხო გვარდიის შტაბს გაუგზავნა დეპეშა და გულწრფელი სალამი მიუძღვნა გვარდიელებს. (1; № 131)
- ქალაქის გამგეობამ იჯარით აიღო თბილისში მოქმედი აბანოები. (1; № 131)
- თბილისში სისუფთავის დაცვის მიზნით შეძენილ იქნა 50 ცხენი, 41 ურიკა და გამოიყო თანხა.
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქონლის ჭირის საწინააღმდეგო აცრის ინსტრუქცია დაამტკიცა. (1; № 131)
- მიწათმოქმედების სამინისტრომ ერობებს შორის გაანაწილა 20 მილიონი მანეთი, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ სტიქიის შედეგად დაზარალებული რაიონებისთვის სათესლე მასალის შესაძენად გამოყო. (1; № 131)

16 ივნისი

- მთავრობამ დახურა გაზეთი „კომუნისტი“, რადგანაც ეს უკანასკნელი უთანაგრძნობდა ოს აჯანყებულებს და აფხაზების და აჭარლების თვითგამორკვევის საკითხის დასმას მოითხოვდა. (1; № 132)
- ერობათა კავშირმა შეიმუშავა პროექტი, წვრილი საერობო ერთეულის თემის შესახებ. თემის მმართველობა შედგებოდა საბჭოსა და თემის თავისგან. (1; № 132)
- კომისიამ ინახულა სოფელი ცემი და გადაწყდა სანატორიუმის მშენებლობა კუჭნაწლავის და ღვიძლის პრობლემებით დაავადებული ადამიანებისთვის. (1; № 132)
- სოციალური დახმარების კომიტეტმა დაადგინა, რომ ინვალიდები მოეთავსებინათ სამხედრო ლაზარეთებში. ამ უკანასკნელთაგან უარის შემთხვევაში, კერძო საავადმყოფოებში ერობების ხარჯზე. (1; № 132)
- გადაწყდა პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლის დაწესება ერევანსა და თბილისს შორის. (1; № 132)
- პროფკავშირების საბჭოს სხდომაზე საკითხი აღიძრა მწარმოებელთა მოგებაზე კონტროლის დაწესების შესახებ, რათა არ მომხდარიყო პირველადი საჭიროების საგნებზე ფასის მომატება. (1; № 132)

17 ივნისი

- გორის ერობამ გადაწყვიტა, რომ აღედგინათ მაზრის ტერიტორიაზე მიწისძვრის შედეგად დანგრეული 29 სკოლა, რისთვისაც დახმარება მთავრობას სთხოვა. (1; № 133)
- სოხუმის ოლქში დაიწყო მუშაობა ტელეფონისა და ტელეგრაფის მოსაწყობად.
- სახალხო განათლების სამინისტროს მიერ დაარსებული პირველი ქართული საბუღალტრო კურსები დაამთავრეს პირველმა კურსანტებმა. (1; № 133)
- საქართველოს სატრანსპორტო კომპანიამ გზათა დეპარტამენტის წინაშე რკინიგზის სადგურის საზოგადოებისათვის გადაცემის საკითხი დააყენა. საზოგადოებას გეგმაში ჰქონდა სხვადასხვა სერვისის დანერგვა – ბარგის შინ მიტანა, დაზღვევა, შეხვევა და ა. შ. (1; № 133)

- საქართველოს სატრანსპორტო კომპანიამ ფოთის ნავსადგურში ააშენა დიდი საწყობები, ასევე პატარა ელინგი გემების ასაწევად. (1; № 133)
- ბათუმში მოვიდა ამერიკული გემი, რომელმაც ჩამოიტანა 500 000 ფუთი ფქვილი. (1; № 133)

18 ივნისი

- თბილისში დაბრუნდა ს. ჟორჟოლიანი, რომელმაც ახალციხის ფრონტზე წაიღო საჩუქრები მეომართათვის. მან ჩამოიტანა ამბების ფრონტის მდგომარეობის შესახებ. (1; № 134)
- მთავრობამ დაადგინა გადასახლებულთა საჭიროებისათვის გადადოს 3 600 000 მანეთი. (1; № 134)
- მასწავლებელთა კავშირმა თხოვნით მიმართა სახალხო განათლების მინისტრს, რათა კავშირისთვის გადაეცათ კოჯრის და აბასთუმნის სახელწმიფო შენობები, საზაფხულო დასასვენებლების მოსაწყობად. (1; № 134)
- ბორჯომ-ბაკურიანის სარკინიგზო მონაკვეთზე მიმოსვლა, რომელიც ძლიერი წვიმების გამო შეწყვეტილი იყო, კვლავ განახლდა. (1; № 134)
- შედგა დამფუძნებელი კრების სხდომა ალექსანდრე ლომთათიძის თავმჯდომარეობით.
- ფოთში ახალდაარსებულმა დრამატულმა საზოგადოებამ გამართა ვასო აბაშიძის საიუბილეო საღამო. (1; № 134)

19 ივნისი

- სახალხო გვარდიის კულტურულ-განმანათლებელმა განყოფილებამ დაიწყო ფრონტზე მყოფი მეომრებისთვის სხვადასხვა კინემატოგრაფიული სურათების ჩვენება. (1; № 135)
- ქართული სამუსიკო საზოგადოების ბიბლიოთეკას ნ. ბებუთოვმა შესწირა სამუსიკო წიგნები. (1; № 135)
- თავდაცვის საბჭოს დადგენილებით გაზეთებზე მომუშავე მბეჭდავები გათავისუფლდნენ მობილიზაციის წესით გაწვევისგან. (1; № 135)
- თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა 21-22 წლის მამაკაცების მობილიზაცია. (1; № 135)

20 ივნისი

- დაიწყო ავტომობილებით მიმოსვლა კოჯორ-მანგლისამდე, ავტომობილები გადიოდნენ თავისუფლების მოედნიდან კოჯრამდე ფასი ერთ სულზე იყო 345 მანეთი, მანგლისამდე კი –1430 მანეთი. (1; № 136)
- დამტკიცდა ჟურნალისტთა კავშირის წესდება, კავშირი მიიღეს პროფკავშირების საბჭოს შემადგენლობაში. (1; № 136)
- იტალიის წარმომადგენელი საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა ორკესტრის თანხლებით გააცილეს. (1; № 136)

- რკინიგზაზე გაუქმდა მოსწავლეთა ექსკურსიებისთვის ვაგონების მობმა, ვაგონების არასაკმარისი რაოდენობის გამო.
- თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი ს. მ. კიროვი. მან მისასალმებელი სიტყვა საქართველოსა და რუსეთის დემოკრატიის დღეგრძელობით დასრულა. (1; № 136)
- მიხეაილოვის საავადმყოფოში გარდაიცვალა აზერბაიჯანის პირველი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი ხან-ხოელი (ფატალი-ხან ხოისკი), რომელიც ფეოდოსიის ქუჩაზე რევოლვერით დაჭრეს 19 ივნისს. ტერორისტები იყვნენ სომხური დაშნაკ-ცუტიუნის პარტიის წარმომადგენლები. ხან ხოისკი დაკრძალეს თბილისში. (1; № 136)

21 ივნისი

- ქართული ჯარის ნაწილებმა დაიკავეს როკის უღელტეხილი და ხელთ იგდეს 2 ტყვიამფრქვევი. (3; №857)
- ქალთა საბჭოო ინსტიტუტში შედგა წითელი ჯვრის საზოგადოების წევრთა მეორე სხდომა. სადაც განიხილეს ხარჯთაღრიცხვის საკითხი და ასევე გადაწყდა ნ. ჟორდანიას საზოგადოების საპატიო წევრად მიღება. (1; № 137)
- მილიციამ შეიპყრო ა. აგამეგოვი მეტსახელად „დენიკინი“, რომელმაც მოიპარა 65 ათასის ნივთები მაღაზიიდან.

22 ივნისი

- რესპუბლიკის ქალაქთა წარმომადგენლობის მესამე ყრილობა მიესალმა ქართულ ჯარსა და გვარდიას. (1; № 137)
- სოციალური დახმარების კომიტეტში დაადგინეს, რომ უარი უთხრან დახმარებაზე იმ ინვალიდებს, რომელნიც სამსახურში იმყოფებოდნენ. ასევე დადგინდა, შრომის უნარდაკარგულად ჩათვლილიყვნენ ის პენსიონერები, რომელთაც 55 წელს მიაღწიეს. (1; № 137)
- რუსეთის ინვალიდთა ყრილობის კომისია თბილისში ჩამოვიდა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ეწვია. (1; № 137)

23 ივნისი

- ამხანაგობამ „ხორცი“ მოაწყო პირველი ქართული ცენტრალური საყასბო. (1; № 138)
- შრომის სასამართლომ შეიმუშავა პროექტი. სასამართლოს კომპეტენციაში შედიოდა ყოველგვარი დავის გადაწყვეტა მუშასა და მეპატრონეს შორის. (1; № 138)
- შრომისა და სოციალური დახმარების განყოფილებამ დაიწყო ქუჩების გაწმენდა მათხოვრებისგან. მათხოვრები გადაჰყავდათ მათ მუდმივ თავშესაფრებში. (1; № 138)
- საქციო სამმართველოში გაიმართა სხდომა, სადაც განიხილეს საკითხი ყოველ ფუთ თამბაქოზე აქციზის დაწესების შესახებ. ამ საკითხის შესასწავლად გამოიყო კომისია. (1; № 138)

24 ივნისი

- სოციალური დახმარების ცენტრალურმა საზოგადოებამ დაადგინა, რომ ყოველი თვის 26-ში ღარიბთა სასარგებლოდ ყულაბით ფული შეეგროვებინათ. (1; № 139)
- შრომის სამინისტრომ გადაწყვიტა, აფხაზეთის მამულებში მომუშავეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მათთვის მიეწოდებინათ იაფი პური და შაქარი. (1; № 139)
- თბილისის თვითმმართველობამ გამოყო 620 000 მანეთი გარეუბნებში – საბურთალოზე და ნაძალადევში ელექტრო განათების მოსაწყობად. (1; № 139)

25 ივნისი

- ფოთიდან სამხედრო სამინისტროში მოვიდა იტალიის სამხედრო წარმომადგენლის პოლკოვნიკ გაბბას წერილი. მან ქართველი ჯარისკაცები გმირებად მოიხსენია.მთავრობამ ზაქათალის ოლქის საზღვრებზე არსებულ საბაჟოს გაუგზავნა ინსტრუქცია იმ საგნების შესახებ, რომელთა შემოტანაც აკრძალული იყო. (1; №140)
- მთავრობამ დაადგინა, ბანკის გემებს მისცემოდათ მიმოსვლის უფლება საქართველოს ნავსადგურებს შორის. (1; №140)
- თავდაცვის საბჭომ ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში 620 000 მანეთი გადარიცხა გერგეთში ტელეგრაფის ქსელის გასაყვანად. (1; №140)
- სასურსათო განყოფილებამ მწვანილზე და კარაქზე ფასები შეამცირა. (1; №140)

26 ივნისი

- რაჭის მაზრის სოფ. გედაში და ზუგდიდის რაიონში, სოფ. ბძგალაში გაიხსნა ფოსტა--ტელეგრაფის განყოფილებები. (1; №141)
- მიწათმოქმედების სამინისტრომ მიმართა ერობებს მიეწოდებინათ ცნობები იმ ადგილების შესახებ, სადაც იყო ძვირფასი ჯიშის ხეები და მინერალური წყლები, რათა კურორტები მოეწყოთ მომავალში ამ ტერიტორიებზე. (1; №141)
- მომარაგების სამინისტროში მიიღეს ცნობა, რომ ბათუმში მისული 500 000 ფუთი ხორბალი საქართველოსთვის არ იყო განკუთვნილი. ქვეყანა მხოლოდ ნაწილს მიიღებდა, რკინიგზაზე ხორბლის გადატანის სანაცვლოდ. (1; №141)
- ევროპის მიმართულებით გავიდა შავი ქვით დატვირთული რამდენიმე გემი. შავი ქვა უნდა გაეცვალათ პურზე, მედიკამენტებზე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე. (1; №141)
- სოციალური დახმარების დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებებზე წმინდა შემოსავალი დარჩა 67 ათასი მანეთი. (1; №141)

27 ივნისი

- იტალიაში გამოიცა ვლადიმერ ვოიტინსკის წიგნი – „ნამდვილი დემოკრატია". წიგნი საქართველოს შესახებ მოგვითხრობდა. (1; №142)
- ფრონტის დამხმარე კომიტეტმა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისგან მიიღო 144 სხვადასხვა წიგნი. (1; №142)

- საბჭოთა რუსეთის კონსულად საქართველოში დაინიშნა ვექ. ბროდსკი.
- იუსტიციის სამინისტრომ ჯილდო გადასცა იმ მილიციელებს, რომელთაც დააკავეს პირები ყალბი საბუთების დამზადების გამო. ამ საბუთებით ციხიდან გათავისუფლდა რამდენიმე პატიმარი. (1; №142)

28 ივნისი

- თბილისში საჩქარო მატარებლით ჩამოვიდა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა კომისარი ჰუსეინოვი. ასევე საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ალშიბაია. (3; №862)

29 ივნისი

- სამთო-სამადნო სამმართველოს მოსამსახურეთა მიერ მიწისძვრით დაზარალებულთა დამხმარე ფონდში შეტანილ იქნა 7 654 მანეთი და 50 კაპიკი. (1; №143)
- ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ინჟინერ-ქიმიკოსს ნ. ბრაგინსკის დაავალა ცნობები წარედგინა საღებავი ნივთიერებების გამოყენებისა და წარმოების შესახებ რესპუბლიკაში. (1; №143)
- დაიწყო საავტომობილო მიმოსვლა ბორჯომ-ახალციხე-აბასთუმანს შორის. (1; №143)
- თბილისში ჩამოვიდა მესხეთ-ჯავახეთის რწმუნებული, რომელმაც მთავრობას წარუდგინა ცნობები რეგიონის მდგომარეობის შესახებ. (1; №143)
- დამფუძნებელი კრების კანონის საფუძველზე დამტკიცდა „საპატიმროთა საქმის უმაღლესი საბჭოს დებულება". (7; 398)

30 ივნისი

- სკოლების საორგანიზაციო კომისიამ 4 თვიანი მუშაობის ანგარიში წარადგინა. კომისიის აზრით, საყოველთაო უფასო განათლება უნდა ყოფილიყო 8 წლიანი და პირველ კლასში მხოლოდ 6 წლის ბავშვები მიეღოთ. (1; №144)
- მიწათმოქმედების წყლის განყოფილებას გადაეცა 9 მილიონი მანეთი მიწების მოსარწყავად, ტბების ამოსაშრობად და ა. შ. (1; №144)
- თბილისის ქალაქის საბჭომ მიმართა მიწათმოქმედების სამინისტროს, იჯარით გადაეცა მისთვის გოგირდის აბანო. (1; №144)
- მეორე საეკლესიო კრების დელეგატებმა ლოცვა-კურთხევა მისცეს ფრონტზე მყოფ მეომრებს. (1; №144)
- თბილისში ჩამოვიდა სომხეთის ფინანსთა მინისტრის მოადგილე ა. მელიქიანი. (1; №144)

1 ივლისი

- ინგლისის სამხედრო თანხმობით, 1 ივლისიდან დაიწყო საქართველოს ჯარების წინსვლა ბათუმის ოლქის დასაკავებლად. ჯარისათვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია. გენერალმა გიორგი კვინიტაძემ მიიღო აღლუმი. (3; №865)

- თბილისში გაიხსნა რკინიგზელთა კონფერენცია. განხილულ იქნა მათი ადმინისტრაციის კოლექტიური ხელშეკრულება. (3; №368)
- ქაშვეთიდან გაასვენეს ბაქოში მოკლული გენერალი – ბალო მაყაშვილი. (3; №365)
- ზაქათალის ოლქის მცხოვრებთ, დროებით ეძლევათ ნება, შეიტანონ და გაიტანონ მოსახლეობისათვის საჭირო ნივთები, გარდა იმ პროდუქციისა, რომელზეც სახელმწიფო ახორციელებს მონოპოლიას: თუთუნი, მატყლი, თამბაქო. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სპეკულიანტობის აღკვეთას. ტვირთის მიმოქცევა აღიწერება სპეციალურ წიგნში, რომელიც მთავრობას ყოველი თვის ბოლოს ეგზავნება.
- თბილისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარია, თბილისის ყველა გაზეთს სთხოვს, რომ ცნობები საომარი მოქმედებებისა და საქართველოს ლაშქრის შესახებ არ დაიბეჭდოს სამხედრო ცენზურის ნებადაურთველად და ასევე მიეთითოს პასუხისმგებელი რედაქტორის ვინაობა.

2 ივლისი

- ბათუმში ჩავიდნენ დამფუძნებელი კრების წევრები და ადგილობრივებს ახარეს ანტანტას მიერ ბათუმისა და მისი ოლქის გადაცემა საქართველოსათვის. აიწია ქართული მანეთის კურსმაც. (1; №146)
- დაატუსაღეს ცნობილი ყაჩაღი ვლადიმერ სურგულაძე. ის მონაწილეობას იღებდა ხიდებისა და მატარებლების აფეთქებაში. თავის დროზე, კავშირი ჰქონდა დენიკინის შტაბთან ბათუმში და კომუნისტების კომიტეტთან – „სედაი მილეთი“.(1; №146)
- გამოიცა ნოე ჟორდანიას ნაწერების პირველი ტომი. ფასი 100 მანეთი. იგეგმება შემდეგი ტომების გამოცემაც. (1; №146)
- თბილისის თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკმა, გამოსცა ოთხმოცდამეცხრე ტირაჟი, ამავე ბანკის გირავნობის ფურცლებისა. (1; №146)
- ბათუმში, ადგილობრივი მთავრობის გადაწყვეტილებით, დაიხურა თურქული გაზეთი „სედაი მილეთი“.
- ქობულეთის უხუცესი – გულე-აღა კაიკაციშვილი ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, „პურ-მარილით“ მიეგება ქართულ ჯარს, ქობულეთის სადგურზე. მათ გამარჯვება უსურვეს ნოე ჟორდანიას.
- პროფესიულ კავშირთა ცენტრმა დაადგინა, რომ მოეწყოს პროფესიონალური მოძრაობის შემსწავლელი კურსები. (1; №146)

3 ივლისი

- ბათუმში ქართული ჯარი წინსვლას განაგრძობს. დაიკავეს ჩაქვისა და ბარცხანას მიდამოები. ბათუმის რკინიგზა ქართული ჯარის ხელშია. (3; №368)
- შაბათს, „ქართულ კლუბში“ იდგმება შიუკაშვილის პიესა – „სულელი“. (3; №368)
- სათბობი მასალის გამანაწილებელმა კომისიამ, ქვანახშირის მომარაგებისა და განაწილების საქმე სასურსათო განყოფილებას გადასცა. (1; №154)

- 12 საათზე. ქალაქის გამგეობის შენობაში გაიმართება საჯარო ვაჭრობა (აუქციონი), რუსთაველის ქუჩაზე, გენეს საკონდიტროსთან მდებარე სავაჭრო ჯიხურის გამო. (1; №146)
- თბილისში შემდეგი ფასებია: კახეთის ღვინო – 800-900 მან, ხორბალი – 1500 მან, სიმინდი – 850-900 მან, ფქვილი რუსული – 1500 მან, ადგილობრივი – 1700-1800 მან, შაქარი რაფინირებული – 3400 მან, ლობიო – 800 მან, კარტოფილი – 400 მან, კომბოსტო – 200 მან, ფუთი გირვანქა კარაქი – 160 მან, ყველი – 75-100 მან, 100 კვერცხი – 700 მან. (1; №153)

4 ივლისი

- ბათუმში გამოვიდა ყოველდღიური რუსული გაზეთი – „ბათუმსკაია ჟიზნ". (1; №149)
- საქართველოში მყოფმა რუსეთის დიპლომატიურმა მისიამ, ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს გაუგზავნა პროექტი „რუსეთსა და საქართველოს შორის საფოსტო, სატელეგრაფო და რადიოთი დამოკიდებულების კონვენციისა". აქ განზრახული იყო ყველა საფოსტო პროცედურა და ოპერაციის ფასები. (1; №149)
- ქალაქ ფოთში გახსნილია სატრანზიტო საწყობები – იუწყება რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევი კომპანია.(1; №149)
- ამიერკავკასიის ბანკის აქციონერთა წლიური საზოგადო კრება დანიშნულია კვირას, დღის 10 საათზე, ბანკის ბინაზე, ლორის-მელიქოვის 5 ნომერში.(1; №149)

5 ივლისი

- დანიშნული იყო ყოფილი გენერალ-გუბერნატორის შალვა მაღლაკელიძის და სხვათა სასამართლო, მაგრამ როგორც ყოველთვის დაიგვიანა სასამართლომ და საქმე შემდეგი დღისთვის გადაიდო.

6 ივლისი

- ქალაქის საბჭომ გადადო 5 მილიონი მანეთი დასახიჩრებულთა ოჯახების დასახმარებლად. ასევე, მოხუცებულთა და უძლურთა მოსავლელად გამოყო 15 000 მან. 50 000 მან მათხოვართა დასაბინავებლად სპეციალურ თავშესაფარში. მათხოვარს, რომელსაც აღმოაჩნდება რაიმე ქონება, მიცემულ იქნება პასუხისგებაში. (1; №149)
- შემუშავებულ იქნა სავალდებულო დადგენილებანი და სტანდარტები მშენებლობისათვის გორის იმ რაიონებში, რომლებიც მიწისძვრით დაზარალდნენ. (1; №149)
- მთავრობის დადგენილებით გადაწყდა თბილისსა და სოხუმში საგანგებო სასამართლოების გაუქმება.
- აგრონომები ითხოვენ ამავე პროფესიის კადრების მომზადებას. მათი აზრით, აგრონომთა რიცხვის გაზრდა გააუმჯობესებს სოფლის მეურნეობის მომგებიანობას.

7 ივლისი

- ქალაქ თბილისის კომენდანტმა გასცა ბრძანება სამხედრო ფორმის მატარებელი ყველა პირის შესახებ, რომ მათი საზოგადოებრივი წესრიგის დამარღვეველი მოქმედება დასჯილი იქნებოდა უსასტიკესად. (1; №150)

- გორის მაზრის, ხაშურის რაიონის საზოგადოების ოსებმა, მთავრობის თავმჯდომარის სახელზე განაცხადეს, რომ ისინი არანაირ კავშირში არ იყვნენ მთის ოსეთის აჯანყებასთან და პირიქით გმობდნენ ამ ფაქტს და ზიანიც კი მიიღეს მათგან. ოსები ხაზს უსვამდნენ მათსა და ქართველთა თბილ ურთიერთდამოკიდებულებას. (1; №150)
- თბილისის ქალაქის თვითმმართველობის სასურსათო განყოფილების გამგემ – ფანიევმა განაცხადა, რომ პროდუქტზე ფასების ზრდა დროებითი იყო და ამის მოგვარება მაშინვე დაიწყო, რაც ბათუმის ოლქი საქართველოს გადაეცა. (1; №150)
- სამხედრო უწყებამ გამოყო სპეციალური სატელეგრაფო როტა, რომელიც ეხმარება ფოსტას ახალი ტელეგრაფის მუდმივი ხაზების გაყვანასა და ძველი ხაზების აღდგენაში, ქუთაისის გუბერნიაში, ახალციხის მაზრასა და წითელ ხიდთან. (1; №150)
- სოფელ პატარა ცემში, რკინიგზელთა სასურსათო კომიტეტმა გახსნა სანატორიუმი, თანამშრომელთა ავადმყოფ შვილთა სამკურნალოდ. აქვე დაამატა მატარებლის ერთწუთიანი გაჩერება. (1; №150)
- მთავრობამ ნება დართო მძღოლების პირველ ამხანაგობას, თბილისსა და კავკასიას შორის მიმოსვლისა. (1; №150)

8 ივლისი

- მეორე საეკლესიო კრების მეშვიდე სხდომამ იმსჯელა 4 წლიანი საშუალო სასწავლებელთა შემოღებისა და ასევე ეკლესიაში მყოფ ძვირფას ნივთთა შენახვის ადგილის შესახებ. 4 წლიანი სკოლის იდეა მოწონებულ იქნა, ნივთები კი ჯერ-ჯერობით ეკლესიებში დატოვეს. (1; №151)
- „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციამ მიიღო ყოველთვიური ჟურნალის „ცისარტყელა“ მეშვიდე ნომერი, რომელშიც მოთავსებულია ნოე ჩხიკვაძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ვასილ ბარნოვის, ელენე დარახველიძის, „ობოლი მუშისა“ და სხვათა ლექსები. (1; №151)
- დაიგეგმა საორგანიზაციო კომიტეტის მივლინება ჩეხოსლოვაკიაში, ბელგრადში (სერბეთში), უნგრეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში. გაიმართება მოლაპარაკება საქართველოსა და ამ ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარების შესახებ. დადგენილ იქნა, რომ ქალაქებს შორის მიმოწერა წარმოებდეს სახელმწიფო ენაზე. (1; №151)
- მთავრობის დადგენილებით უნდა მოხდეს ძველი ეკლესიების, მონასტრებისა და სხვა სიძველეების დასაცავად ზომების მიღება. (1; №151)
- დაიბეჭდა და გასაყიდად გამოვიდა ვასილ ბარნოვის თხზულებათა პირველი ტომი. მასში შესულია 5 მოთხრობა. (1; №151)
- ამერიკელმა დროშების ფაბრიკანტმა კლარკმა, ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს უფროსს შეკითხვით მიმართა თუ საიდან შეიძლებოდა საქართველოს ეროვნული დროშის ოფიციალური აღწერილობისა და სურათის მიღება. მას გაეგზავნა თავისი ინტერესის საგნები. (1; №151)

9 ივლისი

- დააკავეს ევგენი დვალი. მან თაღლითური გზით მოაწერინა ხელი ზაქარია ჭინჭარაძეს საბუთზე – ვითომ ჭინჭარაძეს მისი ემართა 50 000 მანეთი. (3; №874)

- გრძელდება შალვა მაღლაკელიძის სასამართლო. (1; №152)
- დააკავეს ნიკოლოზ კახიანი. ბრალდება: 60 000 მანეთის ღირებულების სალომბარდო კვიტანციის მოპარვა იულია ფირცხალავას ბინიდან. (1; №152)
- სახელმწიფო თეატრში, საინიციატივო ჯგუფი იწვევს ყველა ქართველ ხელოვანს: მწერლებს, პოეტებს, მხატვრებს, მსახიობებს, მუსიკოსებს. გრიგოლ რობაქიძე გააკეთებს მოხსენებას თანამედროვე მომენტებზე – „ხელოვანთა მოვალეობა“.

10 ივლისი

- შაბათს, ქართულ კლუბში განმეორებით გაიმართა ნიკო სულხანიშვილის საღამო. შემოსავალი გადაეცა განსვენებული კომპოზიტორის ოჯახს.
- 7 საათზე, იმართება დიდი სეირნობა ლატარია-ალეგრით. სცენაზე წარმოდგენილ იქნება მხიარული კომედია. ბაღში იქნება სხვადასხვა გასართობი. დაუკრავს ტრამვაის მუშათა მუსიკა. კინო მინიონში ნაჩვენები იქნება „ხანჯლიანი ქალი“, მუზჟუხინისა და გზოვსკაიას მონაწილეობით. კომენტარები ზედმეტია, არტისტები ლაპარაკობენ სურათის ღირსებაზე.

11 ივლისი

- კვირიდან ყოველდღე, დღის 2-დან 5 საათამდე ქართული კლუბი გთავაზობთ სადილებს. (3; №872)
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა აცხადებს ლექტორთა მიღებას. ვინც აკმაყოფილებს კრიტერიუმებს (მოცემულია), მან უნდა გაგზავნოს უნივერსიტეტში „კურიკულუმ ვიტაე“ და თავისი შრომები 15 აგვისტომდე. (3; №872)
- ბათუმში ზარ-ზეიმით დაუშვეს ინგლისისა და საფრანგეთის დროშები და აღმართეს ქართული დროშა. „იგრიალა ტაშმა, დაიწყო გუგუნი, სამხიარულო ყიჟინა, „ვაშა!“, „გაუმარჯოს!“, რაღაც თავდაუჭერელმა, აღუწერელმა ზეიმმა გაშალა ფრთა“. (3; №872)
- საღამოს გაიმართა ბანკეტი. დაესწრო ყველა სახელმწიფო მისია. სიტყვა წარმოთქვა ევგენი გეგეჭკორმა, მემედ ბეგ აბაშიძემ და სხვ. (3; №872)
- გენერალი კუკ-კოლისი უარყოფს გავრცელებულ ხმებს, რომ მან შეიძინა 36 მილიონი მანეთის ნივთები და 25 აგარაკი და ის ამბობს რომ ერთი ქოხიც კი სანატრელი აქვს. (3; №872)

12 ივლისი

- სამადლობელო განცხადება გააკეთეს ოსების ტყვეობიდან დაბრუნებულმა პირებმა, მათ მიმართ ვინც ტყვეობაში ყოფნის დროს მფარველობას უწევდა.
- ალ. ლომთათიძის თავმჯდომარეობით გაიმართა ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელზეც საქართველოს მოქალაქეობის მიღების საკითხები განიხილეს.

13 ივლისი

- უგრილეს კინო „მინიონში“ იმართება ჩვენება „შავი მარგალიტი“-სა. დიდი კრიმინალური კინო-რომანი, 6 დიდმოქმედებიანი დრამა გამოჩენილ მაძიებელი მაძებრის ნატ პინკერტონის ბარათების მიხედვით. (3; №873)

- ვერელები ხმას აწვდიან ქალაქ თბილისის გამგეობას, მიუხედავად დროულად გადახდილი გადასახადისა და წინასწარ მიცემული ავანსისა, მაინც ცუდი ელექტრომომარაგება აქვთ. ისინი ადანაშაულებენ ინჟინერ კირაკოზოვს. ასევე მათი ცნობით, კირაკოზოვი ყიდის ერთ ძვირადღირებულ დანადგარს აზერბაიჯანში და ნუ დაუშვებენ ამას. (3; №873)
- გამოვიდა და იყიდება თედო ღლონტის წიგნი „ბოლშევიკების საზიო პოლიტიკა" რუსულად. ფასი 100 მანეთი. (3; №873)
- პაროდიები ჩაჩიბაიას (ალბათ მეღვინეა):

  „ ეს არის რასაც ვეძებდი
  ღვინო კახური კაია
  და ბოთლით ღვინო მომართვეს
  ეწერა: ჩაჩიბაია". (3; №873)
- დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი, სურსათით ღარიბი ქალაქების დასახმარებლად, ესენია: ოზურგეთი, ხონი, ახალციხე, ახალქალაქი, ახალსენაკი, ჭიათურა, სურამი, ონი, გორი, ზესტაფონი, ხაშური, დუშეთი, ფოთი, სამტრედია, ბორჯომი. ამისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა 20 მილიონი მანეთი.
- დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონის საფუძველზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო-სასანიტარო განყოფილების ნაცვლად დაარსდა ამავე სამინისტროსთან – ჯანმრთელობის დეპარტამენტი. (7; 400)
- შეიქმნა საქართველოს ფიზიკური ობსერვატორია, ნაცვლად ადრე არსებული თბილისის ფიზიკური ობსერვატორიისა. (7; 402)

14 ივლისი

- კინო „მინიონი" გთავაზობთ – „სიგიჟის ზღვარზე". მხატვრული და ფსიქოლოგიური დრამა 5 მოქმედებად. (3; №874)
- პლეხანოვის №83-ში გაიხსნა ორიგინალურად მოწყობილი და მხატვრული ესკიზებით დახატული დაწესებულება – „ბლან-ნუარ" – იაპონური, ჩინური და სპარსული სტილით მოხატული დარბაზები. ევროპული და აზიური სამზარეულო, ფასები კონკურენციის გარეშე. (3; №874)
- თბილისიდან ბათუმში გაიგზავნა 5 ვაგონი ფქვილი.
- დაიბეჭდა და იყიდება ახალი რომანსი – „ლერწამი ხარ". მუსიკა – თამარ შავერზაშვილისა, სიტყვები – იოსებ გრიშაშვილისა. ფასი 50 მანეთი. (3; №874)
- საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოება იუწყება, რომ მოწყობილია შემდეგი გზები: თბილისი-ჯოჯორი-მანგლისი, თბილისი-ყაზბეგი, ქუთაისი-ხონი-სამტრედია, ქუთაისი-ბაღდათი, ქუთაისი-ონი, სოხუმი-ახალი ათონი-გუდაუთა-გაგრა, სოხუმი-ოჩამჩირე-ზუგდიდი-ახალსენაკი, ბორჯომი-ახალციხე-აბასთუმანი-ახალქალაქი. მოქმედებს 35 ავტომობილი. ბათუმი-გაგრის მიმართულებით მოძრაობს 4 გემი, ესენია: „ქართლი", „ტფილისი", „ქუთაისი", „სოხუმი". (3; №874)

15 ივლისი

- ბათუმის მრეწველთა კომიტეტმა დაადგინა გადასცეს ერთი მილიონი მანეთი ფრონტის მთავარ კომიტეტს, ჯარისკაცთა საჭიროებისათვის.
- საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა, მიიღო წერილი ესპანეთის ვიცე-კონსულისაგან. წერილით ქართველებს ულოცავს ბათუმის დაბრუნებას და იმედოვნებს იქ ესპანეთის ვაჭრობის საქმის შემსუბუქებას. გეგეჭკორი ასევე ინახულა საბერძნეთის მისიამ და მანაც მიულოცა. (1; №156)
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ივანე ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით დაიწყო საორგანიზაციო კომიტეტის სხდომები, მიძღვნილი სწავლის გაუმჯობესებასა და სისტემის დახვეწისადმი. (1; №156)
- სასურსათო განყოფილება იუწყება, რომ მომარაგების სამინისტროს განკარგულებით თბილისიდან ხორბლის გატანა აკრძალულია. მეზობელი სოფლების ერობებმა უნდა აცნობოს მოსახლეობას, რომ თბილისში არ შეიძინონ ხორბალი. (1; №156)
- საარტისტო საზოგადოების თეატრი იუწყება, რომ გაიმართება დადგმა „ინსტინქტი“, რუსეთიდან ახლად დაბრუნებული მსახიობების მესხიშვილისა და ნუცა ჩხეიძის მონაწილეობით. (1; №156)
- „ყველა მიწის გული და მადნეულობა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, გარდა ჩვეულებრივი თიხისა, ქვიშისა, ხრეშისა და უბრალო საშენებელი ქვისა, გამოცხადებულ იქნეს სახელმწიფო საკუთრებად 1917 წლის დეკემბრის 16-დან“ – იუწყებოდა დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონი. (1; №156, 7; 407)

16 ივლისი

- სოფლად შიმშილობაა, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში: რაჭა, სამეგრელო, ზემო იმერეთი. მოსახლეობის გაჭირვებით სარგებლობენ ჩარჩ-ვაჭრები და კაპიკებში იგდებენ ხელში მშიერთა ყოველივეს. (1; №157)
- იდგმება წარმატებული ნაბიჯები, გერმანიის უნივერსიტეტში ქართველ სტუდენტთა მოსახვედრად. (1; №157)
- მიკროსკოპული სადგურის გამგემ, ერობათა კავშირს წარუდგინა მოხსენება, საქონელზე საერობო გადასახადის დაწესების შესახებ. ასევე განაცხადა, რომ ზოგიერთი საკლავი არ იხდის გადასახადს. (1; №157)
- გზათა დეპარტამენტის დირექტორმა ნება დართო, გადაეცეს სომხეთს, თავის დროზე სადგურ სანაინში დაკავებული ასამდე ცისტერნა ნავთი. (1; №157)

17 ივლისი

- დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი მადლობას უძღვნის გვარდიის კრებას მისალმებისათვის და კიდევ ერთხელ უცხადებს მას ნდობას. (3; №877)
- ბათუმში 5 500 ტომარა ფქვილი შეიტანეს. (3; №877)
- ხელისუფლების სათავეში მოსული ბოლშევიკი აზერბაიჯანელები საქართველოს წინააღმდეგ ახალი ტიპის ბრძოლაზე გადავიდნენ. იარაღი სიტყვით შეცვალეს. „აზერ-

ბაიჯანის კომუნისტები ჰხმარობენ ყუმბარებად ჭორს, ინსინუაციას, სიყალბეს, მომშხამველ გაზებად პროვოკაციას, სიცრუეს". (3; №877)

- ქართული კლუბი აწყობს საქველმოქმედო საღამოს. მოეწყობა სეირნობა და სპექტაკლი – „შეშლილი", ალექსი-მესხიშვილისა და ნუცა ჩხეიძის მონაწილეობით. დასწრება შეუძლიათ ბავშვებსაც. (3; №877)
- სიღნაღის სამაზრო ერობის გამგეობა იწვევს ინსტრუქტორებს სკოლისათვის. ჯამაგირი 5000 მანეთი, სასურსათო დახმარება 2000 მანეთი. ანაზღაურება დღიური 130. (3; №877)

18 ივლისი

- სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა იწვევს მომუშავეებს წიგნთსაცავში დროებით სამუშაოდ. მოთხოვნები: ქართულისა და ორი ევროპული ან კლასიკური ენის ცოდნა და გამართული კალიგრაფია. (3; №878)
- ბაღი „ედემი" ვერაზე. ფანჩატურები, სიგრილე. აქ „ყოველი სტუმრის სასტიკი მოთხოვნა" დაკმაყოფილდება. სარდაფი ღვინით, აუზი „ცოცხალით", უკრავს აზიური და ევროპული მუსიკა. (3; №878)
- საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დეპარტამენტი აცხადებს, რომ ამიერიდან უქმდება არსებული და ძალაში შედის მთავრობის მიერ დამტკიცებული ახალი სააფთიაქო ნიხრი. (1; №159)
- მეორე ქართულ კლუბში 10 საათზე, დანიშნულია წევრთა საგანგებო კრება. იმართება წევრთა და კანდიდატთა არჩევნები და სხვა მიმდინარე საკითხთა განხილვა. (3; №878)
- კვირას, დილით, ივანე ბერაიასთან, სასტუმრო „პალეროიალში" მივიდა ნაცნობი ქალბატონი მარიამ იარლოვა და გულში რევოლვერი დაიხალა. წაიყვანეს მიხეილის საავადმყოფოში. ასეთი ნაბიჯის გადადგმა ძლიერმა და უპასუხო სიყვარულმა აიძულა. (3; №882)

19 ივლისი

- ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა, იწვევს ამავე ერობის ხმოსანთა მორიგ (მეხუთე) ყრილობას. მითითებულია განსახილველი საკითხები. (3; №878)
- ორშაბათს, ფინანსთა სამინისტროში, თბილისში საფონდო და საქონლის ბირჟის გახსნის საკითხის შესახებ შედგება ფინანსთა მინისტრის საბჭოს სხდომა. (3; №878)
- კინემო „მინიონში" იმართება სპეკტაკლი „ეპატიოს თუ არა?". მონაწილეობს ნიუ-იორკის თეატრის მსახიობ-ქალი ლილიან ლორენი.

20 ივლისი

- ქალაქის გამგეობამ, ანტისანიტარიასთან საბრძოლველად, გადაწყვიტა დახუროს ყველა სასადილო დეზერტირების ბაზარზე. (3; №879)
- სახელმწიფო ბანკის გამგეობამ გადაწყვიტა გამოყოს 100 მილიონი მანეთი მრეწველობის განვითარებისათვის და კოოპერატიულ-საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩამოსაყალიბებლად. (3; №879)

- დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიამ, მოიწონა იაკობ ნიკოლაძის (როდენის მოსწავლე) მიერ შესრულებული, ნოე ჟორდანიას მჯდომარე ქანდაკების პროექტი და ებრძანა ქანდაკებაზე მუშაობის დაწყება. ქანდაკება დაიდგმება დამფუძნებელი კრების დარბაზში. (1; №160)
- შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი გაემგზავრა ბათუმში. მას თან ახლდნენ განათლების მინისტრის მოადგილე ნ. ცინცაძე და ჯანმრთელობის დეპარტამენტის დირექტორი ჯაფარიძე. (1; №160)
- ბათუმიდან დაბრუნებულმა სასურსათო განყოფილების გამგემ ფანიევმა განაცხადა, რომ ზოგი ის ფირმა, რომელმაც დატოვა ბათუმი ინგლისელებთან ერთად, კვლავ სურვილს გამოთქვამენ აქ საქონლის შემოტანაზე. მაგალითად ინგლისური ფირმა „ლევანტი“. (1; №160)

21 ივლისი

- მიწათმოქმედების სამინისტრომ გამგებლობაში მიიღო ბათუმის ბოტანიკური ბაღი. იგეგმება აგრარული რეფორმა ბათუმში. ასევე მიიღეს ჩაქვის მამული, 90 000 გირვანქა ჩაის მოსავლის ოდენობით. (1; №161)
- დიდი წვიმების გამო, ენგური კალაპოტიდან გადმოვიდა და რამდენიმე სოფელი გაანადგურა. იუწყება ზუგდიდიდან მთავრობის სახელზე მოსული დეპეშა. (1; №161)
- საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალურმა კავშირმა გადაწყვიტა, გვარდიის საჭიროებისათვის დაიწყოს ხორცის კონსერვების დამზადება. (1; №161)
- საქართველოს მუზეუმის შენობისათვის, ცხადდება ხე-ტყის მასალის შეძენის სურვილი. პირობების გაგება კომისიის კანცელარიაში 10-დან 14 საათამდე. (1; №161)
- სპეციალისტ სამთო-ინჟინერებისაგან შემდგარმა კომისიამ შეისწავლა ტყიბულის მაღაროები, მოიწონა და მოპოვების გასაზრდელად ზოგიერთი ტექნიკური მიღწევის დანერგვაც მოითხოვა. (1; №161)

22 ივლისი

- მიწათმოქმედების სამინისტრომ გადაწყვიტა, შემოდგომაზე დაიწყოს მუშაობა ფოთის ჭაობების ამოსაშრობად. სამუშაოები დაახლოებით ორ წელში დამთავრდება. ჭაობების გამოსაკვლევად გადაიდო 4 მილიონი მანეთი. (1; №162)
- იტალიის გემის „ნიმფის“ ადმინისტრაციამ გადაწყვიტა გემს სახელი შეუცვალოს და „საქართველოს რესპუბლიკა“ დაარქვას. გემმა მოიტანა 300 მილიონი მანეთის პროდუქციაც. (1; №162)
- შრომის სამინისტრომ მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, მუშათა სასახლის შესაკეთებლად თანხის გამოსაყოფად. (1; №162)
- სამსონ ფირცხალავა თავის წერილში „სადაა ქართული თეატრი?“, უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის შესახებ, რომ თეატრს, რომელიც ასე მნიშვნელოვანია ეროვნული თვითშეგნების განვითარებისათვის, სათანადო ყურადღება არ ექცევა არც მთავრობისა და არც საზოგადოების მხრიდან. „ჩვენს არსებობაში რომ კულტურის განცდა ძლი-

ერი იყოს, მით განმსჭვალული იყოს ჩვენი ბუნება, ასე სუსტი არ იქნებოდა დღეს საქართველოში კულტურული მუშაობა, ასე მცირე ადგილი არ ექნებოდა დათმობილი საგანმანათლებო მუშაობას". (3; №881)

- გამოვიდა და ხელისმომწერთ დაურიგდებათ ნოე ჟორდანიას თხზულებათა მეორე ტომი.(3; №881)
- თელავში, ყაზარმების ტერიტორიაზე, ძლიერმა გრიგალმა გაანადგურა საავადმყოფოები და სამხედრო ლაზარეთი. (3; №883)

23 ივლისი

- პ. დადვაძე ეხმაურება სამსონ ფირცხალავას წერილს თეატრის შესახებ და ამბობს, რომ სახელმწიფო შეძლებისდაგვარად ეხმარება თეატრს. მათთვის უკვე გამოიყო ბინა, ფული და იგეგმება მათზე ქალაქის თეატრის გადაცემაც. ის მიუთითებს თეატრის შიდა პრობლემებზე, დასის არყოლასა და რეჟისორთა არაპროფესიონალიზმზე. (3; №882)
- საჩხერეში დაკრძალავენ პოეტ „რუს-იმერელს" იგივე ვიქტორ იურკევისს. საღამოს 6 საათზე კი ქაშვეთის ეკლესიაში, მწერალთა კავშირის თაოსნობით დანიშნულია პანაშვიდი. (3; №882)
- თბილისში ჩამოსულმა, იტალია-კავკასიის გამნაღდებელი ბანკის გამგემ მ. მ. პინტომ განაცხადა, რომ მიუხედავად მისი ქვეყნის პოლიტიკისა, მათ გაითვალისწინეს იტალიის საზოგადოების აზრი და ამან დიდი როლი ითამაშა იტალიის მიერ საქართველოს აღიარებაში. ის ასევე სურვილს გამოთქვამს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაღრმავებისა. (1; №161)
- ბათუმიდან მიიღეს ცნობები სტერლინგის კურსის დაცემასა და ქართული მანეთის კურსის ზრდაზე. ასევე, ბათუმში შემოსვლა იწყო სავაჭრო საქონელმაც. (1; №163)
- შედგა ფრონტის დამხმარე ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც სოფლად დააარსა ქვეკომისიები. მათ დაევალათ სურსათ-სანოვაგისა და ფულის შეგროვება. ამ კეთილ განზრახვას ხალხი აღტაცებით სწირავს რაც შეუძლიათ. (1; №163)

24 ივლისი

- დასავლეთ საქართველოში დაარსდა ქართული ხალხური სიმღერის მოყვარულთა საზოგადოება. ის ხსნის უფასო სიმღერისა და გალობის სკოლას ფოთში. მასწავლებლად მოწვეულნი არიან ამ საქმის კარგი მცოდნენი. (3; №883)
- გამოვიდა „ვეფხისტყაოსანის" შესწორებული 22-ე გამოცემა იუსტინე აბულაძის რედაქტორობით. (3; №883)
- შრომის ბირჟასთან არსდება საკონტროლო აპარატი, რომელიც თვალყურს ადევნებს მუშებისა და მოსამსახურეების, სამსახურში მიღების წესებს. (1; №164)
- შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დახურეს გაზეთი „გრუზია", ამავე გაზეთის 90-ე ნომერში დაბეჭდილი სტატიის გამო სადაც, მინისტრის თქმით, შეურაცხყოფას აყენებდნენ საქართველოსადმი კეთილგანწყობილი მეზობლის, საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს. (1; №164)

- უნივერსიტეტის გამგეობამ მიიღო ზომები, შემოდგომისათვის სამკითხველოს გახსნისათვის. ამჟამად აქ ინახება 100.000 ტომი წიგნი. საზღვარგარეთიდან სპეციალური წიგნების ჩამოსატანად მიღებულია ზომები. (1; №164)
- დიდი ზეიმით გაიხსნა სახელმწიფო ბანკი. ცერემონიას ესწრებოდნენ და სიტყვა წარმოთქვეს: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარემ ალექსანდრე ლომთათიძემ, მინისტრმა ნოე რამიშვილმა, ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა ს. ავალიანმა და ცენტრალური ბანკის თავმჯდომარემ პართენ გოთუამ. (3; №885)

25 ივლისი

- ქართულმა სააქციონერო საზოგადოებამ „ოქროს ვერძი", ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტს აცნობა 300.000 მანეთის შეწირვა. (1; №165)
- სახელმწიფო თეატრი იწვევს მსურველთ, აიღონ იჯარით 2 ბუფეტი თეატრში, სადაც მოხდება ლიმონათისა და საკონდიტრო ნაწარმის გაყიდვა. დაინტერესებულმა პირებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ განცხადებული თანხის 10%.
- ზაქარია ფალიაშვილი უძღვნის იოსებ გრიშაშვილს (ნაწყვეტი):

  „ნებიერს – მზითვად გაჩუქეს ტაში
  და შენი ლექსი ფრთადაგეშილი,
  ისე გაიკრა ქართულ სიტყვაში
  როგორც ყაბახზე ბატონიშვილი". (3; №884)
- თბილისში ჭლექით გარდაიცვალა მსახიობი ქალი მარიამ შავერზაშვილი. (3; №884)
- ამერიკის კომიტეტმა საქართველოს, რკინიგზის სარგებლობისათვის, ფულის ნაცვლად ფქვილი ჩააბარა: ფოთში 63.000 ფუთი, ბათუმში – 40.000 ფუთი. (3; №884)

26 ივლისი

- გაიხსნა თბილისის სამაზრო ერობის წევრთა ყრილობა, რომელსაც დ. ასათიანი თავმჯდომარეობდა.
- გაიმართა ქალაქის საბჭოს სხდომა ალ. ლომთათიძის თავმჯდომარეობით. სხდომაზე ქალაქის სანიტარულმა ინსპექტორმა მეუნარგიამ წაიკითხა მოხსენება ქალაქის სანიტარული მდგომარეობის შესახებ.

27 ივლისი

- მუშები უკმაყოფილებას გამოთქვამენ ვაჭართა თავგასულობასა და მათ მიერ, პროდუქტზე ფასის ხელოვნური ზრდით. ისინი მოუწოდებენ პროფკავშირებს, შეუდგნენ ენერგიულ მუშაობას მათთვის ნატურით აღმოჩენილი შეღავათების გაწევისა. (3; №885)
- უნივერსიტეტის გამგეობა აცხადებს: მისაღებ გამოცდებს – 1-20 სექტემბერი, სწავლა – 1 ოქტომბერი – 30 დეკემბერი. მოწვეულნი არიან პროფესორები: ასირიული ენის კათედრაზე: მ. წერეთელი და ა. ჯავახიშვილი. (1; №166)

- ფოთში მოვიდა და გუმბრში გაიგზავნა, ამერიკიდან სომხეთისათვის გამოგზავნილი 500 ვაგონი სამხედრო იარაღი, მასალა და სურსათი. (1; № 166)
- საზოგადოება „ჩემო" სთხოვს ფინანსთა მინისტრს, გაცემულ იქნას განკარგულება, ბათუმში მარგანეცით გემების დატვირთვა და მათი პორტიდან გასვლა არ მოხდეს ისე, რომ საქმის კურსში არ იყოს ვაჭრობის სამინისტრო და „ჩემო". (1; №166)
- მიმდინარეობს „დედა-ენის" ბეჭდვა. ორივე ნაწილი იბეჭდება ქალაქთა კავშირის სტამბაში. ქაღალდის სიმცირის გამო იბეჭდება მხოლოდ 100.000 ცალი, რაც თანაბრად უნდა გადანაწილდეს რესპუბლიკის ფარგლებში. (1; №166)

28 ივლისი

- ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილი ჩამოვიდა თბილისში. მან აბასთუმანში ინახულა ნოე ჟორდანია.
- სარწმუნო წყარო იუწყება, რომ მალე დაიდება სავაჭრო ხელშეკრულება საქართველოსა და საბჭოთა აზერბაიჯანს შორის, ასევე დაიწყება ნავთობის გადაქაჩვა ნავთსადენითაც.
- თბილისის სასურსათო განყოფილებამ, ქალაქის სურსათის მომარაგებისათვის, აიღო გრძელვადიანი სესხი ბანკისაგან 10 მილიონი მანეთის ოდენობით.
- სატარიფო პალატა ითხოვს, რომ ქუთაისის ელექტრონის სადგურის მუშების ხელფასი გაიზარდოს და გაუტოლდეს თბილისის ელექტრონის სადგურის მუშების ხელფასს.
- ილია ერაძის მიერ შედგენილი „ქართული ენის სასწავლებლის მეთოდიკა" მალე დაიბეჭდება.

29 ივლისი

- თბილისის მმართველობამ გადაწყვიტა აუკრძალოს პურისა და მჭადის გაყიდვა: მედუქნეებს, წვრილ მოვაჭრეებს და დამტარებლებსაც კი, რადგან უშუალოდ გლეხების საქონელი გაიყიდოს. (1; №168)
- სამხედრო სამინისტროს სასანიტარო განყოფილება აქვეყნებს სიას იმ ჯარისკაცებისა, რომლებიც გაიგზავნებიან სამკურნალოდ ახტალის საავადმყოფოში. (1; №168)
- სახელმწიფო უნივერსიტეტის საქიმო ფაკულტეტს გადაეცა ძველი საფერშლო სკოლა. მათი გამგეობის განკარგულებით აქ მოეწყობა ანატომიური ინსტიტუტი. მიღებულია ზომები გისტოლოგიური კათედრის დასააარსებლად. უკვე დაარსდა ფიზიოლოგიური ლაბორატორია. (1; №168)
- ქართულ კლუბში იმართება ვახტანგ გარიკის დეკლამაციის საღამო. (3; №887)
- ჯარის სანიტარული ნაწილის უფროსი, მედიკამენტებით გაემგზავრა ბათუმის ოლქში. განზრახულია იქ საგანგებო სამხედრო ჰოსპიტლის გახსნაც. (1; №168)
- ქალაქის სასურსათო განყოფილება მიმართავს თვითმმართველობას შუამდგომლობით, რათა ნება დართონ მას საქართველოს სახელმწიფო ბანკიდან, ქალაქის სურსათით მომარაგების ხარჯებისათვის აიღოს სესხი 10 მლნ. მანეთის ოდენობით. (3; №887)

30 ივლისი

- მთავრობამ დაადგინა სახელმწიფო სტამბის შესაკეთებლად გამოყოს თანხა 392 747 ათასი მანეთის ოდენობით. (3; №888)
- იუსტიციის სამინისტრომ მთავრობას წარუდგინა გამკაცრებული კანონი იმ პირთა შესახებ, რომლებიც ყალბ ფულს ჭრიან. (3; №888)
- კლუბების კავშირის კომიტეტმა ძლიერი სიცხის გამო შუამდგომლობით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა დართონ ნება 11 საათის ნაცვლად კლუბი 12 საათზე დახურონ. (3; №888)
- მთავრობის დადგენილებით, სამი თვით ადმინისტრაციული წესით დააპატიმრეს ვინმე ჯამბაზიანცი (მამედოვი), რომელიც სასტუმრო „სევერნიე ნომერაში" შევიდა და თავი მის მფლობელად გამოაცხადა. (3; №888)
- მთავრობის წინადადებით, ამიერკავკასიის უნივერსიტეტისა და სამოსწავლეო ნაწილის მდგომარეობის შესასწავლად სახალხო განათლების სამინისტროსთან დაარსდა საგანგებო კომისია წევრებით: პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, ჯანმრთელობის დეპარტამენტის დირექტორი ს. ჯაფარიძე და ფინანსთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორი ჩხეიძე. (1; № 163)

31 ივლისი

- თბილისში იმყოფება სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის პრეზიდიუმი, თავმჯდომარის – მემედ აბაშიძის მეთაურობით. განიხილება სამუსლიმანო საქართველოს შინაგანი მოწყობის საკითხები. (3; №889)
- ფოთის ნავსადგურში იტვირთება გემი, რომელიც 430.000 ფუთ ჭიათურის შავ ქვას წაიღებს. (3; №889)
- სასურსათო განყოფილებამ დააწესა ახალი ნიხრი მარილზე: ფხვნილი მარილი, გირვანქა 8 მანეთი. ხვრიშირი მარილი 7 მანეთი. ასევე შეუდგა კვერცხის შეძენას ქალაქისათვის და მის განაწილებას. (3; №889)
- თბილისისათვის შეშის დამზადება კარგი ტემპით მიმდინარეობს. იღებენ ზომებს რათა შეიძინონ და თბილისში შემოიტანონ. (3; №889)
- შრომის სამინისტრომ მიიღო მრავალი ცნობა, დროულად მიუღებელი ჯამაგირების შესახებ. ამის გამო, ცირკულარით მიმართა ყველა დაწესებულებას, რათა დააჩქარონ ზომების მიღება, ხელფასების დროულად გაცემისათვის. (3; №889)

1 აგვისტო

- თბილისის კონსერვატორიის უძრავ-მოძრავი ქონება სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. (1; №171)
- იუსტიციის სამინისტრომ ტუსაღებს ულუფა გაუზარდა 1-1,5 გირვანქიდან ორ გირვანქამდე. (1; №171)
- ქალაქთა კავშირმა მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძისგან, ნოე ჟორდანიას ბიუსტი მიიღო. ეს ბიუსტი ქალაქთა კავშირმა შეუკვეთა ქალაქებისთვის დასარიგებლად. (1; №171)

- გადაწყდა რომ სენატორებს ჯამაგირი გაზრდოდათ იმავე წესით, როგორც ხდებოდა მუშებისა და რესპუბლიკის ყველა მოსამსახურის ჯამაგირის გაზრდა. (1; №171)
- ნება დაერთო სათანადო ბაჟის გადახდის შემდეგ, ინგლისის ფირმათა წარმომადგენლებს, საზღვარგარეთ თამბაქოს გატანისა. ბაჟის რაოდენობის განსაზღვრა ფინანსთა სამინისტროს მიენდო. (1; №171)

2 აგვისტო

- მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევგენი გეგეჭკორი თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა. (1; №173)
- მთავრობის საქმეთა მმართველს კ.ი ჯაფარიძეს მიეცა ექვსკვირიანი შვებულება.მისი მოვალეობის შესრულება მოქალაქე ვასილ თომას ძე ხახანაშვილს დაეკისრა. (1; №173)

3 აგვისტო

- ბათუმში დაიწყო გემების მარგანეცით დატვირთვა. (1; №172)
- ერთი თვით დასასვენებლად წავიდა შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი. მისი მოვალეობის შესრულება პ. ჭიჭინაძეს დაევალა. (1; №172)
- მიღებული ცნობებით საბჭოთა ჯარების შეჯგუფება დაიწყო აქსტაფაში. ამ ჯარებიდან ნაწილი შემოიყვანეს ნეიტრალურ ზონაში, რის გამოც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ პროტესტი განაცხადა. (1; №172)
- მოსაზღვრე რაზმის უფროს გენერალ ახმეტელთან ერთად დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის თავჯდომარე ა. ჩხენკელმა დაათვალიერა დარიალის საზღვარი, გაეცნო იქ მყოფ ჯარის ნაწილებს და საბაჟოს მუშაობას. ყაზბეგში მას დახვდა ადგილობრივი გარნიზონი და ახლო-მახლო სოფლების წარმომადგენლები. იქედან ის თრუსოში წავიდა, სადაც ოსები ცხოვრობდნენ, ისინი საქართველოს მიმართ লოიალურად იყვნენ განწყობილები. ფასანაურში დეპუტატს დაუხვდნენ შორეული სოფლიდან წამოსული გლეხები, საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენლები. ჩხენკელმა მათ საშინაო და საგარეო პალატის შესახებ ლექციები წაუკითხა. (1; №172)
- მოკლეს ბათუმში მყოფი სომხეთის საელჩოს მოსამსახურე სანი ამიროვი. რამდენიმე ხნის წინ ამიროვი ცუდი ყოფაქცევისთვის დაითხოვა საკონსულომ. ამის შემდეგ ამიროვი თვრებოდა და ისროდა ქუჩებში. მან ესროლა მილიციონერს, საპასუხო სროლის შედეგად ის მოკლულ იქნა. მკვლელობის ადგილზე მოვიდა საგანგებო კომისარი, სომხეთის ელჩი და სხვები. (1; №172)
- ახალქალაქის მაზრაში მცხოვრებმა დუხობორებმა შ.ს. სამინისტროში შეიტანეს განცხადება, სადაც ნათქვამი იყო რომ ახალქალაქის მაზრაში ვრცელდებოდა ხმები თითქოს ახალქალაქის მაზრა სომხეთს გადაეცა. მათი თქმით ასეთი ხმები მათ ძალიან აღიზიანებდათ და მოითხოვდნენ ზომების მიღებას, ამ ხმების გავრცელების წინააღმდეგ. (1; №172)

4 აგვისტო

- თბილისში ჩამოვიდა მეჰმედ ბეგ აბაშიძე. მისი მიზანი იყო აჭარაში ადმინისტრაციული აპარატის გამართვასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების გამართვა. ასევე მან დამფუძნებელ კრებას აცნობა მეჯლისის დადგენილება, იმის შესახებ, რომ დამფუძნებელ კრებას მეჯლისთან შეთანხმებით უნდა ემუშავა და რომ აჭარა ავტონომიად გამოცხადებულიყო. საკითხები რომელსაც ოლქისთვის ჰქონდა მნიშვნელობა ადგილობრივმა აპარატს უნდა გადაეწყვიტა. (1; №173)
- ბათუმის ოლქის განსაკუთრებულმა კომისიამ გასცა განკარგულება რომლის მიხედვითაც მთელი ნავთობის რაოდენობა აღიწერა. (1; №173)
- დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი თავდაცვის ფონდისთვის 400 მილიონი მანეთის გადადების შესახებ. (1; №173)
- მუშათა მაგიდამ მიმართა მომარაგების სამინისტროს თხოვნით, რათა მას დათმობოდა სხვადასხვა პროდუქტი მუშათა და მოსამსახურეთა უზრუნველსაყოფად. მუშათა მაგიდამ ზომები მიიღო, რათა მუშები უზრუნველეყო იმ საქონლით, რომელსაც მანამდე არ არიგებდნენ, მაგალითად: ნახშირით, შეშით, კარტოფილით. (1; №173)
- საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით გერმანიაში მყოფ ტყვე ქართველებთან წერილის გაგზავნა შესაძლებელი იყო საგარეო საქმეთა სამინიტროს საინფორმაციო განყოფილების საშუალებით. წერილზე აღნიშნული უნდა ყოფილიყო სახელი, გვარი და მამის სახელი. ამასთანავე საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო ზომები გამოერკვია ჩეხოსლოვაკიაში და სხვა ქვეყნებში ტყვედ მყოფი ქართველი ტყვეების მისამართები. (1; №173)
- საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა აცნობა ყველა პროფკავშირს რომ თუ ისინი საბჭოს სასარგებლოდ 5% არ შეიტანდნენ ისინი საბჭოდან გაირიცხებოდნენ და უფლებას დაკარგავდნენ ყოლოდათ წარმომადგენლები ყრილობაზე. (1; №173)

5 აგვისტო

- მომღერალ თარხან მოურავის კონცერტი ქართულ კლუბში. (1; №173)
- ქალაქთა კავშირმა სახალხო ბატალიონის იმ გვარდიელთა ოჯახების სასარგებლოდ, რომლებიც აზერბაიჯანის ფრონტზე დაიღუპნენ 10 000 მანეთი გადასდო. (1; №174)
- რკინიგზის უფროსმა განკარგულება გასცა მიეღოთ ზომები რკინიგზაზე ყალბი ბილეთებით მგზავრობის წინააღმდეგ, ყველა ყალბი ბილეთის მყიდველი და გამყიდველი პოლიციას უნდა გადასცემოდა. (1; №174)
- ბათუმიდან – ოლქის საგანგებო კომისარმა ბენია ჩხიკვიშვილმა ბრძანება გასცა ყველა საზოგადო სახლის დახურვის შესახებ. საზოგადო სახლის ყველა შემნახველნი და როსკიპები რესპუბლიკიდან უნდა განდევნილიყო, მათგან ვინც საქართველოს ქვეშევრდომია უნდა გაგზავნილიყო ეტაპით მუდმივ საცხოვრებელ ადგილას და მათზე უნდა დაწესებულიყო მილიციის ზედამხედველობა. თუ ერთი კვირის შემდეგ ასეთი პირი ქალაქში აღმოჩნდებდა, მაშინ ის უნდა გაეყვანათ იძულებით სამუშაოზე, ეკე-

რინებინათ და ერეცხინებინათ ტომრები, ეგვევინებინათ ქუჩები და სხვა. ამისათვის ისინი ქალაქგარეთ ერთ ყაზარმაში უნდა მოექციათ და ფულის მაგივრად მიეცათ საზრდო. როდესაც ფარულ საზოგადო სახლის შემნახველებს აღმოაჩენდნენ, მათ დაუპატიმრებდენ, მათსავე ხარჯზე ასაზრდოებდნენ. მილიციის წევრებმა უნდა ეწარმოებინათ აღნიშნულ პირთა რეგისტრაცია. (1; №174)

- სკანდინავიაში ვიზიტით მყოფი საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი არისტო ჭუმბაძე საქართველოში დაბრუნდა. მან აღნიშნა, რომ შვეიცარია, ნორვეგია, დანია ის ქვეყნები არიან ვინც პირველად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობაო. მისივე თქმით, ადგილობრივმა პრესამ დიდი ინტერესი გამოიჩინა საქართველოს მიმართ. სავაჭრო წრეები ძლიერ დაინტერესებულან თუმცა პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას ერიდებიანო. (1; №174)

6 აგვისტო

- მთავრობამ დაადგინა ტყიბულის მაღაროელების მიერ აშენებული კირის ქარხნის შესყიდვა. (1; №175)
- თბილისის კოოპერატივთა კავშირმა მიიღო ენერგიული ზომები, რათა ზამთრისთვის სურსათ სანოვაგე მოემარაგებინა. (1; №175)
- ერობათა კავშირის კომიტეტმა ერთ-ერთი შვეიცარული კომპანიისგან მიიღო წინადადება რომ იგი დაეხმარებოდა კომიტეტს სავაჭრო ოპერაციაში. (1; №175)
- აფხაზეთის კომისარიატმა ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტერს გამოუცხადა, რომ მონასტრის მამული, რომელიც გუდაუთაში იყო მას ერთმეოდა. მონასტრის რწმუნებულმა ითხოვა იჯარის შემცირება, რაც მას დაუკმაყოფილეს. (1; №175)
- საქართველოს მთავრობამ დააკმაყოფილა მოქალაქე ბ. გიზის შუამდგომლობა საქართველოს მთავრობის წინაშე, რომ მდინარე ტყიბულზე ჰიდრო-ელექტრო სადგურის ასაშენებლად მიეცემოდა კონცესია. კონცესია სამოცი წლის ვადით უნდა ყოფილიყო, შემდეგ ის საქართველოს გადაეცემოდა. (1; №175)
- ბათუმის ოლქის ჭოროხის იქეთ მხარე, ჩეტნიკთა ბრბოებისაგან სრულად გაიწმინდა. (1; №175)
- საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელობამ საქართველოს შეატყობინა რომ 29 ივლისს მტკვრის და არაგვის შესართავთან დაიხრჩო მისიის დიპლომატიური შიკრიკი კესლერი, რომელიც კავკავიდან სომხეთს მიდიოდა. ამის შესახებ ამცნეს იუსტიციის სამინისტროს, რომელმაც დაუყოვნებლივ მიანდო საპროკურორო ზედამხედველობას ყველა იმ გარემოებათა კვლევა რომელშიც კესლერი დაიღუპა. (1; №175)

7 აგვისტო

- სწრაფი მატარებლების მიმოსვლა დროებით შეწყდა. (1; №176)
- მთავრობამ ეპიდემიასთან საბრძოლველად 20 მილიონი მანეთი გადადო. (1; №176)
- ქალაქთა კავშირმა კოოპერატიულ კავშირთან ერთად შეიძინა შუშის ქარხანა. გადაწყვეტილი იყო მოკლე ხანში გააფართოვოს შუშის დამზადების საქმე. (1; №176)

- მელითონეთა კავშირის გამგეობამ მიმართა შრომის კომისარს, რათა წისქვილის მეპატრონე ს. გასპარიანცი, რომელმაც დაარღვია 8 საათიანი სამუშაო დღის დეკრეტი, პასუხისგებაში მიცემულიყო. (1; №176)
- თბილისის თვითმმართველობამ დაადგინა, გადაესვენებინათ ინგლისელი ჯარისკაცები, რომლებიც კერძო ადგილას იყვნენ დამარხულები. ამ ცერემონიისთვის ქალაქის თვითმმართველობა თანხებს ითხოვდა, დაკრძალვაში მონაწილეობა უნდა მიეღო ინგლისის მისიას. (1; №176)

8 აგვისტო

- იაფ-ფასებში ნაჩვენები იქნა ფილმი „ბათუმის გადაცემა საქართველოზე". (1; №177)
- უნდა გამართულიყო დიდი საღამო სეირნობა, მეტად საინტერესო პროგრამა-ლატარიით – ალეგრი და აუქციონი ქართულ კლუბში. დიასახლისი ოლღა სვიმონის ასული ივანიშვილი. (1; №177)
- კომენდანტმა ბრძანება გასცა, რომლის მიხედვითაც სამხედრო სამსახურის გარეშე პირნი სამხედრო ფორმის ტარებისათვის მკაცრად დაისჯებოდნენ.
- სახალხო გვარდიამ და მილიციონერთა რაზმმა ადგილობრივი გვარდიის მეთაურის შუშიაშვილის ხელმძღვანელობით გაანადგურა თიანეთის ტერიტორიაზე არსებული ყაჩაღთა ბანდა. (1; №177)
- თბილისს გადაეცა 50 მილიონის სესხი, რათა სასურსათო ოპერაციები განხორციელებულიყო. (1; №177)
- ოსმალეთის ნაპირებთან პოლიციამ შეამჩნია ოსმალეთის აგენტების ფელუგა. ისინი ზღვაში მიიმალნენ, თუმცა შემდეგ რაზმი დიდი გემით „ჭორობით" გავიდა ზღვაში ფელუგას დასადევნებლად. ფელუგაში მყოფებმა იარაღის ზღვაში გადაყრა დაიწყეს. საბოლოოდ გემმა „ჭორობმა" ფელუგა ბუქსირით მიიყვანა ნავსადგურში. (1; №177)

9 აგვისტო

- გაიხსნა პურის კანტორა რომელშიც შედიოდნენ სასურსათო განყოფილებისა და პურის მცხობელთა ამქრის წარმომადგენლები. პირველ დღეს პურის ფასები ასეთი იყო: ქერი შავი ფუთი – 550 მანეთი, თეთრი – 600-800 მანეთი, ხორბალი – 1100 მანეთი. (1; №182)

10 აგვისტო

- ხორბლის ფასი გირვანქა შავ პურზე ხუთი მანეთით დაეცა. (1; №178)
- სასურსათო განყოფილებამ მცხოვრებთა საჭიროებისათვის 3 ვაგონი მარილი შეიძინა. (1; №178)
- რუსეთში მიმავალ მუშათა დელეგაციის სხდომა გაიმართა. (1; №178)
- კათალიკოსის საბჭომ ყველა სახელმწიფო დაწესებულებას კითხვით მიმართა, თუ რატომ არ იღებდნენ სახელმწიფო სამსახურში სასულიერო პირებს. პასუხი იყო, რომ

მთავრობა არ ხელმძღვანელობდა იმითი, თუ რომელ წოდებას ეკუთვნოდა მთხოვნელი და მიუღებლობის მიზეზი სასულიერო წოდება არ შეიძლება იყოსო. (1; №178)

- დაფუძნდა კოოპერატივი რომელიც მხატვართა ექიმთა, ვექილების და ჟურნალისტების ერთმა ჯგუფმა დააფუძნა, მათ თავისუფალი პროფესიის პირებისთვის უნდა გაეწიათ დახმარება. (1; №178)
- სახელმწიფო თეატრის კომისარმა განაცხადა, რომ შედგა ქართული დრამატული დასი, რომელიც არტისტულ საზოგადოების თეატრში ითამაშებს. სეზონი შ. შარამიძის პიესით „ავგაროზით" გაიხსნებაო. (1; №178)
- ევროპაში გავრცელდა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ბეინბრიჯ ქოლბის ნოტა იტალიის მთავრობისადმი. ნოტაში უარყოფილი იყო საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის ცნობის მიზანშეწონილობა აშშ-ის მიერ. (1; №178)

11 აგვისტო

- სასურსათო განყოფილებამ თბილისელთათვის 1 მილიონი კოლოფი ასანთი შეიძინა. (1; №179)
- გრიგოლ ლორთქიფანიძემ გამოსცა ბრძანება იმის შესახებ, რომ სამხედრო უწყებაში მიწერ-მოწერა მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა ყოფილიყო. (1; №179)
- სახალხო განათლების მინისტრის ცინცაძის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი ოპერის მხატვრულად მოწყობის შესახებ. ამ კომისიაში ხელოვნების ორგანიზაციების წარმომადგენლების გარდა შევიდნენ სახელმწიფო თეატრის დირექტორი, რეჟისორი და სხვა. (1; №179)
- ქალაქის თვითმმართველობის სასურსათო განყოფილებამ ფოთიდან 100 მილიონი მანეთის სხვადასხვა საქონელი მიიღო. დაიგეგმა მისი განაწილება და გასაყიდად დარიგება. (1; №179)
- ტფილისის სამაზრო ერობის გამგეობამ დაადგინა მისცემოდა აგრარულ კომისიას საჭირო თანხა ღალის მოგროვებისა და მეთვალყურეობისათვის. (1; №179)
- მიწად-მოქმედების სამინისტრომ აუწყა ერობათა კავშირის კომიტეტს, რომ მას საექსპლოატაციოდ გადაეცა აჭარისა და ქობლიანის ააგარაკო ტყეები.ამასთან ერობათა კავშირის კომიტეტს მიეცა უფლება მისთვის საჭირო სატყეო მასალის დამზადებისა და გამოტანისა. (1; №179)

12 აგვისტო

- ჯანმრთელობის დეპარტამენტმა შუამდგომლობა აღძრა ფინანსთა სამინისტროში და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში, რათა აკრძალულიყო საზღვარგარეთ ყოველგვარი მედიკამენტის გატანა. (1; №180)
- თბილისში ხოლერამ იჩინა თავი, მედიკოსები შიშობდნენ, რომ ამ დაავადებას უფრო ფართო ხასიათი შეიძლებოდა მიეღო. (1; №180)
- თბილისში მცხოვრებმა სომხებმა ჯარისკაცებს 1 მილიონი პაპიროსი და ასი ფუთი საპონი შესწირეს. სომხეთის ეროვნული საბჭო შუამდგომლობდა ფინანსთა მინის-

ტრის წინაშე, გაეთავისუფლებინა ეს საქონელი ბაჟისაგან. შუამდგომლობას ასაბუთებდა იმით, რომ საქონელს ჯარისკაცებს ვუგზავნითო. (1; №180)

- ბათუმიდან დაბრუნდა და თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა იუსტიციის მინისტრი რაჟდენ არსენიძე. (1; №180)
- ბათუმში მყოფმა ინგლისის კონსულმა ბ-ნა კოლოსმა მიმართა ფინანსთა სამინისტროს თხოვნით,რათა ბრიტანეთის წითელი ჯვრისა,წმინდა იოანე იერუსალიმელის ორდერის სომეხ-ლტოლვილთა დამხმარე ფონდისა და სხვათა მიერ გამოგზავნილი საქონელი ბაჟისაგან გაენთავისუფლებინა,ისინი ამ თხოვნას იმით ასაბუთებდნენ რომ ეს საქონელი არ იყო გასაყიდად გამიზნული ,არამედ სომხეთში მყოფ ღარიბთა დასახმარებლად (1; №180)

13 აგვისტო

- ქუთაისის მოურავმა განკარგულება გასცა, რომ ქალაქის საქმეებში პირველი რიგის ზრუნვის საგნად მეომრების ოჯახების დახმარება უნდა ყოფილიყო. (1; №181)
- მოქალაქე ბებუროვმა განცხადება გააკეთა მთავრობის სახელზე რომ მას სურდა მის მფლობელობაში არსებული სამკითხველო, რომელიც იმჟამად ბერლინში იყო, საქართველოსთვის შეეწირა, მან აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა მდიდარი იყო სოციალ დემოკრატიული ლიტერატურით. მთავრობამ მიიღო მისი წინადადება. (1; №181)
- ნებართვა გაიცა ბაღებსა და რესტორნებში ვაჭრობისა, ღამის 12 საათამდე, ხოლო ამავე რესტორნებში აიკრძალა ღამის 12 საათის შემდეგ საქველმოქმედო საღამოები. (1; №181)
- ქალაქთა კავშირის საექიმო სასანიტარო განყოფილებამ დაადგინა, ეთხოვათ მთავრობისთვის სესხი, ავადმყოფობის წინააღმდეგ ზომებისთვის, გადაწყდა ზომების მიღება ხოლერისა და შავი ჭირის წინააღმდეგ. (1; №181)

14 აგვისტო

- საფრანგეთის სამხედრო მისიის წარმომადგენელმა პოლკოვნიკმა კორბეილმა ინახულა ქართულ-ფრანგული სავაჭრო პალატა და მის პრეზიდიუმს ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა. (1; №182)
- პოლკოვნიკ ჰასკელის განცხადება: ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, მადლობა გამოვუცხადო საქართველოს ჯარს იმ საჩუქრებისათვის, რომელიც მან მომიძღვნა, ეს საბუთი ჩვენი კავშირისა ჩემთვის საქართველოს ჯარის მოგონების მიზეზად დარჩება, ჩემი ოჯახი საქართველოს ჯარს ყოველთვის მოწიწებით მოიხსენიებს. გისურვებთ მომავალში გამარჯვებას, მიიღეთ ჩემი გულწრფელი სალამი. (1; №182)
- რკინიგზის სამსახურის უფროსმა კანდელაკმა განცხადება გააკეთა, რომ იმ პირებს რომლებიც შტატ-გარეშე იყვნენ დარჩენილები და რომელთაც შრომის უნარი ჰქონდათ დაკარგული, უფლება ჰქონდათ პენსიის მიღებისა. (1; №182)
- საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა აცნობა პროფესიონალურ კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტს, რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობა წინააღმდეგი არ იყო

მუშათა დელეგაციის რუსეთში გამგზავრებისა. თავის მხრივ მათაც სურდათ დელეგაციის გამოგზავნა. (1; №182)

- ქალაქის გამგეობამ გადაწყვიტა ცხოვრების გაძვირების გამო გადაედო თანხა: თბილისის ცენტრალურ საზოგადოებას, ნაცვლად 75.000 მანეთისა მიეცა 150.000 მანეთი; მათხოვრობასთან საბრძოლველად 25.000-ის ნაცვლად 50.000 გამოიყო; ქალაქის სასადილოებისთვის 38.400, ქალთა თავშესაფრისათვის 30.000 მანეთი. (1; №182)
- დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი „შრომის ხელშეკრულების" შესახებ. (7; 408).

15 აგვისტო

- ერობამ დაადგინა იაკობ ნიკოლაძისაგან ეყიდა ნოე ჟორდანიას ბიუსტი, რომელიც ერობის დარბაზში უნდა დადგმულიყო. (1; №183)
- მთავრობამ დაადგინა, რომ დავალებოდა ფინანსთა სამინისტროს, შტატს გარეთ დარჩენილ მოხელეებს სალიკვიდაციო ფული 10 მილიონი მანეთიდან მიეემოდათ. (1; №183)
- ბოდბის მონასტერს ცეცხლი წაეკიდა მონაზვნების დაუდევრობით. მონაზვნებმა ზარების რეკვა დაიწყეს. დაშორებული სოფლებიდან მოვიდა როგორც მდევარი, გვარდია, რომელიც ცდილობდა ცეცხლის ჩაქრობას მაგრამ ცეცხლი იმდენად დიდი იყო, რომ ყოველივე ამაო გამოდგა. ღამის 11 საათზე წვიმა მოვიდა, რომელიც დილის ხუთამდე გაგრძელდა. ამან გაანელა ცეცხლი. (1; №186)
- საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრისა და რუსეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა შეიმუშავეს დროებითი წესები ლტოლვილების, შიკრიკების და წარმომადგენელთა რუსეთში გასვლისა და საქართველოში შემოსვლის ნებართვის შესახებ. ამ წესების მიხედვით რუსეთის ყოველ მოქალაქეს, რომელსაც სურდა საქართველოსაკენ წამოსვლა და საქართველოს მოქალაქეს რომელსაც სურდა რუსეთში წასვლა, უფლება მიეცათ რუსეთში დაუბრკოლებლად უკან დაბრუნების. ამისათვის საჭირო იყო ჰქონოდათ სათანადო მოწმობები. (1; №183)
- დიღმის არხის გამოყვანის გამო სამაზრო ერობამ შუამდგომლობა აღძრა მიწათმოქმედების სამინისტროს წინაშე, რომ დიღმის რაიონში მდებარე საფონდო მიწები გადასცეს მაზრის ერობას. ამის გარდა, გამგეობამ დაადგინა ეთხოვოს მთავრობას, რომ საფონდო მამულების რეალიზაციით შემოსასვლელი ფულიდან ერობას სესხად 20 მილიონი მანეთი მისცენ. (1; №183)

16 აგვისტო

- გამოიცა დეკრეტი რომლის მიხედვითაც მიეცა სახელმწიფო ბანკს უფლება იმ საქონლის დაზღვევისა,რომელსაც ის დაიგირავებდა,შესანახად მიიღებდა და თავის საწყობებში მოათავსებდა. (1; №190)
- სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისათვის გაცემული იქნა 30 000 000 მანეთი ეპიდემიასთან საბრძოლველად. (1; №191)
- ამავე დღეს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი სასოფლო-სამეურნეო საშუალო და დაბალი განათლების ორგანიზაციის შესახებ. (7. 431).

17 აგვისტო

- ფოსტა-ტელეგრაფი გაიხსნა სოფელ ოტობაიაში რომელიც ზუგდიდიდან სამ ვერსში მდებარეობს. კორესპონდენციების გაცვლა-გამოცვლას ზუგდიდის კანტორა აწარმოებს. (1; №184)
- ცნობა წითელ არმიელთა ჩვენ მხარეზე გადმოსვლის და მათი შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში გადასვლის შესახებ, მთავრობამ უარყო. (1; №184)
- პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სამდივნომ გადაწყვიტა მიეცა მაისურაძის სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველოსთვის 25 000 მანეთის დახმარება. (1; №184)
- ქართულ-ფრანგულმა სავაჭრო პალატამ შეკითხვით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსს იმის შესახებ თუ რამდენად შესაძლებელი იყო საფოსტო დამოკიდებულება აეროპლანებით წარმოებდეს. (1; №184)
- ფოილოს ხიდის აღსადგენად მუშაობის გამგემ ა. გეგიძემ წარუდგინა გზათა სამსახურის უფროსს ფოილოს ხიდის აღდგენის მუშაობის შესახებ მოხსენება. ის ამბობდა რომ აზერბაიჯანი ბრალს გვდებს საქმის გაჭიანურებაში, სინამდვილეში კი საქმის წარმოება ქართულ მხარეს აქვს აღებული. აზერბაიჯანმა ჟანგმანის მოწოდება მცირე რაოდენობით მოახდინა და საქართველოდან გაგზავნილი მოხელე აზერბაიჯანში დააპატიმრეს, არ ღებულობდნენ არც დეპეშას, არც შეკითხვას და არც ხიდის გაკეთების საშუალებას გვაძლევენო. (1; №184)

18 აგვისტო

- ქუთაისის მაზრაში მოკლეს ცნობილი ყაჩაღი სირბილაძე, რომელიც მთელ ოკრიბის რაიონს შიშის ზარს სცემდა. (1; №185)
- მუშათა მაგიდამ დასავლეთ საქართველოში თავისი წარმომადგენლები დაგზავნა მუშებისა და მოსამსახურეების საჭიროებისთვის შეშის შესასყიდლად. (1; №85)
- ერობათა კავშირის კომიტეტმა ევროპაში მყოფ ფინანსთა მინისტრს კანდელაკს თხოვნით მიმართა შეესყიდა საპნის ქარხნისთვის საჭირო საქონელი, სასოფლო სამეურნეო იარაღი, მანუფაქტურა და სხვა. ეს საქონელი შესყიდული უნდა ყოფილიყო საზღვარგარეთ თამბაქოს გაყიდვისგან შემოსული ფულით. (1; №185) ერობათა კავშირმა სთხოვა გორის სამაზრო ერობას მიეღო სწრაფი ზომები ეპიდემიის საწინააღმდეგო ჩირქის დასარიგებლად და ბაკურიანის რაიონებში ექიმების გასაგზავნად. (1; №185)
- მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის აღმასრულებელ გარეშე საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორის საზღვარგარეთ გამგზავრების გამო მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის აღსრულება გრიგოლ ლორთქიფანიძეს დაეევალა. (1; №185)

19 აგვისტო

- რკინისგზის სამმართველომ განკარგულება გასცა, რომ ყოველ მხრივ დახმარებოდნენ შტატის გარეშე დარჩენილ მოსამსახურეებს, რომლებიც რუსეთში აპირებდნენ წასვლას. (1; №186)

- სამხედრო კომისიის თავმჯდომარის სახელზე ფრონტის სასარგებლოდ მოვიდა შემდეგი შემოწირულობები: ქალაქ სოხუმის ეროვნული საბჭოსაგან 100.000 მანეთი, ქალაქ სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთაგან 5.100 მანეთი, ქუთაისის საურთიერთო ბანკისაგან 10.100 ფულით შემოწირულობა უდრის 115.100 მანეთს. ამის გარდა, სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთაგან შემოწირული იყო 65 კოლოფი საუკეთესო თამბაქო. შემოწირული თანხით სამხედრო კომისიამ შეიძინა: კონვერტი 1800 ცალი, ფოსტის ქაღალდი 1800, ფანქარი 1100, პაპიროსის ქაღალდი 2.620... საჩუქრები კომისიამ მე-7 რაზმის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს გადასცა, საერთო რიცხვით 2.290 კაცს. სამხედრო კომისიამ ყველა შემომწირველს მადლობა გადაუხადა. (1; №186)
- იტალია-კავკასიის ბანკმა ითხოვა ეცნობებინა ისეთი დიდი ქართული ფირმების სახელწოდება, რომელთაც უცხოეთში საქონელი გაჰქონდათ და შემოჰქონდათ. იტალია-კავკასიის ბანკის ამ თხოვნის მიზეზი იყო ერთ-ერთი ნეაპოლური ფირმის განცხადება, რომელსაც საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობები სურდა. (1; №186)

20 აგვისტო

- სააქციონერო საზოგადოება ევრაზიამ შუამდგომლობა აღძრა მრეწველობის სამინისტროს წინაშე, რომ მას ნება მისცემოდა თბილისში დიდი რადიო სადგურის გაკეთებისა. (1; №187)
- ბათუმში თანახმად ამხისტიის კანონისა ყველა პატიმარს ვისაც ჰქონდა მისჯილი კატორღა ან ტუსაღთა გამასწორებელი რაზმი, სასჯელი გაუნახევრდა. (1; №187)
- საბაჟოს ნაწილის გამგე ვ. მიქაძე გაიგზავნა რაჭის მაზრაში, მამისონის უღელტეხილისა და მაზრის სხვა ადგილებში საბაჟოების მოსაწყობად. (1; №187)
- სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა დაადგინა გაგზავნოს კონსტანტინოპოლში საგანგებო კომისია, სახალხო გვარდიის ტანისამოსის და აღჭურვილობის შესაძენად.
- რუსთა ეროვნული საბჭო საქართველოს მოქალაქე რუსების ყრილობის მოწვევისათვის მოსამზადებელ მუშაობას შეუდგა. (1; №187)
- მიწათმოქმედების მინისტრმა ნოე ხომერიკმა წინადადება მისცა რკინიგზის დეპარტამენტს სპეკულაციასთან ბრძოლის და საქონლის უცხოეთში გატანის წინააღმდეგ გამოეცა ბრძანება, რომ რკინის ადგილობრივ სადგურებს მიეღოთ იმდენი ხორბალი რამდენიც მომარაგების სამინისტროდან იქნებოდა ნებადართული. (1; №187)

21 აგვისტო

- საქართველოს მუზეუმის დირექტორის ნ. მ. ყიფიანის მეთაურობით გაემგზავრა ექსპედიცია გეოლოგიური კვლევა-ძიების მოსახდენად კინტრიშის ხეობაში. (1; №194)
- ბათუმის ოლქის განსაკუთრებული კომისარი ბენია ჩხიკვიშვილი დაბრუნდა ართვინიდან და თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა. (1; №188)
- ჯანმრთელობის დეპარტამენტმა სანიტარული და ჰიგიენური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ბათუმში გააგზავნა პროფესორი შიროკოროგოვი და გენერალი ორბე-

ლიანი ამასთან ბათუმში გაიგზავნა დეზინფექციისთვის საჭირო წამლები და მოწყობილობანი. (1; №188)

- ერობათა კავშირის კომიტეტმა აღძრა მომარაგების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა, რათა კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ გორს დახმარებოდა ან ფულით ან ხორბლით. (1; №188)
- მუშათა მაგიდამ ბორჯომში გაგზავნა 500 ფუთი ქერი და 500 ფუთი კანადის ფქვილი. მუშათა მაგიდამ ქალაქის სასურსათო განყოფილებას მეტი პურის გამოცხობა მიანდო. ამიტომ ქალაქის თვითმმართველობამ იჯარით აიღო ამერიკის კომიტეტისგან ფურნე. (1; №188)

22 აგვისტო

- მთავრობამ უარყო ათონის მონასტრის შუამდგომლობა ათონის სახელმწიფო მამულის მასზე იჯარით გაცემის შესახებ. (1; №189)
- დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა მიიღო სიღნაღის სამაზრო ერობის გამგეობისაგან 35.000 ათასი მანეთი, საქართველოს დამოუკიდებლობის ფონდისათვის. (1; №189)
- მთავრობამ დაადგინა ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით დაეარსებინა კომისია, რომელიც შეიმუშავებდა გარნიზონის იმ სამხედრო პირებისადმი დახმარების საკითხს რომელნიც მიწისძვრის დროს დაზარალდნენ. კომისიაში აგრეთვე უნდა შესულიყვნენ უწყებათა წარმომადგენლები და გორის მიწისძვრისგან დაზარალებულთა მთავარი დამხმარე კომიტეტის წარმომადგენლები. (1; №189)
- მთავრობამ დაადგინა მოქალაქე ვრელისკის ჩამორთმეოდა მამული და გადასცემოდა ჯანმრთელობის დეპარტამენტს. ამ მამულში საავადმყოფო უნდა მოწყობილიყო. (1; №189)
- ქალაქთა კავშირმა დააკმაყოფილა სოხუმის შუამდგომლობა, რომელიც 4 მილიონ მანეთ სესხს ითხოვდა, მძიმე სასურსათო მდგომარეობის გამო. (1; №189)
- დამფუძნებელი კრების წევრებმა გადაწყვიტეს სხდომების შეწყვეტის გამო კულტურული მუშაობის ჩასატარებლად პროვინციებში გამგზავრებულიყვნენ. პეტრე გელეიშვილი – ახალციხეში, ქ. შარაშიძე და ო. ჩხეიძე ხევსურეთში, ვლასა მგელაძე ზემო სვანეთში, ბიქტორ თევზაია აფხაზეთში, გრიგოლ გიორგაძე და პავლე საყვარელიძე ქვემო იმერეთში, ივანე გომართელი ზემო იმერეთში, ვასილ ცაბაძე დუშეთის მაზრაში, ი. ტატიშვილი გორის მაზრაში, კ. ჯაფარიძე რაჭის მაზრაში, ვ. წულაია ბორჩალოს მაზრაში, ხელაია და ჩიქოვანი სამეგრელოში. (1; №189)
- თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებისა მთავრობამ დაადგინა მიეცა ხონის ქალაქის თვითმმართველობისათვის სათანადო სუბსიდია 1½ მილიონი მანეთი, მილიციის შენახვით გამოწვეული ხარჯების დასაფარავად. (1; №189)

23 აგვისტო

- ბათუმისა და მისი ოლქის განსაკუთრებულმა კომისარმა აბასთუმანში და შემდეგ თბილისში წასვლა გადაწყვიტა,მისი მოვალეობის შესრულება ბათუმსა და მის ოლქში მდგარ ჯარების სარდალს გენერალ მდივანს დაეკისრა. (1; №192)
- ბორჯომში ჩამოვიდა აკ.ჩხენკელი ,რომელიც აბასთუმანში გაემგზავრა. (1; №190)

24 აგვისტო

- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლად რუსეთში გერასიმე მახარაძე დაინიშნა. (1; №190)
- გერმანიის წარმომადგენლმა საქართველოს სამრეწველო პალატას წარუდგინა გერმანიის ფირმის ცნობები და სთხოვა ხელი შეეწყო საქართველოსა და გერმანიის ურთიერთობის განვითარებისათვის. (1; №190)
- თანახმად სამხედრო საინჟინრო უწყების ცნობისა, იტალიაში საქართველოს საჭიროებისთვის რამდენიმე აეროპლანი შეუსყიდიათ. ეს მანქანები გამოჩენილი ანსალღოს ქარხანაში შეუძენიათ. ეს ქარხანა მთელ მსოფლიოში საფრენ მანქანების საუკეთესო დამამზადებლად ითვლებოდა. ყოველ მათგანს ჰქონდა რადიოსადგური, ფოტოგრაფიული მოწყობილობით, აპარატებს საუკეთესო მოტორები ჰქონდათ. ვინაიდან გზაში არ არსებობდა საავიაციო ბაზები, მაჰავარიანის ტურინიდან საქართველოში აეროპლანით გადმოფრენა შემდეგისთვის გადაიდო. (1; №190)
- დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიამ აცნობა პრეზიდიუმს რომ სკაბიჩევმა შესწირა დამფუძნებელ კრებას საქართველოს რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის ბიუსტი. ბიუსტი გატანილი იქნებაო დამფუძნებელი კრების თვალსაჩინო ადგილას. (1; №190)
- მიწათმოქმედების სამინიტროს კონტრ-აგენტმა სტამბულში ბორჯომის წყლის განყოფილება გახსნა. დაგეგმილი იყო ასეთი განყოფილების გახსნა ნიუ-იორკში, ლონდონში და სხვა ქალაქებში. 30 000 ბოთლი ბორჯომის წყალი იმჟამად უკვე გაგზავნილი იყო. (1; №190)
- თანახმად სავაჭრო სამრეწველო პალატისა, ბაზარზე შემდეგი ფასები იყო: გირვანქა კარაქი – 280 მანეთი, გადამდნარი ერბო – 300 მანეთი, გირვანქა ყველი – 120-140 მანეთი, ათი კვერცხი – 110 მანეთი, თეთრი პურის ფქვილი – 3600 მანეთი, ადგილობრივი ფქვილი – 1800 მანეთი, სიმინდის ფქვილი – 1500 მანეთი, ლობიო – 700 მანეთი, სიმინდი – 1200 მანეთი, შაქარი – 7600-8000. (1; №190)

25 აგვისტო

- სახელმწიფო ბანკის გამგეობა ბონების კურსის მოწესრიგების საკითხის განხილვას შეუდგა. (1; №191)
- მოვიდა ცნობა რომ საზოგადო მოღვაწე ილია წინამძღვრიშვილი მძიმედ იყო ავად.
- თბილისში გახშირებული ქურდობის გამო მილიციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გ. ჩიხლაძემ მთელ ქალაქში ჩხრეკა ჩაატარებინა. დაპატიმრებულ იქნა 25 პროფესიონალი ქურდი, ზოგი ბათუმიდან მოსული, ზოგი ადგილობრივი ციხეებიდან გამოპარული ან გათავისუფლებული სასჯელის მოხდის შემდგომ. ქურდები მეტ-წილ საქონელს მეტ-წილად მეპურე მეთორნეებზე ყიდიდნენ, ამ უკანასკნელებს მოპარული ნაყიდი საქონელი მიჰქონდათ კახეთში პურზე გადასაცვლელად. (1; №191)
- დიმიტრი არაყიშვილმა დაასრულა ახალი ლირიკულ კომიკური ოპერა, ისტორიულ თემაზე, რომელშიც მეფე ლუარსაბის დროს ხდება მოქმედება. მოსალოდნელი იყო ოპერის შემდეგ სეზონში დადგმა. (1; №191)

- სოხუმი-აზოვი-შავი ზღვის სანაოსნო საზოგადოების აგენტისაგან მიღებული დეპეშიდან გაცხადდა რომ მთავრობისგან ნებადართული გახდა მიმოსვლა რესპუბლიკის ყველა ნავსადგურში. ამასთან, მოწესრიგდა მგზავრების წასვლა და წამოსვლა შავი ზღვის სანაპიროებზე. (1; №191)

26 აგვისტო

- გამოვიდა გაზეთები: „ხალხის მეგობარი" და „სოციალ-დემოკრატი". (1; №192)
- სართიჭალაში და მის რაიონში მძვინვარებდა საქონლის ჭირი, შრატის უქონლობის გამო უამრავი საქონელი დაიღუპა. (1; №192)
- თბილისის სამაზრო ერობამ მანგლისში მეტეოროლოგიური სადგურის მოსაწყობად თანხა გადადო. (1; №192)
- ქუთაისში ქალაქის თვითმმართველობა თეატრის გადაკეთებას შეუდგა. დასის შედგენა და სათეატრო საქმის ხელმძღვანელობა მიმდინარე წელს შალვა დადიანს მიენდო. (1; №192)
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ აცნობა ქუთაისის ლეჩხუმის და რაჭის სამაზრო მილიციის უფროსს რომ მიეღოთ საგანგებო ზომები ძარცვა-გლეჯის საწინააღმდეგოდ და მოგზაურობის უზრუნველსაყოფად. (1; №192)
- დამფუძნებელი კრების შენობის შეკეთების გამო დამფუძნებელი კრების თავმჯდომარემ და კანცელარიამ შეწყვიტა მთხოვნელთა მიღება. ამასთანავე აიკრძალა სასახლის ბაღში შესვლა. მანამდე გაცემული ბილეთები ძალას კარგავდა. (1; №192)

27 აგვისტო

- ქალაქის გამგეობამ დაადგინა პოლიტექნიკური ინსტიტუტისთვის 40000 მანეთი დახმარება აღმოჩინა. (1; №193)
- შინაგან საქმეთა საქმეთა სამინისტროს ზუგდიდის მაზრის კომისარმა შემდეგი რამ შეატყობინა: სასტიკი ზომების მიღების შემდეგ ჩვენ იმ შედეგს მივაღწიეთ, რომ ყაჩაღები ტყიდან თავის ნებით გამოდიან. გამოცხადნენ: გრიშა ფაცაცია, გუდუ ბაძაღუა, სოგრატ და ვარლამ თორდიები, ხუხუ მირცხულავა, ამ უკანასკნელს 6 წლიანი კატორღა ჰქონდა მისჯილი. მაზრაში მშვიდობა და წესიერება მყარდება. (1; №193)
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცირკულარული წინადადებით მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოებს რომ სამსახურში მიღების ჟამს გამოერკვიათ მთხოვნელი იყო თუ არა სამართალში მიცემული ან წინანდელ სამსახურში იყო თუ არა შემჩნეული რაიმე დაუდევრობაში. (1; №193)
- რკინიგზის ექსპლოატაციის უფროსმა განკარგულება გასცა რომ ის პირები მიცემულიყვნენ პასუხისგებაში რომლებიც მატარებლებს უმიზეზოდ აჩერებდნენ და ამით განრიგს არღვევდნენ. მომავალში ასეთი ქმედების ჩამდენი 30.000 მანეთით დაჯარიმდება ან სამი თვე ციხე ელისო. (1; №193)

28 აგვისტო

- ქუთაისის მოურავმა ყურადღება მიაქცია იმას რომ ქალაქის ბევრი მამული უწესრიგოდ იყო გაცემული. მან სასწრაფოდ დაიწყო იმის კვლევა თუ ვის ხელში იყო ეს მამულები და იმჟამად რამდენი ნაჭერი მამული ჰქონდა ქალაქს, ჰქონდათ თუ არა მამულის მფლობელებს სათანადო ქაღალდები. (1; №194)
- სახელმწიფო ბანკის გამგეობამ მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად დაასრულა მუშაობა ქართულის ვალუტის კურსის ფასის შესახებ. (1; №194)
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადაწყვიტა დაეკმაყოფილებინა ქ. ხონის ჰიდრო-ელექტრო სადგურის ასაგებად 12 მილიონი მანეთის სესხის მიცემის შესახებ იმ პიროობით, რომ ამ სადგურით ისარგებლებდა ქალაქის სამრეწველო დასახლება და მაცხოვრებლები. (1; №194)
- ფრონტის დამხმარე კომიტეტის საშუალებათა გასაძლიერებლად მოშე დავარაშვილმა, რაფაელ ელუაშვილმა, რაფაელ რიჟინაშვილმა, მიხეილ მომიაშვილმა ქუთაისის ქართველ ებრაელთა შორის სასწრაფოდ მოაგროვეს 213 750 მანეთი, რომელიც გადაეცა ფრონტის დამხმარე ადგილობრივ კომიტეტს. (1; №194)
- სამხედრო მინისტრის გრიგოლ ლორთქიფანიძის განცხადებით, ამ უკანასკნელ დროს რესპუბლიკის ჯარში ადგილი ჰქონდა რამდენიმე საზიზღარ შემთხვევას, ოფიცრებს უცემიათ ჯარისკაცები. ზედმეტად მიმაჩნია განვუმარტო უფროსებს თუ რამდენად აღმაშფოთებელია ასეთი ყოვლად უმსგავსო საქციელი. სრულიად მტკიცე და ურყევი სამხედრო დისციპლინა აუცილებელია ჯარში. მაგრამ ქართველი ჯარისკაცის მოქალაქეობრივი შეგნება იმდენად მაღალია, რომ ის სრულიად არ საჭიროებს აღზრდის ასეთ საშუალებებს. ვაი იმ ოფიცერს რომელიც არა ხელით, არამედ უშვერი გინებით შეურაცხყოფს თავისუფალი რესპუბლიკის მხედარს. ბრიგადების ცალკე ნაწილების მეთაურებს ვუბრძანებ: სასტიკი თვალყური ადევნოს ამგვარ მოვლენებს. ულმობლად დასაჯონ დამნაშავენი, რესპუბლიკის არმიაში მომხდარი შემთხვევები სასწრაფოდ იქნეს გამოძიებული. დამნაშავენი სასტიკად და სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ. არმიიდან განიდევნონ და სამართალში მიეცნენ. ამიერიდან ასეთი საქმისთვის პასუხს ვაგებინებ არა მარტო პირდაპირ დამნაშავეს არამედ იმ ნაწილის უფროსს რომელშიც ადგილი ექნება ასეთ უმსგავსოებას. (1; №194)

29 აგვისტო

- ბოროტმოქმედებმა გაქურდეს ნოე ჟორდანიას მეეტლე კოვალიოვი და წაიღეს ნახევარი მილიონი მანეთის ღირებულების საქონელი, მე-8 უბნის კომისარ ს. ბოლქვაძისა, მისი თანაშემწის მაყაშვილისა და მილიციონერის ჯანელიძის ენერგიული ზომების წყალობით ბოროტმოქმედები აღმოჩენილ იქნენ. დაპატიმრებულმა ყაჩაღებმა დანაშაული აღიარეს. (1; №195)
- აიკრძალა პრესაში ვალუტის კურსის გამოცხადება, ამ დადგენილების დამრღვევი ისჯებოდა ციხეში ჩასმით სამი თვით, ვალუტის კურსის გამოცხადების უფლება მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს ეძლეოდა. ფინანსთა სამინისტროს ამის შესახებ განსაკუთრებული ცირკულარი უნდა შეედგინა. (1; №195)

- სახელმწიფო თეატრის ბალეტის სკოლამ გამოაცხადა მოწაფე ქალთა და ვაჟთა მიღება ასაკით 9-დან 16 წლამდე. (1; №195)
- სახელმწიფო თეატრის მმართველობა იუწყებოდა რომ დასის შედგენა დასრულდა. თეატრის მხატვრული ნაწილის გამგედ მოიწვიეს სომოვი, რომელიც მოსკოვის სამხატვრო თეატრის საუკეთესო მხატვარი იყო. თეატრის მმართველობას განზრახული ჰქონდა დაედგა: „ევგენი ონეგინი“, „ფაუსტი“. „სევილიელი დალაქი“, „ღალატი“, „ლოენგრინი“, „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ხოლო თეატრის გახსნისას „აბესალომ და ეთერი“. (1; №195)
- ბორჯომის რაიონში მიწათმოქმედების სამინისტროდან გაიგზავნა სპეციალისტებისგან შემდგარი კომისია იქაურ ფერდობიან ადგილებზე ტყეების გაშენების მიზნით, ვინაიდან მიწათ-მოქმედების სამინისტროს სატყეო განყოფილებას გადაწყვეტილი ჰქონდა ფართო მასშტაბით შედგომოდა რესპუბლიკაში ტყეების გაშენების საქმეს. (1; №195)

30 აგვისტო

- საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი მიიღო იტალიის პრეზიდენტმა ჯიოლოტიმ და მინისტრმა სფორცამ.მიღება გულითადი იყო. ჯიოლიტის და მინისტრ სფორცას მიერ გამოთქმული იყო ღრმა სიმპატია საქართველოსადმი და გეგეჭკორის მიერ აღძრული საქართველოს საკითხების შესახებ მხარის დაჭერა. (1; №201)
- ებრაელთა სახლში გაიხსნა სიონისტთა მეორე კონფერენცია. დელეგატები იყვნენ თბილისიდან, ონიდან და სოხუმიდან. კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საქართველოს მთავრობას და საქართველოში მყოფ დიდი ბრიტანეთის კომისარს. კონფერენციის მიზანი იყო მსჯელობა – ფინანსურ, საორგანიზაციო და ემიგრაციის საკითხებზე. (1; №198)

31 აგვისტო

- მთავრობამ დაადგინა იმ ჯარისკაცების გათავისუფლება, რომლებიც ბოლშევიკური გამოსვლებისთვის სამართალში იყვნენ მიცემულები, მაგრამ შემდეგ სამხედრო ნაწილებში ყოფნის დროს მოვალეობას სამაგალითოდ ასრულებდნენ. (1; №196)
- ბათუმში მყოფმა ჩეხოსლოვაკიის კონსულმა მიიღო რადიო დეპეშა იმის შესახებ რომ ტრიესტიდან ბათუმს წამოსული იყო გემი, რომელიც ჩეხოსლოვაკიის საქონლით იყო დატვირთული – სულ 175 ვაგონი. გამოგზავნილ საქონელთა შორის იყო: ფეხსაცმელები, შაქარი, ჭურჭლეულობა, ქაღალდი, წამლეულობა და სხვა. სურდათ გაეტანათ საქართველოდან: მარგანეცი, თუთუნი, სპილენძი და სხვა. (1; №196)
- ზუგდიდის მაზრის ერობის გამგეობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს შეატყობინა, რომ ხსენებულ მაზრაში დეზერტირობას მეტად ფართო ხასიათი ჰქონდა მიღებული. ეს გარემოება ხელს უწყობდა მაზრაში ყაჩაღების მომრავლებას და თარეშს. ამიტომ ზუგდიდის მაზრის ერობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს სთხოვა საჭირო რაოდენობის შეიარაღებული ძალების გაგზავნა მაზრაში, რაც სამინისტრომ დააკმაყოფილა. (1; №196)

- ბორჩალოს მაზრის მთელი რიგი სოფლების დელეგაციამ შინაგან საქმეთა სამინისტროს აცნობა ზოგიერთ სოფლების გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ. ამის მიზეზი მათი თქმით იყო ის რომ ბევრმა არასასურველმა ელემენტმა მოიკალათა ბორჩალოს მაზრაში და თითქმის ყოველდღე ესხმოდნენ თავს მშვიდობიან სოფლებს: თარალეთს, ვარდისუბანს, ბოლნის, ხაჩინს, ჯალ-ოღლის. მოსახლეობას წაართვეს 2000 სული საქონელი და რამდენიმე ათეული გლეხი სრულიად გაძარცვეს. ადგილობრივი მილიცია და გვარდია იბრძოდა ამ ელემენტების წინააღმდეგ, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. დელეგაცია ითხოვდა შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიეღო ჩვეულებრივი ზომები და გაეწმინდა მოსახლეობა ყაჩაღთა ბრბოებისაგან. (1; №196)
- სასურსათო განყოფილების პურის ბიუროს უწყებით შემდეგი ფასები იყო: შავი ქერი – 550 მანეთი, ფუთი თეთრი ქერი – 700 მანეთი, ქერის ფქვილი – 1150 მანეთი, ხორბალი ფუთი – 1300 მანეთი, ფქვილი – 1350-1850, სიმინდი ფუთი – 1300 მანეთი. (1; №196)

1 სექტემბერი

- დიდუბის ეკლესიის გალავანში დაკრძალეს მფრინავი კილტავა, რომელიც ფრენის დროს ძირს ჩამოვარდა და ჭრილობისგან გარდაიცვალა. (1; №198)
- მთავრობის თაოსნობით თბილისის თვითმმართველობის დარბაზში მოხდა ეკონომიური თათბირი რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობისა და პირველადი მოთხოვნილების საგნების გაძვირებასთან დაკავშირებით. თათბირს თავმჯდომარეობდა სამხედრო მინისტრი, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძე. მოხსენებით გამოვიდა ფინანსთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ს. ავალიანი. (1; №199)
- თბილისის ცენტრალური ფოსტის შენობაში გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის კურსები, სადაც ამზადებენ ტელეგრაფის ყველა სპეციალობის მოხელეებს. კურსებზე მიიღება საქართველოს ყოველი ქართული ენის კარგად მცოდნე მოქალაქე 18-დან 25 წლამდე. (1; №201)
- ერევნიდან თბილისში დაბრუნდა საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსი პოლკოვნიკი კორბეილი. (1; №197)
- შრომის სამინისტრო შეუდგა დახმარების მისაცემად წიგნაკების შედგენას. ეს წიგნაკები შემდეგ დაეგზავნება ერობებსა და ქალაქებს, საიდანაც მიიღებენ პენსიონერები დახმარებას. (1; №197)
- საგანგებო თათბირმა, რომელიც ფინანსთა მინისტრმა მოიწვია სასოფლო მეურნეობის შემოსავალზე გადასახადის გადიდების შესახებ, დაადგინა გადიდდეს გადასახადი 600%-ით. (1; №197)
- ამერიკის კომიტეტის წარმომადგენელმა საქართველოს მთავრობას მადლობა გადაუხადა, მახლობელ აღმოსავლეთში სურსათის გადაგზავნაში ხელის შეწყობისათვის. (1; №197)
- შრომის სამინისტრომ გაადიდა დახმარების ნორმა. თვიური დახმარება არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო დაწესებულების უმცროსი მოსამსახურის ნახევარ ჯამაგირს. ქვრივები აიღებენ იმის ნახევარს რაც ერგებოდათ მათ ქმრებს, არასრულწლოვანი ბავშვები კი მეოთხედს. (1; №197)

2 სექტემბერი

- გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ვერსია, რომელსაც დართული აქვს შინაარსი პროზად, ვრცელი ლექსიკონი და ცნობები ამ წიგნის დამწერისა და დაწერის დროის შესახებ. გამოცემა შემკულია 2 პორტრეტითა და 21 სურათით. რედაქტორი დავით კარიჭაშვილი. ფასი 150 მანეთი. (1; №198)
- ფინანსთა სამინისტროში, ლონდონში მყოფ ფინანსთა მინისტრ კონსტანტინე კანდელაკისგან მოვიდა ცნობა, რომ მის მიერ ონელეისის კომპანიისგან 50 000 ტონა მარგანეცში 200 000 გირვანქა სტერლინგია აღებული. (1; №198)
- ამუშავდა ფუნიკულიორი, ვაგონები მოძრაობენ 08:00-23:00 საათებში. ბილეთის ფასი ასვლისას 30 მან. ჩამოსვლისას 20 მან. (1; №198)
- პარიზიდან საქართველოში (ბათუმში) დაბრუნდნენ საქართველოს დელეგაციის წევრები; ი. გობეჩია, გ. გვაზავა და გენ. ერისთავი. (1; №198)
- სასწრაფო მატარებლით ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა აზერბაიჯანის მთავრობის თავმჯდომარე ნარიმან ნარიმანოვი და გარეშე საქმეთა კომისარი ჰუსეინოვი, მათთან ერთად ჩამოვიდა საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი რწმუნებული კიროვი. (1; №198)
- ცეცხლი გაუჩნდა პუშკინის ქუჩა 3 (ცენტრო-ბანკი). (3; №918)

3 სექტემბერი

- საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ გრიგოლ ლორთქიფანიძემ გაუგზავნა მისალოცი დეპეშა სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე ოგანჯიანს, რომელშიც იგი ულოცავს სომხეთს თურქეთთან ზავის გაფორმებას და გამოთქვამს იმედს: „დეე, კიდევ უფრო განმტკიცდეს უკვე აღმდგარი მეგობრობა და ძმობა ჩვენი ჭეშმარიტად ძმური ხალხებისა.“ (1; №199)
- მთავრობამ განიხილა სახელმწიფო ბანკის გამგეობის მიერ ქართული ბონების კურსის განმტკიცების საკითხზე მოხსენება. (1; №199)
- რკინიგზელთა პროფესიონალური კავშირების ცენტრალურმა გამგეობამ კავშირის ორგანოებთან შეთანხმებით, თანახმად წესდებისა, თავისი დეზორგანიზატორული მუშაობისთვის კავშირიდან გარიცხა სამტრედიის დეპოს მოსამსახურენი: ტიმოთე შენგელია, ლუარსაბ ჯანელიძე, მიტრ. ჯანელიძე და ვ. ტორონჯაძე. (1; №199)
- ოქუმის საზოგადოების რწმუნებულმა ბ. გევიამ მიწათმოქმედების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა ოქუმში გაიხსნას სამეურნეო სასწავლებელი. მიწათმოქმედების მინისტრმა ეს სასურველად ცნო და შუამდგომლობა დააკმაყოფილა. (1; №199)

4 სექტემბერი

- თბილისში ჩამოვიდა თურქესტანელ ქართველთა დელეგაცია 3 კაცის შემადგენლობით, ისინი შეხვდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ქარცივაძეს. (1; №204)

- მუშათა ცენტრალურ კლუბში საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მუშათა კავშირმა კლუბის ფონდის შესაქმნელად გამართა დიდი სახალხო საღამო-სეირნობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საოპერო მსახიობ-მომღერლებმა და პოეტ-დეკლამატორებმა. სხვათა შორის იყო წაუგებელი ლატარეა-ალეგრი ძვირფასი ნივთებით. უკრავდა სამხედრო მუსიკა და საზანდარი. გაიმართა წარმოდგენა, უკრავდა ქართული ხორო ალექსანდრე მაისურაძის ხელმძღვანელობით და სხვა. (3; №917)
- საქართველოს საკათალიკოსო საბჭომ, თანახმად სამღვდელოების მეორე ყრილობისა, შუამდგომლობა აღძრა რომ უქმე დღეების რიცხვი გაიზარდოს, თუმცა სამინისტრომ უპასუხა, რომ დასახელებული დღეები არ სარგებლობს საკმაო პოპულარობით ხალხში, ამასთან ზედმეტი უქმე დღეები რესპუბლიკის ეკონომიურ მდგომარეობაზე და მუშათა კლასზე უარყოფითად იმოქმედებს, ამიტომ უქმე დღეების რიცხვი არ გაიზრდება. (3; №919)
- გაზეთ „სახალხო საქმე"-ში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელშიც ავტორი „მარუთა შუამდინარელი" აკრიტიკებს გრიგოლ რობაქიძის თანამედროვე ნაწარმოებებს, ასევე მის მიერ თარგმნილ „სალომეს", ხოლო თვით რობაქიძეს სიცოცხლეშივე არქეოლოგიურ ნამთად გადაქცეულს და თავკერძა, ამპარტავან, საკუთარი თავის განდიდებისკენ მსწრაფს უწოდებს, რომელიც ვერ ეგუება კრიტიკას. (3; №919)

5 სექტემბერი

- გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული, ყველასთვის საყვარელი საზოგადო მოღვაწე ილია წინამძღვრიშვილი. (1; №201)
- ასათიანის თავმჯდომარეობით გაიხსნა თბილისის სამაზრო ერობის ხმოსანთა მერვე ყრილობა. (1; №203)
- გურიის ოლქის მოსამართლეთა ყრილობამ, თანახმად ერობის გამგეობის შუამდგომლობისა, შემოიღო მოსამართლეთა მიერ უბნის შორეულ სოფლებში საქმეების ადგილობრივი გარჩევა. (1; №201)
- საინჟინერო-ტექნიკური ჯარების უფროსმა გენ. თაყაიშვილმა სამხედრო მინისტრს წარუდგინა მოხსენება, რომელშიც იგი აღნიშნავს უმაღლესი სამხედრო-ტექნიკური განათლების საქმის განვითარების საჭიროებას, რათა ამ გზით შეიქმნას კადრი მომზადებული სპეციალისტებისა, საავტომობილო და საჰაერო საქმეში და გაიზარდოს რიცხვი სამხედრო ინჟინრებისა. (1; №201)
- მთავრობამ მოისმინა სახალხო გვარდიის წარმომადგენელთა მეორე კონფერენციის დადგენილებანი სახაზინო ქონების მითვისებისა და მექრთამეობისათვის სასჯელის გამკაცრებისა და ერთ დაწესებულებაში მიუღებლობის შესახებ და დაადგინა ეს გადაწყვეტილებანი პრინციპიალურად მიიღოს და დაამტკიცოს. (1; №201)

6 სექტემბერი

- გაფუჭდა 4 წისქვილი, რამაც გამოიწვია ფქვილის უქონლობა, ამიტომ ვერ მოხერხდა მუშებისა და მოსამსახურეებისთვის პურის სრულად დარიგება. (1; №203)

- ქ. სიღნაღში დაარსდა ქართული სამუსიკო საზოგადოების ფილიალური განყოფილება. (1; №202)
- თიანეთში მოვიდა სეტყვა, რომლისგან გამოწვეულმა ზარალმაც საერთო ჯამში მილიონ მანეთს გადააჭარბა. (1; №207)
- ქართულმა კლუბმა გამართა სიმფონიური კონცერტი პ. ი. ჩაიკოვსკის ნაწარმოებიდან. (3; №920)

7 სექტემბერი

- მთავრობამ იმსჯელა ქართული ბონების კურსის განსამტკიცებლად ღონისძიებათა მიღების შესახებ და დაადგინა: საკანონმდებლო წესით უმაღლეს საბჭოს დაარსებამდე, დააარსონ განსაკუთრებული თათბირი ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით. (1; №202)
- გერმანიიდან მთავრ ობის სახელზე სხვადასხვა საქონელი მოვიდა. სახელდობრ: ქაღალდი, ელექტრონის ლამფები, რკინეულობა და სხვა. (1; №202)
- ს. ავალიანი მიწათმოქმედების მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელ მალანიასთან და სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელთან ერთად რკინიგზელთა სასურსათო ორგანიზაციის მდგომარეობის გასაცნობად გაემგზავრა. რკინიგზელებმა თავიანთი ოპერაციების გასაფართოებლად განსაზღვრული თანხა გამოითხოვეს. (1; №202)
- საგანგებო რაზმის უფროსის განკარგულებით დაიჭირეს 19 კაცი, რომელთაც სპეკულაცია ბრალდებათ. დაპატიმრებულები ციხეში მოათავსეს. (1; №202)
- ერობათა კავშირის კომიტეტმა გუმისთის, გუდაუთის, კოდორისა და სამურზაყანოს ერობებს სთხოვა ახსნა-განმარტება, თუ რატომ მოხდა მათ დაუკითხავად აფხაზეთის ერობათა და ქალაქთა კავშირის დაარსება. ერობათა კავშირის კომიტეტი აღნიშნავს რომ კომიტეტი ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა აფხაზეთის შუამდგომლობებს და მუდამ აკმაყოფილებდა მათ. ამიტომ კომიტეტისთვის გაუგებარია თუ რატომ მოხდა ეს სამწუხარო ფაქტი. (1; №202)

8 სექტემბერი

- საღამოს 6 საათზე ფინანსთა მინისტრის ბინაზე მოხდა ამავე სამინისტროს საბჭოს საგანგებო სხდომა, სადაც გაირჩა საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს შორის დასადები ხელშეკრულების პროექტი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს გერასიმე მახარაძის ეკონომიურმა მისიამ რუსეთში. (1; №203)
- შედგა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სასწრაფო კრება, სადაც გაირჩა საკითხი ევროპის სოციალისტთა დელეგაციის შეხვედრაში მონაწილეობის შესახებ. (1; №205)
- გერმანიის მისიამ შუამდგომლობა აღძრა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წინაშე რათა მის წარმომადგენელს უფლება მიეცეს დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკით სარგებლობისა. პრეზიდიუმმა ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა. (1; №203)
- დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილემ სვიმონ მდივანმა გადასცა დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიას პოლონეთის კონსტიტუციის პროექტთა კრებული, რომელიც მან პოლონეთის მისიისგან მიიღო. (1; №203)

- დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიამ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან შეთანხმებით აღძრა საკითხი, რომ დაღუპულ სამხედრო მფრინვ მაიორ მაყაშვილის ხსოვნა მთავრობამ უკვდავყოს. (1; №203)
- დღის 12 საათზე თბილისში მოხდა მიწისძვრა. (3; №923)

9 სექტემბერი

- აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგატებმა წერილობითი განცხადებით მიმართეს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს, რომელშიც გამოთქვეს სურვილი, რომ დამ-ფუძნებელი კრების შემდეგ სესიაზე გაირჩეს საკითხი ავტონომიური აფხაზეთის სა-ქართველოს ნაწილად ცნობის შესახებ. (1; №204)
- მიწათმოქმედების სამინისტრომ გაგზავნა სპეციალური კომისია შორაპნის მაზრაში ტყეების დასათვალიერებლად და ქალაქთა კავშირისთვის გადაცემული შეშის დამ-ზადების საქმის გასაფართოებლად. (1; №204)
- მიწათმოქმედების სამინისტროს გადასახადების განყოფილებამ გაგზავნა გრ. პოტკო-ვი არტაანის ოლქში სახელმწიფო მამულების რაოდენობის და იმის გამოსარკვევად თუ ვინ სარგებლობდა ამ მამულებით მოცემულ მომენტამდე. (1; №204)
- გამოვიდა ი. გველესიანის მიერ შედგენილი „საშუალო საუკუნეების ისტორია", შედ-გენილი, პროფესორ ა. ა. ვასილიევის სახელმძღვანელოს მიხედვით საშუალო სკოლე-ბისთვის. წიგნის გამოცემა ეკუთვნის „შორაპანს". ფასი 200 მანეთი. (3; №923)
- სისხლის სამართლის მილიციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელ ვლ. იკ. ჩიხ-ლაძის პირადი ხელმძღვანელობით შეპყრობილ იქმნენ: ძმანი გიორგი და ილია ჩეჩე-ლაშვილები, გრიგოლ ჩეჩელაშვილი და მიკიტიჩ ჩემჩიანცი, რომელთაც სომხეთის დიპლომატიური მისიის ბინიდან (რუსთაველი გამზირი №8) 10 მილიონად ღირებუ-ლი ნოხები მოიპარეს. (3; №923)

10 სექტემბერი

- თბილისს ეწვია აკაკი ჩხენკელი და გენერალი ზაქარიაძე, რომელთაც საზეიმო დახ-ვედრა მოუწყეს. ამავე დღეს ჩხენკელი არტანუჯისაკენ გაემგზავრა. (1; №205)
- საგანგებო რაზმის წევრების მიერ დაკავებულ იქნა ივნისიდან ძებნილი დავით ლორ-თქიფანიძე. მას ბრალად ედება ახალციხისა და თბილისის ბაზინიდან ყალბი საბუ-თებით 907 850 მანეთის გატანა. (1; №205)
- შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით შეპყრობილ იქნა ართვინის ოლქის კო-მისარი, პოლკოვნიკი ფრ. წულუკიძე, რომელიც ახალციხის სატუსაღოში იყო მოთავ-სებული და ბრალად ედება აბასთუმანში ფოსტის მოხელის ცემა. (1; №205)
- მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა სომხეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარე ბ-ნი ლევონ შანტი. (1; №205)
- თბილისიდან ბათუმში გაემგზავრა პარიზში მიმავალი საფრანგეთის უმაღლესი კო-მისარი გრაფი დე-მარტელი. იგი გააცილეს სამხედრო მინისტრმა ლორთქიფანიძემ, სამხედრო მინისტრის მოადგილე გედევანიშვილმა და სომხეთის წარმომადგენელმა თუმანოვმა. (1; №207)

11 სექტემბერი

- მომარაგების სამინისტრომ ბორჩალოში მდგომ სანაპირო რაზმს და სახალხო გვარდიელებს მიმართა წერილით რომელშიც იგი მადლობას უცხადებს რაზმს და სახალხო გვარდიელებს, იმ ენერგიული ბრძოლისათვის, რომელსაც ისინი აწარმოებენ, რესპუბლიკიდან სურსათის გატანის საწინააღმდეგოდ. (1; №206)
- განახლდა ყოველკვირეული სამეურნეო, პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთის „სასოფლო გაზეთი"-ს გამოცემა. (2; №98)
- თბილისის ქალაქის თვითმმართველობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსთხოვა სათანადო უფლებების მინიჭება, სპეკულაციასთან საბრძოლველად. ქალაქის თვითმმართველობა დაპატიმრებისა და ადმინისტრაციული წესით დასჯის უფლებას თხოულობს. (1; №206)
- საერთაშორისო ტარიფების ზედმეტად გადიდების გამო ქალაქთა კავშირმა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა საფუთო გადასახადის გადიდების შესახებ. მ.ს. სამინისტრომ უპასუხა რომ საფუთო გადასახადის გადიდება სათანადო დეკრეტით არის აკრძალული. (1; №206)
- დუშეთის სამაზრო ერობის გამგეობა რესპუბლიკის ერობათა საყურადღებოდ აცხადებს: არაა სასურველი სამსახურში იქნას მიღებული ცენტრალური სასტატისტიკოსო კომიტეტის სტატისტიკოსი მიხეილ კეზელი, რომელიც გამგეობის მიერ სრული უმოქმედობის და უუნარობის გამო იქნა დათხოვნილი სამსახურიდან. (1; №206)

12 სექტემბერი

- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა საქართველოს მთავარსარდლის გენერალ გიორგი კვინიტაძის სამადლობელი მიმართვა სამხედრო დანაყოფების მიმართ, იმ სამსახურისათვის რომელიც მათ გასწიეს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის. (1; №207)
- მოხდა კავშირთა გამგეობის და საქარხნო კომიტეტების შეერთებული სხდომა ალ. ხელაძის თავმჯდომარეობით. სხდომას ესწრებოდა შრომის მინისტრის მოადგილე ბახტაძე. სხდომის მიზანი იყო რუსეთში გასამგზავრებელი დელეგაციისათვის ინსტრუქციის შემუშავება. სიტყვით გამოვიდა დელეგაციის მდივანი ისიდორე რამიშვილი. (1; №208)
- დიდუბის პანთეონში დაკრძალეს პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე მ. კ. ზაალიშვილი. დაკრძალვას ესწრებოდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე გიორგი ყაზბეგი, დამფუძნებელი კრების წევრები და სხვა. (1; №208)
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ წაღვერში გაჩენილ შავ ჭირთან საბრძოლველად სამასი ათასი მანეთი გადადო ბორჯომის ქალაქისთავის განკარგულებაში. (1; №207)
- გორში მოხდა 9 ბალიანი მიწისძვრა. (1; №208)

13 სექტემბერი

- შინაგან საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრი ნოე რამიშვილი დაბრუნდა შვეიცარიიდან და შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. (1;209)

- შს მინისტრის მოადგილემ შემდეგი წინადადებით მიმართა დუმეთის, შორაპნის, რაჭის და გორის სამაზრო ერობებს და მილიციის უფროსებს. სამინისტროში აქვთ ცნობები რომ ზოგიერთი მოხელე და უპასუხისმგებლო პირები სარგებლობენ მაზრაში ოსების გამოსვლებით შექმნილი მდგომარეობით და ავიწროვებენ სრულიად უდანაშაულო პირთ, ამიტომ გევალებათ მიიღოთ სასტიკი ზომები დამნაშავეთა წინააღმდეგ. საქართველოს რესპუბლიკაში ყველანი თანასწორი უფლებებით არიან აღჭურვილნი და არავის არ აქვს უფლება უდანაშაულონი, რა ეროვნებასაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი, კანონს გარეშე დააყენონ. (1; №210)
- თბილისის სამოსამართლო პალატის წევრ ო. კობიაშვილს მიენდო ყოველმხრივი რევიზია ყოველგვარ მთავარ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ბორჩალოს მაზრაში, სენატორ რევიზორის უფლებით. (2; №99)
- ფინანსთა სამინისტროში იუსტიციის მინისტრის რაჟდენ არსენიძის თავმჯდომარეობით მოხდა მეორე სასწრაფო სხდომა, საქართველოსა და რუსეთს შორის სავაჭრო--სატრანზიტო ხელშეკრულების პროექტის განსახილველად. სხდომას ესწრებოდა საქართველოს ეკონომიური მისიის მრჩეველი ა. კანდელაკი. დამფუძნებელი კრების წევრები, სახელმწიფო ბანკის მმართველი და სხვა. (1; №210)

14 სექტემბერი

- დილის 06:15 სთ-ზე ბათუმში შემოვიდა გემი „ფრანც-ფერდინანდი“ რომლითაც საქართველოში ჩამოვიდა ევროპის სოციალისტთა დელეგაცია რომელშიც შედიან: ბრიტანეთიდან – რამზეი მაკდონალდი, ტომას შოუ, ეთელ სნოუდენი; საფრანგეთიდან – პიერ რენოდელი, ლეონ ბლიუმი, ენგელ მარკე; ბელგიიდან – ემილ ვანდერველდე, კამილ ჰიუსმანსი, დე-ბრიუკერი. ბათუმში მათ საზეიმო დახვედრა მოუწყვეს. დამხვედრთა შორის იყო მთავრობის წარმომადგენელი კ. საბახტარიშვილი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ისიდორე რამიშვილი და სხვ. დელეგაციის კიდევ ერთი წევრი, კარლ კაუცკი ავადმყოფობის გამო რომში შეყოვნდა. (1; №209)
- 12:00 სთ-ზე გაიხსნა ბათუმის ქალაქის საბჭოს სადღესასწაულო სხდომა. იგი გახსნა საბჭოს თავმჯდომარე ო. რამიშვილმა, შემდეგ ს.დ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მიესალმა ისიდორე რამიშვილი რომელმაც გააცნო დელეგაციას რესპუბლიკის საერთო მდგომარეობა. მისასალმებელი სიტყვა თქვა რამზეი მაკდონალდმა. (1; №209)
- მუშათა სასახლის წინ გაიმართა მიტინგი, სადაც, ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ვანდერველდემ, რომელშიც გაიხსენა მისი და კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძის შეხვედრა 1917 წელს. (1; №209)
- დელეგაცია ეწვია ჩაქვს სადაც მოინახულეს ჩაის ქარხანა, სახელოსნო და პლანტაცია. (1; №210)
- საღამოს 10 საათზე დელეგაცია საგანგებო მატარებლით ბათუმიდან თბილისში გაემგზავრა. (1; №209)

- პარიზში გაზეთ „ტან"-ში დაიბეჭდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის განცხადება საქართველოს მდგომარეობის შესახებ, სადაც იგი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს სახელმწიფო მოწყობის გამართულობაზე. ასევე გამოთქვამს გაკვირვებას და სინანულს აშშ-ს ნოტაზე რუსეთის მიმართ. იგი იმედს გამოთქვამს რომ საქართველოს აღიარება მოხდება იურიდიულადაც. (1; №223)

15 სექტემბერი

- ევროპის სოციალისტური დელეგაციის ჩამოსვლასთან დაკავშირებით 15 სექტემბერი თბილისში უქმე დღედ გამოცხადდა. (1; №209)
- ბათუმიდან თბილისში ჩამოვიდა ევროპის სოციალისტური დელეგაცია. ვაგზალზე მათ დახვდნენ დამფუძნებელი კრების წევრი ვლასა მგელაძე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე საბახტარაშვილი, დამფუძნებელი კრების წევრები: ისიდორე რამიშვილი, გ. ღაფავა, ლ. რუხაძე და სხვ. დელეგაციას სიტყვით მიესალმა ნოე ჟორდანია. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ემილ ვანდერეელდემ. მან სხვათა შორის აღნიშნა: თქვენ ჩვენ გვიწოდეთ თქვენი მასწავლებლები. სინამდვილეში კი ეს თქვენ ხართ, ვისგანაც ჩვენ უნდა ვსწავლობდეთ. (1; №210)
- ევროპის სოციალისტური დელეგაციის ჩამოსვლის გამო შედგა დამფუძნებელი კრების საზეიმო სხდომა. სხდომა გახსნა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსმა მოადგილემ ალექსანდრე ლომთათიძემ. სტუმრებს სიტყვით მიმართეს სხვადასხვა პარტიის წევრებმა. სოციალ-დემოკრატების სახელით გრიგოლ გიორგაძემ; სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის სახელით შალვა ალექსი-მესხიშვილმა; ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით გიორგი გვაზავამ; ცენტრალურ პარტიის სახელით გრიგოლ ვეშაპელმა; სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის სახელით ლეო შენგელაიამ. (1; №210)
- სხდომის შემდეგ 12:00 საათზე გაიხსნა მიტინგი, რომელზეც სიტყვა წარმოთქვეს დელეგაციის წევრებმა: რენოდელმა, ტომას შოუმ, რამზეი მაკდონალდმა, დე-ბრიუკერმა, ენგელსმა, ქ-ნმა სნოუდენმა და სხვებმა. (1; №210)
- საღამოს შვიდ საათზე შედგა მუშათა დეპუტატების საბჭოს საზეიმო სხდომა რომელსაც დაესწრნენ დელეგაციის წევრები. სხდომა გახსნა და სიტყვით გამოვიდა მუშათა დეპუტატების თავმჯდომარე, მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ემილ ვანდერველდემ. დელეგაციას ასევე მიესალმნენ მუშათა საბჭოს, პროფესიონალურ კავშირთა და საქარხნო საფაბრიკო კომიტეტთა გაერთიანებები, ასევე რკინიგზის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი და სხვ. (1; №210)
- სავაჭრო სამრეწველო პალატამ ფინანსთა მინისტრს შუამდგომლობით მიმართა დააჩქაროს საგანგებო ორგანოს დაარსება, რომლის მოვალეობაც ვალიუტის კურსის ფიქსაცია იქნება. (1; №211)
- ცენტრო ბანკში შევიდა თხოვნა ახალციხის რაიონის რწმუნებულისა, ახალციხეში ცენტრო ბანკის განყოფილების გახსნის შესახებ. ასეთივე შუამდგომლობა აღძრა კახეთის რაიონმაც. (2; №100)

- სახელმწიფო ბანკის საბჭომ ბანკის გამგეობასთან ერთად დაადგინა გაიხსნას ბათუმში სახელმწიფო ბანკის განყოფილება. განყოფილების მმართველად დაინიშნა ივანე პურადაშვილი. (2; №100)

16 სექტემბერი

- თბილისში პაპის დელეგატი ეპისკოპოსი მორიონტი ჩამოვიდა. (1; №212)
- თბილისის მაზრის მილიციის უფროსი დღის 2 საათზე დაედევნა ავჭალის ახლოს ყაჩაღებს, რომლებიც ძარცვავდნენ ქალაქიდან სოფლებში მიმავალ მგზავრებს. ერთი ყაჩაღთაგანი სროლის დროს მოკლულ იქნა, ხოლო დანარჩენებმა დაყარეს ნაძარცვი გზაზე და ხევში სცადეს მიმალვა. მაზრის მილიციამ მისდია სროლით თიანეთის მაზრის საზღვრებამდე სადაც ყაჩაღები მიიმალნენ, დაღამების და წვიმის გამო. მოკლულ ყაჩაღს აღმოაჩნდა სახაზინო თოფი და 95 ვაზნა. მილიციიდან არავინ დაშავებულა. (1; №212)
- სახელმწიფო თეატრში გაიმართა მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის საპატივცემულო სადღესასწაულო წარმოდგენა. სტუმრებს მიესალმა ხელოვნების ცენტრის თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი; ვრცელი სიტყვა წარმოთქვა გრიგოლ რობაქიძემ. შემდეგ წარმოდგენილი იქნა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერის“ მეორე აქტი, რომელსაც ავტორი დირიჟორობდა. (1; №212)
- დილის 9 საათზე მე-7 ქვეითთა ათასეულის უმწყობრო გუნდის ეზოში შედგა დაწუნებული ცხენების აუქციონი. (1; №212)

17 სექტემბერი

- ევროპის სოციალისტთა დელეგაცია მუშათა სასახლეს ეწვია და გაეცნო საქართველოს პროფესიული კავშირების მოქმედებას და მუშათა მდგომარეობას, პროფესიულ კავშირთა აღმასრულებელი კომიტეტის სახელით დელეგაციას აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე დევდარიანი მიესალმა. (1; №212)
- თბილისში ჩამოსული პაპის დელეგატი მორიონტი მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ მიიღო. (1; №213)
- თბილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ნიკოლოზ ივანეს ძე ნეფედევი-რომანოვსკიმ შეიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ანნა ალექსანდრეს ასული რომელზეც ჯვარი დაიწერა 1879 წელს, უკვალოდ დაიკარგა, იმავე 1879 წლიდან, რის გამოც თხოულობს მისგან განქორწინებას. სამიტროპოლიტო სასამართლომ დათქვა ორთვიანი ვადა, რომ ნებისმიერმა ვისაც აქვს რაიმე ცნობა ანნა ალექსანდრეს ასულის შესახებ, განაცხადოს სასამართლოში. (1; №216)

18 სექტემბერი

- სხდომაზე მთავრობამ დაადგინა: მიენდოს ფინანსთა მინისტრს წარმოადგინოს ვრცელი მოხსენება სატრანსპორტო საზოგადოების მდგომარეობის შესახებ. (1; №217)

- შრომის სამინისტრომ მიმართა სომეხთა, მაჰმადიანთა და ებრაელთა ნაციონალურ საბჭოებს წინადადებით, რათა დაუყოვნებლივ აცნობონ სამინისტროს თუ რომელი დღე ითვლება მათ ერში ეროვნულ უქმედ, რათა ასეთ დღეებში ხსენებული ეროვნების მუშები მუშაობისგან განთავისუფლდნენ. (1; №217)
- მთავრობამ მოისმინა რა შრომის მინისტრის მოხსენება დაადგინა: დაამტკიცოს ქ. ბათუმის და ბათუმის ოლქის საგანგებო კომისრის ცირკულარი, რომლის ძალით მუშა--მოსამსახურეების ჯამაგირი გაუთანასწორდება რესპუბლიკაში არსებული ჯამაგირების საერთო ნორმას. (1; №218)
- შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელით შს მინისტრის მოადგილე ჭიჭინაძემ გამოაქვეყნა მიმართვა ახალქალაქის მაზრის მცხოვრებთა მიმართ რომელშიც ჭიჭინაძე მოუწოდებს მათ დაეხმარონ 1918 წ. ოსმალეთის ბრბოების შემოსევის დროს გადახვეწილ მაცხოვრებლებს, რომლებიც უკან ბრუნდებიან დანგრეული და აოხრებული სახლ-კარის აღდგენაში. ასევე გამოქვეყნდა ცირკულარი ახალქალაქის მაზრის მცხოვრებთა მიმართ, სადაც ნათქვამია, რომ იმ პირებმა რომელთაც ისარგებლეს ოსმალთა ბრბოების თარეშით 1918 წელს და მიითვისეს მეზობლების საქონელი და ნივთები, დაუბრუნონ ეს ყველაფერი 10 დღის ვადაში და განთავისუფლდებიან სასჯელისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩამორთმევა მოხდება სახელმწიფოს მიერ იძულების წესით და ამასთან ისინი დაისჯებიან სრული სიმკაცრით რესპუბლიკის კანონების მიხედვით. (1; №218)
- ევროპელ სოციალისტთა დელეგაცია მიიწვია საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ. სტუმრებს მიესალმა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი გიორგი ლასხიშვილი. (3; №932)

19 სექტემბერი

- რესპუბლიკის კანონების გადასასინჯავად დანიშნული კომისია შემდეგ კანონ-პროექტების შედგენას შეუდგა: 1. კანონპროექტი სამოქალაქო ქორწინების შესახებ და 2. მცხოვრებთა სამოქალაქო რეგისტრაცია მეტრიკული ამოწერილობის მაგიერ. (1; №213)
- მთავრობამ დაადგინა 1. მიენდოს გზათა მიმოსვლის მინისტრს მოაწყოს ბათუმში, სამტრედიაში და თბილისში სამგზავრო მატარებლის დეზინფექცია, 2. მიენდოს ჯანმრთელობის დეპარტამენტს ყოველდღიურად გამოუშვას საგანგებო ბიულეტენები, პრესაში გამოსაცხადებლად, გადამდებ სენთან ბრძოლის შესახებ. (1; №214)
- თანახმად მთავრობის 19 აგვისტოს დადგენილებისა შრომის სამინისტროს მიერ მოწვეულ იქნა თათბირი ფოთის ნავსადგურში მყოფ დამტვირთავთა, ფოთის რკინიგზის მუშათა და მოსამსახურეთა და საბაჟოს მუშათა მუშაობის მოწესრიგების საკითხის შესახებ. თათბირს თავმჯდომარეობდა შრომის სამინისტროს წარმომადგენელი ლ. ქელბაქიანი. (1; №214)
- ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა განკარგულება, ნავთზე სახელმწიფო მონოპოლიის კანონ-პროექტის საჩქაროდ დამუშავების შესახებ. (1; №213)

- საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთა ე. პ. გეგეჭკორმა რომის გაზეთ „ტრიბუნა"-ს მისცა ინტერვიუ, რომელშიც განაცხადა რომ საქართველო, დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველი დღიდანვე ცდილობდა მეგობრული დამოკიდებულება დაეჭირა ევროპის სახელმწიფოებთან. ის ხაზს უსვამდა საქართველო-იტალიის მეგობრულ დამოკიდებულებას. გეგეჭკორი გამოთქვამდა პროტესტს აშშ-ს ნოტაზე სადაც უარყოფილია საქართველოს დამოუკიდებლობის საჭიროება. იგი ამას ამერიკის არაინფორმირებულობით ხსნიდა. გეგეჭკორი გამოსთქვამდა დიდ იმედს იმასთან დაკავშირებით, რომ ერთა ლიგა შეასრულებდა თავის მოვალეობას და დადებითად გადაწყვეტდა საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული ცნობის საკითხს. (1; №216)
- ევროპელ სოციალისტთა დელეგაცია ყაზბეგში სტუმრობდა. ხევში დელეგაციის მოგზაურობამ სახალხო დღესასწაულის სახე მიიღო. მცხეთაში გამართულ სახალხო მიტინგზე ტომას შოუმ ხალხს მიმართა: ჩვენ ვნახეთ თქვენი ლამაზი ქვეყანა და შშვენიერი ხალხი. და უნდა გითხრათ მთელი ევროპის მუშათა სახელით, რომ ჩვენ ერთი წადილი გვაქვს, რომ თქვენ არ დაკარგოთ თავისუფლება. ევროპის მუშებმა უნდა მოითხოვონ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა და ერთა ლიგაში შესვლა. (1; №215)

20 სექტემბერი

- საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტმა სხდომაზე განიხილა შემდეგი საქმეები: 1) მაქსიმე კუბლაშვილის თედორე და თებრონე ქათამაძეებთან მამულის თაობაზე. 2) სიმონ ფირჩხაძის ივანე სექაიასთან დუქნის თაობაზე. (1; №214)
- სურსათ-სანოვაგის და მასალის გაძვირების გამო თბილისის სახელმწიფო ღვინის საწყობებმა ღვინის ფასი გაზარდა. ვარციხის ღვინო ბოთლი – 80 მანეთი. უმაღლესი ხარიხის კონიაკი – 800 მანეთი. (1; №213)
- საფრანგეთის დიპლომატიური წარმომადგენლის მოვალეობის დროებით აღმასრულებელმა კონსულმა ნეტმანმა ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრი ამხანაგი კ. პ. საბახტარიშვილი. (1; №215)

21 სექტემბერი

- ევროპის სოციალისტური დელეგაცია სპეციალური მატარებლით კახეთში გაემგზავრა. საგარეჯოში სიტყვით გამოვიდა რამზეი მაკდონალდი, სადაც იგი პირობას დებს, რომ გააცნობს ევროპას საქართველოს მდგომარეობას და იბრძოლებს საქართველოს უფლებების დასაცავად. (1; №216)
- გურჯაანში ხალხს სიტყვით მიმართა ემილ ვანდერველდემ, თავის სიტყვაში მან ხაზი გაუსვა აგრარულ რეფორმის გატარების პლიუსებს და მოუწოდა ნოე ხომერიკს (მიწათმოქმედების მინისტრს), სიფრთხილისა და წინდახედულებისაკენ ამ საქმეში. სიტყვით გამოვიდნენ ასევე რენოდელი და მის სნოუდენი. დელეგაციამ წინანდალში გაათენა ღამე. (1; №216)

- დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილემ ალექსანდრე ლომთათიძემ გერმანიის წარმომადგენელ დრიუფელს სამგიერო დარბაზობა გაუკეთა და დიდხანს ესაუბრა მას. (1; №216)

22 სექტემბერი

- ევროპის სოციალისტთა დელეგაცია თელავში გამართულ მიტინგს დაესწრო, რომელზეც სიტყვით გამოვიდნენ ენგელსი, შოუ, სნოუდენი, ჰიუსმანსი. მომხსენებლებმა თავის სიტყვებში სურვილი გამოთქვეს სოციალისტური კონგრესის საქართველოში ჩატარებაზე. (1; №217)
- „ბოსფორ"-ში გამოქვეყნდა სტატია საქართველოს შესახებ, სადაც საქართველო დახასიათებულია როგორც ევროპული ღირებულებების მქონე ქვეყანა. (1; №217)
- სომხეთის ეროვნული საბჭოს დელეგაციამ 22 სექტემბერს სახალხო განათლების მინისტრი ინახულა. დელეგაციამ შუამდგომლობა აღძრა, რომ ეროვნული საბჭოს სკოლებს მთავრობამ დახმარება გაუწიოს და კულტურულ-ეროვნული ავტონომიის განხორციელება დაჩქარებულ იქნეს. მინისტრი დახმარების გაწევას და შუამდგომლობას დაჰპირდა დამფუძნებელ კრებასთან. (1; №216)
- სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ბეკზადიანმა ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი კ. საბახტარიშვილი. (3; №938)
- მთავრობის თავმჯდომარემ დაღესტნის შეიხ ულ-ისლამის თანაშემწე და ბათუმის ქალაქის თავი გ. ანჯაფარიძე მიიღო. (3; №933)

23 სექტემბერი

- პროკურორის მოადგილე ამირეჯიბს იუსტიციის მინისტრის მიერ გამოეცხადა შენიშვნა თავისი უტაქტო საქციელის გამო, სომხეთის წარმომადგენელ ქიშმიშოვის მიმართ. (1; №215)
- დამფუძნებელი კრების საპროპაგანდო კომისრის დავალებით ჯავის რაიონში გაემგზავრნენ დამფუძნებელი კრების წევრები: პეტრე გელეიშვილი, კ. კიკნაძე და ვასილ ცაბაძე. ხოლო ისიდორე რამიშვილი ქვემო იმერეთში. (1; №216)
- სასურსათო განყოფილებამ განაცხადა რომ მან შეიძინა ბათუმში 10 ვაგონი ყვითელი შაქრის ფხვნილი, რომლის ჩამოტანაც კინტრიშის ხიდის გაფუჭების გამო ფერხდება. (1; №217)
- შედგა ბორჩალოს მაზრის სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა საგანგებო რევიზიის კომისია, შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე სასამართლო პალატის წევრი ი. კობიაშვილი, წევრები: ადმინისტრაციის ინსპექტორი ქარცივაძე, ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის რევიზორი ოხტიაშვილი, იუსტიციის მოხელე ლუკინი, პროკურორის ამხანაგი კილევსკი, სამხედრო სამინისტროს საგანგებო მინდობილებათა მოხელე პოლ. თულაშვილი, სახელმწიფო კონტროლის რევიზორი ტროცკი, მიწადმოქმედების სატყეო ნაწილის რევიზორი ნანეიშვილი. მდივნად იუსტიციის კანცელარიის საქმის მწარმოებელი გორდეზიანი, ერთი მემანქანე. (1; №217)

- ევროპელ სოციალისტთა დელეგაციამ მოიარა გორი, ხაშური, ბორჯომი, ბაკურიანი, ჭიათურა, ტყიბული, ქუთაისი... ჭიათურის მუშებთან შეხვედრაზე ტომას შოუმ განაცხადა: როცა ინგლისში დავბრუნდები, მუშების წინაშე უნდა დავსვა საკითხი, რომელ გზას უნდა გავყვეთ: რუსეთის ტირანიის ძალდატანების თუ თავისუფალი საქართველოს გზას. მე კი ვიტყვი – ჩვენ უნდა გავყვეთ თავისუფალი საქართველოს გზას. (1; №217)

24 სექტემბერი

- პროფესიულ კავშირთა კომისიამ, რომელშიც შედიან ხელაძე, ჩხენკელი და დობორჯგინიძე, დაათვალიერა მომარაგების სამინისტროს საწყობები, წისქვილები, ფურნეები, ცუდი პურის ცხობის მიზეზის გამოსარკვევად. კომისიამ ყველგან მრავალი დეფექტი აღმოაჩინა. (1; №219)
- სტატისტიკურმა კომიტეტმა დაამუშავა ცნობები, გორის, დუშეთის, ქუთაისის, კოდორის, რაჭის, სიღნაღის, თბილისის და შორაპნის მაზრების სასოფლო-სამეურნეო მამულების შესახებ. სტატისტიკური კომიტეტის გამოკვლევით მოსავალი საერთოდ საშუალოზე მეტია. (1; №218)
- გაიმართა წარმოდგენა „ნიღაბ ქვეშ" – გერგესელის დრამა 3 მოქმედებად. (3; №934)
- სახელმწიფო ბანკში მოხდა თათბირი, რომელშიც იღებდნენ მონაწილეობას ყველა საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლები, სავალუტო ოპერაციების მოსაწესრიგებლად. (1; №218)
- გზათა მიმოსვლის დეპარტამენტმა, თანახმად გზათა უფროსის მოხსენებისა, რკინიგზის საოპერაციო თანხიდან, გორში მიწისძვრისგან დანგრეული შენობების აღსადგენად 31 მლნ. მანეთი გადადო. (1; №218)
- მოხდა სვანეთში მინერალური წყლების კვლევა-შესწავლა. (2; №107)
- მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია შეხვდა საქართველოს წარმომადგენელს საბჭოთა აზერბაიჯანში გრიგოლ ალშიბაიას და აზერბაიჯანის საგარეო და ფინანსთა კომისარ მ. ჰუსეინოვს. შეხვედრაზე საუბარი იყო საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დასადებ სატრანზიტო-სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ. (1; №217)

25 სექტემბერი

- ევროპის სოციალისტთა დელეგაცია ეწვია ტყიბულის მუშათა მაღაროებს. სიტყვით გამოვიდნენ: მის. სნოუდენი, ენგელსი, ვანდერველდე, შემდეგ დელეგაცია ეწვია ქუთაისს, სადაც მიტინგი გახსნა ნ. ჭუმბურიძემ. სიტყვა თქვა კ. გვარჯალაძემ. დელეგაციიდან სიტყვით გამოვიდნენ მარკე, მაკდონალდი, დე-ბრიუკერი, თომას შოუ, ჰიუსმანსი. (1; №221)
- მუშათა დელეგაციამ, სხდომაზე შემდეგი დადგენილება გამოიტანა: „ვინაიდან საბჭოთა მთავრობამ არ დართო ნება მუშათა დელეგაციას საბჭოთა რუსეთში შესვლისა, დელეგაციის ორგანიზაცია დაშლილად გამოცხადდეს". (1; №218)

- თანახმად შს მინისტრის განკარგულებისა, დაჭერილი სპეკულანტები რიცხვით 39 კაცი, ოჯახებით რესპუბლიკის ფარგლებიდან უნდა გაასახლონ. მათი ბინები მთავრობის განკარგულებაში გადავა. (1; №218)
- იუსტიციის სამინისტრომ მოიპოვა იმის უტყუარი ცნობები, რომ საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგაც, სოხუმის ოლქში კომუნისტები განაგრძობენ არალეგალურ საქმიანობას, რასაც ადასტურებს: უდავო საბუთები, ოქმები, თვით კომუნისტთა ჩვენებანი და ექსპერტიზა. დაზვერვამ გამოარკვია რომ ისინი მართავდნენ თათბირებს, იძენდნენ იარაღს, ისინი ამზადებდნენ აჯანყებას და ამზადებდნენ დამცემ ჯგუფებს. ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს ორგანიზაციის მოთავე გაგრის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ ვოლკოვი, კუხალეიშვილი, ბიგრიანოვი, კონსტანტინე მაკაროვი, ნიკოლოზ სვანიძე, ვასილ აიბრა. ექვმიტანილთა ბინების ჩხრეკისას აღმოჩენილ იქნა იარაღი, ასაფეთქებელი მასალები, პროკლამაციები, ქართული სამხედრო დანაყოფების განლაგების რუკები და სქემები, 14 მეომარი რაზმის სია 560 კაცით და სხვა მამხილებელი საბუთები. (1; №216)

26 სექტემბერი

- რუსეთში ბაქოს გავლით გაემგზავრა საქართველოს დიპლომატიური მისია, გერასიმე მახარაძის მეთაურობით. (1; №217)
- ევროპის სოციალისტთა დელეგაცია ეწვია აბაშას, სენაკს, ფოთს. აბაშაში სოციალისტ-რევოლუციონერი ბესარიონ დუნდუა გამოვიდა სიტყვით, რომელშიც გააკრიტიკა მენშევიკების აგრარული რეფორმა. მას უპასუხა ჰიუსმანსმა, რომელმაც მხარი დაუჭირა რეფორმას და კრიტიკა უსაფუძვლოდ მიიჩნია. ამის შემდგომ დელეგაციამ იმოგზაურა ლანჩხუთში, ნატანებში, ოზურგეთში, შემდეგ კი თბილისში დაბრუნდა. (1; №223)
- მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ მიანდო გაბრიელ ხუნდაძეს ყოველ მხრივ გამოიკვლიოს მოსამსახურეებსა და მუშებზე დასარიგებელი პურის ღირსების დაცემის მიზეზი. (1; №217)
- თბილისის მაზრის ერობის გამგეობამ თავის დადგენილებით მადლობა გამოუცხადა, თბილისის მაზრის მილიციის უფროს კ. დანელიას ყაჩაღთა ბრბოსთან ენერგიული შებრძოლებისათვის მაზრაში. (1; №217)
- დამფუძნებელი კრების წევრმა გიორგი გვაზავამ ქუთაისში წაიკითხა ლექცია თემაზე „ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა და საქართველო.“ (2; №110)

27 სექტემბერი

- გაიმართა თბილისის ორგანიზაციების შეერთებული სხდომა, რომელზეც ევროპის სოციალისტთა დელეგაციის საქართველოში ყოფნის შედეგები შეაჯამა დელეგაციის წევრმა ჰიუსმანსმა. (1; №222)
- საღამოს 7 საათზე ევროპის სოციალისტთა დელეგაცია ბათუმში გაემგზავრა. სტუმართა გამცილებლებს შორის იყვნენ მიწათმოქმედების მინისტრი ნოე ხომერიკი, დ.

შარაშიძე, ვალიკო ჯუღელი, ვლასა მგელაძე, ანჯაფარიძე, ბენია ჩხიკვიშვილი. (1; №222)

- მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო პოლონეთში საქართველოს წარმომადგენელი სიდამონ ერისთავი და მისიის პირველი მრჩეველი ბაქრაძე. (3; №938)
- ფინანსთა მინისტრის საბჭოს სხდომაზე, საბჭოს წევრმა ე. კოზლოვსკიმ გააკეთა მოხსენება მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოწესრიგების შესახებ. (1; №219)

28 სექტემბერი

- მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია ინახულა ევროპის სოციალისტთა დელეგაციის წევრმა ჰიუსმანსმა და ერთ საათს ესაუბრა. (1; №219)
- შს მინისტრმა გამოსცა ცირკულარი, რომლის მიხედვითაც შეწყდა ოჯახის ერთადერთი მარჩენალის დროებითი გაწვევა ჯარში. (1; №219)
- თბილისში ჩამოვიდა ამიერკავკასიის უმაღლეს კომისრად დანიშნული ინგლისის წარმომადგენელი პოლკოვნიკი სტოკსი. მას დახვდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე საბახტარიშვილი, ქარცივაძე, სამხედრო მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი გენერალი გედევანიშვილი, გენერალი ჯაფარიძე და სხვ. პრიტანეთის უმაღლეს კომისარს თან ჩამოყვნენ: პოლ. ბოუნი, მისიის მდივანი რუკერი და ლეიტენანტი ორბელიანი, რომელიც მისიას ბათუმში დახვდა. (1; №220)
- საღამოს ბრიტანეთის წარმომადგენელი პოლკ. სტოკსი ინახულა ევროპის სოციალისტთა დელეგაციის წევრმა მაკდონალდმა და დიდხანს ესაუბრა მას. (1; №219)
- ბათუმში მეუღლესთან ერთად რომიდან ჩამოვიდა მეორე ინტერნაციონალის ლიდერი კარლ კაუცკი მეუღლესთან ერთად, რომელიც ავადმყოფობის გამო შეყოვნდა რომში. (1; №221)

29 სექტემბერი

- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე საბახტარიშვილი ინახულა ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა სტოკსმა და მისმა წინამორბედმა ლიუკმა. მათ საპატივსაცემოდ გაიმართა სადილი რომელსაც ესწრებოდნენ: საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კ. საბახტარიშვილი, შს მინისტრი ნ. რამიშვილი, იუსტიციის მინისტრი რ. არსენიძე, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე ალ. ლომთათიძე, გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი გედევანიშვილი, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრი ს. მდივანი და სხვა. (1; №222)
- მთავრობამ შეიწყნარა შრომის სამინისტროს შუამდგომლობა, რომ სახელმწიფო დაწესებულებებში ოქტომბრის პირველიდან მუშაობა იწყებოდეს არა 8 საათზე არამედ 9 საათზე. (3; №938)
- პაპის დელეგატი, ეპისკოპოსი გაბრიელ მორიონტი, რომელიც დანიშნულ იქმნა რომის პაპის მიერ სამოციქულო გამგედ ქართველ-კათოლიკეთა ეპარქიისა, დაბინავდა ზუბალაშვილების სახლი, ახალ-ბებუთოვის ქ. N9. (3; №938)
- გამოვიდა დედა-ენის 1 ნაწილი. ფასი 90 მან. (2; №110)

- საბჭოთა რუსეთში დანიშნულმა დიპლომატიურმა წარმომადგენელმა გ. მახარაძემ ინახულა საქართველოში მყოფი სომხეთის წარმომადგენელი ბეკზადიანი. (3; №938)
- სახალხო სახლში ქართულ წარმოდგენების მმართველმა წრემ წარმოადგინა სპექტაკლი „ყაჩაღები“ 5 მოქმედებად. დრამა ეკუთვნის შილერს. (2; №111)

30 სექტემბერი

- საღამოს 6 საათზე თბილისში ჩამოვიდა კარლ კაუცკი მეუღლესთან ერთად. მას დახვდნენ: ნოე ჟორდანია, შს მინისტრი ნოე რამიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი კ. საბახტარიშვილი, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ალ. ლომთათიძე და სხვები. (1; №222)
- სიღნაღში გაიმართა „ცისფერი ყანწების“ საღამო, სიტყვით და ლექსებით გამოვიდნენ: გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე. (2; №112)
- ს. ავალიანის თავმჯდომარეობით შემდგარ ფინანსთა მინისტრის საბჭოს სხდომაზე გაირჩა საკითხი თბილისის ორი საურთიერთო ნდობის საზოგადოების თბილისის სავაჭრო-სამრეწველო ბანკად გადაკეთების შესახებ. მოხსენება გააკეთა ვ. ბრეგაძემ. (1; №220)
- მუშათა მაგიდამ საქართველოს რკინიგზათა სასურსათო განყოფილებას მისცა წინადადება დაამზადოს მუშებისათვის და მოსამსახურეთათვის 100 000 ფუთი კარტოფილი. (1; №220)
- მუშათა მაგიდამ მიწათმოქმედების სამინისტროს ტყის განყოფილებასთან ხელშეკრულება დადო ხის ნახშირის მიწოდების შესახებ. (1; №220)
- ჯარების ყოფილი მთავარსარდალი გენერალი გიორგი კვინიტაძე სამსახურიდან გავიდა და ამასთანავე თავი დაანება სამხედრო სკოლის უფროსობასაც. (1; №220)
- სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის თავმჯდომარე მემედ-ბეგ აბაშიძე წარუდგა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს და სამუსლიმანო საქართველოს მდგომარეობის შესახებ მოხსენება წარუდგინა. მემედ-ბეგ აბაშიძემ ხაზი გაუსვა ქართველ-მუსლიმანთა დივიზიონის შექმნის სისწორეს და მის სასარგებლო მოქმედებებს შექმნიდან – 1918 წლის თებერვლიდან არსებულ დღემდე. (1; №220)
- გაიხსნა სახელმწიფო ოპერის 1920-1921 წლების სეზონი. სეზონი გაიხსნა ოპერით „აბესალომ და ეთერი“. (1; №222)
- დაიწყო ყოველდღიური სურათებიანი სათეატრო და სახელოვნო ჟურნალ „არლეკინის“ გამოცემა. (3; №933)

1 ოქტომბერი

- იტალიაში აეროპლანების შესაძენად გაგზავნილი იყო რაზმის უფროსი, სამხედრო მფრინავი მაჭავარიანი, რომელმაც ჩინებულად აასრულა მთავრობის დავალება. სამხედრო მინისტრმა მადლობა გამოუცხადა მას. (1; №221)
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო ცნობა ოკრიბის რაიონიდან, იმის შესახებ რომ დააპატიმრეს ყაჩაღი ნანიკაშვილი და რაიონი გაწმინდეს ტერორისტებისგან.

- სახელმწიფო თეატრში დაიდგა ოპერა „პიკის ქალი“. (1; №221)
- სახელმწიფო კონტროლიორის მოადგილე კ. ანდრონიკაშვილი გაემგზავრა დასასვენებლად შვებულებაში ორი კვირით, მის მოვალეობას დროებით კონტროლის საქმეთა დირექტორი ი. სმირნოვი შეითავსებს. (1; №222)
- ინჟინერთა სამმართველოს ცნობით იტალიიდან დაბრუნდა სამხედრო მფრინავი მაჰავარიანი რომელმაც საფრენი აპარატები ჩამოიტანა. ეს აპარატები საავიაციო ტექნიკის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენს და ისინი საშუალებას მისცემს ქართულ ავიაციას ევროპულ დონეს გაუტოლდეს. (1; №222)
- მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ გამოაქვეყნა ცირკულარი ერობათა და ქალაქთა გამგეობებისა და აფხაზეთის კომისარიატის მიმართ, რომლითაც აფრთხილებს რომ იმ შემთხვევაში თუ სამაზრო გამგეობები და თემები კიდევ ერთხელ იქნებიან შემჩნეულნი თავიანთი მაზრიდან სურსათ-სანოვაგის რესპუბლიკის დანარჩენ კუთხეებში გატანის აკრძალვაში, რაც ქმნის ეკონომიკურ კრიზისს და არევ-დარევას, დამნაშავეებს გადააყენებენ სამსახურიდან და პასუხისგებაში მისცემენ. (1; №223)
- თბილისის მაზრის მილიციამ სართიჭალის უბანში შეიპყრო მეორე გუნდის გვარდიელი ნიკა ჭოხონელიძე, რომელსაც სოფელ მაჩხაანში მოპარული ცხვარი აღმოაჩნდა. ცხვარი დაუბრუნეს პატრონს, ხოლო ჭოხონელიძე პასუხისგებაში მიეცა. (1; №232)

2 ოქტომბერი

- სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა სთხოვა საქართველოს მთავრობას, რომ მან გაატაროს საქართველოს ტერიტორიაზე სატრანზიტო წესით სომეხი ლტოლვილები. საქართველოს მთავრობამ დააკმაყოფილა ეს თხოვნა იმ პირობით რომ ლტოლვილთა სია შედგენილი და დამტკიცებული იქნება სომხეთისა და საქართველოს კონსულების ურთიერთშეთანხმებით, ამასთან არც ერთ ლტოლვილს არ ექნება უფლება საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენისა. თუ ერთი ასეთი შემთხვევა მაინც იქნება აღმოჩენილი ლტოლვილთა გატარება სრულად შეწყდება. (1; №222)
- სასურსათო განყოფილების გამგემ მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებს უბრძანა, რომ ყოველნაირად დაეხმარონ იმ საგანგებოდ დანიშნულ პირს, რომელმაც პურის ხარისხის დაცემის მიზეზი უნდა გამოარკვიოს. (1; №222)
- სომხეთის მთავრობის ყოფილი მინისტრი კაჩაზნუნი, სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელ ბეკზადიანთან ერთად შეხვდა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას. (1; №223)
- ევროპის სოციალისტთა დელეგაციის წევრი დე-ბრიუკერი იმყოფებოდა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში. იგი გაეცნო პალატის მუშაობასა და იმ მასალებს, რომლებიც სავაჭრო-სამრეწველო პალატას აქვს საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობის შესახებ. (3; №944)
- ავჭალაში მოხდა მილიციის და ყაჩაღთა შეტაკება, რომლის დროსაც ერთი ყაჩაღი დაიღუპა. (1; №224)
- თიანეთის სამაზრო მილიციამ არაგვის ხეობაში დააპატიმრა ყაჩაღთა ბანდა კონიაშვილის მეთაურობით, რომელიც დუშეთის ციხიდან გაიქცა მცირე ხნის წინათ. (2; №113)

3 ოქტომბერი

- იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა და კანონების გადამსინჯავ კომისიას გადასცა კანონ-პროექტი თუთუნის მონოპოლიის წესების დამრღვევთა სისხლის სამართლის კანონით დასჯის შესახებ. (2; №112)
- მუშათა პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატმა დაამტკიცა მეტყავეთა კავშირის დადგენილება 26 მუშის კავშირიდან გაძევების შესახებ, კავშირის დაუკითხავად გაფიცვისათვის. გაფიცვა გამოიწვია მუშათა მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობამ, რომლის მიხედვითაც მუშები ტარიფით დადგენილ ჯამაგირზე მეტის მიღებას ითხოვდნენ. (1; №112)
- თბილისში გაიმართა კარლ კაუცკის დღე. 12 საათზე მუშათა სასახლესთან თავმოყრილი პროფესიული კავშირები, სახალხო გვარდიელები და მოწაფეები კაუცკის ბინისაკენ გაემართნენ. აივანზე გამოვიდნენ და ხალხს მიესალმნენ კარლ კაუცკი და მისი მეუღლე, ასევე ნოე ჟორდანია და აკაკი ჩხენკელი. (2;113)

4 ოქტომბერი

- ბათუმის ოლქის საგანგებო კომისარმა ბ. ჩხიკვიშვილმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც იგი მადლობას უხდის სისხლის სამართლის მილიციის უფროსს პ. ფაჩულიას, იმ თავდადებული მუშაობისათვის, რომელიც მან გასწია ბათუმისა და მისი ოლქის საქართველოსთან შემოერთების დღიდან. (1; №224)
- გაზეთ „სტამბოლში" გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის შს მინისტრის ნოე რამიშვილის მიერ ბათუმში ყოფნისას გაკეთებული განცხადება, სადაც იგი აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობა არ შეიწყნარებს საბჭოთა რუსეთის მიერ მის საშინაო საქმეებში ჩარევას და არც საქართველოს ბოლშევიკებს მიეცემათ ნება სახელმწიფოს საწინააღმდეგო აგიტაციის წარმოებისა. (1; №227)
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. პ. გეგეჭკორი მიიღო ელისეის სასახლეში საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ხოლო შემდეგ საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ლეიგმა. ორივე აუდიენციისას იგრძნობოდა დიდი სიმპათია და კეთილგანწყობა საქართველოსადმი. (1; №237)
- ფოთში, ნადირობის დროს „ბრმა" ტყვიამ სასიკვდილოდ დაჭრა ცნობილი მოღვაწე ბანძღო ნოდია, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. (2; №114)

5 ოქტომბერი

- შვებულებიდან დაბრუნდა და მუშაობას შეუდგა თბილისის სასამართლო პალატის პროკურორი მ. ტატიშვილი. ამასთანავე თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის მოადგილე ა. ყანჩელი გაანთავისუფლეს პროკურორის მოვალეობის ასრულებისაგან. (2; №113)
- სოხუმის საგანგებო სასამართლოს ლიკვიდაციის გამო აღნიშნულ სასამართლოს პროკურორის მოადგილე მ. მელიანიკი მოვალეობის აღსრულებისაგან გაანთავისუფლეს. (1;№225)

- იუსტიციის სამინისტროს სოხუმიდან აუწყეს, რომ აღმოჩენილ იქნა ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა კომუნისტთა ორგანიზაციის ერთ-ერთი ბელადის-ვოლკოვის (კუცენკოს) ციხიდან გაპარებას. (1; №225)
- სახელმწიფო თეატრში დაიდგა ოპერა „ფაუსტი“ იოჰან ვოლფგანგ გოეთეს ნაწარმოების მიხედვით. (2; №113)

6 ოქტომბერი

- სენაკის ქალაქის თვითმმართველობამ დაადგინა, რომ სენაკის მე-2 დაწყებითი სკოლა აკაკი ჩხენკელის სახელობისა გახადოს. (1; №225)
- თბილისში გაიმართა სომეხთა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია, ოსმალეთის ჯარების სომხეთზე თავდასხმის გასაპროტესტებლად. (1; №226)
- შვებულებიდან დაბრუნდა და თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა გზათა დეპარტამენტის დირექტორი ბ. ჭიჭინაძე. (1; №225)
- სიღნაღში დიდმა წვიმებმა დააზიანა ქუჩები, განსაკუთრებით ცენტრალური უბნები. შეწყდა კავშირი სიღნაღსა და მის მიმდებარე სოფლებს შორის. (2; №116)

7 ოქტომბერი

- საპყრობილეთა ინსპექციის განკარგულებით დაინიშნა განსაკუთრებული სარევიზიო კომისია ციხეების სამეურნეო მდგომარეობის გასარკვევად. (1; №226)
- სოფელ ქარელში გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. (1; №226)
- ქართული წარმოდგენების მმართველმა წრემ წარმოადგინა სპექტაკლი „რევოლუციის რიჟრაჟზე“. (1; №226)
- მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებით ადმინისტრაციული წესით, 3 თვის ვადით დააპატიმრეს წისქვილების მეპატრონენი: იაკობოვი, დადახიანი, ალიხანოვი და ეგაიანი, ასევე ქალაქის კონტროლიორი სამოვიჩი და ტექნიკური განყოფილების უფროსი ბულიოტი. მათ ბრალად ედებათ სამსახურეობრივი უყურადღებობა პურის ღირსების გაუმჯობესების საქმეში. (1; №226)
- ქუთაისში განადგურებულ იქნა ყაჩაღთა ბრბო, რომლის სათავეში სირბილაძე და ნანიკაშვილი იდგნენ. სირბილაძე შეტაკების დროს დაიღუპა, ხოლო ნანიკაშვილი დაიჭირეს და საველე სასამართლოს გადასცეს. ყაჩაღთა ბრბოს წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი ენერგიულობით გამოირჩა სამაზრო მილიციის უფროსი ახვლედიანი. (1; №226)
- სახელმწიფო თეატრში დაიდგა „სევილიელი დალაქი“. (1; №226)
- თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორი მისივე თხოვნით გათავისუფლებულ იქნა სამსახურიდან და მის მაგივრად დაინიშნა სენატის მდივნის მოადგილე ჭიჭინაძე. (1; №226)

8 ოქტომბერი

- თბილისის მაზრის მილიციამ შეიპყრო შაქრო მარტიაშვილი, ალექსი მარტიაშვილი და კოსტა დიღმელაშვილი. მათ ბრალად ედებათ რამდენიმე ძარცვასა და შეიარაღე-

ბულ თავდასხმაში, მათ შორის მანგლისის რაიონში ბაირან ახვერდი ოღლის მწყემსე-ბის და სოფელ ბესტაშევის მცხოვრებ ბერძნების გაძარცვაში. დაკავებულებმა ბრალი აღიარეს. (1; №232)

- ტექნიკური კომიტეტის სატექნიკო და ქიმიურმა განყოფილებამ ჩაატარა კრება კოზ-ლოვსკის თავმჯდომარეობით. სხდომაზე განიხილეს: 1) პრივილეგიის მინიჭება ქი-მიურ წმინდა მჟავ-ბადის დამუშავებაზე, 2) სამარხვო ზეთიდან საპნის დამზადებაზე და სხვა. (2; №117)
- ფოთის პორტში შემოვიდა გემი „ვოზროჟდენიე", რომელმაც მომარაგების სამინის-ტროსთვის გადასაცემად მოიტანა 13.000 ფუთი ქერი და 80.000 ფუთი ხორბალი რეს-პუბლიკის მცხოვრებთა საჭიროებისათვის. (2; №117)
- სოფელ ჩხარიდან მთავრობის სახელზე მოვიდა ჩხარის რაიონის გვარდიელთა ყრილო-ბის დეპეშა, რომლითაც ისინი მხარდაჭერას გამოხატავენ რესპუბლიკის და საერთაშო-რისო პროლეტარიატის იდეებისადმი. (1; №227)
- დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარემ აკაკი ჩხენკელმა მიიღო აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარის ემუხვარის ხელმოწერი-ლი დეპეშა აფხაზეთში მიწვევით, თუმცა ამ უკანასკნელმა, ფეხის ტკივილის გამო უა-რით უპასუხა. (1; №227)
- მიწათმოქმედების სამინისტრომ გერმანიიდან და საფრანგეთიდან მიიღო სასოფლო--სამეურნეო იარაღების ერთი პარტია, განსაკუთრებით მებაღეობისა და მევენახეობი-სათვის საჭირო იარაღები. (1; №227)

9 ოქტომბერი

- პაპის წარმომადგენელი საქართველოში ეპისკოპოსი გაბრიელ მორიონტი, ორი კვი-რით ეპარქიის დასათვალიერებლად ახალციხეში გაემგზავრა. (1; №228)
- საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი ე. ბერნშტეინი „ტაიმსის" ცნობით გერმანიის კანცლერმა მიიღო. (1; №228)
- სომხების ეროვნულ საბჭოს ახალქალაქიდან დეპეშით ეუწყა, რომ არტაანის რაიონი-დან იქ ჩავიდა 800 ლტოლვილი, რომლებიც ორი დღით გაჩერდნენ ახალქალაქში. მათ სჭირდებათ მატერიალური დახმარება და სასწრაფო განკარგულება – სად წა-ვიდნენ ლტოლვილები. (1; №228)
- სახელმწიფო თეატრში სპეციალურად მუშებისათვის დაიდგა ოპერა „დემონი". (3; №944)

10 ოქტომბერი

- საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა გერასიმე მახარაძის მეთაურო-ბით მოსკოვში ჩავიდა. (1; №236)
- სამხედრო მცირე კომისია დეპუტატ აკაკი ჩხენკელის მეთაურობით ბათუმში ჩავიდა ჯარის ნაწილების და სამხედრო დაწესებულებების დასათვალიერებლად. კომისიის შემადგენლობაში ასევე შედიან ი. ნუცუბიძე და ნ. იმნაიშვილი. (1; №240)

- შედგა კაკაბეთის ხმოსანთა კრება რომელმაც დაადგინა რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სოფლების: კაკაბეთის, ჩაილურის და ჭერამის სიღნაღის მაზრიდან ჩამოშორება, რადგანაც ეს სოფლები მთელი თავისი არსებით არიან შესისხლხორცებული სიღნაღის მაზრასთან. (1; №235)
- სახელმწიფო თეატრში დაიდგა ოპერა „რიგოლეტო". (2; №117)

11 ოქტომბერი

- „ჩემოს" საზოგადოებამ (მარგანეცის საზოგადოება) საზღვარგარეთ გაგზავნილი დელეგაციის თავმჯდომარე ნ. ნიკოლაძისაგან მიიღო დეპეშა, ლონდონში „ჩემოს" სააგენტოს დაარსების შესახებ. (2; №118)
- ქარელში ამოქმედდა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. (1; №237)
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნებართვით კონსტანტინოპოლში საქართველოს ცენტრო-ბანკის განყოფილება გაიხსნა. განყოფილება მოთავსებულია გალატში, რუმინეთის ბანკის გვერდით. ეს პირველი ბანკია საქართველოდან, რომელმაც ევროპაში გახსნა განყოფილება. იგეგმება განყოფილებების გახსნა ლონდონში, პარიზსა და ბერლინში. (1; №238)
- მატარებელი ნომერი 236 ნავთლუღიდან გასვლის შემდეგ ლიანდაგიდან გადავიდა. 5 ვაგონიდან, რომელიც ლიანდაგიდან გადავარდა, 2 სრულიად დაიმტვრა. შემთხვევას მსხვერპლი არ მოყოლია. (2; №118)

12 ოქტომბერი

- ერობათა კავშირის კომიტეტი ინახულა პროფესორმა დე-ბრიუკერმა. კომიტეტის წევრთა შეერთებულ სხდომაზე დე-ბრიუკერი არკვევდა ერობის თვითმმართველობის თვისებებს რესპუბლიკაში. (1; №232)
- თბილისში დაბრუნდა და იმავე დღეს შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას შს მინისტრი ნოე რამიშვილი. (1; №232)
- რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენლად კიროვის ნაცვლად დაინიშნა მოქალაქე შეიმანი, რომელიც მოსკოვიდან თბილისში გამოემგზავრა 12 ოქტომბერს. (1; №236)
- ევროპის სოციალისტური დელეგაციის წევრმა დე-ბრიუკერმა ინახულა საზოგადოება „ჩემო". დე-ბრიუკერმა პირობა დადო, რომ მიიღებს ზომებს ბელგიასა და საქართველოს შორის სავაჭრო დამოკიდებულებების გასაძლიერებლად. (1; №235)
- ბაქოდან მოვიდა 12 ვაგონი სომეხი ლტოლვილებისა, რომლებიც სომეხთა დიპლომატიური მისიის წარმომადგენლის ექ. არუთუნიანის თხოვნით გადაყვანილ იქნენ სანაინში. (1; №235)

13 ოქტომბერი

- სოფელ ალპანაში (ლეჩხუმის მაზრა) გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. (1; №232)

- თბილისში საბჭოთა რუსეთიდან ჩამოვიდა ესტონეთის რესპუბლიკის კონსული ი.ი. კირკმანი, რომელმაც ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრი და გადასცა თავისი რწმუნებულება. (1; №232)
- ქალაქის საბჭოს შენობაში შედგა ეკონომიური თათბირი, რომელსაც თავმჯდომარეობდა ნოე რამიშვილი. თათბირს დაესწრნენ ს-დ პარტიის ყველა ორგანიზაციის ხელმძღვანელები. თათბირზე განიხილეს ეკონომიური კრიზისის დაძლევის გზები. მოხსენება გააკეთეს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ და მიწათმოქმედების მინისტრმა ნოე ხომერიკმა. სიტყვით გამოვიდა ასევე კარლ კაუცკი. (1; №233)
- სამხედრო მცირე კომისიამ აკაკი ჩხენკელის მეთაურობით, რომელიც ბათუმში იმყოფება დაათვალიერა იქ არსებული ფორტები და ბატარეები. (2; №121)

14 ოქტომბერი

- ფაბრიკებისა და ქარხნების მუშების პროფესიონალურმა კავშირმა ქალაქის საბჭოს მიმართა თხოვნით, მოაწყოს ხარფუხ-ორთაჭალის რაიონში იაფფასიანი ქალაქის სასადილო და ხორცის კოოპერატიული დუქანი. საკითხი განსახილველად სოციალური დახმარების განყოფილებას გადაეცა. (1; №233)
- სიღნაღის სამაზრო ერობის გამგეობამ შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგინა მოხსენება, სადაც ნათქვამია რომ მიმდინარე წლის 29 მაისიდან დღემდე სტიქიურმა მოვლენებმა, სეტყვამ და ნიაღვრებმა გაანადგურეს ვენახები, ბაღები, ასევე დაინგრა სახლებიც და იყო ადამიანთა დაღუპვის შემთხვევებიც. სულ ზარალმა შეადგინა 793,227,000 მანეთი. სიტუაციის გამოსწორებისა და დაზარალებულთა დახმარებისათვის სამაზრო ერობის გამგეობა ითხოვს კრედიტს, არანაკლებ 15,000,000 მანეთის ოდენობით. (1; №232)
- ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა პოლკოვნიკმა სტოკსმა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას შემდეგი მისალმებით მიმართა: „იმ დროს როცა ქართველი ხალხი დღესასწაულობს მცხეთობას, ნება მიბოძეთ მოგილოცოთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო და გულწრფელად ვუსურვო ქართველ ხალხს კეთილდღეობა და ბედნიერება“. (1; №235)
- საგანგებო რაზმის უფროსმა მექი კედიამ დააპატიმრა მთიულეთის ყოფილი მთავრობის თავმჯდომარე ფშემახოკოცევი. გაჩხრეკისას მას აღმოაჩნდა სამი მილიონი მანეთი დონის ფული და სხვა დოკუმენტები. (1; №235)
- თბილისის მილიციამ დააკავა ალი საფარ ოღლი ყურბანოვი, რომელიც თავის ცოლთან ფირუზასთან ერთად უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა 6 აგვისტოდან, ყურბანოვის სიმამრის ყული მაშადი ალახვერდი ოღლის განცხადების საფუძველზე. მაზრის მილიციის მიერ ჩატარებული ძიების შედეგად გაირკვა რომ ყურბანოვმა მოკლა თავისი ცოლი ფირუზა ყარაიაზის უბანში მტკვრის პირას და გვამი მდინარეში გადააგდო. დამნაშავე გამოტყდა და მკვლელობის მიზეზად ღალატი დაასახელა. (1; №232)
- სვეტიცხოვლობის აღსანიშნავად სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ლეონიდე მცხეთაში გაემგზავრა სპეციალური მატარებლით და მცხეთის ათორმეტთა მოციქულთა ტაძარში წირვა აღავლინა. (2; №123)

15 ოქტომბერი

- დიდი ხარჯების გამო დაიხურა სოლოლაკის გვირაბი. (1; №232)
- გაიხსნა სახელმწიფო დრამის თეატრის ახალი სეზონი, შალვა დადიანის პიესით „გუშინდელნი". დამდგმელი რეჟისორი ქ. ქორელი, მონაწილეობენ: ვასილ აბაშიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, მიხეილ გელოვანი, აკაკი ვასაძე, ანდრია მურუსიძე, მიხეილ ჭიაურელი და სხვ. (1; №233)
- სახალხო თეატრში ქართული წარმოდგენების მმართველმა წრემ წარმოადგინა ი. გედევანიშვილის დრამა „მსხვერპლი". (1; №233)
- სამხედრო მცირე კომისია გამანადგურებელ გემ „ავთანდილით" ლიმან-სარფში გაემგზავრა, საზღვარზე მყოფ ნავსადგურების დასათვალიერებლად. (3; №953)

16 ოქტომბერი

- შედგა კანონების გადამსინჯავი კომისიის კრება, დამფუძნებელი კრების წევრის ს. ჯაფარიძის თავმჯდომარეობით. სხდომას დაესწრნენ სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნულ საბჭოების წარმომადგენლები. განიხილეს საკითხი ეკლესიის სახელმწიფოსგან ჩამოშორების შესახებ. კანონ-პროექტის მუხლები შეეხება: 1) რწმენის, აღმსარებლობის თავისუფლებას. 2) სახელმწიფოს ეკრძალება რაიმე სუბსიდიის ან ჯილდოს გაცემა ნებისმიერი სარწმუნოების მიმართ. 3) არც ერთ სასულიერო დაწესებულებას არ აქვს უძრავი ქონების კერძო საკუთრებად შეძენის უფლება. 4) სასულიერო დაწესებულებათა ხელში არსებული უძრავი ქონება სახელმწიფოს საკუთრებაში გადადის. 5) განათლების სამინისტრომ შეადგინოს სია საეკლესიო ქონებისა, რომელსაც აქვს ისტორიული და მხატვრული ღირებულება და იგი გადავა სახელმწიფოს პირდაპირ გამგებლობაში. 6) არსდება რა თავისუფლება სარწმუნოებრივი პროპაგანდისა, რესპუბლიკა კრძალავს სასწავლებლებში საღვთო სჯულის სწავლებას. ასევე კიდევ რამდენიმე მუხლი. პროექტის განხილვას მოყვა ცხარე კამათი, მისი გაგრძელება დაინიშნა შემდეგი სხდომისათვის. (1; №237)
- აფხაზეთის სახალხო საბჭომ ოფიციალურად დაამტკიცა კონსტიტუციის პროექტი და გადაწყვეტილება პროექტის საქართველოს დამფუძნებელ კრებაში გადაგზავნის შესახებ. კონსტიტუცია ადასტურებდა აფხაზეთის ავტონომიურ სტატუსს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში. პროექტის პირველ მუხლში ვკითხულობთ: „აფხაზეთი, მდინარე მეხადირიდან მდინარე ენგურამდე, და შავი ზღვის სანაპიროებიდან კავკასიონის ქედამდე – საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილია და ამ საზღვრებში ავტონომიურად მართავს თავის საშინაო საქმეებს". (1; №234)
- განსაკუთრებული რაზმის უფროსმა კედიამ დააპატიმრა ნესტორ ფხაკაძე, რომელსაც ბრალად ედებოდა თვალაძის მკვლელობა. დაკავებულმა ბრალი აღიარა. (1; №238)
- დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სახელზე ქუთაისიდან მოვიდა დეპეშა რომლითაც ქუთაისში მცხოვრები სომხები აღშფოთებას და სასტიკ პროტესტს გამოთქვამენ ოსმალეთის მიერ სომხეთზე თავდასხმის გამო და იმედს გამოთქვამენ, რომ საქართველოს მთავრობა გააპროტესტებს ამ ფაქტს. (2; №123)

- შედგა მთავრობის სხდომა, რომელზეც მთავრობის თავმჯდომარემ შეიტანა ინიციატივა სახელმწიფო დაწესებულებათა შტატების შემცირების შესახებ. (1; №234)
- ართვინის ოლქის მახლობელმა სოფლებმა სურვილი გამოთქვეს რომ ჩააბარონ იარაღი მთავრობას, სანაცვლოდ კი ითხოვენ მილიციის მოწყობას ყაჩაღ-ავაზაკთა თარეშის აღმოსაფხვრელად. (2; №124)
- ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერმა რამზეი მაკდონალდმა, იქაურ პრესის ორგანოში „ნეიშენში“ გამოაქვეყნა ვრცელი წერილი საქართველოს მთავრობის შესახებ. იგი წერდა: საქართველოს დემოკრატიულმა ხელისუფლებამ მოახერხა ის, რაც ვერ გააკეთეს ევროპის სოციალ-დემოკრატებმა. მათ გაატარეს აგრარული რეფორმა; მოახდინეს ბუნებრივი სიმდიდრის ნაციონალიზაცია, „შენდება სრული დემოკრატიული სახელმწიფო სოციალისტური მთავრობის ხელმძღვანელობით... თუ ერთა თავისუფლება ცარიელი სიტყვა არაა, თუ რომელიმე ერს თავისუფლება ეკუთვნის, ესაა ქართველი ერი, რომელმაც დაუმტკიცა მთელ კაცობრიობას თავისი მაღალი კულტურულობა და პოლიტიკური სიმწიფე.“ (1; №236)

17 ოქტომბერი

- შუადღის სამ საათზე იღუმენოვის ნაპირებთან განლაგებულ ქართულ სამხედრო ნაწილებს კრეისერ „ალმაზის“ მეთაურმა ულტიმატუმი წაუყენა, რომლითაც იგი მოითხოვდა ნების დართვას კრეისერზე ყაზახების ასაყვანად, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ცეცხლის გახსნით დაიმუქრა. ქართულმა მხარემ ულტიმატუმს კატეგორიული უარით უპასუხა და გააფრთხილა რომ სროლის შემთხვევაში საპასუხო ცეცხლს გახსნიდნენ. საღამოს რვის ნახევარზე ნაპირთან მოვიდა გემი და წყალქვეშა ნავი რომელთაც ცეცხლი გახსნეს, ნაპირზე ტყვიამფრქვევები გადმოსხეს და ბრძოლა წამოიწყეს. ორმხრივი ცეცხლისას დაიღუპა სამი მილიციონერი, ერთი აფხაზი და რამდენიმე ჯარისკაცი, ასევე დაიჭრა ორი ოფიცერი, მათ შორის მეორე ბატალიონის ლეიტენანტი მაჭავარიანი. მოწინააღმდეგის ზარალი დიდი იყო თუმცა რაზმისა და ძალთა სიმცირის გამო გემის ყაზახებით დატვირთვას ხელი ვერ შეეშალა. (3; №955)
- შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული რაზმის უფროსის კედიას ბრძანებით სამსახურიდან დაითხოვეს და პასუხისგებაში მისცეს ამავე რაზმის თანამშრომლები: გრიგოლ დოლიძე, ექვთიმე კვაშალი და ვასილ ნიჟარაძე, ქრთამის აღების ბრალდებით. (1; №238)
- განსაკუთრებული რაზმის უფროსის მიერ მიღებული ზომებით აღმოაჩინეს ამერიკული საწყობიდან 950.000 მანეთის ღირებულების საქონლის ქურდობა. ქურდობაში ეჭვმიტანილების ბალახანიან პავლეს, ციბულიანი პანტელეიმონის, ნოსოვ ალექსანდრეს და სლესარევ ვასილის საქმეები ნივთიერი მტკიცებულებებით სასამართლოს გადაეცა. (1; №238)
- საღამოს ხუთ საათზე ბათუმიდან ბელგიაში გაემგზავრნენ პროფესორი დე-ბრიუკერი და ქ-ნი ჰიუსმანსი. ისინი გააცილეს დამფუძნებელი კრების წევრებმა აკაკი ჩხენკელმა, გენერალმა მდივანმა, ადმინისტრაციის ინსპექტორმა პოლკოვნიკმა სულაქველი-

ძემ, ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ო. რამიშვილმა, ზ. აბაშიძემ და კ. გოგოლაძემ, მეჯლისის თავმჯდომარე მ. აბაშიძემ და სხვებმა. (1; №242)

- კინემატოგრაფიულმა „ოტელიე“ „ცეკავშირმა“ ეკრანზე აჩვენა ევროპის სოციალისტური დელეგაციის ჩამოსვლისა და მათი საქართველოში მოგზაურობის კადრები. (2; №124)

18 ოქტომბერი

- თბილისში დაბრუნდა დამფუძნებელი კრების წევრი კლარა მგელაძე, რომელიც იმყოფებოდა სვანეთში და სამეგრელოში, სადაც იგი მართავდა მიტინგებს და საუბრებს ადგილობრივ მცხოვრებლებთან. (1; №235)
- იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა კანონ-პროექტი, რომლის თანახმადაც დამნაშავეთა გამოსასწორებლად სწავლა-განათლების მიცემის გზით, იქმნება სახელოსნოები საპყრობილეებში და აგრეთვე ეწყობა სამუშაოები ციხის გარეთ. ტუსაღებს მიეცემათ ანაზღაურებაც, რომელიც პატიმრობის მოხდის შემდეგ გადაეცემათ. (1; №237)
- ბათუმში გაიხსნა სახელმწიფო ბანკის განყოფილება. (1; №238)
- შედგა სამხედრო მცირე კომისიის და სამხედრო ნაწილების უფროსების და მათი თანაშემწეების თათბირი, იმ საკითხებზე რომლებიც სამხედრო მცირე კომისიის მიერ ჩატარებული რევიზიის შედეგად გამოიკვეთა. (1; №239)

19 ოქტომბერი

- „ჟიორომასის“ სააქციო საზოგადოებამ, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მიმართა შუამდგომლობით, საქართველოს საზღვრებიდან თხილის გატანის აკრძალვისა და მისი შემოტანის ნებართვის შესახებ, რათა უზრუნველყოფილი იყოს რესპუბლიკა საკმაო ნედლი მასალით, თხილიდან ზეთის დასამზადებლად. (1; №236)
- სახალხო განათლების სამინისტრომ დაამტკიცა სავაჭრო-სამრეწველო პალატის კომერციული სასწავლებლის წესდება. (2; №125)
- დილის 11 საათზე მიწათმოქმედების სამინისტროში შედგა მინისტრთა საბჭოს სხდომა, საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანდასწრებით. სხდომაზე გარჩეულ იქნა შემდეგი საკითხები: 1) ხე-ტყის მასალის შეღავათიანი ნიხრი, 2) ლეჩხუმის აგარაკის საექსპლოატაციოდ გადაცემისა, 3) ნორმალური საკონცესიო პროექტის ჩამოყალიბების შესახებ და სხვა. (1; №236)
- საღამოს 11 საათზე ბაქოდან ჩამოვიდა საქართველოს მთავრობასთან დანიშნული საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი შეინმანი. ამავე მატარებლით ჩამოვიდა აზერბაიჯანში მყოფი საქართველოს წარმომადგენელი ალშიბაია. შეინმანს შეეგებნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ქარცივაძე, სამხედრო მინისტრის მოადგილე გენერალი ოდიშელიძე და სხვები. (1; №239)
- ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელმა ს. ავალიანმა დაამტკიცა სააქციო საზოგადოების წესდება, რომლის მიზანიც ქალაქ ქუთაისში „დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკის“ დაფუძნება და მოწყობაა. (1; №239)

20 ოქტომბერი

- მოხდა საათის ისრის ერთი საათით წინ გადაწევა. (1; №236)
- აიკრძალა გასართობ ადგილებში (კაფე-რესტორნებში, კლუბებში, ბაღებში, თეატრებში და სხვ.) განათება საღამოს 11 საათიდან. (1; №236)
- გერმანიის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა გრ. დრიუფელმა ავსტრიის წითელი ჯვრის დელეგატ ექიმ ფორმანოკთან და გერმანიის სამხედრო ჰოსპიტალის მთავარ ექიმ მერტცვალერთან ერთად ინახულა კათოლიკური სასაფლაო, სადაც დამარხულია 58 გერმანელი და ავსტრიელი ჯარისკაცი. (1; №237)
- შვებულებიდან დაბრუნდა სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე. (1; №237)
- გენერალ ვრანგელის მუხანათური თავდასხმისა და შავი ზღვის ნაპირებზე სროლის საპასუხოდ, მთავრობის დადგენილების თანახმად, რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე დაიწყო იმ პირთა დაპატიმრება, რომლებიც გენერალ ვრანგელის მიერ დაკავებული ტერიტორიებიდან ჩამოვიდნენ. (3; №956)
- შს მინისტრის მოვალეობის შესრულება დაეკისრა ჯანმრთელობის დეპარტამენტის დირექტორ ს. დ. ჯაფარიძეს. (1; №238)
- ბელგიის სოციალისტური მოძრაობის ლიდერმა ემილ ვანდერველდემ ჟურნალ „ლე პოპლ“-ში გამოაქვეყნა სტატია: „პირველი სოციალისტური მთავრობა“. იგი წერდა: „ომის წინა წლებში რომ დასმულიყო საკითხი, თუ სად, ევროპის რომელ ქალაქში შედგებოდა პირველი სოციალისტური მთავრობა, ზოგი დაასახელებდა ლონდონს, სხვები პარიზს, ბერლინს, სტოკჰოლმს ან ბრიუსელს. მაგრამ ვინ იფიქრებდა საქართველოს სატახტო ქალაქ თბილისზე? სწორედ ამ ქალაქში აღიმართა სოციალისტური დროშა და დაიწყო ნამდვილი დემოკრატიული წყობილების მშენებლობა...“ (1; №239)

21 ოქტომბერი

- თბილისში გაიხსნა სატანვარჯიშო ინსტიტუტი. დირექტორად დაინიშნა ბერულაშვილი, ინსპექტორად კი ი. ვახეკი. ინსტიტუტის კურსი 8 თვიანია. სწავლა უფასო. (1; №238)
- განსაკუთრებული რაზმის უფროსმა მექიკედიამ მიიღო ცნობა, რომ ხდებოდა ლიტოგრაფიული ქვის დამზადება ყალბი ფულის დასაბეჭდად. თანაშემწის ჩიკვაიძის და სხვა თანამშრომლებთან ერთად ჩატარებულმა ძიებამ აღმოაჩინა ლიტოგრაფიული ქვა 100 თუმნიანის გამოსახულებით. ქვის დამამზადებელი ვინმე შვანე მთელი ორგანიზაციით დაპატიმრებულ იქნა და გადაეცა სასამართლოს. დაპატიმრებულ იქნა ნიკოლოზ როტინოვი, იოსებ ფირცხალაშვილი, დავით კვანტალიანი, ვარლამ შენგელია და ხაჩატურიანცი, რომელთაც ბრალად ედებათ ყალბი ფულის გაკეთება. (1; №238)
- გურიის მაზრის მილიციამ დაატყვევა ოთხი პიროვნება, რომელნიც აღმოჩნდნენ ქართველი მაჰმადიანები, ქობულეთის რაიონიდან. ოსმან ცეცხლაძეს, ახმედ ოღლს, შინდაძეს და ჩხეიძეს ბრალად ედებოდათ, რამდენიმე დღის წინ ნატანებ-ოზურგეთის გზაზე ავტომობილის გაძარცვა. ეჭვმიტანილები დანაშაულში გამოტყდნენ. (1; №238)

- სახელმწიფო დრამის თეატრში პირველად დაიდგა უკრაინელი მწერლის ვინნიჩენკოს პიესა „სიცრუე“, რომელშიც მთავარ როლებს ასრულებენ ნ. ჩხეიძე, მ. ჭიაურელი და ალ. იმედაშვილი. დამდგმელი რეჟისორი ქორელი. (1; №238)
- სახალხო განათლების მინისტრის მოადგილე ნ. ცინცაძე სამსახურეობრივ საქმეზე პროვინციაში გაემგზავრა. (1; №242)
- შედგა საკათალიკოსო საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელსაც გარდა საკათალიკოსო საბჭოს წევრებისა დაესწრნენ მოწვეული პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი. სხდომა გახსნა მისმა უწმინდესობამ, კათალიკოსმა ლეონიდემ, რომელმაც განმარტა მთავრობის მიერ ინიცირებული კანონ-პროექტით გამოწვეული საშიშროება, რომლის მიხედვითაც ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფა უნდა მოხდეს. პატრიარქმა აღნიშნა, რომ იგი წინააღმდეგი არაა ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფისა, თუმცა, კანონ-პროექტი ისეა შედგენილი, რომ მისი ცხოვრებაში გატარება დაასამარებს ერის სარწმუნოებას, ქართული ეკლესიის დაცემას გამოიწვევს. სხდომამ გადაწყვიტა პროტესტი გამოხატონ კანონ-პროექტის გარკვეულ მუხლთა მიმართ. (2; №130)

22 ოქტომბერი

- შედგა საქართველოს რესპუბლიკის მასწავლებელთა კავშირის საბჭოს საგანგებო სხდომა. (2; №128)
- სისხლის სამართლის მილიციის უფროსის პ. ფაჩულიას და მისი თანაშემწის გავრილენკოს მიერ აღმოჩენილ იქნა უცხო ვალუტით უკანონო ვაჭრობა. ეჭვმიტანილ გორელიშვილის ბინაში აღმოჩენილ იქნა: 1) ადგილობრივი ბონები – 50000 მანეთი; 2) კერენსკის – 2160290 მანეთი; 3) ნიკოლოზის ფულით – 1600 მან; 4) აზერბაიჯანის-603000 მან და 5) ავსტრიის თერთმეტი ცალი ოქროს მანეთი პორტრეტით „ფრანც იოსები“. (1; №239)
- სამხედრო მცირე კომისია დეპუტატ აკაკი ჩხენკელის მეთაურობით, რომელიც იმყოფებოდა ბათუმში, თბილისში დაბრუნდა. კომისიამ 10-20 ოქტომბრამდე დაათვალიერა ჯარის ნაწილები და სამხედრო დაწესებულებები. (1; №240)
- სახელმწიფო თეატრში გაიმართა მიხეილ მორდკინის საბალეტო საღამო. (2; №128)

23 ოქტომბერი

- თბილისში გაიხსნა ჟიხარიოვას კამერული თეატრი. რეპერტუარშია მეტერლინკის „დაი ბეატრისა“, ოსკარ უაილდის „სალომე“ და „ფლორენციის ტრაგედია“. ასევე განზრახულია იბსენის და დკანუნციოს პიესების დადგმაც. (1; №240)
- გენერალ ვრანგელის შეირაღებული ძალების მიერ 17 ოქტომბერს საქართველოზე თავდასხმის გამო, საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა კ. საბახტარიშვილმა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიისა და საბერძნეთის მთავრობებს საპროტესტო ნოტით მიმართა. ნოტის ასლი დაეგზავნათ თბილისში არსებულ უცხოელთა მისიებს. (1; №240)
- მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ მიიღო რუსეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ბ-ნი შეინმანი. შეინმანმა მთავრობის თავმჯდომარეს თავისი რწმუნებულების ბარათი გადასცა. (1; №241)

- კარლ კაუცკი ეწვია სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს, სადაც დიდხანს ესაუბრა ვალიკო ჯუღელს და შტაბის წევრებს. კაუცკიმ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შტაბის სამეურნეო განყოფილებას. (1; №242)
- სომხურ გაზეთ „არაჩ"-ში გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც ავტორი ადანაშაულებს საქართველოს შოვინიზმში და მიაჩნია, რომ საქართველოს მთავრობას და მის მმართველ პარტიას პირდაპირი, სულგრძელი, პროგრესული და ნაკლებ ნაციონალისტური პოლიტიკა რომ ეწარმოებინა, სომხეთის პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური მდგომარეობაც ბევრად უკეთესი იქნებოდა. ავტორი მიიჩნევს, რომ საქართველოს მიერ სომხეთისათვის გაწეული დახმარება, რაც ნავთის მიცემაში გამოიხატა, დაცინვაა სომეხთათვის და თვალის ახვევა ევროპისათვის, ვინაიდან დახმარება ძალიან მცირე იყო. ავტორი თავის სტატიას ამთავრებს იმ დასკვნით, რომ საქართველო არ აპირებს მათ დახმარებას და პირიქით, ელოდება სომხეთის დასუსტებას, რათა „უკანასკნელი სისხლი ამოწუწნოს" მათ. (2; №131)

24 ოქტომბერი

- საქართველოს მთავრობამ თანხმობა განაცხადა, სომხეთში მცხოვრები ბერძნების საქართველოს ტერიტორიაზე გატარებაზე, რომლებიც საბერძნეთში მიდიან. (1; №241)
- დღის პირველ საათზე პირველ ქალთა გიმნაზიაში შედგა მასწავლებელთა კავშირის კონფერენცია საკითხზე: – მოხსენება მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის, გაუმჯობესების შესახებ. სხდომას თავმჯდომარეობდა ვარ. ბურჯანაძე. (1; №242)
- სახალხო სახლში ზეიმით გაიხსნა სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა. დამსწრეთა შორის იყვნენ დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე ს. მდივანი, კ. ჯაფარიძე, ა. ჩხენკელი, ი. რამიშვილი, შს მინისტრი ნ. რამიშვ ილი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ქარცივაძე და სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი ვ. ჯუღელის მეთაურობით. თავმჯდომარედ აირჩიეს ნ. ელიავა, რომელმაც თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა სახალხო გვარდიის დამსახურებას სამშობლოს წინაშე. მისივე წინადადებით საპატიო თავმჯდომარეებად აირჩიეს ნ. ჟორდანია და კ. კაუცკი. (1; №242)
- სახელმწიფო დრამის თეატრში მუშებისათვის დაიდგა შალვა დადიანის წარმოდგენა „გუშინდელნი". (2; №130)
- მე-5 ქვეითთა ათასეულის თეატრში მსახიობ თარალაშვილის მეთაურობით ჯარისკაცებისათვის გაიმართა წარმოდგენა „სიძე-სიმამრი". მონაწილეობა მიიღეს ამავე ათასეულის ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა. (2; №130)

25 ოქტომბერი

- აფხაზეთში გაიხსნა აგრონომიული სასწავლებელი, რის გამოც აფხაზეთის მოსახლეობა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლები მადლობას უცხადებენ მიწათმოქმედების მინისტრს. (1; №242)
- ავიატორმა ქებურიამ ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ საპატენტო ბიუროს გამოგონების პრივილეგიის მისაღებად წარუდგინა გეგმა აეროპლანების გაუმჯობესების

შესახებ. თვით პატენტსა და მისი გამოგონებისაგან მიღებულ შემოსავალს ქებურია სწირავს სამშობლოს ავიაციის განვითარების საქმეს. (1; №242)

- სახელმწიფო თეატრში დაიდგა „სევილიელი დალაქი". (2; №130)
- რესპუბლიკის საპყრობილეთა ინსპექციამ მოაწყო ტენდერი თბილისის საპყრობილეთათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდებაზე. (2; №132)
- რევაზ გაჩეჩილაძე დაინიშნა მთავრობის საქმეთა სამმართველოს საქმის მწარმოებლად. (1; №242)

26 ოქტომბერი

- თბილისის მაზრის მილიციის უფროსის ბრძანებით სამსახურიდან დაითხოვეს და პასუხისგებაში მისცეს სამსახურეობრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებისათვის სართიჭალის უბნის უფროსი მილიციელი დავით მომცემლიძე, მარტყოფის უბნის უფროსი მილიციელი მიხეილ ოქროპირიძე. ხოლო ასურეთის უბნის უმცროსი მილიციელი ავეტიკა შალამოვი და სართიჭალის უბნის უმცროსი მილიციელი მამედ ფაშა ოღლი ტუსაღების გაშვებისათვის. სართიჭალის უბნის უმცროსი მილიციელი ფაშა ალაპკერ ოღლი კი მკვლელობისათვის. (1; №243)
- თბილისის მაზრის მილიციის უფროსმა ადმინისტრაციული წესით დააპატიმრა მამედ სულეიმან ოღლი, ხალი ალი ოღლი, ფირუზ ყაითმაზოვი, დავით ყურბანიშვილი, იოსებ კოლაშვილი, შოლომონ კონიაშვილი, ქიახუმ ისმაილ ოღლი და ალი ოღლი, როგორც საზოგადოებისათვის მავნე ელემენტები. (1; №243)

27 ოქტომბერი

- სავაჭრო-სამრეწველო პალატამ სხდომაზე ფინანსთა მინისტრის საბჭოს დადგენილების თანახმად განიხილა საკითხი არსებულ საბაზრო ფასებთან აქციზის გადასახადის გათანაბრებაზე. სხდომაზე ასევე განიხილეს ბაჟის მოხსნის საკითხი საზღვარგარეთ გასატან ისეთ საქონელზე როგორიცაა კონიაკი, ღვინო, თუთუნი და სხვა. (2; №137)
- ბათუმის ოლქის ადმინისტრაციის უფროსმა, მას შემდეგ რაც განიხილა ართვინის ოლქის უფროსის პატაკები და ოქმები, შავშეთის რაიონის კომისარის ლეიტენანტ ვარლამ ქურთოშვილის და მისი საქმის მწარმოებლის აკაკი ქუთათელაძის შესახებ, გასცა მათი დაკავებისა და სამსახურიდან დათხოვნის ბრძანება, სამუსლიმანო საქართველოში პროვოკატორობისა და რესპუბლიკის საწინააღმდეგო აგიტაციის განვევისათვის. (1; №250)

28 ოქტომბერი

- სახელმწიფო მეორე თეატრში ქართულმა დრამამ დადგა პიესები: ერთ მოქმედებიანი კომედია „დარისპანის გასაჭირი" და ორ მოქმედებიანი პიესა „ირინეს ბედნიერება". დამდგმელი რეჟისორი აკაკი ფაღავა. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ახალგაზრდა მსახიობის აკაკი ვასაძის შესრულებულმა აბესალომის როლმა „ირინეს ბედნიერებაში". (1; №246)

- მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ გვარდიის მეორე ყრილობაზე წარმოთქვა ვრცელი სიტყვა და აღნიშნა, რომ პოლიტიკურად საქართველო მყარად დგას ისე როგორც არასდროს დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, საზოგადოება და საქართველოს დემოკრატია სრულიად თავისუფალია ბოლშევიკური იდეებისგან. თუმცა ჟორდანიამ ასევე აღნიშნა, რომ საჭიროა კორუფციასთან ბრძოლა, საზოგადოებაში სახელმწიფოს ინტერესებისადმი კიდევ უფრო დიდი ერთგულების ჩანერგვა, სახელმწიფოს მმართველობაში და კანონებში არსებული ხარვეზების გამოსწორება და ეკონომიკურად მომძლავრება. (1; №246)
- საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი სტამბულში გრიგოლ რცხილაძე თბილისში ჩამოვიდა. (3; №965)

29 ოქტომბერი

- საბჭოთა რუსეთიდან მიწათმოქმედების სამინისტროს მოწვევით თბილისში ჩამოვიდა სატყეო საქმის მცოდნე ს. ბაქრაძე, რომელიც დაუყოვნებლივ დაინიშნა სამინისტროს სატყეო განყოფილებაში. (2; №135)
- ღამით გორის რაიონში მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რომელიც 4 წამს გაგრძელდა. მიწისძვრას რაიმე სერიოზული ზარალი და მსხვერპლი არ მოყოლია. (1; №247)
- მთავრობის დადგენილებით მეორე უბნის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი დ. ღამბაშიძე დაინიშნა თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის მოადგილედ. (2; №135)
- დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა სიღნაღში გამართული მიტინგის სახელით მიიღო დეპეშა, რომელშიც გამოთქვამენ პროტესტს ოსმალეთის მიერ სომხეთზე თავდასხმის გამო. (2; №135)

30 ოქტომბერი

- სახელმწიფო ბანკის საბჭოს სხდომაზე მოისმინეს მოხსენება ბათუმის განყოფილების მოქმედების შესახებ. გაირკვა რომ პირველივე დღესვე მიმდინარე ანგარიშზე შეტანილ იქნა 50 მილიონი მანეთი. ბანკი ახორციელებს აქტიურ და პასიურ ოპერაციებს. მისი მოქმედება კი ვრცელდება დასავლეთ იმერეთზე, აფხაზეთზე, გურიაზე, სამეგრელოსა და ბათუმის ოლქზე. (2; №135)
- მთავრობის დადგენილებით დაიხურა კაფე-შანტანები და კლუბები რომელთაც გასართობი ხასიათი ქონდათ. აიკრძალა საღამოს 10 საათის შემდეგ ვაჭრობა რესტორნებისა და სამიკიტნოებისათვის. შეიზღუდა მათი რიცხვი, აიკრძალა ასევე ტკბილეულობების დამზადება გარდა შაქრის, შაქარ-ყინულის, მომპასეს, „სუხარების", ნამცხვრებისა და ბულკებისა. ასევე მშრომელთა სიმშვიდის დასაცავად აიკრძალა კერძო ბინებზე ქეიფი და ყოველგვარი მხიარულება, რომელიც მეზობლის მყუდროებას არღვევს. (1; №247)
- სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო ტრაპეზუნდის გზის გაყვანის ყოფილი ტექნიკოსი ალექსანდრე ქემაშვილი და მისი 12 წლის ვაჟი შალვა. მამას ბრალად ედება

ყალბი ორდერების დამზადება მომარაგების სამინისტროს სახელით, ხოლო შვილს მათი გასაღება. (3; №966)

- მილიციამ შეიპყრო ე. დობროვოლცევი, რომელიც ცუდად იხსენიებდა საქართველოს მთავრობას და ცდილობდა მისი ავტორიტეტის დაცემას. მისი საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა გამოსაძიებლად. (1; №246)

31 ოქტომბერი

- მთავრობის სხდომაზე დაადგინეს რომ მიხეილის საავადმყოფოს ეწოდოს რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფო. ოლღას სახელობის საბებიო ინსტიტუტს კი რესპუბლიკის საბებიო ინსტიტუტი. (1; №247)
- გაიხსნა სახალხო უნივერსიტეტი. გახსნაზე მოწვეული იყვნენ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია, კარლ კაუცკი და სხვები. უნივერსიტეტი გაიხსნა ძველ ბინაზე, პლეხანოვის პროსპექტზე. (1; №247)
- 12 საათზე ახალი კლუბის დარბაზში მოხდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება, ახალი წევრების ასარჩევად. (1; №247)
- შედგა საქართველოს რესპუბლიკის კავშირების სეკრეტარიატის სხდომა, მოქალაქე გორგაძის თავმჯდომარეობით. სხდომაზე იმსჯელეს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. მოხსენება წაიკითხა მოქალაქე ჩხენკელმა. (1; №249)

1 ნოემბერი

- ნოემბრის პირველს გარეშე საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი შეხვდა საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარეს, ბ-ნ ლეიგს. (2; №137)

2 ნოემბერი

- მთავრობის დადგენილებით კვარციანის სპილენძის ქარხანას უნდა გადასცემოდა 10 მილიონი მანეთის სესხი. (2; №137)
- ფინანსთა მინისტრის მოხსენებით სექტემბერში სახელმწიფო შემოსავალმა 273 894 495 მანეთი შეადგინა. (2; №137)
- ფინანსთა მინისტრმა დამფუძნებელ კრებაში შეიტანა 1920–21 წლების სახელმწიფო ხარჯების პროექტი. (2; №137)

3 ნოემბერი

- საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარისგან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიიღო პირობა „დე იურედ“ აღიარებისა. (1; №249)
- სასტუმრო „ორიენტთან“ გაიმართება ფორდის ფირმის ავტომობილებისა და ბარგის საზიდრების გამოფენა. (1; №249)

- სამხედრო მინისტრი მხურვალე სალამს უძღვნის, ჯარის სახელით, სახალხო გვარდიას და სამშობლოსათვის თავდადებულ ბრძოლას უსურვებს. (1; №249)
- გვარდიის გენერალური შტაბის ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის რესპუბლიკის ჯარს და აცხადებს, რომ შეერთებული ძალებით აუცილებლად შეძლებენ დემოკრატიული რესპუბლიკის დაცვას. (1; №249)
- შრომის სამინისტროს დადგენილებით იმ მუშებს, რომლებიც დათხოვნილი იქნებიან უდანაშაულოდ, აქვთ უფლება მოითხოვონ კომპენსაცია. (1; №249)
- გზათა დეპარტამენტი აცხადებს, რომ ზოგიერთ გაზეთში გამოქვეყნებული მასალა, ელექტრო სადგურებში მხოლოდ 4 თვის მარაგის არსებობის შესახებ, სიმართლეს ეწინააღმდეგება. (1; №249)

4 ნოემბერი

- კანონის გადასინჯვის კომისიამ დაასრულა მუშაობა ეკლესიის სახელმწიფოსგან ჩამოშორების კანონის შესახებ. (1; №250)
- შრომის სამინისტრო აცხადებს, რომ ერთ და იმავე პირს არ აქვს უფლება ორ სხვადასხვა სამსახურში მიიღოს ანაზღაურება, ამ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს მხოლოდ ის ერთი სამუშაო, სადაც მიიღებს ანაზღაურებას. (1; №250)
- მიწათმოქმედების სამინისტროს დადგენილებით ფარცხნალის აგარაკები გადაეცა შორაპნის მაზრას. (1; №250)
- დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე დაბრუნდა დასვენებიდან და შეუდგა მუშაობას. (1; №250)
- დამფუძნებელმა კრებამ მიუხედავად იმისა, რომ უამინდობის გამო კრების შენობის რემონტი არ დასრულებულა, დაადგინა, რომ კრება მუშაობას განაახლებს 9 ნოემბერს. (1; №250)
- 1919 წლის დეკემბრიდან 1920 წლის ოქტომბრამდე საქართველოდან გატანილია 145 830 ტონა მარგანეცი. (1; №250)
- 5–19 ნოემბერს სამხედრო სასამართლოში განიხილება, გენერალი მაზნიაშვილის საქმე. (1; №250)

5 ნოემბერი

- ოქტომბრის 28-ის დადგენილებით შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენების საფუძველზე გაუქმდა გენერალდგუბერნატორის თანამდებობები. (1; №251)
- სახალხო გვარდიის გენერალური შტაბი დიდ სალამს უძღვნის მთავრობას და მის თავმჯდომარეს, მადლობას უხდის რევოლუციური მონაპოვარის დაცვისა და განვითარებისათვის. (1; №251)
- ერობის თვითმართველობის კომიტეტმა დაამუშავა კანონპროექტი თვითმმართველობის შესახებ, რომელიც 48 მუხლისაგან შედგება. (1; №251)
- ინჟინერ ალ. წულუკიძის მოხსნების თანახმად დადგინდა ტყიბულის ქვანახშირის მოპოვების გეგმა. (1; №251)

- სახელმწიფო დრამის თეატრში წარმოდგენილი იქნა დავით კლდიაშვილის პიესა „დარისპანის გასაჭირი“. (1; №251)

6 ნოემბერი

- ოზურგეთის სამაზრო კრებამ შსს-ს მოსთხოვა 13 მილიონი მანეთი შარაგზების გასაყვანად და აღსადგენად. (1; №252)
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ გასცა ბრძანება დატუსაღებული იქნას სოფელ ბაღიაურის რაიონის კომისარი, მოსახლეობის შევიწროების გამო. (1; №252)
- ქალაქთა კავშირი ფინანსთა სამინისტროსთან აყენებს შუამდგომლობას სესხის სახით გაიცეს 10 მილიონი ქ. გორისათვის, რათა შეძენილი იქნას ამილახვარის მამული, რომელშიც მოწყობილია წისქვილი და ელექტრონის სადგური. (1; №252)
- ნიკო ნიკოლაძემ დამფუძნებელ კრებაში შეიტანა წერილი წევრობის დატოვების შესახებ, ის სამუშაოდ გადადის შავი ქვის საექსპორტო საზოგადოების თავმჯდომარის პოსტზე. (1; №252)
- ფინანსთა სამინისტრომ საზოგადოება „ერმის“-ს გამოუყო მილიონი მანეთი, ასანთის ქარხნის გასახსნელად. (1; №252)
- შრომის სამინისტრომ დაადგინა, მუშათა და მოსამსახურეთა ჯილდოს განაწილების წესი. (1; №252)

7 ნოემბერი

- მთავრობის დადგენილებით, თავისივე თხოვნის საფუძველზე თანამდებობა დატოვა, საქართველოს სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა აზერბაიჯანში გრიგოლ ალიბაიამ. (1; №253)
- მთავრობამ დაადგინა ჯანმრთელობის დეპარტამენტს გადასცეს კურორტი აბასთუმანი. (1; №253)
- სამხედრო საოლქო სამმართველოს პროკურორის ამხანაგი დ. მირიანაშვილი მთავრობის დადგენილებით გათავისუფლებულია მოვალეობის აღსრულებიდან. (1; №253)
- იუსტიციის მინისტრის დადგენილებით სამსახურიდან გათავისუფლდა საპყრობილეთა ინსპექტორი ა. ყიფიანი. (1; №253)
- მოისმინეს ალექსანდრე ლომთათიძის მოხსენება დამფუძნებელ კრებაში, ოსმალეთიდან მომავალი საფრთხის შესახებ. (1; №253)
- ბოლო კვირის განმავლობაში ბათუმის ოლქში ძლიერ იმატა პურისა და სხვა სურსათის ფასმა. (1; №253)

8 ნოემბერი

- საქართველოში მყოფი მეორე ინტერნაციონალის ლიდერი კარლ კაუცკი ესტუმრა თბილისის რკინიგზელთა ცენტრალურ სამმართველოს. (1; №254)

9 ნოემბერი

- კარლ კაუცკის მდივანმა მიმართა რკინიგზელთა საზოგადოებას, დაუთმონ მათი ყველა პერიოდული გამოცემა, საზოგადოებამ თხოვნა დააკმაყოფილა. (1; №254)
- დრამის თეატრში წარმატებითა და ანშლაგით მიმდინარეობს შექსპირის უკვდავი პიესის „ოტელოს“ წარმოდგენები. (1; №254)
- თბილისის საქალაქო გამგეობა აცხადებს სამხედრო ბეგარის მოსახდელად გაწვევას, 1900 წელს დაბადებულთათვის. კომისარიატები მუშაობას იწყებენ დილის 9 საათიდან. გაწვევა იწარმოებს 15–26 ნოემბერს. (1; №254)
- დამფუძნებელმა განიხილა და დაკმაყოფილა ნიკო ნიკოლაძის თხოვნა კრების დეპუტატის მოვალეობიდან განთავისუფლების შესახებ. სამოციანელთა პატრიარქი ევროპაში იმყოფებოდა ჭიათურის მანგანუმის ექსპორტთან დაკავშირებული მოლაპარაკებებისა საწარმოებლად და მოუცლელობის გამო თხოულობდა განთავისუფლებას. მის მაგიერ დამფუძნებელი კრების წევრი გახდა ეროვნულ-დემოკრატი შალვა ამირეჯიბი. (2; №143)
- ორი თვის შეწყვეტის შემდეგ დღეს დამფუძნებელი კრება მუშაობას განაახლებს. (1; №254)

10 ნოემბერი

- შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით ფოილოს ხიდს, აზერბაიჯანიდან და ჩრდილო კავკასიიდან მომავალი სომეხი დევნილები მოადგნენ. (1 . №255)
- სახალხო განათლების მინისტრის ბრძანებით საშუალო ტექნიკური განათლების მთავარი გამგე ი. თაქთაქიშვილი გაემგზავრა ქუთაისსა და ბორჯომში არსებული სკოლების რევიზიისათვის. (1 . №255)
- სოხუმში დამთავრდა ყრილობა აგრარული რეფორმის კომიტეტისა, მოხსენებების თანახმად რეფორმის პირველი ნაწილი მიწის რეკვიზიციის შესახებ, კარგად ჩატარდა. (1 . №255)
- თბილისში გამოემგზავრა აფხაზეთის საბჭოს დელეგაცია, აფხაზეთის კონსტიტუციის საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებებისათვის. (1; №255)
- სავაჭრო სამრეწველო პალატა მიმართავს ბათუმის პალატას, სასწრაფოდ აცნობოს ოლქში არსებულ საწარმოთა შესახებ მონაცემები. (1; №255)
- შავი ქვის მწარმოებელმა ფირმებმა, რომლებიც საზოგადოება „ჩემო“-ში არიან გაერთიანებული, დედათა და ბავშვთა დამცველ საზოგადოებას 2 მილიონი მანეთი შესწირეს. (1; №255)

11 ნოემბერი

- სახელმწიფო ბანკში განიხილეს და დაამტკიცეს წესი, რომლის მიხედვითაც ბანკი დაიწყებს სესხების გაცემას. (1; №256)
- ქალაქთა საბჭომ ბორჩალოდან მიიღო კარტოფილისა და ხახვის მარაგები. (1; №256)

- ბათუმის მეჯლისმა მიმართა მოსახლეობას, ქემალისტური პროკლამაციების გავრცელების საპასუხოდ. (1; №256)
- დამფუძნებელ კრებაში ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ შეიტანა საკითხი, დაიწყოს განხილვა „ერთა ლიგაში" საქართველოს გაწევრიანების შესახებ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით. (1; №256)
- ოსმალეთისგან მომავალი საფრთხის შესახებ დამფუძნებელ კრებაში მოხსენება გააკეთა აკაკი ჩხენკელმა. (1; №256)
- მთავრობის თავმჯდომრის განკარგულებით, სათბობი მასალის ეკონომიისათვის, დღესვე უნდ მოისპოს ავტომობილებით გადაადგილება, გარდა უცხო ქვეყნის მისიებისა. (1; №256)
- ნოემბრის თერთმეტს სახელმწიფო დრამის თეატრში განმეორებული იქნა შექსპირის „ოტელო". (1; №256)

12 ნოემბერი

- 7 ნოემბრის განკარგულებით. მთავრობის საგანგებო რწმუნებული ბათუმის ოლქში ბენიამინ ჩხიკვიშვილი გათავისუფლებული იქნა თანამდებობიდან, თანახმად მისი თხოვნისა. (1; №257)
- დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ გიორგაძე, მთავრობის დადგენილების თანახმად, დაინიშნა ბათუმში მთავრობის საგანგებო რწმუნებულად. (1; №257)
- მთავრობის თავმჯდომრის განკარგულებით, გაუქმდა ყოველგვარი შეღავათი მობილიზაციის დროს. (1; №257)
- გარეშე საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი შეხვდა საფრანგეთის პრეზიდენტ მილიერანს. (1; №257)
- დამფუძნებელმა კრებამ დააკმაყოფილა დეპუტატ ნიკო ნიკოლაძის განცხადება კრების წევრობის მანდატის დატოვების შესახებ, სხვა სამსახურში დანიშვნის გამო. საარჩევნო კანონის ძალით დამფუძნებელი კრების წევრი გახდა ბ-ნი შალვა ამირეჯიბი. (1; №257)
- დამფუძნებელმა კრებამ აკ. ჩხენკელის წინადადებით, დაამტკიცა ერთა ლიგაში საქართველოს მიერ მისავლინებელი დელეგაცია. დეპუტატი ლეო შენგელაია (ესერი) გამოვიდა საქართველოს ერთა ლიგაში შესვლის წინააღმდეგ. (1; №257)
- დამტკიცებული იქნა 1920–21 წლების სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახი ბიუჯეტი. (1; №257)
- ბრწყინვალედ ტარდება სახალხო გვარდიის მიერ გამოცხადებული მობილიზაცია სამწყობრო მეცადინეობისათვის. (1; №257)

13 ნოემბერი

- შრომის სამინისტროს მიმართვის თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახალხო გვარდიისადმი, უნდა შეწყვეტილიყო მოსახლეობისათვის, სახალხო გვარდიის სახელით მოქმედი პირების მიერ სურსათ სანოვაგის და სხვა რესურსების უკანონო რეკვიზიცა. (1; №258)

- დამფუძნებელმა კრებამ ქ-ნი ქ. შარაშიძის მოხსენების თანახმად დაამტკიცა სახელმწიფო ბანკის პერსონალის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხი და მათი მუშაობის პრინციპები, შესაბამისი დეკრეტის გამოცემით. (1; №258)
- სოხუმიდან: სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურენი გულწრფელ სალამს უძღვნიან, საქართველოს დემოკრატიულ ბელადს ნოე ჟორდანიას და აღუთქვამენ მუდმივ ერთგულებასა და მხარდაჭერას. (1; №258)
- განათლების მინისტრის ნებართვით მეოთხე გიმნაზიაში ჩატარდება ქართული ენისა, ისტორიისა და ლიტერატურის პრაქტიკული კურსები. (1; №258)
- თბილისის მოურავმა ბენია ჩხიკვიშვილმა მთავრობის თავმჯდომარესთან დააყენა შუამდგომლობა, მიენიჭოს უფლება ყოველგვარ სპეკულიანტთა ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებისა. თავმჯდომარემ საქმე იუსტიციის სამინისტროს გადასცა. (1; №258)
- ნოემბრის თერთმეტს სახელმწიფო დრამის თეატრში განმეორებული იქნა შექსპირის „ოტელო". (1; №258)

14 ნოემბერი

- ჯანმრთელობის დეპარტამენტის ცნობით შავი ჭირით გარდაცვალების ერთი შემთხვევა დაფიქსირდა, დაავადებულია 11; ხოლერასგან ავად გახდომის ფაქტი არ დაფიქსირდა. (1; №259)
- იტალიამ საქართველოში მოავლინა საუკეთესო ავიამფრინავი ანტონ ლევანტინო, რომელიც ქართველ მფრინავებს შეასწავლის იტალიური ჰაეროპლანების მართვას.
- თბილისში იტალიის პოლიტიკურ აგენტად დაინიშნა ჩერუტი, იტალიის ყოფილი აგენტი ბუდაპეშტში. (1; №259)
- მთავრობამ დამფუძნებელ კრებაში შეიტანა პროექტი, საზღვარგარეთიდან ფუფუნების საგნების შემოტანის აკრძალვის შესახებ. (1; №259)

15 ნოემბერი

- სახელმწიფო თეატრში დაიდგა „კოტე და ქეთო". (1; № 260)
- სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგის განკარგულებით ალექსანდრე ჭანაშვილი ინიშნება სახელმწიფო კონტროლიორის რევიზორის თანამდებობაზე. (1; №260)

16 ნოემბერი

- დამფუძნებელი კრების მოწოდებაში ქართველი ხალხისადმი, საუბარი იყო ოსმალეთიდან მომავალი საფრთხის შესახებ. (1; №260)
- მთავრობის თავმჯდომარის მიმართვაში სახელმწიფო სამსახურში მომუშავეებისადმი, ყველა პირი ვალდებულად ითვლებოდა, მობილიზაციის დროს გამოცხადებულიყო დანიშნულების ადგილზე, წინაღმდეგ შემთვევაში განხორციელდებოდა სამართლებრივი დევნა. (1; №260)

- საქართველოს რესპუბლიკას, აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკასა და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას შორის ხელი მოეწერა საბაჟო სატრანზიტო ხელშეკრულებას, თავისუფალი ტრანზიტის შესახებ. (1; №260)
- გარეშე საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი გაემგზავრა ევროპაში საქართველოს ფორმალურად დამოუკიდებლობის ცნობისათვის, მისი ვიზიტი გამარჯვებით დასრულდა სახელმწიფოებმა ფორმალურად ცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა. (როგორც ჩანს, იგულისხმება ევროპის ქვეყნების პრინციპული თანხმობის მიცემა საქართველოსადმი, დამოუკიდებლობის დე იურე ცნობის შესახებ – დ. შ) (1; №260)
- ფინანსთა მინისტრის კონსტანტინე კანდელაკის რომში ვიზიტისას, მის საპატივცემულოდ საზეიმო ვახშამი გაიმართა. (1; №260)

17 ნოემბერი

- ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროებში გამოვა გაზ. „ეკონომიკური ცხოვრება“, რომელშიც საჯარო ანგარიშვალდებულ დაწესებულებებს ექნებათ თავიანთი ანგარიშებისა და განცხადებების გამოქვეყნების უფლება. (1; №261)
- სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგის ბრძანების თანახმად, ორივე სახელმწიფო თეატრისა და დრამის დირექტორად დაინიშნა ალ. ნუწუნავა. (1; №261)
- ბათუმის ოლქში ხანგრძლივი წვიმების შედეგად მოსავალი ძლიერ დაზიანდა. (1; №261)
- შრომის სამინისტროს მოთხოვნით ფაბრიკა-ქარხნებს ევალებათ სასწრაფოდ წარმოადგინონ ყოველგვარი ანგარიში. (1; №261)
- ბათუმში სოციალდემოკრატიული პარტიის წევრების წინაშე ნოე რამიშვილმა მოხსენება გააკეთა . (1; №261)
- 17 ნოემბერს გვარდიის შტაბის ინიციატივით დამფუძნებელ კრებაში შედგა ინტერფრაქციული კრება, არსებული მდგომარეობის განსახილველად. (1; №261)

18 ნოემბერი

- ფინანსთა სამინისტრომ დაამტკიცა: ჭიათურის, ყვირილასა და ქიზიყ-კახეთის სააქციო ბანკების წესდება. (2; №151)
- სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა კრება, მომხესენებელი იყო დამფუძნებელი კრების წევრი ალექსანდრე ასათიანი. (2; №151)
- ჩატარდა ფრონტის დამხმარე კომიტეტის სხდომა, რომელსაც ქ-ნი ქ. შარაშენიძე თავმჯდომარეობდა. (2; №151)
- სამხედრო სასამართლოში მიმდინარეობს გენერალ გიორგი მაზნიაშვილის საქმის განხილვა. (2; №151)
- სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება „ქეთო და კოტეს“ წარმოდგენა. (2; 151)

19 ნოემბერი

- მთავრობამ დაადგინა, რომ მიწათმოქმედების სამინისტრომ მიმართოს ბერლინში ჩვენს წარმომადგენელს, გერმანელთა საქართველოში ჩამოსახლების შესახებ ცნობების დაზუსტებისათვის. (1; №263)

- მთავრობის დადგენილებით, გზათა მიმოსვლის სამინისტროს ეძლევა უფლება რკინიგზის ქარხნებში დაამზადოს სასოფლო იარაღები. (1; №263)
- მთავრობის მეთაურის მოხსენების თანახმად მთავრობამ დაატკიცა ბრძანება, რომლის თანახმადაც დაარსდა თავდაცვის საბჭო. (1; №263)
- გუდაუთის ქალაქის თვითმმართველობა მთავრობას მიმართავს შუამდგომლობით, გადიდდეს გადასახადი ღვინოსა და თამბაქოზე. (1; №263)
- პარიზში „სოციალისტთა ჯგუფმა" განიხილა საქართველოს საკითხი და მიიღო დადგენილება საქართველოს ყოველმხრივ დაცვის შესახებ. (1; №263)
- მთავრობის დავალებით ბათუმში მიევლინენ: ჰაიდარ ბეგ აბაშიძე, ისიდორე რამიშვილი და მიქელაძე მთავრობის პოლიტიკის ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაცნობად. (1; №263)
- მიმდინარეობს საუბარი ბათუმის პორტოდფრანკოდ გამოცხადებასთან დაკავშირებით. (1; №263)

20 ნოემბერი

- მომარაგების სამინისტრო აცხადებს, რომ დღეიდან ქალაქებში სურსათის გადატანა და გაყიდვა სრულიად თავისუფალია. (1; №264)
- გენერალური შტაბი აცხადებს, რომ მობილიზაციის ვადა 25 ნოემბრამდე გაუხანგრძლივდათ იმ პირებს, რომლებიც უნდა გამოცხადებულიყვნენ 20 ნოემბერს. (1; №264)
- მიუხედავად ცუდი ამინდისა, მომარაგების სამინისტროს ცნობით, იმერეთში მოსავლის რაოდენობა საკმაოდ დიდია და სიმინდის ფასები მალე შემცირდება. (1; №264)
- დამფუძნებელი კრების წევრების ჰაიდარ აბაშიძისა და ისიდორე რამიშვილის მოხსენებას ქობულეთში, მთავრობის საგარეო კურსთან დაკავშირებით, დიდი მოწონება მოჰყვა. (1; №264)
- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" კანტორა აცხადებს, რომ თუ ხელმომწერები არ დაბრუნებენ ნისიას, გაზეთს მოესპობა საარსებო წყარო და დაიხურა. (1; №264)
- დამფუძნებელ კრებაში შედგა თავდაცვის კომიტეტის შეხვედრა ესწრებოდნენ: აკ. ჩხენკელი, ნ. ელიავა, თბილისის თვითმართველობიდან – ვ. ხახანაშვილი, სამრეწველო პალატა – დ. აფხაზი, ეროვნულ დემოკრატიული პარტიიდან – გ. გვაზავა. სოციალისტ-რევოლუციონერებიდან – ი.გობეჩია, ნაციონალისტებიდან – გ. ვეშაპელი. (1; №264)

21 ნოემბერი

- დამფუძნებელ კრებაში შეტანილი კონსტიტუციის განხილვის წესი დადგინდა. (1; №265)
- რესპუბლიკის თავდაცვის კომიტეტი შეიკრიბება დამფუძნებელი კრების შენობაში. თავმჯდომარე აკ. ჩხენკელი. სხდომაზე მოწვეული იქნებიან პარტიების ცენტრალური კომიტეტის წევრები, ერობების წარმომადგენლები და სხვები. (1; №265)

- დამფუძნებელ კრებაში – ივანე გომართელის მოხსენების თანახმად, გამოიყო 1 მილიონი მანეთი ბორჯომის სანატორიუმის მოწყობისათვის, რასაც მკაცრად აპროტესტებდნენ ოპოზიციური ფრაქციები. საქმის აღსრულება დაევალა მიწათმოქმედების სამინისტროს, რომელიც განაგებს საქართველოში არსებულ ყველა სანატორიუმს. (1; №265)
- იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, ყოფილ თავადს – მინგრელსკის ქონება ჩამოერთვა. (1; № 265)
- კახეთში, მარცვლეულის კარგი მოსავლის შედეგად, სიმინდისა და ხორბლის ფასი მნიშვნელოვნად დაეცა. (1; №265)
- შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი თბილისში დაბრუნებისას გაცივდა, მინისტრის მოვალეობას მისი ამხანაგი ჭიჭინაძე შეასრულებს. (1; №265)
- საქართველოს გარშემო – 21 ნოემბერს გაზეთ „Le Poudle"-ში გამოქვეყნდა ემილ ვარდერველდეს სტატია „პირველი სოციალისტური მთავრობა", რომელშიც ძალიან დადებითადაა გაშუქებული საქართველოს მთავრობის მოქმედებები. (1; №265)

22 ნოემბერი

- დამფუძნებელ კრებაში დაიწყება განხილვა საკონსტიტუციო კანონისა, მომხსენებლები იქნებიან: პავლე საყვარელიძე, ჯაფარიძე, კედია, რუსია, ჩხენკელი და სხვები. (2; №155)
- ბათუმის თვითმმართველობაში შეუდგნენ არჩევნებისათვის მზადებას. (2; №155)
- მთავრობა მიმართავს ბათუმის ოლქში თავის წარმომადგენელ გრიგოლ გიორგაძეს, გამოიკვლიოს ჭოროხსა და აჭარისწყალზე ბერძნების მხრიდან იარაღით ვაჭრობის ფაქტები. (2; №155)
- მეჯლისის შეკრებაზე ბათუმში, მოისმინეს. მემედდბეგ აბაშიძის მოხსენება და მთავრობისა და დამფუძნებელი კრების ფრაქციების მისალმება მეჯლისისადმი. (2; №155)
- ვაჭრობის სამინისტროში შედგა კრება ელექტრონის სადგურების დახმარების შესახებ. (2; №155)
- იტალიის წარმომადგენელმა, გორინმა მოინახულა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე. (2; №155)

23 ნოემბერი

- გარე კახეთის მასწავლებლები დიდ სალამს უძღვნიან მთავრობის თავმჯდომარეს და ფიცს დებენ, რომ უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებენ დემოკრატიული საქართველოსთვის. (1; №266)
- ბათუმელი ახალგაზრდა მარქსისტები მიესალმებიან თავმჯდომარეს და ჯანმრთელობას უსურვებენ. მათ სწამთ, რომ დემოკრატიული ბელადის ბრძნული გადაწყვეტილებები საქართველოს დაამლევინებს ყოველგვარ გასაჭირს. (1; №266)
- გურიის სახალხო გვარდიის ყრილობამ მოისმინა დეპუტატ გოგიტა ფაღავას მოხსენება საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით და მოიწონა მთავრობის გეგმა. გვარდიელები ფიცს

დებენ დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის წინაშე, რომ თავდადებით დაიცავენ დემოკრატიულ საშშობლოს. (1; №266)

- დამფუძნებელ კრებაში დადგინდა რომ 24 ნოემბერს გაიმართება კონსტიტუციის განხილვა, მომხსენებლები იქნებიან კომისიის თავმჯდომარე პავლე საყვარელიძე და სხვა წევრები. (1; №266)
- იუსტიციის სამინისტრომ გამოსცა დეკრეტი კონტრაბანდის შესახებ და დაადგინა რომ კონტრაბანდული საქონელი ჩამოერთმევა მფლობელს და გადაეცემა სახელმწიფოს, პირი კი დატუსაღდება. (1; №266)

24 ნოემბერი

- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგის ნოტა საქართველოში რუსეთის წარმომადგენლობისადმი, ბათუმის დაპყრობის მცდელობასთან დაკავშირებით. (1; №267)
- მომარაგების მინისტრის ჭივჭანიძის ვიზიტი მიმდინარეობს ევროპაში, უცხოურ ფირმებთან კავშირის დამყარების მიზნითა. (1; №267)
- მთავრობის გადაწყვეტილებით, გუდაუთის მაზრიდან გამოიყო გაგრადბიჭვინთის რაიონი, რომელშიც რწმუნებულად განაწესეს დამფუძნებელი კრების წევრი – ლ. რუხაძე. (1; №267)
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საყურადღებოდ! – ვინც 25 ნოემბრამდე კანცელარიაში არ ჩააბარებს მატრიკულებს, ეს სემესტრი არ ჩაეთვლებათ. (1; №267)
- გუშინ დასრულდა გენერალ გიორგი მაზნიაშილისა და გენერალ ჯიჯიხიას საქმე. ბრალმდებელმა მოუხსნა ბრალი და სრულად გაამართლა ორივე გენერალი. (1; №267)
- წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება შეუდგა ვასილ ბარნოვის ნაწარმოებთა მეორე ტომის გამოცემას. (1; №267)
- ახლო მომავალში სანდრო ახმეტელის რეჟისორობით დაიდგმება ალექსანდრე შანშიაშვილის პიესა „ბერდო ზმანია". (1; №267)

25 ნოემბერი

- დამფუძნებელ კრებაში, ივანე გომართელის მოხსენების თანახმად, მიღებული იქნა დეკრეტი, ზოგიერთი პროდუქციის საზღვარგარეთიდან შემოტანის აკრძალვის შესახებ. (1; №268)
- ნ. იმნაიშვილის მოხსენებით, საქონლის ჭირის საწინაღმდეგო შრატის მწარმოებელი სადგურის დამთავრებისათვის, გამოყოფილი უნდა იქნას შესაბამისი სახსრები. (1; №268)
- მეღვინეობა მევენახეობის ყრილობაზე მიიღეს გადაწყვეტილება, სასოფლო-სამეურნეო პალატის შექმნის შესახებ. (1; №268)
- დღეს სახალხო სახლში გაიმართება წარმოდგენა „ღალატი", ბილეთის ფასი სახალხოა. (1; №268)

- გარდაიცვალა მსახიობი ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი.
- მობილიზაცია ქუთაისის მაზრაში ძალიან კარგად მიმდინარეობს, სააღრიცხვო ბიუროები ვეღარ აუდიან მომსვლელთ. (1; №268)

26 ნოემბერი

- მთავრობამ მოისმინა და დაამტკიცა საზოგადოება „ძმობის" მოთხოვნა, ნიორის საზღვარგარეთ გატანასთან დაკავშირებით, გატანისას განსაზღვრულია ბაჟი. (1; №269)
- მთავრობამ დაამტკიცა ვალუტის გაცვლის ახალი წესი. (1; №269)
- ბათუმის თემმა მოისმინა და მოიწონა დამფუძნებელი კრების წევრების ჰაიდარ აბაშიძისა და ისიდორე რამიშვილის მოხსენება საქართველოს მთავრობის პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით. (1; №269)
- სამხედრო სამინიტროს ტოფოგრაფიული განყოფილების მიერ გამოიცა ახალი სასწავლო კედლის რუკები. (1; №269)
- სახელმწიფო თეატრში შედგა ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის დაკრძალვის კომიტეტი. (1; №269)
- ბათუმში დაკავებული იქნა არალეგარულად შექმნილი „მეზღვაურთა" კავშირი , რომელიც მართული იყო ბოლშევიკებისაგან. (1; №269)

27 ნოემბერი

- პოლკოვნიკმა ქიაზიმ-ბეიმ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარუდგინა რწმუნებათა სიგელი, რის თანახმადაც ის ინიშნება ანგორას მთავრობის სრულუფლებიან წარმომადგენელად საქართველოში. (1; №270)
- მთავრობამ დაამტკიცა პროექტი გორის ციხის აღდგენა-შეკეთების შესახებ. (1; №270)
- აფხაზეთის კომისარიატმა მთავრობაში შეიტანა შუამდგომლობა ე. ოსიპოვისათვის ქონების ჩამორთმევის შესახებ, რომელიც ესაჭიროებოდა აფხაზეთის კომისარიატს. (1; №270)
- დამფუძნებელ კრებაში გრძელდება კონსტიტუციის პროექტის განხილვა. (1; №270)
- ბრიტანეთის საკონსულოს ცნობით კონსულად დაინიშნა ფ. ვოლტინი. (1; №270)
- ბათუმის თვითმართველობამ შავი ჭირის საწინააღმდეგო სამუშაოებისთვის გადასდო 100 000 მანეთი. (1; №270)

28 ნოემბერი

- მთავრობის თავმჯდომარის მოხსენებით, თავისი ნებით თანამდებობიდან გადადგა საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი – ნ. ქარცივაძე. (1; №271)
- შინაგანს საქმეთა მინისტრის მოხსენებით 18 153 917 მანეთი გადაეცათ თვითმმართველობებს, გადასახადების დასაფარავად. (1; №271)
- თბილისში არალეგალურად ჩატარდა საქართველოს კომუნისტური პარტიის კონფერენცია, რომელმაც განიხილა შეიარაღებული აჯანყების საკითხი. ხელმძღვანელი ორგანოს – პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს მამია ორახელაშვილი. (1; №271)

- დამფუძნებელ კრებაში ივანე გომართელის მოხსენებით, დამტკიცებული იქნა სახელმწიფო ბანკის ბათუმის ფილიალი და მისი საშტატო ერთეული. (1; №271)
- ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში იტყობინებიან, რომ დაიწყო თელავი-ახმეტის სატელეფონო ხაზის გამართვა. (1; №271)
- ლადო ალექსი-მესხიშვილი დაკრძალეს დიდუბის პანთეონში. (1; №271)

29 ნოემბერი

- სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგის განკარგულებით ალექსანდრე ვერპიცკი დაინიშნა სახელმწიფო კონტროლის შიკრიკად. (1; №272)

30 ნოემბერი

- მიწათმოქმედების სამინისტრო გეგმავს ყარაიზის ეროვნული მამულის მოსარწყავად არხის გაყვანის. სამუშაოების დაწყებას, 1921 წლის გაზაფხულიდანვე. (1; №272)
- რუსეთის ბოლშევიკურ ცენტრალურ გაზეთ „პრავდაში", ნაციონალურ საქმეთა კომისარმა სტალინმა განაცხადა: „...საქართველო ამჟამად თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის... არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ მძიმე წუთს ანტანტა ისევე მიატოვებს საქართველოს, როგორც სომხეთი მიატოვან". (1; №272)
- შრომის სამინისტრო მიმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა ნება დართოს აღადგინონ საავტომობილო მოძრაობა ბათუმსა და ქვარცხანის სპილენძის ქარხანას შორის, რათა მოხდეს სურსათ-სანოვაგით მომარაგება. (1; №272)
- იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით დიდდება ბინისა და საკუთრების განსაზღვრული გადასახადი. (1; №272)
- აბასთუმანში მუშაობას დაიწყებს ღვინის სახდელი ქარხანა, რომელიც აწარმოებს სპირტს, აფთიაქებისა და საავადმყოფოებისთვის. (1; №272)
- ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ აღადგინა ტელეგრაფის მუშაობა ხულოში. (1; №272)
- მარგანეცის ექსპორტის გაზრდისათვის საზოგადოება „ჩემო" ყოველგვარ ზომებს მიიღებს. (1; №272)
- ბათუმში მობილიზაციამ წარმატებით ჩაიარა. (1; №272)

1 დეკემბერი

- დამფუძნებელი კრების სხდომაზე ნოე ჟორდანიამ გააკეთა მოხსენება კონსტიტუციის პროექტის შესახებ. მისი თქმით, მათი მიზანი იყო შექმნილიყო ისეთი კონსტიტუცია რომელიც უზრუნველყოფდა დემოკრატიულ უნიტარულ რესპუბლიკას, უფლებათა დანაწილებას ცენტრალურ დაწესებულებათა და ხალხს და მის ადგილობრივ ორგანოთა შორის. კონსტიტუციას უნდა უზრუნველეყო უპრეზიდენტობა, ამასთანავე სახელმწიფოს მთლიანობა, მთავრობის დამორჩილება პარლამენტისადმი და კრიზისების თავიდან აცილება. (13; 202-203)

- მთავრობის თავმჯდომარის მოხსენების საფუძველზე: მღვიმევისა და გელათის მონასტრების მდგომარეობის შესახებ დადგინდა, რომ: იმ ღირებულების დასაცავად, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა გააჩნია 1 დეკემბრიდან ყოველთვიურად გამოეყოთ – მღვიმევის მონასტრისათვის 10 000 მან. და გელათის მონასტრისათვის 20 000მან. შსს-ს მოხსენების საფუძველზე მთავრობამ დაადგინა, რომ 1 დეკემბრიდან აფხაზეთის ეპარქიას მისცემოდა ყოველთვიურად 25 000 მან. (4; №279)
- მთავრობამ 19 ივნისს სოხუმის საგანგებო სასამართლოს მიერ მეჯიდ გოგუპიროვისათვის გამოტანილი დახვრეტის განაჩენი, შეუცვალა მას 14 წლიანი კატორღით. (4; №279)
- მიწათმოქმედების სამინისტროს გადასახლების განყოფილების ცნობით: ახალქალაქის მაზრაში გადაუსახლებიათ 185 კომლი, ბოლო ხანებში დამატებით გადაუსახლებიათ კიდევ 100 კომლი – ძირითადად მოხევეები. მათთვის გაგზავნეს 3 ვაგონი სათესი მასალა. ყარაიაზში გადაასახლეს 200 კომლი, ძირითადად იმერლები, მათ ბოლო ხანებში კიდევ დაემატათ 60 კომლი. (1; №273)
- პრესის ცნობით გზათა დეპარტამენტში შეიტანეს პროექტი სადგურ ფოთის სარკინიგზო ჩიხის გაგრძელების შესახებ, შავი ქვის ექსპორტის გაძლიერების გამო. რკინიგზის მმართველობის კომერციულ ნაწილს არავითარი საწინააღმდეგო არ ჰქონია ამ შუამდგომლობისა. (4; №274)
- პრესის ცნობით საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო მისასალმებელი დეპეშა კინტრიშის თემის საერთო კრებისაგან. კრებამ გამოთქვა სურვილი თავისი ძალა და სიცოცხლე შეეწირა საჭიროების შემთხვევაში რესპუბლიკის კეთილდღეობისათვის. ამასთანავე კინტრიშელები იმედოვნებდნენ, რომ ბათუმის ოლქში მალე შემოღებული იქნებოდა ავტონომიური მმართველობა. (1; №273)

2 დეკემბერი

- ერევანში რუსეთის წითელი არმია შევიდა, ჩამოყალიბდა სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.
- საღამოს 7 საათზე თბილისში ჩამოვიდა, საქართველოში საფრანგეთის უმაღლესი კომისარი ბატონი აბელ შევალიე. მას სადგურზე შეეგებნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე საბახტარაშვილი, სამხედრო მინისტრის მოადგილე გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი. საფრანგეთის სამხედრო და სამოქალაქო მისიის წევრები, ასევე შვეიცარიის ელჩი. (4; №277)
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააგზავნა ცირკულარი ყველა მაზრისა და ქალაქის მილიციის უფროსებთან და თვითმმართველობებთან. სამინისტრომ მათ მოსთხოვა ყურადღება მიექციათ მათ დაწესებულებებში მისაღებ პირთა ნამსახურობის საბუთებს და გამოეკითხათ დაწვრილებითი ცნობები მათი ყოფაქცევის შესახებ. (4; №279)
- დაიჭირეს თაღლითთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდა ცნობილი „ჯიბგირი“ ლავრენტი სისოს-ძე ბარკალაია და თბილისის არსენალის შოფერი აპოლონ ჯაფარიძე, მის თანაშემწე გიორგი ბეზირაშვილთან ერთად. ისინი ამზადებდნენ ყალბ ჩეკებს და აყალბებდნენ ხელმოწერებს. დაკავებულებმა დანაშაული აღიარეს. (1; №278)

- პრესის ცნობით თბილისის ქალაქის თვითმმართველობაში, გამგეობის წევრის აკაკი პაპავას მოხსენების თანახმად, დახურული რესტორნების „ველიკობრიტანიის“ და „ვოსტოკის“ შენობები გადაეცემოდა სოციალური დახმარების განყოფილებას ქალაქის სასადილოების გასახსნელად. (1; №274)
- პრესის ცნობით საქართველოს კოოპერატივთა კავშირების რწმუნებულების პირველმა ყრილობამ, მთავრობის მეთაური ნოე ჟორდანია აირჩია საპატიო თავმჯდომარედ. (1; №274)

3 დეკემბერი

- სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე შეცვალა პარმენ ჭიჭინაძემ, ხოლო ლორთქიფანიძე დაინიშნა განათლების მინისტრად და მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ. (3; №995)
- 3 დეკემბერს თბილისში გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ 2 დეკემბერს ერევანში საბჭოთა მთავრობა იქნა გამოცხადებული. (3; №995)
- რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, სომხეთის გასაბჭოების გამო ბორჩალოს მაზრასა და თბილისის მაზრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მიღებული იქნა სამხედრო წესები და ამ რაიონში გენერალ-გუბერნატორის უფლებები მიენიჭა სამხრეთ-აღმოსავლეთ ფრონტის ჯარების სარდალს. ასევე, საბჭომ იმსჯელა მოსალოდნელი საფრთხის გამო სხვადასხვა სამხედრო ზომის მიღების შესახებ. (სცსა. ფონდი1969. აღწერა4. საქმე.14. ფურც.21)
- დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისა. (7, 443)
- გენერალური შტაბის ცნობით, არმიისა და გვარდიის მობილიზაცია 25 ნოემბერს წარმატებით დასრულდა, მათი ინფორმაციით გამოცხადდა საჭიროზე მეტი ჯარისკაცი და გვარდიელი. (1; №275)
- გაიმართა იპოლიტ-ივანოვის ოპერის „ღალატის“ ქართული ვერსიის პრემიერა, ოპერა გააქართულა ქართველმა კომპოზიტორმა კოტე ფოცხვერაშვილმა. (1; №275)

4 დეკემბერი

- თავდაცვის საბჭოს დადგენილებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა წითელი და ფოილოს ხიდების გამაგრებას. ამავე დღეს თბილისის სიმაგრეების რაიონის კომენდანტათ დაინიშნა გენერალი გიორგი მაზნიაშვილი. სახალხო გვარდიას კი მობილიზაციის საჭიროებისათვის გადაეცა 200 მილიონი. (სცსა. ფონდი1969. აღწერა4. საქმე.14. ფურც.22)
- გორის სამაზრო ერობის მუშა-მოსამსახურეთა თაოსნობით გაიმართა საღამო-კაბარე ფრონტისა და ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა დასახმარებლად. ხალხმა უხვად შესწირა ფული და სიმინდი. საღამოს სუფთა შემოსავალმა შეადგინა 368 655 მანეთი და 20 ფუთი სიმინდი. განსაკუთრებულად დიდი შემოწირულობა გააკეთა კომერსანტმა სტატიევმა – 100 000 მან.

- იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით შედგა კანონის გადამსინჯავ კომისიის სხდომა. ამ სხდომაზე მიიღეს კანონ-პროექტი სამხედრო სასამართლოსა და ომიანობის დროის სასამართლოთა გაუქმების შესახებ. ახალი პროექტის მიხედვით იმოქმედებდა ჩვეულებრივი სასამართლოები რომლებიც შედგებოდა 3 წევრისაგან – ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის მიუღებლათ. (4; №280)
- პრესის ცნობით რესპუბლიკა მალე მიიღებდა მომარაგების სამინისტროს მიერ ამერიკაში შესყიდულ 1300 ტონა პურს. (1; №276)
- მიწათმოქმედების მინისტრი ონიაშვილი შეუდგა მოვალეობის აღსრულებას. (4; №279)

5 დეკემბერი

- დასრულდა რესპუბლიკის რკინიგზელთა ყრილობა. რკინიგზელთა ყრილობის წარმომადგენელთა უდიდესი უმრავლეოსობა ორი დელეგატის გარდა (1 სოციალ-ფედერალისტი და 1 კომუნისტი), ყველა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდა. რკინიგზელებმა მოითხოვეს არა ხელფასის გადიდება, რაც მათი აზრით ინფლაციას გამოიწვევდა, არამედ ცხოვრების პირობების გაუმჯობესება ხელფასის ნატურალიზაციით. მათ ამისათვის ითხოვეს პირველადი მოთხოვნილებისა და მოხმარების საგნებისა და საკვების დარიგება.
- სახელმწიფო დრამის თეატრში დაიდგა სამ მოქმედებიანი პიესა – „ზღვასთან". დიდი მოწონება დაიმსახურა ახალგაზრდა ნიჭიერმა მსახიობმა მიხეილ ჭიაურელმა. (1; №278)
- გაიმართა სახელმწიფო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების ფრაქციათა და პროფკავშირების წარმომადგენელთა კრება. კრებას უნდა განეხილა ორი საკითხი: 1) შრომის კანონი; 2) ეკონომიური მდგომარეობა. კრებამ დაადგინა. გაუგზავნოს ოფიციალური შეკითხვა დამფუძნებელი კრების იურიდიულ კომისიას იმის ნათლად გამოსარკვევად, ვრცელდება თუ არა შრომის კანონი სახელმწიფო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებზე. მეორე საკითხზე მსჯელობა დროის უქონლობის გამო გადაიდო. (1; №278)
- ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა კონფერენცია გადაიდო 26 დეკემბრისათვის. (3; №998)
- პრესის ინფორმაციით, ბერლინიდან წამოვიდა, საქართველოში გერმანიის დიპლომატიურ წარმომადგენლად დანიშნული რაუშერი. (3; №1000)

6 დეკემბერი

- გენერალი მდივანი დაინიშნა ბათუმის ოლქში განთავსებული ჯარების სარდლად, ხოლო გენერალი ვარდენ წულუკიძე კი ახალციხე-ახალქალაქ-არტაანის რაიონში მდგომი ჯარების სარდლად. (სცსა. ფონდი1969. აღწერა4. საქმე.14. ფურც.23-24)
- რესპუბლიკის თავდაცვის საბჭომ მოიწონა და მიიღო სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მიერ შემუშავებული გეგმა – საზოგადოების არამშრომელი ნაწილისათვის

შრომის ბეგარის შემოღების შესახებ. ამ გეგმის პრაქტიკული განხორციელება დაევალა გვარდიის მთავარ შტაბს. თბილისში უნდა მომხდარიყო არამშრომელი მოსახლეობის მობილიზება და მათ უნდა დავალებოდათ შეშის დაჩეხვა, გზების შეკეთება და ფრონტისათვის საჭირო სხვა სამუშაოების შესრულება. (4; №281)

- მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგა საფრანგეთის მისიის ახალი თავმჯდომარე აბელ შევალიე, მისიის წევრებთან ერთად. (4; №279)

7 დეკემბერი

- საკუთარი მოვალეობის აღსრულებას შეუდგა განათლების მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე. (1; №281)
- გრიგოლ ლორთქიფანიძემ დამფუძნებელი კრების სხდომაზე გააკეთა მოხსენება საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, მან ისაუბრა ბათუმის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟის შესახებ, ასევე, საქართველოს მცდელობის შესახებ ანკარის მთავრობასთან დაამყაროს კეთილმეზობლური ურთიერთობა. (4; №281)
- პრესაში გამოქვეყნდა, რესპუბლიკაში ბოლშევიკების არალეგალურად მუშაობის დამტკიცებელი დოკუმენტები, რომელიც საბაჟოს თანამშრომლებმა აღმოაჩინეს სადგურ სალოღლიში, მატარებლის მგზავრების ჩხრეკის დროს. (1; №278)
- საოლქო სასამართლოში გაირჩა მფრინავ-მეთვალყურის აკაკი კალანდარიშვილის საქმე, რომელსაც ბრალად ედებოდა სამხედრო მფრინავის გრიგორაშვილის მკვლელობა. სასამართლოზე დადგინდა, რომ მკვლელობა მოხდა აუცილებელი თავდაცვის დროს და მფრინავი კალანდარიშვილი გამართლებულ იქნა. (3; №999)
- პრესის ინფორმაციით, თბილისის ქალაქის გამგეობამ გვირგვინის მაგივრად გადაწვიტა გამოყოს 20 000 მანეთი, გარდაცვლილი ლადო მესხიშვილის ობლების დასახმარებლად. (1; №278)

8 დეკემბერი

- დამფუძნებელი კრების სხდომაზე გაიმართა მსჯელობა კონსტიტუციის პროექტის შესახებ. ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერი გიორგი გვაზავა გამოვიდა პრეზიდენტის ინსტიტუტის მომხრედ. მისი აზრით, საჭირო იყო პრეზიდენტის ინსტიტუტი, რომელიც მოიწვევდა მთავრობის თავმჯდომარეს. ეს უკანასკნელი კი უნდა ადგენდეს კაბინეტს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პარლამენტის წინაშე. (13; 203-204)
- სოციალისტ-ფედერალისტების სახელით სამსონ დადიანმა მოიწონა კონსტიტუციის პროექტის ზოგადი დებულებები, მაგრამ მისი აზრით მიუღებელი იყო ჩანაწერი რომლის მიხედვითაც გაფიცვები ნებადართული იქნებოდა იმ შემთხვევში, თუ ეს სახელმწიფოს ინტერესებს არ ეწინააღმდეგებოდა. ამ მიზეზით გაფიცვები შეიძლება არასოდეს არ მოწყობილიყო. სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის ხელმძღვანელმა ლეო შენგელიამ საერთოდ დაგმო წარდგენილი პროექტი და მას სოციალისტების მიერ დაწერილი ბურჟუაზიული კონსტიტუცია უწოდა. (13; 204)

- ინჟინერ ჯაშის მიერ პრესისადმი მიწოდებული ინფორმაციით გამოირკვა, რომ საქართველოს სამხედრო გზის უღელტეხილზე ყოველგვარი მიმოსვლა ეტლითა და ავტომობილით აღდგენილ იქნა. (1; №279)
- მთავრობის განკარგულებით, მომარაგების მინისტრის მოადგილე ივანე ჭავჭანიძე დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ. (1; №282)
- პრესაში დაიბეჭდა ცნობა იმის შესახებ, რომ კანონთა გადამსინჯავმა კომისიამ მიიღო კანონპროექტი მოსამსახურეთა პასუხისმგებლობის შესახებ. (1; №279)

9 დეკემბერი

- ევგენი გეგეჭკორი სტუმრად მიიღო ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ლოიდ ჯორჯმა. გეგჭკორმა პრემიერ-მინისტრს გააცნო საქართველოს თანამედროვე მდგომარეობა და ამიერკავკასიაში არსებული პოლიტიკური ვითარება. შეხვედრამ 40 წუთს გასტანა. (4; №4. 1921)
- ოპერის თეატრში დაიდგა პუჩინის განახლებული ოპერა „ტოსკა“. (3; №999)
- პრესის ცნობით, ქალაქის გამგეობამ გამოაცხადა თბილისში მცხოვრებ 35-40 წლის ექიმების მობილიზაცია. (3; №999)
- შუადღის 5 საათზე ხანძარი გაუჩნდა ქართული დრამის თეატრის სათბობ განყოფილებას, ხანძარი მალევე ჩააქრეს. (3; №1000)
- ანონიმი მოქალაქის ცნობით, გელათის საგანძურიდან დაიკარგა დიდი მკვრივი ოქროს ბარძიმი, ძვირფასი თვლებით შემკული. მისი ინფორმაციით საკათალიკოსო საბჭომ ამ ბარძიმის ამბავი იცის და ვალდებულია საქმის ვითარება აცნობოს საზოგადოებას. (3; №999)

10 დეკემბერი

- შინაგან საქმეთა სამინისტროს დადგენილებით დახურულ იქნა გაზეთი „საქართველო“. (3; №1002)
- 10 დეკემბერი გამოცხადდა არამშრომელი ელემენტების მობილიზაციის პირველ დღეთ, ხოლო უკანასკნელ დღეთ კი 13 დეკემბერი. (3; №1000)
- პრესის ინფორმაციის თანახმად დასრულდა ბორჩალოს მაზრის ადგილობრივ მართვა-გამგეობის ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა რევიზია. რევიზიამ აღმოაჩინა მოხელეთაგან ბოროტმოქმედების ჩადენის შემთხვევები. ყველა მათგანის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, ზოგიერთი კი დაპატიმრებულ იქნა. (3; №1000)
- ყარაიაზის ტბა 1 წლის ვადით იჯარით გადაეცა მოიჯარადრე ჯაფარიძეს, მას დაევალა საიჯარო გადასახადის სახით, ყოველთვიურად თბილისს მიაწოდოს 60 ფუთი თევზი. (1; №281)
- სურამის თვითმმართველობამ დაადგინა, სურამის მიდამოებში მოაწყოს ცარცის ქარხანა და სთხოვა მთავრობას დახმარების აღმოჩენას ამ საქმეში. (3; №1000)

11 დეკემბერი

- ორი მცხეთელი გვარდიელი, გაძარცვის მიზნით, სადგურ მცხეთაში თავს დაესხა დუშეთის ერობის გამგეობის წევრ ლეჟავას და შუა არაგვისპირის თემში მცხოვრებ ვასო ლაგაზაშვილს. ლაგაზაშვილს წაართვეს 9000 მანეთი, ხოლო ლეჟავას კი ნაგანი. გვარდიელები მალევე დააკავეს და ჩასვეს დუშეთის საპყრობილეში. (4; №293)
- მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო ანკარის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი კიაზიმ ბეი. (3; №1003)
- 11 დეკემბრის დილით დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი გაემგზავრა ფრონტზე, არმიისა და გვარდიის ნაწილების დასათვალიერებლად. (1; №284)
- პრესის ინფორმაციით, იაპონიიდან თბილისში ჩამოვიდა საქართველოს მთავრობის რწმუნებული შორეულ აღმოსავლეთში დ. როსტიაშვილი. მან ჩამოიტანა მთავრობისათვის შორეული აღმოსავლეთის ქართველებში მოგროვებული თანხა 50 მილიონი მანეთი ოქროსა და ვერცხლის ფულით. (3; №1001)
- მესანგრეთა ათასეულში წარმოდგენილი იქნა სამ მოქმედებიანი კომედია – „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“, სპექტაკლი დადგეს საკუთრივ ათასეულის ჯარისკაცებმა. (4; №283)
- პრესაში დაიბეჭდა შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულება №67. განკარგულებაში მინისტრმა მადლობა გამოუცხადა რესპუბლიკის განსაკუთრებული რაზმის უფროსს მექი კედიას, მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის. (1: №282)

12 დეკემბერი

- დიდი ზარზეიმითა და სამხედრო აღლუმით აღინიშნა სახალხო გვარდიის დღე, თბილისსა და საქართველოს მრავალ ქალაქში გაიმართა კულტურული ღონისძიებები, გაისროლეს ზარბაზნებიდანაც. (1; №83, 4; №284)
- სახალხო გვარდიის დღის აღსანიშნავად გამოვიდა ჟურნალ „სახალხო გვარდიელის“ პირველი ნომერი. ქართული პრესა გაივსო სტატიებით სადაც საუბარი იყო სახალხო გვარდიის ისტორიასა და მნიშვნელობაზე ახალგაზრდა რესპუბლიკისათვის. (4; №280, №284)
- გვარდიის დღის საზეიმოდ აღნიშვნის გამო გადაიდო დამფუძნებელ კრებაში კონსტიტუციის პროექტის განხილვა. (1; №284)
- საქართველოს ეროვნულ სამხატვრო გალერეაში გაიმართა ძველი ქართული, სპარსული და ევროპული მხატვრობის ნიმუშების გამოფენა. (1; №282)
- პრესის ცნობით, სტატისტიკური კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულ იქნა გრიგორიანცი. (1; №283)

13 დეკემბერი

- საგარეო საქმეთა სამინისტროს დაევალა გაეგზავნა საპროტესტო ნოტა მოსკოვსა და ევროპაში, იმის შესახებ, რომ წითელმა არმიამ გადმოლახა ქვეყნის საზღვრები და

ბორჩალოს მაზრის სოფლებს დაესხა. ამასთან ერთად სრულიდ უმიზეზოდ შეწყდა ბაქოდან ნავთის გამოგზავნა, რითაც დაირღვა აზერბაიჯანთან დადებული ხელშეკრულება. ფოილოს ხიდის მიდამოებში და ზაქათალის ოლქში ნეიტრალურ ზონაში თავს იყრიდა წითელი არმიის შენაერთები. (სცსა. ფონდი1969. აღწერა4. საქმე.14 ფურც.27)

- სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის სხდომაზე ჯავშანმატარებელთა რაზმის მეთაურს ვალოდია გოგუაძეს დაევალა მეოთხე ჯავშანმატარებლის დაუყოვნებლივ შეკეთება. (სცსა. ფონდი.1970. აღწერა. 3. საქმე. 29. ფურც.155)
- გამოიცა დადგენილება თავისუფალი მიწების იძულების წესით დათესვის შესახებ 1921 წლის გაზაფხულზე, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული სასურსათო კრიზისი. მიწის მესაკუთრენი (როგორც კერძო ისე სახელმწიფო), ვალდებულნი იყვნენ დათესათ საკუთრივ, ან იჯარით გაეცათ მიწა და თუ ამას ვერ შეძლებდნენ, იმ შემთხვევაში ადგილობრივ ერობათა დაწესებულებანი იჯარით გასცემდნენ ამ მიწებს მსურველებზე. მოსავლის აღების დროს ერთი მეათედი გამორჩეული ხორბალი უნდა გადასცემოდა მესაკუთრეს, ხოლო დანარჩენი ნაწილი კი მოიჯარადრეს. (4; №5. 1921)
- გაიმართა ფრონტის დამხმარე კომიტეტის სხდომა. გაკეთდა მოხსენება შემოწირულობის შემოტანის პროცესის შესახებ. გამოირკვა, რომ შემოწირულობები კარგად შემოდიოდა, თუმცა იყო ისეთი შემთხვევები როდესაც შეძლებულმა პირებმა თანხის შეტანაზე უარი განაცხადეს. კომიტეტმა დაადგინა იმ შეძლებულ პირთა სიის გამოქვეყნება, რომელთაც შემოწირულობაზე უარი განაცხადეს. (1; №286)
- მუშათა მაგიდამ 13 დეკემბრიდან დაიწყო ფიზიკურად მომუშავე პირთათვის პურის ულუფის გადიდება, მათ 1 გირვანქა პურის ნაცვლად მიეცემოდათ დღიურად 1,5 გირვანქა პური. (1; №284)

14 დეკემბერი

- მიღებულ იქნა დეკრეტები – მთავრობის სასახლის შესაკეთებლად 8 მილიონი და პატიმართა შესანახად 40 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ. (4; №287)
- დამფუძნებელი კრების განათლების კომისიამი მიწვეულ იქნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი და პოლიტექნიკურის რექტორი ბ-ნი დიდებულიძე. მათ უნდა გაეკეთებინათ მოხსენება, ამ საგანმანათლებლო დაწესებულებების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. (1; №289)
- პრესაში დაიბეჭდა შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველოში მცხოვრები უცხოეთის მოქალაქეები მონაწილეობენ პოლიტიკურ პარტიებში და ესწრაფვიან რესპუბლიკაში არსებული წეს-წყობილების დამხობას. ბრძანების მიხედვით, რომელიც ეფუძნებოდა 1919 წლის 21 ნოემბრის დეკრეტს, ასეთი პირები გასახლებული იქნებოდნენ ქვეყნიდან, ხოლო მათი ბინები გადაეცემოდათ უბინაო მუშებს. (3; №1003)
- სამხედრო მფრინავმა კაპიტანმა სეხნიაშვილმა საინტერესო ფრენა გამართა და აფრინდა 5 500 მეტრის სიმაღლეზე, ფრენის დროს მეთვალყურე იაკობაშვილმა გადაუღო კინომატოგრაფიული სურათი ყაზბეგის (მყინვარწვერის) მწვერვალს. (3; №1016)

- თბილისის გამგეობას დაევალა სპეციალისტების მოწვევა, რომლებიც შეიმუშავებდნენ გზების შეკეთების გეგმას და შეადგენდნენ ხარჯთაღრიცხვას. (1: №284)

15 დეკემბერი

- საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში გერასიმე მახარაძე შეხვდა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ვლადიმერ ლენინს. (3; №1006)
- ქვეყნის თავდაცვისათვის მოქალაქე ივანე ვარაზაშვილმა საკუთარი სურვილით გაიღო დიდი თანხმა – 1 015 000 მანეთი. (1; №286)
- მთავრობის თავმჯდომარის 15 დეკემბრის განკარგულება №36-ის საფუძველზე ვლადიმერ ნესტორის-ძე ქუთათელაძე დაინიშნა იუსტიციის მინისტრის მოადგილედ. (1; №288)
- სატარიფო პალატამ დაამტკიცა პრემიალური სისტემის შემოღება დაწესებულებებსა და საწარმოებში. (4; №289)
- პრესის ინფორმაციით რეჟისორი ალექსანდრე ახმეტელი ამზადებდა დასადგმელად ბაირონის „კაენს". მას ასევე განზრახული ქონია ახლო მომავალში დაედგა ლოპე დე ვეგას პიესებიც, სოფოკლეს „ანტიგონე" და ჰეიბეს „მარიამ მაგდალინელი". (1; №285)
- პრესის ინფორმაციით სახელმწიფო ოპერა დასადგმელად ამზადებდა ვაგნერის ოპერას „ლოენგრინს". ოპერისათვის იხატებოდა ახალი დეკორაციები. (1; №285)

16 დეკემბერი

- ერთა ლიგაში განიხილეს საქართველოს ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხი. ხმას აძლევდა 24 სახელმწიფო, ორგანიზაციაში გაწევრიანებისათვის საჭირო იყო 16 ხმა. საქართველოს კი ხმა მისცა ათმა სახელმწიფომ: ბოლივიამ, იტალიამ, ნორვეგიამ, პარაგვაიმ, სპარსეთმა, პორტუგალიამ, ჩილემ, შვეიცარიამ, სამხრეთ აფრიკამ და კოლუმბიამ. ქვეყანა ერთა ლიგის წევრი ვერ გახდა. (29; 178-179)
- თბილისში გაზეთის გამყიდველი ბავშვი ჩვეულებრივ გაიძახოდა გაზეთში მოთავსებულ საინტერესო ცნობებს, მათ შორის სომხეთის მდგომარეობიდან. ამ დროს იქ გაიარა საბჭოთა მისიის შოფერმა, რომელმაც ჯერ აგინა ბავშვს და შემდგომ ფიზიკური შეურაწყოფაც მიაყენა. მძღოლი მოქალაქეებმა შეიპყრეს, მაგრამ კომისარიატში მიყვანამდე გზაშივე გაანთავისუფლეს, როგორც დიპლომატიური მისიის თანამშრომელი. (4; №288)
- რკინიგზის დეპარტამენტმა გაავრცელა განცხადება, რომ გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობა, თითქოს სომხეთში მიმავალი სატრანზიტო ტვირთი შეჩერებულ იქნა საქართველოს მიერ, არ შეეფერებოდა სიმართლეს. სარკინიგზო მიმოსვლა დროებით შეაფერხა სანაინისაკენ 96-ე ვერსზე კლდეების ჩამოშლამ, რომელიც 10 დეკემბერს გაწმენდილ იქნა და მოძრაობაც აღდგა. რაც შეეხება ტვირთს (ნავთი, ფქვილი და სხვა), ის დროებით ინახებოდა საქართველოს სადგურებზე, სომხეთის მთავრობის წარმომადგენლის თხოვნის თანახმად. (4; №287)
- ტყიბულის რკინიგზის ხაზის 30-ე ვერსზე ჩამოწოლილმა ზვავმა საგრძნობლად დააზიანი ლიანდაგი და შეაჩერა მატარებლების მიმოსვლა. (4; №294)

- პრესის ინფორმაციით იტალიური ლაბორატორიის ექიმ კუკს მოპარეს ნაღდი ფული 86 000 მანეთი. მილიციამ გამოარკვია მომხდარი ფაქტი და დააკავა ბავშვი სტეფანე შერმაზანოვი, მან დანაშაული აღიარა. (1; №286)
- პრესის ცნობით სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა კრიმინალური დაჯგუფება: ალ. კოკოიანის; ნ. ჯიშკარიანის; გ. ბარამიძის და ა. ტარიელაშვილის შემადგენლობით. ჯგუფის წევრები სისტემატურად ქურდავდნენ სავაჭრო მაღაზიებს. კვლევა-ძიების დროს მათ აღმოაჩნდათ ნაქურდალი საქონელი, რომელიც ეტაპობრივად დაუბრუნდებოდათ დაზარალებულებს. (1; №286)

17 დეკემბერი

- სახელმწიფო თეატრში გაიმართა ბეთჰოვენის დაბადებიდან 150 წლის აღსანიშნავი სიმფონიური კონცერტი პიანისტ ბიროვსკისა და ვიოლონჩელისტ ბელოუსოვის მონაწილეობით. (1; №287)
- დამფუძნებელი კრების განათლების კომისიამ იმსჯელა და დაადგინა, რომ პოლიტეხნიკუმი სასწავლებელი დაუკავშირდეს სახელმწიფო უნივერსიტეტს ფართო ავტონომიის პრინციპით. (1; №289)
- პრესის ცნობით საქართველოს რესპუბლიკის უფლებამოსილ წარმომადგენლად ოსმალეთის დიდ ნაციონალურ კრებასთან დაინიშნა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე) სვიმონ მდივანი. (3: №1006)
- დამფუძნებელ კრებაში მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა სამთო-მადნო სამმართველოსთან სამთო-სატეხნიკო კურსების დაარსებისა. (1; №294)

18 დეკემბერი

- „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა ცნობა, რომ ზუგდიდის მაზრაში ჩატარდა მაზრის ყაჩაღებისაგან გაწმენდის ოპერაცია. უკანასკნელი ორი ყაჩაღის დარასელიას და ხვინგიას დევნას შეეწირა რაიონის კომისარი შამუგია და ცხონდია, თემის თავმჯდომარე ჯავაშია, უფროსი მილიციონერი რედონაია და მილიციონერი თორუა. (1; №288)
- პრესაში გავრცელდა არაოფიციალური ცნობა, თითქოს ინგლისმა საქართველოს დამოუკიდებლობა დე-იურედ აღიარა. (3; №1007)
- 18 დეკემბერს თბილისის თვითმმართველობამ, ტრამვაის ვაგონების დაზიანების გამო, გერმანულ ფირმას „სიმენსის და შუკერტს“ შეუკვეთა 35 ახალი ვაგონი. გერმანულმა ფირმამ თანხმობა განაცხადა ვაგონების გადმოცემაზე 1 მილიონ გერმანულ მარკად. (1; №288)
- პრესის ცნობით სამხედრო უწყების თბილისის ჰოსპიტალი გადაეცა ქალაქ თბილისს და იწოდა ქალაქის მესამე საავადმყოფოდ. (1; №288)
- რკინიგზის ტყიბულის ხაზის 30-ე ვერსზე ლიანდაგები შეკეთებულ იქნა და მატარებლების მოძრაობაც აღდგა. (4; №294)

19 დეკემბერი

- კონსტანტინე გამსახურდიამ სახელმწიფო დრამის სამუსიკო დარბაზში წაიკითხა მოხსენება თემაზე: „თანამედროვე გერმანული პოლიტიკისა და კულტურის პრობლემები“. (4; №289)
- ფრონტის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ჟორჟოლიანმა ცოცხალი ყვავილების გვირგვინით შეამკო სომხეთთან ომის დროს ეკატერინოფელდთან დაღუპულ გმირთა საძმო სასაფლაო. (1; №290)
- სომხეთ-საქართველოს 1918 წლის ომში ეკატერინენფელდის ბრძოლაში დაღუპულ გვარდიელთა ძმათა სასაფლაოსთან შეიკრიბნენ მათი თანამებრძოლები და ყვავილების გვირგვინებით შეამკეს საფლავი. (4; №289)
- პრესის ცნობით თბილისის სასოფლო-სამეურნეო საბჭომ გადადო 200 000 მანეთი თავდაცვის ფონდისათვის, ხოლო 100 000 მანეთი ლადო მესხიშვილის ოჯახისათვის, ამავე ბანკის თანამშრომლებმა ბანკს გადასცეს 14 880 მანეთი. (3;№1008)
- ციციანოვის და ვერის აღმართზე დიდი ყინვების გამო ტრამვაის მოძრაობა დროებით შეჩერდა. (4; №289)

20 დეკემბერი

- სახალხო გვარდიიდან გარიცხეს გვარდიელი ბალანჩივაძე, რომელსაც იჯარით ჰქონია აღებული გარყვნილებით ცნობილი სასტუმრო. იმავე ბალანჩივაძეს მანამდე ანალოგიური ხასიათის რესტორანი ჰქონია. (სცსა. ფონდი.1970. აღწერა.3. საქმე.-29.ფურც.177)
- ანკარის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ინახულა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, ასევე შსს მინისტრი ნოე რამიშვილი და დამფუძნებელი კრების წევრი აკაკი ჩხენკელი. (4; №292)
- საქართველოს მთავრობამ ოფიციალური ნოტით დასაბუთებულად უარყო რუსეთის ელჩის შეინმანის ბრალდებები საქართველოს რესპუბლიკის აგრესიული პოლიტიკის შესახებ, საბჭოთა რესპუბლიკებისა და საქართველოში მცხოვრები კომუნისტების მიმართ. თავის მხრივ ქართული მხარე ბრალს დებდა რუს წითელარმიელებს საზღვრის რამდენიმეჯერ დარღვევაში და შეიარაღებულ თავდასხმებში, რა დროსაც მძიმედ დაიჭრა ქართველი მესაზღვრე. ასევე, საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის სამზადისში. (1; №292)
- საქართველოს წარმომადგენელმა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში გაბრიელ ხუნდაძემ თბილისში გამოაგზავნა დეპეშა, რომ ბაქოდან ნავთით დატვირთული ორი მატარებელი უკვე გამოვიდა საქართველოსაკენ. (3; №1012)
- ოფიციალურად გაიხსნა სამთო სამმართველოსთან დაარსებული სამთო-ტეხნიკური კურსები. (1; №291)

21 დეკემბერი

- დამფუძნებელ კრებაში ადგილი ჰქონდა ინციდენტს. დეპუტატმა ივანე ლორთქიფანიძემ კოლეგას და სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მეთაურს ვალიკო ჯუღელს

მაუზერისტების მეთაური უწოდა, რასაც დიდი ხმაური მოყვა საკანონმდებლო ორგანოში. ჯუღელმა სამაგიეროდ ლორთქიფანიძეს უთხრა, რომ ამ უკანასკნელმა სამჯერ მოინდომა თავის მოკვლა ნავთის ქურდობისათვის მაგრამ ვერ გაბედა. (4; №293)

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს მოქალაქეების დახვრეტის გამო საპროტესტო ნოტით მიმართა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ჰუსეინოვს. „ჩვენს მიერ მიღებული ოფიციალური ცნობით მე-11 ჯარის საგანგებო განყოფილებას დაუხვრეტია საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები: პლავსკი, საყვარელიძე, გომელაური, ხვიჩია, ქუთათელაძე და ჩხეიძე. საგანგებო განყოფილებამ გამოიტანა განაჩენი, რაიცა იყო არა სასამართლოს კვლევა-ძიების არამედ საქმის ადმინისტრაციული წარმოების შედეგი". იქვე: „ვაცხადებ რა, კატეგორიულ პროტესტს საქართველოს მოქალაქეთა მიმართ მართლმსაჯულების ელემენტარული საფუძვლების დარღვევის გამო, ამით მოვითხოვ ამ საქმის სათანადოდ გამოძიებას და მთელი საბრალდებო მასალის საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენელისადმი გადაცემას." (4; №292)
- გაზეთ „სახალხო საქმის" ცნობით, რამდენიმე დღის წინ დამფუძნებელი კრების წევრი კირილე ნინიძე სახლის პატრონთან შეთანხმებით თავისუფალ ბინაში გადასულა საცხოვრებლად. მეორე დღეს მთავრობის თავმჯდომარეს განკარგულება გაუცია, ნინიძეს დაეცალა ბინა. დეპუტატმა უარი განაცხადა, რადგანაც მთავრობის თავმჯდომარეს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის გარეშე არ შეეძლო ასეთი განკარგულების გაცემა. ამის შემდეგ განსაკუთრებული რაზმის აგენტები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები ფანჯრებიდან შევიდნენ ბინაში, დეპუტატს ბარგი გადმოუყარეს და გარეთ გამოაგდეს. (3; №1009)
- პრესის ცნობით, თბილისის ტექნიკური ძალების კავშირის სხდომაზე მიიღეს რეზოლუცია რომლის მიხედვითაც ქვეყანაში უნდა დანერგილიყო ზომისა და წონის მეტრული სისტემა, როგორც ყველაზე სადა და გავრცელებული. ახალ სისტემას საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებებში შემოიღებდნენ 1 წლის განმავლობაში, ხოლო მოქალაქეებში 2 წლის განმავლობაში. (1; №290)
- პრესის ცნობით, სტამბოლიდან მოვიდა ინფორმაცია, რომ უახლოეს პერიოდში საქართველოში ჩამოვიდოდნენ იეზუიტი-მისიონერები, რომელთა მიზანი საქართველოში მათი რწმენის გავრცელება იქნებოდა. (1; №290)
- დაიჭირეს მოქალაქე ბარბარე ედილაშვილი, რომელმაც ნინო ოდიშარიას ბინიდან მოპარა 500 000 მანეთი. ედილაშვილი დანაშაულში გამოტყდა. (1; №294)
- პრესის ინფორმაციით, ბორჯომში გაემგზავრა პირი, საშობაო ნაძვის ხეების ჩამოსატანად თბილისში. (1; №290)

22 დეკემბერი

- გვარდიის მეთაურმა ვალიკო ჯუღელმა ბავშვებს მოუწოდა ფრონტზე მყოფი ჯარისა და გვარდიისათვის გაეგზავნათ პატარა საჩუქრები და წერილები. მისი აზრით ბავშვების სიყვარული ყველაზე დიდი რამ არის ფრონტზე მყოფი ჯარისკაცისათვის. (1; №291)

- პარიზიდან დაბრუნდა ქართული დელეგაციის თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე. (4; №294)
- პრესის ცნობით, მალე სახელმწიფო ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნებოდა მელიტონ ბალანჩივაძის ახალი ოპერა „თამარ ცბიერი“. (1; №291)
- კანონთა გადამსინჯავ კომისიაში გაიმართა სხდომა ქორწინების და განქორწინების საკითხის შესახებ. სხდომას ესწრებოდნენ საკათალიკოსო საბჭოს, მუსლიმთა და ებრაელთა ეროვნული საბჭოს, ასევე კათოლიკე ეპისკოპოსის წარმომადგენლები. სხდომამ მიიღო პრინციპული დებულებები: 1) საქართველოს რესპუბლიკის კანონი ცნობს მხოლოდ სამოქალაქო ქორწინებას, ხოლო საეკლესიო ქორწინება, სავალდებულო სამოქალაქო ქორწინებასთან ერთად შეიძლება შესრულდეს დაქორწინებულთა თანხმობით, რაც მათი კერძო საქმეა; 2) უცხოეთში დაქორწინებული საქართველოს მოქალაქეები ჩაითვლებიან კანონიერ ცოლ-ქმრად, მაგრამ საქართველოში ჩამოსვლისთანავე ისინი უნდა გატარდნენ სარეგისტრაციო განყოფილებაში; 3) არასრულწლოვან კაცს (20 წლამდე) და ქალს (16 წლამდე) არ აქვთ შეუღლების უფლება. თუ წყვილს ექნება საამისოდ განსაკუთრებული მიზეზი, მშობლებისა და მომრიგებელი მოსამართლის თანხმობით ეს ვადა შეიძლება სამი წლით შემცირდეს. თუ მშობლები იქნებიან საზღვარგარეთ, მაშინ აღნიშნული უფლება შეუძლია მიანიჭოს წყვილს მომრიგებელმა მოსამართლემ. (1; №294)

23 დეკემბერი

- შემთხვევით გასროლილმა რევოლვერის ტყვიამ შეიწირა მეათე ათასეულის სამხედრო-სავალდებულო სამსახურში მყოფი ახალგაზრდა ჯარისკაცი ამბერგი შვანგირაძე. იგი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ გაუწვევიათ ჯარში და ღირსეულად ასრულებდა სამხედრო სამსახურს, მას განსაკუთრებით თავი გამოუჩენია ბათუმის ოლქში ხულოსთან ბრძოლის დროს.
- პრესის ცნობით გვარდიის შტაბმა შრომის ბეგარის დადგენილებას დაემატა ორი პუნქტი: 1) შრომის ბეგარა გავრცელდეს ყველა მოქალაქეზე 18-55 წლამდე; 2) შრომის ბეგარის კომისიას უფლება ეძლევა, იმ მოქალაქეებს რომლებიც გაურბიან ბეგარას, დააკისრონ ზედმეტი სამუშაო. (1; №292)
- პრესის ინფორმაციით თბილისის ქალაქის გამგეობამ გადაწყვიტა ქალაქთა კავშირისაგან შეისყიდოს ნოე ჟორდანიას ბიუსტი. (1; №292)
- სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა ფაჩულიამ დააპატიმრა ცნობილი ყაჩაღი ზაქარია მირზანაშვილი, რომელსაც მრავალი ბოროტმოქმედების ჩადენა ედებოდა ბრალად. იგი გაქცეული იყო თბილისის №1 საპყრობილიდან. (3; №2011)

24 დეკემბერი

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ 1920 წლის 24 დეკემბერს მიმართა რადიო დეპეშით აზერბაიჯანის ს.ს.რ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ჰუსეინოვს. მიმართვის ასლი გადაეგზავნა საქართველოს ელჩს მოსკოვში და აზერბაიჯანის ელჩს

საქართველოში. „ჩვენი ცნობებით ზაქათალის ოლქის ფარგლებში, 12 ივნისის აქსტაფის ხელშეკრულების მეექვსე მუხლის აშკარათ დარღვევები გრძელდება. გაძლიერებული დაგროვება და კონცენტრაცია საბჭოთა ჯარისა და ამავე დროს იმავ ოლქში სოფელ ბელაკანის რაიონში (დღევანდელი ბელაქანის რაიონი) სწარმოებს ტოპოგრაფიული აზომვა. კიდევ მეტი, ოლქის მცხოვრებთ წამოუყენეს მოთხოვნილება პირველი იანვრისათვის წარმოადგინონ დიდძალი სანოვაგე, საქონელი და საქონლის საკვები მასალა“. (4; №297)

- დამფუძნებელ კრებაში გაიმართა მსჯელობა დეპუტატ ნინიძის თავს გადამხდარი ინციდენტის შესახებ. მთავრობის თავმჯდომარემ და მისმა მოადგილემ განმარტეს, რომ ბინა რომელშიც დეპუტატი შესახლდა ირიცხებოდა მთავრობის განკარგულებაში და გათვალისწინებული იყო ერთ-ერთი უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლისათვის. მათი განმარტებით მთავრობა ერთის მხრივ სწორი იყო, რადგანაც მათ აღკვეთეს ნინიძის მიერ ბინის უკანონოდ დაკავება, თუმცა მეორეს მხრივ მათი თქმით დაირღვა დეპუტატის შეუვალობა, რისთვისაც მთავრობა მწუხარებას გამოთქვამდა და პასუხისმგებლობაში მისცემდა დამნაშავეს. ნინიძემ განაცხადა, რომ მან ბინა სრულიად კანონიერად დაიკავა, მაგრამ მას მთავრობის პასუხი პოლიტიკური თვალსაზრისით აკმაყოფილებდა, მან დაამატა, რომ დარწმუნებულია დაისჯებიან დამნაშავეები და არა მეისრეები. დამფუძნებელმა კრებამ ინციდენტთან დაკავშირებით მიიღო განმარტების შემდეგი ფორმულირება: „მოისმინა რა სოციალ-რევოლუციონერთა ფრაქციის მთავრობისადმი შეკითხვაზე მილიციელთა მიერ დეპუტატის პიროვნების და ბინის შეუვალობის კანონის დარღვევის შესახებ, და მიიღო რა დამნაშავეთა კანონიერ პასუხისგებაში მიცემა, დამფუძნებელ კრებას მთავრობის განკარგულება დამაკმაყოფილებლად მიაჩნია“. (1; №295)
- გაზეთ „სახალხო საქმის“ ცნობით, გაზეთი „კომუნისტი“ დაიხურა არა შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით, არამედ თბილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით. (3; №1012)
- ბენზინის ავზიდან ცეცხლი გაჩდა თბილისის არსენალში, რომელიც მოედო იატაკს და გადავიდა ვაზნების დამამზადებელ ნაწილში, ერთ მუშას კი ტანზეც მოედო და ძლივს გადაარჩინეს დაწვას, ისევე როგორც არსენალი, რომლის აფეთქებაც გაანადგურებდა იარაღის მარაგს და გამოიწვევდა ახლო მდგომი შენობების დაწვასაც. (3; №1016)
- პრესის ცნობით ზუგდიდის მაზრაში მოქმედი ყაჩაღი ყურამვილი შეუპყრია ქალაქ ფოთის მილიციას, როდესაც ის ბოლშევიკ ესტატე ცხომარიასთან ერთად აპირებდა გაქცევას რუსეთში. (4; №294)

25 დეკემბერი

- 25 დეკემბერს მთავრობის სასახლის წინ ბავშვებისათვის მოეწყო „ფრონტის შობის ხე“. ბავშვები დილის 10 საათიდან შუადღის 3 საათამდე მიდიოდნენ ნაძვის ხესთან, წრეს უვლიდნენ და ტოვედნენ საჩუქრებს ფრონტზე მყოფი ჯარისკაცებისათვის: თეთრეულს, წინდებს, ხელთათმანებს, სიგარეტს, საპონს, წერილებს და ა.შ

- თბილისის სასტუმროებმა და რესტორნებმა, საკუთარი ინიციატივით ფრონტის დამხმარე კომიტეტში შეიტანეს ერთი დღის ვაჭრობის 50%. (4; №294)
- კაფე „არმაზში“ (ყოფილი ქიმერიონი) გაიმართა „ფრონტის შობის ხის“ საღამო. საღამოს ესწრებოდნენ მთავრობის, დამფუძნებელი კრების და უცხოური მისიების წარმომადგენლები. დიდი შემოსავალი შევიდა ფრონტის დამხმარე ფონდში. ამ მხრივ ყველაზე მეტად თავი გამოიჩინა ამხანაგობა „მწყემსის“ გამგეობის თავმჯდომარემ შალვა ქარუმიძემ, რომელმაც ფონდს გადასცა 1 მილიონი მანეთის ღირებულების მატყლი, რის გამოც მას მიენიჭა „ფრონტის მოკეთის“ სახელი. (4; №298)
- პრესის ცნობით მთავრობამ დააკმაყოფილა განათლების მინისტრის მოხსენება, რომელიც ითხოვდა 13 მილიონ მანეთს საქართველოს კინემატოგრაფის განვითარებისათვის. (1; №294)
- პრესის ინფორმაციით მთავრობამ დააკმაყოფილა ფოსტა-ტელეგრაფის პროფკავშირების შუამდგომლობა და ქუთაისის და ბათუმის ფოსტალიონებს უფასოდ გადასცა ფეხსაცმელები. (1; №294)
- საშუალო სკოლის მოსწავლეები დაითხოვეს საშობაო არდადეგებზე 17 იანვრამდე. (1; №286)

26 დეკემბერი

- თელავის მაზრის სოფელ შილდაში გაიმართა დიდი მიტინგი. ამ მაზრაში შილდა და ყვარელი გამოირჩეოდა ბოლშევიკებისა და ქურდების სიმრავლით. მიტინგზე მოიწვიეს სახალხო გვარდიის შტაბის თელავის საოლქო შტაბის მეთაური ჭუმბურიძე. მან სიტყვით გამოსვლა ბოლშევიკებს შესთავაზა, მაგრამ ისინი უარზე დადგნენ, ბოლოს ერთი ბოლშევიკი გვარად კირჭაული მაინც ავიდა ტრიბუნაზე და დაიწყო საბჭოთა რუსეთის ქება-დიდება, თუმცა მან ხალხი ვერ აიყოლია და ტრიბუნიდან ხალხისავე მოთხოვნით ჩამოაგდეს. შემდეგ ისაუბრა რუსეთიდან ახალმა ჩამოსულმა პირმა და ხალხს აუღწერა რუსეთში არსებული ვითარება. ბოლოს ისაუბრა ისევ ჭუმბურიძემ, რომლის გამოსვლაც მიუხედავად სიცივისა ყურადღებით იქნა მოსმენილი. (4; №10; 1921)
- დილიდან დაიწყო „ფრონტის შობის ხე“-სთან ბავშვების მისვლა. ნაძვის ხესთან მივიდნენ თბილისის მაჰმადიან და ებრაელთა სკოლის 100 მოსწავლე და მიიტანეს შემოწირულობები და წერილები ფრონტისათვის. (4; №298)
- ხანძარი გაუჩნდა თბილისის რეალური სასწავლებლის შენობას, დაიწვა რამდენიმე ოთახი. როგორც ვარაუდობდნენ ხანძარი ცენტრალური გათბობის სისტემიდან გაჩნდა. (3; №1015)
- კიტა აბაშიძის გარდაცვალებიდან 3 წლის გასვლასთან დაკავშირებით გადაიხადეს პანაშვიდი დიდუბეში, მის საფლავზე. (3; №1014)

27 დეკემბერი

- მთვრალი უფროსი მილიციონერი კოლა ბადაევი, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე შედიოდა დუქნებში და იარაღის მუქარით დუქნის მფლობელებს ართმევდა 500-1000 მანეთს. გა-

ლეგოვის დუქანში კი ეს თანხა ეცოტავა და მოითხოვა 100 თუმანი (10 000 მან.), ამაზე მან უარი მიიღო, რამაც უკიდურესად გააღიზიანა და შესაშინებლად იარაღიდან გაისროლა. გასროლაზე ხალხი შეიკრიბა, თუმცა იარაღიან და მთვრალ მილიციონერთან ვერაფერი თქვეს და მხოლოდ დამშვიდება დაუწყეს. ბადაევს ამის შემდეგ სხვა დუქნებშიც გაუგრძელებია თავისი საქმიანობა და კარგად შეზარხოშებულს უთქვამს, რომ: ამ ქალაქში არცერთი მილიციონერი არ ცხოვრობს თავის ჯამაგირით და რაღა მე ვიყო გამონაკლისიო. (4; №8; 1921)

- ანკარაში გაემგზავრა საქართველოს დიპლომატიური მისია სვიმონ მდივანის მეთაურობით. (3; №1018)
- რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაუგზავნა საპროტესტო ნოტა, რუსეთის წარმომადგენელს საქართველოში შეინმანს და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა კომისარს ჭუსეინოვს. ნოტაში აღნიშნულია, რომ მიუხედავად მრავალგზის დაპირებისა, 5 დეკემბრის შემდეგ საქართველოში აზერბაიჯანიდან მატარებლები აღარ მოსულა. ასსრ-ში დაკავებულია საქართველოს 6 მატარებელი – 240 ცისტერნითა და 12 ორთქმავლით, რომელსაც ახლავს 24 საორთქმავლო და 12 საკონდუქტორო ბრიგადა. მიუხედავად დაპირებისა, ასევე არ აღდგენილა სატელეგრაფო კავშირი რკინიგზაზე. ქართული მხარე კატეგორიულად ითხოვდა, მატარებლებისა და ბრიგადების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას და საქართველოში გამოშვებას. (4; №298)

28 დეკემბერი

- დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი, რომლის მიხედვითაც წლის საარსებო მინიმუმი 12 000-ის ნაცვლად განისაზღვრა 24 000-ით. ამიტომ დაიბეგრებოდნენ მხოლოდ ის პირები, რომელთა წმინდა შემოსავალი აღემატებოდა 24 000 მანეთს. (1;№19; 1921)
- ფრონტის დამხარე კომიტეტს თბილისში მყოფმა სპარსეთის კონსულმა შესწირა 50 000 მანეთი. (4; №297)
- 26 დეკემბრის ნაცვლად 28 დეკემბერს ჩატარდა საქართველოს სოციალ-ფედერალისტური სარევოლუციო პარტიის ახალგაზრდული ფრთის დამფუძნებელი ყრილობა. ყრილობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა შალვა ასათიანი, ხოლო საპატიო თავმჯდომარედ გიორგი ლასხიშვილი. (3; №1027)

29 დეკემბერი

- სამხრეთ-აღმოსავლეთ ფრონტის სარდალს დაევალა განეიარაღებინა ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონის და მისგან სამხრეთით მდებარე იმავე მაზრის სოფლების ნაწილი. (სცსა. ფონდი1969. აღწერა4. საქმე.14 ფურც.36)
- საქართველოს დამფუძნებელი კრების მცირე საკონსტიტუციო კომისიამ მიიღო „ავტონომიური აფხაზეთის მართვის დებულება“.
- გერმანიაში გამგზავრების წინ კარლ კაუცკი დაესწრო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომას სადაც მან განაცხადა: „საქართველოს

სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან მე უფრო დაახლოებულად ვგრძნობ თავს, ვიდრე რომელიმე სოციალისტურ პარტიასთან ევროპაში... უნდა გამოგიტყდეთ, რომ ასეთი კარგი შეხვედრა და პატივისცემა როგორც ჩვენ აქ მივიღეთ, მე ჯერ არსად მახსოვს". ასევე მან საკუთარი აზრი გამოთქვა პარტიის მიერ შემუშავებულ კონსტიტუციის მოდელზე, რომელიც მისი აზრით კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა. (4; №5; 1921)

- გზათა დეპარტამენტის განცხადებით, ბაქოში ქართული მატარებლების შეჩერების გამო, 31 დეკემბრიდან დროებით, სანამ დასრულდება ქვანახშირის მომარაგების გეგმა, მინიმუმამდე იქნებოდა შემცირებული მატარებლების მოძრაობა საქართველოს რკინიგზაზე. (4; №298)
- პრესის ცნობით საჩხერეში მცხოვრებმა ებრაელებმა დადეს ფიცი, რომ ქრისტიან მოძმეებთან ერთად მთელი არსებით დაიცავდნენ საშშობლოს. (4; №298)
- პრესის ინფორმაციით შრომის ბეგარა, ვალდებულთა მოძებნა და დაკავება საგანგებო მანდატით მინდობილი ჰქონდათ მხოლოდ საგანგებო რაზმის წევრებს და არა გვარდიელებს და უბრალო მილიციონერებს. გვარდიელებს და მილიციონერებს მხოლოდ დახმარების აღმოჩენის უფლება ქონდათ. (3; №1016)

30 დეკემბერი

- 30 დეკემბერს სენაკში ღამის 1 საათზე, ზედა სართულის ბუხრიდან ცეცხლი გაუჩნდა სამაზრო ერობის იმ შენობას, რომელშიც სამაზრო მილიციის სამმართველო იყო მოთავსებული. გადარჩენილი იქნა საბუთები და ავეჯი. ამ ამბის შემსწრე ამბობდა, რომ მათ ათი ვედროც, რომ ქონოდათ შეძლებდნენ ხანძრის ჩაქრობას.
- ჩატარდა ტყიბულის პროფკავშირების არჩევნები. პროფკავშირების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სოციალ-ფედერალისტი იონა არსენიშვილი. (3; №1025)
- მთავრობამ მოისმინა რა მოხსენება ძმებ გორელაშვილებისათვის ჩამორთმეული ქონებისა და სახლის შესაკეთებლად საჭირო თანხის გაღების შესახებ, დაადგინა: ნება დართოს იუსტიციის სამინისტროს გადაიხადოს ეს თანხა 1920-1921 წლის ხარჯთაღრიცხვის ნაშთიდან.
- ანკარაში გაგზავნილი ქართული მისია გემით ჩავიდა ტრაბზონში, სადაც მათ სანაპიროზე საპატიო ყარაულით დახვდნენ. (26; 54-55)

31 დეკემბერი

- დამფუძნებელი კრების სხდომაზე დაისვა საკითხი, მთავრობისათვის ბონის ახალი 10 მილიარდიანი ემისიის უფლების მინიჭების შესახებ. ფინანსთა მინისტრმა კონსტანტინე კანდელაკმა დასძინა, რომ ეს მართალია ინფლაციას გამოიწვევდა, მაგრამ არსებული სამხედრო ხარჯები სხვა გამოსავალს არ ტოვებდა. ასევე ის იმედს ამყარებდა, ევროპაში დადებულ კონტრაქტებზე, რაც მას ფინანსური მდგომარეობის გამოსწორების იმედს აძლევდა, თუმცა იქვე დასძენდა, რომ მხოლოდ სხვის იმედზე ყოფნა არ შეიძლებოდა. მან პირობა დადო, რომ ეს იქნებოდა უკანასკნელი ემისია. სოციალ-რევოლუციონერმა ივანე ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ ეს ახალი ბონები

წამლის ნაცვლად საწამლავად გვექცევაო. ეროვნულ-დემოკრატმა სპირიდონ კედიამ მხარი დაუჭირა ემისიას, მაგრამ იგი თვლიდა, რომ მთავრობამ მისი ეკონომიკური პოლიტიკა უნდა შეცვალოს. საბოლოოდ ახალი ემისია მიღებულ იქნა, ამის წინააღმდეგ ხმა მხოლოდ სოციალ-რევოლუციონერებმა მისცეს. (1; №7; 1921)

- დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული დეკრეტის თანახმად არტაანის ოლქის ფოცხოვის რაიონი შეუერთდა ახალციხის მაზრას. (7; 456)
- გაიმართა უფასო საახალწლო სპექტაკლები ჯარისკაცებისა და გვარდიელებისათვის.
- დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი ყოფილი თავადის ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე „მინგრელსკის“ უძრავ-მოძრავი ქონება გამოცხადებულიყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკუთრებად. (1; №10; 1921)
- შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით გასართობ და სავაჭრო დაწესებულებებს (კლუბები, რესტორნები და სხვა.) ახალი წლის ღამეს მიეცათ ვაჭრობის უფლება ღალის 2 საათამდე. მინისტრისავე ბრძანებით ახალი წლის იარაღის სროლით შეხვედრა სასტიკად აიკრძალა. (3; №1018)

1921 წელი

1 იანვარი

- საქართველოს მოსახლეობამ ახალი 1921 წლის დადგომა იზეიმა.
- საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ შეიარაღებულ ძალებს მიულოცა ახალი წლის დადგომა: „საქართველოს დემოკრატია, მთელი ჩვენი ერი თქვენ შემოგყურებთ, თქვენზე ამყარებს თავის იმედს და თქვენ ამ იმედს სავსებით გაამართლებთ – სამშობლოს კერას ძველებურად, ქართველურად დაიცავთ და მით თავის მოვალეობას ბოლომდის შესასრულებთ. გაუმარჯოს საქართველოს ლაშქარს, გაუმარჯოს ჩვენ ჯარს და გვარდიას“. (3; №1019)

2 იანვარი

- გენერლებმა ილია ოდიშელიძემ და ალექსანდრე ზაქარიაძემ თავდაცვის საბჭოს წარუდგინეს მოხსენება, რომელშიც საუბარი იყო მოსალოდნელ საფრთხეზე საბჭოთა რუსეთისა და თურქების მხრიდან. იქვე მოცემული იყო შესაძლო ომის წარმატებით დასრულებისათვის აუცილებელი მოთხოვნები, რომელიც ითვალისწინებდა ჯარების სასწრაფო მობილიზაციას და ჯარისკაცთა რიცხვის 60 000 კაცამდე გაზრდას, ასევე 15 000 კაციან რეზერვს. იარაღის, ტყვია წამლის, საკვების შეძენას, ფრონტისპირა რაიონებში გარკვეული გზების შეკეთებას.
- რკპ(ბ) კავკასიის ბიუროს წევრებმა ორჯონიკიძემ და კიროვმა მოსკოვში გაგზავნილ მოხსენებაში კიდევ ერთხელ დააყენეს საქართველოს გასაბჭოება-დაპყრობის საკითხი. (23; 53-57)
- 2 იანვარს რუსთაველის გამზირზე მთვრალი გვარდიელი სცემდა ქალს რომელსაც გამოესარჩლა სენატის სისხლის სამართლის დეპარტამენტის პროკურორის მოადგილე წერეთელი. ამან ბახუსში მყოფი გვარდიელი კიდევ უფრო გადარია, წერეთელს იარაღი დაუმიზნა და უყვიროდა: „თქვენ გამოხვედით გვარდიის წინააღმდეგ, თქვენ გსურთ მისი მოსპობა, გიტირებთ დედას! ნ. გვარდილმა მილიციელი იხმო, რომელსაც ხალხმა სთხოვა მთვრალი გვარდიელისათვის წაერთმია იარაღი, გვარდიელმა კი პირიქით წერეთლის წაყვანა უბრძანა კომისარიატში. მილიციელმა ამ უკანასკნელს შესჩივლა: „რა ვქნა ბატონო, უნდა დამემორჩილოთ, გამომყვეთ კომისარიატში, თორემ მაგათ როგორ გაცემს კაცი ხმასო“. წერეთელი დამორჩილდა მილიციელს, მას თან გაყვნენ მოწმეები მაგრამ გზაში კიდევ სამმა გვარდიელმა მოწმეების ძალითა და მუქარით გაყარეს. ამ დროს გამოჩნდა რამდენიმე შეგნებული გვარდიელი, მათ შორის დეგოშიორის უფროსი, რომელმაც ბოდიში მოუხადა წერეთელს, ხოლო მეორე კომისარმა ამ ისტორიის მთავარი „გმირი“ კომისარიატში წაიყვანა. მისი მეგობრები ან მიიმალნენ ან პოზიცია იცვალეს. (4; №4)
- ბათუმში „შმაევსკის“ თეატრში გაიმართა ქართველ მსახიობთა დღე, წარმოდგენილი იქნა ერთმოქმედებიანი სპექტაკლები „ლეგენდა კოშკში“ და „დარისპანის გასაჭირი“. ამავე თეატრში მოგვიანებით გაიმართა ტანმოვარჯიშეთა საზოგადოება „შევარდენის“ საჩვენებელი გამოსვლა ოფიცერ ახვლედიანის მეთაურობით. წარმოდგენამ დიდი მოწონება დაიმსახურა. (5; №2)

3 იანვარი

- კარლ კაუცკი თბილისიდან ბათუმს გაემგზავრა საიდანაც გემით ქვეყანა უნდა დაეტოვებინა. მეორე ინტერნაციონალის ლიდერს მთელი საქართველო ემშვიდობებოდა, როდესაც მისი მატარებელი თბილისიდან დაიძრა რკინიგზის სადგურებზე უამრავი ხალხი გამოეფინა, გზადაგზა კაუცკის მატარებელი ჩერდებოდა და იგი ხალხს სიტყვით მიმართავდ. ხაშურის სადგურზე ის მოსახლეობას ეუბნებოდა, რომ ქართველმა ხალხმა შეინარჩუნა შუასაუკუნეების რაინდული თვისებები, რაც ბევრმა კულტურულმა ერმა დაკარგა უკანასკნელი პერიოდის კატაკლიზმების შედეგად, თუმცა კაუცკი ასევე დასძენდა, რომ შუასაუკუნეობრივ რაინდობას ბევრი უარყოფითი თვისება გააჩნდა რაც ქართველმა ერმა გადალახა, გარდა უზომო ხელგაშლილობისა, რაც მისი აზრით ძლიერ უშლიდა ხელს ეკონომიკური ცხოვრების მოწესრიგების საქმეს. ბოლოს ხაშურლებს უთხრა, რომ ისე კარგათ არსად უგრძვნია თავი როგორც საქართველოში. შემდეგ გაჩერებაზე ქუთაისში კაუცკი ადგილობრივებს ქართული მუშათა კლასისა და პარტიის ერთიანობის მნიშვნელობაზე ესაუბრა. (4; №6)
- გამოცხადდა დემობილიზაცია იმ ჯარისკაცებისა, ვისაც ორ წელზე მეტი ჰქონდათ ნამსახურები სამხედრო სავალდებულო სამსახურში. (სცსა. ფონდი1969. აღწერა4. საქმე.14. ფურც.38-39)
- სოფელ ხელვაჩაურისთავიდან ბათუმში დაბრუნდა ბათუმის მაზრის კომისარი მიქაბერიძე, რომელმაც დაათვალიერა ის ადგილები სადაც ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მოკლა თავისი სისასტიკით ცნობილი ყაჩაღი „აღუნდიშლი," იგივე ოსმალეთის მოქალაქე მუხამედ გოსიფ ოღლი, დაიჭირეს მისი თანამზრახველი უზუნ ხასან ოღლი. დამნაშავეთა დუეტს ბრალად ედებოდათ: 20 დეკემბერს ახალაშენებული ეკლესიის გაძარცვა და 1 440 000 მანეთის ღირებულების ქონების წაღება, ხასან ბეგ ბერიძის გაძარცვა, ერთი აგარაკის გაძარცვა, ყოროლისთავის ეკლესიის გაძარცვა. ასევე ეს პირები მეთაურობდნენ ჯგუფს რომელიც ძრცვა-გლეჯას ეწეოდა შავშეთ-იმერხევში. (5; №5)
- ბათუმში ჩამოვიდა გერმანიის ელჩი ულრიხ რაუშერი. მის და კარლ და ლუიზა კაუცკების პატივსაცემად, რომლებიც თბილისიდან ჩავიდნენ გაიმართა საზეიმო ბანკეტი. (5; №2; №3)

4 იანვარი

- საღამოს 7 საათზე ბათუმიდან გემ „ფრანც-ფერდინანდით" საქართველო დატოვა კარლ კაუცკიმ და მისმა მეუღლემ ლუიზამ. გემზე ასვლის წინ მან საკუთარი სიტყვა შემდეგნაირად დაასრულა: „მე გემშვიდობებით დროებით, ენერგიით აღსავსე მებრძოლნო ქართველებო, სამი თვის განმავლობაში ჩემი გული სტკბებოდა აქ ყოფნით და ახლა ტკივილებს ვგრძნობ როცა მივდივარ, მაგრამ მახარებს ის, რომ თქვენ იბრძვით დამოუკიდებლობისათვის, რაც აგრეთვე ნიშნავს სოციალიზმისათვის ბრძოლას." ბოლოს კაუცკის ქართულად უთქვამს „ნახვამდის" რასაც ხალხის აღფრთოვანება გამოუწვევია, ხოლო ორკესტრს საქართველოს ჰიმნი დაუკრავს. (4; №6)

- საღამოს 10 საათზე თბილისში ჩამოვიდა გერმანიის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ულრიხ რაუშერი თავისი თანამშრომლებით. რკინიგზის სადგურზე მას დახვდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი საბახტარაშვილი, სამხედრო მინისტრის მოადგილრ გენერალი გედევანიშვილი, გენშტაბის უფროსი ზაქარიაძე, გერმანელთა ახალშენის წარმომადგენლები და სხვები. (4; №4)
- ექვთიმე თაყაიშვილის მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა დეკრეტი დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკისათვის 200 000 მანეთის გადადების შესახებ.
- პრესის ცნობით ბათუმის პორტში მიმდინარეობდა სამუშაოები ჩაძირულ გემ „სინათლის“ ამოსაღებად. (1; №2)

5 იანვარი

- დამფუძნებელი კრების თანხმობით სახელმწიფო ხაზინიდან მთავრობას გადაეცა სამი მილიარდი მანეთი თავდაცვის საჭიროებისათვის. (1; №8)
- დამფუძნებელმა კრებამ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ მოთხოვნილი თანხა დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკისათვის გაზარდა 3 მილიონ მანეთამდე. (1; №7)
- 5 იანვარს თბილისში შედგა საქართველოს „შევარდენთა“ კავშირის დამფუძნებელი კრება, სადაც დაარსდა საქართველოში მოქმედი ყველა შევარდნული ტანვარჯიშის საზოგადოების კავშირი. კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს – გიორგი ნიკოლაძე. (1; №8)

6 იანვარი

- შრომის მინისტრის მოხსენების შემდეგ სახელმწიფო დაწესებულებათა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ მთავრობამ დაადგინა, რომ მათ მისცეს ავანსის სახით მანუფაქტურა და სხვა პირველადი საჭიროების ნივთები 3000 მანეთის ღირებულებისა სულზე და ოჯახზე არაუმეტეს 10 000 მანეთის ღირებულებისა. ეს ავანსი მუშებს უნდა გადაეხადათ 1921 წლის განმავლობაში. უნდა შემუშავებულიყო დეკრეტი დამფუძნებელი კრებისათვის ამ მიზნით 360 მილიონი მანეთის გადადების შესახებ. (4; №9)
- გზათა მინისტრის მოხსენების შემდეგ, მთავრობამ დაადგინა მისცეს გზათა სამინისტროს თანხა უახლოესი სამი თვის განმავლობაში რკინგზის მილიციის დამატებითი შტატებისათვის. (4; №9)
- სამხედრო მინისტრის მოხსენების შემდეგ, მთავრობამ დაადგინა გადადოს დამატებითი კრედიტი გვარდიის შტაბისათვის იანვარ-თებერვალში მისაცემად. (4; №9)
- დაევალა ქუთაისის სამაზრო ერობას, რომ გადასცეს სამხედრო უწყებას მასალები ვიწროლიანდაგიანი რკინიგზისათვის. (4; №9)
- ქუთაისის მოწაფეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ კოლა ჩაჩავამ ინახულა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და ამავდროულად განათლების მინისტრი, რომელსაც წარუდგინა მოხსენება მოწაფეთა მდგომარეობის შესახებ. მან გრიგოლ ლორთქიფანიძეს მოსთხოვა 300 000 მანეთი სესხად მოწაფეთა სასადილოს მოწყობისათვის. გრიგოლ ლორთქიფანიძემ მას დახმარება აღუთქვა. (3; №1024)

7 იანვარი

- ბათუმის ახალგაზრდა მომღერალთა ქორომ ვარლამ სიმონიშვილის ლოტბარობით საშობაოდ ჩამოუარა ბათუმის სახლების ეზოებს „ალილოს“ სიმღერით. მთელი მოგროვილი ფული გადაეცა ფრონტის დამხმარე კომიტეტს. (5; №3)
- სადარაჯო ათასეულში წარმოდგენილი იქნა შალვა დადიანის 2 მოქმედებიანი დრამა „შურისძიება და უბედურის“ დებიუტი. აღსანიშნავია, რომ სპექტაკლში მსახიობების გარდა მონაწილეობდნენ ჯარისკაცებიც.
- გაზეთ სახალხო საქმის ცნობით, მოკლე ხანში აღდგებოდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ გამოცემა იოსებ იმედაშვილისავე რედაქტორობით. „თეატრი და ცხოვრება“ დახურული იყო ქაღალდის უქონლობის გამო. (3; №1023)
- პრესის ცნობით იუსტიციის სამინისტრომ დამფუძნებელ კრებას წარუდგინა პროექტი დატუსაღებულთა შორის საგანმანათლებლო საქმიანობის გაზრდის შესახებ. სამინისტრო ფიქრობდა დაეარსებინა სატუსაღოებთან სასწავლებლები, სამკითხველოები და მოეწყო სისტემატიური კითხვა ლექციებისა. (3; №1023)
- შინაგან საქმეთა მინისტრმა დამფუძნებელი კრების წევრის ისიდორე რამიშვილის მოხსენების „აჭარაში არსებული მდგომარეობის შესახებ“ შემდეგ დაადგინა: სანდო და პატიოსანი ადამიანების თავდებობით გაეთავისუფლებინა აჭარაში მცხოვრები 8 პირი. (4; №5)
- მიწათმოქმედების სამინისტრომ მოითხოვა 300 მილიონის გამოყოფა გადასახლებულთა მდგომარეობის გამოსასწორებლად. (3; №1023)
- ვერის სასაფლაოზე დაკრძალეს იროდიონ ევდოშვილის ერთადერთი ვაჟი 21 წლის ივანე ხოსიტაშვილი. მიუხედავად მცირე ასაკისა, ივანეს მოხალისედ ჰქონდა ნაბრძოლი ახალციხეში ოსმალების წინააღმდეგ, ქართლში ოსების წინააღმდეგ და სომხეთ-საქართველოს ომში. ამ ბრძოლებში მას ორი საბრძოლო ჯილდოც მიუღია გამოჩენილი სიმამაცისათვის. (3; №1024; №1028)

8 იანვარი

- ნოე რამიშვილის თბილისიდან გამგზავრების გამო, შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შესრულება მიენდო მის მოადგილეს ი. ჭავჭანიძეს, ხოლო გზათა მინისტრის მოვალეობის შესრულება – დეპარტამენტის დირექტორს ბ. ჭიჭინაძეს. (1; №6)

9 იანვარი

- 9 იანვარს დაიწყო და 14 იანვარს დასრულდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მეხუთე კონფერენცია. კონფერენცია გახსნა კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი ლასხიშვილმა. საუბარი შეეხო მთავარი კომიტეტის მუშაობას, თანამედროვე მომენტს და პარტიის ტაქტიკას, მუშათა საკითხს, კონსტიტუციის პროექტს. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა პარტიის 71 დელეგატი სხვადასხვა კუთხიდან. კონფერენციამ აირჩია პარტიის მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ლასხიშვილი, ამხანაგები – სამსონ ფირცხალავა და სვიმონ დადიანი,

პრეზიდიუმის წევრებად: გრიგოლ რცხილაძე, შალვა ნუცუბიძე, თედო ღლონტი, ვახუშტი კოტეტიშვილი, აკაკი პაპავა, იოსებ ბარათაშვილი და სხვ. (13; 204-205)

- სასტუმრო „ინტერნაციონალში“ სასტუმროს მოიჯარემ გრიგოლ დოლიძემ რევოლვერით მოკლა საკუთარი მეუღლე. მილიციის ცნობით დოლიძეს თავისი რუსი ცოლისათვის გაშორება და რუსეთში წასვლა უთხოვია, რადგანაც იგი სხვა ქალზე იყო შეყვარებული. ცოლი გაშორებაზე დათანხმებულა, მაგრამ რუსეთში წასვლაზე უარი უთქვამს, რის შემდეგაც დოლიძემ მეუღლე მოკლა. (3; №1024)

10 იანვარი

- გერმანიის ელჩმა რაუმერმა რწმუნების სიგელი გადასცა მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას. გერმანიის ელჩმა გამოთქვა თავისი მზადყოფნა, რომ იგი არ დაზოგავდა საკუთარ თავს, რადგანაც მისი თქმით ურთიერთ თანაგრძნობაზე და ნდობაზე დამყარებული მუშაობის შედეგად შესაძლებელია განმტკიცდეს ორი ქვეყნის სოციალური, კოულტურული და ეკონომიკური თანამშრომლობა და ეს გახდეს მაგალითი იმის, რომ ურთიერთდახმარება მომავალში უნდა დაედოს საფუძვლად ცალკეული ერებისა და კაცობრიობის კეთილდღეობას. საპასუხო სიტყვაში მთავრობის თავმჯდომარემ გაიხსენა გერმანიის თანადგომა გაჭირვების ჟამს და დასძინა, რომ ქართველი ხალხი არასდროს ივიწყებს განვლილ ამბებს და მეგობრობას დიდად აფასებს. ასევე მან გამოთქვა სურვილი, რომ საქართველო რომელიც მესამე წელია იბრძვის სახელმწიფოებრივი არსებობისათვის და ევროპასთან მჭიდრო კავშირის დაჭერისთვის, ამ საქმეში გერმანია გაუწევს დახმარებას.
- მთავრობის საგანგებო რწმუნებულმა ბათუმსა და მის ოლქში დაათვალიერა ბათუმის ციხე-სიმაგრეები. (5; №6)
- 10 იანვარს ბაქოს „კომუნისტში“ დაიბეჭდა სტატია, თითქოს აზერბაიჯანში დაკავებული ქართული მატარებლები იმყოფება აზერბაიჯანის მთავრობის განკარგულებაში, იჯარის უფლებით. (1; №20)

11 იანვარი

- ქართული პრესის ინფორმაციით ჯერ კიდევ გერმანიაში, ავსტრია-უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში იმყოფებოდა პირველ მსოფლიო ომში დატყვევებული 71 ქართველი სამხედრო. (4; №6)
- დაუდგენელმა პირებმა 11 იანვარს ღამით უცნობი მიზეზით სამი ტყვიით მოკლეს ერობის უბნის სახალხო გვარდიელი და ამავე უბნის კომიტეტის მდივანი 24 წლის მარკოზ კაციტაძე. მარკოზი საერთოდ წინააღმდეგი იყო ხოლმე ქელეხის გამართვის და ამიტომაც მისმა მშობლებმა მისი ხსოვნის აღსანიშნავად, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფონდში შეიტანეს 10 000 მანეთი.
- პრესის ცნობით სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა ფაჩულიამ, გააფრთხილა ოქრომჭედლები, ხალიჩის მაღაზიის პატრონები და კომისიონერები, რომ ისინი ვალდებულნი არიან პასპორტი და სხვა საბუთები მოსთხოვონ იმ პირთ ვისგანაც ყიდუ-

ლობენ ნივთებს. ასევე მათ უნდა ქონდეთ დავთრები, სადაც უნდა იყოს აღნუსხული ნაყიდი ნივთები. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაისჯებიან ადმინისტრაციული წესით. (1; №6)

- პრესის ცნობით ტექნიკური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პოლკოვნიკი გედევანიშვილი. (3; №1024)
- 11 იანვარს საღამოს 6 საათზე სწავლა დაიწყო სამთო-სატეხნიკო კურსებზე. (1; №6)
- ნოე ჟორდანია ლანჩხუთს გაემგზავრა. (3; №1025)

12 იანვარი

- თბილისს ესტუმრა შავ ზღვაზე ფრანგული სამხედრო ფლოტის სარდალი ადმირალი დიუმენელი. მოგვიანებით ამ ადმირალის სარდლობით ფრანგულმა ესკადრამ დიდი დახმარება გაუწია ქართულ სამხედრო შენაერთებს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ თავდაცვითი ბრძოლების დროს აფხაზეთის ფრონტზე. ქართულ პრესაში ადმირალი დიუმენელი ძველი ქართული წოდებით „ამირბარად“ არის მოხსენიებული. დიუმენელმა და საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა შევალიემ ინახულეს მთავრობის თავმჯდომარე. ადმირალმა მადლობა გადაიხადა იმ პატივისცემისათვის, რომელიც მას გაუწიეს ბათუმიდან თბილისამდე მგზავრობის დროს. (1; №8)
- რკპ(ბ)-ის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა საქართველოს „დაუყოვნებლივი გასაბჭოება“ ჯერჯერობით მიზანშეუწონლად სცნო. (23; 57-58)
- მასწავლებელთა ყრილობამ მოისმინა რა ინფორმაცია სკოლებში არსებულ კატასტროფულ ვითარებაზე (შენობა, ავეჯი, სასწავლო ნივთები, გათბობა, მასწავლებლების ანაზღაურება), მიიღო რეზოლუცია, რომ სახელმწიფოსათვის უახლოესი მოვალეობა სკოლის გაჯანსაღებისათვის ზომების მიღება უნდა იყოს. (3; №1036)
- ასპინძის მეცხრე ათასეულში გაიმართა კულტურული საღამო. წარმოდგენილ იქნა „იასონის ოინები“. შემდეგ წაიკითხეს ლექსები და იმღერეს. (5; №7)

13 იანვარი

- 6-7 იანვრის აქტის თანახმად, 13 იანვარს ინჟინერმა ანდრონიკაშვილმა, საბჭოთა რუსეთს გადასცა ქართულ პორტში მდგარი შემდეგი რუსული გემები: „ნახიმოვი“, „წმინდა ნიკოლოზი“, „გეროი“, „ამვროსი“, „ბაიანი“, „ილია მოროზოვი“, „ლებედი“, „რისკი“, „არდიტო ბებელი“, „პეტრე დიდი“, „ვერდენ II“, „მარინკა“ და სხვა ხომალდები. გემების ჩაბარებაში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა ბათუმში ბატონმა ზვერიოვმა. (1; №14)
- მასწავლებელთა ყრილობის თავმჯდომარემ ყრილობას წარუდგინა დელეგატთა ერთი ჯგუფის განცხადება, წინა საღამოს მიღებული რეზოლუციის გადასინჯვის შესახებ. თუმცა რეზოლუცია არ გადაისინჯა. ყრილობამ აირჩია ეკონომიური კომისია 7 კაცის შემადგენლობით, მათ დაევალათ შეიმუშაონ მოთხოვნები ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და წარუდგინონ ყრილობას განსახილველად.

- გაზეთ „ბათუმის ცხოვრების“ ცნობით სოფელ სარფის მცხოვრებმა რეფიტ გარა იბრაგიმ-ოღლიმ გააუპატიურა მისი მეზობლის 5 წლის ვაჟი, ასკანდერ გარა იბრაგიმ-ოღლი. დამნაშავე შეიპყრეს და ბათუმის ციხეში მოათავსეს. (5; №8)

14 იანვარი

- გურიის ერობის სხდომაზე დადგინდა, რომ მიღებული ყოფილიყო სასტიკი ზომები დეზერტირობის წინააღმდეგ, კერძოდ, უნდა დაეტყვევებინათ დეზერტირების შმობლები, რომ მათ ამით აიძულონ ისინი მოიყვანონ თავიანთი დეზერტირი შვილები. ყრილობამ ასევე ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ დაჭერილი დეზერტირები სათანადოდ არ ისჯებოდნენ. (1; №9)
- პრესის ცნობით თბილისში დაარსებულა ქართული კინემატოგრაფიული საქციონერო საზოგადოება, რომელმაც მიზნად დაისახა: ა) მოეწყო ქართული კინემატოგრაფი ევროპულის დონეზე; ბ) შედგომოდა ქართული კინოპიესების გადაღებას; გ) კინოპიესები აეღოთ თანამედროვე ქართული ცხოვრებიდან; დ) შეერჩიათ დასი ეკრანის მსახიობებისათვის; ე) დაეარსებინათ სპეციალური სტუდია მსახიობების ჩამოსაყალიბებლად.
- გურიის ერობის ყრილობის დადგენილებით, მასწავლებლებს მიეცათ სიმინდი შეღავათიან ფასებში. (1; №9)
- ჟენევაში გამომავალ ჟურნალ „დეჟენევიში“ დაიბეჭდა ჟან მარტენის სტატია საქართველოს შესახებ. სტატიაში ავტორი საუბრობდა საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრესა და სილამაზეზე, ქვეყნის სტრატეგიულ მდებარეობაზე, მთავრობის მიერ გადაძგმულ ნაბიჯებზე ქვეყნის გაძლიერებისა და უსაფრთხოების კუთხით.

15 იანვარი

- საქართველოს საგარეო უწყებამ, პასუხი გასცა საბჭოთა აზერბაიჯანის 28 დეკემბრის ნოტას, რომელშიც საუბარი იყო აზერბაიჯანის მოქალაქეებისა და დიპლომატიური წარმომადგენლების დაკავების და ასევე საქართველოსგან 20 მილიონი მანეთის სესხის განაღდების საკითხის შესახებ. როგორც მინისტრის მოადგილე საბახტარაშვილის საპასუხო ნოტიდან ჩანს, საქართველოს მთავრობას დაუკავებია აზერბაიჯანის ის წარმომადგენლები, რომლებიც არალეგალური საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი და აგიტაციას ეწეოდნენ საქართველოს წინააღმდეგ. მათი ნაწილი ადრეც იყო დაკავებული ანალოგიური ბრალდებით. ცალკე იქნა გამოყოფილი, ა.ს.ს.რ-ს წარმომადგენლობის პირველი მდივნის კალისტრატე ქეთევანიძის საქმე, რომელიც სინამდვილეში იყო კალისტრატე საჯაია, რომელიც რუსეთში ცხოვრობდა კალინიჩენკოს გვარით. საჯაიას მიზნათ ჰქონია ტერორისტული ჯგუფის მოწყობა და ასევე იგი ირიცხებოდა უცხო ქვეყნის კონტრდაზვერვაში და ეწეოდა არალეგალურ საქმიანობას, სწორედ ამის გამო დააპატიმრეს და ჩასვეს ქუთაისის ციხეში. საქართველოს საგარეო უწყება, ამ პირის წარმომადგენლობის პირველ მდივნად დანიშვნას უწოდებდა მტრულ აქტს, რადგანაც სწორედ აზერბაიჯანის მთავრობამ მისცა მას დოკუმენტები ქეთევანიძის გვარზე, რამაც მას საშუალება მისცა დაეწყო საქართველოში არალეგალური მუშაობა. (1: №13)

- მთავრობის სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა გააკეთა მოხსენება სათამაშო ქაღალდის ახალი სურათების პროექტის შესახებ. სურათები ეკუთვნოდა იოსებ შარლემანს. პროექტის მიხედვით სურათები უნდა ყოფილიყო დახატული ქართლელების, იმერლების, მეგრელების და კახელების სტილში. ზოგი ფიგურა დახატული იქნებოდა ეროვნულ ტანსაცმელში. მთავრობამ მოიწონა პროექტი, უმნიშვნელო ცვლილებებით. (1; №16)
- ქართული დრამის თეატრში დაიდგა პიესა „მარიამ მაგდალინელი". (1; №12)
- პრესის ცნობით თბილისის ქალაქის თვითმმართველობამ ცხოვრების პირობების გაძვირების გამო გადაწყვიტა პენსიონერებს პენსიები გაუზარდონ. (1; №10)
- ზუგდიდის მაზრის კომისარმა სოხუმის მახლობლად 2 მილიციელის თანხლებით დაატუსაღა ორი ყაჩაღი: აკობია და პაპავა. სხვა ყაჩაღები კი მილიციონერებს თავისით დანებდნენ. (1; №10)

16 იანვარი

- თბილისის ქალაქის გამგეობამ დაიწყო ქალაქის ამომრჩეველთა აღწერის პროცესი. (4; №12)
- „საქართველოს რესპუბლიკაში" დაიბეჭდა ცნობა, რომ დიმიტრი არაყიშვილმა დაწერა ახალი მოქმედება საკუთარი ოპერისა – „თქმულება შოთა რუსთაველზე". (1; №11)
- მთავრობამ გააფორმა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც იტალიის მრეწველებს ეძლევათ კონცესია ტყვარჩელის ქვანახშირის დასამუშავებლად. ხელშეკრულება გადაეცა დამფუძნებელი კრების საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას. (1; №11)
- სულით ავადმყოფთა თავშესაფარში საღამოს 7-10 საათებში გაიმართა „შობის ხის" ზეიმი. (3; №1028)
- „შობის ხის" ზეიმი გაიმართა სახელმწიფო დრამის თეატრის სამუსიკო დარბაზში ბავშვებისათვის, მიხ. მორდკინის ხელმძღვანელობით. (3; №1029)

17 იანვარი

- თბილისის წმინდა გიორგის საეკლესიო კომიტეტის საქმეთა გამგეობამ, მთავრობის ანგარიშზე სახელმწიფო ბანკში შეიტანა 292,5 გირვანქის წონის ოქროსა და ვერცხლის ნივთები: ბარძიმი; საცეცხლური, შანდლები და სხვა. (1; №16)
- ქართული დრამის თეატრმა ჯარისკაცებისათვის გამართა უფასო წარმოდგენა და მათ აჩვენა შალვა დადიანის პიესა „გუშინდელნი". წარმოდგენის დაწყებამდე რეჟისორმა კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა წაიკითხა მოხსენება თეატრის მნიშვნელობის შესახებ. (1; №14)
- თელავის ქალაქის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ქალაქში შემოტანილ საქონელზე გაეზარდა ბაჟის ოდენობა ორმაგად და ზოგიერთ შემთხვევაში სამმაგად. (3; №1035)
- თელავის გამგეობამ დაადგინა, რომ ცხოვრების პირობების გაუარესების გამო გამგეობის წევრებისათვის (რომელთა ჯამაგირი შეადგენდა 13 500 მანეთს), უსასყიდლოთ მიეცათ ორ-ორი ფუთი ხორბალი და სიმინდი. (3; №1035)
- ნოე ჟორდანია ლანჩხუთიდან თბილისში დაბრუნდა. (3; №1030)

18 იანვარი

- დამფუძნებელმა კრებამ ხმათა უმრავლესობით (გარდა ესერებისა) ორი წლის ვადით შეაჩერა 1919 წლის 20 მაისის კანონი, რომელიც ითვალისწინებდა ოჯახური მდგომარეობის გამო ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლებას. კერძოდ ჯარში არ იწვევდნენ ოჯახის ერთადერთ მარჩენალს. დამფუძნებელმა კრებამ კანონის შეჩერების დროს იხელმძღვანელა რესპუბლიკის მეტად საშიში სამხედრო ვითარებით. გაწვეულთა ოჯახებს გადაუხდიდნენ კომპენსაციებს. (1; №14)
- სამხედრო მინისტრის მოხსენების საფუძველზე – ოფიცერთა მატერიალური მდგომარეობის შესახებ, მთავრობამ 6 იანვრის დადგენილების დამატების სახით გადაწყვიტა. მიეცეს ულუფა იმ ოფიცრების ოჯახებს, რომლებიც ფრონტზე არიან გაწვეულნი. (1; №12)
- ფინანსთა მინისტრის მოხსენების შემდეგ, მთავრობამ დაამტკიცა საფრანგეთის მეაბრეშუმეებთან დადებული ხელშეკრულების პროექტი. (1; №12)
- მთავრობამ ევროპაში სრულუფლებიან წარმომადგენლად დანიშნა აკაკი ჩხენკელი. (1; №12)
- საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საგანგებო წარმომადგენელმა ბათუმის ოლქში გამოსცა ბრძანება, რომ ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ადგილობრივ ბაზარზე უნდა წარმოებულიყო მხოლოდ იმ ბონებზე, რომელთაც გასავალი აქვთ საქართველოს რესპუბლიკაში, უცხოური ვალუტა კი უნდა დახურდავებულიყო. ის პირები, რომლებიც ამ ბრძანებას არ დაემორჩილებოდნენ უცხოური ვალუტა კონფისკაციის წესით ჩამოერთმეოდათ. (1; №12)

19 იანვარი

- გაიხსნა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის კონფერენცია სადაც ნოე ჟორდანიამ გააკეთა მოხსენება „პარტიული დისციპლინის შესახებ". ჟორდანიამ განაცხადა, რომ პარტიული დისციპლინა შერყეულია, რადგანაც პარტიაში გაჩნდა ოპოზიცია, რომელმაც თავი მოიყარა გაზეთ „ახალი სხივის" გარშემო. (13; 205)
- ღამის სამ საათზე ბორტმოქმედებმა მოკლეს ბათუმის და მისი ოლქში საქართველოს შემოერთებამდე აჭარის ჯარის სარდალი კასკინ-ზადე, ხოლო მისი ცოლის ძმა მამედ აბულას-ძე დიასამიძე კი მსუბუქად დაიჭრა. (1; №14)
- ბათუმში შმაევსკის თეატრში გაიმართა მსახიობ მარო მდივნის ბენეფისი, სასცენო მოღვაწეობის 20 წლის აღსანიშნავად. (5; №13; №14)

20 იანვარი

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია პარტიული დისციპლინის განმტკიცების შესახებ, სადაც დაგმობილია „ახალი სხივის" ოპოზიციური ჯგუფი, რომელიც მიზნად ისახავდა პარტიის მთლიანობის დარღვევას და იდეურ არევ-დარევას. (1; №17)

- სისხლის სამართლის მილიციის აგენტმა დაიჭირა კონტრაბანდისტი გეიდარ ტანგრივედი ოღლი კონტრაბანდულ საქონელთან ერთად. კონტრაბანდისტმა მილიციის აგენტს შესთავაზა ქრთამი 10 00 0მანეთი, მაგრამ აგენტმა ის დააპატიმრა და ფული პატაკითურთ წარუდგინა უფროსს. (1; №16)
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიურომ უარყო ბაქოს გაზეთ „კომუნისტში" მოთავსებული ცნობა და ამტკიცებდა, რომ საქართველოს რუსეთისთვის და აზერბაიჯანისათვის საიჯარო სარგებლობით არაფერი არ გადაუცია. მატარებლები აზერბაიჯანში გაგზავნილი იყო ნავთის შემოსატანათ, 1920 წლის 14 ნოემბრის შეთანხმების ძალით. (3; №1037)
- მრავალრიცხოვანმა ყრილობამ სოფელ მელისში მოისმინა რა ისიდორე რამიშვილისა და ბათუმის მაზრის კომისრის მიქაბერიძის მოხსენება გამოიტანა დადგენილება: „მცხოვრებლები უარს ამბობენ აჰყვნენ მომავალში იმ აგიტატორებს რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ მოუწოდებენ და არ გადადგან არცერთი ნაბიჯი, რომელიც გაერთიანებულ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ იქნება მიმართული. (1; №18)

21 იანვარი

- გაიმართა დამფუძნებელი კრების სხდომა კარლო ჩხეიძის თავმჯდომარეობით. კრებამ იმსჯელა ტყვარჩელის კონცესიების შესახებ. კონცესიის იურიდიულ მხარეზე მოხსენება გააკეთა გრიგოლ რცხილაძემ, ხოლო ფინანსთა მინისტრმა კონსტანტინე კანდელაკმა განმარტა, რომ უფრო ხელსაყრელი კონცესია ჩვენი ქვეყნისათვის წარმოუდგენელი იქნებოდა. კონცესია მიღებულ იქნა, მას მხარი არ დაუჭირეს ესერებმა და სოციალ-ფედერალისტებმა. (1; №17)
- საბჭოთა რუსეთის ნაციონალურ საქმეთა კომისარმა სტალინმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა ორჯონიკიძეს: „ცეკამ მიიღო გადაწყვეტილება გასწიოს მოსამზადებელი მუშაობა იმ ვარაუდით, რომ შესაძლოა საჭირო შეიქმნეს სამხედრო ჩარევა და საქართველოს ოკუპაცია. გადაწყდა აგრეთვე შეკითხვა გაუგზავნონ კავკასიის ფრონტს ჩვენი სამხედრო ძალების მდგომარეობაზე, იმაზე, თუ რა ძალები დაგვჭირდება რომ უეჭველად დავამარცხოთ საქართველო, თორემ ტროცკი ირწმუნება, თქვენ ფრონტზე ჩვენ ერთობ სუსტნი ვართო. აუცილებლად ჩემს სახელზე გამოაგზავნე ცნობა, შეგვიძლია თუ არა ვიქონიოთ სრული გამარჯვების იმედი ძალთა არსებული რაოდენობით. თუ უნდა დავიწყოთ, უნდა დავიწყოთ მაშინ, როცა ხელმოწერილი იქნება ინგლისთან ხელშეკრულება, რაც მოხდება დაახლოებით ერთი-ორი თვის შემდეგ. მე და ილიჩი (ვლადიმერ ლენინი) ველით შენგან ზუსტ, გაუზვიადებელ ცნობა".
- საგარეო საქმეთა საინფორმაციო ბიუროს ცნობით. გამომდინარე იქიდან, რომ 5 დეკემბრის შემდეგ ქართული მატარებლები, ლოკომოტივები და ბრიგადები დაკავებულნი არიან რუსეთის სფსრ-ს და აზერბაიჯანის სსრ-ს ხელისუფალთა მიერ. საქართველოს მთავრობა რესპუბლიკის ინტერესების დაცვის პრინციპიდან გამომდინარე, საქართველოში „აღკვეთდა" მათ ქონებას მანამდე, სანამ საქართველოს ქონება არ დაბრუნდებოდა საქართველოში. (1; №14)

- 21 იანვრიდან თბილისის ვაგზალზე დაიწყო მგზავრთა წინასწარი ჩაწერა ბილეთების ასაღებად. (3; №1035)
- მთავრობამ ქალაქთა კავშირს მისცა უფლება ბაკის გადახდის გარეშე ქვეყნიდან გაეტანათ 25 000 ფუთი თხილი. (3; №1032)

22 იანვარი

- მთავრობის დადგენილების თანახმად გენერალი ილია ზურაბის-ძე ოდიშელიძე დაინიშნა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად. (1; №17)
- გენერალ ყიფშიძის ბინაში მოიპარეს 400 000 მანეთის ღირებულების ნივთები. სისხლის სამართლის მილიციამ გაარკვია, რომ ქურდობა ჩაიდინა მოსამსახურე ოლგა მიქელაძემ. ნივთები აღმოაჩინეს და ჩააბარეს პატრონს, ქალბატონი მიქელაძე კი დაიჭირეს. (1; №17)
- ქალაქთა კავშირში ასრულებდნენ მდინარე ხრამის წყლის ძალის გამოკვლევის და დამუშავების პროექტს. პროექტის მიხედვით დაგეგმილი იყო 8 სადგურის მოწყობა, საერთო სიმძლავრით 50 000 ცხ/ძ. (1; №15)
- რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, სათბობი მასალის შემცირების გამო თბილისში არსებულ თეატრებში, გარდა სახელმწიფო და კამერული თეატრისა, ელექტრონის მიწოდება აიკრძალა. (1; №15)
- გაზეთ „სახალხო საქმეში“ დაიბეჭდა კრიტიკული წერილი შრომის სავალდებულო ბეგარის შესახებ. სტატიის ავტორი მიესალმება სავალდებულო ბეგარის იდეას, მაგრამ იწუნებს მის განხორციელების გზებს, რაც მისი აზრით შედეგის მომცემი არ არის. თბილისიდან ბეგარის ფარგლებში მხოლოდ 70-80 კაცის მობილიზება მოუხდენიათ და წაუყვანიათ ყარაიაზში შეშის საჭრელად. სრულიად უვარგისი იარაღებით. ავტორის აზრით საკითხავია ღირდა თუ არა 70-80 კაცის მუშაობა, იმათ რასაც მათ შენახვაზე მიდიოდა. (3; №1033)

23 იანვარი

- თბილისის ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში გაიხსნა საქართველოს არასოციალისტურ პარტიათა წარმომადგენლების კონფერენცია. კონფერენციამ აირჩია პრეზიდიუმი: სპირიდონ კედიას, გრიგოლ ვეშაპელის, კოტე აფხაზის, ალექსანდრე ასათიანის და სანდრო შანშიაშვილის შემადგენლობით. (13; 209-210)
- 23-27 იანვარს მიმდინარეობდა არასოციალისტურ პარტიათა კონფერენცია. მთავარი შედეგი იყო რამდენიმე ეროვნული პარტიის გაერთიანება და „საქართველოს დემოკრატიული პარტიის შექმნან. მასში შევიდნენ ყოფილი გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; ეროვნული პარტია; რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია და უპარტიოთა კავშირი. ეს იყო კოალიციური პარტია, რომელში გაერთიანებული პარტიები თავიანთ ძველ სახელწოდებებსაც ინარჩუნებდნენ. საპატიო თავმჯდომარეებად აირჩიეს ნიკო ნიკოლაძე და ვასილ წერეთელი; ხელმძღვანელებად: სპირიდონ კედია, გრიგოლ ვეშაპელი, გიორგი გვაზავა, კოტე აფხაზი, რევაზ გაბაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, სერგი დანელია, სხვანი. (13; 209-210)

- გამოიცა ოფიციალური განკარგულება გენერალ ოდიმელიძის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დანიშვნის შესახებ. (1; №17)
- სატარიფო პალატამ იმსჯელა მუშათა და მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. მათ გადაწყვიტეს, რომ ხელფასებმა მოიმატოს 100 პროცენტით. (1; №17)
- მიწათმოქმედების სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი, ერობათათვის საფონდო მიწების გაყიდვიდან შემოსული შემოსავლის 40 პროცენტი გადასცეს ერობის განკარგულებაში. (1; №16)
- ბაქოდან თბილისში დაბრუნდა საბჭოთა რუსეთის ელჩი საქართველოში – შეინმანი. (3; №1035)
- გაიხსნა თბილისი-დიღომის დამაკავშირებელი ტელეფონის ხაზი. (1; №16)

24 იანვარი

- რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სტალინმა გაუგზავნა წერილი სადაც ის კომიტეტის წევრებს სთავაზობდა მიეცათ რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციური საბჭოსათვის დირექტივა, რომ მყისვე შედგომოდენ მოსამზადებელ სამუშაოს კავკასიაში იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ რა წესით განხორციელებულიყო სამხედრო ჩარევა. ამავე დროს მიეცათ დირექტივა სერგო ორჯონიკიძისათვის, რომ საჭირო იყო აჯანყებულთა გამოსვლების მომზადება საქართველოს გარკვეულ რაიონებში. (23; 58-59)
- მთავრობის თავმჯდომარის №2 განკარგულების თანახმად მომარაგების მინისტრის მოადგილედ დაინიშნა ვასილ გორდელაძე. (1; №18)
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაუგზავნა ცირკულარები სამაზრო ერობების გამგეობებს, რომ სამხედრო მინისტრის ცნობით ისინი არავითარ ზომებს არ იღებდნენ დეზერტირების მიერ გატაცებული სახაზინო ნივთების დაბრუნების საქმეში. სამინისტრო ამას დაუშვებლად მიიჩნევდა და სთხოვდა ერობებს დეზერტირებისათვის ჩამოერთმიათ ეს ნივთები ან გადაეხდევინებინათ მათთვის ამ ნივთების საფასური. (1; №22)
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაუგზავნა ცირკულარი სამაზრო ერობების გამგეობებს და თბილისის ქალაქის გამგეობას, რომ მათ გამოეყოთ ბადრაგები ახალწვეულთა გადასაყვანად მიმღები პუნქტებიდან. (1; №22)

25 იანვარი

- ღამით ზღვაზე ამინდის გაფუჭებამ ფოთის პორტში რამოდენიმე გემი იმსხვერპლა. ორი გემი „ცხენისწყალი“ და „ეკატერინე“ ჩაიძირა. გემი 02 – დაიმტვრა, „დობროვოლსკის“ ბოლო მოემტვრა, ასევე დაზიანდა ერთი ბარჟა. მეზღვაურთა აზრით ზარალმა 300-500 მილიონი შეადგინა.
- მთავრობის თავმჯდომარეს წარედგინა მოხსენება სათბობი მასალის კრიზისიდან თავის დაღწევის შესახებ. (1; №1035)
- პრესის ცნობით ბათუმის ქალაქის საბჭომ გვარდიის შტაბს თხოვნით მიმართა, რომ ბათუმის პავილიონში ყოველ უქმე დღეს დაეკრათ სამხედრო მუსიკა, რაზეც შტაბმა თანხმობა მისცა. (1; №17)

- სახელმწიფოს ოპერის თეატრი უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში პირველად, დასადგმელად ამზადებდა მოცარტის ოპერა „დონ ჟუანს“. (1; №17)

26 იანვარი

- სტუდენტებმა იდღესასწაულეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების სამი წლისთავი.
- რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა იმსჯელა საქართველოს საკითხზე და მიიღო დადგენილება. დადგენილება ფაქტობრივად საქართველოსთან ომისათვის მზადების დაწყებას ნიშნავდა. დადგენილებაში ვკითხულობთ: „1. დაევალოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს გააჭიანუროს ურთიერთობის გაწყვეტა საქართველოსთან, ამასთან სისტემატურად შეკრიბოს ზუსტი მასალა მის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შესახებ და უფრო დაჟინებით მოითხოვოს სომხეთში სურსათ-სანოვაგის გატარება. 2. შევეკითხოთ კავკასიის ფრონტს, რამდენად მომზადებული არიან ჩვენი არსებული სამხედრო ძალების საქართველოს დაუყოვნებლივი ან მოახლოებული ომისათვის... 3. მიეცეთ დირექტივა რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს და კავკასიის ფრონტს, თუ საჭიროება იქნა, მოემზადონ საქართველოსთან ომისათვის“. (23; 59-60)
- გენერალურმა შტაბმა გამოაცხადა ახალწვეულთა ჯარში გაწვევა 6 თებერვლიდან. (1; №18)
- უამინდობის გამო ბათუმში სტუდენტთა დღის აღნიშვნა გადაიდო. (5; 20)

27 იანვარი

- საქართვლო იქნა დე იურე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებული დიდი სახელმწიფოების: საფრანგეთის; დიდი ბრიტანეთის, იტალიის და იაპონიის მიერ. (29; 142-143)
- პრესაში დაიბეჭდა საქართველოში მყოფ საფრანგეთის უმაღლესი კომისრის აბელ შევალიეს განცხადება. სადაც იგი კატეგორიულად უარყოფდა ცნობას იმის შესახებ, რომ თითქოს საფრანგეთს სურდა კუნძულ ლემნოსზე მყოფი ყუბანელები რაიმე მოქმედებისათვის კავკასიაში ან სამხრეთ რუსეთში გამოიყენოს. (1; №19)
- ქართული დრამის თეატრში გაიმართა პრემიერა დავით ერისთავის „სამშობლოს“ განახლებული ვარიანტისა. (1; №21)
- ჭიათურის შავი ქვის საზოგადოება „ჩემომ“ გადარიცხა 1 მილიონი მანეთი ფრონტის სასარგებლოდ, 1 მილიონი თავდაცვის ფონდისათვის, ხოლო 500 000 მანეთი 1917 წლის 12 დეკემბრისა და ეკატერინენფელდის ბრძოლის აღსანიშნავად ძეგლის ასაგებად. (1; №19)
- დამფუძნებელი კრების საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას განსახილველად და შემდეგ პლენუმს დასამტკიცებლად გადაეცა დეკრეტის პროექტი თავდაცვის გადასახადის შემოღების შესახებ. (1; №19)

28 იანვარი

- გზათა სამინისტროში გაიმართა თათბირი ნავთობის მოპოვების საკითხის განსახილველად. თათბირმა დაადგინა მიაენდო ამ საკითხის დამუშავება სამთო სამმართველოსათვის. (1; №22)
- სომეხთა ეროვნულმა საბჭომ აირჩია საგანგებო კომისია, რომელთაც მთავრობის თავმჯდომარის, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარისა და ფრაქციათა თავმჯდომარეებისათვის უნდა წარედგინათ საბჭოს მიერ შემუშავებული მემორანდუმი კულტურულ-ეროვნული ავტონომიის შესახებ. ასევე მათ უნდა ეშუამდგომლათ, ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორების პროცესში სომხური ეკლესიების ქონება გადაცემოდა სომეხთა ეროვნულ საბჭოს. (1; №20)
- თბილისი ქალაქის თვითმმართველობის სოციალური დახმარების განყოფილებას უნდა გაეხსნა მუშათა კინოთეატრი, სადაც ფასები ხელმისაწვდომი იქნებოდა. წარმოდგენებზე დასწრება უფასო იქნებოდა მოსწავლეთა და სოციალური დახმარების თავშესაფარში მცხოვრებ ბავშვთათვის. (1; №20)
- ბათუმის სოციალ-ფედერალისტურმა პარტიამ გამართა საღამო, რომელზეც თბილისიდან საგანგებოდ იყო მიწვეული პოეტი იოსებ გრიშაშვილი, საღამოს უამრავი ადამიანი დასწრებია, შემოსავალმა კი 2 მილიონი მანეთი შეადგინა. (3; №1038)
- საქართველოს სამხედრო გზის გუდაური-კობის მონაკვეთი დიდი თოვლისა და ქარბუქის გამო დაკეტილი იყო. (1; №20)

29 იანვარი

- ერობათა კავშირის კომიტეტმა დაადგინა გაეხსნა უფასო კურსები ერობათა თანამშრომელთათვის, ასევე საბუღალტრო კურსები, სადაც მოწვეული იქნებოდნენ რესპუბლიკის საუკეთესო ლექტორები. (1; №21)
- თბილისში ჩამოსულა ემიგრაციაში მყოფი ცნობილი ქართველი ანარქისტი კომანდო გოგელია. (3; №1038)
- ფინანსთა მინისტრის მოადგილე ს. ავალიანი დაინიშნა ერობათა კავშირის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარედ, ხოლო მინისტრის მოადგილეებად დაინიშნენ ი. სალაყაია და ი. ელიგულაშვილი. (1; №21)
- ინჟინერ ჩხეიძეს დაევალა ბორჩხის ხიდის შეკეთება. (5; №21)

30 იანვარი

- გაზეთ „სახალხო საქმეში“ გამოქვეყნდა თავდაცვის ფონდისათვის სახელმწიფოს ცნობილი პირების და მათი ოჯახის წევრების მიერ გადაცემულ ნივთების სია. მაგ: ნოე ჟორდანიამ ფონდს შესწირა ერთი ვერცხლის კოვზი; გრიგოლ ლორთქიფანიძემ – ორი ვერცხლის რგოლი; ექვთიმე თაყაიშვილმა – ორი ვერცხლის სამარილე და ერთი ვერცხლის კოვზი; სპირიდონ კედიამ – ოქროს მედალიონი; კარლ და ლუიზა კაუცკებმა – ოქროს „ძეწკვი“ და ვერცხლის საფულე; გენერალმა გიორგი კვინიტაძემ – ვერცხლის სა-

მი მარკა; გენერალმა ზაქარიაძემ – ერთი ოქროს ვლადიმირის ორდენი და პატარა გიორგის ჯვარი, ხმალზე დასამაგრებელი. (3; №1040)

- ქართული პრესის ცნობით ფრანგულმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის განცხადება იმის შესახებ, რომ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ცნობა, თითქოს საქართველო აპირებს ომის დაწყებას აზერბაიჯანისა და რუსეთის წინააღდეგ იმ კრიზისის გადასაწყვეტად, რომელიც შეიქმნა ბაქოს ნავთის მოწოდების შეწყვეტის გამო. მინისტრის განცხადებით საქართველოს მთავრობა იარაღს მხოლოდ საკუთარი თავის დაცვისათვის იყენებდა, ხოლო არსებული კომფლიქტის გადასაჭრელად საქართველო მიიღებდა ყველა მშვიდობიან ზომას.
- ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრმა დანიშნა სპეციალური კომისია ბანკების რევიზიისათვის. (1; №22)
- სატარიფო პალატის განცხადებით, ახალი ტარიფის გამოქვეყნებამდე ყველა დაქირავებულს რომელიც დასაქმებული იყო 15 იანვრის შემდეგ ჯამაგირი უნდა გადიდებოდა 100 პროცენტით. (1; №22)

31 იანვარი

- მთავრობის განსაკუთრებულ წარმომადგენელს ბათუმსა და მის ოლქში გრიგოლ გიორგაძეს საქართველოს იურიდიულად ცნობას ულოცავდნენ უცხოეთის წარმომადგენლები, თანამდებობის პირები და საზოგადო მოღვაწეები. ჩატარდა სამხედრო აღლუმი. (5; №23)
- ბათუმის საკრებულოს დარბაზში საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად აღიარების გამო გაიმართა საზეიმო ბანკეტი, რომელსაც თამადობდა მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული ბათუმსა და მის ოლქში გრიგოლ გიორგაძე. (5; №23)
- „დე-იურეს“ ცნობის გამო ბათუმის ყველა დაწესებულებაში გამოცხადდა დასვენება. (5; №23)
- ლ. ტერეჩენკოს ბინიდან გაიტაცეს 500 000 მანეთის ღირებულების ნივთები. სისხლის სამართლის მილიციამ დამნასავეები აღმოაჩინა და ნივთები პატრონს დაუბრუნა. (1; №25)
- ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ ქართული მისია ანკარაში ჩავიდა. ქართულ მისიას, მატარებლის სადგურზე დახვდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. (26; 80-81)

1 თებერვალი

- მოხდა ინციდენტი დამფუძნებელ კრებაში. სხდომებს შორის შესვენებაზე დამფუძნებელი კრების წევრებს სოციალ-დემოკრატ ბენია ჩხიკვიშვილსა და სოციალისტ- ფედერალისტ შალვა ნუცუბიძეს შელაპარაკდნენ: „კაცო, მე წავიკითხე, რომ გაზეთში დაგიწერია, ჩხიკვიშვილს თავი ფაჩულიასთან ხომ არ ჰგონია, ღვინოს სამოვრით რომ სვამსო... – დავწერე, მერე რა?! – საბუთი გქონდა რამე? – უსაბუთოდ ლაპარაკი სოციალ-დემოკრატების საქმეა. მე ჰაერზე არაფერს ვამბობ. – ჰოდა, მაგ საქმეზე უნდა ვილაპარაკოთ. აგერ, ჩემდათავად სამსონს ვასახელებ (ჩხიკვიშვილმა ხელი ფედერა-

ლისტ სამსონ დადიანს დაადო). შენ ვინც გინდა, ის მოიყვანე და გავარჩიოთ, ჩვენს შორის ვინაა მტყუანი. – რა პრობლემაა, – მიუგო შალვა ნუცუბიძემ – მაგრამ ვერ გავიგე, რა არის აქ გასარჩევი? შენც კარგად იცი, მე ეს ვთქვი შენი რეპლიკის პასუხად, სხდომაზე – ლაზღანდარა ხარო, რომ მომაძახე... – მანამდე შენ თვითონ დამიძახე ჯიბგირი. ესე იგი, თავის დაძვრენა გინდა და უკან მიგაქვს შენი სიტყვები? – გაიფხორა ბენია ჩხიკვიშვილი. – კაცო, შენ შარზე ხომ არ ხარ? რა თავის დაძვრენაზე მელაპარაკები? გეუბნები – ვთქვი, დავწერე და თუ ძალიან გაგიხარდება, დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდანაც გაგიმეორებ მომდევნო. ამ დროს ჩხიკვიშვილმა მუშტი დაარტყა შალვა ნუცუბიძეს თვალში და ხელი გაიკრა რევოლვერზე. ჩხიკვიშვილი გააკავა სამსონ დადიანმა და ნიკოლოზ ელიავამ. ნუცუბიძემ სტაცა ხელი სკამს, რა დროსაც ის გააკავეს დეპუტატთა ჯგუფმა და მისი ნასროლი სკამი ბენიას ასცდა. კონფლიქტი ამით არ ამოწურულა. სამსონ დადიანმა ბენიას დაუყვირა – „ვინც ამ საქმეს იკადრებს იგი არაა ღირსი დეპუტატობისო“, ამან კიდევ უფრო გადარია ჩხიკვიშვილი და რევოლვერზე კიდევ ერთხელ წაივლო ხელი და თან იძახდა, „პუსტიტე მენია, ზასტრელიუ მერზავცა!“, მას არ ჩამორჩა არც სამსონ დადიანი, რომელიც გამშველებლებს მოუწოდებდა – „გაუშვით ეგ ლაჩარი გვესროლოსო“. შემდეგ როგორც ბენია ირწმუნებოდა სამსონ დადიანმა ამ ყველაფერს რუსულად დედის გინებაც დააყოლაო. სოციალ-ფედერალისტები ამტკიცებდნენ, რომ ბენია ჩხიკვიშვილმა შალვა ნუცუბიძეს ხელი არა აფექტის მდგომარეობაში. არამედ წინასწარი განზრახვით დაარტყა. (3; №1043)

2 თებერვალი

- კავკასიაში საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა აბელ შევალიემ საქართველოს დეპეშათა სააგენტოს საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო განუცხადა, რომ:, საქართველოს დიდებული და ბრწყინვალე წარსული აქვს და მე ვუსურვებ, რომ მომავალიც ასეთი ბედნიერი ქონდეს.ნ მან ასევე გამოთქვა გულწრფელი სურვილი იმისა, რომ ევროპამ საჭიროების დროს აღმოუჩინოს დახმარება ქვეყანას დამოუკიდებლობის დაცვაში. საუბრის დასასრულს მან დასძინა, რომ იგი ბედნიერად თვლიდა თავს, რომ მიეცა საშუალება ხელი შეეწყო ამ ისტორიული ფაქტის დაჩქარებაში. (1; №24)
- საქართველოში იტალიის მთავრობის პოლიტიკურმა აგენტმა ჩარუტიმ, წერილით აცნობა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ იტალიის უდიდესი თანაგრძნობის დასამტკიცებლად, საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო, გადაწყვიტა იტალიის პოლიტიკური სააგენტო შეიცვალოს ოფიციალური ლეგაციით. (1; №24)
- საქართველოში მყოფმა საბერძნეთის წარმომადგენელმა სკეფერსისმა საქართველოს დეპეშათა სააგენტოს განუცხადა, რომ საქართველოს იურიდიულად აღიარება არის სამართლიანი დაგვირგვინება ქართველი ხალხის დიდი მოლოდინისა, ასევე მან თქვა, რომ ეს ფაქტი ხელს შეუწყობს უცხოეთის ვაჭრების მჭიდრო ეკონომიკურ კავშირს საქართველოსთან. (1; №24)
- მთავრობის სხდომაზე მოწონებულ იქნა იუსტიციის მინისტრის მიერ ინიცირებული პროექტი პოლიტიკურ და სისხლის სამართლის დამნაშავეთა ამნისტიის შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულად აღიარების გამო. (1; №28)

- სამხედრო მინისტრმა უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ჯარების დათვალიერების დროს გამოჩენილი უწესობისა და ბოროტმოქმედებისათვის არმიიდან დაითხოვა და პასუხისგებაში მისცა 11 ოფიცერი, ჯარისკაცთა შეურაცყოფისათვის 2 ოფიცერი, დისციპლინარული სასჯელი დაუწესა დაპატიმრებით 12 ოფიცერს, საყვედური გამოუცხადა 5-ს, ერთი ჯარისკაცი კი დაისაჯა ბრძანების შეუსრულებლობის გამო. (1; №24)
- მომარაგების სამინისტრომ შეისყიდა ბათუმში 7 000 ფუთი კანადური პური, ამერიკული კომიტეტისაგან. (1; №24)
- თბილისში გაიმართა სტუდენტთა 1000 კაციანი დემონსტრაცია, რომელთაც დაგმეს დამფუძნებელ კრებაში შალვა ნუცუბიძის ფიზიკური შეურაცყოფა. სტუდენტები გამოთქვამდნენ იმედს, რომ დამფუძნებელი კრება შეძლებდა, იმ ლაქის მოწმენდას რომელიც მას უღირსმა დეპუტატმა მიაყენა.
- საქართველოს წარმომადგენელმა ანკარაში სვიმონ მდივანმა, რწმუნების სიგელი გადასცა საგარეო საქმეთა მინისტრს ბექირ-ბეის. (26; 83)

3 თებერვალი

- საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს კონსტანტინე საბახტარაშვილს ეწვივნენ საქართველოში მყოფი უცხოელი დიპლომატები და მიულოცეს საქართველოს დე-იურედ აღიარება. (1; №25)
- რუსეთის სფსრ-ს სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „გავიგე რა გაზეთებიდან შეთანხმება სახელმწიფოთა მთავრობების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობა, ვისწრაფვი ბატონო მინისტრო, გიძღვნათ თქვენ და თქვენს მთავრობას ჩემი მთავრობის და პირადათ ჩემი სახელით ფრიად გულწრფელი მოლოცვა ამ ამბის გამო. ერთად ერთი სახელმწიფო რომელმაც აღიარა ხალხთა თვითგამორკვევის უფლება, მით უფრო დიდი სიხარულით ეგებება ამ ცნობას, რადგან ეს ნიშნავს აღიარებას დიდი პროლეტარული რევოლუციის მეოთხე წელს მისი ერთ-ერთი საერთაშორისო ლოზუნგის გამარჯვებას და უარყოფას ანტანტის სახელმწიფოთა მიერ მთლიანი და განუყოფელი რუსეთის აღდგენის იდეისა“. (1; №25)
- საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ და სახალხო განათლების მინისტრმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ საქართველოს დეპეშათა სააგენტოს საქართველოს იურიდიულად აღიარებასთან დაკავშირებით განუცხადა: „საქართველოს რესპუბლიკა დღემდე მხოლოდ ფაქტი იყო, მისი ისტორიის ფურცლებიდან ამოშლა შესაძლებელი იყო ასეთივე ფაქტის სამუალებით, შეიძლება ასეთი ცდუნება ვინმეს კიდეც ჰქონდა. მაგრამ ახლა საქართველოს არსებობა არა მარტო ფაქტია, არამედ იგი უფლებაც არის. მართალია, დიდია ფაქტის სიძლიერე და უფლების სიმართლე, მაგრამ ამ ჟამად ჩვენთვის განუზომლად დიდია უფლების სიძლიერეც, ვინაიდან ჩვენი იურიდიული დამოუკიდებლობა არის უზარმაზარი რეალური ფაქტი და დიდი ძალან. მან ასევე ისაუბრა, რომ საქართველო ხდებოდა საერთაშორისო სამართლის სუ-

ბიექტი, რაც საგარეო ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირებს ბევრად გაუმჯობესებდა. (1; №25)

- სოციალ-ფედერალისტთა ფრაქციამ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს წარუდგინა წინადადება, ბენია ჩხიკვიშვილისათვის დეპუტატის სტატუსის ჩამორთმევის შესახებ. მათი თქმით ჩხიკვიშვილმა მისი საქციელით, დამფუძნებელი კრების ღირსებაც შელახა.
- სოციალ-ფედერალისტთა პრესის ორგანო „სახალხო საქმეში" დაიბეჭდა შალვა ნუცუბიძის მხარდამჭერი სტატიები და დეპეშები, სადაც ამასთან ერთად დაგმობილი იყო დეპუტატ ბენია ჩხიკვიშვილის საქციელი.

4 თებერვალი

- დამფუძნებელ კრებაში გაიმართა მსჯელობა სოციალ-ფედერალისტთა ფრაქციის წინადადებაზე ბენია ჩხიკვიშვილის დამფუძნებელი კრებიდან გაძევების შესახებ. სოციალ-დემოკრატმა დეპუტატმა გვარჯალაძემ განაცხადა, რომ ორ დეპუტატს შორის მომხდარი ინციდენტი არ შეიძლება გამხდარიყო კრების მსჯელობის საგანი. მან დაამატა, რომ ასეთი ამბები ბევრ ქვეყანაში ხდება და ამის გამო პარლამენტიდან არავინ გაუგდიათ, მისი თქმით დაზარალებულ მხარეს ჰქონდა სხვა საშუალებები, რომლითაც მას შეეძლო თავი დაეკმაყოფილებინა. თვით ბენია ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ მე ნუცუბიძეს გამომწვევი კილო ვერ ავიტანე და მას აფექტის მდგომარეობაში მყოფმა დავარტყიო. მან დაამატა, რომ მოხარული იქნებოდა თუ ამ საკითხს დამფუძნებელი კრება გაარჩევდა და მას მიეცემოდა საშუალება იმის თქმისა, თუ როგორ უმართებულოდ „მიუხდნენ". იმ შემთხვევაში თუ კრება ამ საკითხს არ გაარჩევდა, იგი თანახმა იყო გაყოლოდა ნუცუბიძეს საჯარო სამედიატორო სასამართლოში ან კიდევ ოფიციალურ სასამართლოში. საბოლოოდ კრებამ კენჭი უყარა სამ წინადადებას: 1. სოციალ-დემოკრატების წინადადებას – საკითხის სრულიად მოხსნის სესახებ; 2. სოციალ-ფედრალისტების წინადადებას – საკთხის დაუყოვნებლივ და არსებითად გარჩევის შესახებ; 3. ეროვნულ-დემოკრატების – სპეციალური კომისიის არჩევის შესახებ. საბოლოოთ ხმათა უმრავლესობით მიღებულ იქნა სოციალ-დემოკრატების წინადადება. პროტესტის ნიშნად ფედერალისტებმა დატოვეს კრება სამი სხდომით, ესერებმა და დაშნაკებმა კი თითო სხდომით.
- გარდაიცვალა საქართველოს სენატის თავმჯდომარე დავით ბესარიონის-ძე ხელთუფლიშვილი. (1; №28)
- ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მწერალი მელანია (ნიკოლოზ ვაჩნაძე).
- პრესის ცნობით სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მილიციის ყოფილი აგენტი 100 000 მანეთის ქრთამად აღებისათვის. (1; №26)
- ქართულმა პრესამ დაბეჭდა პარიზულ გაზეთ „ექსცელზიორში" გამოქვეყნებული ცნობა. „დიპლომატიური წყაროები გადმოგვცემენ, რომ ჩიჩერინი დაჟინებით მოითხოვს ერევანში და ბაქოში საქართველოს წინააღმდეგ დაწყებულ სამხედრო სამზადი-

სის შეჩერებას. იმავე დიპლომატიურ წრეებში შიშობენ, რომ საბჭოთა მთავრობის ბრძანებები უყურადღებოდ იქნება დატოვებული, ვინაიდან აზერბაიჯანის და სომხეთის კომუნისტებს ერთი მიზანი აქვთ – რაც შეიძლება სასწრაფოდ მოხვდნენ თბილისში და გაძარცვონ ის".

5 თებერვალი

- მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო მილოცვა სპარსეთის კონსულისაგან საქართველოს იურიდიულად აღიარების გამო. მან გამოთქვა იმედი, რომ, შექმნილი არასასურველი მდგომარეობის გადალახვის შემდგომ, რაც არის მიზეზი საქართველოსთან დამოკიდებულების შეწყვეტის, შეძლებს უფრო რადიკალურად გამოთქვას თავისი ურყევი სიმპათიები და მეგობრობა. (1; №27)
- მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო ესტონეთის კონსულის მილოცვის დეპეშა საქართველოს იურიდიულად აღიარების გამო. (1; №27)
- პრესის ცნობით დამფუძნებელი კრების წევრმა და თბილისის ქალაქის თავმა ბენია ჩხიკვიშვილმა, მიიღო დამატებითი შემოწირულობა სტუდენტთა სასარგებლოდ: ანკარის მთავრობის წარმომადგენელ ქიაზიმ ბეისაგან 15 000 მანეთი; სპარსეთის გენერალური კონსულის თაგა ხანისაგან 20 000 მანეთი და გერმანიის ელჩის ულრიხ რაუშერისაგან 10 000 მანეთი. (1; №27)
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ლაბორატორიას უსასყიდლოდ დაუთმო ქიმიის 13 ძვირფასი წიგნი, რისთვისაც სამინისტროს მადლობა გადაუხადა პროფესორმა პეტრე მელიქიშვილმა. (1; №27)
- ბათუმში გაიმართა 26 იანვარს გადადებული ქართველი სტუდენტის დღე. (1; №31)

6 თებერვალი

- საქართველოს იურიდიულად აღიარების გამო გაიმართა დიდი ზეიმი თბილისში. მთელი ქალაქი მორთული იყო ყვავილებითა და ეროვნული დროშებით. ჩატარდა სამხედრო აღლუმი, მოსახლეობაზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა იუნკერთა სასწავლებლისა და რეგულარული არმიის პირველი ბატალიონის ჯარისკაცებმა. აღლუმს მეთაურობდა მთავარსარდალი გენერალი ილია ოდიშელიძე. აღლუმის შემდეგ მოსახლეობას სიტყვით მიმართეს: ნოე ჟორდანიამ; გრიგოლ ლორთქიფანიძემ, ნოე რამიშვილმა; ვალიკო ჯუღელმა და სხვებმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ უცხოელი დიპლომატები. (1; №29)
- საზეიმო ღონისძიებები გაიმართა სამხრეთ-აღმოსახლეთის ფრონტზე სადახლოს სადგურის წინ მდებარე მინდორზე. სამხედროებს სიტყვით მიმართა ფრონტის სარდალმა იოსებ გედევანიშვილმა. უკრავდა მუსიკა, დარიგდა საჩუქრები, გაიმართა შეჯიბრება ბურთის თამაშში, სირბილში, ჭიდაობაში. ჯარი ნასიამოვნები დაიშალა სიმღერითა და ცეკვით ღამის 12 საათზე.
- სადღესასწაულო სპექტაკლები იქნა გამართული თბილისის თეატრებში. ოპერის თეატრში წარმოდგენას დაესწრნენ მთავრობის თავმჯდომარე, მინისტრები და უცხოე-

თის წარმომადგენლები. ხალხმა მთავრობას ოვაციები გაუმართა, ისმოდა შეძახილები – დაუმარჯოს დიდ ნოეს და მის მთავრობას! (1; №29)

- სადღესასწაულო ღონისძიებები ჩატარდა ბათუმში, სოხუმსა და ქუთაისში, ასევე საქართველოს სხვა ადგილებშიც.
- გაზეთ „სახალხო საქმეში" დაიბეჭდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან გამოგზავნილი პროტესტის დეპეშები ბენია ჩხიკვიშვილის საქციელის გამო.
- დაიწყო ახალწვეულთა გაწვევა არმიაში.

7 თებერვალი

- საგარეო საქმეთა სამინისტროში საღამოს 8 საათზე გამართულ იქნა ბანკეტი საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო, ბანკეტს დაესწრნენ მთავრობის თავმჯდომარე, მინისტრები, დამფუძნებელი კრების წევრები და უცხოელი დიპლომატები.
- რომის პაპის ლეგატმა ნატალე გაბრიელ მარიონდომ ინახულა ქართული წითელი ჯვრის თავშესაფარში მყოფი ობოლი ბავშვები ჯავახეთიდან. მან დალოცა ბავშვები და თავშესაფარს შესწირა 500 000 მანეთი.
- სისხლის სამართლის მილიციამ დაიკავა მიკირტიჩ ტერ-სააკიანი, აკოპ პეტროსიანცი და მიკირტიჩ მარტიროსიანცი რომლებიც გამოტყდნენ, რომ 5 თებერვალს მოქალაქე ელისაბედ ადლერს მოპარეს 1 მილიონი მანეთის ღირებულების ძვირფასეულობა. ეს ნივთები მათ მიყიდეს სედრაკ ტარტანოზევს, რომელიც გამოტყდა მოპარული ნივთების გაყიდვაში. მოპარული ნივთების ნაწილი აღმოჩნდა მის ბინაზე , ხოლო ნაწილი კი უკვე გაეყიდა.

8 თებერვალი

- საფრანგეთის მისიის შეურაცყოფისათვის სამხედრო მინისტრის განკარგულებით დაეპატიმრეს პოლკოვნიკი ჟურული, ექიმი ლომიძე და სანიტარი ლორთქიფანიძე. მიმდინარეობდა გამოძიება. (1; №29)
- ანკარაში მუსტაფა ქემალ-ფაშამ მიიღო საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი სვიმონ მდივანი. ქემალმა მდივანს განუცხადა, რომ მათ სჭირდებოდათ ძლიერი კავკასია და კავკასიაში კი ყველაზე მნიშვნელოვნად საქართველოს ძლიერებას და დამოუკიდებლობას მიიჩნევდა. (26; 91-93)
- საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო ართვინის მოსახლეობამ ცენტრალურ მთავრობას გამოუგზავნა მოსალოცი დეპეშა, მათი განცხადებით ადგილობრივი მოსახლეობა აღიარების ცნობამ ძალიან გაახარა. (1; №29)
- ივანე გომართელის მოხსენების შემდეგ დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საბოლოო ტექსტი დეკრეტისა 5000 და 10000 – იანი კუპიურის გამოცემის შესახებ.
- აიკრძალა ბათუმში სტამბოლიდან მოსული ისეთი პირების შემოშვება, ვისაც ქართული საკონსულოს ვიზა არ ქონდათ. (5; №28)

9 თებერვალი

- ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში გაიხსნა ქართული ენის შემსწავლელი საღამოს კურსები. (5; №29)
- ბათუმში გაიხსნა გურული სიმღერის სასწავლებელი ცნობილი მომღერლის ვარლამ სიმონიშვილის ხელმძღვანელობით. (5; №29)
- მწერალი მელანია წაასვენეს სოფელ მელაანში, გადასვენებამდე სიონის ტაძარში პატრიარქმა ლეონიდემ გარდაცვლილს გადაუხადა პანაშვიდი.

10 თებევალი

- განსაკუთრებული ბრძანებით ბათუმის ყველა კლუბი და თეატრი უნდა დაკეტილიყო 23 საათზე. (1; №31)
- განათლების სამინისტრომ მადლობა გამოუცხადა კინო-წარმოების თანამშრომლებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიულად აღიარების აღსანიშნავი დღის ზეიმის სათანადო გადაღებისა და იმავე საღამოს ეკრანზე ჩვენებისათვის.
- მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო ამერიკის დამხმარე კომიტეტის წარმომადგენელი კაპიტანი იაროუ და სომეხთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე. (1; №33)
- ქართული დრამის თეატრში დაიდგა ავქსენტი ცაგარელის კომედია „რაც გინახავს ვეღარ ნახავ", სანდრო ახმეტელის რეჟისორობით. (1; №33)

11 თებერვალი

- ლორეს ნეიტრალური ზონის საზღვრებზე მდგომ რუსეთის მეთერთმეტე არმიის შენაერთებს მიეცათ უკანასკნელი დირექტივები, რა მიმართულებებზე უნდა შეეტიათ ქართული სამხედრო შენაერთებისათვის და დახმარებოდნენ წინასწარ მომზადებულ აჯანყებულთა ადგილობრივ სამხედრო დაჯგუფებებს. (სცსა. ფონდი. 1969; აღწერა. 2. საქმე 287. ფურც. 39-40)
- 11 თებერვალს გამოიცა დამფუძნებელი კრების მიერ ამნისტიის დეკრეტი, საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო. (7; 453-457)
- თბილისის სისხლის სამართლის მილიციას შეუპყრია ყალბი ბონების მბეჭდავთა ჯგუფი, იმ დროს როდესაც საბეჭდ მანქანაზე ბეჭდავდნენ ყალბ კუპიურებს. (1; №32)
- ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო თათბირმა დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა განათლების მინისტრის წინაშე ბიბლიოთეკის მოსაწყობად სათანადო თანხის გადადების შესახებ. ბიბლიოთეკის მოწყობა მიენდო ეთნოგრაფიულ-არქეოლოგიური განყოფილების გამგეს პროფესორ გიორგი ჩუბინაშვილს. (1; №32)
- ეროვნული მუზეუმის სამშენებლო კომისიამ მიმართა განათლების სამინისტროს შუამდგომლობით, რათა მუზეუმის შენობის დასამთავრებლად გადაეცათ მათთვის 10 მილიონი მანეთი. (1; №32)

12 თებერვალი

- რუსეთის მეთერთმეტე არმიის რეგულარული სამხედრო შენაერთები და ბორჩალოს მაზრის მცხოვრებთა ნაწილი თავს დაესხა ნეიტრალურ ზონაში განლაგებულ ქარ-

თულ სამხედრო შენაერთებს და საკმაოდ დიდი ზარალი მიაყენა. მოწინააღმდეგემ მოულოდნელობის ეფექტისა და ქართული ნაწილების უხეირო განლაგების წყალობით შეძლო სტრატეგიული პუნქტების დაკავება.

- რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით 12 თებერვლიდან ქალაქ თბილისში, თბილისისა და ბორჩალოს მაზრაში, რკინიგზაზე და ტყიბულის მაღაროების ტერიტორიაზე ცხადდებოდა სამხედრო წესები. გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა ბენია ჩხიკვიშვილი. (1; №35)
- გენშტაბის ცნობით: „11-12 თებერვლის ღამეს სომხეთის მხრივ რეგულარული ჯარის ნაწილები თავს დაესხნენ ჩვენს მოწინავე სადარაჯოებს ბორჩალოს მაზრის სადგურ შაგალთან და სოფელ შინიხთან. ამასთანავე ბორჩალოს მაზრის მოსაზღვრე რუსი და სომეხი მოსახლეობა აჯანყდა და თავდამსხმელებს შეუერთდა. მცხოვრებთა ნაწილი ჩვენი ერთგული დარჩა და თავის დროზე შეგვატყობინეს მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ. ბეზობდალის გზით მომავალნი გავფანტეთ. ვორონცოვკის რაიონში აჯანყება ჩაქრობილია. შაგალის, უზუნლიარის და შინიხის რაიონებში ბრძოლაა“. (1; №34)
- სტუდენტებს სამშობლოს დაცვისაკენ მოუწოდა ივანე ჯავახიშვილმა: „შვილებო, ჩემი მოვალეობაა თქვენ წიგნისა და კალმისაკენ მოგიწოდოთ, მაგრამ ერის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, როცა საჭიროა ყველაფერი განზე გადასდო და იარაღით ხელში მტერს მიეგებო. და მე თქვენ დღეს იარაღისკენ მოგიწოდებთ“. (18; 107)

13 თებერვალი

- ქართული ნაწილები სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის სარდლის გენერალ იოსებ გედევანიშვილის სარდლობით შეეცადნენ კონტრშეტევაზე გადასულიყვნენ, თუმცა ეს ჩანაფიქრი არაორგანიზებულობის გამო მარცხით დასრულდა. (9; 5)
- გენშტაბის ცნობა: „13 თებერვალს ჩვენი ჯარები ვორონცოვკის სამხრეთით და სადახლოს სამხრეთით აწარმოებდნენ ბრძოლას. წამოყვანილი ტყვეები ამტკიცებენ, რომ ჩვენ წინააღმდეგ მოქმედებენ სომხეთ-რუსეთის საბჭოთა ჯარები“. (1; №35)
- საბჭოთა სომხეთში [illegible]ყო დაშნაკების აჯანყება ბოლშევიკების წინააღმდეგ.

14 თებერვალი

- რუსულ-სომხურმა ნაწილებმა შეტევა განაახლეს და ქართულ ნაწილებს მდინარე ხრამისაკენ დაახევინეს.
- მოსკოვში მიიღეს გადაწყვეტილება, მეთერთმეტე წითელი არმია ოფიციალურად ჩართულიყო ომში, ვითომდა აჯანყებულების დასახმარებად. რკპ(ბ)-ის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებაში, რომელიც ლენინის მიერ იყო დაწერილი და მეთერთმეტე არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს გაგეგზავნა, ვკითხულობთ: „ცეკა მზადაა ნება დართოს მე-11 არმიას აქტიურად დაეხმაროს აჯანყებას საქართველოში და დაიკავოს თბილისი საერთაშორისო ნორმების დაცვით...“ (23; 65-68)

- იმ რაიონებში სადაც სამხედრო წესები იყო გამოცხადებული აიკრძალა კრებებისა და მიტინგების ნებადაურთავი გამართვა. (1; №36)

15 თებერვალი

- მოსკოვში მიღებული გადაწყვეტილება მეთერთმეტე არმიის ომში ოფიციალურად ჩართვის შესახებ აცნობეს მეთერთნეტე არმიის სამხედრო რევოლუციურ საბჭოს. (23; 67-68)
- სტალინმა ორჯონიკიძეს გადასცა დეპეშით შემდეგი სიტყვები: „წინადადებას გაძლევ ეხლავე შეუტიო, დასტურია, აიღე ქალაქინ. ორჯონიკიძემ სტალინს 7 წუთის შემდეგ უპასუხა: „საჭირო იყო უფრო ადრე". (23; 68)

16 თებერვალი

- რუსეთის მეთერთმეტე არმია უკვე ოფიციალურად ჩაება საქართველოსთან ომში ამჯერად აზერბაიჯანის მხრიდან. მოწინააღდეგე უტევდა წითელი და ფოილოს ხიდის მიმართულებიდან. წითელ ხიდთან საბრძოლო მოქმედებები ქართველთა დიდი მარცხით დასრულდა, რამაც იქ მდგომი შენაერთების არევ-დარევა გამოიწვია. ფოილოს სარკინიგზო ხიდთან მოწინააღმდეგე შეჩერებულ იქნა, იქ მდგომმა სახალხო გვარდიელებმა ააფეთქეს ხიდი რითაც მოწინააღმდეგე შეჩერებულ იქნა. მთლიანობაში ქართულმა ნაწილებმა, რომელთაც აქცენტი სომხეთის მხრიდან შემოკრილ მოწინააღმდეგეზე ჰქონდათ გადატანილი, დიდი დარტყმა მიიღეს და გაჩნდა საფრთხე თბილისის დაცემისა. (9; 6-10)
- ნაწყვეტი მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას ხალხისადმი მოწოდებისა: „შეაჩერეთ ჩვეულებრივი და საზოგადოებრივი მუშაობა და მოჰკიდეთ ხელი მარტოდ მარტო თავის დაცვას. მეტი მეომარი, მეტი იარაღი, მეტი სურსათი, აი რას ითხოვს თქვენგან სამშობლო და ეს უნდა მოგვაწოდოთ ყოველდღე გამარჯვებამდე. ამ ბრძოლაში ჩვენ მარტო არ დავრჩებით. შევქმნათ ერთი მთლიანი თავგანწირული ძალა და ჩვენს ირგვლივ შემოიკრიბებიან მშველელნი. ქართველო ხელი ხმალს იკარ, მტერთა ისმიან ხმანია! საქართველო მოკვდება მაგრამ მტერს არ დანებდება!". (სცსა. ფონდი 1872. აღწერა1. საქმე.22. ფურც.22)
- მთავრობის თავმჯდომარემ ტელეგრამით მიმართა მოსკოვის მთავრობას, მაგრამ საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილემ კარახანმა, ტელეგრაფის მეორე მხარეს მყოფმა, ამ მიმართვას პასუხი არ გასცა. (17; 109-110)
- გენერალური შტაბის ცნობა შედარებით მსუბუქ ფერებში უხატავდა მოსახლეობას არსებულ მდგომარეობას: „წარსულ ღამით რესპუბლიკის წინააღდეგ გამოილაშქრა საბჭოთა ადერბეიჯანმაც. შემჩნეულ იქნა ყაზახის მაზრიდან საბჭოთა ჯარების შემოტევა ფოილოს მიმართულებით და წითელი ხიდის წინააღდეგ. ფოილოს მიმართულებით მტრის ყოველი ცდა მტკვარზე გადმოსასვლელათ ჩვენს მიერ უკუგდებულ იქნა. ჩვენ ავაფეთქეთ ფოილოს ხიდი. წითელი ხიდისა და სადახლოს მიმართულებით მყოფ ჩვენ ჯარებს ებრძანათ მდინარე ხრამისაკენ დახევა. ჯარების სულიერი განწყობა მხნე და მტკიცეა. უკან დახევა სრულის წესრიგით სწარმოებს".

- გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დააპატიმრეს აზერბაიჯანის და სომხეთის მისიები.
- შულავერში შექმნილმა საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა თხოვნით მიმართა ლენინს დახმარებოდა „აჯანყებულებს“. (23; 69)
- გენერალ ილია ოდიშელიძის ნაცვლად მთავარსარდლად დაინიშნა გენერალი გიორგი კვინიტაძე. ოდიშელიძე გახდა მთავრობის თავმჯდომარის პირადი სამხედრო მრჩეველი. (9; 10)

17 თებერვალი

- გენერალი კვინიტაძე შეუდგა თბილისის თავდაცვის სექტორების მოწყობას და ჯარის მომზადებას თბილისის დასაცავად. ფრონტზე გაიწვიეს იუნკერთა და ნაცვალთა სასწავლებლის კურსანტები, რომლებიც ტაბახმელას პოზიციებზე განლაგდნენ. მათთან ერთად მთელი დღე-ღამის განმავლობაში სხვადასხვა სამხედრო შენაერთები მიემართებოდნენ თავდაცვითი სექტორების გასამაგრებლად. მებრძოლებს მთელი თბილისი აცილებდა ბრძოლის ველზე. (9; 25-26; 11; 31-32)
- რესპუბლიკაში გამოცხადდა ნაწილობრივი მობილიზაცია. მთელ აღმოსავლეთ საქართველოში გამოცხადდა სამხედრო წესები.
- რუსული ნაწილები მოუახლოვდნენ თბილისს და დაიკავეს კოდა, ეკატერინენფელდი, იაღლუჯას სიმაღლეები და სხვა სტრატეგიული პუნქტები.
- გენერალური შტაბის ცნობა: „17 თებერვლის განმავლობაში ჩვენი მდგომარეობა ტფილისის დაცვის შესახებ, ძლიერ შეიცვალა ჩვენს სასარგებლოდ. მტრის შემოტევა შეჩერებულია. ლაგოდეხში და შირაქის ველზე ბრძოლა სწარმოებს“. (4; №38)
- ზაქათალის ოლქის მიმართულებიდან კახეთში შემოიჭრნენ რუსეთის მეთერთმეტე არმიის შენაერთები. ქართველებმა ბრძოლის პირველივე დღეს მოკლეს ზაქათალის ოლქიდან შემოჭრილი მეთვრამეტე ცხენოსანი დივიზიის სარდალი კურიშკო, მიუხედავად ამისა ქართული ნაწილები კახეთის ფრონტზე უკან იხევდნენ.
- ჟურნალ-გაზეთებში ყოველდღიურად იბეჭდებოდა პატრიოტული მოწოდებები.
- საქართველო რესპუბლიკა „დე იურედ ცნო ავსტრიამ. (29; 143)
- „კავბიუროს“ მითითებით ქალაქ სოჭში შეიქმნა აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტი ეფრემ ეშბას, ნესტორ ლაკობას და ნ. აქირთავას შემადგენლობით.

18 თებერვალი

- 18 თებერვლის საღამოს რუსულმა ნაწილებმა სოღანლუღის მიმართულებიდან დაიწყეს პირველი შტურმი თბილისზე, თუმცა ამ ფრონტის ამ მონაკვეთის სარდალი გიორგი მაზნიაშვილი თავისი მებრძოლებით მედგრად დახვდა მტერს. (9; 31)
- სამობილიზაცო ბიუროში დაიწყო მოხალისეების ჩაწერა.
- ფრონტზე გაეგზავნენ დამფუძნებელი კრების ფრაქციათა წარმომადგენლები.
- 18 თებერვალს ალაგირში განლაგდა რუსეთის თერგ-დაღესტანის ჯგუფის 98-ე მსროლელი ბრიგადა, რომელმაც დაიწყო მზადება მამისონის უღელტეხილის გავლით საქართველოში ლაშქრობისათვის. (12; 140)

- დაშნაკებმა აიღეს ერევანი და დაამხეს ბოლშევიკური მთავრობა, დააარსეს „სამშობლოს გადარჩენის კომიტეტი“ რომელსაც სათავეში ჩაუდგა ვრაციანი. დაშნაკები მაშინვე დაუკავშირდნენ საქართველოს მთავრობას.
- საქართველოს კომუნისტური პარტიის სოხუმის საოლქო კომიტეტის დადგენილებით შეიქმნა აფხაზეთის დროებითი არალეგალური რევოლუციური კომიტეტი. ი.-ქვანიას, მ.ცაგურიას და ი.სვედლოვის შემადგენლობით.
- საქართველოს რესპუბლიკა „დე იურედ“ ცნო რუმინეთმა. (29; 143)

19 თებერვალი

- სოღანლუღის ფრონტზე რომელსაც გიორგი მაზნიაშვილი სარდლობდა ბრძოლა მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა, რაც საბოლოოდ ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. მოწინააღმდეგემ მხოლოდ ტყვეების სახით 1000-დან 1600 კაცამდე დაკარგა.
- დიდი ბრძოლები გაიმართა კოჯორ-ტაბახმელას ფრონტზე. იუნკრებმა მოიგერიეს მტრის შემოტევა, მაგრამ რუსულმა ნაწილებმა კოჯორში მდგომი მეოთხე ათასეული დაამარცხეს და წავკისის მხრიდან გაჩნდა ტაბახმელაში მყოფი ნაწილების ალყაში მოქცევისა და მამადავითის მხრიდან რუსების თბილისში შეჭრის საშიშროება. სამხედრო სკოლის მეთაურმა პოლკოვნიკმა ალექსანდრე ჩხეიძემ, საკუთარი ნაწილები კონტრშეტევაზე გადაიყვანა და კოჯრიდან შემოჭრილი მოწინააღმდეგე შეჩერებულ იქნა. (11; 34-42)
- მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ორხევის ფრონტზე, რომელსაც ძირითადად გვარდიის ნაწილები იცავდნენ მცირე ბრძოლები მიმდინარეობდა. (9; 43)
- ყუმბარის ნამსხვრევმა შეიწირა 19 წლის სტუდენტი, მოწყალების და მარო მაყაშვილი. (4; №40)
- გენერალური შტაბის ცნობა: „მტერმა დიდი ძალებით იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე თბილისის კარებზე. გააფთრებული ბრძოლა მთელი ღამე გაგრძელდა. მტერი უკუგდებულ იქნა, მძიმედ დაზიანებული უწესრიგოდ მირბის, ჩვენ უკან მივდევართ. ჯერ-ჯერობით ხელთ ვიგდეთ ათასი ტყვე. (4; №39)
- თბილისში შემოიყვანეს ტყვეები. რუსთაველის გამზირზე, გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებული ხალხი ზიზღით უყურებდა ტყვეებს. ნოე რამიშვილმა მათ შეკითხვა დაუსვა: „რას გვერჩით? რისთვის მოდიხართო?“, ტყვეებმა კი უპასუხეს: „ჩვენ რა ვქნათ მობილიზაციით გამოგვრეკეს, მეტი გზა არ იყოოო..“. (4; №39)
- დამფუძნებელი კრების წევრები: ნოე ხომერიკი, გრიგოლ ურატაძე, გ. ცინცაძე და სამხედრო მინისტრი პ. ჭიჭინაძე ფრონტის დათვალიერებისას გადააწყდნენ ორ შეიარაღებულ წითელარმიელს, რომლებიც დატყვევებულ იქნენ.
- საბჭოთა რუსეთის მე-9 არმიის 31-ე მსროლელმა დივიზიამ ქართულ ნაწილებს შეუტია აფხაზეთის ფრონტზე და დაიკავეს სოფელი პილენკოვო. (35; 178)
- ჟურნალ „ერთობაში“ სხვა პოეტების ლექსებთან ერთად დაიბეჭდა პოეტ გიორგი ქუჩიშვილის ლექსი, რომელიც მოუწოდებდა მოსახლეობას ომში ჩართვისაკენ:

მოწოდება

შინ ნულარ სხედხართ ვაჟკაცნო, თოფი აიღეთ ხელშია:
მტერი მოგვადგა კარზედა სამშობლო განსაცდელშია!
წავიდეთ, ძმებო, წავიდეთ, ჩავებათ ცხარე ბრძოლაში;
ვაშა, ვინც ჩვენთან იქნება თოფ-ზარბაზნების სროლაში!
საშვილიშვილო ხსენება, ვინც მამულს შეეწირება,
ვინც ძირს არ დაყრის იარაღს, ვიდრე არ გაიგმირება!
ქვეყნის სირცხვილით იწვოდეს, ხალხს ვეღარ ეჩვენებოდეს,
ვინც არ წავიდეს ჯარშია და სახლში იმალებოდეს!
ჩვენ კი წავიდეთ, გმირებო, ჩავებათ მტერთან ბრძოლაში;
ვაშა, ვინც ჩვენთან იქნება თოფ-ზარბაზნების სროლაში! (4; №38)

20 თებერვალი

- კოჯრის დასაბრუნებლად მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ბრძოლები, რომელიც ქართველთა გამარჯვებით დასრულდა. ქართველებს ხელში ჩაუვარდათ 4 ზარბაზანი, ტყვიამფრქვევები, ერთი ჯავშნოსანი და 200-ზე მეტი ტყვე.
- გენერალური შტაბის ცნობა: „კოჯრის რაიონში ჩვენ ხელთ ვიგდეთ ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები. მტრის დევნა გრძელდება. გაგრის რაიონში, მდინარე მეხადირზე წარმოებს ბრძოლა“. (17; 103)
- მთავრობის თავმჯდომარე იმყოფებოდა ფრონტზე, მისმა გამოჩენამ აღაფრთოვანა ჯარისკაცები და გვარდიელები.

21 თებერვალი

- ბოლშევიკები ჯიუტად აგრძელებდნენ შეტევას კოჯორ-ტაბახმელაზე. დილის 10 საათზე ქართველებმა გაწმინდეს ეს ტერიტორიები რუსული ნაწილებისაგან. (9; 50)
- თბილისის თავდაცვის მარცხენა ფლანგზე გვარდიელებმა მოწინააღმდეგე უკუაგდეს და 10 კილომეტრით უკან დაახევინეს.
- თბილისის გამაგრებულ რაიონში გამოცხადდა 40 წლამდე ასაკის მამაკაცების საყოველთაო მობილიზაცია. (გამონაკლისს შეადგენდნენ რუსი ეროვნების მოქალაქეები).
- მიღებულ იქნა საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია. კონსტიტუცია შედგებოდა 17 თავისა და 149 მუხლისაგან. პოლიტიკური წყობის ფორმად აღიარებულ იქნა დემოკრატიული რესპუბლიკა. კონსტიტუციამდე მიღებული ყველა კანონი და დეკრეტი ძალაში დარჩებოდა თუ არ ეწინააღდეგებოდა კონსტიტუციას. საკანონმდებლო ხელისუფლება ეძლეოდა პარლამენტს, რომელიც უნდა აერჩიათ სამი წლის ვადით. პარლამენტი ირჩევდა მთავრობის თავმჯდომარეს ერთი წლის ვადით, რომელიც აკომპლექტებდა მინისტრთა კაბინეტს. ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულიყო ზედიზედ ორჯერ. უმაღლეს სასამართლო ხელისუფლების ორგანოდ

ცხადდებოდა სენატი, რომელსაც ირჩევდა პარლამენტი. კონსტიტუციით საფუძვლიანად იყო დაცული ქალთა, რელიგიურ და ეროვნულ უმცირესობათა უფლებები. გაუქმდა სიკვდილით დასჯა. ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობის უფლება მიენიჭათ აფზახეთს, ბათუმის ოლქს და ზაქათალის ოლქს. კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივის უფლება ჰქონდა არა ნაკლებ პარლამენტის ნახევარს ან კიდევ 50 000 ამომრჩეველს. კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა მოხდებოდა დეპუტატების 2/3-ის უმრავლესობით. მსოლოდ არსებული მართვა-გამგეობის ფორმა არ შეიძლება გამხდარიყო კონსტიტუციის გადასინჯვის საგანი. (7; 458-484)

- დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დადგენილება, რომ შულავერში შექმნილი ჯგუფის წევრები, რომლებიც საკუთარ თავს უწოდებენ საქართველოს მთავრობას: „ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, შალვა ელიავა, მიხეილ ოკუჯავა, ლადო დუმბაძე, ომარ ფაიკი, ამაიაკ ნაზარეტიანი, ალექსანდრე გეგეჭკორი და ბესო კვირკველია აღიარებულ იქნენ საქართველოს ხალხის მოღალატეებად, ჩამოერთვათ მათ მთელი ქონება და გამოცხადდნენ საქართველოს კანონთა მფლობელობის გარეშე.“
- დამფუძნებელი კრების სხდომაზე ნოე ჟორდანიამ თბილისს უწოდა „მეორე ვერდენი“. თბილისთან მოპოვებული გამარჯვებებით იგი აღფრთოვანებას ვერ მალავდა, ისევე როგორც დამფუძნებელი კრების წევრები.
- ჟორდანიამ მიმართა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარს და სთხოვა მას, განემარტა გაჩაღებული ომის მიზეზები, ეს დეპეშა უპასუხოდ დარჩა, რის შემდეგაც ჟორდანიამ მოუწოდა ლენინსა და ტროცკის ამ აშკარა იმპერიალისტური და თავდასხმითი ომის შეწყვეტისაკენ. (17; 110)
- ჟურნალ-გაზეთები გაივსო ქართული არმიის ბრწყინვალე გამარჯვების ცნობებით.
- ორმა მილიციელმა ალექსანდრე ეპიტაშვილმა და ნიკოლოზ ნიკოლეიშვილმა, გააჩერეს მოქალაქე იუდა დათიკაშვილი და სიკვდილის მუქარით მოსთხოვეს მას 200 000 მანეთი.

22 თებერვალი

- თბილისთან ფრონტზე შედარებით სიწყნარე ჩამოწვა და მხოლოდ მცირე შეტაკებები ხდებოდა.
- ქართულმა შენაერთებმა, მოწინააღმდეგის მარჯვენა ფლანგზე დაიკავეს კუმისი და წალასყური. ხელთ ჩაიგდეს 8 ტყვიამფრქვევი, 3 ოფიცერი, 53 წითელარმიელი. (9; 50)
- სამხედრო ტაძრის ეზოში გათხრილ საძმო სასაფლაოში დაკრძალეს 23 დაღუპული. მათ შორის მარო მაყაშვილი, იუნკრები და მოხალისეები.
- ჟურნალ-გაზეთების ცნობით მოსახლეობაში პატრიოტული განწყობა და მაღალი საბრძოლო სულისკვეთება იყო.
- ანკარის მთავრობამ საქართველოს გაუმეორა წინა დღით წაყენებული ულტიმატუმი ართვინსა და არდაგანში თურქული ჯარის შესვლისა და ამ ქალაქების თურქეთზე გადაცემის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მეორე დღეს შევიდოდნენ ამ ქალაქებში. (26; 148-149)

- ფრანგული საზღვაო ესკადრა. კრეისერ ვალდეკ რუსოს ფლაგმანობით ინტენსიურად ბომბავდა პილენკოვოსთან მდგარ რუსეთის 91-ე ბრიგადის შტაბს და 237-ე პოლკს. (35; 179)

23თებერვალი

- საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კონსტანტინე საბახტარაშვილმა აჯანყებულ სომხებს შემდეგი დეპეშა მისწერა: „ჩვენი წარმატებები გრძელდება. მოწინააღმდეგე უკუგდებულია ყველგან დიდი ზარალით. მდგომარეობა მტკიცეა. განწყობილება ერთსულოვანია. იშვიათი ენთუზიაზმია და სულიერი აღმავლობან.
- რუსებმა შეაკეთეს ფოილოს სარკინიგზო ხიდი და თბილისისაკენ გადმოისროლეს დამატებითი ძალები, მათ შორის ტანკები და ჯავშანმატარებლები. (36; 20-21)
- მეთორმეტე ცხენოსანი დივიზია რუსებმა გადაისროლეს მტკვრის მარცხენა სანაპიროსაკენ, რათა იქიდან შეეტიათ თბილისის თავდაცვის ორხევის სექტორისათვის. ამავე სექტორს შეუერთდა ზაქათალის ოლქიდან კახეთის გავლით შემოსული მეთვრამეტე ცხენოსანი დივიზია. რუსები მთელი დღის განმავლობაში აჯგუფებდნენ ჯარებს რათა გადამწყვეტი შეტევა განეხორციელებინათ თბილისზე.
- თურქები შევიდნენ ართვინსა და არდაგანში, ქართულ მხარეს წინააღმდეგობა არ გაუწევია, ორ ფრონტზე ბრძოლის შეუძლებლობის გამო და შემოიფარგლა პროტესტით. საქართველოს მთავრობა ფიქრობდა ტერიტორიული დავის შეთანხმებით ან არბიტრაჟით განხილვას მომავალში. (26; 147; 285)
- რუსული მეცხრე არმიის შენაერთებმა აფხაზეთის ფრონტზე დაიკავეს გაგრა. (35; 183)
- ამავე დღეს რუსულმა ნაწილებმა შეძლეს ბზიფის პოზიციებზე ქართველების დამარცხება და მდინარის ფორსირება.
- საქართველოს რესპუბლიკა „დე იურედ“ ცნო ლუქსემბურგმა. (29; 143)

24 თებერვალი

- დილიდან რუსებმა შეტევები დაიწყეს თბილისის ასაღებად. მტერმა ბრძოლაში ჩართო ტანკები, ჯავშანმანქანები და ჯავშანმატარებლები, არტილერია, ქვეითი და ცხენოსანი ნაწილები.
- მოწინააღმდეგეს იერიში მოჰქონდა მთელ ფრონტზე, თუმცა განსაკუთრებული მნიშვნელობა მოწინააღმდეგემ მიანიჭა თბილისის თავდაცვის მარცხენა სექტორს. ამ სექტორის გარღვევას რუსები ეცადნენ როგორც პირდაპირი დარტყმით ასევე, პატარა ლილოს მხრიდან ცხენოსანი ნაწილების შემოვლითი მანევრით. პირდაპირი დარტყმა მოგერიებული იქნა, მათ შორის სატანკო ნაწილების შემოტევა. შემოვლითი მანევრის შედეგად მოწინააღმდეგის ცხენოსნების ერთმა ნაწილმა მიაღწია ავჭალის სადგურს, მაგრამ ქართული ჯავშანმატარებლის ცეცხლმა ცხენოსნები უკან განდევნა. მიუხედავად ამისა გენერალმა კვინიტაძემ ამაში დიდი საფრთხე დაინახა, რადგანაც მისი აზრით მეორე დღეს შემოვლითი მანევრით უკვე მთელი ცხენოსანი დივიზია გავიდოდა ქართული არმიის ზურგში და ალყაში მოაქცევდა ქართულ არმიას.

- გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა კოჯორ-ტაბახმელას სტრატეგიული სიმაღლეებისათვის მთელი დღის განმავლობაში, სადაც შეტევას-კონტრშეტევა ცვლიდა. ამ ბრძოლებში სხვებთან ერთად განსაკუთრებით თავი ისახელეს იუნკრებმა. დღის ბოლოს რუსული მონაცემების მიხედვით ერთი სტრატეგიული სიმაღლე მათ ხელში იყო, თუმცა იქ ისინი მყარად ვერ გრძნობდნენ თავს და კონტრშეტევის მოლოდინში იყვნენ. რუსები ასევე შეეცადნენ წყნეთის და დიღომის გზით შემოჭრილიყვნენ თბილისში, მაგრამ ეს ვერ შეძლეს.
- დღის ბოლოსათვის გენერალმა კვინიტაძემ მიიღო გადაწყვეტილება თბილისის დატოვების შესახებ. მთავარსარდალმა ეს გადაწყვეტილება მიიღო ალყაში მოქცევის საფრთხის შედეგად, რაც მისი აზრით გარდაუვალი იყო, რადგანაც მას არ ჰყავდა რეზერვები ფრონტზე არსებული სიცარიელეების შესავსებად. მან საჭიროდ მიიჩნია ჯარის ნაწილების გადარჩენა, მცხეთის ხაზზე გამაგრება და მოწინააღმდეგის იქ დამარცხება, შემდეგ კი თბილისის დაბრუნება.
- კვინიტაძის გადაწყვეტილება გააპროტესტა გენერალმა ოდიშელიძემ, რომლის აზრითაც თბილისის დატოვება გამოიწვევდა ჯარის მორალური სულისკვეთების დაცემას და უეჭველ დამარცხებას.
- დაიწყო თბილისის ევაკუაცია, მთავრობა და შეიარაღებული ძალები ტოვებდნენ დედაქალაქს.
- თერგ-დაღესტანის 98-ე მსროლელი ბრიგადა დაიძრა ალაგირიდან მამისონის უღელტეხილის გადასალახად. (12; 144)

25 თებერვალი

- თბილისში შემოვიდნენ საბჭოთა რუსეთის მეთერთმეტე წითელი არმიის ნაწილები. სერგო ორჯონიკიძემ მოსკოვს ახარა: „თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“
- ქართულმა ნაწილებმა დაიხიეს მცხეთისაკენ, თუმცა მათი იქ მოწესრიგება და განლაგება შეუძლებელი აღმოჩნდა.
- 25 თებერვალს რუსული 98-ე ბრიგადის მოწინავე შენაერთებმა გადმოლახეს მამისონის უღელტეხილი. (12; 145-146)

26 თებერვალი

- დილის 8 საათიდან ქართულმა ძალებმა ორ კოლონად დაიწყეს უკანდახევა გორისაკენ . ჯარისკაცთა და გვარდიელთა ნაწილი ჯგუფ-ჯგუფად ტოვებდნენ თავიანთ შენაერთებს და მიდიოდნენ სახლებში.
- საქართველოს რევკომმა გამოსცა დეკრეტი მთელი სახელმწიფო ხელისუფლების ხელში აღების შესახებ.
- რევკომმა გამოსცა დეკრეტი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიისა და გვარდიის დაშლის შესახებ.

- რუსებმა შექმნეს ბათუმის მიმართულების ჯგუფი 3 მსროლელი და 4 ცხენოსანი ბრიგადის შემადგენლობით, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მეცხრე მსროლელი დივიზიის მეთაური კუიბიშევი. ჯგუფს დაევალა ქართული ჯარის დევნა მცხეთა-გორი-სურამის მიმართულებით და სურამის უღელტეხილის დაკავება. (25; 245)
- სვიმონ მდივანი შეხვდა მუსტაფა ქემალ-ფაშას და პროტესტი გამოუცხადა თურქეთის ქმედების გამო. მან ქემალს განუცხადა, რომ თუ ართვინს ახლავე არ დაგვიბრუნებთ, ეს მაინც მოხდებაო, რადგანაც ეს ქალაქი უგზოობის გამო მოწყვეტილია თურქეთს და საქართველოდან არაფერს არ შევიტანთ და ცოტა ხნის შემდეგ თვითონ მოისურვებენ ჩვენთან დაბრუნებასო. (26; 104)

27 თებერვალი

- რუსები შევიდნენ გუდაუთაში. ფრანგულმა საზღვაო ესკადრამ ცეცხლი გაუხსნა გუდაუთაში მყოფ რუსულ ძალებს, მაგრამ 274-ე პოლკის ბატარეის კონტრსაარტილერიო დარტყმამ აიძულა მათ უკან დაეხიათ.

28 თებერვალი

- ფრანგული ფლოტის დახმარებით ქართულმა ნაწილებმა გაათავისუფლეს გაგრა რუსული ნაწილებისაგან.
- გაიმართა დამფუძნებელი კრების სხდომა ქუთაისში. დეპუტატები იმედიანად იყვნენ განწყობილნი. დეპუტატმა და მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძემ განაცხადა: „ლიხის მთაგრეხილის ბუნებრივ ზღუდეს დაემატება ჩვენი მხედრობის ცოცხალი გალავანი. აქ მიეცემა მტერს უკანასკნელი მოგერიებითი ბრძოლა, აქედან დაიწყება ჩვენი მხედრობის წინსვლა.“ (20; 18)
- რევკომმა საქართველოს მთავრობას მიმართა, რომ შეწყვეტილიყო საბრძოლო მოქმედებები.
- ოსურმა პარტიზანულმა შენაერთმა გაგლოევის მეთაურობით გადალახა თრუსოს უღელტეხილი და გაემართა კობისაკენ (3149 მეტრი ზღვის დონიდან), ამით ისინი მოექცნენ დარიალში მდგომი ქართული შენაერთის ზურგში.

1 მარტი

- გენერალ კვინიტაძის ბრძანებით ქართული ნაწილები განლაგდნენ ხაშურის აღმოსავლეთით. სამ ჯავშანმატარებელს უნდა ემოძრავა ხაშურიდან ქარელის ხიდამდე, და თუ შესაძლებლობა იქნებოდა მის გადაღმაც. გენერალ თაყაიშვილს ებრძანა გაეგრძელებინა პოზიციების გამაგრება სურამის უღელტეხილზე. მთავარსარდლის ბრძანება შემდეგი სიტყვებით სრულდებოდა: „სამშობლოს გადარჩენისათვის მოვითხოვ ყველა უფროსებისაგან ძალების სრულ დაჭიმვას და უსაზღვრო სამსახურს, რათა რაც კი არ დაგვიჯდეს მოპირდაპირის დამარცხებას მივაღწიოთნ. (25; 248-249)
- რუსული დაზვერვის ინფორმაციით მეთერთმეტე არმიის წინ მდგომი ქართული ნაწილები ითვლიდნენ 5000 ქვეითსა და 300 კავალერისტს. (25; 242)
- რუსულმა ნაწილებმა კიდევ ერთხელ აიღეს გაგრა აფხაზეთის ფრონტზე.

2 მარტი

- მამისონის უღელტეხილიდან გადმოსულმა რუსულმა რეგულარულმა და ოსურმა პარტიზანულმა შენაერთებმა დიდი ბრძოლების შემდეგ დღის 3 საათზე დაიკავეს ონი. (25; 244)
- ქართულმა ნაწილებმა შეკრეს რაჭიდან ქუთაისისაკენ მიმავალი სამივე გზა: ონი-ქვა-გატეხილა-შქმერი-საჩხერე-ქუთაისი; ონი-ამბროლაური-ტყიბული-ქუთაისი; ონი-ამ-ბროლაური-რიონის ხეობა-ქუთაისი. (25; 244)
- დიდი ბრძოლები გაიმართა აფხაზეთის ფრონტზე, ახალი ათონის პოზიციებზე. ქარ-თველებმა შეძლეს პოზიციების შენარჩუნება.
- რუსული შენაერთები დაეუფლნენ ქართული არმიის მიერ რელსებზე მიტოვებულ ჯავშანმატარებელ „რესპუბლიკელს“ და მას „საბჭოთა საქართველო უწოდეს“.

3 მარტი

- 3 მარტს გენერალმა კვინიტაძემ ხაშურის აღმოსავლეთით მდგომი ქართული ნაწილე-ბი გადააჯგუფა და გასცა ბრძანება მეორე დილის 7 საათზე შეტევაზე გადასვლისა. (25: 250)
- აფხაზეთის ფრონტზე, ახალი ათონის პოზიციებზე რუსებმა შეტევა დაიწყეს 9:30 წუთზე, შეტევები და კონტრშეტევები ერთმანეთს ცვლიდა, ქართულ ნაწილებს დახ-მარებას უწევდა ფრანგული საზღაო ესკადრის საარტილერიო ცეცხლი. თუმცა 16 სა-ათზე რუსებმა შეძლეს ახალი ათონის პოზიციების გარღვევა. (35; 190-191)
- ბათუმის მიმართულების ჯგუფს რუსებმა დაუმატეს 32-ე დივიზიის 96-ე მსროლელი ბრიგადა, ასევე მეცხრე დივიზიის ცხენოსანი პოლკი. ამ შენაერთს სათავეში ჩაუყენეს, რუსეთის სამოქალაქო ომის ერთ-ერთი ყველაზე ქარიზმატული და ცნობილი კავა-ლერისტი დიმიტრი ჟლობა. ჟლობას ჯგუფს დაევალა, ხაშურთან ქართველების და-მარცხების შემდეგ ბორჯომ-ახალციხე-გოდერძის უღელტეხილის გავლით დაეკავე-ბინა ბათუმი. (25: 245)

4 მარტი

- გაიმართა დიდი ბრძოლა ხაშურის აღმოსავლეთით (ოსიაურის ბრძოლა). მთავარ-სარდალი კვინიტაძე ფიქრობდა, რომ გადავიდოდა შეტევაზე, მეთერთმეტე არმიის ავანგარდს ალყაში მოაქცევდა და გაანადგურებდა, რაც გააიოლებდა მტრის საბო-ლოო დამარცხებას. შეტევა წარმატებით დაიწყო, მაგრამ გვარდიელებმა ვერ მოასწრეს მოწინააღმდეგის მარჯვენა ფრთის გარსშემოვლა, თუმცა კვინიტაძე ვარაუდობდა, რომ მეორე დილით მოწინააღდეგე უკვე ალყაში აღმოჩნდებოდა. (25; 252-253)
- რუსულმა სამხედრო შენაერთებმა დაიკავეს სოხუმი. (35; 191)
- აფხაზეთის არალეგალურმა რევკომმა ი.ჟვანიას მეთაურობით გაათავისუფლა ბოლ-შევიკი პატიმრები ციხიდან, დაიკავა სამთავრობო დაწესებულებები. გამოიცა ბრძანე-ბა №1, რის საფუძველზე გამოცხადდა საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა.
- ბოლშევიკებმა თბილისში ერთად დაკრძალეს წითელარმიელები და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის დაღუპული ჯარისკაცები.

5 მარტი

- შუაღამისას გვარდიის შენაერთებმა ხაშურის აღმოსავლეთით თვითნებურად მიატოვეს საკუთარი პოზიციები და უკან დაიხიეს, რამაც გამოიწვია იმის საფრთხე, რომ ქართული შენაერთები თვითონ მოქცეულიყვნენ ალყაში, ამიტომ კვინიტაძემ უკან-დახევის ბრძანება გასცა. (25; 254)
- ქართული ნაწილები განლაგდნენ ლიხის ქედის აღმოსავლეთით. (25; 254)
- ოსმა პარტიზანებმა დაიკავეს ქალაქი ცხინვალი. (25; 255)
- მამისონის უღელტეხილიდან გადმოსული რუსული ნაწილები შევიდნენ ცაგერში. (12; 198)

6 მარტი

- 6 მარტის ღამეს რუსულმა შენაერთებმა შეძლეს უღელტეხილზე მდგარი გვარდიის ნაწილების დამარცხება და უღელტეხილის დაკავება. (25; 255)
- რუსული ნაწილები შეეცადნენ სადგურ წიფის აღება, მაგრამ ქართულმა ნაწილებმა გაბატონებული სიმაღლეებიდან ცეცხლი გახსნეს და მოწინააღდეგეს უკან დაახევინეს. (25; 255)
- დღის ბოლოს ქართულმა სარდლობამ ქუთაისისაკენ უკან დახევა გადაწყვიტა, რადგანაც უღელტეხილი უკვე მოწინააღმდეგის ხელში იყო. (25; 255)

7 მარტი

- რუსულმა ნაწილებმა დაიკავეს ბორჯომი.
- აფხაზეთის ფრონტზე რუსულმა ნაწილებმა დაიკავეს ოჩამჩირე. (35; 194)

8 მარტი

- არჩეულ იქნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის პრეზიდიუმი, ფილიპე მახარაძის თავმჯდომარეობით.
- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას რადიოს საშუალებით მიმართა საქართველოს რევკომმა, შეახსენა მათი მძიმე მდგომარეობა და მოუწოდა ომის შეწყვეტისა და იარაღის ჩაბარებისაკენ. (12; 198)
- რუსები შევიდნენ ქალაქ ახალციხეში. მათ ტყვედ ჩაუვარდათ 212 ჯარისკაცი, 1 ოფიცერი და 4 ზარბაზანი. (6; №12)
- რუსულმა ნაწილებმა დაიკავეს მანგლისი.

9 მარტი

- აფხაზეთის ფრონტზე რუსულმა ნაწილებმა გადალახეს მდინარე ენგური და დაიკავეს ზუგდიდი. (35; 197)

- მამისონიდან გადმოსული რუსული შენაერთების ერთი პოლკი აწარმოებდა ბრძოლებს წყალტუბოსა და ფარცხანაყანევის მიმართულებით და საღამოსათვის მიუახლოვდნენ სამტრედიას 10-15 კილომეტრით, ჩნდებოდა სერიოზული საფრთხე ქუთაისში მყოფი მთავრობისა და ჯარის ნაწილის ალყაში ჩავარდნისა. (12; 199)
- საქართველოს რესპუბლიკა „დე იურედ" ცნო ჰაიტიმ. (29; 143)

10 მარტი

- მცირე შეტაკებების შემდეგ რუსული ნაწილები შევიდნენ ქუთაისში – საღამოს 5 საათზე. ქართულ ნაწილებს ქუთაისისათვის სერიოზული ბრძოლა არ გაუმართავთ, რადგანაც სამტრედიისაკენ გაჭრილი რუსების ერთი პოლკის მოქმედების შემდეგ იქმნებოდა ალყაში მოქცევის საშიშროება. (12; 199-202)
- რუსულ ნაწილებს ქუთაისთან გამართულ მცირე შეტაკებებში დაეღუპათ 25 წითელარმიელი. (12; 204)
- ბოლშევიკებმა შექმნეს ქუთაისის რევკომი.

11 მარტი

- ქართულმა ჯავშანმატარებელმა ალფეს გოგუაძის მეთაურობით შეუტია ქუთაისის სადგურს და გამოიხსნა იქ დატოვებული ქონების ნაწილი. მოწინააღმდეგის ერთნახევარი ასეული კი, რომელიც სადგურს იცავდა, თითქმის მთლიანად განადგურებულ იქნა. (28; 101)
- დილის 11 საათზე მაიორ თალაათ ბეის მეთაურობით ბათუმში შევიდა თურქული ბატალიონი თითქოსდა ქართველთა დასახმარებლად. (19; 48)
- ახალციხიდან დაიძრა ჟლობას შენაერთი გოდერძის ურელტეხილის გავლით, ბათუმზე სალაშქროდ.
- რუსული ნაწილები შევიდნენ ზესტაფონსა და სოფელ სვირში. (12; 203)
- რუსულმა ნაწილებმა დაიკავეს სენაკი. (12; 203)

12 მარტი

- ქართულმა ნაწილებმა დაიხიეს რიონის მარცხენა სანაპიროსაკენ და გამაგრდნენ საჯავახოს ხაზზე.
- გრიგოლ ლორთქიფანიძემ რევკომს „რადიო მიმართვა" გაუგზავნა და საომარი მოქმედებების დროებით შეჩერება და მოლაპარაკებების დაწყება ითხოვა.

13 მარტი

- რუსებმა დაიკავეს სამტრედია. სამტრედიის სადგურზე მტერს ხელში ჩაუვარდა 21 ორთქმავალი და 20 ვაგონი. (6; №14)
- აფხაზეთიდან მომავალი რუსული ნაწილები საღამოს 8 საათზე შევიდნენ ფოთში.

- გრძელდებოდა თურქული ნაწილების შემოსვლა ბათუმში, ერთმა ბატალიონმა და საარტილერიო ბატარეამ დაიკავეს ბათუმის შემოგარენის სიმაგრეები, ხოლო ერთი ასეული გაგზავნილ იქნა ქობულეთში. ორი ბატალიონი და ერთი ასეული კი განლაგდა აჭარის ხიდთან. (19; 49-50)

14 მარტი

- დიმიტრი ჟლობას შენაერთების პირველმა კოლონამ გადალახა გოდერძის უღელტეხილი, რათა გაჭრილიყო ბათუმისაკენ ქართული არმიის ზურგში.
- ქართულ ნაწილებს, რომელიც განალაგებული იყო საჯავახოს ხაზზე, უერთდებოდნენ ადგილობრივი მოხალისეები.

15 მარტი

- ბათუმში შემოვიდა დამატებით 500 თურქი ჯარისკაცი. (21; 100)

16 მარტი

- 16 მარტისათვის ბათუმის ოლქში მყოფი თურქული ძალები 3 500 კაცს შეადგენდა, ბათუმში გაჩნდა ხმები, რომ ისინი აპირებდნენ ქართული ჯარის განიარაღებას. თურქული პატრულები ქალაქში ძალზე გააქტიურდნენ. (21; 100)
- ქართულმა ნაწილებმა მოსალოდნელი შეტაკების წინ ბათუმის რამდენიმე მნიშვნელოვანი ფორტი დაიკავეს. (21; 100-101)
- მოსკოვში, საქართველოს გარეშე, დაიდო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის, რომლის მიხედვითაც ბათუმის ოლქი საქართველოს მიეკუთვნა, ხოლო ართვინი და არტაანი კი თურქეთს.

17 მარტი

- ბათუმში შემოსული თურქული ჯარებზე დაყრდნობით, ქიაზიმ ბეიმ ბათუმი, ახალციხის და ახალქალაქის ოლქები, ოსმალეთთან მიერთებულად, ხოლო თავი ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად გამოაცხადა. (21; 102)
- ქიაზიმ-ბეიმ ქართულ მხარეს წინადადება მისცა 24 საათის განმავლობაში დაეტოვებინათ ოლქის ფარგლები და დაეყარათ იარაღი. (21; 102)
- ოსმალებმა დაიკავეს ფოსტა, ტელეგრაფი, ქალაქის მილიციის სამმართველო და სხვა დაწესებულებები. ქალაქში დააყენეს პოსტები. დაიწყო შეტაკებები ქართულ ჯარსა და თურქულ ნაწილებს შორის. (18; 41)
- ქუთაისში დაიწყო მოლაპარაკებები ბოლშევიკებთან ომის შეწყვეტისა და ბათუმში შემოსული თურქების ერთობლივი ძალებით განდევნის შესახებ, ამისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა წყვეტდა საბრძოლო მოქმედებებს ბოლშევიკების წინააღდეგ და უგზავნიდა ვაგონებს რუსულ ნაწილებს რათა ბათუმიდან ერთობლივად განედევნათ თურქები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობი-

სით, უმჯობესი იყო ბათუმი ბოლშევიკებს დარჩენოდათ, დანარჩენ საქართველოსთან ერთად, ვიდრე ის გადასულიყო თურქების ხელში.

- ბათუმში ციხიდან გამოუშვეს ბოლშევიკები, რომელთაც სერგო ქავთარაძის მეთაურობით შექმნეს ადგილობრივი რევკომი.
- დამფუძნებელი კრებამ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით დაავალა, საზღვარგარეთ გაეგრძელებინა ფუნქციონირება.

18 მარტი

- ღამით საქართველოს მთავრობამ, დამფუძნებელი კრების წევრების ნაწილმა, სარდლობამ და იუნკრებმა იტალიური გემებით დატოვეს საქართველო.
- ქუთაისში დასრულდა სამმხრივი მოლაპარაკებები საბჭოთა რუსეთის, საქართველოს რევოლუციური კომიტეტისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებს შორის. მოლაპარაკებაზე არ იქნა დაკმაყოფილებული ბოლშევიკების მოთხოვნა, რომ საქართველოს გამოეცხადებინა კაპიტულაცია. შეთანხმება მოხდა, მხოლოდ საბრძოლო მოქმედებების შეჩერებაზე და ბათუმიდან თურქთა ერთობლივ განდევნაზე, რაც განხორციელდა კიდეც. (10; 326-327)

1918-1921 წლების კალენდარი

1918 წ.

მაისი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30	31		

ივნისი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
				1	2	
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30

ივლისი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

აგვისტო

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30	31	

სექტემბერი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30						

ოქტომბერი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30	31			

ნოემბერი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
			1	2	3	
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	

დეკემბერი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

1919 წ.

იანვარი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30	31		

თებერვალი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28		

მარტი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
31						

აპრილი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30				

მაისი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30	31	

ივნისი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30						

ივლისი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30	31			

აგვისტო

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
				1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	31

სექტემბერი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30					

ოქტომბერი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30	31		

ნოემბერი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30

დეკემბერი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

1920 წ.

იანვარი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30	31	

თებერვალი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29

მარტი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

აპრილი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30		

მაისი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
31						

ივნისი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30				

ივლისი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30	31	

აგვისტო

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

სექტემბერი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30			

ოქტომბერი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
				1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	31

ნოემბერი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30					

დეკემბერი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30	31		

1921 წ.

იანვარი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
31						

თებერვალი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28						

მარტი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30	31			

მითითებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.
2. გაზეთი „საქართველო“.
3. გაზეთი „სახალხო საქმე“.
4. გაზეთი „ერთობა“.
5. გაზეთი „ბათუმის ცხოვრება“.
6. გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“.
7. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლივი აქტების კრებული 1918-1921. სპეცრედაქტორი ვ. შარაშენიძე“. თბ., 1990.
8. ავალიშვილი ზურაბ. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, პარიზი, 1924.
9. ბახტაძე მიხეილ. ბრძოლა თბილისის დაცვისათვის 1921 წლის საქართველო-რუსეთის ომის დროს, თბ., 2009.
10. ბენდიანიშვილი ალექსანდრე. საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921), თბილისი, 2001.
11. გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე. სამხედრო სკოლა, ჟურნალი „მხედარი“ №13, პარიზი, 1933 (ჟურნალი დაცულია ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემიგრაციის მუზეუმში. გურამ შარაძის კერძო კოლექცია).
12. გიორგობიანი ავთანდილ. გმირული ბრძოლების დღეები, თბ., 1967.
13. გრძელიძე რევაზ. საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა ისტორია (1910-1924), თბ., 1998
14. გურული ვახტანგ. ვაჩნაძე მერაბ. ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია, 1892-1918. თბ., 1999.
15. ვადაჭკორია შოთა. ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ.,2001.
16. ვარდოსანიძე სერგო. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში, თბილისი, 2001.
17. თოიძე ლევან. ინტერვენციაც ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბ., 1991.
18. თოიძე ლევან. ბრძოლა ბათუმისათვის: 1921 წლის მარტი, თბ., 2009.
19. მაცაბერიძე მალხაზ (რედაქტორი). ბრძოლა ბათუმისათვის, 1921 წლის 18-20 მარტი, თბ., 2011.
20. მაცაბეიძე მალხაზ (რედაქტორი). ჩვენი საქმე მართალია და მან უნდა გაიმარჯვოს, დამფუძნებელი კრების სხდომა ქუთაისში 1921 წლის 28 თებერვალი, თბ., 2009.
21. ნოზაძე ვიქტორ. საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989.
22. პაპასქირი ზურაბ. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიულ წარსულიდან, ნაკვეთი მეორე, 1917-1993, თბ., 2007.
23. ჟვანია გრიგოლ. როგორ მზადდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია (დოკუმენტები), თბ., 1992.
24. საითიძე გოჩა. გენერალი გიორგი კვინიტაძე, თბ., 1998.

25. სილაქაძე დიმიტრი. ოსიაურის ბრძოლა (რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი). საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, შრომები, ტ. 1. თბ., 2011.
26. შარაძე გურამ – დიმიტრი შალიკაშვილი. საქართველოს წარმომადგენლობა 1921 წელს თურქეთში, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. მეოთხე, თბ., 2003.
27. შარაძე გურამ. ისტორიული რელიკვიების დაბრუნება, 1918-1921, თბ., 2001.
28. შარაძე გურამ. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. 6 თბ., 2005.
29. შარაძე გიორგი. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, თბ., 2003.
30. შველიძე დიმიტრი. აი ვინ იყო ქართველნო, ვარლამ ჩერქეზიშვილი, თბ., 2001.
31. შველიძე დიმიტრი. გზა დასავლეთისაკენ, პუბლიკაციების კრებული, თბ., 2012.
32. ცერცვაძე კახა, ბახტაძე მიხეილ. მოხსენებითი ბარათი ავარიის მხარის საქართველოსთან შეერთების შესახებ, თბ., 2000.
33. ჯავახიშვილი ნიკო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები, თბ., 1998.
34. ჯანელიძე ოთარ. ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.

შ ი ნ ა ა რ ს ი

რატომ და როგორ შეიქმნა „ყოველდღიური მატიანე“
(დიმიტრი შველიძე) 5

1918 წელი 9
მაისი – (თამარ პაპუაშვილი) 11
ივნისი – (თამარ პაპუაშვილი) 15
ივლისი – (თამარ პაპუაშვილი) 26
აგვისტო – (თამარ პაპუაშვილი) 39
სექტემბერი – (მაკა ხუციშვილი) 47
ოქტომბერი – (მაკა ხუციშვილი) 60
ნოემბერი – (მაკა ხუციშვილი) 72
დეკემბერი – (ზაზა ცინაძე) 82

1919 წელი 95
იანვარი – (ზაზა ცინაძე) 97
თებერვალი – (ზაზა ცინაძე) 119
მარტი – (ნათია თურაზაშვილი) 129
აპრილი – (ნათია თურაზაშვილი) 140
მაისი – (ნათია თურაზაშვილი) 148
ივნისი – (მანუჩარ გუნცაძე) 164
ივლისი – (მანუჩარ გუნცაძე) 175
აგვისტო – (მანუჩარ გუნცაძე) 186
სექტემბერი – (ელენე გელაშვილი) 195
ოქტომბერი – (ელენე გელაშვილი) 207
ნოემბერი – (ელენე გელაშვილი) 218
დეკემბერი – (ნიკოლოზ ჩხეიძე, ნოდარ ჩხაიძე) 227

1920 წელი 241
იანვარი – (ნონა მოთიაშვილი) 243
თებერვალი – (ნონა მოთიაშვილი) 254
მარტი – (თამარ ლაზარაშვილი) 263
აპრილი – (ხატია ნადირაძე) 277
მაისი – (თამარ ლაზარაშვილი, ხატია ნადირაძე) 288
ივნისი – (ბაჩანა ხაჩიძე) 300
ივლისი – (ნიკოლოზ ჩხეიძე) 310
აგვისტო – (ნოდარ ჩხაიძე) 322
სექტემბერი – (თორნიკე ტაბატაძე) 337
ოქტომბერი – (თორნიკე ტაბატაძე) 352
ნოემბერი – (ირაკლი ირემაძე) 367
დეკემბერი – (დიმიტრი სილაქაძე) 378

1921 წელი 397
იანვარი – (დიმიტრი სილაქაძე) 399
თებერვალი – (დიმიტრი სილაქაძე) 413
მარტი – (დიმიტრი სილაქაძე) 428

1918-1921 წლების კალენდარი 434

მითითებული წყაროები და ლიტერატურა 437

გამომცემლობის რედაქტორი მარინე გიორგობიანი
დაკაბადონება ხათუთა ბადრიძე
კოორდინატორი ნათია დვალი